ბათუმის შუთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

წერილები სტამბოლის ქართული საკანძიდან

ტომი III

ბათუმი – 2024

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

LETTERS FROM THE GEORGIAN SANCTUARY IN ISTANBUL
III

Batumi
2024

წინამდებარე კრებულში-„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი მესამე-წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშები, როგორიცაა ქართველ ლეგიონერთა საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალები, მემუარული ჩანაწერები, ოფიციალური თუ კერძო მიმოწერის ბარათები, სავანის „შთაბეჭდილებათა წიგნი“.

კრებულში წარმოდგენილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები მცირე ნაწილია იმ სულიერი საგანძურისა, რომელიც დაცულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში. კრებული-„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი მესამე-საინტერესო წიგნი იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის. ის ბევრ ახალ ინფორმაციას მიაწვდის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველ საზოგადოებას.

წიგნის შემდგენლები: **როინ მალაყმაძე,** ისტორიის დოქტორი, პროფესორი
შუშანა ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუს-პროფესორი
ელზა ფუტკარაძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი: **შუშანა ფუტკარაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუს-პროფესორი

სარედაქციო საბჭო: როინ მალაყმაძე (ისტორიის დოქტორი, პროფესორი), **შუშანა ფუტკარაძე** (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი), **ელზა ფუტკარაძე** (ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი), **ფატი აბაშიძე** (ფილოლოგიის დოქტორი), **ცისნამი ბერიძე** (ფილოლოგიის დოქტორანტი), **კაკალა ებრალიძე** (ფილოლოგიის დოქტორანტი).

რეცენზენტები: **ავთანდილ ნიკოლეიშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
მიხეილ ქართველიშვილი, ისტორიის დოქტორი

თარგმანი პროფესორ თამარ სირაძისა

The present collection - "Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul", volume three - presents such excellent examples of Georgian cultural heritage preserved in the library and archive of the Georgian Catholic Church-Monastery in the city of Istanbul, Republic of Turkey, as archival materials depicting the activities of Georgian legionnaires, memoirs, official or private correspondence cards, “The Book of Impressions" of the monastery.

The samples of intangible cultural heritage presented in the collection are a small part of the spiritual treasures preserved in the library and archive of the Georgian Catholic Church-Monastery in Istanbul. The collection - "Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul", volume three – will be an interesting book for a wide range of readers. It will provide a lot of new information to the researchers and the readers interested in issues of history, ethnography, linguistics, literary studies, and recent history of Turkish-Georgian relations.

Compiled by: **Roin Malakmadze,** Doctor of History, Professor
Shushana Putkaradze, Doctor of Philological Sciences, Professor Emerita
Elza Putkaradze, Doctor of Philology, Professor

Editor: **Shushana Putkaradze,** Doctor of Philological Sciences, Professor Emerita

Editorial Board: **Roin Malakmadze** (Doctor of History, Professor), **Shushana Putkaradze** (Doctor of Philological Sciences, Professor Emerita), **Elza Putkaradze** (Doctor of Philology, Professor), **Pati Abashidze** (Doctor of Philology), **Tsisnami Beridze** (PhD Student of Philology), **Kakala Ebralidze** (PhD Student of Philology).

Reviewers: **Avtandil Nikoleishvili,** Doctor of Philological Sciences
Mikheil Kartvelishvili, Doctor of History

Translated by Tamar Siradze

წიგნი ეძღვნება სტამბოლის ქართული სავანის
ამაგდარი პიროვნებების მამა-შვილ
პავლე და სიმონ ზაზაძეების ხსოვნას.

Dedicated to Simon and Paul Zazadze, great
caretakers of the Georgian Sanctuaty in Istanbul.



პავლე ზაზაძე-სტამბოლის ქართული სავანის მზრუნველი (1901-1989)

Pavle Zazadze - Caretaker of the Georgian Sanctuary in Istanbul (1901-1989)



სიმონ ზაზაძე-ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საპატიო მოქალაქე (1930-2016)

Simon Zazadze - Famous Public Figure, Honorary Citizen of Georgia (1930-2016)

სარჩევი

სარჩევი 6

წ ი ნ ა თ ქ მ ა 7

კარი პირველი – ქართველ ლეგიონერთა საარქივო მასალები სტამბოლის სავანიდან 15

საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის კომიტეტის მიმართვა ქართველებისადმი მუსლიმან ქართველთა ლეგიონის შესაქმნელად 1915 წ. 1 იანვარი 16

ქართველ ლეგიონერთა აღწერის მასალები, 1915 წ. 18

ჯარისკაცების ოჯახების გასავალის წიგნი, 1915 წ. 20

სია მუსულმან ქართველ ჯარისკაცთა ოჯახებისა ტ რ ა პ ე ზ ო ნ შ ი 21

ქართველ მაჰმადიანთა დივიზიონის წევრები, 1920 წ. ახალციხე 24

ქართველი ლეგიონერები ქართული გვარებით 26

ქართველი ლეგიონის წევრები აჭარის მხარიდან 28

სახელით და გვარით ლეგიონერები 31

ლეგიონერთა სია 32

ასეულები 35

დავთარი ნასკისა 46

სია უძრავი საქონლისა, რომელიც იმყოფება დღეს 1916 წელსა. მარტი 53

ლეგიონერები 55

1916 წლის 4 ივანობისთვიდან 25/ VIII მდე ქართული ლეგიონის ჯარისკაცების დროებით ან სულ განთავისუფლების შესახებ 75

სია ქართველი ჯარის კაცთა, რომელნიც გაგზავნილნია ქართველი ჯარის სარდლის ბრძანებით 85

გაქცეულ ჯარისკაცების წიგნი 1916 წელი 96

დავთარი შინელისა 102

საწყობში სურსათის და სხვა და სხვა გვარი საქონლის შემოსავალ-გასავლის წ ი გ ნ ი 110

გასავალი წიგნი სხვადასხვა მოხელეთათვის 1915 წ. 14 ენკენისთვე 117

სხვადასხვა ცნობარი 122

სია მუსულმან ქართველ ჯარის კაცთა ოჯახებისა ტრაბეზონში 1915 წ. „14“ წიფობისთვეს“ 144

სია „1“ ორდუდან ჩამოსული ჯარისკაცთა 1915 წ. 25 ენკენისთვეს 162

კარი მეორე – ოფიციალური და პირადი წერილები 179

სიმონ მდივნისადმი მიწერილი წერილები 180

სიმონ მდივნის წერილები 194

1918-1921 წ.წ. მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალები 229

ანგარიშები გორის მაზრის უფროსისადმი 250

გიორგი კერესელიძის წერილები 256

კარი მესამე – მასალები სტამბოლის ქართული სავანიდან 265

ცხოვრება აბბა პეტრე ხარისჭიროშვილისა 266

ავთანდილ ურუშაძის ჩანაწერები 299

კონსტანტინე ოდიშარია – არტაანის მხარე 365

ივ. გომართელის სტატიები ჟურნალ „ივერიიდან“ 435

კარი მეოთხე – შთაბეჭდილებების წიგნი 460

კარი მეხუთე – გამოხმაურებანი კრებულზე - „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ 487

ფოტოილუსტრაციები 495

წინათქმა

ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს აარსებდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დიდია ამ სავანეთა ღვაწლი და მსახურება ქართული კულტურისა და საერთოდ, ქვეყნისათვის. ეს სავანეები მრავალმხრივ კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ. აქ, აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად, იქმნებოდა ორიგინალური თხზულებანიც. გავიხსენოთ იოანე ათონელის თხოვნა ექვთიმესადმი: „შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა, აწ იღუაწე...“ და მართლაც, ექვთიმემ ივირონში დიდი შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყო. „იოანესა და ექთიმე ათონელის ცხოვრება“ გვაცნობს, რომ ის ძირითადად ღამით და სანთლის შუქზე თარგმნიდა: „მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკჳრნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენდა და ვგონებ, თუ არღაცა გამოჩინებად არს... ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან“. აი, ასე თავდაუზოგავად იღვწოდნენ ჩვენი წინაპრები. დიახ, ეს იყო თავგანწირული მსახურება სამშობლოსათვის, ენისათვის და უპირველესად, ღვთისათვის. სამშობლოსგან მოშორებით, სავანეებში მოღვაწენი, ღვთისმსახურებით ერს სულიერ ძლიერებას ჰმატებდნენ და იმავდროულად კი, ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას ამდიდრებდნენ.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული სავანეთა საქმიანობით ჩვენი ერის კულტურულ მონაპოვარს ეცნობოდნენ სხვებიც. ასეთი საქმიანობით სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლაც ხდებოდა. ქართველი ერის კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელია ათონის ივირონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, ანტიოქიის, სინასა და შავი მთის, პეტრიწონის სავანეთა საქმიანობა. ქართველმა ხალხმა დროთა განმავლობაში დაკარგა ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის ყველა კერა.

საზღვარგარეთ არსებულ კულტურულ კერებს შორის დღემდე მოქმედია მხოლოდ სტამბოლის კერა-ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია-მონასტერი, ბიბლიოთეკითა და არქივით. სამწუხაროდ, ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ბევრ უბანში – გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, უსკუდარში, პერაზე, ფაფაზსქვეფრში – დროთა განმავლობაში წაიშალა.

შემთხვევითი არაა, რომ სტამბოლი (ძველი კონსტანტინეპოლი) ძველთაგანვე იზიდავდა ქართველებს. კონსტანტინეპოლი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა. IX საუკუნეში აქ არსებულ კულტურის კერებს საქართველოდან ეწვივნენ გრიგოლ ხანძთელი და ილარიონ ქართველი იქაური სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გვაცნობს, რომ გრიგოლმა „განიზრახა წარსლვაჲ ქრისტეჲს საჭურჭლედ, მეორედ იერუსალემდ, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად“. რამდენიმე ხანი დაყო იქ გიორგი მთაწმინდელმაც. ასევე, თვეების განმავლობაში ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანი. მან კონსტანტინეპოლში ყოფნისას შეავსო თავისი ლექსიკონი, განავრცო, დახვეწა და სრულყო. სტამბოლში ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანი მუშაობდა ნაწარმოებზე „მოგზაურობა ევროპაში“. 1626 წ. იქ დასახლდა თავისი ამალით გიორგი სააკაძე. აქ შექმნა დავით მეფემ, დაუდ-ხანად წოდებულმა, სამკურნალო წიგნი „იადიგარ-დაუდი“. სტამბოლის ერთ-ერთ უბანში, გალათაში, უძველესი დროიდან არსებობდა ქართველთა დასახლება. ოსმალებმა ამ ადგილს უწოდეს „გურჯუ ქაფუ“-ქართველთა კარი და დღემდე ასეა ცნობილი. გალათაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი-წმ. პეტრეს სახელობის ეკლესია. ქართველთა უძველესი სავანე იყო ასევე ჰრომანას მონასტერი, ძველი კონსტანტინეპოლის გარეუბანში. როგორც

ცნობილია, იგი ააშენა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ ულუმბოს (ოლიმპოს) მთიდან გადმოყვანილი ქართველი ბერებისათვის.

XI საუკუნიდან ქართველები მოღვაწეობდნენ კონსტანტინეპოლის რამდენიმე სავანეში. კერძოდ: ხორაში, აგიაპატსა და ტრიანდაფლივში. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერებზე საუბრისას, გვაცნობს, 1031 წელს ხორას მონასტერში გრიგოლ მთაწმინდელის დავალებით, ბასილს დაუმზადებია „მცირე სჯულის კანონი“, რის შესახებაც მოგვითხრობს ამ ხელნაწერის (A N96) მინაწერი. ბასილი ცნობილი მწერალი ყოფილა. მას რამდენიმე ხელნაწერი დაუმზადებია მამამთავარ ზაქარია ვალაშკერტელის (ბანელის) დავალებითაც. მწერალ ისაკს კი ხელნაწერები დაუმზადებია აგიაპატის მონასტერში. ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ, აგრეთვე, ტრიანდაფლივის მონასტერში. სექტემბრის თვის წმინდანების ცხოვრებათა კრებულში (A+h.N20) მოცემულია ანდერძი, რომლის საშუალებითაც ვეცნობით „მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანდაფლივს“ მოღვაწე ქართველ მწიგნობართა ჯგუფის ლიტერატურულ საქმიანობას. აქ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა თეოფილე ხუცესმონაზონი და მღვდელი საბა, რომლებმაც ბერძნულიდან ქართულად თარგმნეს მეტაფრასი და 1081 წელს დაამზადეს ხელნაწერი.

საუკუნეთა მანძილზე ქართველები ისწრაფოდნენ კონსტანტინეპოლის არა მარტო სასულიერო დაწესებულებებისაკენ, არამედ ცდილობდნენ განათლება მიეღოთ აქაურ საერო სასწავლებლებშიც. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან იქ სასწავლებლად წაიყვანა 80 ბავშვი, მოგვიანებით კი, დავით აღმაშენებელმა იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად გაგზავნა 40 ახალგაზრდა. ასევე, გამორჩეული იყო კონსტანტინე IX მონამახის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებული მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის კულტურის ისტორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველები მანგანის აკადემიაში არა მარტო სწავლობდნენ, არამედ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია არსენ იყალთოელის მოღვაწეობა. მან ბერძნულიდან ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები. მათგან განსაკუთრებით ფასეულია მეშვიდე საუკუნის მწერლის ანასტასი სინელის ნაწარმოები „წინამძღვარი“. მანგანის აკადემიაში სწავლობდნენ ცნობილი პიროვნებანი: პეტრე იბერი, იოანე გრძელიძე, ილარიონ თუალელი, საბა თუხარელი, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე, გიორგი ოლთისელი, ბასილ და იოანე ხახულარები და მრავალი სხვა.

სამართლიანად აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმალვე სწვდებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების– მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით”.

სწორედ, ამგვარი დანიშნულების დაწესებულება საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გახლდათ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე–წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია–მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ამ სასულიერო და კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში–ფერიქოიში (ანგელზთა სოფელში) 1861 წელს აშენდა კათოლიკური ეკლესია და დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტრები. 1870 წლისათვის აქ უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები. სტამბაში მოგვიანებით წიგნები იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზედაც.

სტამბოლის სავანის ისტორია ქართველთა მოღვაწეობის არაერთ საინტერესო დეტალს გვაცნობს. 1908 წელს გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული გამოცემები, დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში, ქართულ და სხვა ენებზე არსებულ სტამბებში.

ამ სავანეში არაერთი ცნობილი პიროვნება აღიზარდა: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, ბენედიქტე ვარდიძე, ემანუელ ვარდიძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, ალფონს ხითარიშვილი, პეტრე ტატალაშვილი, პეტრე მერაბიშვილი (დოქტორ მერაბი, აბისინიის მეფის სასახლის ექიმი), სტეფანე გიორგიძე, იოსებ მერაბიშვილი, ელისაბედ ბეჟანიძე, პიო ბალიძე, პავლე ადგულაძე (აკობაშვილი), შიო ბათმანაშვილი, ანდრია აფრიამაშვილი. ამ სავანის გიმნაზიაში აღიზარდა პავლე ზაზაძე (1966-1989 წლებში ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე).

განუზომელია სავანის წვლილი ქართველ მუსლიმანებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. ეს სავანე ხელს უწყობდა და ზრუნავდა სამშობლოდაკარგულ ქართველებში არ ჩამკვდარიყო ეროვნული სული. სავანე იმედი და თავშესაფარი იყო უცხოეთში გადახვეწილი ქართველებისათვის. ევგენი დალეჯიო დალესიო 1920 წ. დაწერილ ნაშრომში „ქართველები კონსტანტინეპოლში“ წერდა: „ამ სავანის მღვდლები დასაწყისიდან დღემდე არ დაერიდნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და განმსჭვალულებმა დიდებული მომავლის რწმენით, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა... მათ ეს სავანე გარდაქმნეს ეროვნულ კერად... ამ სავანეში მოსული ქართველი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულს, მოიგონებს ქართველი ხალხის დიდებულ წარსულს და განიმსჭვალება ნათელი მომავლის იმედით, ქართველთა უკვდავების გრძნობებით“ (ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1920: 30).

სტამბოლის სავანის მნიშვნელობა და როლი კარგად ჩანს სავანის მღვდლის პიო ბალიძის მიერ საქართველოს მთავრობისადმი მიწერილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში: „კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი თავშესაფარი ყოველი... ქართველისა... იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქნეს“.

დიახ, სტამბოლის სავანე ბევრი ქართველის თავშესაფარი იყო. სწორედ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთ გახიზნულმა მთავრობამ 1921 წ. მარტში ამ სავანეს შეაფარა თავი. მონასტრის საარქივო მასალიდან ჩანს, რომ გიორგი ყაზბეგი ოჯახითურთ სავანეში ცხოვრობდა. აქ მუშაობდა საფრანგეთში რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედი სეგოს (საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანო) სტამბოლის ბიურო, რომლის ხელმძღვანელი ჯერ პეტრე სურგულაძე, ხოლო შემდეგ სანდრო მენაღარიშვილი იყო.

1914 წ. სავანეში ჩაისახა ქართული ლეგიონის შექმნის იდეაც, რომელიც მალე რეალობად იქცა. 1915 წ. დაარსდა თამარ მეფის სახელობის ლეგიონის ორდენი. ცნობილი მხატვრის იაკობ ნიკოლაძის მიერ მონასტერში შესრულდა თამარ მეფის ორდენის ესკიზი, რომელიც დაცულია მონასტრის არქივში. ამ მონასტრის მღვდლები პიო ბალიძე და შალვა ვარდიძე დაჯილდოებულნი იყვნენ თამარ მეფის სახელობის ლეგიონის ორდენით. პირველი ლეგიონერების სია და 1915-1921 წლებში მათი საქმიანობის ამსახველი მასალები დაცულია მონასტრის არქივში.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ქართულ სავანეში დედაენის სპეციალური წიგნიც დაიბეჭდა ოსმალეთში მცხოვრები ქართველებისათვის-პატარა ქართული ანბანი, შედგენილი და გამოცემული ოსმალოს ქართველთათვის, გამოცემული პირველი, სტამბოლი, ქართული საბეჭდავი, ფერიქვევი,

1914. ამ სავანეში დაიბეჭდა სტამბოლის კონფერენციაზე წარსადგენი ცნობა-საქართველოს ტერიტორიული საზღვრების შესახებ.

ასევე, მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულია შთაბეჭდილებათა წიგნი, რომელიც გვაცნობს სტამბოლის ქართული სავანის საქმიანობას, აქაური სასულიერო პირების თავდაუზოგავ ღვაწლს. წიგნში სხვადასხვა შინაარსის ჩანაწერები და ავტოგრაფებია: ალ. ცაგარელის, ივ. ჯავახიშვილის, წმ. ათონის მღვდელმონაზონი ილია ფანცულაიასი, გელათელი ნიკოლოზ არქიმანდრიტის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია მეორის.

სწორედ, სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული მასალების საზოგადოებისათის გაცნობის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე კრებული. კრებულში - „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი მესამე - წარმოდგენილია ქართველ ლეგიონერთა საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალები, მემუარული ჩანაწერები, ოფიციალური თუ კერძო მიმოწერის ბარათები, სავანეში დაცული შთაბეჭდილებათა წიგნი.

კრებული ხუთი კარისაგან შედგება. პირველი კარი ეთმობა ქართველ ლეგიონერთა საქმიანობის ამსახველ საარქივო მასალებს. მეორე კარით ვეცნობით ოფიციალურ და პირად წერილებს. სტამბოლის ქართული სავანის საინტერესო მასალებია მესამე კარში წარმოდგენილი, მეოთხე კარში - სტამბოლის სავანის შთაბეჭდილებათა წიგნი, ხოლო მეხუთე კარში კი - გამოხმაურებანი კრებულზე. კრებულს ერთვის ფოტომასალა.

დავსძენთ, რომ კრებულში წარმოდგენილი მასალა ფასეულია და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესახებ.

ამ სავანის გადარჩენისა და იქ დაცული მასალების სამეცნიერო სივრცეში შემოტანის საქმეში განუზომელია ზაზაძეების ოჯახის, მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების ღვაწლი. 1966 წ. შეიქმნა ეკლესიასთან არსებული კათოლიკური საზოგადოების ფონდი. ფონდის თავმჯდომარედ აირჩიეს პავლე ზაზაძე. ის 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა მას. შემდეგ მისი საქმე განაგრძო შვილმა სიმონ ზაზაძემ. ის ბავშვობიდანვე, მამასთან ერთად ერთგული დარაჯი იყო სტამბოლის ქართული სავანისა. ბატონი სიმონი იყო საქართველოს საპატიო მოქალაქე, თბილისის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, პროფესორი. სწორედ ამ ფონდისა და სიმონ ზაზაძის მეოხებით, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საექსპედიციო ჯგუფმა პროფ. შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, შეისწავლა წიგნთსაცავი. აქ დაცული წიგნების გამოცემის თარიღი 1523 წ. იწყება. აქვეა ფოტომასალა, 1858-1982 წ.წ. კერძო და ოფიციალური ხასიათის მიმოწერის ბარათები, საარქივო წყაროები. ამ დიდ ეროვნულ საქმიანობას დღესაც აგრძელებს სიმონ ზაზაძის შვილი პოლ ზაზაძე. ის, მამის გარდაცვალების შემდეგ, 2016 წლიდან არის სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს არის 2000 წ. დაფუძნებული თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ვიცე პრეზიდენტი.

დიახ, სტამბოლის ქართული სავანე - ეს პატარა საქართველო უცხოეთში, ზაზაძეების თავგანწირული, მრავალგზის სიცოცხლის საფრთეში ჩაგდების ფასადაა გადარჩენილი. ეს ის უიშვიათესი მაგალითი და იმის დასტურიცაა, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო. როგორი დიდი ადამიანური გამძლეობა უნდა გქონდეს, რომ უცხოეთის ცის ქვეშ მცხოვრებმა, ერს შემოუნახო კულტურული მემკვიდრეობა. ეს ხომ უდიდესი მამულიშვილური მსახურებაა. ერთგულ დარაჯად მდგომმა ზაზაძეების გვარმა ეს შეძლო და ერს გადაურჩინა ის ფასეულობა, რომელიც „განძად დარჩების“.

Foreword

Our ancestors have been establishing cultural and educational centers outside the country since ancient times. The contribution and service of these sanctuaries to Georgian culture and the country as a whole is great. These sanctuaries were involved in many cultural activities. Here, along with active translation work, original works were also created. Let us recall the request of Ioane of Athos to Ekvtime: "My son, the country of Kartli is greatly lacking in books, and many books are missing, and I see that you are gifted by, so do make efforts..." And indeed, Ekvtime started a great creative activity in Iviron. "The Lives of Ioane and Ekvtime the Athonites informs us that he translated mainly at night and by candlelight. This is how public-spirited our ancestors were. Yes, it was self-sacrificing service for the motherland, language and above all, for God. Far from the homeland, those working in the sanctuaries used to add spiritual strength to the nation by worshiping and at the same time enriching our cultural heritage.

Through the activities of the centers outside the country, foreigners also got to know about the cultural achievements of our nation. Through this activity, the spiritual values of different people were exchanged. The activities of Iviron on Mount Athos, Cross Monastery in Jerusalem, Antioch, Sinai and Black Mountain, Petritsoni centers are invaluable for the cultural history of the Georgian nation. Over time, the Georgian people lost all centers of Georgian culture outside the country.

Among the cultural centers abroad, only the Istanbul center - the Church-Monastery of the Mother of God, with a library and archive - is still active. Regretfully, traces of Georgian culture in many areas of Istanbul - Galata, Sostene, Vezirkhan, Uskudar, Pera, Fafazskvefri - have been erased over time.

It is no coincidence that Istanbul (ancient Constantinople) has attracted Georgians since ancient times. Constantinople has been one of the important centers of Georgian writing and education for centuries. In the 9th century, Gregory of Khandzta and Hilarion of Georgia visited the centers of culture here to study the monastic life. "The Life of Gregory of Khandzta" informs us that Gregory "intended to go as a vessel for Christ, to the second Jerusalem, which is Constantinople, and to see and pray to all the holy places of Greece." Giorgi Mtatsmindeli also spent some time there. Also, Sulkhan-Saba Orbeliani lived there or months. While in Constantinople, he completed his dictionary - expanded, updated and perfected it. While in Istanbul, Sulkhan-Saba Orbeliani worked on his book "Journey to Europe". In 1626 Giorgi Saakadze settled there with his army. Here, King David, known as Daud-Khan, created the medicinal book "Yadigar-Daudi".In one of the districts of Istanbul, Galata, there used to be a settlement of Georgians since ancient times. The Ottomans called this place "Gurju Kafu" - the gate of the Georgians, and it is still known as such. Georgians had their shrine in Galata - St. Peter's Church. The oldest monastery of Georgians was also the Hromana monastery, on the outskirts of old Constantinople. As is known, it was built by the Byzantine emperor Basil for the Georgian monks brought from Mount Ulumbo (Olympus).

From the 11th century, Georgians worked in several centers of Constantinople. Namely: in Khora, Agyapat and Triandafliv. L. Menabde, speaking about the ancient Georgian centers, informs us that in 1031, in the Khora monastery, on the instructions of Grigol Mtatsmindeli, Basil prepared the "Minor Nomocanon", which is mentioned in the postscript to this manuscript (A N96). Basil was a famous writer. He prepared several manuscripts on the instructions of Patriarch Zakaria Valashkerteli (Baneli). And the

scribe Isaac made manuscripts in Agyapati Monastery. Georgian clerics also worked in the Triandaflivi monastery. In the collection of the lives of the saints for the month of September (A+h.N20) there is a will, through which we get to know the literary activity of the group of Georgian scribes working in this monastery. Among the scholars working here, Theophile the Monk and priest Saba stand out, who translated the metaphrasis from Greek into Georgian and produced the manuscript in 1081.

For centuries, Georgians aspired not only to the religious institutions of Constantinople, but also tried to get an education in secular schools here. As it is known, Giorgi Mtatsmindeli took 80 children from Georgia to study there, and later, Davit Agmashenebeli sent 40 young people to receive education in the schools there. The Imperial University of Constantinople (the University of the Palace Hall of Magnaura), an important educational and scientific institution founded by Constantine IX Monomachos in 1044-1047, which became a powerful center of the Renaissance and played a great role in the history of Byzantine culture, was also outstanding. It should also be noted that Georgians not only studied at the University of Magnaura, but also engaged in fruitful literary activities. In this regard, the work of Arsen of Ikalto is important. He translated important works from Greek into Georgian. Among them, the work "Viae Dux" ("Guide along the Right Path") by the seventh century writer Anastasius of Sinai is especially valuable. Famous people studied at the Magnaura Academy: Peter the Iberian, Ioane Grdzelidze, Hilarion Tualeli, Saba Tukhareli, Giorgi Mtatsmindeli, Ioane Petritsi, Arsen of Ikalto, Euthymius the Athonite, Ephrem Mtsire, Giorgi Oltiseli, Basil and Ioane Khakhulari and many others.

Ivane Javakhishvili rightly pointed out: "The cultural significance of Georgians living abroad was very valuable. In addition to the rich cultural heritage that Georgia had preserved there during the past centuries, it was highly appreciated in other ways. Through the monasteries abroad, Georgia could follow every success of the cultural development of the then educated countries. Everything that was new and important was written or done in the Georgian centers established abroad, reached Georgia immediately thanks to the Georgian figures working there - writers, scholars and artists".

For more than a century, the Georgian Catholic Church of Istanbul - the Church-Monastery of St. Mary the Virgin, with a Georgian printing house and a rich library - was an institution of such purpose. The founder of this religious and cultural-educational center was Father Petre Kharischirashvili from Akhaltsikhe. As a result of his selfless efforts, a Catholic church was built in 1861, and monasteries of monks and nuns were founded in one of the most beautiful districts of Istanbul – Ferikoy (Village of Angels). By 1870, a Georgian printing house was already working here, where Georgian books were printed. Later, books were also printed in French.

The history of the sanctuary in Istanbul introduces us to many interesting details of Georgians' activities. In 1908, the library named after Akaki Tsereteli was opened, where unique Georgian editions, printed both in Georgia and in foreign countries, in Georgian and other languages, are preserved to this day.

A number of famous people were brought up in this sanctuary: Ivane Gvaramadze (Meskhi), Mikheil Tamarashvili, Mikel Tarkhnishvili, Shalva Vardidze, Benedikte Vardidze, Emmanuel Vardidze, Andria Tsinamdzgvrishvili, Alfons Khitarishvili, Petre Tatalashvili, Petre Merabishvili (Doctor Merabi, doctor of the palace of the king of Abyssinia), Stefane Giorgidze, Ioseb Merabishvili, Elizabeth Bezhanidze, Pio Balidze, Pavle Adguladze (Akobashvili), Shio Batmanashvili, Andria Apriamashvili. Pavle Zazadze (Chairman of the Georgian Catholic Society in 1966-1989) was brought up in the gymnasium of this center.

The center's contribution to raising national self-awareness among Georgian Muslims is immeasurable. This sanctuary helped and ensured that the national spirit did not die in Georgians who had lost their homeland. The center was a hope and a refuge for Georgians living abroad. Eugène Dallegio d'Alessio remarked in his work "Georgians in Constantinople" written in 1920: "From the beginning to the present day, the priests of this sanctuary did not hesitate to put their community to the test of existence, and imbued with the belief of a glorious future, they clearly fulfilled their duty in the struggle for the freedom of Georgia… They transformed this monastery into a national hub... A Georgian coming to this place will definitely feel the love of the estate, ponder about the glorious past of the Georgian people and hope for a bright future, with the feelings of immortality of Georgians (Eugène Dallegio d'Alessio, Georgians in Constantinople, Istanbul, 1920: 30).

The importance and role of the sanctuary in Istanbul can be clearly seen in one of the reports written by the priest of the sanctuary, Pio Balidze, to the Georgian government: "The Georgian monastery of Constantinople was, is and will be a refuge for every... Georgian... It is an alert defender and watchman of Georgian interests. It would be desirable for its merits to be properly evaluated and this small Georgia abroad to be protected and well-preserved."

And indeed, the monastery in Istanbul was a refuge for many Georgians. It was here that the government of the Democratic Republic of Georgia, exiled abroad, took refuge in March 1921. The archival material of the monastery shows that Giorgi Kazbegi lived in the center with his family. The Istanbul Bureau of NLOG (National Liberation Organization of Georgia) operating in France for several years also worked here, the head of which was first Petre Surguladze, and then Sandro Menagharishvili.

In 1914, the idea of creating a Georgian Legion was conceived in the center, which soon became a reality. In 1915, the Order of the Legion named after King Tamar was founded. A sketch of the Order of King Tamar was made in the monastery by the famous artist Jacob Nikoladze, which is preserved in the monastery's archive. The priests of this monastery, Pio Balidze and Shalva Vardidze, were awarded the Order of the King Tamar Legion. The list of the first legionnaires and materials describing their activities in 1915-1921 are preserved in the monastery archive.

It is worth emphasizing the fact that a special book in the mother tongue was printed in the sanctuary for Georgians living in the Ottoman Empire - A small Georgian alphabet, compiled and published for the Ottoman Georgians, first edition, Istanbul, Georgian Printing House, Ferikvevi, 1914. The report on the territorial borders of Georgia to be presented at the Istanbul conference was printed in this center as well.

Also, the library of the monastery preserves a book of impressions, which informs us about the activities of the Georgian Monastery in Istanbul, the selfless efforts of the clergy here. The book contains notes and autographs of various contents by: Al. Tsagareli, Iv. Javakhishvili, Priest of Mount Athos Ilia Fantsulaia, Nikoloz archpriest of Gelati, Mikhako Tsereteli, Victor Nozadze, Konstantine Gamsakhurdia, Grigol Robakidze, Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II.

This collection is an attempt to familiarize the public with the materials preserved in the archive of the Georgian monastery in Istanbul. The present collection - "Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul", volume three - presents the archival materials depicting the activities of Georgian legionnaires, memoirs, official or private correspondence cards, "The Book of Impressions" preserved in the monastery.

The collection consists of five chapters. The first chapter is devoted to the archival materials depicting the activities of the Georgian legionnaires. With chapter two we get acquainted with

official and personal letters. Interesting materials from the Georgian sanctuary in Istanbul are presented in the third chapter, and in the fourth chapter - the book of impressions of the monastery in Istanbul, and chapter five - comments on the collection. The collection is supplied with photographs.

We believe that the material presented in the collection is valuable and represents an important source on various issues of Georgian history.

The efforts of the Zazadze family, father and son Paul and Simon Zazadze, are immeasurable in saving the monastery and bringing the materials preserved there into the academic space. In 1966, the Foundation of the Catholic Society was established at the Church. Paul Zazadze was elected as the chairman of the Foundation. He chaired the Foundation until 1989 when his son Simon Zazadze continued his work. Since his childhood, he was a faithful watchman of the Georgian sanctuary in Istanbul together with his father. Mr. Zazadze was an honorary citizen of Georgia, professor, honorary doctor of Tbilisi, Kutaisi, Akhaltsikhe and Batumi state universities.

It is with the assistance of this Foundation and Simon Zazadze personally, that the expedition group from the Niko Berdzenishvili Institute of BSU, under the leadership of Prof. Shushana Putkaradze, was able to conduct research at the library. The publication date of the books kept here starts from 1523. Here are photographs, private and official correspondenceоб 1858-1982, archival sources. Simon Zazadze's son Paul Zazadze is the successor this great national activity today. After the death of his father, since 2016, he has been the president of the Foundation of the Georgian Catholic Church in Istanbul. At the same time, he is the vice president of the Turkish-Georgian Culture and Education Foundation, founded in 2000.

Indeed, the Georgian Monastery in Istanbul - this little Georgia abroad, has been saved at the cost of self-sacrifice of the Zazadze family, putting their lives in danger many times. This is the rarest example and proof of how you should love your homeland. What a great human endurance you have to have that living under a foreign sky you are dedicated to preserve cultural heritage to your nation. This is the greatest patriotic service. The Zazadze family, standing as a loyal watchman, was able to fulfil the duty and preserved for the nation the value that will “remain as a treasure”.

კარი პირველი
ქართველ ლეგიონთა საარქივო მასალები სტამბოლის სავანიდან



საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის კომიტეტის მიმართვა ქართველებისადმი მუსლიმან ქართველთა ლეგიონის შესაქმნელად 1915 წ. 1 იანვარი

ქართველებო!

სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი ამბავი უნდა მოგიტანოთ ტყვეობაში ტანჯულთ თანამოძმე ქართველთა: საქართველო, საყვარელი სამშობლო ჩვენი, მრავატანჯული და წამებული, პატივაყრილი და შეურაცხყოფილი მტარვალთაგან, დღეს სდგება, იარაღს ისხამს და გამოდის ბრძოლის ველზედ, რომ ამ საკაცობრიო ბრძოლაში მანაც მოიპოვოს თავისუფლება და აღიდგინოს წართმეული უფლებანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა.

დღეს ჩვენს დაუძინებელს მტერს, ჩვენს განმანადგურებელ და დამღუპველ რუსეთს, ძლევამოსილი ჯარები გერმანიისა და მის მოკავშირეთა სასტიკად ამარცხებენ და საცაა დასცემენ ძირს ამ საშინელს ვეშაპს. მთელი კაცობრიობის რეაქციის ბურჯს. რუსეთის დამარცხებიდან უნდა გამოვიდნენ თავისუფალნი საქართველო, უკრაინა, პოლონეთი, ფინლანდია და სხვა ერნი.

საქართველოს დღეს ხელშეკრულება აქვს დადებული გერმანიასთან და ოსმალეთთან (რომელიც აგრეთვე რუსეთს ებრძვის), რომლის ძალითაც საქართველო თანახმაა რუსეთის წინააღმდეგ აღიღოს ხმალი, ხოლო გერმანია და ოსმალეთი გარანტიას აძლევენ საქართველოს - აღიარონ დამოუკიდებლობა საქართველოსი ჩვენს ისტორიულ საზღვრებში, როცა ეს დიადი ბრძოლა გერმანიის გამარჯვებით დაგვირგვინდება და შეიკრიბება ზავის კონგრესი ევროპისა და სხვა ქვეყნების საქმეთა მოსაწესრიგებლად. გერმანია გვაძლევს იარაღს და ყოველივე საშუალებას საბრძოლველად და ჩვენს ოსმალეთის ჯართან ერთად, რომელიც დღეს რუსეთს ებრძვის საქართველოს საზღვრებზედ და საქართველოში შესვლას აპირებს მეგობრულად და არა მტრულად, თავგანწირულად უნდა ვიბრძლოთ საქართველოს სახელმწიფოს აღსადგენად.

მთელი საქართველო დღეს ფეხზედ სდგას, არ არის განსხვავება პარტიათა და კლასთა შორის ამ დიად საკითში, ერი მხოლოდ შესაფერ წამს უცდის, რომ ხმალ ამოწვდილი გადაერიოს მტრის რაზმებს და გმირულად დასდვას თავი დიდებული ერისათვის.

ქართველებო! მის მაგივრად, რომ რუსის ხმალი გეჭიროსთ ხელში და ემსახურებოდეთ იმ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტერია, ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაეწერეთ ქართველთა რაზმებში. აქ გამოჩნდება და დაფასდება თქვენი ვაჟკაცობა, რომელიც ერთ დროს განთქმული იყო და ეხლაც მოახდენს სასწაულებს, თუ იგი სამშობლოს ნიადაგზედ მტრის ძალას შეეჯახება დიდებული აზრით ხელმძღვანილი. ეგ ღალატი არ არის. ნებით არავინ წასულხართ ომში რუსეთის გასამარჯვებლად. ძალით მიგაღბინესთ ფიცი, ძალით გაომესთ რუსებმა, ეხლა კი ნებით მოდით თქვენს სამშობლო მხარეში და თქვენისავე ნებით იბრძოლეთ უბედურ საქართველოს მიწა-წყალზედ, რომ სამშობლოს თავისუფლებისა და დიდებისათვის დასთხიოთ წმიდა სისხლი თქვენი და უკვდავ იქნება მაშინ სახელი თქვენი. დაე, გაიღვიძოს ძველმა ვაჟკაცობამ ქართელთა, იმ დროისამ, როდესაც ერთ ქართველზედ ათი მტერი მოდიოდა, მაგრამ სიმართლისა და საკუთარ უფლებათა დამცველ ქართველს გამარჯვება მაინც რჩებოდა.

გლეხის შვილო ქართველო! შენ გაიგებ ამ დიდებულ აზრს, რომელზედაც დღეს მთელი საქართველო სდგას, რადგანაც საქართველოს გული შენი გულია და მისი გულის პასუხი შენის გულის პასუხი. შენ სიხარულით მიეგებები ამ ამბავს და პირველივე შემთხვევისათანავე აღისხამ იარაღს, რომ გმირულად დალიო სული შენი ცოლ-შვილის, შენი ერის დასაცველად.

მაგრამ შენ, ქართველო ოფიცერო, თუ კიდევ შეგრჩენია ქართული სული, თავმოყვარეობა და ვაჟკაცობა, ჰა ბურთი და მოედანი შენი რაინდობისა და მამულიშვილობის გამოსაჩენად! დღეს საქართველო მოგიხმობს შენ, ვითარცა ლეჩაქ ახდილი დედა და გთხოვს დაიცვა იგი შეურაცხყოფისაგან და იხსნა ტყვეობისაგან.

ფიცი გაწუხებსთ, რომელიც რუსეთის იმპერატორთან გაქვთ დადებული? მაგრამ ფიცის გამტეხელები თვით რუსის იმპერატორები არიან, რომელთაც დაარღვიეს საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება 1783 წ. და წარხოცეს პოლიტიკური სახელი საქართველოსი. იმ დროიდან ყოველნაირი ფიცი ჩვენგან დადებული რუსეთთან ნაძალადევია და არავითარი ზნეობრივი ძალა არ აქვს.

ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვებრძვით რუსეთს და გიხმობთ მამულის ერთგული სამსახურისათვის. თქვენი სამშობლო საქართველოა და არა რუსეთი.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს სახელმწიფოს!

ძირს მტარვალები, რომელთაც საქართველო დააქციეს ასი წლის ბატონობით!

დაე, ყოველი ქართველი გმირად გადიქცეს ამ დიად ბრძოლაში და ტყვეობაში ნაძრახ სიცოცხლეს სამშობლოს ველ-მინდვრებზედ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილი ამჯობინოს!

საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის კომიტეტი

P.S. ტყვეობიდან ხსნისა და საქართველოში გადაყვანისათვის უკვე ზრუნავენ და მსურველთ ყოველივეს შეატყობინებენ.

1 იანვარს, ახალ წელს. 1915

ქართველ ლეგიონერთა აღწერის მასალები, 1915 წ.

საიდან (სად ცხოვრობს)

1. გოგიტიძე ხუსეინ - ქობულეთი -
2. ალიბაშოღლი სულეიმან - ქობულეთი (უნია) 160.
3. ბაირახტაროღლი თალიბ - ერგე (უნიე) 160.
4. თათაროღლი ყედემ - მარადიდი (ორდი) 120.
5. მოლოღლი ახმედ აღა - მახუნცეთი (ფაცა) 160.
6. მემიშ ეფენდოღლი სულეიმან - ჯოჭო (უნიე) 160.
7. ხუტაძე მამუდ - ქობულეთი (ტრაბიზონი) 160.
8. ხაბაზოღლი ხუსეინ - აჭარა 160.
9. გორგოშაძე ოსმან - მარადიდი (ტრაბიზონი) 320.
10. ხუსეინოღლი ხაკი - კახაბერი (ჩერშემბე) 120.
11. დემირჯოღლი ხუსეინ - სიმონეთი (ჩერშემბე) 160.
12. ჯიბალოღლი რამიზ- თცილნარი (ჩერშემბე) 160.
13. უსტიალოღლი იბრაიმ - მარადიდი (ჩერშემბე) 160.
14. გენჯალოღლი ისაკ - კიბე (ჩერშენბე) 160.
15. რევჯებოღლი ხუსეინ - მარადიდი (ორდი) 160.
16. ვერძაძე მემედ - ბათუმი (ტრაბიზონი) 240.
17. დურსუნაღანუნოღლი დურსუნ - მარადიდი (ჩერშენბე) 160.
18. დელიალოღლი ოსმან - მაჭახელი (ჩერშენბე) 160.
19. კარალოღლი ხასან -კირნათი (ჩერშენბე) 160.
20. დაუდოღლი ფაიკ - მარადიდი (რიზე) 280.
21. კაკალაძე მახმუდ - ქობულეთი - -
22. ჩადუნელი მიხეილ - ქობულეთი - -
23. კაკალოღლი ემინ - ქბულეთი (ათინა) 80.
24. სოლხაძე სალიხ - ბათუმი -
25. მემედალილენოღლი ხუსეინ - ქედა (ორდი) 160.
26. ხორონოღლი ხასან - ბათუმი (ტუნია) 160.
27. გოგიტიძე ხასან - ქობულეთი (ტრაპიზონი) 540.
28. ვაშალოღლი ისაკ - მაჭახელი (ორდი) 80.
29. აზაბაღაზადე ფეზლი - მაჭახელი (ტრაპიზონი) 80.
30. ბოლქვაძე ჰარუნ - მარადიდი (ტრაპეზონი) 320.
31. სერდალოღლი მემედ - მარადიდი (ტრაპიზონი) 200.
32. ჭუჭულოღლი ალი - კახაბერი (ტრაპიზონი) 120.
33. ბოლქვაძე ხუსეინ - მარადიდი (ტრაპიზონი) 280.
34. ანარიოღლი ხასან - კიბე (ორდი) 160.
35. ლელოღლი ისმაილ - კირნათი (ორდი) 160.
36. პაჭიჭოღლი ხუსეინ - მარადიდი (ორდი) 160.
37. ხასანოღლი მუსტაფა - მარადიდი (ორდი) 160.

38. ჭუჭულოღლი იუსუფ - კახაბერი -
39. აფაქიძე მემედ - ჯოჭო (ტრაპიზონი) 40.
40. მემიშეფენდოღლი ოსმან - ბათუმი (უნიე) 160.
41. ისმაილოღლი მემედ ალი - ქედა (ორდი) –
42. მემიშრეროღლი იბრაიმ - მარადიდი (ტრაპეზონი) 320.
43. კოკობინოღლი დურსუნ - ერგე (ორდი) –
44. თედორაძე მამუდ - ორცვა -
45. თორანოღლი ეიუბ - აჭარა (უნიე) 160.
46. ყარაოსმანოღლი ხუსეინ - მახუნცეთი (უნიე) 160.
47. ასლანოღლი მევლუდ - მარადიდი -
48. ხუსეინოღლი ხასან - გონიო -
49. მუთიოღლი მუსტაფა - მაჭახელი (უნია) 160.
50. თოფალოღლი სულეიმან - მარადიდი (ორდი) 120.
51. ხოჯოღლი ახმედ - მარადიდი (რიზე) –
52. ბათალოღლი ახმედ - სარფი (რიზე) 160.
53. მემიოღლი ხაჯი - ერგე (ათინი) –
54. ომეროღლი მევლუდ - მაჭახელი 160.
55. ხუსეინოღლი ოსმან - გონიო -
56. მოლაალიოღლი ალიოსმან - დოლოგანი (ჩერშემბე) 160.
57. ჩერქეზოღლი ხასან - მარადიდი (ჩერშემბე) 160.
58. ქოროღლი გენჯ არა - კიბე 160.
59. კაზანჯოღლი მამუდ - კახაბერი 120.
60. დურსუნარაოღლი მემიაღა - ჯჭო 9ჩერშემბე) 160.
61. პაპუნოღლი არიფ - ქობულეთი -
62. ბეჟანიძე ასლანბეგ - ბათუმი (ტრაპიზონი) 320.
63. ჯაფარიძე ხუშუტ ეფენდი - გონიო (ტრაპიზონი) 80.
64. დეელიკალიოღლი ტოფან - მაჭახელი (ჩერშემბე) 160.
65. შიშმანოღლი სულეიმან - მაწახელი (ჩერშემბე) 160.
66. ოსმანოღლი აბდულ - დოლოგანი (ჩერშემბე) 160.
67. შაინზადე ალი ბეი - მარადიდი (ტრაპიზონი) –
68. გვარელოღლი იუსუფ - ბათუმი (ტრაპიზონი) 200.
69. ალიოსმან მოლა ალიოღლი - ბათუმი (უნია) 160.
70. ახმედ ეფენდოღლი ალოი -მაჭახელი (ჩერშემბე) 160.
71. ოსმან აზაბაღაზადე - მაჭახელი (ტრაპიზონი) 120.
72. შერიფოღლი იდრის - ბათუმი (ორდუ) 280.
73. დელიბათოღლი მამუდ - ერგე (ჩერშემბე) 160.
74. პეტრიძე შუქრი - თხილნარი (ჩერშემბე) 40.
75. ცეცხლაძე ასლან - ქობულეთი (ტრაპიზონი) 80.
76. საფაროღლი იზეთ - მარადიდი (ორდი) 160.
77. ყარსელოღლი სეიდი - ახალშენი (ფაცა) 160.
78. ხასანოღლი დაუდ - ჭვანა (ორდი) 80.

79. დუმბაძე იუნუს - ხულო (ტრაპიზონი) –
80. ვარშანიძე სულეიმან - ბათუმი (ტრაპიზონი) –
81. გვარელოღლი ისაბეგ - მაჭახელი (ტრაპიზონი) –
82. გვარელოღლი მურთაზებეგ - მაწახელი (ტრაპიზონი) –
83. თავდგირიძე თევფიკბეგ - მახუნცეთი (ტრაპიზონი) –
84. თავდგირიძე ახნედ ბეგ - მახუნცეთი (ტრაპიზონი)-
85. გიორგაძე ალი რეზა ეფენდი - აჭარა (ტრაპიზონი) –
86. მერჯანოღლი იუსუფ - ბათუმი (ტრაპიზონი) 440.
87. ხაჯიოღლი შაბან - გონიო (ტრაპიზონი) 280
88. აბაზოღლი მუჰერემ - ბათუმი (ტრაპიზონი) 80
89. ჭიჭაინაძე რემზი ეფენდი - ბათუმი (ტრაპიზონი) 80.
90. კომახიძე სულეიმან - ბათუმი (ტრაპიზონი) 432.
91. ჭიჭინაძე მახმუდ ეფენდი - ბათუმი (ტრაპიზონი) 324.
92. წულუკიძე იუნუს - ქობულეთი (ტრაპიზონი) 540.
93. ირემაძე სულეიმან - ქობულეთი -540.
94. კონცელიძე ალი რიზა - ქობულეთი 324.
95. შუშუაძე შევქეთ - ქობულეთი -
96. ჯანდაროღლი ისაკ - მარადიდი (ტრაპიზონი) 160.
97. დემურჯოღლი ხუსეინ - სიმონეთი 160.

ჯარისკაცების ოჯახების გასავალის წიგნი, 1915 წ.

1. ბედინაძე მურთეზას ქვრივი - უჩხითი -
2. ბოლქვაძე ხუსეინ - ერგე -140.
3. ვარშანიძე სულეიმან - ბათუმი - 40.
4. ბოლქვაძე სულეიმან - ერგე - 100.
5. მერჯანოღლი იუსუფ - ბათუმი - 220.
6. ბოლქვაძე ხარუნ -მერგე - 160.
7. ჩევიქოღლი ხასან - ბათუმი -
8. სერდალოღლი მემდ - მარადიდი - 100.
9. ჯინალოღლი ზაბით - კირნათი - 120.
10. ხაჯიოღლი შაბან - გონიო - 140.
11. შერიფოღლი შაქირ - აჭარის აღმართი - 40.
12. ცეცხლაძე თემელ - ერგე - 60.
13. ჭუჭულოღლი ალი - მარადიდი - 20.
14. ეხთიაროღლი ისმაილ - ერგე - 100.
15. ვერძაძე ოსმან - ზუნდაგა - 60.
16. გურჯიოღლი ომერ - მახუნცეთი - 60.
17. მემიშრეიძოღლი იბრახიმ - მარადიდი - 160.

18. აზედაღაზადე რიფეთ ბეგ - მაჭახლის პირი - 100.
19. დელიმემედოღლი შევკი - შუახევი - 140.
20. ჩხალალოღლი ხელილ - შუახევი - 160.
21. ქირლოღლი რიზა - შუახევი - 200.
22. თვდგირიძე ხაჯი - ქობულეთი - 80.
23. მემიშეფენდიოღლი ოსმან - ჯოჭო - 40.
24. გორგოშაძე ოსმან - მარადიდი - 160.
25. გორგოშაძე ალი - მარადიდი - 80.
26. ვარშანიძე ხუსეინ - ზუნდაგა - 220.
27. ვერძაძე მემედ - ბათუმი - 270.
28. კავეჯოღლი ოსმან - უჩხითი - 60.
29. ომეროღლი ხუსეინ - ერგე - 80.
30. აბდულოღლი მემედ - სარფი - 80.
31. ხათალოღლი ახმედ - სარფი - 80.
32. ხათალოღლი რეფიკ - გონიო - 80.
33. ალიოღლი კვაძბა მურად - ბათუმი - 160.
34. თოფალოღლი სულეიმან - მარადიდი - 60.
35. ანაროღლი მემედ - კიბე - 80.
36. ჩერქეზოღლი ხუსეინ - მახო - 80.
37. ანაროღლი ხასან - კიბე - 80.
38. კარაუჩღლი ქაზიმ - უჩხითი - 80.
39. თათაროღლი ხასან - მარადიდი - 80.
40. ალი ჩაუშოღლი ხუსეინ - მარადიდი - 80.
41. ცეცხლაძე კაფტან - თხილნარი - 160.
42. ჯინალი აღა ზადე ხასან - მარადიდი - 80.
43. აზედარაზადე ოსმან ბეი - მაჭახლის პირი -
44. მემედალიოღლი ახმედ - ბათუმი - 40.
45. ჩოხადაროღლი იუსუფ - ერგე - 200.
46. ელიოღლი ხასან - ბათუმი - 160.

სია მუსულმან ქართველ ჯარისკაცთა ოჯახებისა ტ რ ა პ ე ზ ო ნ შ ი 1915 წ. 14 წიფობისთვე

საზოგადოება, სოფელი

1. ყარა უსუფ მენჯოღლი - ბათუმი.
2. ხუსეინ ლეზგი ოღლი - ბათუმი, ურეხი.
3. ხუსეინ ბოლქვაძე - მარადიდი, ერგე.
4. შაბან აღა ხაჯიოღლი - გონია, გონია.
5. ოსმან ფუტკარაძე - აჭარა, დღვანი.

6. ხუსეინ ალი ჩაუშოღლი - მარადიდი, ხება.
7. დაუთ ბეი ალი ჩაუშოღლი - მარადიდი, ხება.
8. მეჰმედ სერდალ ოღლი - მარადიდი.
9. ოსმან ქექეჯოღლი - მარადიდი, ხინწიაკა.
10. ჯელალ შაჰინოღლი - მარადიდი, ხინწკანა.
11. ალი გორგოშაძე - მარადიდი, ხინწკანა.
12. მემედ აფაქიძე - მარადიდი, ჯოჭო.
13. ხუსეინ აღა მუსტაფა ხასან ბაირახთაროღლი - მარადიდი, ოღლაური.
14. მემედ ვერზაძე - ქობულეთი, ურეხი.
15. თემურ ცეცხლაძე - მარადიდი, ერგე.
16. ხუსეინ ომეროღლი - მარადიდი, ერგე.
17. შევქეთ ეფენდი შუშანიძე - მაჭახელი, კირნათი.
18. ისმაილ ფეიზოღლი - აჭარა, მერისი.
19. შაქირ შერიფოღლი - მაჭახელი, აჭარის აღმართი.
20. ალი ჩუჭულოღლი - მარადიდი, კახაბერი.
21. იუსუფ ჩუჭულოღლი - მარადიდი, კახაბერი.
22. მემედ ალი ფარტენაძე - მაჭახელი, აჭარის აღმართი.
23. ხურშუთ ფარტენაძე - მაჭახელი, აჭარის აღმართი.
24. მახმუდ ლეზგიოღლი - მარადიდი, უჩხითი.
25. ხუსეინ ვარშანიძე - ქობულეთი, ურეხი.
26. ხასან იბიოღლი - მარადიდი, ხება.
27. ისმაილ ყარაღიშვილი - მარადიდი, ხება.
28. ზაბით ჯინალოღლი - მაჭახელი, კირნათი.
29. სულეიმან ვარშანიძე - ქობულეთი, ურეხი.
30. რემზი ეფენდი ჭიჭინაძე - ბათუმი, ბათუმი.
31. მუჰერემ აფხაზოვა - ბათუმი, კაპრეშუმი.
32. სულეიმან ბოლქვაძე - მარადიდი, ერგე.
33. ჰარუნ ბოლქვაძე - მარადიდი, ერგე.
34. ახმედ ეფენდი ჩალულოღლი - აჭარა, მაჭახელი.
35. იუნუს დუმბაძე - ხულო, ჩანჩხალო.
36. ხუსეინ გოგიტიძე - ქობულეთი, ალამბარი.
37. ისმაილ იხთიაროღლი - მარადიდი, ერგე.
38. მურთაზა ქოსეფენდოღლი - მაჭახელი, კირნათი.
39. კედემაღა ემინ აღაზადე - აჭარა, კიბე.
40. მამუდ თედორაძე - აჭარა, ორცვა.
41. იბრაჰიმ კოხოღლი - მარადიდი, მაქრიალი.
42. ალიბეი მემოოღლი - მარადიდი, ბეღლევანი.
43. მევლუდ ასლანოღლი - მარადიდი, ძაბლავეთი.
44. ოსმან კაჰვეჯოღლი - მაწახელი, უჩხითი.
45. ემინ თოსოღლი - მარადიდი, არპიავეთი.
46. ახმედ ბეგ თავდგირიძე - ქვედა აჭარა, მახუნცეთი.

47. თევფიყბეი თავდგირიძე - ქვედა აჭარა, მახუნცეთი.
48. ენუს ეფენდი წულუკიძე - ქობულეთი, ალამბარი.
49. სულეიმან ეფენდი ვარშანიძე - ბათუმი, ბათუმი.
50. ისკენდერ ჩაუში - მარადიდი, მარადიდი.
51. ხასან გოგიტიძე - ქობულეთი.
52. სულეიმან ეფენდი ირემაძე - ქობულეთი.
53. აბდულ კვირიტიძე - მაჭახელი, სინდიეთი.
54. რიზმან დუმბაძე - ხულო, ჩანჩხალო.
55. ხუსეინ გურგენიძე - ბათუმი, ყოროლისთავი.
56. სულეიმან ეფენდი კომახიძე - ბათუმი, ბათუმი.
57. მუსტაფა შაჰინ აღაზადე - ბათუმი.
58. ასლან ცეცხლაძე - ქობულეთი, ჭახათი.
59. მევლუდ სულეიმანიძე - მარადიდი, ხინწკანა.
60. ახმედ ეფენდი ქოსეფენდი ზადე - მაჭახელი, კირნათი.
61. ფაიკ დაუდოღლი - მარადიდი, მახო.
62. ახმედ მემედ ალიოღლი - კახაბერი, ხელვაცაური.
63. ემინ კაკალოღლი - ქობულეთი, ლეღვა.
64. ფეზლი ბეი აზაბ აღაზადე - მაჭახელი, მაჭახლისპირი.
65. არიფ პაპუნოღლი - ქობულეთი, ხუცუბანი.
66. სულეიმან მაჰიროღლი - აჭარა, ქედა.
67. ასლან ბეგ ბეჟანიძე - ბათუმი.
68. აქიფოღლი - ქედა, აჭარა.
69. ხუშუტაღა ჯაფარიძე - გონიო, აჭარა.
70. იუსუფ გვარელოღლი - ქობულეთი, ჩაქვი.
71. შერიფ ბურჯენაძე - ბათუმი.
72. მუსტაფა ბეი აბაშიძე - ბათუმი.
73. ფერად გორგილაძე - ქობულეთი, ჩაქვი.
74. გოგიტიძე ხუსეინ - ქობულეთი.

ქართველ მაჰმადიანთა დივიზიონის წევრები, 1920 წ. ახალციხე

(სამხედრო სამინისტროს მიერ გაცემული ერთ-ერთი სიის მიხედვით)

ქ. ახალციხე. N1784 – (საქმისა)

ვახმისტრი - პლატონ ჩიქოვანი

უფროსი ოფიცერი ვლადიმერ ივანაძე

1. არჩილ ლომსაძე	34. ნიკოლაი ნოზაძე
2. ხეცურიანი ალექსანდრე	35. ნაფარ საფაროღლი
3. დვალიშვილი მიტროფანი	36. ამბროსი აბდუშელიშვილი
4. ბეტაშვილი მოშე	37. ამბროსი ქათამაძე
5. ოქრუაძე ლაზარე	38. პლატონ ჭანტურიძე
6. ბილალოღლი ზია	39. კალისტრატე შავგულძე
7. ჯინჭველაძე პეტრე	40. ფილიმონ ხოდჟანაშვილი
8. ხურშუდოღლი ჩახალ	41. ვლადიმერ ჩიჩუა
9. ჰამდი ზაბითოღლი	42. ლეონტი მესხი
10. ჩაჩიბაია ილია	43. აბო გოგიჩაძე
11. მაილ ალიოღლი	44. ივანე თაბუკაშვილი
12. ალექსანდრე ზაზაძე	45. მიხეილ მახათაძე
13. არტემ მაისურაძე	46. ალექსანდრე დათიაშვილი
14. აბდულ ბერიძე	47. აკაკი გორგილაძე
15. იასონ გვარამაძე	48. კარლო ლომიძე
16. ეიდარ ალიოღლი	49. ვასილ ქამუშაძე
17. აბას მამედოღლი	50. შალვა ფირცხელაშვილი
18. ალი ბაჩნაძე	51. ვარლამ კაჭაყმაძე
19. გასან ამედოღლი	52. ტელემაქ ორმოცაძე
20. ირაკლი ჯულუხაძე	53. ივანე გვორგაძე
21. ამდი ქარიმოღლი	54. პავლე სადრაძე
22. გასან ხურშუდოლი	55. კონსტანტინე ჩიხლაძე
23. ლეონიდ აფხაზავა	56. ვასილ ანდღულაძე
24. არტემ მაკარაძე	57. იასონ მამაცაშვილი
25. ალექსანდრ მაწავარიანი	58. ნესტორ კალანდარიშვილი
26. ნიკოლაი ბირკაძე	59. ნესტორ თავდიშვილი
27. შალვა მაჭარაშვილი	60. ისიდორე პირცელაშვილი
28. ირაკლი გავაშელაშვილი	61. დავით გოგოლიშვილი
29. დავით საღირაშვილი	62. ვლადიმერ ადგულაძე
30. ისიდორე გოგრაჭაძე	63. ნოე ჭანტურია
31. ეფრემ კვარაცხელია	64. იასონ შველიძე
32. ივანე ბურდული	65. ფაშალი დურსუნოღლი
33. მიხეილ ანდრეევი	66. მურსალ ასათოღლი

67. დურსუნ ტაკიძე
68. ჰაშიმ აბიბოღლი
69. ზაბით ბეზგინორლი
70. ნიკოლაი ლორთქიფანიძე
71. ხალილ გუსეინოღლი
72. სერგეი ტაბატაძე
73. პეტრე წერეთელი
74. შალვა აბაშიძე
75. მიხეილ ციმაკურიძე
76. გიორგი მეტრეველი
77. ბაგრატ კობახიძე
78. ალი ნათიძე
79. მანსედ ასნანოღლი
80. ამრი ალითოღლი
81. ილიაზ მილიაზიმოღლი
82. მუზაფერ ასათოღლი
83. ლევან ქაზარენთიაც
84. დემურალ ჩახალოღლი
85. აბდულ საფალოღლი
86. ალექსანდრე ტოროშაძე
87. ნიკიფორე გოგეშვილი
88. დავით კობერიძე
89. ნესტორ ზარიძე
90. ილია ზამბახიძე
91. გრიგოლ ბიწაძე
92. სამსონ შიოკაშვილი
93. ევგენი ნათენაძე
94. მიხეილ ტატიშვილი
95. ივანე სარალიძე
96. პოლიკარბე მაისურაძე
97. ივანე ბარამიძე
98. ლევან სარიევ
99. ალექსანდრე ლონდარიძე
100. ვალერიან მიქელაძე
101. დჟუმალი ოსმანოღლი
102. პავლე ივანიძე
103. ივან ზაზაძე
104. მუსტაფა მუსტაფაოღლი
105. კონსტანტინე ღლონტი
106. ანტონ ფიჩხაძე
107. დიომიდე ხავთასი
108. სამუელ გოგდაძე
109. ევგენი ებრალიძე
110. თომა ქურიძე
111. შალვა ბარამიძე
112. (შალვა)გიორგი კალანადარაშვილი
113. მურშიდ-ბეგ აბაშიძე
114. ზაქარია-ბეგ აბაშიძე
115. ასლან მაჰმუდოღლი
116. ასლან ოსმანოღლი
117. ნაზიმ ეფენდი ათაბეგ
118. ვლადიმერ დევნოსაძე
119. ჰუსეინ ხასანოღლი
120. დურსუნ მამედოღლი
121. მიკირტიჩ ზარონიანი
122. ალექსანდრ დეისაძე
123. ბატალონ დიასამიძე
124. კონსტანტინე იმედაშვილი
125. მაფიზ მურადოღლი
90	118	მუსტაფა გენჯალი ოღ.	მ ,,			139	ხელილ შერიფოღლი		
91	119	ყეიდიდი მემედ აღა ოღ.	მ ,,			141	დურსუნ ყარალ ოღლი		
94	120	ეიუბ მოლა ომერ ოღ.	მ ,,			142	იბრაჰიმ რეიზ მემიშოღლი		
95	121	ხუსეინ საფარ ოღლი	მ ,,		N 12. ჯგ 77	143	~~ოსმან რეჯებ ოღლი~~ N1. ბარ 40	განთავისუფლებულია ავათ მყოფი ორი კაცი	
93	122	აბდულ საფაროღლი	მ ,,		78	144	იუსუფ შარაბიძე		
92	123	ზიხნი თოფალ ოღლი	მ ,,		N 13. ჯგ	145	ოსმან ბექიროღლი	დროებით განთავისუფლებულია	ეს კაცები არიან მენავეები ზეყა
99	124	~~ხასან ალიოღლი~~	მ ,,	განთავისუფლებულია		146	ოსმან მემიოღლი		
86	125	ოსმან ეფენდი ტრამაჯიოღ	მ ,,			147	იაჰია შერიფოღლი		
	126	ნევზეთ ლომან ბეგ ოღლი	19	შავშეთი		148	ქაზიმ სულო ოღლი		
						149	რუშდი სარი ახმედ ოღ.		

					1915 წ. 23 წიფობისთვეს სია რიზედან ჩამოსულ მენავეთა			
დროვებით იმყოფებით თავისუფლად გამზიდი	150	ჰარუნ აბდულოღლი		ეს კაცები არიან მენავეები		173	მემედ ლუკუმჯოღლი	რეიზი
	151	რუშენ ქუჩუქ ახმედ ოღ.				174	ოსმან ემირალოღლი	
	152	ახმედ ბაირამ ოღ.				175	ომერ კოზოღლი	
	153	მუხამედ ლეკურ ოღლი				176	ჰელიმ კოზოღლი	
	154	რეშიტ ბაირამოღლი				177	ახმედ კოზოღლი	
	155	ხასან ირი ახმედ ოღლი				178	ახმედ ბათალოღლი	ცხენოსნობა
N 14. ჯგ.	156	მოლა იუსუფ სელი ბაირახტარ ოღლი		კანუნი		179	რეჯებ მემიშ ოღლი	
	157	სულეიმან ალი ბაშოღ.	+			180	მუსტაფა ლუკუმჯოღლი	
	158	სულეიმან ხორონუნოღ.	+			181	იბრაჰიმ კარა ხუსეინ ოღლი	
	159	იბრაჰიმ ხორანუნოღ.	+			182	ხუსეინ არხაველოღლი	რჩება
	160	~~მუხამედ ყოჯამან ოღ.~~		განთავისუფლებულია		183	ალი ფორიაზ ოღლი	რჩება
	161	ემინ ახმედ ყოჯამან ოღ.	+			184	ასლან მოლალოღლი	
	162	მახმუდ ახმედ ეფენდ. ოღ.	+	ავათ მყოფი		185	რეშიდ აბანოზოღლი	რეიზი
	163	სანჯაღ სოფიოღლი	+			186	ხასან კისელოღლი	რეიზია. რჩება
	164	ტალიბ ბაირახტაროღ.	+			187	ომერ კარახასან ოღლი	
N 15. ჯგ.	165	ომერ მარაგოღლი	+	დროობით უნიეში წასულია		188	ახმედ აბაზანუნ ოღლი	
	166	სულეიმან ახმედ ეფენდოღლი	+			189	მურად ალიოღლი კვაძბა	ცხენოსნობა
	167	ეუბ თურან ოღლი	+			190	ჰაკი აბაზანუნ ოღლი	
	168	ხასან ბოსტანჯოღლი	+			191	კადირ აბანოზ ოღ.	რჩება
	169	ოსმან შერიფოღლი			N17ჯგ.	192	სულეიმან ბეგ იზეთ ბეგ ზადე	ფაცაიდან მოსული
	170	ხუსეინ ეფ. კაროსმან ოღ.		ექიმობაში შეუძლია		193	~~ხასან იუსუფოღლი~~	განთავისუფლებული
	171	მეხმედ ალი სალიოღლი	35	ეს ორი კაცი რიზედან გამოსული {5 სული 5სული	22წიფო	194	~~სულეიმან შერიფოღლი~~	ავათა ექიმის ბრძანებით განთავისუფლებული

	172	ახმედ სალიოღლი				195	~~მუსტაფა შერიფოღლი~~	დაბრაკული
						196	ხუსეინ მემედ ალი ოღლი	
						197	~~მურად ჯასუმ ოღლი~~	განთავისუფლებული
						198	ოსმან ქუჩუქ აღა ოღლი	

რიზეიდან და ათინიდან მოსულნები					რიზეიდან მოსულნები			
	199	საიდ კარასლიოღლი				225	მემედ აბდულოღლი	ხარაზი მარათხოულობს ცხენოსნობას
136	200	ისმაილ შეიხოღლი				226	მუხამედ ცაქიროღლი	
N 18. ჯგ.	201	აბდულ მაზლუმოღლი		განთავისუფლებული		227	იბრაჰიმ ჩაქიროღლი	
	202	დურსუნ ჩაუშოღლი				228	ხასან ცაქიროღლი	
	203	ხასან კარალიოღლი				229	შუქრი ჩაქიროღლი	
	204	იუსუფ მუსტაფოღლი				230	ჰარუნ ჩაქიროღლი	
	205	მემედ ქესელოღლი				231	რეშიდ აბდულოღლი	
	206	ადემ ხაჯიოღლი				232	ახმედ ლუკუმჯიოღლი	ცხენოსნობას თხოვულობს
	207	ხუსეინ ხალილ ოღლი				233	ოსმან ქოსოღლი	
	208	ჰარუნ ბალჯიოღლი				234	ალი ბათალოღლი	
	209	ეუბ მახმუდ ოღლი				235	იაკუბ კაბა მემედოღლი	
	210	სულეიმან კედირ ჩაუშოღ.				236	მუსტაფა მემიშოღლი	
	211	ზიფერ ახმედ ოღლი				237	თევფიყ ქოსოღლი	
	212	ხაჯი ახმედ მემედ ოღლი				238	ჰემდი ახმედ ცაუშ ოღ.	
	213	ილიას მევლუდოღლი				239	ხასან ხაჯი სქენდერ ოღ.	
	214	რუშდი მუსტაფოღლი				240	მემედ მოლ ოღლი	
	215	ილიას ხალილ ოღლი				241	ომერ ახმედ ჩაუშ ოღლი	
	216	შუქრი ხუსეინ ოღლი				242	ალი ახმედ ცაუშ ოღლი	
	217	~~ახმედ ხაჯიოღლი~~		განთავისუფლებულია		243	ოსმან კარა ხასან ოღლი	
	218	ხუსეინ მემედ ჩაუშ ოღ.				244	~~ისმაილ უსტაოსმანოღლი~~	განთავისუფლებულია

	219	ყეიდი ქემალოღლი				245	მემედ კაბა ოსმან ოღლი	ნასწავლი გემნაზიის თათრული მე „4“ ივლისი
	220	~~მემედ ჯინომერ ოღლი~~		ეს კაცი სამხედრო ბრძანებით გათავისუფლებ.	N12ჯგ.	246	იუსუფ ჩოხატარ ოღლი	ერგე
	221	~~მუსტაფა რუხლიოღლი~~				247	.....	ერგე
	222	ალი გულახმედ ოღლი				248	ახმედ კონახჩი ოღლი	მურღ. ფოროსეთი
	223	მუსტაფა აბდულ რახმან ოღ.				249	თევფიყ მევლუდ ოღლი	მურღ. ფოროსეთი
	224	ოსმან აიგიროღლი				250	ქაზიმ თოფჩიოღლი	მურღულში გაზდილა

		ათინიდან გამოსულნი			რ. ჯარში	რ. სახლში	ხელობა
N 20 ჯგ.	251	ოსმან კარახასანოვი	მენავეები დროებით განთავისუფლებულ	მაქრიალი			
	252	მუსტაფა სარი მუსტაფ ო		მაქრიალი			
	253	მემედ ხაჯი ოსმან ოღ.		მაქრ.			
	254	ოსმან უზუნ აბდიოღლი		ერგე			
	255	ჰელიმ ხაჯი ოსმან ოღლი		სიმუნეთი			
		ფაცაიდან მოსული ჯარისკაცები					
		მამუდ ხალილ ეფენდი					
N 21.ჯგ.[18]	256	მოლა მურად ხაბაზ ოღ.					
	257	დაუდ ხაბაზოღლი					
	258	მემედ ოქრი ოღლი					
187	259	სულეიმან ქიბაროღ.					
	260	შირნალ ხაბაზ ოღლი					
	261	ოსმან ბალ ხასან ოღ.					
			ფაცაიდან ამხანაკებს დაცილებია ჯერ არ მისულა ასტე გავიგეთ რო გაპარულა				

	175	262	ხასან შეიხოღლი						
	185	263	~~ომერ ხასანოღლი~~	განთავისუფლენბულია					
		264	მემედ ომბაშოღლი	მენავე					
		265	ახმედ ვეზიროღლი	განთავისუფლებულია					
		266	მოლ ოღლი ახმედ	დაბრაკული			განთავისუფლებულია		
		267	~~ხასან ყეიდ ბაირახთაროღ.~~	ათინიდან მოსული			ართვინი		
	182	268	~~დაუდ ოუნუს ბაირახთაროღ.~~	ცალი თვალი ბრმა	დ. IV	1	~~ჯერ არ წასულა~~	ართვინი	3
N 22.ჯგ		269	ჰაზიყ სეფერ ოღლი	25 ცალი თვალი ბრმა	დ. 2	1	ართვინი	3	ცხენებზე
		270	მუსტაფ მუხამედ ოღლი	35	დ. 3	1	ართვინი		4 ცხენებზე
		271	ესედ მუხამედ ოღლი						
		272	სადიყ სეფერ ოღლი						
		273							

ათინიდან მოსული ჯარისკაცები							
„28“ წიფობის _____ 1915 წ _____ თვე		274	ომერ მოლა ომეროღლი		ათინიდან მოსული		
		275	ილიას კალანდაძე		ათინიდან მოსული		
		276	ხასან ელიბეშოღლი		ათინიდან მოსული		
		277	ყედირ ბაირამოღლი		ათინიდან მოსული		
		278	ახმედ იმამ ოღლი	30 წლ.	მურღული ფოროსეთი		
		279	ილიას წამლი ოღლი	20 წლ.	მურღული ფოროსეთი		
	23 ჯგ. +	280	~~ისმაილ არიფ ეზიზ ოღლი~~		სამსუნიდან მოსულნი განთავისუფლებულია		
		281	~~ენის ახმედ ბაირახთაროღ.~~		განთავისუფლებულია		
		282	ოსმან სალიხოღლი				
	+	283	ქოქიბოღლი ხაიდარ			4	
	+	284	ისაყ ქესქინოღლი			2	
	+	285	იზეთ მემედ ოღლი		ფლატანაში	3	
		286	ისმაილ ხაჯი ოღლი				
	+	287	~~ალი ხელილოღლი~~		ბორჩხა 2 ქრიშობის თვეს განთავისუფლებულია N2 ბარათ	4	
		288	~~ისმაილ ჩაუშოღლი~~		განთავისუფლებულია		
		289	~~შაქირ რეშიდოღლი~~		განთავისუფლებულია		
	+	290	იუსუფ ქოს ოღლი			2	
	+	291	იუსუფ უზუნ მემედ ოღლი			4	
	+	292	ახმედ ჩოლხოღლი			2	
		293	ისმაილ ხუსეინ ოღლი			4	
		294	ნავდაროღლი ალი				
	+	295	დურსუნ მეგრელოღლი			4	
		296	კოსტა გოგიტიძე				
	+	297	შუქრი ჩაუშოღლი			2	
		298	მემედ ეზეზ ოღლი		ავათ მყოფი	4	
		299	ახმედ მემედოღლი		კახაბერიდან განთავისუფლებული ჰყავს		

„30“ წიფობ	300	იუსუფ ტაღ ხუსეინოღ.		განთავისუფლებულია		
	301	~~საიდ ბაირახთაროღ.~~		განთავისუფლებულია		
	+302	იბრაჰიმ კოტრიოღლი				
	+303	~~აბდულ თოფჩიოღლი~~			1	
	+304	ალი მამუდ ოღ.		განთავისუფლებულია	4	
	305	~~ხასან ხუსეინ ოღლი~~		~~მაჭახელი~~ ექიმის ბრძანებით სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულია	4	
	306	ადემ ბექირ ოღ.				
	307	ოსმან ლომან ოღლი				
	308	შერიფ ოღლი რიზა	21	რიზედან გაპარული		
	+309	ოსმან მემედ ოღლი		ჩერშენბეიდან მოსულნი I მოსულში მეჯინიბეთ		
	+310	ალი ტოღანჯოღლი		ჩერშენბეიდან მოსული		
	+311	მუხამედ უზუნალ ოღ.				
	312	~~იბრაჰიმ ქემალ ოღლი~~				
	+313	ხუსეინ მემი ოღ.		~~განთავისუფლებულია~~		
	314	ხასან ბაირადაროღლი				
	315	ზექერია ეიბ ოღლი				
	316	ხასან ელიოღლი	4			
	317	ხასან ჯინალი აღაზადე		დანიშნულათ არის სანიტარათ		
	318	ხუსეინ მურადოღლი		ბ. ლეოსთან		
	319	ხასან კინჰუროღლი				
	~~320~~	მემედ ქათიფოღლი		N 3 ბარათ. 2 ქრიშობისთვეს განთავისუფლებულია		
	321	~~ჯელალ უზუნოღლი~~				
	322	ოსმან თან თოოღლი	25	ექიმის ბრძანებით სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულია		
	323	ალი ბალჯიოღლი		მარადიდი სარფი		
	324	ხასან კოხაძე	27	ათინიდან მოსულნი		
	325	~~სულეიმან ხუსეინოღლი~~	25	„4“ გიორგიბისთვეს აფიცერი ს. ლაბაძეს და აფიცერს ვ. წერეთლის დადგინებით		სამსახურიდან გათავისუფლებული

			წლ.		რ. ჯარში		ოჯახობა		
	326	~~ახმედ მისიელოღლი~~	3	ზედ. მხედველი			განთავისუფლებულია		
	327	ალი რიზა ეფენდი გიორგაძე	37	დანიშნულია სანიტარათ		1	აჭარა ხულო		
არტაშენი	328	ჰელიმ უსტა ყად ოღლი	40	მურღული	ბაგა	1	არტაშენი	1	თაფლის ოსტატი
,,	329	მემედ ჰელიმოღლი	18	მურღული	ბაგა	1			თაფლის ოსტატი
,,	330	ოსმან ხოჯ ოღლი	19	მურღული	ბაგა		.....	4	3 .....
„9“ გიორგობის. ..... ჩამოსულნი ჯარისკაცნი									
				მურღული					
	331	~~მემედ დურსუნ ოღლი~~		მ. ბორჩხა	ავანა	1	განთავისუფლებულია		
+	332	მემედ ოს ოღლი		~~აჭარა~~	~~ბაგანი~~	1			
+	333	ახმედ ხაფიზ ეფენდოღ.		მარადიდი	ბზუბზუ	1		4	
+	334	ხაჯი მემიოღლი	0	აჭარა	ერგე	1		7	
	335	მუსტაფა ბოჯუნ ოღლი	38		მერის	1		7	
7 გიორ.									
„2“ გიორგობის თვეს ჩერშემბეიდან ჩამსული ჯარის კაცნი									
							ჩერშემბეში	4	
8 გიორ.	336	ხასან ჩერქეზოღლი	18	მარადიდი	ძაბლავეთი	1			
							ექიმის ბრძანებით სამხედრო		
	337	ხუსეინ ჩერქეზოღლი	25	მარ.	ძაბ.	1	სამსახურიდან	4	
							განთავისუფლებული		
	338	……		მარ.	მახო			4	
	339	დურსუნ დურსუნ აღა ოღ.	30	მახო	მახო	1		4	
„5“ გიორგ. თვეს. ქ. ათინიდან მოსული ჯარისკაცი									
5 გიორ.	340	იუსუფ მურად ოღლი	20	მურღული	ავანა			6	

ჩერშემბეიდან მოსულნი											
	341	ჰარუნ უზუნალიოღ.				ოღლაური		1	ჩერშემბე	5	
	342	მევლუდ ომეროღლი				ჩუქუნეთი		1	,,	,,	
	343	რამაზ ჯეგალ ოღლი				თხირნალი		1	,,	5	
	344	მამუდდელიბალითოღ				ერგე		1	,,	5	
	345	იბრაჰიმ ომეროღლი				კირნათი		1	,,	4	
	346	ოსმან ინჯი ოღლი				ქედქედი		1	,,	6	
	~~347~~	~~ალი ქოსი ოღლი~~		განთავისუფლებული		მურღული		1	,,	4	
	~~37~~	~~ისახ ზაბით ოღლი~~		ტრაბეზონ.სიაშია.		ართვ.					
	348	ასლან ოღლი ისმაილ	20	არდანუჩი		ბიჯა.	! „341“ ტრაპეზონის სიაშიჩაწერილია				
ტრაპზონის	349	ალი საიდ ოღლი	25	_		ბორჩხა	დ. 4	1	ტრაპიზონში ჩაწერ	4	ტრ. იმყოფება
	350	რიზა მემედოღლი	25	არდაჰანი		სიხაგილ		1	ტრაპეზონი	3	! „344“ ტრაპეზონის
	351	ხაკი ხუსეინ ოღლი	25			ხელვაჩაური		1	ცოლ შვილი ბაიბუთში	3	სიაში ჩაწერილი
	352	შუქრი პეტრიძე	22			თხირნალი		1	ჩერშმბე	3	
	353	ხუსეინ დემირჯოღლი	35			სიმუნეთი		1	,,	1	
	354	ალი ოსმან მოლოღლი	35		37	დოლოგანი		1	,,	4	
	355	ოსმან შაჰველდოღ.			წ	ერეგუნა		1	,,	4	
	356	ყაია ბეგ სარი ახმედოღ.	29	მურღული		ორჯი		1	,,	4	
	357	ოსმან ხუსეინოღლი	35	გონია		ქურთი		1	ათინა	4	
II გიორგ.	358	~~ხასან მოლა ალი~~	42	დოლოგანი		აჭარა N2.ბარ		1	ათინა	3	
	359	ხუსეინ სალიენჯიოღ.	53	აჭარა		ახო	2.ქრიშ.	1	ექიმის ბ.განთავისუფლებულა	4	ჩერშემბედენ
	360	იბრაჰიმ უსტა ალიოღ.	37	მარადიდი		მარადიდი		1	,,	,,	მოსულნები
	361	აბდულ ოსმან ოღლი	19	აჭარა		დოლოგანი		1	,,	4	
?	362	ოსმან რეჯებოღლი	18	მურღული		ომანა		1	,,	4	
	363	ხუსეინ თემელ ოღლი	18	ართვინ		სიქოთ.	დ. 5	1	ოსმან რეჯებ ალი არა	4	
	364	მამუდ ჯიხოღლი	30	მაჭახელი		კირნათი		1	ხუსეინ	4	რეჯებოღლია ჯარში
	365	ახმედ კარახასან ოღლი	35	მაჭახ.		კირნათი		1	ტრაპეზონ. ჩაწერილი	4	ტრ. იმყოფება

ჩერშემბეიდან მოსულნი										
	~~366~~	~~მემედ დაუდ ოღლი~~	~~42~~	მაჭახელი	კირნათი		1	ჩერჩემბე	4	განთავისუფლებული
	367	ალი ასლან ჩაუშ რეიზოღ.	25	მარადიდი	ხეზა		1	,,	4	
	368	მუსა ელიბეშ ოღლი	18	აჭარა	ხერთვისი		1	,,	4	
გარდაც.	~~369~~	~~შერიფ დაუდ ოღლი~~	18	აჭარა	ხერთვის		1	გარდაიცვალა	4	
	?	~~შუქრი ახმედ ოღლი~~	45	? ტრაბ.	347 სიაში					
	370	ქამილ ხუსეინ ოღლი	25	არდანუჩ	ჩიქე	დ. 6	1	ცოლ-შვილი ს. ზეფანოსში	65	ტრ.ჩაწერ. და იმყოფებ.
გიორ.12	371	კაჰრიმან ალი ოღლი	18	არდანუჩ	კილარჭეთ	დ. 7	1	შვიდი წლის ძმა ისპირში ჰყოლია	1	
	~~371~~	~~ისმან რეჯებ ოღლი~~	44	მურღული	კაპარჭეთ	N 1 ბარათ	1	2 ქრიშობისთვის განთავ.	4	143 ფიც.სიაში ჩაწერილი
12გიორ.	372	არსლან ლელ ოღლი	30	მაჭახელი	კირნათი		1	ჩერჩემბეში	4	
	373	ხასან კარალ ოღლი	20	მაჭახელი	კირნათი		1	,,	4	
განთავ.	374	კედემ ეუბ ხასან ოღლი	29	მაჭ.	კირნათი		1	განთავისუფლებულია	5	
	375	მემი აღა დურსუნ აღა ოღლი	22	მაჭახელი	კიჭო		1	,,	4	
	376	მახმედ ყაზანჯ ოღლი	40	მარადიდი	დერგე		1	,,	3	
	377	ზია მემედ ალი ოღლი	~~45~~	ართვინი	მამა წმინდა	დ.ტრ.იმყ 8	1	7 ტრაბ. მეიდანზე ბოს. ახლო	4	ბ. სარდ.ბრძ. I ბოსელში
	378	გენჯ აღა კაზ ოღლი	40	ართ.	ორთამეჰელე	დ.ტრ.იმყ 9	1	7 ტრ. მეიდ. ბოსელზე ახლო	1	ცხენებ
14.გიორ	379	ისაყ გენჯ ალი ოღლი	30	აჭარა	კიბე		1	ჩერჩენბე	5	
	380	გენჯ აღა ქოროღლი	27	აჭარა	კიბე		1	,,	4	
	381	ალი ქესუმოღლი	30	ბორჩხა	ქლასკური		1	,,	4	
	382	ხუსეინ მემიშ ეფენდი ოღლი	20	აჭარა	მეღლაკონა		1	,,	4	
	383	ახმედ ფეიზ ოღლი	30	აწარა	მაღლაკონა		1	19 ქრიშ. გათავისუფლებულია	4	
	384	იუსუფ გენჯ ალი ოღლი	20	აჭარა	მაღლაკონა		1	,,	4	
	385	ხუსეინ რეჯებ ოღლი	40	აჭარა	კაპნისთავი		1		4	
	386	ხუსეინ მემედ ალიოღლი								

1915 წ. 22 გიორგ. თვეს უნიიდან მოსულნები									
	387	მემედ კავი ოღლი	35	მაჭახელი	მილისი	1	უნიეში	7	
	388	სალი აღა ქავთაროღლი	21	მარადიდი	ჯოჭ.	1	,,	5	
	389	~~შაქირ ბექირ ოღლი~~	36	მარად.	ჯოჭო	1	2 ქრიშობ. თვეს განთავისუფლებული	4	
	390	იუსუფ დელი მეემდ ოღ.	35	აჭარა	ზუნგადა	1		6	ექიმის ბრძ. ….. სამუშ.
		ჩერშემბეიდან მოსულნები							
	391	ალი ეფენდი აბდიაღაზადე	31	მარადიდი	გონია	1			
	392	სულეიმან შიშმან ოღლი	21	მაჭახელი	აჭარის აღმერთ	1	ჩერშემბეში	5	
	393	თუფან დელი ალი ოღლი	27	,, ,,	,, ,,	1	,,	5	
	394	ალი ახმედ ეფენდ ოღლი	30	მაჭახელი	კირნათი	1	,,	8	
	395	არიფ კალი ოსმან ოღლი	30	მაჭახელი	აჭარის აღმართ	1	,,	5	
	396	~~საიდ კალი ოსმან ოღ.~~	28	,, ,,	,, ,,	1	~~განთავისუფლებული~~	4	
	397	ოსმან დელი ალი ოღ.	28	,, ,,	,, ,,	1		4	
18 ქრიშ.	398	ისაყ ფაშალ ოღლი	18	მაჭახელი	გვარა	1		2	2 დაი .....
		ჰამასიდან							
24. ქრიშ	399	რეჯებ ოღლი მემედ	30	ართვინი		1	ამასიაში	3	I/226
,, ,,	400	ომერ ეფენდოღლი ხალილ	18	,,		1	,,	6	I/227
,, ,,	401	ომერ აღაოღლი შაბან	25	,,		1	,,	6	I/228
,, ,,	402	მემედ ბეგ ოღლი ზია	30	ართვინი		1	,,	4	II/226
,, ,,	403	ხასან ოღლი ადემ	32	,,		1	,,	7	II/227
,, ,,	404	ალინუნ ოღლი ოსმან	18	,,	არაფერი	1	,,	5	II/228
,, ,,	405	მემედ ოღლი ბეჰრი	18	,,		1	,,	5	II/229
,, ,,	406	აბდულ ოღლი მუსტაფა	18	,,		1	,,	4	II/230
,, ,,	407	მამუდ ოღლი ალი	24	,,		1	,,	5	II/231

მერზეფონიდან მოსულნი

									დროობით მიცემული
12 იანვარი	441	მაჩაქ ოღლი ისმაილ	48	ბათუმი	1	მერზიფონში	3	I/259	III/189
,, ,,	442	ახმედ ოღლი ხუსეინ	16	მარადიდი	1	,,	5	II/259	III/199
,, ,,	443	შირინ ოღლი საიდ	35	,,	1	ამასიაში	4	II/251	III/191
,, ,,	444	ხაჯიალ ოღლი ისმაილ	19	ვანი	1	მერზიფონ	3	I/251	III/181
18 ,, ,,	445	აბდულ რეჰმან ოღლი ხასან	35	აღისთან	1	,,	-	II/252	III/192
,, ,,	446	ჯინ ოღლი იუსუფ	21	მარადიდი	1	,,	7	II/251	III/182
24 ,, ,,	447	იბრაიმ ოღლი იდრის	25	არდანუჩ	1	,,	5	I/253	III/183
,, ,,	448	ხემიდ ოღლი სულეიმან	25	,,	1	ანდარეს	4	I/254	III/184
,, ,,	449	თახსინ ოღლი ხასან	20	,,	1	მერზეფონ	5	I/255	III/185
,, ,,	450	საფი ოღლი ომერ	18	,,	1	,,	2	I/256	III/186
,, ,,	451	ჯეფერ ოღლი ყედირ	18	მურღული	1	,,	4	I/257	III/187
,, ,,	452	ალი ოღლი არიფ	45	არდანუჩ	1	,,	4	I/258	III/188
,, ,,	453	ყაია ოღლი ქამილ	20	,,	1	,,	4	II/253	III/193
,, ,,	454	ისმაილ ოღლი ქამილ	25	,,	1	,,	5	II/254	III/194
,, ,,	455	ალი ოღლი ჰაშიმ	20	,,	1	,,	3	II/255	III/195
	456	ოსმანჩაუშ ოღლიხალილ							
	457	ყური ბაშ ოღლი სულეიმან							
	457	ახმედ ოღლი ჰარუნ							
	458	ხაჯი ოღლი მუსტაფა							
	459	ხუსეინ ოღლი ალი							
	460	ყარაყადი ოღლი მუსა							
	461	ჩახალ ,, ალი							
	462	დელი მემედ ,, ოსმან							
	463	ხასან ,, ახმედ							
	464	ხასან რეიზ ,, ნევზეთ							

	465	შაქირ ,, მემედ							
	466	ხუშუტ ოღ. სულეიმან							
	467	ილიას ,, ხასან							
	468	ილიას ,, ოსმან							
	469	ბაღჯი ,, ხაიდარ							
	470	მურად ,, ყედირ							
	471	ხასან ,, ხუსეინ							
	472	ყავაზ ,, ალი							
	473	ხაფ ,, ბედირხან							
	474	ფერადონბაშ ,, დურსუნ							
	475	ყანთარ ოღლი იუსუფ							
	476	მემედ ,, რაიფ							
	477	ბურან ,, მემედ							
	478	იუსუფ ,, სალიხ							
	479	ომერ ,, ალი							
	480	ომერ ,, გულფაშა							
	481	მოლა იუსუფ ოღლი დევრიშ							
	482	უსტაოსმან ,, ისმაილ							
	483	გურჯი ,, ხემდი							
	484	თოფალ ,, ხარუნ							
	485	თოფალ ,, მუსტაფა							
	486	მელეგ ,, ახმედ							
	487	ტრაპენ ,, ალიჯან							
	488	გურჯი ,, ხემდი							
	489	ყედემ ,, ომერ							
	490	იდრის ,, ოსმან							
	491	ეზიზაღა, ხუსეინ							
	492	ბატალ ,, რეშიდ							
	493	ბალჯი ,, ოსმან							

	494	ხოტოვარ ,, იუსუფ							
	495	ხაჯი ,, მუხამედ							
	496	არხაველ ,, ხუსეინ							
	497	ემირალ ,, ხუსეინ							
	498	ბათალ ,, რეშიდ							
	499	ყარამემედ ,, ალი							
	500	იუნუს ,, სულეიმან							
	501	ჯანჯ ,, მუხამედ							
	502	ხაჯი ,, ხასან							
	503	გოგმაჩაძე ,, მემედ							
	504	დევრიშ ,, ყოჩ-აღი							
	505	ხასან ,, არსლან							
	506	ხაჯი მემედ ,, ხასან							
	507	ილიას ,, სიდიყ							
	508	მუსტაფა ,, კახრიმან							
	509	მემედ ბეი ,, ხასან							
	510	ალი ,, კახრიმან							
	511	ბურხან ,, ქამილ							
	512	ხაიდარ ,, ასლან							
	513	ხასან ,, ილიას							
	514	იუნუს ,, მურად							
	515	ყოჩალ,, ახმედ							
	516	მოლახელილ ,, ახმედ							

სივაზიდან ჩამოსული
ქართველი ტყვეები

1. დათიკო შველიძე
2. სოლო დათაევი
3. ტარასი ლაცაბიძე
4. გეორგი წიკლაური
5. მიშა ჩადუნელი
6. გელა წიკლაური
7. პეტრე ჩხარტიშვილი
8. ლუარსაბ ჭყონია
9. გიგო დათიაშვილი
10. ვასო პალტარასკი დაჭერილია გაპარვის მიზეზით.

კონსტანტინოპოლი, 1917 წ.

მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენ საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა.

ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხენა მკერდზე ქვემოდან.

კარი მეორე
ოფიციალური და პირადი წერილები



სიმონ მდივნისადმი მიწერილი წერილები

დიდად პატივცემულო ბატონო სიმონ!

გავიგეთ, რომ ბოლოს თქვენ გადაგიწყვეტიათ თქვენი დაპირება სისრულეში მოიყვანოთ, და ამ კვირას წაგვიყვანოთ სინემაში, ამ ამბავმა ჩვენ ყველანი მეტად გაგვახარა, უსაზღვროთ მადლობელი ვართ თქვენი ასეთი გადაწყვეტილებისათვის და კვირას საათის 3- 1/2 ზე ყველანი მოუთმენლად გელით სახლში.

თქვენი კეთილის მსურველნი: ირა მდივანი, ეზა მდივანი, მელი მდივანი, ნინა მდივანი.

რეზოლუცია: მიღებული იქნება მხედველობაში. სიმონი

25. ნოემბერი. 1922 წ.

პარიზი

ძვირფასო სიმონ.

არაფერი ცნობა არ მაქვს იმის შესახებ, დაბრუნდები შენ აქეთ თუ არა და როდის, თუ დაბრუნდები, ვიცი კარგათ, რომ ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტი არ არი შენთვის. შენგან დაბარებული მქონდა, რომ როცა საჭიროება მოითხოვდა, აკაკი პაპავა გამოგვეწვია, ამის შესახებ რამოდენიმეჯერ დადგა საკითხი, მაგრამ ვერ გადაიჭრა, რადგან გამოითქვა მოსაზრება, რომ გაფართოებული პრეზიდიუმის წევრი უნდა იმავე დროს იყვეს წევრი დამფუძნებელი კრების. გაცნობებ ამას, რომ ყოველ შემთხვევისათვის ეს სახეები იქონიოთ …[1], თუ საჭიროდ დაინახავ, შენი აზრი მე მაცნობე.

მარად შენი კ. ჩხეიძე

ამხანაგს სიმონ მდივანს.

კონსტანტინეპოლში მყოფ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრთა ჯგუფის სახელით განდობთ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა საქართველოს ანტიბოლშევიკურ პარტიების ინტერპარტიულ კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს პარიზში და ჩვენის მინდობილობით მოაწეროთ ხელი ყველა შეთანხმებას, რომელსაც თქვენ დაინახავთ საჭიროდ პარტიების შეთანხმებულ გამარჯვებაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად და მის დასაცავად.

ჯგუფის მინდობილობით

ი. გოგოლიშვილი

დ. მა....

1922 წლის, იანვარს 25-ს

ქ. კონსტანტინეპოლი

3 აგვისტო 1922 წ.

[1] ... - აღნიშნულია ტექსტის ის ადგილები, რომლებიც არ იკითხება.

დიდად პატივცემული ბ-ნო სიმონ!

მივიღე თქვენი წერილი, რომლის შინაარსი თქვენი ოჯახის ამრიგად შექმნილ მდგომარეობის გამო მეტად სამწუხაროა ჩემთვის, მაგრამ არ უშავს, ნუ უქუხებთ, სულითა და გულით ვეგებები თქვენი სურვილის განხორციელებას და მზათა ვარ, ჩემ ხელთ არსებულ საშუვალებანი არ დავზოგო და რითაც შემიძლია გაგიწიოთ სამსახური ყოველგვარი საწინდარის გარეშე. ამ უკანასკნელზე ჩვენს შორის ლაპარაკი მე დაუშვებლათ მიმაჩნია, რადგანაც საწინდარზე მეტი ჩემთვის თვით თქვენა ხართ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მე ბევრ ამგვარ სამსახურისათვის ჩემი თავი და სახსარი უსაწინდრათ და უპირობოთ სხვებისათვის არ დამიშურებია.

ვიმეორებ, სრულის კმაყოფილებით ვიღებ ჩემს თავზე თქვენ მიერ აღწერილ მდგომარეობიდან თქვენი ოჯახის დახსნას, რისთვისაც ეხლა ვანდობ კიდეც ჩემს ვაჟს მიშას, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდება საქართველოში, ყოველგვარ ზომებს მიიღებას მათ სტამბოლში ჩამოსაყვანად. ამასთანავე ვაახლებ პასუხს ბ.ბ აკაკის და ევგენის - გისურვებთ დღეგრძელობას და გამარჯვებას, მარად თქვენი ერთგული და პატივცემის მოსურნე ა. ჯაყელი.

ბერლინი. 30 სექტემბერი, 1921 წ.

დიდად პატვიცემულო ბ-ნო სვიმონ!

ალბათ, ძალიან გაგიკვირდებათ და შეიძლება თავხედობადაც ჩამომართვათ, რომ ჩემგან ასეთ წერილს მიიღებთ, მაგრამ მე ამას ვერ გავბედავდი, რომ გიორგი გორდაძის დასტური არ მქონოდა, თანაც ასეთ უხერხულ-გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილვიყავ.

საქმე იმაშია, რომ ერთი წლის წინათ გიორგიმ დამიჩემა უსათუოდ ევროპაში უნდა წახვიდე და სწავლა დაამთავროო; მაშინდელ ჩვენ პირობებში, არ იყო ეს მთლათ ძნელი გადასაწყვეტი და მოვიძულე თავი, ჩამოვედი ბერლინში და უკვე აქ უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში ვსწავლობ. თან წამოღებული ფულით და ამ წლის მაისამდი გავძელი და შემდეგ კი დიდის ვაივაგლახით და გაჭირვებით ოქტომბრამდისაც მოვაღწიე, მხოლოდ აწი რაღა ვქნა არ ვიცი!.. დაახლოებით ერთი თვის წინათ მივიღე რამოდენიმე გიორგის წერილი სადაც მწერს, რომ: შენ ნუ გეშინია ფულს მალე გამოგიგზავნი, საქმე არც ისე გლახათ არის, როგორც თქვენ მანდ წარმოგიდგენიათ, ჩვენი პარტია ლეგალური პარტიაა და იმდენს მაინც კი მოვახერხებ ჩვენს ახალ ბატონებთან, რომ შენ მაქ არაფერი გაგიჭირდესო. მხოლოდ მანამდის მოახერხე მანდ ფულის შოვნა ან რაჟდენ დათეშიძესთან და თქვენს შესახებაც მწერს-თუ მან არის ჩემ მაგიერ უთხარი და მოგიხერხებს დახმარებასო. რაჟდენი მართლაც აქ არის, მაგრამ მას თუ იცნობთ, ისიც გეცოდინებათ, თუ რა პასუხს მომცემდა. ასე, რომ მდგომარეობა ჩემი პირდაპირი უნუგეშოა, თუ მალე არ მომაწვდინა გიორგიმ ფული, მაგრამ აგერ თვეა უცდი და შეიძლება კიდევ თვეები დააგვიანდეს და ამას მე რომ მოვითმინო, კუჭი აღარ მოითმენს და ისე მაინც არ მინდა დავიღუპო, რომ არ გაცნობოთ რაც გიორგიმ მომწერა; ნათქვამია-სიჩუმით დიდკაცობას და სულგრძელობას ვერ დაამტკიცებო. რასაკვირველია მე არც ერთზე და არც მეორეზე პრეტენზიას არ ვაცხადებ, მაგრამ მაინც გატყობინებთ და იმედია გამიგებთ და შეძლებისდაგვარათ დამიხსნით უხერხულ მდგომარეობიდან, რასაც მე თუ არა გიორგი გადაგიხდით. ჯამზე, რასაკვირველია, მე თქვენ ვერ მიგითითებთ, რადგან, არ ვიცი თქვენ თითონ რა მდგომარეობაში ბრძანდებით, ფინანსურ მხრივ, მხოლოთ გერმა-

ნიაში უფულოთ მყოფ ადამიანისთვის, საფრანგეთის კარგ ვალიუტას პატარა თანხაც დიდ რამეს წარმოადგენს.

მაშ. ბ-ნო სვიმონ, იმედია გამიგებთ და არ იწყენთ ჩემს მომართვას.

პატივისცემით თქვენი ერთგული ამბროსი (ბუჭა) ბახტაძე

ძმაო სოსიკო! 10.II.1922

გუშინ წინ ჩამოვიდა საქართველოდან იოკამ ქუთათელაძე. გადმომცა ზოგიერთი ამბები, ჩვენი პარტია ამ უკანასკნელ ხანებში ენერგიულად საქმიანობს. არჩევნების დროს ჩვენები გამოდიოდნენ ყველა მიტინგზე და საარჩევნო-ყრილობებზე, კრიტიკით და პროტესტებით. მათაც ბოიკოტი გამოუცხადეს ბოლშევიკურ არჩევნებს. შეთანხმებით მოქმედებდნენ სოციალ დემოკრატებთან, მაგრამ ჩივიან, რომ უკანასკნელნი ისევ ძველებურად მუშაობენ და მათთან შეთანხმების მოხდენა ძნელია. გვსაყვედურობენ, ჩვენ არავითარ ინფორმაციას არ ვაწვდით. გვსაყვედურობენ აგრეთვე, რომ საზღვარგარეთული გაზეთი და ლიტერატურა მხოლოდ სოციალ დემოკრატიულია. იოსების სიტყვებიდან სჩანს ის, რომ მათ ყოვლად მიუღებლად მიაჩნიათ ძველი მთავრობის დარჩენა ძველი სახით და რაღაც მტრულად არიან განწყობილნი ძველი მთავრობის წევრთადმი. მხოლოდ ცოტა ხნით ვნახე იოსები და ვერ ვასწრებ დაწვრილებით ამბების მოწერას, რომლებსაც მოგწერ შემდეგ წერილში. მხოლოდ ის კი გარკვევით გავიგე, რომ ისინი მოითხოვენ სანამ ჩვენი თანხმობა არ მოგივათ, მანამ არავითარ შეთანხმებას არ მოაწეროთ ხელი. ე.ი. მათი დამტკიცებაა საჭირო. ეხლა ჩემი აზრი ასეთია, ჩემო სოსიკო, ჩვენ ჩვენი მოვალეობა მოვიხადოთ, რომ შემდეგში მათი სასაყვედურო არ დავრჩეთ. რასაც შენ მანდ სული თანხმობა და მხარის დაჭერა გაქვს კონსტანტინეპოლის ამხანაგებისაგან. ჩვენი სპეტაკი ზრახვანი ასეთია, რომ ეხლა თუ ვინმე აკეთებს რასმე, და თუ განთავისუფლდება საქართველო ამ ხალხის მიერ, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობს ასე ენერგიულად შემდეგ რამდენიც უნდა გვლანძღონ და ... გვაზავსთან. მხოლოდ ერთხელ. გთხოვ, მომაწოდე სრული ინფორმაცია მათთვის გადასაგზავნად და აგრეთვე შეთანხმების რეზოლიუციები. შენი ოჯახობა კარგად ყოფილა, მხოლოდ ფულები არ მიუღიათ შენგან. აკაკი პაპავა წამოვიდა პარიზისაკენ თუ ისევ გერმანიაშია, ვერ გავიგე. თუ ძმა ხარ დაწვრილებით მომწერე რა ხდება მანდ, არის რამე იმედები თუ არა და საერთოდ ყოველივე ინფორმაცია, აგრეთვე ჩვენი ჩვენი ამხანაგებისათვის.

სალამი და კარგად ყოფნა შენი სოსო. სალამი ჩემი მეუღლისგან (ავტორის სახელი, გვარი არ იკითხება).

LEGATION DE GEORGIE

PARIS LE 15 ივლისი 1922 წ.

ძვირფასო მოსაგონარო და საიმედო საგულებელო, ძვირფასო ძმაო სიმონ, პირველად შენ მშვიდობას ღმერთსა ვსწირავ შენი კარგი ცოლშვილით. სხვა, ძმაო სიმონ, ვიცი ჩემს ამბავს იკითხავ. ვარ ღვთისა და შენი იმედით გვაროვნათ. აქაური ამბების შესახებ მინდა მოგახსენო შემდეგი. დღეს ჩვენ დაგვიდგა ერთი საკითხი, რომელიც ჯერ უნდა განიხილოს პარტიების წარმომად-

გენლებმა. საჭიროა თქვენგანაც იყოს ერთი კაცი. საკითხი შორს გადასადები აღარ არი. ამიტომაც შემატყობიე როდის მოდიხარ შენ. თუ ეს ჯერ არ შეგიძლია სთქვი, ვის დაასახელებ შენ, რომ შენს მაგიერ დაესწროს. ვიმეორებ, ეს საკითხი შორს გადასადები არ არი. ამიტომაც პასუხი შემატყობიე საჩქაროდ. შენი კარლო ჩხეიძე.

* * *

ძმაო სოსიკო! იქნებ გაგაკვიროთ ჩემდამი ასეთ მოწოდებამ, მაგრამ წარსული მეგობრულმა განწყობილებამ გამაბედინა ძმაოს დაძახება, თუმცა მას აქეთ ბევრმა დრომ გაიარა და ერთმანეთისთვის უცხოები გავხდით, დღეს კი საერთო უბედურებამ ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს. გავიცანი თქვენი ცოლშვილი, რაც ძალიან სასიამოვნოთ დამრჩა, მაგრამ რაც ძალიან სამწუხარო ამბავი გადმომცა თქვენმა მეუღლემ თქვენი მანდ ცხოვრებისა, მით უმეტეს შესაწუხებელია ეს ჩემთვის, რადგან მანდ არიან ჩემი ახლობლები. უთუოთ სოსიკო, თქვენ იცნობთ რეზო გაბაშვილს, იქნებ თქვენთან ახლოსაა, არაფერი ამბავი არ ვიცი, იუნკერებთან ერთად იყო, მე მგონი მათთან იქნება ეხლაც, თუ არა და სად არის და როგორ არის შემატყობიეთ, ძალიან გთხოვ, ჩემო სოსიკო. რეზო თუ ნახე, უთხარით მაგის ოჯახობა სუყველანი კარგათ არიან. მე თბილისში არ დავბრუნებულვარ, ვცხოვრობ სერგო ჩხეიძესთან. სერგო მსახურობს ... ჩემი ადრესია სვიატოპოლსკ მირსკის № 31. ბიძაშვილი მყავს მანდ კიდევ იუნკერი კოლიასიდამონ-ერისთავი, მისი ამბავიც შემატყობინეთ, ერთი სიტყვით გადაეცით ჩემი ამბავი, ჩემი ადრესი, მომწერონ თავისი ამბავი, მაპატიეთ, სოსიკო რო გაწუხებთ, მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ ჩემი მდგომარეობა, მე მგონი შეწუხდებით ჩემთვის, რითაც ცოტა მაინც დავმშვიდდები, წასვლის დროს არ მინახავს რეზო გაბაშვილი, ასე რომ არც კი ვიცი ნამდვილად სად არის, მხოლოდ აქ დარჩენილ იუნკრებმა გადმომცეს, რომ რეზო გაბაშვილი წავიდა სხვა იუნკრებთან ერთადო. ასეთ გაურკვეველი მდგომარეობა მე მგონი ჭკუაზე შემშლის. თუ რეზო ვერ ვნახეთ, ვეშაპელს გადაეცით თუ რაიმე გაიგოს, ამ სახელის მომწეროს ... ბათუმს ვერ მოვშორებულვარ, თითქოს ვთვლი ზღვა რაღაც ამბავს მომიტანს-მეთქი თქვენგან. თბილისში მიტოვებულია სუყველაფერი, აქ კიდევ ... ორ ადგილას მქონდა, მაგრამ ვერ შევსულვარ სამსახურში, სანამ ცოტა გროშები მაქვს, საქმეს მაინც მოვიშორებ, მაგრამ მერე კი იძულებული ვიქნები ვიმსახურო, შიმშილს კაცი ვერ გაუძლებს. საინტერესოა რეზო გაბაშვილი მაგ 45 კაცში ითვლება რომელზედაც მთავრობა ზრუნავს თუა არა, თუ თქვენთან არ არის, მაშინ ჩემთვის წარმოუდგენელია რანაირად ცხოვრობს, რადგან თითონ არაფერი საცხოვრებელი არ ქონდა. მოუთმენლად ველი თქვენ წერილს, მე მგონი თქვენ წერილთან ერთად გამოაგზავნიეთ ჩემებსაც წერილი. აქ ჩემი ადრესია სვიატპოლსკ მირსკის ქუჩა №31. ბინა ჩხეიძის. ნახვამდის, იყავით კარგათ.

გწერთ თქვენი ძველი მეგობარი ლუიზა ყიფიანი

25/IV-1921

პარიზი,14.12.1922

ბატონო სვიმონ, გაწუხებთ ამ ბარათით იმიტომ, რომ შალვა ბერიშვილი შეიძლება არ არის დაბრუნებული და გთხოვთ, აღმოუჩინოთ ყოველნაირი დახმარება ამ წერილის მომტანს ბ. მიშა კოდიას. ჩქარა ჩამოვა აქედან ჩვენი კაცი და მასთან ერთად განაგრძობთ დაწყებულ საქმეს. იმედია კარგათ ხართ და ჩვენ საქმეში ძველებურათ იღებთ მონაწილეობას.

გისურვებთ ჯანმრთელობას და საქართველოში დაბრუნებას ქართული თავისუფალი დროშით.

თქვენი პატივ-მცემელი

ნ. ჟორდანია …

26 სექტემბერი 21წ. კონსტანტინოპოლი.

ჩემო საყვარელო სოსიკო! ბევრი, ძალიან ბევრის მოწერა მინდა შენთვის და წერილიც ამიტომ დამიგვიანდა. უბრალოდ, მოკლე "მოკითხვის წინ" გამოგზავნა არ მინდოდა და ვრცელ წერილს დღემდე ვერ ჩავუჯექი. დღეს კი მინდა ყველაფერი მოგწეროთ. პირველ ყოვლისა საქართველოზე. იქედან მძიმე ამბები მოდის: ქვეყანა კვნესის დამპყრობელთა ხელში და შველას აქედან ჩვენგან მოელის, მთელი ხალხი, ქართველი ხალხი გაერთიანებულია და გადაჭრით ბოლშევიკების საშინელი რეჟიმის წინააღმდეგია, მალე დაიწყება "პრედნოლოგიის" შეგროვება და სოფელი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, საფრთხე წარმოუდგენელია, თუმცა დროებით კონტრიუბიუციის აღების გამო თითქოს ფასებმაც კიდევაც დაიკლო, კახეთის რაიონის გზა გაჩერდა, ტრამვაი დიდი ხანია აღარ მუშაობს. ერთი სიტყვით-მთელ ქვეყანას სასაფლაოს ფერი დაედო და თუ დროზე არ მივეშველეთ მას - საქართველო ერთ საშინელ საფლავად გადაიქცევა! ჯერ ხალხი გატეხილი არ არის, ჯერ მას ბრძოლის სურვილი და უნარი აქვს, მაგრამ თუ დროზე არ დავიპყარით თავისუფლადა ხალხი გატყდება დაძაბუნდება... და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ციხეები ისევ ჩვენი ამხანაგებით არის სავსე. პარტიათა შორის ვერ არის სრული თანხმობა და ამაზე მინდა მოგელაპარაკოთ. თედო და ლეო შენგელიას ჯგუფზე ლაპარაკიც მეტია. „სხიველები" არ არიან სერიოზული ანგარიშის ღირსი. დარჩნენ ს.-ფ-ბი და ნ.-დ-ები. შენ, ალბათ, უკვე მიიღე თქვენი პარტიის მოხსენება. თუ მას გამოვაკლებთ ზოგიერთ უკმეხ და „დაწვრილმანების" ადგილებს, საერთოდ მოხსენება გვარიანია. სხვა წყაროებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს მდგომარეობის დახასიათებაში მოხსენება ობიექტურია, ამნაირი ყველა წყაროები ერთს მოწმობენ: დღევანდელ საქართველოში აშკარად გაბედული ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას მისდევს ს.-დ-ია, მის შემდეგ ს.-ფ-ბი და უკანასკნელი ადგილი უჭირავთ ნ.-დ-ებს. ეს სრულიად ბუნებრივიც არის, რადგანაც ნ.-დ-ები ცდილობენ საერთოდ სოციალიზმის დემოკრატიის დისკრედიტაციას, რათა ბოლშევიკების შემდეგ დაეპატრონონ ძალაუფლებას. ამიტომ დღეს ნ.-დ-ები ბოლშევიკებისადმი „მშვიდობიან" და „მეგობრულ" ოპოზიციას აწარმოებენ და ამ ფაქტმა ჩვენ სოციალისტები მეტად უნდა დაგვაფიქროს. ჩვენ გვილაპარაკია პარიზში ჩვენ პარტიულ ურთიერთობებზე და ის აზრი გამოგვითქვამს, რომ დადგა დრო საქართველოს მოქმედი სოციალიზმის ერთ პარტიაში გაერთიანებაზე. მე ამაში თანდათან ვრწმუნდები და ეს გაერთიანება მით უფრო ადვილად მოხდება, რაც უფრო მეტ პრაქტიკულ თანამშრომლობასა და ბრძოლაში ჩავებმებით. განთავისუფლებული საქართველო მომავალში ჩვენს პარტიებს იმისდა

მიხედვით დააფასებს, თუ რა მონაწილეობა მიიღო თითეულმა მათგანმა მის თავისუფლების მოპოვებაში. ამიტომ მეტად სასურველია, რომ ეს განმათავისუფლებელი ბრძოლა იტვირთოს სოციალიზმა და ამ ნიადაგზე პრაქტიკულათ უნდა გაერთაინდეს ჩვენში სოციალიზმი, საბედნიეროთ ამის სიმპტომები უკვე არის. ყოველი ამბები ამტკიცებენ, რომ საქართველოში შეთანხმებულად (პრაქტიკაში!) მუშაობენ ჩვენში და ს.-ფ-ში. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ გავაძლიეროთ. საჭიროა, რომ შენც ამ მხრივ შესაფერი ინსტრუქციები მისცე თქვენებს. მე თვითონ ეხლა გაერთიანებული ეროვნული ფრონტის მომხრე ვარ. ქართველი ხალხის მთელი ძალა უნდა დაგროვდეს, დაირაზმოს და მიმართულ იქნას დამპყრობელთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს ჭეშმარიტი გაერთიანებული ფრონტი უნდა იყოს. მას არ უნდა აერთებდეს ხელოვნური შეკოწიწება. თუ ამ პირობებში ნ.-დ-ები გულრწფელად შემოვლენ ჩვენ მებრძოლ ბანაკში-ხომ კარგი, თუ არა და მათთვის უვარესია! მაგრამ ჯერ-ჯეროზით ნ.-დ-ები ყალთაბანდობენ. მათ არ სურთ „დღევანდელი ბატონის“ გაჯავრება და ამიტომ მეტად ლაპარაკობენ მომავალი მთავრობის შემადგენლობაზე, ვიდრე დღევანდელ ბატონების დაცვაზე! შენც გაკვირვებდა ეს და ხუმრობდი: „იმალებიან ბუჩქების ძირას და მომავალ მთავრობას აწყობენ“! სწორეთ ეს არის სადარდებელი და საფიქრალი. მე მგონი, ვისაც ნამდვილად სურს საქართველოს განთავისუფლება, ის ჯერ დააყენებს საკითხს ბოლშევიკებთან ბრძოლისას და მერმე მომავალი მთავრობის შემადგენლობისას.

29 სექტემბერი 1921 წ.

დღეს ნ. რამიშვილი მოდის პარიზში და მინდა მას გამოვატანო წერილი. აქაურ ამბებსაც უფრო დაწვრილებით ის გადმოგცემს. გუშინ აქ ჩამოვიდა ნინა რუსია, მოხსენება მას ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ გაკვრით ველაპარაკე. გადმოცა შემდეგი: სილაბისტრო ციხეში ძლიერ ავად გამხდარა და ამიტომ ის გაუთავისუფლებიათ. აგრეთვე გაუშვიათ ციხიდან დ. ინაშვილი და გოგიტა ფაღავა. მაზნიაშვილი თავისუფალია, ხოლო დაუჭერიათ ... და ზოგი სხვა ოფიცერი. პროვინციაში დაიჭირეს ზოგიერთი სოც. ფედერალისტი. ნინამ სთქვა საქართველოში რეპრესიების გაძლიერების მოელიან. ხალხი მთლათ ბოლშევიკების წინააღმდეგია და თურმე ამბობს, რომ აგიტაცია აღარ გვჭირდება. საჭიროა დიდი ზომები, რომ ხალხი ექცესებს აცდინონ. ჯარის რაოდენობა არ იცის: ხან ბევრია, ხან ცოტა! ქართულ ჯარში საშინელი დეზერტიროზა ყოფილა. ხალხი მტკიცეთაა და შველას მოელის. გაჭირვება დიდია. ჩვენები და ფედერალისტები უფრო შეთანხმებულათ მუშაობენ.

ხომ ხედავ მდგომარეობას: ხალხი ჩვენგან მოელის შეცვლას და ჩვენ მეტი ენერგიულობა უნდა გამოვიჩინოთ. პარიზი უფრო მძლავრად უნდა ამუშავდეს! ეხლა მანდ ბევრის გაკეთება შეიძლება და ჩვენ მთელი ჩვენი უნარი უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ ვეღარ დავუცდით რუსეთში ბოლშევიზმის დაცემას. უნდა ვეძიოთ სხვა გზებს და საშუალებებს. უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ჩვენ მეზობლებთან და უკრაინა კაზაკებთან. ბოლშევიზმის მდგომარეობა თანდათან რთულდება, იქნებ მალე ბოლშევიკები დიდ ომში ჩაებან და მაშინ ჩვენი საათი დაჰკრავს, მაშინ ჩვენ უნდა დავარტყათ. რადგანაც ეხლა თათრები ცოტა ... მაგრამ არა იმდენად, რომ ძლიერ გაკადნიერდნენ, შენ შეგიძლია გააძლიერო მათთან მუშაობა, მაგათი მხრივ მაინც უზრუნველყოფილი უნდა ვიყოთ.

ჩემთვის ერთი ცხადია: თუ ამ ზაფხულისათვის საქართველო არ გათავისუფლდა, მას საშინელი და სამუდამო განადგურება მოელის! ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ამის მიხედვით უნდა ვმართავდეთ მუშაობას...

სხვა აქაური რა მოგწერო? აქ მეტია სულიერი სიმშვიდე. ამბები ხშირად მოდის დაკავშირებული სამშობლოსთან. გაიგებდით, რომ დარჩენილი 25-იუნკერი უფასოდ მიიღეს პოლონეთში. ეს ძალიან სასიხარულოა და ამაში კოწია გვარჯელაძემ იყოჩაღა. დღეს გემით მანდ წამოვიდა 5 იუნკერი. თქვენ იცით როგორ უპატრონებთ მათ. ამნარაით ახლა ჩვენი 50 იუნკერი მოწყობილია და მომავალ ქართულ ლაშქარს ისინი დაეხმარებიან. სხვათა შორის დღეს წამოვიდა ქართველი-შვილის დედა პარიზში. მას მე შენთან წერილი გამოვატანე. შენ იცი როგორ დაეხმარები მას, რომ მისმა შვილმა სწავლა დაამთავროს.

მე ჯერ და ალბათ საქართველოში დაბრუნებამდე აქეთ ვრჩები. აქ მუშაობა ცხოველდება. აწი, ალბათ, კიდევ უფრო გამოცოცხლდება.

თქვენ რას შვრებით, როგორ ხართ? ნუ დაიზარებთ და წერილი მომწერე. რას შვრებიან მაქაური „ჩინჩა-ტები“?... მოჭიდავებს რომ გვანან.

მომიკითხე ყველა ამხანაგი.

შენი ვალიკო

აკაკი პაპავა კარგათ შეიქმნა.

1 ოქტომბერი 21 წ.

ნოემ ხუთი მინუტით გაგვასწრო, ტრამვაის გაფიცვის გამო და ამიტომ ამ წერილს ფოშტით გიგზავნი. გუშინ კიდევ ველაპარაკე ნინას და მან გადმომცა, რომ ზოგ პროვინციაში ახალგაზრდა ფედერალისტები დაიჭირესო.

ოქტომბერი 3, 1921 წ. ბონი ქუჩა არ იკითხება. 56 II

ბ-ნო სოსიკო!

დარწმუნებული ვარ, რომ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ თუ ჩემის წერილით თქვენს შეწუხებას ვბედავ. ყოველ შემთხვევაში ორი საკითხია, რომელთაც მე თქვენთვის უშუალოდ მომართვის საჭიროება მაგრძნობინა. პირველი: ეგ ჩვენ პარტიის შეთანხმების საკითხი ს.-დ-ბთან და და დავიწყებ ამ საკითხით.

რა თქმა უნდა, მე სრულიად შორს ვარ, იმ აზრისაგან, რომ ამ მეტად დიდი საკითხის გამო საკუთარი აზრი ვიქონიო, მაგრამ მაინც თუ მინდა ორიოდე ფიქრი გამოვსთქვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რადგან ვფიქრობ სხვა რამ არა იყოს რა, საინფორმაციოდ მაინც გამოიყენებთ, ანკეტის ფურცელის დაგვარი იყოს ეს ჩემი წერილი თქვენთვის. ბოლოს და ბოლოს ამ საკითხის მომავალი ხომ პარტის წევრთა აზრზეა უმთავრესად დამოკიდებული და მეც ჩემ თავს ყოველ შემთხევაში პარტიის წევრად ვსთვლი.

ამ საკითხის გამო პირველად მე კ. კომახიძემ მომწერა, მე მას მაშინ ჩემი აზრი ვუპასუხე. მას შემდეგ გერმანიის ს.-დ-იაში დიდ მოვლენას ჰქონდა ადგილი... მე ვფიქრობ, ის რაც იქ მოხდა ჩვენ ს.-დ-იისათვისაც არის მთავარ საქმეში გაკვეთილი და ამიტომ მინდა თქვენი ყურადღება ამ საკითხს მივაქციოთ. მით უფრო იქ ბევრს ისეთ რამეს ჰქონდა მცდელობა, რომელიც წარმოუდ-

გენალად გაადვილებს ს. ფედერალისტების და ს. დემოკრატებს შორის საერთო ენის გამოძებნის საქმეს.

...კონფერენციაზე ორი დიდი საკითხი იყო გარკვეული: 1-კოალიციის საკითხი და ახალი პროგრამა. კოალიციის საკითხი ამ შემთხვევაში ჩვენ ბევრად არ უნდა გვაინტერესებდეს, ვინაიდან, ერთი, რამ ამ საკითხის გარშემო ჩვენ კარგად ვიცნობთ ს.დ-იას და მეორე, ეგ ხომ დრო და ადგილის საკითხია და მეტი არაფერი. რაც შეეხება პროგრამას, იქ კი ბევრი რამ უნდა იქნას ჩვენ მიერ ყურადღებული.

ერფრუტის პროგრამა 20 წელზე მეტი აერთებდა აკავშირებდა იდეას, ის სუსტი, უფერული მარქსიზმი იყო, მაგრამ მაინც ცოცხალი იყო მასში მარქსი და ენგელსი. ვიდომპანის მარადიული სიტყვების შემდეგ არა ნაკლებ ძლიერი იყო რევიზიონისტური მიმართულება ს.დ.-იაში და არა ნაკლები ენერგიით, ვიდრე ერფრუტის პროგრამა მუშაობდა ამ მიმართულებით - ბერნსტეინი და მისი წრე. ცხოვრებაც დღითი დღე სულ თავში სცემდა ერფრუტის მარქსისტებს და თვით პარტიაც არ იყო თავისი პროგრამის სინდისიერი მიმყოლი. პროგრამა მათვის ბოლოს და ბოლოს დროშა გახდა და მეტი არაფერი. ...კონფერენციამ ბოლოს ეს დროშაც მოაშორა თავის პარტიას და ცხოვრების წინაშე არა მარტო არსებით, როგორც მრავალჯერ სჩადიოდა ამს გერმანიის ს.დ.-ია, არამედ ფორმალურად მოიხარა ქედი. ამის დასამტკიცებლად რამოდენიმე მომენტი ... კონფერენციის სრულად საკმარისია.

ს.-დ-იამ აღიარა, რომ კლასთა ბრძოლა ეგ არ არის უეჭველი და უწმინდესი იდეალი, არამედ შემთხვევისა და გაჭირვების ხერხი. კლასთა ბრძოლა არ არის აუცილებელი და უეჭველი იარაღი, არამედ დრო და ადგილის მიხედვით შემთხვევის მიერ გამოწვეული და მათ კლასთა ბრძოლა თავიანთ პროგრამის პროექტში არ შეუტანიათ, მაგრამ კონფერენციაზე სთქვეს; ს.დ.იული მასა დაჩვეულია პროგრამაში კლასთა ბრძოლა იყოს ნახსენები და ამიტომ მეტის სიფრთხილით მოიხსენიეს. აი, როცა ისინი ასეთ რევიზიას უკეთებენ მარქს, ჩვენ და მათ შორის განსხვავება ნაკლები ხდება და უფრო ადვილია ჩვენი მთლიანობის ჩამოგდება, მეტადრე ჩვენმა სოციალ დემოკრატებმა უნდა მიაქციონ ამას ყურადღება, ვინაიდან საქართველოში ჯერ ხომ არც კი ვიცით თუ რა ფორმას მიიღებს კლასები და წინდაწინ ბრძოლის გამოცხადება ქარის წისქვილთან ბრძოლა იქნებოდა.

შემდეგ ის არის საინტერესო, რომ ახალ პროგრამაში მრავალჯერ ს.-დემოკრატებისათვის სრულიად ახალ და უცხო სიტყვას ვხედავთ, სახელდობრ: „სურვილი“. ასე მაგალითად „სურვილი კაპიტალისტური სისტემის დაცემისა დღეს უფრო მძლავრია ვიდრე ოდესმე...“ მერე: „რომ სურვილის გზა უჩვენოთ... არის მიზანი ს.-დ პარტიისა“ და სხვა და სხვა. მაშასადამე, ამით ისინი უარყოფენ მარქს-ენგელსის და ერფრუტის პროგრამის დიაგნოსტკას, რომ ბუნებრივი აუცილებლობა თავის თავად სოციალიზმისაკენ წაგვიყვანს; მაშასადამე, აღიარეს, რომ სოციალიზმის დასამყარებლად სურვილიც საჭიროა, რომ მატერიის გარდა სულიც უნდა თამაშობდეს როლს და თუ მარტო ბუნებრივ-ეკონომიკურ განვითარებას მოვახდენთ, მიზანს ვერ მივაღწევთ. თავისთავად ცხადია, ყოველი ორთოდოქსი მარქსისტი ასეთ შესწორებით ტანში ჟრუანტელს იგრძნობდა, მაგრამ ის, რომ ისინი ამ საკითხში მარქს ჩამოშორდნენ, ჩვენი მთლიანი მუშაობის საქმეს აადვილებს. შემდეგ პროგრამაში ნათქვამია, რომ მათი პარტია იბრძვის საზოგადოებრივ განახლებისათვის ... მაშასადამე კიდევ გამოტყდნენ, რომ მარტო ეკონომიური მხარე არ არის საზოგადოების ფორმის მიმცემი, არამედ აქ ინტელექტიც, სულიც თამაშობს შესამჩნევ როლს. რაც შეეხება თვით ეკონომიურ ნაწილს პროგრამაში, უნდა ითქვას, რომ პროგრამის ძირითადი ნაწილში ბევრი

არაფერია თქმული და შეიძლება ამიტომ იყო კიდევაც, რომ სტრობელმა პროგრამას იდეების უქონლობა უწოდა. მაგრამ ის, რომ დავიდმა განაცხადა, რომ ახალი პროგრამა ძველს უფრო მეცნიერულად ... ჩვენ გვაძლევს შემდეგ დასკვნის უფლებას:

სტრობელი ხომ გვასწავლის, რომ ადამიანი, მხოლოდ ეკონომიური პირობების მიერ იქმნება და რაკი ამას ახალ პროგრამაში არ იმეორებს ს.-დ-ები, ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ სტრობენის ეს პროგრამა უაზროდ მიაჩნიათ. დავითი კი პირიქით გვასწავლის, რომ სოციალისტური შეგნების გარეშე სოციალიზმის დამყარება შეუძლებელია და რაკი... პროგრამაში ადამიანის ფსიხიკასაც, სურვილსაც, სულს, გონიერებასაც ადგილი რომ დაეთმო და ყველაფრის და ყოველგვარ ჩარხად მარტო ეკონომიკას არ სთვლის, ამიტომ მიაჩნია, ალბად, დავიდს ეგ პროგრამა უფრო მეცნიერულად. და აი აქაც ჩვენ მათთან ვართ, იმდენად, რამდენად ისინი ამ საკითხში მარს გაექცნენ. ასეთი დოკუმენტები მრავალი იქმნა მიღებული ...-ში და ეს ყველაფერი ჩვენ საერთო მუშაობის საქმეს ხომ აადვილებს და რომ საერთო მუშაობა, მთლიანი სოციალისტური მოძრაობა თავის თავად აუცილებელია, მეტადრე საქართველოს პირობებში ეგ ხო უდავოა. თვით ჩხეიძემაც აკი განაცხადა ...ში, რომ მხოლოდ გაერთიანებული ძალებით ვიხსნით თავს ბოლშევიკურ საწამლავისგან“. მე კი ვიტყოდი ჩვენთვის ბოლშევიკური საწამლავი ეხლა იმდენს საშიშროებას ვერ წარმოადგენს, ვიდრე მომავლი რეაქცია, რომლის აუცილებლობას ჩემზე უკეთ ალბათ ჩემზე გამოცდილნი ხედავენ.

ეხლა მოკლედ ჩვენზე. ჩვენ, როგორც პარტია, როგორც ერთმა ეკლესიამ, ს.-დ-ისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. მათი სკოლა უფრო დიდია, უფრო ძლიერია, უფრო მეცნიერულია ვიდრე ჩვენი. პირველად ყოვლისა იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ს.-დ-ებისათვის პროგრამა დიდს არას წარმოადგენს, ისინი ცხოვრებას ძალით, თუნდა ნებით, მიჰყვებიან და ანგარიშს უწევენ. გოთურ პროგრამაზე ამოუვიდათ ს.დ-ებს მზე, იმ პროგრამაზე გახდა ის ძლიერი პარტია; ერფრუტის პროგრამასაც დიდი სიმძიმე გადაუტანია. მათ და ბოლის ... ისადმი მოვიდნენ ... მიიღეს ახალი პროგრამა და მაშინვე განაცხადეს: ეს დღეს და ხვალ სხვა იყვნენ. ამას ნიშნავს, რომ პარტია ცოცხალი ორგანიზმია და ს. დემოკრატების პარტიასაც წინამძღოლნი ჰყავთ. აი, ჩვენ ამას უნდა დავუკვირდეთ და მივბაძოთ, რადგან კარგის განმეორება სირცხვილი არაა. ის მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ ძირიანი რევიზია უნდა მოვახდინოთ ჩვენი პროგრამისა. სახელდობრ: ჩვენ უნდა გადავშინჯოთ 1. არჩილის ფილოსოფია და 2. აგრარული პროგრამა. არჩილის შემდეგ ქვეყანაში წარმოუდგენელი ცვლილებანი მოხდა. ახალმა მეცნიერებამ, ახალმა ეკონომიკურმა პირობებმა, ახალმა პოლიტიკურმა კვანძმა სულ სხვა სახე მისცა ჩვენს საქვეყნო გაცნობის საქმეს და ამიტომ არჩილის მსოფლმხედველობა უნდა შესწორდეს.

განა ეს სირცხვილია? თვით საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მასშტაბში მიუღებელია ბევრგან არჩილის მსოფლმხედველობა და დღეს ჩვენ სულ სხვა სიტუაციის წინაშე ვდგევართ. მაინც ძველით უნდა ვიაროთ? ეგ პარტიის სიკვდილი იქმნებოდა. და არჩილის ფილოსოფიის რევიზია ჩვენ დაგვაახლოებს ს.დ-ბთან, ნაბიჯს გადავდგამთ შეთანხმებისათვის. მეორე- ეგ არის ჩვენი აგრარული პროგრამა. ჩვენო აგრარული პროგრამა კარგი იყო მანამ ჩვენ მიტინგებზე დავდიოდით, მანამ ჩვენც და სოციალ დემოკრატებიც ვფიქრობდით სახელმწიფოს მიტინგებზე აგვეგო. მაგრამ ხომ ვნახეთ ეგ ასე შეუძლებელი ყოფილა. ჩვენც ხომ ბოლოს და ბოლოს მარად და მარად მიტინგების პარტია არ უნდა დავრჩეთ? მაშ თუ გვსურს სახელმწიფოს აგების დროს, მის მის ფორმის მიღების და დაცვის საქმეში არსებითი თანამშრომლობა გავსწიოთ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ სახელმწიფოს შინაარსი. და პროგრამა, აგრარული ნაწილი, ხომ ფურცელია სახელმწიფოს

შინაარსისა მის აგრარულ ნაწილში? ბ-ნო სოსიკო, გავკადნიერდები და გეტყვით, რომ ვერ იტყვით, ვინაიდან: მიწის სოციალიზაცია“ იმ სახით, რა სახითაც ჩვენ ეგ პროგრამა გვიწერია, ყოვლად უშინარსოა, არა რას წარმოადგენს თუ კი მიტინგურის თვალსაზრისით არ გადავსინჯავთ. აი, აქაც უნდა გადავამუშაოთ ჩვენი პროგრამა, შინაარსი მივსცეთ და სამინი სული ჩაუდგათ. ესეც გაგვიადვილებს საქართველოს სოციალისტური მოძრაობის გაერთიანებას. ამ რიგად, აშკარად აღიარება იმის, რაც თვითეული ჩვენთაგანის ნაკლია, ჩვენ შეგვაერთებს. ჩვენი გზა ჩვენი შეცდომების გასწორებაზე მიდის. ეს ჩვენს და ს.დ. უნდა გვესმოდეს თუ ჩვენ უფრო დიდი საქმე გვაინტერესებს, ვიდრე პირადულობა.

მეორე საკითხი ბ-ნო სოსიკო, ეგ ჩვენი სტიპენდიის საკითხია. ღმერთმანი უმადურობაში კი არ ჩამომართვათ, რომ მე თქვენ ერთხელ მადლობაც კი ვერ გითხარით იმ მფარველობისათვის, რომელსაც თქვენ ამ საკითხის დროს ჩემთვის გამოიჩინეთ. ბოლოს ტფილისიდან ისე წამოვედი, რომ არც კი გნახეთ, მაგრამ მე ასე მესმოდა, რომ მე საქმით უნდა დამემტკიცებინა, რომ უმადური არ ვიყავი. საქმით ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი სტიპენდია, ხომ მაინც თქვენ სახელთან არის დამოკიდებული და რომ მე სტიპენდიის სახელი არ გამემართლებინა, ეგ თავის თავად უმადურობა იქმნებოდა. პირიქით, თუ შევძლებდი ჩემს მოვალეობის ასრულებას, როგორც სტიპენდიანტი, მაშინ ეგ ის საქმე იქმნებოდა, რომელიც უფრო თამამად შემახვედრებდა თქვენთან. დღეს ეს საქმე სხვა რიგ წავიდა, ვიდრე მე ამას მაშინ ვფიქრობდი; საცაა ორი წელი შესრულდება რას მე გერმანიაში ვარ, ჩემი გამოცდები ჩავაბარე. ორი წერითი შრომა წარვადგინე და მეგონა მალ გამოცდის ბოლოსაც ჩავაბარებდი და ამ რიგად პირველი ჩემი ვალი მოხდენილი მექნებოდა. მაგრამ საქართველოს უკუღმართმა ბედმა სულ სხვა რიგ გადამაწყვეტინა და რომელი ქართველი სტუდენტი ყოფილა, რომელსაც თავის აკადემიურ მუშაობის შემაფერხებლად ეკონომიური დაბრკოლება არ გამოსჩენია. ეხლა ვიგებ, რომ 100 ფრანკის მეტი შეუძლებელია ჩვენმა მთავრობამ გაიღოს ჩვენზედ. თავის თავად ცხადია ბინაში, სადაც ფრანგ ინგლისელების ოკუპაცია ამ ფულით შეუძლებელია ცხოვრება. მაგრამ არც სხვა ქალაქშია შესაძლებლობა რომ გადავიდე. ამიტომ არ ვიცი ეხლა როდის იქმნება ბოლო სწავლის დასრულებისა. ასეთი კრიზისი ჩვენი სტიპენდიისა ამას წინადაც იყო, მაგრამ კოტეს პირით ის იყო თქვენგან გავიგე, რომ სწავლა არ დამეტოვებინა. მაშინ თქვენ მართალი გამოხვედით, ეხლა კი, ალბათ და კოტეც მწერს, რომ თქვენ ვერ გამოგიყვანიათ, თქვენ ან მთავრობას მართლა არ შეუძლია მეტი. ყოველ შემთხვევაში ასეთი სწავლის შეწყვეტა ახალი არ არი ჩემთვის, რომ ამან შემაშინოს...და ისიც უნდა ვსთქვა დღეის იქით, რომ ერთი საათიც ვერ გავჩერდე აქ, ეს ორი წელიწადი, ჩემთვის იმდენს ნიშნავს, რომ გადაჭარბებით არ იქმნებოდა თუ ვიტყოდი: მე აქ დავიბადე მეთქი და რომ ამ ორ წელიწადს მე თქვენ სახელთან მარად და მარად ვუკავშირებ, ამიტომ მიიღეთ ჩემი უმდაბლესი მადლობა და წრფელი სალამი.

თქვენი ჯ ვ. იოსელიანი

პარიზი, 27.10.22

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს ამხანაგს ბ-ნ სიმონ მდივანს სტამბულში

ბატონო სიმონ,

ამით მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ფული გადავუგზავნეთ ბატონს კ. გვარჯალაძეს თქვენთვის გადასაცემათ 530 (ხუთას ოცდაათი ფრანკი). თქვენი ნოემბრის ჯამაგირია 680 ფრ. აქედან

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა, 150 ფრანკი თქვენი ვალის დასაფარავად. გთხოვთ, დაადასტუროთ ფულის გადმოცემა.

პატივისცემით, ...

17. VII.1922

ძმაო სვიმონ,

გიგზავნით თანახმად ტელეგრამისა ა. დეკანოზის ხელით ათას ფრანკს. ეს ფული სრულ ავანსი იქნება, რადგანაც ჯამაგირი, თანახმად ხარჯთააღრიცხვისა, ახლა არ გეძლევა (ორი კვირის შემდეგ) და გეძლევა მხოლოდ დღიური. ეს სახლში იქონიე. მიღება ფულისა გთხოვთ დაგვიმოწმოთ.

ცნობათ მინდა შემოგითვალო, რომ გენ. გასჭენი, რომელიც ამერიკიდან დაბრუნდა, ვნახე და ბევრი ვეკამათე. ბანკის დირექტორის ნალაპარაკევს ცივი წყალი გადაასხა. სულ ერთია, გინდა თქვენთვის მოგვიწერია ხელი, გინდა ბოლშევიკებისათვის, სულ ერთია მუშაობა ჯერ არ შეიძლება. ვეჭვობ ამერიკელები და სხვები შეთანხმებას აპირებენ. იქნება რაიმე გაიგო ამის შესახებ.

კ. კანდელაკი

სოსიკო,

გუშინ წავიკითხე როდუნის წერილი. თავს იგდებს, ასახელებს მარგანეცსაც იმასაც, კი არ ამბობს, რომ საქართველოს ეკუთვნის, რომელიც არ შედის რუსეთში. ეს კაცი არ თანაგვიგრძნობს, ან არ სჯერა ჩვენი მომავლის. უთუოდ ნახე, დაპატიჟე, ჩააგონე, ის თურმე წიგნსაც კი ამზადებს ნეფთის შესახებ ....

30 იანვარი 22 წ. კონსტანტინოპოლი

ჩემო ძვირფასო სიმონ! დიდი ხანია შენთვის წერილი არ მომიწერია და პასუხიც მეტად დამიგვიანდა. მაგრამ ისეთი განსაკუთრებული მოსაწერი არ მქონდა, რადგან საქართველოს ამბებს საერთო ინფორმაციიდანაც გაიგებდი. ახალი საქართველოდან მაინც და მაინც ახალი არაფერია. ჩვენი საკუთარი ინფორმაცია აგერ სამი კვირაა არ მიგვიღია, ხოლო კერძო წყაროებიდან ხან დაუნდობელია და უფრო ხშირად კი უშინაარსო. საერთო სურათი ისევ ძველია, მაგრამ უფრო გაცუდებული: დარბევა ქართველი ერის, დევნა სოციალისტების, ფაქტიური გაუქმება ქართული ჯარის, საშინელი სიძვირე და უხეიროდ შეთითხნილი საბჭოები! სხვათაშორის თ. ღლონტი თბილისის საბჭოს კომიტეტის წევრია და იგი დელეგატადაც აირჩიეს საბჭოთა მე-9 ყრილობაზე. ერთი სიტყვით, ამ უღირს რენეგატს პატივს არ აკლებენ!..

მაგრამ მე დღეს საქართველოს მდგომარეობაზე კი არ მინდა ვილაპარაკო, არამედ ამ მდგომარეობის შეცვლაზე. ე. ი. საქართველოს განთავისუფლებაზე. როგორც ხედავ, აგერ ერთი წელიწადი სრულდება, რაც რომ ბოლშევიკებმა ჩვენ დაგვიპყრეს და ჩვენი განთავისუფლების საკითხი

არამც თუ არ მოახლოვებულა, არამედ თითქო კიდევაც უფრო დაგვშორდა. ეს, რასაკვირველია, ფაქტიურად ასე არ არის, მაგრამ ცხადია, რომ მრავალი ახალი ფაქტორი ერთგვარად ართულებს და თითქოს კიდევაც ანელებს საქართველოს განთავისუფლების საკითხს. ერთი რამ სრულიად აშკარაა: ევროპა ისეთ ხანაში შევიდა, რომ მას უხდება ბოლშევიკურ რუსეთთან მორიგება და ამიტომ შეიარაღებულ ინტერვენციაზე ის აღარც ფიქრობს. ევროპას კარგად ესმის, რომ ბოლშევიზმა სრულიად დაკარგა თავისი შინაარსი, რომ მხოლოდ მისი ფორმა დარჩა და ევროპა ცდილობს ამ ფორმის დამორჩილებას და მის გამოყენებას თავისი ინტერესების მიხედვით და რადგანაც რუსეთში ვერცერთი მთავრობა ვერ იმდენ დათმობას, რადგანაც ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავს რუსეთის სხვებზე დაგირავებას, რადგანაც-ერთი სიტყვით-ვერავინ გარდა ბოლშევიკებისა ვერ შეძლებს ასე უპასუხოს ვაჭრობას, ბურჟვაზიული ევროპაც აღარაა მაინც და მაინც დაინტერესებული ბოლშევიკების დაცემით. ეხლა ბურჟვაზია ბატონყმურ ინტერვენციაზე და რუსეთის ეკონომიკურ ოკუპაციაზე ფიქრობს და ამიტომაც იგი იმდენად ურიგდება ბოლშევიკებს, რამდენადაც ისინი ბურჟვაზიას ასეთი ინტერვენციის და ოკუპაციის შეძლებას აძლევს. საურთიერთაშორისო და საერთაშორისო დამოკიდებულებაში სენტიმენტალიზმს არასოდეს არ ქონია გადამჭრელი მნიშვნელობა და ჩვენც აქ თავი არ უნდა მოვიტყუოთ. ბურჟვაზია ყველაფერს შეურიგდებატერორს, შიმშილს, ტირანიას, კაციჭამიობას, - ოღონდ კი მან შესძლოს რუსეთში საკუთარი ავტონომიური პოლიტიკის წარმოება და თვისი კაპიტალის გაზრდა! საკითხი მხოლოდ იმაშია, რამდენად შეძლებს ბოლშევიკური მთავრობა ასეთ თავისუფალი ეკონომიური მოღვაწეობისათვის შესაფერისი პირობების შექმნას. აქტიურად მხოლოდ მაშინ შეებრძოლება იგი ბოლშევიზმს როცა დარწმუნდება, რომ ბოლშევიკური მთავრობა რეალურ ეკონომიკურ გააქტიურებასაც ვეღარ იძლევა. მაგრამ ამაში იგი ხვალ დარწმუნდება და დღეს კი ცდილობს ბოლშევიზმთან შეთანხმებას და რუსეთის დამორჩილებას ბოლშევიკების საშუალებით.

ამნაირად დღეს ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე, ენერგია და სიფხიზლე გვმართებს. ზედმეტი ილუზიები არ უნდა დავამყაროთ ევროპის აქტიურობაზე ჩვენს საკითხში და რაღათქმა უნდა, დროა გამოვემშვიდობოთ იმ ოცნებას, თითქოს ევროპა მოგვცემს იარაღას და საშუალებას ბოლშევიკებთან საბრძოლველად. როგორც ხედავთ, მე თითქოს გავპესიმისტდი! მაგრამ ეს ასე არ არის, მე მხოლოდ აღვნიშნავ შეცვლილ პირობებს და ვამბობ, რომ ჩვენი საკითხი გართულდა, მაგრამ მე არამცთუ არ გავპესიმისტდი; არამედ მეტი ოპტიმისტი ვარ, ვამბობ რომ ეხლა მეტი მუშაობა და მეტი თავდადება გვინდა. რადგანაც საქართველოს მძიმე და ეკლიანი გზით მოუხდება სიარული. მაგრამ ამასთან მე დავსძენ: არ არის საჭირო ზედმეტი ილუზიების დამყარება ევროპაზე, თანდათან მუშაობის სიმძიმის ცენტრი ჩვენ ქვეყანაში უნდა გადავიდეს და ჩვენმა ხალხმა თავისი აქტიურობით უნდა დაანახოს ევროპა, რომ საქართველოს სურს თავისუფლება და რომ იგი იბრძვის ამ თავისუფლებისათვის. ეს იქნება ევროპისათვის უდიდესი არგუმენტი და ამას ის ანგარიშს გაუწევს. მაშასადამე, მთელი საკითხი თვით ქართველ ხალხზეა მიმართული. ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა სთქვას- ურიგდება იგი ბოლშევიზმს და უარს ამბობს თავის თავზე; - თუ იგი სავსებით უარყოფს ბოლშევიზმს და მის დასამხობად მზად არს მსხვერპლი გაიღოს. სწორედ ეს არის უდიდესი საკითხი და მე ყველაზე უფრო მისი გარკვევა მაინტერესებს. თუ მართლა ჩვენი ხალხი იმდენად სუსტი, უძარღვო და უშინაარსოა, რომ იგი ურიგდება მოძალადე ოკუპანტებს და ამით საკუთარ ვინაობას უარყოფს- მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმის?! დაგვრჩენია მხოლოდ მაგრად შეგინება, ამ ბრუდე წუთისოფლის დაწყევლა და საკუთარი პირადი გზის გამოძებნა. მართალი გითხრა - მე „ძალით შეჭრის“ წინააღმდეგი ვარ!.. მაგრამ თუ ქართველ

ხალხს სწამს თავისი თავი, თავისი დამოუკიდებლობა, თავისი წარსული, აწმყო და თავისუფალი მომავალი - იგი აირჩევს ბრძოლის გზას და ჩვენც სიამოვნებით, აღტაცებით ჩავებმებით ამ ბრძოლაში! შენ იქნებ კიდევაც გაგიკვირდეს, რომ მე ასე ვაყენებ საკითხს და იფიქრო, რომ მე ძირითადი საკითხების გადასინჯვას ვიწყებ, რომ მე საშიშ რყევას შევუპყრივარ, სრულიადაც არა ჩემო საყვარელო სიმონ! მე მხოლოდ მინდა ჩვენი საქართველოს ნამდვილი გულისცემა; და ჭკვიან „თუს“ ვხმაროობ, არა იმიტომ რომ მე თვითონ არა ვარ გარკვეული არამედ იმიტომ, ამ საკითხის გარკვევას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. შენ ვერ წარმოიდგენ როგორ თანდათან ძვალში და რბილში მიჯდება სიყვარული საქართველოსადმი და როგორ მიყვარს მისი დაკოდილი გული, როგორ შევხარი მის მომავალს! მაგრამ ხანდახან მძიმე ეჭვი მოიცავს გონებას: ვაი თუ 2000 წლის ტანჯვითი ისტორიამ და მუდმივმა გასისხლიანებულმა ძალადობამ გასტეხა ქართველი ხალხი?! ვაითუ მთელი თავისი ეროვნული ნება თავისი და ენერგიის საუნჯე მან ამოსწურა და დაჰკარგა თავისი ხანგრძლივობა ეკლით მოსილ ისტორიის მანძილზე. და მაშინ მე სასოწარკვეთილებაში ვვარდები... მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი, რადგან მე ამ 4 წლის განმავლობაში გავიცანი ჩვენი ხალხი. მკვახე ის მრავალ გაჭირვებაში და შევიყვარე მისი ბუნება და მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხი ვერ შეურიგდება ბოლშევიკებს და იგი მზად არის ბრძოლისათვის და ჩემ ამ რწმენას ამტკიცებენ ყველა ფაქტები, რომლებიც დამონებულ საქართველოდან მოდის, მაშასადამე ქართველი ხალხი მტკიცედ სდგას თავის პოზიციაზე და სწამს თავისი ეროვნება. იგი გატეხილი არ არის და მზად არის ბრძოლისათვის საჭიროა ჩვენ თვითონ არ გავტყდეთ, ჩვენ არ მოვიშალოთ, რომ ამან საგონებელში არ ჩააგდოს ჩვენი ხალხი. ჩვენი ხალხი მეტად ჭკვიანი, დაკვირვებული და მასთან მგრძნობიარეა, იგი ყოველთვის აკვირდება თავის ბელადებს და მათ სახეზე ცდილობს სიმართლის ამოკითხვას და ვინ იცის როგორ წავიდოდა ჩვენი უკანასკნელი ომის ბედი, რომ ჩვენს ხალხს ჩვენს სახეებზე ამოეკითხა მტკიცე იმედი და სრული ნებისყოფა?!... ეხლაც ხალხი ჩვენს სახეებზე კითხულობს და აქ მან მხოლოდ იმედი და გამარჯვება უნდა ამოიკითხოს! და ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა შევალიოთ ამ ხალხის კეთილდღეობას და თუ საჭიროა მსხვერპლადაც შევეწიროთ. ამასთანავე ჩვენს ხალხს უყვარს რომ ზოგი მისი ბელადი მასთან იყოს და მასთან გაიზიაროს მისი ჭირიცა და ლხინიც, და რადგანაც დღეს მას მხოლოდ მარტო ჭირი დარჩენია იმიტომ საჭიროა ამ ხალხთან ყოფნა... ამიტომ დადგა დრო როცა ზოგი ჩვენთაგანი ვინც აქ დიდ პოლიტიკურ მუშაობას არ ეწევა, უკან წავიდეს და ხალხს დაუბრუნდეს... მაგრამ ამაზე შემდეგ... მე ვამბობ რომ ეხლა ჩვენ ორნაირი მუშაობა უნდა გავაძლიეროთ: უცხოეთში და ჩვენში. უცხოეთში როგორც ბურჟუაზიულ ისე განსაკუთრებულ სოციალურ წრეებში. მე დარწმუნებული ვარ, თუ მუშებმა უფრო ენერგიულად დაგვიჭირეს მხარი- ბურჟვაზიული პოლიტიკოსები ჩვენ დაგვიცავენ, ჩვენში კი უფრო უნდა გავაცოცხლოთ და გავამთლიანოთ მუშაობა, ნაცვლად პარტიული საზომისა უნდა ავიღოთ ეროვნული საზომი, ამასთან ჩვენ მუშაობას მეტი აქტივიზმი უნდა ახასიათებდეს, მაგრამ უიმედობა იმაშია, რომ თითქოს ყველა აქტიური ელემენტები ციხეშია და გარეთ ცოტა დარჩა მომუშავე, ამიტომ მემგონი დადგა დრო როცა ზოგიერთი აქედან უკან უნდა დავბრუნდეთ სამუშაოდ. ეს უდავოა, მაგრამ უკიდურესობა იმაშია, რომ ჩვენ ჯერაც არ გვაქვს უკან დასაბრუნებელი, საჭიროა თქვენც დატრიალდეთ მანდ, კერძოდ შენც შეეცადო ანგორას დათანხმება, რომ გზა მოგვცეს. შენ კარგი კავშირები გაქვს ანგორელებთან და მემგონი ამაში ბევრის გაკეთება შეგიძლია იცოდე ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. შენ ალბათ დაესწრები პარიზის ინტერპარტიულ კონფერენციას და მე დარწმუ-

ნებული ვარ რომ თქვენ შეთანხმებას მიაღწევთ და მართლაც გაერთიანებული ფრონტით მოგვიხდება ბრძოლა. ეს პარტიული კინკლაობა მოუკვლელ დათვის ტყავის დაყოფაა. მართალი გითხრა ჩემზე მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ხანდახან იჭვები გიპყრობს და გგონია, რომ ქართველი ხალხი ვერ არის საკმარისად მომწიფებული და თავდადებული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში... ნუთუ ამ საშინელ ეროვნული ტრადიციის წინაშე, როცა სასწორზე დევს საქართველოს მთელი მომავალი, ჩვენ ვერ გამოვძებნით საერთოს და მართლაც პატრიოტულ ენას?! ნაციონალ დემოკრატებიდან აქედან ლელი და რეზო მოდიან. ორივე, განსაკუთრებით კი ლელი შეთანხმების დიდი მომხრეა. აქ ერთი ვერაგი მუხლი უნდა გაგახსენოთ: ნაციონალ დემოკრატები მოითხოვენ შეთანხმებაში ჩაიწეროს: „გაუქმდეს გვარდია“, - ჩვენ კი გვსურს ჩაიწეროს: შეიქმნას ერთი სამხედრო ძალა. ამ მუხლს მე მიტომ კი არ ვაქცევ ყურადღებას, რომ გვარდიელი ვარ, არამედ იმიტომ, რომ გვარდიის ასეთი მოხსენიება მხოლოდ გვავნებს, რადგანაც ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს იმ მრავალ გვარდიელზე, რომლებიც დღესაც მუშაობენ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ჩვენ რომ ერთმანეთს შორის ანგარიშს გასწორება არ გვაინტერესებს, ჩვენ გვინდა მხოლოდ პრინციპებში შეთანხმება და ჯარის ერთი სიტყვა არის სწორედ ასეთი პრინციპული შეთანხმება, მხოლოდ ამაში მე დამეთანხმეთ, იმედია ამის საწინააღმდეგო შენც არაფერი გექნება.

სხვა მაქეთ ახალი რა არის, გავიგეთ რომ ნოე იტალიაში წასულა და ირაკლი ლონდონში, ეს ძალიან სასიამოვნოა. სწორედ ეხლა უნდა დავკაპიწდეთ და მუშაობა არ უნდა დავიზაროთ. ადრე თუ გვიან გამარჯვება მაინც ჩვენი იქნება. საჭიროა გული არ გაგვიტყდეს და ენერგია არ მოგვაკლდეს რაც გინდა სთქვი- მაგრამ რუსეთს დანგრევა არ აცილდება. რუსეთის ეკონომიური აღსდგენა ზღაპარია, ხალხში შიმშილი, ნგრევა და კაციჭამობა ფაქტია და ეს ფაქტები ჩვენი საუკეთესო მაკავშირებელია. მე თითქოს შენ გამხნევებ, მაგრამ ამით ჩემ თავსაც ვამტკიცებ. მე ერთ რამეს ვფიქრობ: საქართველოს თავისუფლება მძიმე და დიდი ბრძოლების შემდეგ იქნება და ამიტომაა რომ მე მინდა დავბრუნდე საქართველოში და თქვენ ამაში ხელი უნდა შემიწყოთ... და თუ მე სინდისის სასოწარკვეთილება მიტაცებს ეს არასაკმარისია,- დროული და წარმავალია, სასოწარკვეთილებისთვის ხანდახან მცირე მიზეზებიც საკმარისია; თუ გინდ ის, რომ ჩვენი „ეროვნული ბურჟვაზია“ გროშ კაპიკს არ იღებს საქართველოს თავისუფლებისათვის და ეგრეთვე ის რომ ჩვენი უცხოელი სტუდენტობა ყურსაც არ იბერტყავს და არ ცდილობს საქართველოში დაბრუნებას სამუშაოდ. ჩვენ დროს უფრო მეტი ენთუზიაზმი და აღფრთოვანება იყო, ახლა ხალხმა უფრო მეტი ანგარიში ისწავლა.

წერილი გამიგრძელდა და თანაც ამერ-დამერია, მაგრამ შენ მაინც მიხვდები ჩემ სულის კვეთებას.

მომიკითხე მაქაურობა, იყავი კარგად.

შენი ვალიკო

სიმონ მდივნის წერილები

25/VI/22წ.
სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

ამ თვის ოცდასამს, ნაშუადღევს, 3 საათზე ჩამოვედი გააგში. მ.სხირტლაძის ძებნაში მოვანდომე მთელი დღე. 24-ს საღამომდის ვერას გავხდი, რადგან ბინათ სასტუმროში არ ყოფილა. საღამოს შემთხვევით ქუჩაში შევხვდი. აღმოჩნდა მეზობლათ ვყოფილვართ. აწი კი ერთად ვიქნებით. ვინახულე დეკანოზოვები და მათი შემწეობით მოვძებნე ბინა. სიძვირე საშინელია. გოლდენი ღირს თითქმის ხუთი ფრანკი. ჩემს რეორგანზაციის და საზოგადოთ ქართული მარგანეცის მრეწველების შესახებ ცნობებს სოლომონ წერეთელი გადმოგცემთ. სოლომონი უკვე მანდ არის, გუშინწინ წამოსულა. დეკანოზოვების სიტყვით ჩემი ადგილობრივი აგენტები-გოლანდიელები ძლიერ მაგრათ იცავენ ჩვენ პოზიციას, არავითარი ნდობა არ აქვთ ბოლშევიკებისადმი, გოლანდიის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოსთხოვენ ნაციონალურ მთავრობას მხარი დაუჭიროს. სამაგიეროთ შეელის მონაწილე ადგილობრივი მრეწველები, როგორც ეტყობათ, ჩვენი წინააღმდეგნი არიან. ამჟამად, როგორც ამბობენ, პოლკოვნიკი ბოილიც აქ არის. თუ მოვახერხე ვეცდები ამ ჯგუფის წევრები ვინახულო. კონფერენციის მუშაობა დიდი საიდუმლოებით არის მოცული. პრუსიის წარმომადგენლები ცუდ გუნებაზე არიან. რუსების დელეგაციის ან წილი აქ არის. ნაწილსაც დღეს მოელიან. გამომიგზავნეთ ნავთის ექსპო (აზეირბაჯანის).

პატივისცემით,
ს. მდივანი

26/VI/22წ.
სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

დღეს ვინახულე ჩვენი ძველი გენუელი მეგობრები. ჩარკეი, რაკი, მორინგი პოსტის და სტამბის თანამშრომლები, ნეშანოვი და სხვები. პრუსის ბიუროსაც ვეწვიე. ადგილობრივ პრესასთან, ვფიქრობ, ხვალ მოვახერხებ კავშირს.

დელეგატთა შორის ვინახულე საფრანგეთის ექსპერტი გრაფი შევინი, ვიყავი ურკვარტთან, მაგრამ ლონდონში წასულა და ხვალ ჩამოვა. ვნახე პუსტა, სხვებთან შემდეგ ვიქნები.

პირველი შთაბეჭდილებები, რომელიც მივიღე ზემო ჩამოთვლილ პირებთან ბაასით შემდეგია:

დელეგატების შემადგენლობა:

ინგლისის. ამათ შორის საინტერესო იყო ურკვარტის პოზიცია, დღემდეს ასე ვიცოდით, რომ ინგლისის სიტის წარმომადგენელთა შორის ურკვარტი ერთად ერთი იყო, რომელიც იზიარებდა ჩვენს აზრს ბეკების შესახებ და იცავდა კავკასიის დამოუკიდებლობას. აქ კი დღეს სულ სხვა ცნობები მივიღე. ურკვარტი გადაჭრილათ ემხრობა ლოიდ ჯორჯის აზრს. სხირტლაძემ დამიმოწმა, რომ ურკვარტმა ორჭოფობა დაიწყო მომხრეა ბოლშევიკებთან ხელშეკრულების არ დადებისა და მუშაობისა. დანარჩენი დელეგატები სავსებით იმ აზრისა არიან, რასაც გენუაში ლოიდ ჯორჯი იცავდა.

იტალიის. ესენი უფრო შორს მიდიან, თავის შეფის პირით მოითხოვენ კრედიტის მიცემას და სხვა.

ბელგიის. ჩვენდა სამწუხაროდ ბელგიის დელეგაცია შედგენილია როიალ დოიჩისა და მისი მოკავშირე ბანკების ზეგავლენით. კურტიე შეფი დელეგეციის ინგლისელების კაცი ყოფილა, ბეკებთან მუშაობის არ დაწყების მომხრეა. სხირტლაძემ შემპირდა...

საფრანგეთის. როგორც ზევით გწერთ, გავიცანი გრაფი შევინი, ჩემთან ბაასის დროს და დიდი სიმტკიცე გამოიჩინა. კრედიტს არ მივცემთ, არაფერი არ გამოვა და სხვა ასეთი. დანარჩენებიც მაგრათ დაიცავენ საფრანგეთის პოზიციას, მაგრამ ყოველივე ამას ეჭვებიც თან ახლდა. ამის შესახებ ქვევით მოგახსენებთ.

იაპონიის. ესენი საფრანგეთის პოზიციის მხრეს უჭერენ საბერძნეთის. დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე ჩამოვიდნენ: ლიტვინოვი სოკოლნიკოვი (ბრილაინტი (ნამდვილი გვარია მისი) და კრესტია რაკოვსკი. 6 საათზე ლიტვინოვმა დეკლარაცია გაუკეთა. ამ დეკლარაციას გაზეთებში წაიკითხავთ. შთაბეჭდილება ასეთი იყო, რომ თუ კრედიტის მომცემთ, ყველაფერს დაგითმობთო.

დანარჩენ სახელმწიფოთა დელეგატებზე ვერას გწერთ, რადგან ამჟამათ საკმაო ცნობები არ მაქვს.

ამ რიგათ, ინგლისელები, იტალიელები, რუსები შეთანხმებასთან ძლიერ ახლოს არიან. როგორც ეტყობა, ბელგიელებიც თან გაყვებიან, როგორც ისე პირწავარდნილათ, როგორც გენუაში, აღარ თხოულობენ კერძო საკუთრების აღდგენას. მზათ არიან მიიღონ სასყიდელ ან თავისივე საკუთარი აიღონ გრძელ ვადიანი იჯარით. თუ ბელგიის დელეგაციას დღევანდელი შემადგენლობა დარჩა, რასაკვირველია, ყოველივე ღონეს იხმარს შეუთანხმდეს რუსებს, დარჩა განზე ფრანგები და იაპონელები. გრაფი შევინი თავს ინუგეშებს დღეს იმით, რომ არც ერთ ევროპელ სახელმწიფოს უსახსრობის გამო არ შეუძლია სესხის გაცემა. მაგრამ მას შიში აქვს, სხვებიც ამას გაიძახიან, რომ შესაძლებელია კერძო პირებმა ავანსის სახით კრედიტი მისცენ, ამ მხრივ მართლაც საქმე რთულათ არის, ვინემ გენუაში იყო. შელილი და მისი დამქაშები სრულიად მოურიდებლათ და ახდილად ვაჭრობენ მათთან. ექვსი დღეა იოფე და პოლკოვ. ბოელი აწარმოებენ მოლაპარაკებებს როტერდამში ნავთის შესახებ. ამავე დროს იქ იყო ჯანინი(იტალია) ახალი პროექტი ბოლშევიკებმა შეიმუშავენ, ეს პროექტი წაიღო ლონდონში, სადაც ამ დღეებში მივა შანცერიც, ხვალ ან ზეგ ბოელი და იოფე აქ ჩამოვლენ. პოლკ. ბოილს განუცხადებია, რომ იმედი გვაქვს ბოლშევიკებთან შეთანხმების. როდესაც მას კითხეს რათ გინდათ ბეკების კონცერნი და მუშაობას ხომ მაინც ვერ შესძლებთო, მან უპასუხა, ოღონდ კონცესხიები ავიღო და შემდეგ კიდევ ხუთი წელი შეგვიძლია მოვუცადოთ მუშაობის პირობების დამყარებასო., როგორც ხედავთ ნავთის საკითხი აქ უფრო აქტუალური, ვინემ გენუაში იყო. ამ საკითხის გადაჭრაში ღიად მიიღებენ მონაწილეობას გოლანდიელი კომპანიები შელილის ამ ფირმის აპარატიც აქ არის. თუ ეს საკითხი მართლაც ასე დაბოლავდება, მაშინ კრედიტის საკითხიც გადაიჭრება, რადგან ნავთის კონცერსში რუსეთს გაუხსნიან კრედიტს, რომლის შესახებ დღეს ასე მედიდურად აცხადებდა ლიტვინოვი. სანამ კრედიტის სახეს არ დავინახავ, მანამ დათმობაზე და გარანტიებზე ლაპარაკი არ მექნება. აშკარა, რომ კრედიტის საკითხის შემდეგ აუცილებლათ დაისმის საკითხი ბეკების იურიდიულად ცნობისა, რადგან შელილი იქნება თუ სხვა რომელიმე ფირმა მისთვის თავისი მთავრობის ცნოს ბეკები იურიდიულათ რათა სესხი მიეცეს ცნობილ მთავრობას.

ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ გაგაში თავმოყრილი ხალხი ექსპერტების წოდებით პოლიტიკურათ პასუხისმგებელი არ არიან, მაგრამ მათ შეუძლიათ საკმაოთ მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღონ, დამერწმუნებით, ამჟამად მდგომარეობა ჩვენი საკითხისა სერიოზულია. არ ვიცი, შეიძლება შემდეგ, შუაგულ მუშაობის დროს კიდევ აღმოჩნდეს ჩვენდა საბედნიეროთ ისეთი რამ, რაც გააგას გენუაზე უარეს ამბავს მოწევს, მაგრამ სიფრთხილეს ტავი არ სტკივა, ამიტომ ჩემი გადაჭრილი აზრია, რომ აკაკი ჩხენკელი და ტოპრიბაშევი დაუყოვნებლივ ჩამოვიდნენ. მართლაც, პოლიტიკურ საკითხზე მათ ბაას არავინ დაუწყებს, მაგრამ მათი ჩარევა ნავთის საკითხში, როგორც პოლიტიური პირების სასარგებლო იქნება. ეგებ ამან შესძლოს განელება იმ დაჟინებულ სურვილის, რომლის სენი ინგლისელების ზეგავლენით გოლანდიელბსაც ელოდება. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ზომების მიღება. ადვილათ შესაძლებელია არაფერი გამოვიდეს ასეთი მცდელობისგან, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ, რასაკვირველია, ეს ფრიად ხარჯს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, აშკარაა მე მაინც მოვითხოვ მათი დაუყოვნებლივ ჩამოსვლას.

როგორც ზევით გწერდით, ადგილობრივ პრესაში ხვალ დავიწყებ მუშაობას. ჯერ ვიპოვე კავშირო ბურჟვაზიულ პრესასთან. მოვათავსებ ინტერვიუს სახით, საჭიროა ინფორმაციის შემდეგ სოციალისტებთან მივალ.

ჩარკეიმ ტელეგრამა გააგზავნა ამერიკაში რომ ჩვენც აქ ვართ და მოვითხოვთ არავითარი კავშირი არ დაიჭირონ ბეკებთან კავკასიის საკითხში, ამერიკის პოზიცია საუკეთესო პოზიციათ მიგვაჩნია და სხვა.

საფი და სხვებიც მზათ არიან ხელი შეგვიწყონ ჩვეულებრივათ.

ახალი ამბავი-სვოლებოლევს „...“ უთხრეს ბოლშევიკებმა.

ველი სიჩქართ თქვენს პასუხს

28.VI.22წ

ძვირფასო აკაკი, ამ წერილს გააგიდან გწერ. ჩემი ახლო მომავალი მოქმედების გეგმაში არ შედიოდა აქეთკენ მოგზაურობა თვალი თქვენსკენ მეჭირა. როგორც გწერდი არ ვარ კარგათ, მინდოდა გესლთან ახლოს სადმე, იაფასიან კურორტზე მოვხედროდი მიექიმა კიდევაც. აქეთკენ წამოსვლით ამჟამად, როგორც ყოველთვის, ჩემი პლანები დაინგრა, თუმცა სურვილი კიდევ შემრჩა და აქ მუშაობის გათავების შემდეგ წამოვალ, თუ...

წინა წერილში გთხოვდი მოხსენებას გენუის შესახებ, როგორც ხედავ ასეთი მოხსენებს გამოგზავნა არ მოხერხდ.ა ჯერ ერთი მეგონა, ფულის მიღების შემდეგ პარიზში ჩამოირბენდით, მეორეც ისაა, რომ თუ შენ არ ჩამოხვიდოდი, მე მაინც გერმანიაში ვიქნებოდი და მაშინ შეგეძლოთ ერთად თავისმოყრა. აქ შეგვეძლო ერთად გადაგვეწყვიტა თუ რამდენათ შესაძლებელი იყო პესიმისტური მოხსენების გაგზავნა ციხეში დამწყვდეულ ამხანაგებისათვის. მოხსენება კი ასეთი უნდა ყოფილიყო, რადგან გენუამ შეუნგრეველი კედელი აღმართა ჩვენ წინაშე-ინგლისისა და მისი დღევანდელი ხელმძღვანელის სახით. კოტე კოხსიძემ და მე ვარჩიეთ პირადი მოლაპარაკება თქვენთან და შემდეგ, თუ საჭირო იქნებოდა მოხსენების გაგზავნა საქართველოში. როგორც ზევით გწერ, ჩემი სურვილი ძალაში რჩება, აქედან დაბრუნების შემდეგ წამოვალ თქვენსკენ, გენუას ამბავს გაგაცნობთ დავუმატოთ და სიე გავგზავნოთ. აქ მუშაობა დაიწყო გუშინ რუსებთან. ცდას აქაც არ დავაკლებთ. ამჟამდ მე მარტო ვარ, გამოვიწერე აკაკი ჩხენკელი და

ტოპჩიბაშევი, ვინაიდგან ინგლისელებთ ბაქოს ნავთს და ჩვენ ... არ ეშვებიან. მგონია ამ დღეებში ჩამოვლენ. როცა ცოტა ოდნავი საქმე გამოირკვევა მოკლეთ გაცნობებ საქმის ვითარებას. რაქნი ჩემი საქმის შესახებ? ხელზე აკოცე თამარს. მომიკითხე ამხანაგები.

28.VI.22წ
სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

გიგზავნით ბანდეროლით გაზეთს, სადაც მოთავსებულია ჩემი ინტერვიუ, ერთი მათგანი გააგაში გამოდის, მეორეც ამსტერდამში. დამრჩა როტერდამის ფრიად გავლენიანი გაზეთი „როტერდამიშეკურან.“ ხვალ მინდა მისთვის ამოვკრიბო მასალები კ. კანდელაკის უკანასკნელ ექსპოზედან. გააგაში არის კიდევ ორი საკმაოდ გავლენიანი გაზეთი, იმედი მაქვს, მათაც ამოვაღებინებ ხმას ჩვენდა სასარგებლოთ. ნიადაგი მუშაობის უეჭველად არის. გოლანდიის ორესა მაინც და მაინც არ წყალობს ბეკებს.

სოციალისტებთან ჯერ უკაცრავად ვარ. ტრულსტრას ნახვა არ მოხერხდა, ვერ დავიჭირე. არ მოვეშვები, სანამ არ ვნახავ. სოციალისტების პრესისათვის შენახული მაქვს საერთო ინტელიგენციის და კერძოდ ჩვენი ამხანაგების დაჭერის ამბები.

უცხოეთის პრესის წარმომადგენლებში ამერიკელები ჭარბობენ. სულს ღაფავდნენ უმუშევრობით. ალბათ ამის გამო ჩემი ინტერვიუ კაბელით გადასცენ ცნობილ ამერიკულ გაზეთებს. ბეკების ჩამოსვლამ ცოტაოდენი სიცოცხლე მისცა მათ მუშაობას. კარგი იქნება, თუ ზურაბს „რაღაცას“ დააწერინებთ და გამომიგზავნით. თუ ამ სიკეთეს იქნს, დააჩქაროს ოღონდ. ვაძლევ სიტყვას, მის წერილს მოვფენ, როგორც ამერიკას, ისე გოლანდიას.

გუშინდელ “I Temps” -ის ნომერში წაიკითხავდით როლენის წერილს. იმედი მაქვს, ეხლა უფრო დამიჯერებთ, რომ მე მართალი ვიყავი წინა ჩემ წერილში. დღეს მქონდა შემთხვევა როლენი მენახა პირველად. ძლიერ ცუდ გუნებაზეა. ამბობს, რომ სამ დღეში გაზეთში იქნება მისი მეორე წერილი, იმავე კილოს და შინაარსის. თუმცა უფრო მაგრად დაწერილი. ყველას კონფერენციის გარეშე მყოფთ (მათ შორის მეც) ის კლავს, რომ სასახლეში რაღაც სამარისებური სიჩუმეა გამეფებული. ოფიციალურ ცნობებს ძუნწათ იძლევიან, ისიც რამდენიმე სტრიქონს. ამ სიჩუმის ზეწრის ქვეშ ყველანაირი ბნელი საქმენი მზადდება. ამგვარი საქმეების შესახებ მრავალი ცუდი ხმებია. ეს ხმები განსაკუთრებით ცუდია ჩვენთვის. დღეს, მაგალითად, როლენმა მითხრა და სხვებიდანაც გავიგე, შელილი და მისი ჯგუფი ერთის მხრივ და ამერიკელი სტან. იოლი, მეორეს მხრივ შეთანხმებულან მთელ სოფელიოში ნავთიანი ადგილების გაყოფით. „რუსეთის“ ნავთი შელილს ხვდა წილად. კრესტინსკის თუ დავუჯერებთ (ნემანოვს ელაპარაკა დღეს) შეთანხმების პირობა მათ შორის უკვე დაწერილია. იმავე კრესტიანსკის გადმოცემით, ურკვარტი საბოლოვოდ მოუნადირებიათ ბეკებს რუსეთში და კავკასიაში ყოფილი მისი საკუთრების და წარმოების მისთვის დაბრუნებით. (ურკვარტს კლიანუს რუსული შრიფტით) ასე დაუსრულებია კრესტიანსკის თავისი სიტყვა). რასაკვირველია, ეს ორი გარემოება მათ ძლიერ ახარებს, თან იმედს აძლევს, რომ გააგაში საქმეს სასურველად დააბოლავებენ არაერთი (ყველა სახელმწიფოებთან ერთად) შეთანხმებით, არამედ კერძოდ ცალცალკე სახელმწიფოებთან, პირველ რიგში იტალია ყავთ, შემდეგ ინგლისი და ასე. ამას, მათის აზრით, ხელს უწყობს ლიტვინოვის მაგარი ენა და სიმტკიცე,

რომელიც ვითომცდა მან გამოიჩინა პირველ სხდომაზე. „ეს ჩიჩერონი არ გახლავთ“ რა ვქნათ, ჯერ-ჯეროზით, როგორც სჩანს გადის მათი ბაქი-ბუქი!

ბელგიის დელეგაციის სეფი გუშინ დაიბარეს ბრიუსელში. დღეს უკვე დაბრუნდნენ სხდომაზე, აღმოჩნდა, რომ ბელგიის დელეგაცია ისევ დაუბრუნდა ძველ გზას (გენუის). არ დარჩა სხირტლაძის პატრონების ტელეგრამები უშედეგოთ (დღეს კვლავ გააგზავნეს ტელეგრამები შელილის და სტან.იოლის შეთანხმების სესახებ) უფრო მეტი გავლენა ბელგიის მთავრობის და მისი დელეგაციის შებრუნებაზე, თუ ეს საბოლოვოა, რასაკვირველია ქონდა ვანდერველდეს პირად მოხსენებას, რომელიც მან გაუკეთა მთავრ. თავჯდ. ტენის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. ვანდერველდეს აზრით ამჟამად საბჭოთა მთავრობა რუსეთში ძლიერია, მაგრამ ლენინის წასვლამ დიდი ბრძოლა გამოიწვია თვით პარტიაში. ჯერ გამარჯვებულია მემარცხენე ფრთა, ოღონდ ბრძოლა არ დამთავრებულა. ამ ბრძოლას მოყვება უეჭველად პარტიის დაშლა და დაცემაც. ამიტომ ვანდერველდე ურჩევს მთავრობას თავი შეიკავოს და ბეკებტან ელსეკრულების დადება გადადოს.

ბეკებმა მოითხოვეს პირველად შეკრებილიყო კომისია კრედიტისა. ეს მოთხოვნილება მათ შეუსრულეს. კრება დაიწყო გუშინ, დღეს იყო გაგრძელება, ინგლისის წარმომადგენლებმა პერსონალურად განაცხადა, თუმცა მიკიბულ-მოკიბულათ; რომ შესაძლებელია მოგცეთ მოსთხოვეთ გეგმა რუსეთის აღდგენისა და ბიუდჟეტი. ბეკებიც დაპირდნენ წარადგინონ პირველი პარასკევს, ხოლო მეორე სამშაბათს.

ბერლინერ ტაგებლატის თანმშრომელი შეფფერი ვნახე დღეს. ყურ ჩამოყრილი. სპალოს ხელშეკრულების ენთუზიაზისტი აღარ არის. ბეკებმა ჩეხ სლოვაკებს და იტალიელებს უკეთესი პირობების მსიეცნ. „ჩვენ რას გვიპირბეტ?“ „ნუ გეშინიათ, თქვენ საკითხში მაინც არ დაუთმობთო.-იყო პასუხი...

აკაკი ჩხენკელისა და ტობჩიბაშოვის წამოსვლის საქმე როგორ არის?

ეს გვერდი 13 დასასრულეელია ორიგინალიდან არ იკითხება.

29.VI.22წ.

სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

...ეს ტელეგრამა გამოვაგზავნე იმედია მიიღებდით. მდგომარეობა გაუმჯობესდა. იმ მოულოდნელმა გარემოებამ, რომელზედაც გწერდით 26/VI, სწორედ დღეს თავი იჩინა. ეს გარემოება გახლავთ, ბეკების თანდაყოლილი ავი ზნე-სიყალბით ფონს გასვლა. ამჟამად წამოსვლა საჭირო არ არის. თუ კიდევ შეიცვალა პირობები ტელეგრამით გაცნობებთ. ტელეგრამის გამოგზავნა გამაბედვინა ურკვარტის ნახვამ. ჩემი ეჭვები არ გამართლდნენ. ურკვარტმა კარგად მიმიღო. თითქმის მთელი ერთი საათი დავრჩი მასთან. სიტყვა პირველად მე ავიღე და გადავეცი საერთო ჩვენი სიხარული იმის გამო,რომ ინგლისის ექპერტთა შორის დანიშნულია ბ.ურკვარტი, განუმარტე მიზანი ჩემი აქ ყოფნისა და გადავეცი თქვენი მხურვალე სურვილი ვიქონიო მასთან მჭიდრო კავშირი მისივე ნებართვით.ყოველივე ეს დავამთავრე ბოდიშით და ქათინაურებით. საპასუხო სიტყვაში მან შეიტანა შესწორება,რომ ის არ არის აქ,როგორც ექსპერტი, არამედ ის არის როგორც მრჩეველი. თუ ის დათანხმდა აქ წამოსვლას მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუწყოს ინგლისის ექსპერტთა მუშაობას და ყოველივე შეცდომა მათ თავიდან ააშოროს. ბაასი ტრიალებ-

და შემდეგი საკითხების გარშემო: გააგის კონფერენცია,რუსეთისათვის კრედიტი, შეველი, ურკვარტის ან ბეკების შერიგება და ოსმალეთი.

გააგის კონფერენცია. ურკვარტის აზრით გააგის კონფერენციას უარესი კრახი მოელის, ვინემ გენუისას. ეს მისთვის გამორკვეულა დღევანდელ სხდომაზე, როცა ლიტვინოვი შეეცადა კვლავ დაეყენებინა საკითხი კერძო საკუთრების შესახებ ისე, როგორც გენუაში. ესე იგი კერძო საკუთრება რუსეთში არ არსებობს,ყოველივე ქონება სახელმწიფოშია, ხოლო ბეკები მზად არიან სასყიდელი გაირღონ წართმეულ ქონებაში. ამიტომ მას მოუთხოვია აღნუსხვა ზარალის რაოდენობისა. ასეთმა განცხადებამ გააერთიანა ყველანი. უფრო მცხარედ ულაპარაკნიათ ფრანგებს და ბელგიელებს, ინგლისელებს აშკარად და გარკვეულად მხარი დაუჭერიათ. წარუდგენიათ ლიტვინოვისათვის მოთხოვნილება საანკეტო კომისიის გაგზავნისა. „დღევანდელმა სხდომამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა“, სთქვა მან, „რომ მე ცამდის მართალი ვარ. რუსეთს უშველის მხოლოდ ბეკების რეჟიმის დაცემა. გააგის კონფერენცია გათავდება და ამით ბოლო მოეღება დღევანდელ ინგლისის მთავრობის პოლიტიკას რუსეთის საკითხში.“ გენუის კონფერენცია მისი აზრით იმ კვირის ბოლომდის გაგრძელდება.

რუსეთისათვის კრედიტი. ამ საკითხის განმარტება ურკვარტმა დაიწყო ლიტვინოვთან კერძო ბაასის გადმოცემით. ამ ბაასის დროს მას უთქვამს, სანამ ბეკები მათდამი ნდობას არ აღადგენენ, მანამ სესხზე ლაპარაკი ტყუილია. ნდობის აღდგენისათვის კი საჭიროა სულ სხვა პირობები ვინემ ეს დღეს რუსეთშია. საჭიროა ბეკების მოქმედება რადიკალურად შეიცვალოს, რუსეთის სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსოს, მაშინ შეიძლება დადგეს საკითხი კრედიტისა. ამას მოჰყვა ლიტვინოვის რწმუნება,რომ ბეკების აზრი ეკონომიკურ საკითხებში საგრძნობლად შეცვლილია, ტყუილი, ვითომ ამ საკითხის გამო პარტიაში ბრძოლა იყოს გაჩანაღებული, პარტია მზად არის ითანამშრომლოს ევროპის ბურჟუაზიასთან კერძო საკუთრებასაც აღადგენენ ამა თუ იმ ფორმით და სხვ. ამით არ დამთავრებულა ბაასი...

შემდეგ ამისა, ურკვარტმა კატეგორიულად გამოაცხადა,რომ ევროპის სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მათთვის სესხის მიცემა, უწინარეს ყოვლისა ინგლისს. ამის შესახებ კატეგორიული განცხადება თემთა პალატისა ჰქონდა ლ. ჯ ჯერ კიდევ გენუაში. რაც შეეხება კერძო პირებს, ვერც ესენი შეძლებენ, რადგან საზოგადოებრივი აზრი ამის წინააღმდეგია. ჩემს შეკითხვაზე, რომ შესაძლებელია კერძო პირებმა მისცენ კრედიტი ავანსის სახით კონტესიებში, მაგ: შელილი, მიპასუხე „შელილს ორი რამ არ შეუძლია ჩაიდინოს: 1-არავითარი სახით ბეკებისათვის ფულის მიცემა და 2-სხვისი საკუთრების რუსეთში კონცერით აღება“, აქვე შევეკითხე სტანდარტოილის და შელროიალ-დოიჩის შეთანხმების შესახებ. ეს მან უარყო.

ურკვარტის და ბეკების შერიგება. ურკვარტის სიტყვით ამ ხმებში ერთი რამ მართალი ყოფილა. გენუის კონფერენციის შემდეგ, კრასინს წინადადება მიუცია მისთვის დაეწყოთ მუშაობა რუსეთში. პირობები ამ მუშაობისა სავსებით მისაღები ყოფილა, ამასთან ყველა ქონებას და წარმოებას უბრუნებდნენ. საპასუხოდ ურკვარტს წარუდგენია ორი პირობა: პირველად, მისი საწარმოო თანხა სამი მლნ გირვანქა სტერლინგი, რომელიც ჩარჩენილია რუსეთში აუცილებლად დაუბრუნდეს (ჩემთვის სულერთია თქვენ მომცემთ თუ ბ. ლ. ჯ.- იო), მეორე-ის უფლებები და პირობები, რაც მას ჰქონდა უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენ მრეწველებს, როგორც უცხოელებს ისე რუსებს. უამისოდ კი ურკვარტი არასოდეს არ შეუთანხმდება ბეკებს, რადგან დღემდის საზოგადოებრივ აზრის წინააღმდეგ არ წასულა და არც დღეს წავა, მით უმეტეს, რომ კიდევაც ის

ასეთ მაცდურ კონბინაციას დათანხმდეს, მას არ ჭირდება ახალი კაპიტალი ჩაყაროს რუსეთში და ამ ახალი ფულით სიკვდილიც იყო. „ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და სიცოცხლე მწყურია“.

ოსმალეთი. ურკვარტის ცნობით ამჟამად საწარმოების მოლაპარაკება ოსმალეთთან შეთანხმების შესახებ. იმედი აქვს გააგაში კონფერენციის კრახის შემდეგ უფრო დაჩაქრდება ამ საკითხის გადაჭრა.

ბ. ურკვარტს პირველად ვხედავ. ჩემს გადაჭრილ აზრს მისს შესახებ ვერას გეტყვით. ორში ერთია, ან დიდი პატიოსნების და რწმენის ადამიანია, ან უაღრესი ფარისეველი. ყოველ შემთხვევაში ამჟამად მისმა მოქცევამ და ბაასმა დიდათ დამამშვიდა. საკმაოდ შეწუხებული და შეშინებული ვიყავი. მომცა ნება კიდევ ვინახულო. მეც, რასაკვირველია, ასეთის ნებართვიტ სავსებით ვისარგებლებ.

გრანგი შეველლი (და არა გრაფი შევინი, როგორც მე გწერდით, დღეს ვიშოვე როგორც იყო სია ექსპერტებისა) ყოფილა დიდი მეგობარი ფლესინგისა. თითქმის ყოველ დღე დაიარება მასთან. იქ ნახულობს ბ. მოდებაზეს, რომელთანაც დიდი დავა აქვს საქართველოს შესახებ. შეველლი უმტკიცებს, საქართველო უნდა იქნეს დამოუკიდებელი, რუსეთთან მას არაფერი საერთო არ აქვს და სხვა. მაგრამ ამ ვაჟბატონის უხეშ შუბლს არ შველის რა.

გუშინდელ გაზეტების ფურცლებზე წარწერამ: „საქართველო და რუსეთი“, საქართველო და კონფერენცია“ შეაშფოთა ბეკები ამას არ მოელოდნენ. იყო ტელეფონის ზარის რაწკუნი ჩემის კანტორაში. რუსეთის დელეგაცია უძახოდა კ. მოდებაძეს ვნახოთ რა ნაბიჯებს გადადგამენ. მზათ ვარ, გიგზავნი დამატებით გოლანდიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაზეთს, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოდის, ჩემი ინტერვიუ ლიტვინოვის ინტერვიუზე წინ არის მოტავსებული.

ბ. ფინანსთა მინისტრმა ფული გამომიგზავნოს.დღეში მეხარჯება 100 ფრანკამდის. არავინ არ დამიპატიჟებია ჯერ და ძალიან მორიდებულად ვცხოვრობ,მაგრამ ფრანკები შეუმჩნევლად მიფრინავდა.1000 ფრანკი გამომიგზავნეს კიდევ კვირა ნახევარი შემხვდება აქ დარჩენა. ორიოდე პირსაც უნდა კარგად გავუმასპინძლდე. ს მდივანი.

30.VI.22წ.

სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

საკითხი რაღაც ახირებულად დამთავრდა. ლიტვინოვი შეეკითხა რუსეთის კომისიის თავმჯდომარეს: მიიღო თუ არა საფრანგეთმა, ბელგიამ და ნორვეგიამ 6 მუხლი. ამა წლის 19 მაისის გენუის დადგენილებისა, თავმჯდომარემ დადებითი პასუხი მისცა, ამ პასუხს წინ უძღოდა განმარტება ზევით დასახელებულ სახელმწიფოთა მიერ. ნორვეგიამ და ბელგიამ არავითარი მოტივაცია არ გაუკეთეს თავის დადებით პასუხს,საფრანგეთმა კი დადებითი ან უარყოფითი პასუხის მაგიერ დაახლოებით მისწერა შემდეგი: ჩვენ არ გვინდა არავითარი პასუხი გავსცეთ ლიტვინოვის შეკითხვას, რადგან იმ ფაქტით რომ ჩვენ აქ ვართ, საკმაოდ ნათქვამია, რომ ჩვენ თანახმანი ვართ გააგის კონფერენციის იმ საფუძვლების, რომელიც შემუშავებული იყო გენუაში რაც შეეხება p.d.n.a. ჩვენ ვადასტურებთ, რომ არავითარი განძრახვა არ გვაქვს ვისმე როდისმე თავს დავესხათ. შევილს ვსთხოვე განმარტება, რას ნიშნავს საზოგადოდ ასეთი განმარტება, ან რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ განცხადებამ ჩვენ საკითხზე რადგან p.d.n.a. რუსეთს ხელი უწერია, როგორც რუსეთის, ისე მისი მოკავშირე რესპუბლიკების სახელით. ასეთი განცხადება საფრან-

გეთის ექსპერტებისა შევილის სიტყვით, აიხსნება იმით, რომ საფრანგეთს არ სურს ყოველ საკითხზე დავიდარაბა ასტეხოს, მით უმეტეს ეხლა, როცა საიმედო ნიშნებია, ინგლისი მოკლე ხანში გაიზიარებს ბოლშევიკების შესახებ საფრანგეთის აზრს, საფრანგეთის ამ განცხადებით ხელი არ მოუწერია თვით პაკეტზე, ხოლო აღიარა რომ არავის თავს არ ესხმის. კანის რეზოლუცია საქართველოს შესახებ ძალაში დარჩა გენუაში. ამას თუ დავუმატებთ „ad zefezen du" მაშინ დასძინა მან, აშკარა იქნება, რომ ამ განცხადებით საქართველოს არავითარი ზიანი არ მიუვა. უნდა გითხრათ სიმართლე, ერთობ მარტივი ახსნაა მომხდარი ფაქტისა. თუ საჭიროა აქ შესწორების შეტანა, საჭიროა პარიზმა აიღოს ინიციატივა, ვინაიდგან პარიზის კარნახით იყო გაკეთებული ეს განცხადება.

დაპირებისამებრ ბეკებმა დღეს წარადგინეს გეგმა რუსეთის რეკონსტრუქციისა. აღმოჩნდა, მათი პირველი ნაბიჯი აღმშენებლობისა ეღირება 3 მლრდ მანეთი ოქრო, თუმცა მათი ანგარიშის მარჯვენა მარცხენას უდრიდა, მაგრამ კიდევ დაუბრუნეს „რეტუშის" გასაკეთებლად.

ყველას უნდა აქედან გაქცევა მაგრამ ჯერ პირველი დამძახებელი არ ჩანს. თუ ეს მძიმე როლი გენუაში საფრანგეთს ჰქონდა აღებული, ეხლა ჯერი ინგლისზეა. ნუთუ მართლა ასე დატრიალდება „ჩარხი ისტორიისა."

იმედია მიიღებდით ჩემს წერილებს: 25/VI, 26/VI, 28/VI, 29/VI

ს. მდივანი

5/VII 22 წ.

საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეს და მის ამხანაგს ბ. ელიავას და რუსიას

პასუხად თქვენი წერილის 28/III 22წ. გაცნობებთ, რომ ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით რჩევაც მოგცეთ და დახმარებაც აღმოგიჩინოთ, ოღონდ ასეთი რჩევა-დახმარება თავის დროზე უნდა იქნას ჩვენგან მოთხოვნილი და მათ ჰქონდეს საქმისათვის სავალდებულო ხასიათი, ვინაიდგან ჩვენ ვართ საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის წევრები და არა უბრალო მრჩეველნი და დამხმარენი. აღძრული საკითხის გამო ჩვენი რჩევა უკვე დაგვიანებული არის. ოპერაცია დამთავრებულია, ბალანსის შედგენაღა დაგრჩათ, ამის მოხერხება უჩვენოდაც ადვილია.

ამჟამად გვინდა მოგაწოდოთ ჩვენი აზრი იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც თქვენ მიგიღიათ ტყის საქმის დაწყების წინ. „ყოველი საქმე რომელსაც ჩვენ და ჩვენი უფროსი თანამშრომლები მოვაწყობთ ქალაქ კავშირის ფულით იქნება საამხანაგო. ჩვენ ოთხთა, ერთის მხრით და ქალაქთა კავშირის, მეორეს მხრით და მოგება-წაგება ჩვენსა და კაპიტალს შორის ნაწილდება თანასწორად სანახევროდ. „ასეთი თქვენი გადაწყვეტილება ჩვენ მიგვაჩნია სრულიად მიუღებლად, უკანონოდ და ქალაქთა კავშირის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სამწუხაროდ, თქვენი განზრახვა თავის დროზე არ გვაცნობეთ, თორემ ყოველივე ღონეს ვიხმარდით, რომ თქვენი მუშაობა კონსტანტინეპოლში დარჩენილიყო იმ საუძველზე, რა საფუძველით მუშაობდით საქართველოში, როგორც ქალაქთა კავშირის ყრილობის მიერ არჩეულნი და ნდობით აღჭურვილნი. ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, გადაწყვეტილება მიღებულია და სისრულეში მოყვანილი. გვინდა ვიფიქროთ, რომ პასუხისმგებლობა ჩვენ არ უნდა დაგვეკისროს, თუმცა, არც

ჩვენი და არც თქვენი უფროს თანამშრომლებთან ერთად, ფიქრი არ იქნება საკმარისი, რომ ჩვენ მორალურად მაინც პასუხისმგებლობიდან გავთავისუფლდეთ.

ქალაქთა კავშირის მთავრი კომიტეტის წევრნი ს. მდივანი

სხვენინგენ-ჰააგა

6/VII 22 წ.

სხვენინგენ

ფინანსთან მინისტრს კონსტანტინე კანდელაკს პარიზში

დღეს მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ორას რვა და არა ორას ათი Qloz, როგორც იყო ნათქვამი თქვენ წერილში, შემადგენელი კურსით 998 ფრ. 40 სანტ.

სიმ. მდივანი

6/VII 22 წ.

სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

ორშაბათს ვინახულე ტროელსტრა. ჩვენ საკითხს, რასაკვირველია, კარგათ იცნობს. მთელი თავისი სიმპატიით და გავლენით ჩვენთან არის, ბოლშევიკებისადმი კი მტრულად არი განწყობილი, ოღონდ პრაქტიკულად ვერ პოულობს კერძო გამოსავალს საქართველოს საკითხის გადასაჭრელად, ისევ რუსეთში ბოლშევიზმის დანგრევის იმედი აქვს. ამას მისი აზრით საქართველოს ხსნაც მოყვება. აღმითქვა დახმარება, თუ ჩვენი საკითხის საჭიროება მოითხოვს ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რომ ჩვენ გოლანდიის მთავარობასთან არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არც ვცდილვართ ასეთი რამ მოგვეწყო. როგორც შემეძლო ავუხსენი, რომ ეს არ მოხერხდა ბოლშევიკების თავდასხმის გამო, მაგრამ, მგონი მისთვის ეს არ იყო საკმაო საბუთი. ძლიერ დაინტერესდა, რომ საქართველოს და გოლანდიის შორის ეკონომიკური დამოკიდებულება არ შეწყვეტილა. მოულოდნელი იყო მისთვის საქართველოს მარგანეცის გასაღება გოლანდიელი ფირმის შემწეობით.

დასასრულ თავათ ჩამომართვა ინტერვიუ („რეზოლუციები აღარ გეჭირვბათო, საკმაო მიღებულიაო“). უმთავრესად შეეხო საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიას, მის განვითარებას, ბოლშევიკების თავდასხმას და დღევანდელ მდგომარეობას საქართველოისას, შემდეგ იკითხა ჩვენი აზრი, თუ რა გზით შეიძლება რუსეთის აღდგენა (იკითხა აგრეთვე რუსეთის სოციალისტური ორგანიზაციების მდგომარეობა) და სხვა.

გადავეცი ყოველივე სისაძაგლე ბეკების უმიზეზო თავდასხმისა, საქართველოს აკლების და აოხრების, ტერორი, დატუსაღება და გადასახლება, ზოგიერთი ადგილების განთავისუფლება აჯანყებით...

ჩვენი აზრი, რუსეთის ნაწილობრივად აღდგენისა არ მოიწონა. ეტყობა ინგლისის მუშათა პარტიის აზრს იზიარებს, საბჭოთა მთავრობის ცნობა და მასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. იმედი აქვს ბეკები ამით უფრო მალე გარდაიქმნებიან. არც იმას იზიარებს, რომ ამერიკელების პოზიცია რუსეთის საკითხში სწორია. ამ ინტერვიუს დაბეჭდავენ, როგორც კი არ ჩვენებს მორჩებიან. გუშინ იყო არჩევნები. დღეს საღამომდის კიდევ იყო საბოლოო ცნობები

მოსული. პირვლ რიგში მიდიან კათოლიკები, მეორეში სოციალ-დემოკრატები, კომუნისტებს დღეს საღამომდის ყავდათ გაყვანილი ერთი დეპუტატი.

არჩევნების გამო ამსტერდამში არ წავსულვარ სხვა სოციალისიტების სანახავად. როლდენი, როგორც გწერდით, აპირებს მეორე წერილის მომზადებას ნავთის შესახებ. შეაჩერა, უცდის დროს, იმედი აქვს ასეთი მომენტი დადგება.

ვსთხოვე საქართველოს მარგანეცზე ამოიღოს ხმა. გუშინ ჩავაბარე ყოველივე მასალა. მისი სიტყვით საკითხიც არ იქნება სენსაციას მოკლებული. მას უნდა წერილში გაატაროს აზრი, რომ ბოლშევიკებს არავითარი მუშაობის უნარი აქ აქვთ. ხელში ჩაუვარდათ ერთი კარგი ორგანიზაცია, როგორც არის ჩემი და მემკვიდრეობით დარჩენილი სტოკების ლიკვიდაცია მეტს არას აკეთებენ. მუშაობა ახალი ქვის ამოღებისა კი შეწყვიტეს. აქვე დაემატება ისიც, რომ დღესაც უმტავრესი მხარჯველი საქართველოს მარგანეცისა გერმანია არის (საცოდავი გერმანია, უკანასკნელმა სტატისტიკამ ასე ინება).

როლდენმა იცის, რომ ჩემი ნაციონალური მთავრობის შექმნილია. ეს მას მოსწონს, ოღონდ ისიც იცის, რომ ბოლშევიკებმა უკეთესი პირობები მისცეს კაპიტალისტებს, მუშები უკეთ მუშაობენ ეჰხლა, ვინემ წინათ. ჩემდა საუბედუროდ ამ მასისი დროს ლორანი (გუშინ ჩამოვიდა) არ დაგვესწრო. ჩვენ დროს ლორანი ყოფილა ბაიარის წარმომადგენელი. დაწვრილებით გადმოგვილაგა ის ვაკხანალია, რომელიც არსებობდა იმჟამად ჩვენში. გაიხსენეს ჟანტიზონის გადაჭარბებული ოპტიმიზმი და სხვა. საგრძნობლად გამიწითლდა ყურის ძირები, მაგრამ რას ვიქდი, ასევე კონშტეინის ტეორიაის ამოვეფარე. ბოლოს ლორანი დამეხმარა, კატეგორულად განაცხადა: “მხოლოდ ნაციონალურ მთავრობასთან შეიძლება მუშაობა და ჩვენი მოვალეობაა ყოველივე გზით დავეხმაროთ მის აღდგენას“. დაშორების შემდეგ თავი ვინუგეშე მით, რომ ჩემს გაწითელბას შეიძლება საქართველოსთვის მნიშვნელოვანო წერილი მოყვეს. თუ მოათავსა ბევრი ამიტანია და ამასაც ავიტან.

ბეკები განაგრძობენ მოღვაწეობას. სესხის გეგმის წარდგენის შემდეგ, ბიუჯეტის პროექტიც წარადგინეს, ჩერმოევს აქვს ეს პროექტი და მას გამოართვით. ბეკები აპირებს თავდასხმაზე გადასვლას. ხმებია, რომ ულტიმატუმის წარდგენისთვის ემზადებიან. მოსალოდნელი ულტიმატუმის შინაარსი ნათელია: „გვაძლევთ თუ არა ფულს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივდივართ. ერთი წლის შემდეგ თქვნ თავად შეგეხვეწებითო“. ბევრი უცდის ამას. გაბედავენ?!

გთხოვთ, აქვეა დართული წერილი ბ. კ. კანდელაკის სახელზე, გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

მეორე წერილი ბ.ბ ელიავას და რუსიას სახელზე გადაეცით ბენია ჩხიკვიშვილს. თუ მოიწონებს, ხელს მოაწერს და გააგზავნოს, თუ არ ივარგა ამ პროექტმა, მაშინ ისევ დამიცადოს ჩემ ჩამოსვლამდის.

ს. მდივანი

6/VII 22 წ. სხვენინგენ

კვირა

ძვირფასო აკაკი, გუშინ საღამოს ბეკებმმა წარადგინეს სია კერძო საკუთრებისა, რომელთა კონცესიით გაცემა აქვთ განზრახული. ამ სიაში სხვათა შორის არის მოხსენიებული ქუთაისის ნახშირი (ალბათ ტყიბულის) და ალავერდის სპილენძის ქარხანა. ამ სიის გამოქვეყნებას აპირებენ

ორშაბათს. თუ ეს ასე მოხდა, სამშაბათს ოფიციალურ პროტესს გადავცემ კონფერენცის თავმჯდომარეს, პირს დავუგზავნი დელეგაციის თავმჯდომარეებს, შემდეგ პრესაში გამოვაქვეყნებ.

სიის წარდგენამ ერთი აურზაური გამოიწვია, ფრანგები და ბელგიელები გადაჭრით ამბობენ, რომ ამის შემდეგ სახლში წასვლის მეტი არ დაგვრჩენია რაო, ინგლისელების აზრი არ ვიცი, ურკვარტი ისევ ლონდონის წავიდა, მოელიან ორშაბათს. თუ ფრანგებს დავუჯერებთ, ისინიც ამ აზრისა არიან.

საქმე მიდის დასკვნამდის. გამორკვეულია, რომ ევროპელებს (ყველას) სურს კერძო საკუთრების აღდგენა, ხოლო ასე დათმობისათვის ბეკებს სესხს არ მისიცემენ, ბეკებს კი ფული უნდათ. კიდევაც ამიტომ ბეკებმა ხმას აუწიეს. ჯერ კიდევ არ მომხდარა ის, რაც უკანასკნელ წერილებში გწერდით. მაგრამ შაბათს სხდომაზე ბეკები მაღალი ბანით ლაპარაკობდნენ. ლიტვინოვმა წამოაყენა საკითხი, რა მიზნით არის მოწვეული ეს კონფერნცია, ან ვის უნდოდა მისი მოწვევა? კრასინმა სახელი დაიფიცა, რომ მას არავისთვის არ აღუთქვამს კერძო საკუთრების დაბრუნება. ამ განცხადებით და შეკითხვებით დიდი აღშფოთება გამოიწვიეს. განსაკუთრებით ცხარობდნენ ინგლისლები. კრება შესწყვიტეს, არავინ არ მოისურვა უკანასკნელი წერტილი დაესვა.

ბეკების ბიუჯეტი ახირებულ დგომარეობაშია. ბიუჯეტში მოყვანილი ციფრების გამო ზოგს თავბრუ ესხმის, ზოგს კიდევ უარესი ემართება. ისევ ზაგრსკის (აქ არის) მიმართეს და სხოვეს განმარტება. როგორც მან გადმომცა, დიდი განმარტება არ დასჭირვებია., ოღონდ აღიარა, რომ ეს ნაღდი ოცნებაა, ამ სფეროში მათ არავინ სჯობნის.

სხვათაშორის კამათი გამოიწვია 89 მილ. მან. ოქ. რომელიც განზრახულია ბიუდჟეტით მოკავშირე რესპუბლიკბისათვისაც. განმარტების დროს მოკავშირეთა შორის სოკოლნიკოვს (ეს იძულებული განმარტებას) საქართველო არ დაუსახელებია, კერძო საკუთრებათა სიაში აშკარად შეგვიტანეს. ამ სიის მიხედვით ბეკები აპირებენ კონცერსით გაცემას შემდეგ ადგილების და წარმოებებს: თითქმის მთელი გროზნოს ნავთიან ადგილებს, ბაქოდან ძლიერ მცირე ნაწილს, შაქრის მრეწველობას სავსებით... ყოველივე ამაში, როგორც იცი, ბელგიელები და ფრანგები არიან დაინტერესებულები. იმედია ეს სია ითამაშებს უკანსკნელ წვეთს ბოლოს, რომელმაც ფიალა აავსო. ამავე დროს პოლ. ბოილი განაგრძობს ჩურჩულს ბეკებთან. ყველას თვალი მათკენ უჭირავს. შემთხვევით წავაწყდი ბოილთან მოსამსახურეს ჩემ ნაცნობ სომეხს ტერხაზარიანს. შენი მეთოდით დიდ ხანს ვებასებოდი ბოლოს მუქარაც დავაბარე მასთან.

ხვალ 10 კვირკ. საღამოს შვიდ საათზე ამსტერდამში დანიშნულია დისპუტი ვანდრლენდს და ... მოსკოვის პროტესტის გამო. ხვალვე ვინახულებ ტოელსტრს და ვსთხოვ ორიოდე სიტყვით ჩენც მოგვიხსენიონ. ვანდერველდსაც გავხსენებთ ჩვენს თავს.

არჩევნების შედეგი ასეთია: კათოლიკები-32, სოციალსტები 20. ანტირევოლიციონერი-14, კომუნსტი-2, სოციალისტი არის არჩეული ასი, მოიგო მემერჯვენებმა, სოც.დემოკრატებმა დაკარგეს ორი, კომუნისტებმა ერთი, ლიბერალებმა ხუთი...

მამალი რეაქციაა, ქალებმა ხელი შეუწყეს...

პირადათ მე ცუდაათ ვარ. ნერვები ერთბაშად ამეშალა. ძილი მთალდ დამეკარგა, თავი მაინც არ მქონდა ხეირიანი, ეხლა სულ აღარაფერს გავს. დიდი სკანდალი დამემართა ტოლსტრასთან. ისე დავიღალე ერთი საათის განმავლობაში, რომ ლაპარაკის დროს სრულიად ჩემთვის შეუმჩნევლად გადავედი ქართულზე. „ამხანაგო. სწორედ ეს ენა არ მესმისო“. მივხვდი, რომ ქართულს ვლაპარაკობდი. წარმოიდგინე, რა ცივი ოფლი დამასხა. მგონი, პირველი გაფრთხილებაა, კიდევ

კარგი თუ პირველია და არა უკანასკნელი....ყოველ უბედურებასთან სიცივე მკლავს. არ ეშველა ჰაერის გათბობას.

ოთხშაბათს ან ხუთშაბათს წამოვალ, მეტი აქ გასაკეთებლი აღარაფერი.

მომიკითხე ქ-ნი მაკრონე, სალამი მეგობრებს

შენი ს. მდივანი

13/VII 22 წ. სხვენინგენ

ძვირფასო აკაკი, დღეს უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ გუშინდელ ნომერში ერთი ადგილობრივი გაზეთისა იყო მოთავსებული კარი, მოდებაძის ინტერვიუ. უასუხოთ არ მინდა დავსტოვო. პასუხს ორი დღე დასჭირდება. პროტესტს დღეს გადავცემ.

კონფერენცია კვდება, მაგრამ ნელად. გვეგონა გუშინ გათავდებოდა. ამ დილით ისევ წამოყო თავი. ბეკებმა წინადადება შეიტანეს კიდევ მოველაპარაკოთ კერძო საკუთრების შესახებ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი მანევრი იყო.

შენი სოსიკო

16/VII 22 წ.

სხვენინგენ

ძვირფასო აკაკი, შენი წერილი 10 კვირკთარიღით აქ მივიღე ცამეტს. სოლომონ წერეთელმაც იმ დღეს მიიღო. იმ დღესვე ე.ი. 13 ამ თვეს, დასწერა წერილი და გაუგზავნა გამბურგში. სოლომონი მზათ არის ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს. საუბედუროთ თქვენი საზოგადოების კრება ყოფილა დანიშნული თოთხმეტს, სოლომონს ეშინია, რომ მისი წერილი არ მიუსწრებს კრებას.

ამ წერილს სიჩქარით გწერ. იძულებული შევიქმენი კიდევ რამოდენიმე დღეს დავრჩე. რუსები უკანასკნელ მანევრებს აკეთებენ. კონფერენცია თითქმის გათავებულათ შეიძლება ჩაითვალოს. გენუაში აშლილი ევროპული სახელმწიფონი აქ შეთანხმდენ იმოქმედონ რუსეთან გაერთიანებული ფრონტით. ამ გაერთიანებას მოყვა რუსეთის იზოლაცია, დაწვრილებით გადმოგცემთ, როდესაც ... საექიმოთ. აქედან პარიზს წავალ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, იქ დავრჩები ორი სამი დღე. დათიკო წერეთელს რა ღმერთი გაუწყრა? სოლომონმა კანტიკუნტათ მიამბო რაღაც, არც მან იცის კარგათ რაშია საქმე.

შენ ნუ წუწუნებ, საშისარი არაფერი გაქვს. ხელზე აკოცე თამარს. სალამი ...

შენი სოსიკო.

16/VII 22 წ. სხვენინგენ

საქართველოს ელჩს პარიზში

დღეს დილით გამოგიგზავნე ტელეგრამა....

მიზეზი ჩემი დარჩენისა გახლავთ შემდეგი: კონფერენცია შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად. ოთხშაბათამდის მოასწრებენ საქმეების შედგენას და მის დამტკიცებას ხელისმოწერით. ოთხშაბათს ოფიციალურად დახურავენ. რუსებმა მოითხოვეს პასპორტები შაბათისათვის

წასასვლელად. შაბათს განცხადება შეიტანეს სამინისტროში, გვინდა კერძო ფირმებთან მოლაპარაკება გავმართოთ და ამიტომ ვეღარ წავალთ. დღეს ვერ გამოვარკვიეთ, ვისთან აპირებენ მოლაპარაკებას. დიდი ინგლისელი ფირმა რომელთანაც მათ საქმე აქვთ და რომლის ჩვენ გვეშინოდა, ოფიციალურად აღიარებს, რომ ის მოლაპარაკებას არ გამართავს ბეკებთან, თუ წინასწარ არ შეუთანხმდა ფრანგებს და ბელგიელებს. ჯერ ასეთი შეთანხმება არ მომხდარა. ახლო მომავალში დაიწყება მათ შორის მოლაპარაკება. ყოველ შემთხვევაში ორი სამი დღე მაინც საჭირო იქნება თვალყური ვადევნოთ. ეს არი ერთი მიზეზი. მეორე კი ის გახლავს, რომ ჩემი პროტესტის და საპასუხო წერილის, რომელთა პირს თან გაახლებთ დაბეჭდვა არ მოხერხდა კვირის ნომერში. შემპირდნენ ორშაბათისათვის. შეიძლება მოდებაძემ კიდევ რამე ბრძანოს.

ს. მდივანი

17/VII 22 წ.

სხვენინგენ

ჩემო ძვირფასო და კარგო კარლო, თანახმად შენი ფრიად სასიამოვნო წერილისა გაცნობებ, რომ ხუთშაბათ-პარასკევს ვიქნები პარიზში, თუ კიდევ რაიმე ახლი ნაბიჯები არ გადადგენ ბეკებმა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იძულებული ვიქნები კიდევ დავრჩე.

თუ ამ დრომდის განსახილველი საკითხი მოითმენს, მაშინ პირადათ მექნება საშუალება მივიღო მონაწილეობა თქვენ თათბირში. წინააღმდეგ შემთხვევისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ჩემი მოადგილე გახლავთ კ. კობახიძე, რომელსაც მიიწვევთ თქვენ თათბირზე, როგორც ჩვენი პარტიის წარმომადგენელს. შესაფერი განცხადება ამის შესახებ მე დავწერე შენ სახელზე გენუაში წასვლის წინ. კონფერენციას ამოდის სული, მაგრამ არც ამოდის. ბეკები ყოველ ღონეს ხმარობენ, როგორმე ცოტა გროში გამოგლიჯონ ევროპელებს. ამისთვის ყოველნაირ შანტაჟს მიმართავენ. შაბათისათვის მითხვეს პასპორტები. ვაგინები, მცველები და სხვა კიდევ ბევრი ჯანდაბა. ეგონათ ამით ვისმე შეაშინებდნენ და მაგარ დაპატიჟებას კიდევ დარჩენას მიიღებდნენ. ამის მაგიერ, გოლანდიელები მიადგნენ კარზე პასპორტებით, ვაგინებით და მცველებით და სთხოვეს წაბრძანება. მაგრამ როცა შეატყვეს, რომ არავინ ეპატიჟებოდა, თავათ დაპატიჟეს თავისი თავი და დარჩნენ. ალბათ დღეს დაიწყებენ ხელახლა ძველ ზღაპარს, მაგრამ ამით არ გამოვა რა. ყველაზე უფრო ინგლისელები არიან გამწყრალი. მომიკითხე ყველანი.

შენი სოსიკო.

19/VII 22 წ. სხვენინგენ

ანდრო, შინ დაბრუნებულს დამხვდა ეს წერილი. როგორც ეტყობათ, მოსკოველი ჯალათები აღარაფერს არ ერიდებიან. თუ ეს მართალია. ეს ხომ სიკვდილით დასჯაზე უარესია!

მინდოდა დარჩენა საღამომდის, მაგრამ ამით არ გაკეთდებოდა რა, ხვალისათვის ამ ტელეგრამის დაბეჭდვა გაზეთებში მოუხერხებელი იქნებოდა. მინდა გთხოვოთ გაამრავლო ორათ და ფოსტით გაუგზავნო ერთი ფატერლანდის რედაქტორს პატარა წერილით რომ დამამტკიცებელი საბუთი, რასაც მე ჩემ წერილში ვწერდი, უკვე მომივიდა ჩვენი პასუხისმგებელი წარმომადგენლისაგან კონსტანტინეპოლში ან ოთხივე დაბეჭდოს ტელეგრამის სახით თავის გაზეთში. მეორეს კი გაუგზავნი... ამასაც პატარა წერილითაც თან უძღვენი. სახელწოდება მისი; მოქალაქე

(სოციალისტები ვართ) ტოლესტრა. ბოლოს სოციალისტური სალამი უძღვენი და მადლობა დახმარებისათვის.

1 ფატერლენდის ადრეს:

2. ...

გთხოვ, ხვალვე გუგზავნო ორივეს, თუ დაიბეჭდოს ნომრები გამოგვიგზავნე პარიზში. ნახვამდის, სალამი ელიას.

შენი სოსიკო

11/VI/28წ

სტამბოლი

სამსონ, შენი სამი წერილი მივიღე. წინა წერილში გწერდი და ეხლაც გიმეორებ, ჩემმა სიჩუმემ არ შეგაშინოს და სასოწარკვეთილებამ არ შეგიპყროთ. მინდოდა როგორმე თავი დამეღწია პირადული გაჭირვებისაგან, ცოტა გულზე მოვსულიყავ და შემდეგ მომეწერა წერილი. ასეთ პირობებში უფრო საიმედო წერილს მოგწერდი და კარგ ხასიათზე დაგაყენებდი. ორმა გარეომებამ მაიძულა პასუხის დაჩქარება.

ჩემი მდგომარეობა კვლავ აუტანელია. ვერას გავხდი. შიმშილის საშიშროება ვერ მოვიშორე, ხშირად სტუმრათაც მყავს ნელი და ბავშვები მეცოდება, თუმცა ნელი ყოველ ღონეს ხმარობს შემიმსუბუქოს გაჭირვება, მაგრამ მაინც ცუდად ვარ. გავყიდე ყველაფერი ტანისამოსების მიყოლებით. აწი გასაყიდი არაფერი გვაქვს, რა იქნება არ ვიცი. იმედს არ ვკარგავ, თუ ჯანმრთელობამ არ მიღალატა. ვატყობ, თანდათან ვსუსტდები, ათასნაირი ტკივილებიც აღმომიჩინეს, ჯერ კიდევ ფეხზე ვარ, და თუ ასე დავრჩი ერთხანს, იმედი მაქვს ვიხსნი ოჯახსაც და თავსაც გაჭირვებისაგან.

პირველი მიზეზი ამ პასუხის დაჩქარებისა ის იყო, რომ საქართველოდან უკვე მივიღე მანდატი, რომლითაც მნიშნავენ ევროპაში და ამერიკაში. ამ გენერალურ მანდატს თან ახლავს ოთხი უსახელო მანდატი გამბურგის კონგრესისათვის, ეს, რასაკვირველია, დაგვიანებულია, რადგან ეს მანდატი მივიღე ორი იანვრისათვის, გამბურგის კონგრესი ხუთი თუ ექვსი დღით ადრე დახურულიყო. ამ კონგრესის შესახებ 17 მაისს მივსწერე აკაკი პაპავას წასულიყო კონგრესზე და თავად მას შეედგინა როგორც საჭირო იყო მანდატი. არ ვიცი რა ქნა. ჯერ პასუხი არ მიმიღია. ბერლინიდან მივიღე შენი წერილი საქართველოსათვის პირველ შემთხვევისთანავე გავგზავნი.

18/VI

ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ეს წერილი უკვე გადაგზავნილია. დღემდის ველოდები აკაკი პაპავასაგან პასუხს და განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი პასუხი, ვინაიდგან რაღაც ინციდენტი მომხდარა მიშა კაუხჩიშვილს და სოციალ-დემოკრატების დელეგატთა შორის. ამათმა უკვე გააგზავნეს მოხსენება და ეს ინციდენტი აქვთ თავისებურად გაშუქებული მინდოდა მეც გამეგზავნა მოხსენება ამის შესახებ ორსაც მივსწერე (არ გაგიკვირდეს ასეთი ჩემი სიუხვე) ბერლინელ ამხანაგებს ეცნობებინათ რამე, მაგრამ ვერას გავხდი. ალბათ შენ უკეთ იცი ეს ამბავი და მომწერე.

მეორე მიზეზი გახლავს, ნაც. დემოკრატები და მათი „ოინები“, ორიოდე სიტყვაც დამოუკიდებელ კომიტეტზე. არ იქნა, ვერ ვეღირსე, ჩვენი ამხანაგებისაგან წერილის მიებას, ერთი

საიმედო პირი არ წასულა აქედან, რომ მისი შემწეობით ჩემი თხოვნა, მუდარა და მუქარა არ გამიგზავნეს. შედარებით ხშირად პატარ-პატარა წერილებსაც ვწერ, სწორედ მათი აზრი მინდოდა გამეგო შენ მიერ დასმული საკითხის შესახებ. რა ემართებათ არ ვიცი? მანდატებთან პატარა წერილიც რომ ყოფილიყო, მე მგონი წამოღებასას არ დაამადლიდნენ. თავისი გზა ხომ ვერ გამომებნეს. ამ გზის მოწყობა მე ვიკისრე თავზე, რადგან მათ ვთხოვდი ეჩვენებინათ ჩემთვის ბათუმში პირი, ვისთანაც მე საქმეს დავიკავებდი. დღესაც ამის მოლოდინში ვარ. ეგებ აწი მაინც შესძლონ. კიდევ მოუცადოთ.

დამოუკიდებელი კომიტეტის მდგომარეობა ამჟამად ბევრად უკეთესია, ვინემ ამ რამოდენიმე თვის წინათ იყო. ეხლა უფრო მეტი თანხმობა და ნდობა არის, ვინემ ეს იყო, როცა ს. კედია და ალ. ასათიანი იქ იყვნენ. ეს ცნობა მაქვს თვით ნაც. დემოკ. პარტიის წევრებისაგან, რომელთანაც პირადულად კარგად ვარ განწყობილი. მათგან მომდის ხანგამოშვებით წერილები, როგორც სოც. დემოკრატების საშუალებით, ისე თავისი საკუთარი გზით. სწორედ მათ მიერ გადმოცემული ამბები მარწმუნებენ, რომ საზღვარგარეთ მყოფი ნაც. დემოკრატების გამოსვლები და მუქარები საქართველოში ამხანაგების მიერ უარყოფილი და დაგმობილია. ამ ბოლო ხანებში ალ.ასათიანს მუქარაც მოუვიდა საქართველოდან. აფრთხილებენ თუ ხელი არ აუღია დეზორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიიდან გარიცხავენ. ამით არის გამოწვეული უკმაყოფილება ზოგიერთი აქ მყოფი ნაციონ. დემოკრატებისა. ესენი სწორედ ამას ამბობენ, რომ როცა საქართველოში საქმეები დაეწყო და სრული სოლიდარობა არსებობს, მაშინ აქ იქედან გამოქცეული ხალხი რევენ დაწყობილ საქმეებს. ამ ელემენტებმა კიდევაც სძლიეს ასათიანის ჯგუფს და ეპირებოდნენ ჩვენთან შეთანხმებულად კოლონიის გამგეობის გადარჩევას, მაგრამ ამ დროს პარიზიდან მოუვიდათ ბრძანება არავითარი ახალი არჩევნები არ მოახდინონ. ამ ბრძანებას ასაბუთებენ პარიზში შექმნილი მდგომარეობით, რა არიის ეს მდგომარეობა, ეს თქვენ უკეთ იცით და შეგვატყობინეთ. როგორც ხედავ, საქართველოდან სულ სხვას სწერენ. ემუქრებიან კიდევაც. პარიზი კი აქეზებს და ამაგრებს ასათიანს და მის დამქაშებს. აშკარაა საზღვარგარეთ მყოფი ნაც. დემოკრატების მოქმედებას არავითარი საფუძველი საქართველოში არა აქვთ. რამდენადაც მე ვიცი, არც ის უნდა იყოს მართალი, ვითომ მათი გავლენა გაზრდილიყოს საქართველოში. ერთადერთი მათი იმედი ევროპის რეაქციაა, მაგრამ მაგ უბედურებს ავიწყდებათ, რომ ევროპის რეაქციას პარტიებიც ჰყავს და ამ პარტიებს პიროვნებებიც თან ახლავს. ამას ვერ ვიტყვით ჩვენ ნაც. დემოკრატებზე, არც პარტიაა და არც ხალხია. პრინციპს და იდეას მოკლებულ ხალხს თავი მოუყრია, ვიღაც უპასუხისმგებლო ხალხთან (ევროპაში), რაღაცას ფუჩუნობენ და ამით უნდათ საქართველოსაც დასცინონ ... პატრონად დაბრუნდენ შინ. საუცხოო სურვილია, თუკი შესძლებენ, არ ვიცი რამდენად ეს ვაჟბატონები მიაღწევენ თავის მიზანს მომავალში. დღეს კი ერთობ შეწუხებული ვართ მათი მოქმედებით. ამასწინათ დაწვრილებით აღვწერე და გამოგიგზავნეთ მათი საქმენი საგმირონი. იმედია მიიღებდი. მას შემდეგ კიდევ დააპირეს ერთი სიბინძურეც დაემატებინათ. მგონი ვერ მოახერხეს, ამ საქმის გამოძიებაში ვართ და როცა გამოვიკვლევთ შეგატყობინებთ.

ეს რაც შეეხება ნაც. დემოკრატებს, ეხლა მენშევიკებზე- ვერც ამათი გავიგე რამ. საქართველოში მთელი სამი წელიწადი ვემუდარებოდით გაერთიანებულ მუშაობას. არაფერი ისმინეს, აქ კი ისე შეუყვარდათ ერთობა, რომ საჭიროების და მიხედვით, მაგარ სიტყვასაც ეღარ ეუბნებიან ამ ერთობის ჩამშლელ ხალხს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ორი ფაქტი. ერთი აქაური და მეორეც პარიზი. პირველი - ასათიანის პირველი ნაბიჯები კონსტანტინოპოლში. ასათიანის ამბები ყველამ კარგად ვიცოდით. ამისდა მიხედვით უნდა მეპასუხა მის პირველ გამოსვლებს. ამის

მაგივრად თითქმის ორი კვირა მასთან სჯა-ბაასში ვიყავით თუ როგორ უნდა მოვაწყოთ მომავალში მუშაობა, როგორც აქ ისე საქართველოში. ჩემი დაჟინებითი თხოვნა-ამ ადამიანს მანდატი მოსთხოვოთ, ვიცოდეთ მაინც ვისთან გვაქვს საქმე, მენშევიკებმა არ შეიწყნარეს, პირობა მომცეს შენ თავი დაგვანებე და ამას ჩვენ მოვთურგნითო, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. პირიქით, ყოველივე ამას, შედეგათ ის მოყვა, რომ ასათიანმა პარტიის სახელით სოც. დემოკრატ. გადასცა განცხადება, სადაც წარსული შეცდომებით.. უკეთებდა მთავრობის მუშაობას საზღვარგარეთ. ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში.

მენშევიკების მოფერებით გათამამებული საეჭვო ადამიანი. არა ნაკლებ საეჭვოთ საქართველოდან გამოქცეული ასათიანი შეუდგა თავის მოღვაწეობას. სარბიელი უეჭველად კარგი იშოვა. იცოდა აქ ბევრი იცდის მშიერი და მწყურვალე. ამათი შემწეობით ის იყო, რომ კოლონიის კრებაზე კინაღამ გვცემეს. აშკარაა, თავიდანვე მოგვეთურგნა ის არ დაგვემართებოდა, რაც მოგვივიდა აღნიშნულ კრებაზე, როგორც ზევით გწერ, ამზადებს ახალ ახალ ნომრებს.

მეორე, გიორგი მაჩაბელის ანგორაში გაგზავნის განზრახვა. ეს ამბავი მე გავიგე პირველათ ოსმალური წყაროებიდან. შემდეგ ვარჯალაძემაც დამიმოწმა ამ ამბის სიმართლე. თუ არ ვცდები ვარჯალაძე დაუყენებიათ ფაქტის წინაშე. ოღონდ აკაკი ჩხენკელს (ეს ხომ ვრ იცოცხლებს თუ ნაც. დემოკრატები არ ყავს გვერდით) კიდევაც უნუგეშებია, რომ მაჩაბელი შენი ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებს. შემდეგ გავიგე, რომ მაჩაბელის იქ გაგზავნა მოხდა ნაც. დემოკრატების წინადადებით. გზა გზით მეც მომხდა, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ძალიან მჭიდრო ბლოკიც მენშევიკებსა და ნაც. დემოკრატებთან რომ შედგეს, მაინც ხელს ვერ ამაღებინებენ ერთხელ აღებულ მუშაობაზე. შენ კარგათ იცი იქ სადაც ქვეყნის სამსახური მოითხოვება, ჩემი პიროვნება ყოველთვის მიმიტანია და მივიტან კიდევაც. ვეშაპლის ლანძღვას და მენშევიკების სიჩუმესაც ავიტან, სანამ ასეთ ნაბიჯს გადადგამდნენ, ნუ თუ საჭიროთ არ დაინახავენ ეკითხათ აქაურების აზრი. აქ ხომ მათ თავის თავის წარმომადგენელი და პარტიული ამხანაგები ყავთ. არ მგონი, რომ გვარჯალაძე მათ საკმაო ცნობებს არ აწვდიდეს და მათ არ იცოდნენ, თუ რა არის ამჟამად აქ და ანგორაში საჭირო. ვისი გაგზავნა შეიძლება და ვისი არა ან რა განზრახვა გვქონდა ამის შესახებ, რა დამოკიდებულება გვაქვს ანგორასთან და სხვა. თუ ყოველივე ეს მათ არ იცოდნენ, მით უარესი ვერ გაეგოთ და შემდეგ მიეღოთ იქ აზრი და უშინარსო წინადადება ნაც. დემოკრატების. ამის შემდეგათ უმიზნო ხარჯები მოყვა. მე არ ვიცი, ვისი ფულით იმოგზავურა მაჩაბელმა, თავისი თუ მთავრობის? ეს კი ვიცი, რომ იმ ხარჯის ერთი მეათედი რომ ჩვენთვის გამოეგზავნათ, უფრო მეტი გაკეთდებოდა, ალბათ ამ მოგზაურობაში ათასობით ფრანკი დაიხარჯა. ამ ორი ფაქტის გარეშე, ალბათ, კიდევ არის რამოდენიმე. ამას თუ დაუმატებ უკანასკნელ მათ პრეტენზიას საზღვარგარეთ მუშაობის რეორგანიზაციისა, მთავრობის გადახალისების ამბავი გვარჯალაძემ მითხრა), დამერწმუნები, რომ მენშევიკების ასეთ წაწოლის პოლიტიკას, რაღაც საფუძველი აქვს, რომელიც ჩვენ არ ვიცით. გვითხრან მაინც. თუ ჩემი მოსაზრება მართალი არ არის, მაშინ მხოლოდ გადაჭარბებულ შიშთან გვაქვს საქმე. ეს კი დაგვღუპავს. მე ვერავინ ვერ დამსწამებს, რომ გაერთიანებული ფრონტის მომხრე არ ვიყავი, სწორედ ეს მაიძულებს ვურჩიო ყველას დროზე იქნას მირებული ზომები, თორემ სისუსტე და წაწოლა მოშლის გაერთიენებულ ფრონტს რომელმაც საშუალება მისცა ჩვენ ამხანაგებს გადაეტანათ უკანასკნელი კრიზისი საქართველოში, ვიმეორებ, ასათიანის წინააღმდეგ დროზე ზომების მიღებით თავიდან ავიცილებდით დღევანდელ გასაჭირს კონსტანტინოპოლში, ასე მოხდება პარიზშიც, თუ დროზე არ ალაგმავთ, საქართველოში მიღებულ სტატუსის ძალით ყოველივე რადიკალური საკითხი უნდა გადაწყდეს არა პარიზში,

არამედ საქართველოში, სადაც ... პატრონათ არის ყველას მიერ აღიარებული დამოუკიდებელი კომიტეტი, რომლის გვერდით არსებობენ ყველა პარტიების ცენტრალური კომიტეტები. კითხვის დაყენებისთანავე (მთავრობის გადახალისება და სხვა) რათა არ მოსთხოვეთ აზრი მათი ცენტრალური კომიტეტისა საქართველოში, ან რათა უწევთ ანგარიშს პარიზში შემდგარ ცენტრალურ კომიტეტს. სხვათა შორის, როგორც გავიგე, პარიზში უკვე აურჩევიათ ცენტრალური კომიტეტი და მისი ბიურო (კედია, ვეშაპელი, დადიანი და მაჩაბელი) კონსტანტინოპოლს მოწერონ დაუყოვნებლათ აირჩიონ ბიურო (ვისი?, რისი? კაცმა არ იცის) და ბიუროს თავმჯდომარეთ ალ. ასათიანი. ალბათ, ასეთი განკარგულება სხვა ქალაქებსაც გაუგზავნეს. ალბათ მალე იმასაც მოვესწრებით, რომ თუ რომელიმე ევროპის ქალაქში გაჩნდა ერთი ნაც. დემოკრატი, უეჭველად ეს თავის თავს ცენტრალურ კომიტეტათ გამოაცხადებს. ამაში ბრალი ექნებათ, როგორც ნაც. დემოკრატებს, ისე მენშევიკებსაც.

დასასრულ, კიდევ ერთი მოსაზრება. შეიძლება მენშევიკებს ეშინიათ, რომ ჩვენგან გაქცეულ ნაც. დემოკრატებს ევროპის მთავრობები მჭიდროდ ჩაიკრავენ გულში.

დიდი ხანია წამოსული ვარ ევროპის ცენტრიდან და მის განაპირა კუნჭულში ვიმყოფები. ამ შემთხვევაში პარიზელი მენშევიკები უკეთეს პირობებში იმყოფებიან, მიუხედავად ამისა ჩემ თავს ნებას ვაძლევ ორიოდე სიტყვა ამის შესახებაც ვსთქვა. ევროპის მთავრობებმა ორხელ შემომფიცეს არკადაშობაზე (ამხანაგობა თათრულად), შეპირებული ფიცი ვერას გვიშველის, თუ დროზე შინ ვერ დავბრუნდით. ჩვენც აგვკიდებენ გუდანაბადს ზურგზე. ამის შემდეგ სპ. კედიას და ვეშაპელს დაუწყებენ ქათინაურებს? არა მგონია, არ ვიცი რა იქნება მომავალში, ვიცი რა იყო წარსულში. სამი წელიწადია, რაც ნიკო ნიკოლაძე ლონდონში მუშაობს, შედეგად ის მოყვა, რომ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის შუამავლის როლის აღება მოისურვა ისიც ხოშტარიას დახმარებით. (დეკ. ამბები) ჩემის ცნობით ნ. ნიკოლაძე ვეშაპელის დასტურით ამ ფაქტის დასაგვირგვინებლათ ერთი წელიწადი იმუშავა ჩვენ კი გვარწმუნებდნენ, რომ ნიკოლაძე ინგლისურ ბურჟუაზიულ წრეებში მუშაობს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ამაზე მეტი სირცხვილი შეუძლებელია მენშევიკებისათვის...

ოსმალებზე მეკითხებოდი. აი პასუხი.

ანგორადან სწორი და უკანასკნელი პასუხის მიცემა შეუძლია მხოლოდ ქემალფაშას. ეს ერთად ერთი კაცია ოსმალეთში, რომელსაც მდგომარეობით აქვს მინიჭებული ასეთი უფლება. მაშასადამე, ნამდვილი აზრის გაგება ჩვენ საკითზე შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ კი მოვახერხებდი ქემალ ფაშას ნახვას. ეს არ მოხერხდა, მიტომ რომ ჩემი ანატოლიაში წასვლა, ისე როგორც მაჩაბლისა და სხვების ასეთის სახელით, უაზრო იყო, რადგან ბოლშევიკების ცხვირის წინ ქემალფაშა არავის ლაპარაკს არ დაუწყებს, კონსტანტინოპოლში კი ის არ ჩამოვიდა. გარდა ამისა იყო და არი სხვა მიზეზებიც, რომელიც ხელის შემშლელად უნდა ჩაითვალოს. ჩემი აქ ჩამოსვლის დროს, ქემალი ბრძოლის ლიკვიდაციაში იყო ჩაბმული, ჩემდეგ ლოზანის კონფერენციისთვის ემზადებოდა, პირველად ლოზანის კონფერენციის დაწყების შემდეგ შეუდგა თავის საკუთარი პარტიის ორგანიზაციას და არჩევნების სამზდის. როდესაც ამას მორჩა ახალი შინაური საქმე გაიჩინა. ამზადებს კონსტიტუციას, რომელსაც წარუდგენს ახალ ნაციონალურ ყრილობას. თითქმის უკვე გადაწყვეტილია მომავლი ყრილობა ოსმალეთს რესპუბლიკათ გამოაცხადებს და თავათ იქმნება არჩეული პრეზიდენტათ. მხოლოდ ამ საქმით არის ამჟამად გატაცებული და სხვა საკითხები დროებით გადადებული აქვს. უფრო კი სხვებს აქვს მინდობილი, მათ აქვს დაამზადონ საჩქაროდ საკითხები და შემდეგ წარუდგინონ მას უკანასკნელი სიტყვის სათქმელად. ამ საკითთა

შორის, რასაკვირველია, პირველი კავკასიის საკითხია. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ დღეს ანგორაში წასვლა რომელიმე გამოჩენილ მდივნისა უნიადაგო არის, რადგან აქ ძლიერ ადვილია. ანგორაში ამჟამად საჭიროა მხოლოდ შეგნებული ადამიანების ყოლა ძლიერ კარგი იქნებოდა, მაგრამ თუმცა ეს არ მოხერხდება, რამდენათ მე ვიცი უსახსრობის გამო. დიდი ქალაქებში დიდი კაცის მოგზაურობაზე დახარჯული ფულის ნახევარი აქ დახარჯული ყოფილიყო, ეხლა იქ გვეყოლებოდა რამოდენიმე ინფორმატორი იქაური ყოველდღიური ამბებისა. ასეთი პოლიტიკური მოღვაწეები რამოდენიმე არის აქ. მათ შორის ორი საინტერესოა, ერთი მთავარი მრჩეველი გარეშე საქმეთა სამინისტროსი აღმოსავლეთის საკითებში, მეორე კი ჩემ ნაცნობი ყოფილი ელჩი პარიზში. მათ შედარებით ხშირად ვხდები. მათი გადაჭრილი აზრია შემდეგი: რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის ერთი ხანა დასრულდა. ზავზე ხელის მოწერით იწყება მეორე ხანა ამ ურთიერთობისა. ჯერ ანგორამ არ იცის რა ფორმებში ჩამოყალიბდება, ამ ფორმის ძიებაში ვართ. აშკარაა კავკასიის საკითხიც ეხლა უნდა გადაწყდეს. ერთი მიტომ რომ რუსეთი ძლიერ დასუსტებულია. ამით უნდა ვისარგებლოთ და მეორეც მიტომ, რომ ევროპა მტრულათ არის განწყობილი რუსეთის დღევანდელ პატრონებთან. ამ ორი გარემოებით უნდა ვისარგებლოთ და დროულად უნდა გადავჭრათ საკითხი. მაგრამ როგორ? იმ უბრალო ფორუმულით რომელსაც ქართველებშია მირებული. ოსმალეთის ნეიტრალიტეტი და კავკასისტების ბრძოლა, საკმაო არ არის კავკასიის პრობლემების გადასაწყვეტათ. ვსთქვათ ქართველები მართალი არიან ამ ორი საშუალებით განთავისუფლდა კავკასია. მართალია ქართველებს აქვს კარგი ორგანიზაცია და ცოტა ოდენი საშუალება იარაღი, მაგიერად აზერბაიჯანი სუსტათ არი დარაზმული, სომხეთზე ლაპარაკი მეტია, რადგამ ისინი კიდევაც რომ რამე ქონდეს არ დაეხმარებიან, თუ ხელი არ შეუშალეს, ესეც კარგი იქნება. ასეთ პირობებში, რუსეთი რაც უნდა სუსტი იყოს, მაინც სახიფათო იქნება ამ ბრძოლის დაწყება, თუ გინდა ჩვენც მოვინდომეთ ჩუმად თქვენ სასარგებლოთ ნეიტრალიტეტი დაარღვია. მაგრამ ამათაც უნდათ შებრძოლება. ამას ვერ ვიზამ, რადგან არავითარი საშუალება არ გვაქვს არც ფულის და არც იარაღის მხრივ. ასეთის შანსებით საქმის დაწყება დასაწყისშივე ნახევრად საქმის წაგება იქნება.

ვსთქვათ, ქართველები მართალი არიან, კავკასიელების ბრძოლით და თურქეთის წმინდა ნეიტრალიტეტით კავკასია განთავისუფლდა. მომავალში ხომ დავრჩით მტრულად განწყობილი რუსეთის წინაშე და ვინ იცის როდის წაგვლეკავს, როგორც მებრძოლს, ისე ნეიტრალს. ამიტომ საჭიროა ჩავრიოთ რომელიმე მესამე დიდი სახელმწიფო აწმყოში, მან უნდა მოგვცეს ფული, იარაღი, მომავალში კი ერთგვარ მაშველ ძალათ უნდა გვყავდეს. რომელი სახელმწიფოა ჩვენთვის სასურველი. რასაკვირველია, ყოველ ადამინს ყველაზე მძლავრი მოკავშირე უნდა. თურქეთიც დიდის სიამოვნებით უწინარეს ყოვლისა ინგლისელებთან დაიკავებენ საქმეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ საკითხებში ინგლისელებს ასე ეჩქარებათ და თურქებმა არ იციან, როდის ინებებს ინგლისი ამ საკითხის აქტიურად წამოყენებას. უნდა თავი დავანებოთ მჯობნის მჯობნელს და დღევანდელ პირობებში ჩვენთან საკავშიროდ განწყობილ საფრანგეთს. თუკი საფრანგეთი ხელს მოგვკიდებს, უეჭველად ჩვენ შევძლებთ რუსეთი თავიდან ავიშოროთ და მომავალში უზრუნველყოფილი ვიქნებით. საფრანგეთმა დაამტკიცა თუ როგორი სიმტკიცით და სისტემატურათ ეხმარება იმ პატარ ერებს, რომლებასც ამზადებს მომავალ ხიფათის თავიდან ასაცდენათ, როგორც გერმანია, და ისე რუსეთის მხრივ, ესენი არიან, როგორც იცით, პოლშა, რუმინი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია. ამ რიგებში შევიდეთ ჩვენც და მაშინ არ გვითხრას რა. სანამ რუსეთი მომაგრებულიყო ჩვენც მოვმაგრდებით და ერთგავრ მტკიცე თავისუფლებას მოვიპოვებთ. მაშინ კი უკვე

ძნელი იქნება ჩვენი მოსპობა. ცოტა უბედურება ის არის, დასძინა პირადათ პარიზის ყოფილმა ელჩმა: "არც საფრანგეთი იჩენს დიდ ინტერესს ჩვენდამი. მთელი წელიწადი ნახევარი ვიყავი პარიზში ხშირი შეხვედრა მქონდა როგორც პუანკარესთან, ისე პირეტისთან არ მახსოვს ერთხელ მაინც ჩამოეგდო უბრალო ბაასი კავკასიის შესახებ. არ უკითხავთ ჩემთვის, თუ რას ვფიქრობთ, ან როგორია ჩვენი მომავალი პერსპექტივა და სხვა. მე პირადად ვერ დავიწყებდი ლაპარაკს, რადგან ბექირ სამი ბეის მაგალითი ჩვენთვის თურქებისათის საკმაო გამაფრთხილებელი პრეცედენტი იყო. ამ საკითხებში ინიციატივამ წაატეხინა მას ფეხი. საჭიროა საფრანგეთის მთავრობა დაუამხანაგდეს ბრიანის პოლიტიკას. მაშინ ყველაფერი მოეწყობა. ამ მესამე სახელმწიფოს დახმარებით სხვა საკითხებსაც მოვაწყობთ". თუ ასეთი აზრის კომბინაციისთვის თქვენ მზად ხართ, დღესვე შეიძლება შევუდგეთ სამზდის. ქემალ ფაშის დაუყოვნებლივ იქნება. თუ ჯერ კიდევ საფრანგეთთან (თუ ინგლისთან მოახერხებთ ხომ კარგი) არ ხართ მოლაპარაკებული, შეეცადეთ მოელაპარაკოთ და იმ დროს როცა ახალი მთავრობა შესდგება, მას ექნეს საშუალება განაგრძოს თქვენ მიერ დაწყებული საქმე, იმდროისთვის ისეთი მორიდება ბოლშევიკებისა არ გვექნება". მეორე ჩემი თანამესაუბრე, მრჩეველი უმთავრესად ხაზს უსვამს მომავალ რუსეთის სიძლიერეს ამ საშიშროების ნეიტრალისაციის საშუალებების ძიებაში არი. სხვათა შორის ეს უკანსკნელი რუსეთში არის დაბადებული და აღზდილი. იქედან წამოსულა აბდულ გამიდის დროს, შემდეგათ აქ მოღვაწეობს, ეხლა აირჩიეს დეპუტატათ კონსტანი, როგორც ხედავ დღევანდელი თურქების აზრი კავკასიის შესახებ თუ მათვის ახალია, ჩვენთვის მაინც ახალი არ არის, სწორედ ჩვენც ეს გვინდოდა, რომ ჩვენ შორის მესამე დიდი სახელმწიფო ყოფილიყოს და მისი შემწეობით გვქონდეს მომავალში თავის დასაცავი გარანტია, როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის მხრივ, დღეს ამ აზრის შეპარება ოსმალეთში კონდრაბადათ აღარ გვჭირდება, მადლობა ღმერთს თვით მივედით ამ დასკვნამდის. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ასეთი სულისკვეთებით. საჭიროა ოღონდ მართლაც გამოვარკვიოთ თუ რამდენათ ამ ინგლისი ან საფრანგეთი მზათ არის ოსმალთან ამ საკითხზე ლაპარაკი ჩამოაგდონ. ამ მხრივ ერთი ფაქტი უკვე მოხდა. იარაღის მხრივ ოსმალეთი უზრინველყვეს მოკავშირეებმა თუ მართალია, რასაც ტელეგრამები იუწყება ლიონანიდან, რომ მთელი კონსტანტინოპოლის საწყობების ამუნიცია გადასცეს ოსმალებს. ამ საწყობების ამბავი კარგათ ვიცი. აუარებელი იარაღია, ყველას ეყოფა. გემების დაბრუნებაც იმავე ტელეგრამებით უნდა მოხდეს. ზღვაზე და ხმელეთზე ოსმალეთი უკვე მზათ იქნება იმ წამს რა წამსაც ეს გადაცემა მოხდება, საჭირო იქნება პატარა გროშები და მომავალი თავდაცვის კონვენცია. აი, იმუშავეთ ეხლა ამაზე. თუ ცოტა რამეს ამ მხრივ გააკეთებენ მენშევიკები, მაშინ ნუ შეგეშინდებათ ნაც. დემოკრატების. ჩემი იმედი გქონდეთ, მე აქ ვიმუშავებ ყოველივე პირობების გარეშე, ამ დღეებში ... ბექირ ბაში ბეის დეპუტატა არჩეულია და წავა ანგორაში, უნდა გითხრა მეშინია, რომ ბექირი ვერ შეძლებს თავის წინანდელ გავლენის აღდგენას, რადგან ოსმალეთში ამჟამდ სასტიკი დევნა დაიწყო მეტად კავკასიიდან გადმოსახლებულებისა, ასეთი დევნა არის დაწყებული როგორც რუსეთში ... ამას წინათ უფრო სასტიკი სახისა, ამას წინათ შეიპყრეს ოცდახუთი ათასი ჩერქეზი და გადასახლება დაუპირეს მესოპოტამიაში. მართალია რამოდენიმე კვირის სირთულის შემდეგ შეაჩერეს ეს ხალხი და არ იციან ეხლა რა უქნან. დღევენდელი პრემიერის, რაუხმედის საქმეც გლახად არის, თუმცა ტყავს იძრობს, როგორმე თურქებს ნდობა დაიმსახუროს. მაგის ბრძანებით იყო ოცდახუთი ათასი ჩერქეზის აყრა. კიდევ ბევრი მაქვს მათ შინაურ საქმეებზე მოსაწერი, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია. თუ კიდევ ცოტა ფული ვიშოვე ... ეხლა ამით დაკმაყოფილდი. ნოე ჯორდანიას

ავადმყოფობამ შემაწუხა, თუმცა მგონია გადაეცით მალე გამოჯამრთელების სურვილი, ჩვენი სიყვარული სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოდან კარგა ხანია არაფერი მოსულა. მვლით დღე დღეზე, მგზავრებიც ძლიერ იშვიათად მოდიან. კანტი კუნტიათ მესმის, ეხლა შედარებით სიწყნარეა, მაგრამ გაწირვება მატულობს.

ბერლინელებს მისწერე წერილი ჩემ შეკითხევბს ყურადღება მიაქციონ, თორემ როლში თუ შევედი როგორც მადატორი, გავუწყრები.

ნელი და ბავშვები სიყვარულით სალამს გითვლიან. ლუარა ენათ გადაიქცა. ცოტას გვშველის გაჭირვების დროს თავის ენით. დღეს სიცხისგან შეწუხებული თითქმის ტიტველი ლოგინზე გორავდა და იზახოდა, რატომ „რიში“ ...

25/VII

ჩემო ოწია, არ გაგიწყრეს ბიჭო, ღმერთი და არ იფიქრო, რომ თვალი თვალს მოშორდება და გული გულს დაავიწყდება. ეგ მართალი არ არის, გულს გააჩნია არც შენი და არც ჩემი გული ისე არ მაქვს წარმოდგენილი, რომ სივრცემ სძლიოს მატ. ცუდი იყო, ძლიერ ცუდი წარსული წლები, მაგრამ ამ უბედურს და საშინელ დროს ჯერჯერობით მხოლოდ ის მოყვა, რომ ორი ახალი კარგი, გულითადი მეგობარები შევიძინე, ევგენი და შენ, მე მწამს, რომ თვენც ასე მიმიღებთ. თქვენი ნახვით ძლიერ გახარებული ვიყავი, თითქმის მშიერი ... ჯერკიდევ არ ვარ ამ საშინელებიდან გამოსული, მიუხედავად ამისა, თქვენ ორი მაინც ყოველთვის თვალწინ მყავდით ასეთივე გაჭირვებულთ, რასაკვირველია, ევგენის მდგომარეობა გაცილებით მძიმედ მქონდა წარმოდგენილი. სუ ამის ხსენებაში ვიყავი, როგორმე მეც დამეხწია თავი და თქვენც მეხსენით, ბედმა არ იცის, ორი დიდი საქმე თითქმის დამთავრებული დამენგრა. ვიბრძოლებ კიდევ ეგებ რასმე გავხდე.

სასოწარკვეთილება დიდი იყო. ეგრეთწოდებული ქართული ბურჟვაზია გაკოტრებული დამხვდა, უმრავლესობა მათი ან წასული იყო აქედან და თუ ვინმე იყო მას არ ქონდა არავითარი სახსარი რაიმე საქმის წამოწყობისა, ევროპელები კი შემოდებულ უკანასკნელი გროშით სიახლოვეს არ იკარებენ ანატოლისს, საქმეს, მართალია ანგორელი ჩემი ნაცნობები დამეხმარნენ, მომცენ საშუალება ორი დღით კონფერენციის მოწყობის, მაგრამ აქ არ იყო მათი... რადგან მეორე მხარე ყოყმანობდა. ბოლოს არც ერთი და არც მეორე ჩემდა სასარგებლოდ არ დამთავრებულა. ერთი გადაწყდა საერთო მასშტაბით ლოზანაში და მეორე დღესაც ღიად არის. და ელის თავის შესაფერ დროს. როგორც ხედავ, ჯერ კიდევ არ ვარ შიმშილის საშიშროებიდან გამოსული. მიუხედავად ამისა თქვენ ორი...

...არ მოხერხდა... კიდევ ვიბრძოლებ...

ამავე დროს... ჩვენი საერთო საქმე არ დამვიწყებია. მართალია, წინანდელზე უფრო ნაკლებ დროს მას ვანდომებდი, მაგრამ ეს არ იყო გამოწვეული ჩემი გაჭირვებით, არამედ ადგილობრივი პირობებით. ... ფორმულა ისევ ძალაში იყო დარჩენილი.ჯერ ზავი და შემდეგ კავკასია. ვღებულობდი ზომებს მდგომარეობის საშუალებით, რომ ამ ფორმულას სხვა სახე არ მიიღოს. ერთი ჩემი ანგორელი მეგობარი გავაფრთხილე კიდევაც სტოლიპინის მაგალითით „ჯერ სიმშვიდე და შემდეგ რეფორმები“. სტოლიპინის მოკლეს, მას შემდეგ რუსეთს არც სიმშვიდე და არც რეფორმები უნახავს. ოსმალეთსაც ისე არ დაემართოს გამოღვუძებულმა და გაძლიერებულმა რუსეთმა არა თუ კავკასია, თავიც არ წააგებინოს. ამას თან დაურთე ნავთის საკითხიც. რასაკვირველია არა

ჩემში პროპაგანდამ ნავთის გარშემო, არამედ ამერიკელ მეთვალყურის ჩურჩულმა ლოზანაში, შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა დეპუტატი ანგრელი, ვინც კი ვითომდა იცის უცხო ენაზე. გაფაციცებით ეძებს შესაფერ წიგნებს. ორიოდე წიგნი შევწირე სამშობლოსათის. დღეს ეს წიგნები ანგორაშია. დიდი წიგნებით არ გაკეთდება რა, ისევ „შპარგალკებს“ მივმართოთ.

მითხრეს დიდი ანგორის მამამთავრისათვის საჭიროა ეს საკითხი შედარებით მოკლე იქნეს გავრჩობილი და დასაბუთებული. ამიტომ გთხოვ, როგორც კი ამ წერილს მიიღებ და წაიკითხავ დაუყოვნებლივ ჩაჯდე და დამიწერო ექსპოზე -შემდეგის სათაურით „ბაქოს ნავთი, კავკასია და ოსმალეთი“ შინაარსი ასეთი ექსპოსი შენთვის თუმცა არა ახალია ძველია, მე დღეიდან იმ სხემას გადმოგცემ, რა სხემით ვეწეოდი აქ აგიტაციას. ბრძოლა მსოფლიოში ნავთობის გამო მნიშვნელოვანია ბრძოლა ნავთისა და ბრძოლა მის გარშემო შეუძლებლობა მისცემს საშუალებით (იმპერიალისტური ამის საწინაღდეგო საბუთები ძლეირ მოსწონთ) ამ საკითხის გადაწყევტისა. 30 ახალი ომები ... და მართალია ეს წინადადებები ამერიკიდან მოდის და დიდი პოპულარულია ოსმალეთში ... ჩემის აზრით ეს ზომაც უნდა გავაბათილოთ ... მცველები უნდა, თორემ ღიარ კარებს ადვილად ვინმე დახურავს... პოლიტიკას რუსეთიც გაიზიარებს და მოიტოვს ის დარჩეს მცველათ. მაშასადამე ბაქო და კავკასია დარჩება მის საზღვრებში.

ბ) ნავთიანი ადგილების, ამით მთელი კავკასიის ნეიტრალიტეტი წინათ გამოცხადება, ყველა სახელმწიფოების გარანტიის ქვეშ და განა წითლება ნავთისა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოთ შორის რომელიმე ინტერნაციონალურ ორგანოს საშუალებით.

ამ საშუალებით მხოლოდ შეიძლება გადაწყდეს როგორც მსოფლიო მნიშვნელობის საკითხი, ისე კავკასიის. აშკარად საკითხის გადაჭრა მისაღებია.

გ) რა სარგებლობას მოუტანს ოსმალეთს: პოლიტიკური, ოსმალეთის წინ რუსეთის შუა დაიდგება დიდი ზღუდე, რომლის გადალახვას ვერ შესძლებს არა თუ დღევანდელი საკამოდ დასუსტებული რუსეთი, არამედ საკამოდ გაძლიერებული რუსეთი. ეს მოხდება ისე, რომ თვით ოსმალეთის სუვერენიტეტს არავითარი ზიანი არ მოუვა. ხოლო თუ ეს ელანდებათ, ჩვენი სუვერენიტეტი არ იქნება შელახული ეკონომიურად-აზერბაიჯანის შემწეობით წილს გაიღებს ნავთის შემოსვლიდან.

4) რომელი სახელმწიფო დაიჭერს მხარს ამგვარად გადაჭრას საკითხისაა? ან და თუ მთელი სახელმწიფოს არა, ნაწილი საზოგადოებრივი აზრისა. ამერიკა, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, გერმანია და დანარჩენი წვრილი სახელმწიფოები ინგლისია და გოლანდია ამის წინააღდეგები იქნებიან, მაგრამ მუშათა კლასი ამ სახელმწიფოებისა და ნაწილი ლიბერალური წრეებისა ზემოთ მოხსენიებულ ზომის მომხრეები იქნებიან. აქ გაკვრით უნდა იქნეს მოხსენიებული რა შეუძლია ქნას საქართველოს სოციალისტურ პარტიებს. ამ აზრის პროპაგანდისათვის მე მგონი არ ვცდები რომ ასე ვყოფ სახელმწიფოებს.

6) საჭიროა კავკასია განთავისუფლებული იქნეს და ოსმალეთი კავკასია გამოვიდეს შეერთებულათ ასეთის წინადადებით. დაახლოებით ასეთი სხემა უნდა იქნეს წარდგენილი ექსპოზე. რასაკვირველია, შენ სრული თავისუფალი ხარ დასწერო ისე როგორც შენ მოგემარჯვება, ოღონდ მუდმივ გახსოვდეს, რომ შენი ექსპოზე წარმოდგენილი საკმაოდ მომზადებული პიროვნებები ან პიროვნება არ იქნებიან და ამიტომ ზოგიერთ აზრებს მაგრათ ხაზი გაუსვი. და კავკასიის ნავთის საბოლოოდ გადაწყვეტას ექნება უაღრესად მნიშვნელობა, როგორც ახლო, ისე შორეულ მომავალში ოსმალეთისათვის. მხოლოდ ასეთი საშუალებით ოსმალეთს შეუძლია თავი დაიცვას სამუდამოდ განადგურებისათვის. ძალიან სიჩქარით უნდა ჩემო ევგენი, ბოლოს როგორც იქნა

გწერ. ელიგულაშვილმა გადმომცა შენი სურვილი მომეწერა შენთვის რამე, თუ სხვა არაფერი აქვს სათქმელი „დასძინა შეგვაგინოს მაინც“; ჩემო ევგენი, იცოდე ერთხელ და სამუდამოდ, რომ შენ შეგინებას შევძლებ მხოლოდ მაშინ, როცა შენ რაიმე ცუდს ჩაიდენ ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამგვარს შენგან არას მოველი. გარეშე ამისა გინება შენი არც შემიძლია და არც მინდა. ორი წლის საერთო მუშაობა საკმაოდ საწინდარია მისი, რომ ჩვენი მეგობრობა და განსკუთრებით გულწფელობა ერთადმი სრულიად უანგაროა. ღრმად მწამს ასეთებად დავრჩებით, როგორც გასაჭირში ისე მომავალ ლხინში, თუ ეს ჩვენთვის სამუდამოდ არ არის დაკარგული, ორთავენი ჩემო კარგო, ერთ ტაფაში ვიწვით, დროგამოშვებით ვიღაც ცეცხლს უმატებს, მაგრამ გული არ გაიტეხო, ჩვენი დაწვა ძნელია, ქვეყნის სიყვარული, ქვეყნის პატარა საშუალება კი არ არის ყოველივე გასაჭირისაგან თავის დასაღწევად. ბედი ყველას არ გაწირავს და უზომოდ გახარებული ვარ, რომ ბედმა არ გაგწირა და შენი ბიჭი გადაგირჩინა. ვაი, აქვე აღვნიშნავ, რომ პატარა სოსიკო ავადმყოფობს გავიგე გვიან, როცა უკვე კარგად იყო საჭირო იყო გამოგხმაურებოდი ამ ავადმყოფობის გამო ვერ მოვახერხე. გრძნობის სინაკლით არ მომხდარა, ჩემი და შენი გაჭირვება ერთად შეზავებული ჭეშმარიტად ჯოჯოხეთურ პირობებს ქმნიან. ამ შემთხვევაში ბევრს უჭირს ლაპარაკი, წერა, გრძნობების გამომჟღავნება და სხვა მე კი პირიქით, სრულ სიჩუმეს ვარ ჩვეული, თითქოს მრცხვენოდეს გამჟღავნება ჩემი გაჭირვებისა, გაჭირვებულ მეგობარს გული არ წაუვიდესო იმის ოცნებაში ვიყავი, როგორმე არათუ ჩემი თავი მეხსნა, არამედ შენც დაგხმარებოდი. არ მოხერხდა ჩემო ევგენი, ვერც თავს და ვერც შენ დაგეხმარე წარსულ თვეში სამსონ ფირცხალავას წერილი მივსწერე და მისი საშუალებით რომ მალე წერილს გამოგიგზავნი თქვა. დღესაც შეიძლება არ მომეწერა, რომ დომენტი არ ჩამოსულიყო და არ ეთქვა, რომ შენ ისევ მის მამულში დაბრუნდი ცოტა გული მომეშვა, გამიხარდა ბინა და ბოსტანი მაინც გაქვს. ამ სიხარულმა და მცირე ამბავმა, რასაც ქვევით გწერ დამაჩქარებინა შენთან საუბარი.

ეს ამბავი გახლავთ შემდეგი: ოც კვირკობისთვეს დანცი გემინ ჩამოვა, თუმცა თურქული ვიზა პარიზის საელჩოში ჰქონდა, მაგრამ დიდის გაჭივრებით გადმოვიყვანეთ გემიდან, იმ ხანებში თურქები არავის უშვებდნენ კონსტანტინოპოლში. გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ სამი დღე დარჩენილიყო აქ. ალბათ, იცით გრიშა ბერიძესთან იყო მისული თუ არ ვცდები ფულის გამო. რასაკვირველია, აქ ეხლა რომელიმე ქართველისაგან ასე სიჩქარით ფულის შოვნა შეუძლებელია. დარჩა ერთი კვირა. შემდეგ ავად გახდა. იწვა ბერიძესთან თერაპიაში. პირველ ხანებში ეგონათ მალარია, მაგრამ სიცხის ერთგვარი მუდმივობასთან... შემდეგ ტიფის დიაგნოზი დაუსვეს და რუსტის საავადმყოფოში წაიყვანეს. პირველ ხანებში ხან მალარია, ხან ტიფი უწოდეს. სისხლის ანალიზმა უარყო ორივე შესაძლებლობა. რამდენიმე ხხნის შემდეგ სიცხემ უმატა და თან ჭაჭებთან საშინელი ტკივილი დაუწყო. რენტგენის სხივებით ვერას გახდნენ. ჭაჭების ავადმყოფობა კვლავ ანალიზმა უარყო. დომენტიმ დაიწყო ჩივილი, რომ გრძნობს ჭაჭებთან ჩირქი მაქვსო. მაშასადამე ოპერაციასთან მიდგა საქმე. გუშინ გაუკეთეს ოპერაცია. მართლაც ჭაჭებსა და ტყლიპს შორის ერთი ჭიქა ჩირქი გამოიღეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მართალია საღამოს სიცხემ მოუმატა, მაგრამ ექიმების სიტყვით საშიში არ არის. დაჭირდება ერთი თვე წოლა. მთხოვა მომეწერა შენთვის. მე დღეში ერთხელ დავიარები მასთან. ზომები არის მიღებული არავითარი გართულება არ მოჰყვეს. სრული იმედია, არა უჭირს რა. ყოჩაღი აგებულების ბიჭია.

2) ეხლა ცოტა თურქების კერძო წერილის უფლების. ასეთივე წერილები სამსონსა და კონიას მივსწერე, მეშინია ვინმემ არ ჩამომართვას უზურპაციით. ისინი გადმოგვცემდნენ იმათ წერილების დასამატებლად.

ბექირ სახით ბეი. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეოროთ, რომ ეს ერთადერთი კაცია ოსმალეთში, რომლის გულწრფელობა კავკასიის საკითხის გადაჭრაში ეჭვგარეშეა ოსმალეთის და რუსეთის გავლენის გარეშე, ეჭვგარეშეა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი აქ იმ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან თურქებთან შეხვედრით. ყოველ თურქს, განათლებული (შედარებით რასაკვირველია) თუ გაუნათლებელთ, მაღალ საფეხურიანი თუ დაბალ საფეხურის მცირე კლასის შეგირდივით გაზეპირებული აქვს კავკასიის დამოუკიდებლობა, მაგრამ შეგნება არის იშვიათი. ან ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ... ყარსი, ბაქო ბათუმითურთ, თუმცა ქართველებს ამის თქმას ვერ უბედავენ, ან კიდევ რაღაც ეზებს რომ კავკასია არ გაემიჯნოს ოსმალეთიდან. თვით მთავრობის წრეებში ამ ბოლო დროს კითხვა სერიოზულად დაისვა იმ მხრივ, რომ როგორმე რუსეთის საზღვართან პირისპირ არ ქონდეთ საქმე. სწორედ ამ დროს საფიქრებელი იყო ბექირსაც დროს დაუდგენლობა. ჯერჯერობით ეს ასე არ არის. სულ რამოდენიმე დღეა, რაც ბექირი აქედან წავიდა ანგორაში და დღეს უკვე გახსნილ ნაციონალურ ყრილობის დასასწრებლათ. რამოდენიმეჯერ ვინახულე, მაგრამ ყოველი ნახვა ჩვენ შორის რაღაც უხერხულობას იწვევდა. ამ ადამიანთ „მდგომარეობა მართლაც მძიმე და „დელიკატურია“. როგორც ეტყობა, ბრაზი ერევა ადამიანს იმის გახსენებაზე, რომ ევროპაში მისი დაწყებული საქმე სხვამ იგდო ხელში და ამ საერთო ზეიმის დროს უბრალო ადგილიც აღარ შერჩა. ძლივ-ძლივობით დაითანხმეს ბექირის მეგობრებმა ქემალ ფაშა დეპუტატთა სიაში შეტანაზე. თავათ ამ პირობებში ბექირს არ აქვს კიდევაც გადაწყვეტილი დაანებოს თავი თუ არა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

მის პირად ბრალს დღეს ემატება საერთოდ ანგორის ხელმძღვანელთა მტრული განწყობილება კავკასიდან გადმოსულ ხალხთა. ჩაუხმდის პანღური კრეს და გადმოაგდეს პრემიერობიდან, მგონი ლონდონის ელჩობას შესთავაზებენ. მაგრამ ეს იქნება მისი ახლანდელთან ლიკვიდაცია და არა წარჩინება. ჩემის ცნობით ბექირის რაღაც პატარა იმედი კვლავ უღვივის გულში და ეს არის ხელს რომ უშლის სამომავლო გადაწყვეტილების მიღებას. სხვათა შორის, ანგორაში წასვლის დროს გენერალური ლაპარაკი მქონდა. პასუხი იყო მისი შემდეგი - სულ უკანასკნელი, ანგორას ორი თვე დასჭირდება ახალი კონსტიტუცია მიიღოს, მთავრობა შეადგინოს, ზავის პირობების რატიფიკაცია მოახდინოს და სხვა საორგანიზაციო მუშაობა მოათავოს. ამ ხნის განმავლობაში კავკასიის საკითხზე ლაპარაკი მეტია. ერთ გარემოებას აქცევს ყურადღებას ვინ იქნება ელჩი პარიზში. ამას ისეთ ნაირად უსვამდა ხაზს, სწორედ ის პატარა ნაპერწკალი, რომელიც მას უღვივის გულში არის ის, რომ მას იმედი აქვს კიდევ პარიზში ელჩად დანიშნავენ. ბექირი პარიზში და რაუხი ლონდონში. აი ის საფუძველი, რომლის შემწეობით ბექირი ფიქრობს ევროპის დახმარებით კავკასიის პრობლემის გადაწყვეტას, უკანასკნელი სიტყვა მისი იყო შემდგი :“...ვინ მამაძაღლი შეუშლის ხელს ოღონდაც...

გაზეთების ცნობით მაკდონალდი მოდის. კარგი იქნება წამოსვლამდის მოველაპარაკო მას და კავკასიის ნავთის საკითხს გაუშუქდებდი ისე, როგორც კონია კანდელაკის ექსპოზეში იქნება დაწერილი. აქ მე შევეცდები თურქებს დაუსვან ეგ საკითხი. საჭიროა კონიამ დაჩქარებით ექსპოზე. ბიჭო, რა ღმერთი გიწყრებათ, ნუ თუ თქვენ არა იცით ნაც. დემოკრატები ყელს გვჭრიან თავის გამოსვლებით. რას ბოდავს გრ. ვეშაპელი? ეს რა ამბავია თეთრ გვარდიელებთან მათი ალიანსი? თქვენ სად ხართ? რა ზომებს ღებულობთ. გვიპასუხეთ, თორემ ეჭვი გვეპარება არ თეთრ გვარდიელებთან თქვენი კავშირის არამედ თქვენი მოდუნებისა და უილაჯობისა. რა არის რამ გადააქცია ეს ძველი ანარქისტები დღევანდელი რუსეთის მონარქისტებად. თუ არ გამოფხიზლდით, მეც მიგატოვებთ, არ მიყვარს მოდუნებული ხალხი ხომ იცი.

25/VIII

ამხანაგებო, ისევ მენშევიკების შემწეობით გიგზავნით ამ წერილს. საკუთარ გზას ვერ ვეღირსე. რამოდენიმეჯერ წერილი მოგწერეთ და პირადათ რამდენიმეს დავაბარე.. დღემდის არა თუ გზა, უბრალო წერილსაც ვერ ვეღირსე. ყველას აქვს თავისი პარტიული ცნობები ჩემს გარდა. საჭიროა ვიცოდეთ თქვენგან როგორი ურთიერთობა პარტიათა შორის. გამათავისუფლებელ კომიტეტში შესულ პარტიათა მუშაობა წარმოადგენს თუ არა სრულ თანხმობას? აქვს თუ არა რომელიმე პარტიის წარმომადგენელს უფლება საქართველოში მომხდარ შეთანხმებას არ მიიღოს და აქ ახალი საფუძველი ეძიოს ამ შეთანხმებისთვის. გაიზარდა თუ არა გავლენა ნაც. დემოკრატებისა, დაიშალა თუ დასუსტდა ზომაზედ მეტი. მენშევიკები გაქრა თუ არა სოც. ფედერალისტები და სხვა პარტიები? მართალია ამ კითხვებზე მაქვს პასუხი, მაგრამ ეს პასუხი მენშევიკების და ნაც. დემოკრატებისა მე კი მესაჭიროება ჩემი პარტიის აზრი. აუცილებლათ ველი თქვენ პასუხს ამ წერილზე. გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამეცით პასუხი. რასაკვირველია, ჩემი კითხვების შემდეგ მოიწერეთ დაწვრილებით მდგომარეობას ჩვენი პარტიისა. მანდატისათვის მადლობელი ვარ. მაგრამ რათ მინდა მანდატი, თუ თქვენთან კავშირი არ მექნება და თქვენ დირექტივების მოკლებული ვიქნები.

განსაკუთრებით მესაჭიროება ამჟამად პასუხი ზევით დასმულ კითხვებზე ვინაიდგან ასათიანს და კედიას ჩამოსვლის შემდეგ საზღვარგარეთელ პარტიათა წარმომადგენლების მუშაობა ერთგვარი დეზორგანიზაცია მოხდა, რომელიც სრულიად უშინარსო და უმიზნო გართულებებს იწვევს. და მომავალში კიდევ უფრო მეტს გამოიწვევს. მართალია საქართველოდან მოდის ნაც.დემოკრატების გაფრთხილება თავისი პარტიიდგან, მაგრამ არ შველით, ესენი მაინც თავისას აგრძელებენ. მოკლედ ისტორია ასათიანის ოინების არის შემდეგი: როგორც კი ჩამოვიდა ასათიანი კონსტანტინეპოლში, დაუყოვნებლივ გვინახულა. გადმოგვცა მოკლედ ინფორმაცია და თან განცხადებაც და მათი პარტიის სახელით დააყოლა, საქართველოში მიღებული შეთანხმება სრულიად არ აკმაყოფილებს ჩვენს პარტიას. ამას თან ერთვის სისტემატურად დარღვევა მენშევიკების მიერ მიღებულ შეთანხმებისა, ასე რომ თვით დამოუკიდებელი კომიტეტი ფიქციაა და მეტი არაფერი. გვთხოვდა მიგვეღო მის მიერ შეთანხმებული პირობები ახალი შეთანხმებისა. აქვე საზღვარგარეთ ორგანიზაციური პროექტიც იყო, რაც ტყუილუბრალოდ დავკარგეთ დრო ამ უთავმოყვარო პროექტის განხილვაში. მიღებული პროექტი ჩვენი და მენშევიკებისა მხოლოდ საზღვარგარეთ ორგანიზაციისა თქვენ გადმოგიგზავნეთ. მას თან ახლდა ასათიანის კერძო აზრი პროექტის სახით, ეს იყო ერთგვარი პროლოგი მისი მოქმედებისა კონსტანტინეპოლში. განაცხადა რა, რომ არც საქართველოში და რც საზღვარგერეთ ნაც. დემოკრატიული პარტია არ არის შეთანხმებული მენშევიკურ პარტიასთან და სხვა პარტიებს არათ აგდებს. დაიწყო დარაზმა თავისი ჯარებისა. საუბედუროდ აქ არის საკმაო ელემენტი ნივთიერად ფრიად შევიწროებული, სწორედ ამ ხალხში დატრიალდა, თან იმედი მისცა ამ ხალხას, რომ მთავრობის მიერ წამოღებულ ფულების ნაწილს მაინც ვიგდეფ ხელშიო, როგორც ერთი მძლავრი პარტიის წარმომადგენელი. ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენთან ერთად(ნაც.დემოკრატები) გადმოხიზნულ მთავრობას ეგზეკუცია ამ ძახილს გამოეხმაურა მთელი შავი ძალა კონსტანტინეპოლისა. ამ დროს კედიაც ჩამოვიდა, იმედი ჰქონდა კედიასი. საუბედუროდ კედია ყურმოჭრილ მონასავით გაყვა ასათიანს. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს სწორედ ის დრო იყო, როცა რუსულ მონარქისტულ რეჟიმში ერთგვარი იმედიანი (თუ ეს შეიძლება მკვდარ ადამიანზე ითქვას) შემართება დაიწყო. ეს იყო გამოქცეული ქვრივი დედოფლის მიერ ფულის გადაცემით მონარქიული მოძრაობის მეთაურებისათვის.

ასათიანს და კედიას მოქმედებასაც ეტყობოდა ამ მოძრაობის გასწორება. პირველ ხანებში პირადად ვერ ბედავდნენ გამოსვლას, გამოყავდათ წვრილფეხა ხალხი. ექვსი მაისის დღესასწაულზე მონასტერში გამოუშვეს ფრ. წულუკიძე, რომელიც იმუქრებოდა კიდევაც თუ სოციალისტები თავს არ დაანებებდნენ ხალხის ხელმძღვანელობას. დახვრეტილ გენერლების პანაშვიდზე თვით სპირიდონმა იკადრა გამოლაშქრება და მოითხოვა სოციალურისტურ უბედურებისგან თავის დანებება და სხვა. მოისურვეს კოლონიის დაარსება, მართალია, დაგვიწყეს თავში ლაპარაკი შეთანხმებაზე, მაგრამ დასასრულს მომავალ გამგეობაში ჩვენ და მენშევიკებს თითო ადგილიც აღარ მოგვცეს. თქმა არ უნდა თვით შემადგენლობა კრებისა ყოვლად უმსგავსო იყო. კრება იყო დანიშნული თავშესაფარში. კრებას თავშესაფრის ხალხი დაესწრო, ნამდვილი ქართველობა კი დარჩა ამ კრების გარეშე, რადგან ზოგმა არ იცოდა და ზოგიც (ზარმაცები) ვერ მოვიდნენ. პარასკევ საღამოს მოეწყო კრება, კრება დაიწყო ჩვენი პროტესტით. სოციალისტებს არ ეყოლებოდათ წარმომადგენლები. ამ პირობებში გამარჯვება, რასაკვირველია, მათ ხვდათ. გამგეობა აირჩიეს, მეორე დღეს ამცნეს ქვეყანას, სოციალისტები დამარცხდნენ და მემარჯვენეებმა გაიმარჯვესო. ამ დროს აქ იმყოფებოდა ცნობილი ალიხანოვი მენშევიკი, ახალციხისა და მანგლისის გმირი, გვარდიის შტაბის წევრი, რომელსაც დიდიხნის წინათ დაეწერა საბრალდებულო ოქმი. უშინაარსო ჩვეულებრივი ჭორებით აღვსილი, მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ გამომცემელი ვერ ეშოვა, ასათიანმა არათუ გამომცემლობა იკისრა, არამედ რედაქტორობაც გაუწია. შემდეგ გადავიდა უფრო მძიმე საქმეზე, როგორც მოჭორა რომ მთავრობის წარმომადგენლები უფრო მენშევიკების ფულით ყალბი ფულების ბეჭდვას შეუდგნენ, დაიწყო ძებნა აგენტების, რომლის შემწეობით აპირებდა ოსმალეთის მთავრობისათვის ამ ცნობის მიწოდებას. იმ აგენტმა ეს ამბავი ჩვენ გადმოგვცა. ამ საქმის გამოძიებას შეუდექით, ამ დროს ცნობა მოდის საქართველოდან, რომლებმაც იციან ფარშივი ფულის ამბავი, სწორედ იმ სახით, როგორც ეს ამბავი აქ იყო გავრცელებული ასათიანის მიერ. იმ დროს, როცა ასათიანი აწყობდა ოსმალეთის მთავრობის აგენტების თავდასხმას ჩვენზე, აქ იყო ბუხუტი მიქელაძე, ჩვენის ცნობით აგენტი ბეკებისა, ამ უკანასკნელთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალ. ასათიანი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიქელაძე ასათიანმა როლები გაინაწილეს. მიქელაძემ ბეკებს ეს ცნობა გადასცა, ალ. ასათიანმა კი ვერას გახდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ოსმალებთან ზოგიერთი ჩვენთაგანიც ვაგლახად ხელის წამოკრა ძნელი საქმეა. რა მონაწილეობა მიიღო სპირიდონ პეტიამ ამ საქმეში არ ვიცით, ოღონდ უტყუარი ცნობებიდან გადმოგვცეს, რომ დასაწყისში სპირიდონ კედიასაც მოეხსენებოდა ეს ბინძური განზრახვა ალექსანდრე ასათიანისა, მხოლოდ დასმენა, რომ მას ჰქონდა მოხსენებული იმ მხრივ, რომ საჭიროა მენშევიკებს ხელთ შეუშალოთ დიდი ფული შეიტანონ საქართველოში, რადგან ამ ფულით მათ შეუძლიათ კვლავ დაიბრუნონ დაკარგული გავლენა ხალხში. ამას დაუმატებთ კიდევ რამდენიმე სიბინძურეს მათ მიერ შეთხზულს, რასაკვირველია, ნაკლებ მნიშვნელოვანს (მათი ჩამოთვლა არ არის საჭირო). ამით ამოიწურება სპირიდონ კედიას საზღვარგარეთული მუშაობა შინაურობაში. უფრო მკრთალი მათთვის სამარცხვინო იყო მათი, ასე ვთქვათ, საგარეო მუშაობა. ასათიანმა ენის უცოდინრობის გამო ეს როლი სავსებით მიანდო სპირიდონ კედიას. ამანაც დაუარა ყველა მოკავშირე კომისარიატებს, მაგრამ მოხდა სამარცხვინოთ წვრილი მოხელეების მეტი, ისიც უმთავრესად კონტრაზვეტკის ვერავინ ინახულა. რა მიზანი ქონდა? უნდოდა დაემტკიცებინა მათთვის საქართველოში, როგორც ევროპაში ფაშიზმის განმტკიცება, ამის სულის ჩამდგმელი პარტია არის ნაც. დემოკრატები. ამ უკანასკვნელის კი მოედნად ჩვენ მთავრობას ბოლშევიკებს უძახდა. მენშევიკებს მარხავდა აქვე, ჩვენ და სხვა წვრილ კერა პარტიები მისი სიტყვით მისი აქეთ წამოსვლამ-

დის იყვნენ დამარხულნი. ამ საბუთით მხოლოდ მასთან დაუჭერიათ საქმე. ერთი ფრანგის კონდაზვრევის მოხელე გააბრიყვა კიდევაც და კიდევაც გამოართვა საქართველოსთან კავშირის გარანტიათ, როგორც ვიცი, განა არ მოეწყო და ფულიც დაიხარჯა, ასეთი პატარა სკანდალით დამთავრდა მათი საგარეო მოღვაწეობა კონსტანტინეპოლში.

სპირიდონ კედია წავიდა პარიზში, იქ მოღვაწეობდა გრ. ვეშაპელთან, რომელსაც ასათიანის ჩამოსვლა არ ესიამოვნა. თავში მის მოღვაწეობას არ იზიარებდა. ჩემის აზრით, ამას უფრო პერსონალურათ მოტივი ედო საფუძვლად, სანამ სპირიდონი მივიდოდა პარიზში ვეშაპელს საქართველოდან მოუვიდა მანდატი. გვეგონა ამის შემდეგ ვეშაპელი მიიღებდა სასტიკ ზომებს ამ დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. ასეც პირდებოდა პარიზელებს. პირიქით მოვლენას წავაწყდით. მანდატის მიღების შემდეგ გამოვიდა განცხადებით ინტერვიუს სახით, რომელიც დაიბეჭდა რუსულ მონარქისტულ გაზეთში. ეს ინტერვიუ დაწერილი იყო ვითომდა საქართველოში უკანასკნელი ამბებით გამოწვეული (გენერლების დახვრეტა). ვეშაპელი აცხადებდა, რომ საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო ტრადიციული ხასიათი. ამ მოძრაობას სათავეში უდგება ის წოდება (თავადაზნაურობა), რომელსაც ისტორიით აქვს მიკუთვნებული საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და სხვა. ამავე დროს მთავრობაში დასვეს საკითხი ახალი შეთანხმებისა. მენშევიკებმა მიიღეს ეს საკითხი და გააჩაღეს დაუსრულებელი ლაპარაკი. ექვს ამ თვეს უკვე უპრატექტორათ იმავე მონარქისტულ გაზეთში დაიბეჭდება მეორე საუბარი გრ. ვეშაპელისა. თვით ტექსტს ამ საუბარისაა ამასთანავე გიგზავნით. თუ ზევით გწერდით საზღვარგარეთელ ნაც. დემოკრატ მონარქისტებთან გასწორებაზე, ამ საუბრის შემდეგ ვეშაპელი პარტიის სახელით ერევა საქართველოს მებრძოლთ თეთრგვარდიელთა რაზმიდან. საქართველოს და რუსეთის უღლიდან გასანთავისუფლებლად. შემდეგ კი რუსეთს პირდება საქართველოს სახელით სამხედრო კავშირის ოსმალეთის წინააღმდეგ. მეტი ლაპარაკი იმის შესახებ თუ რა ღირსება ასეთი კავშირი და რა ზიანი შეუძლია მოუტანოს ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს. ამითომ საჭიროა მიღებულ იქნას დაუყოვნებლივ შემდეგი ზომები:

1. ...ჩვენთვის შეუძლებელია ვეშაპელთან თანამშრომლობა. ამასთანავე ერთად ასათიან, კედიას ფასი დასდონ და ერთხელ და სამუდამოთ მოგვაშორონ ეს ხალხი თავიდან. მით უმეტესათ ეს საჭიროა, რადგან არის აქ ნაც. დემოკ. რომლებიც გულწრფელად შეწუხებული არიან ასეთი მათი საქციელით. ამ ხალხს სურს საერთო შეთანხმებული მუშაობა, მაგრამ ახლად მოვლენილი ლიდერები ნებას არ აძლევენ იმუშავონ ჩვენთან ერთად. მართალია რამოდენიმეჯერ მოუვიდა ალ. ასათიანს გაფრთხილება საქართველოდან, მაგრამ ამან ვერა უშველა მას.

2. საკმარისი არ იქნება მარტო პარტიის სახელით გაბათილება მისი ნათქვამისა. აუცილებლათ უნდა იქნეს განცხადებული დამ. კომიტეტის სახელით თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით, რომ საქართველოს სახელით არავის აქვს უფლება თეთრ თუ წითელ გვარდიელებთან კავშირი დასდოს. ერთხელ და სამუდამოდ გააგებინეთ ყველას, რომ არც წითელი და არც თეთრი რუსეთი არ სურს საქართველოს და მასთან კავშირს არ სდებს.

3. ჩვენი პარტიის სახელით უნდა ბრძანება მომცეთ შევსწყვიტო ყოველივე კავშირი მთავრობასთან თუ ვეშაპელი იქნა წარმოდგენილი გაფართოებულ პრეზიდიუმში ნაც. დემოკრატების წარმომადგენლათ.

დანარჩენ ზომებს თუ რასმე დასძენთ, დიდი მადლობელი ვიქნები. ყოველივე პირობის გარეშე მოვითხოვ პასუხს ამ წერილზე. სანამ, თქვენგან არ მექნება პასუხი, მანამ მე პირადათ არავითარ ნაბიჯს არ გადავდგამ, თუ ვინ იცის რა პასუხი ეხლაც არ მომეცით, იძულებული

ვიქნები მანდატი დაგიბრუნოთ და მასთან კი არაფერი კავშირი არ მქონდეს. ველი პასუხს. თქვენი პასუხის შემდეგ გამოგიგზავნით მოკლე მოხსენებას ახლანდელი პერსპექტივების შესახებ.

2/IX 23 წ

ჩემო კარგო მეგობარო ვალიკო, ძლიერ, ძლიერ გამახარა შენმა ჩვენი ძვირფასი ქვეყნისადმი სიყვარულით აღსავსე წერილმა. სწორედ შენი შემართებულობით ადევს შენ სიტყვას და მოქმედებას სიმტკიცის ბეჭედი. შენ იგივე ხარ მარად და მარად, სამშობლოსათვის, რაც იყავი რამოდენიმე წლის წინათ ინტერნაციონალური სოციალიზმისათვის. ამ ბოლო წელიწადში შენი ბუნება გამდიდრდა გაღვიძებული ეროვნული გრძნობებით. ვინც რა უნდა სთქვას შენზე, ერთს შენი დაუძინებელი მტერი ვერ წაართმევს: შენ ყოველთვის ყოჩაღი და გულწფელი იყავი. ეს შენი თავიდან დაყოლილი ღირსებაა, ეხლახან დავაჭკაცებული ეროვნული გრძნობა ქარგავენ შენს ოპტიმიზმს. ოპტიმისტი ხარ და ასეც უნდა იყო. რადგან ჩვენ აწ უკვე განსვენებულმა გმირებათ დახოცილებმა და მრავალ რიცხოვან პოლიტიკურ ტუსაღათ წამებულებში საწინდარია ამის. რაც დღე მიდის სულ უფრო და უფრო სანუგეშო და სასიცოცხლო ამბები მოდის საქართველოდან. სამი წელი კრიზისისგან ქართველი ერი გამარჯვებული გამოდის... საქართველოდან მოსულმა ამბავმა თუ როგორ დაიხოცა თხუთმეტი ქართველი მხედარი... ფორმალური კომედია გათავდა. განჩინება წაიკითხეს, ვისი დაწერილი ან როდის, ადამინმა არ იცოდა. შემდეგ ჯალათები: ებრაელი, სომეხი, რუსი ან ერთი იუდა ქართველი კვანტალიანი ეკითხებიან: მოკლავთ გამზადებულ გმირებს ვის რა გაქვთ სათქმელი: მოხარული ვარ, განაცხადა აფხაზმა, რომელმაც სიცოცხლე მოიტანე სამშობლოს სამსხვერპლოზე. ჩვენ ვკვდებით როგორც ქართველი პატრიოტები. ჩვენს შემდეგ რჩება მრავალი ღირსეული მამულიშვილი, რომელთა თავგანწირვით ჩვენი სამშობლო მალე განთავისუფლდება. ჩვენ ვკვდებით, მაგრამ ჩვენი სიკვდილით ახლოვდება ჟამი საქართველოს განთავისუფლებისა... გადაეცით დღეს უკვე იდეისთვის ბრძოლაში მოდუნებულ რუსეთს, თუ როგორ კვდება ქართველები სამშობლოსათვის... ასე ჩემო ვალიკო, ხომ ხედავ როგორ კვდება წინათ სრულიად რევოლუციას დამორჩილებული ხალხი. მაგრამ ბოლოს ეროვნული ბრძოლით დანთებულმა ცეცხლმა გააკაჟა საქართველო. ჩაითრია ყველა კლასები და შთაბერა მათ სული ჭეშმარიტი ვაჟკაცობისა...

ამავე დროს, ხომერიკი ქარგავს ათასნაირ რევოლუციონურ ფერადებს საქართველოს... გულზე. თითო ოროლა წამხდარი კაცუნები, რომელთა თავი შეირცხვინეს თავის სულდამბლობით და თავის ხელით თავისის სისუსტეზე ხელი მოაწეროს, დღეს უვე ნოე ხომერიკის კარს უკაკუნებენ და სთხოვენ მას პატიებას და უკანვე მიღებას. ჭეშმარიტად დიდი ღვაწლია ნოე ხომერიკის თავისი ქვეყნის წინაშე, შესაძლებელია ერთ ხნით მაინც დაემორჩილებია საქართველო რუსეთის ჯალათებს რომ ხომერიკი არ მოსწრებოდა. როგორც ეტყობა დროზე მიუსწრო მტერს და სწორედ იმ დროს შეუტია, როცა მტერი თითქოს დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში. ერთის დაკვრით თავიდან მოიშორეს მერყევი ელემენტები, თავი მოუყარა მებრძოლთ და ისე მიუცია საქმე, როგორც ზევით გწერ, სტამბა, ბეჭდვა და სხვა საჭირო ორგანიზაციები აღადგინა. ჩვენს და მას შორის აღსდგა უკვე ნორმალური დამოკიდებულება. საქართველოს განთავისუფლების ისტორიაში ყოველთვის დიდი იქნება როლი ნოე ხომერიკისა, კიდევ უფრო მეტი იქნება მისი როლი თქვენი პარტიის ხსნაში გახრწინისა და განადგურებისათვის. ...ისე ამოართმევდნენ სულს თქვენ პარტიას, რომ საზღვარგარეთ მყოფნი მეთაურები ვერც გაიგებენ. ამბებს ამის შესახებ ზოგი ხელთ

მექნება და ზოგიც კიდევ მოგივა. საქართველოს ბრწყინვალე მზეზე არის შავი წერტილებიც, მაგრამ მათ მნიშვნელობა არ აქვს და არც ექნება. მე ვგულისხმობ თქვენი პარტიულ უმნიშვნელო ნაწილზე, რომელთა თავი შეირცხვინეს და ხელთ მოაწერეს, აგრეთვე თითქოს ყველა საქართველოში დარჩენილ ლიდერებზე ნაციონალ დემოკრატიულ პარტიისა, რომელთა სამარცხვინო განცხადება უკვე დაიბეჭდა... ჩემი პარტის წევრებზე ვერას გწერ, რადგან უკანასკნელმა წევრებმა საქართველოდან მხოლოდ შეგვატყობინა რომ ფედერალისტები დაიხურესო. ადვილად წარმოიდგენ, თუ რას განვიცდი ამ ამბავის დადასტურების მოლოდინში. ნუ თუ მოსალოდნელია, რომ რევოლუციონერებმა, რომელთა გული თავის სიცოცხლე მოანდომეს საქართველოს ბედიღბალსა და სოციალიზმს, ჯალათების წინაშე დაიჩოქებენ და შებრალებას მითხოვენ, ეს არ მოხდება. ჭაღარები ჭაღარას, ახალგაზრდები ახალგაზრდობას არ შეირცხვენენ, ნუ თუ ისე უბედური ვარ, რომ ეს რწმენაც შეილახება. არ იქნება. ასეთია მოკლეთ სააქართველოს ამბები, ელემენტურათ საზღვარგარეთ სულ სხვა სურათია. ამის დასამტკიცებლად ჯერ შენ მიერ ხელოვნურად დახატული. სურათი სრულიად საკმარისია. რა დაემარტა ამ ხალხს. რამ მოაღუნია ხერხემალი. რამ მოადუნა! რისი ეშინით? შიმშილის? ღმერთო ჩემო, როდის იყვნენ მაძღარნი და ფუფუნებაში მყოფნი. დროა გამოფხიზლდნენ თორემ საქართველო, როგორც ხედავ, მოახერხებს თავის საქმის გამოსწორებას მათებ დაუხმარებლათ, თუ ეს ასე მოხდა, მით უფრო დიდი იქნება მათი სირცხვილი. წერილი მივსწერე ევგენის და გავაფრთხილე, თუ არ გამოფხიზლებულან მეც მივატოვებ მათ. რასაკვირველია ეს მუქარა მათვის დიდს არას წარმოადგენს, მაგრამ მაინც დამახასიათებელი იქნება მათი სულიერი მდგომარეობა. ასეთი ჩემი მიმართვა გამოწვეული იყო მათი უმოქმედობით საზოგადოდ და ნაც. დემოკრატების მიმართ. შენ გეცოდინება, მეც ბევრი მოვითმინე და თქვენებ ხომ უფრო მეტი ამ ვაჟბატონის ოინების შესახებ. ალ. ასათიან-კედიას ჩამოსვლის შემდეგ ამათი ავანტურულ ნაბიჯებმა ერთი უბრალო პროტესტიც არ გამოუწვევია მათის მხრით, პირდაპირ წარმოუდგენელ ლოიალობას იჩენენ იმ ხალხის წინაშე, ვინც პირდაპირ ხელის შემშლელ და დამღუპავ აქტებს ავრცელებენ. მერმეთ დეზორგანიზატორების როლს თამაშობენ. მაშინ როცა პირდაპირ ბრძოლაში მყოფ ნოე ხომერიკს მჭიდროთ იცავს გარსშემოკრული ყველა პარტიის წარმომადგენლები, აქ სამშვიდობოში მყოფით, ვერ მოუხერხებიათ თავის დროზე ხმამაღალი სიტყვა უთხრან დეზორგანიზატორებს. შედეგათ ის მოყვა, რომ აქ არას გვარი პროვოკაცია გაგვიკეთეს და პარიზში კი გრ. ვეშაპელი კავშირს კრავს რუსეთის ბასიაკებთან და ისე მოემგზავრება საქართველოში. ეს ხდება პარიზელების ცხვირის წინ. უკვე ერთი თვეა, რაც ეს ამბავი მოხდა ჯერაც არ ვიცით რა ზომებს ღებულობენ პარიზელები? ერთხელ კიდევ მივიტანოთ, იერიში მათზე, ჩვენ აქედან, შენ ბელფორის ციხიდან გავაფრთხილოთ და თუ მაშინაც არ ეშველათ რა და თავი არ დაანებეს ჭირიან ქათმებზე ნოტების წერას სირცხვილი მათი იქნება და არა ჩვენი. ვალიკო, ტყუილა უძახის შენი საყვირის გმირებს საქართველოს გარეთ ქართველთა შორის გმირები იქ არიან, ხომერიკის საყვირმა უკვე მათ თავი მოუყარა და ყველაფერი მზათ არის და უცდის ჟამს და ვგრძნობ, ეს ჟამიც არ დააყოვნებს, თუ მთლად განწირული არ ვართ. იმედი, იმედი, სევდით სევდით გული არ აივსო“.

ცოტა რამ თურქებზე. შენ გაინტერესებს აქ როგორ არი საქმე. ბევრათ უკეთესად რასაკვირველია. ვინემ შენი აქ ყოფნის დროს. მართლაც ... შესცვალა რადიკალურად ფსიქოლოგია თურქებისა. პრესამ უკვე მოურიდებელი იერიშები დაიწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ, საზოგადოებაში ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი ბოლშევიკების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მათი კავკასიაში მოქმედების გამო. აქ წამოიჭრა მრავალრიცხოვან და მრავალტანჯული ძმების კავკაშიაში.

მოწოდება მათი განთავისუფლებისათვისა, ჯარში გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან, რასაკვირველია ფარული ბრძანების გამო, ფანატიზმის გასაღვიზებლდ და ეს ფანატიზმი მიმართულია ბეკების მიმართ სიძულვილით გაჟღენთილი, გზა ჩვენთვის გაიხსნა, უკვე ვოცნებობთ ანგორაში წასვლას ან ვისმე გაგზავნას. ერთი სიტყვით პსიხოლოგიურათ აშკარათ უკვე მზათ არი ყველაფერი. მაგრამ მატერიალურად მზათ არ არის ჯერ კიდევ ოსმალეთი: მას ესაჭიროება სამი რამ: ფული, იარაღი და ერთი ვინმე დიდი სახელმწიფო მოკავშირე. ამათ შორის იარაღი უკვე საკმაოთ აქვთ რადგან თანახმად ლოზანის კონფერენციის დადგენილებისა, მათ დაუბრუნეს მთელი სამხედრო საწყობები. ინგლისელებმაც თავის საკუთარი სამხედრო ინვენტარიც ზედ მიაყოლეს ნახევარ ფასში და ისიც კრედიტში. ასე რომ იარაღის და მისი მოწყობილობის მხრივ სრულიად საკმაო არის მოწყობილი. შეუძლია სხვასაც მიწოდოს. მაშასადამე აკლია ფული და მოკავშირე. ამათ ორი საშუალების ძებნაში არიან. ალბათ მოკავშირე იქნება ფულის მომცემი. ყველაზე უფრო წინ დგას ამ მხრივ, რასაკვრიველია, ინგლისი. ობიექტურად ყველაფერი მზათ არის, რომ მათ ერთმანეთს ხელი მისცენ და მეგობრობა შეფიცონ. ორივე მხარის ინტერესი ამას მოითხოვს, მაგრამ ელემენტურათ (მიაქციე ამას ყურადღება, შენ მარქსისტი ხარ), სუბიექტური პირობები ხელს არ უწყობენ. ერთობ დიდი უნდობლობა იყო ერთმანეთისადმი გუშინ რომ დღეს სისწრაფით ერთი მეორეს გადაეხვიენ. ბეკებივით ერთმანეთს ზვერავენ ხომ არ გავტყუებსო. სწორედ ეს ამბავი რამდენხანს გაგრძელდება არ ვიცით. ზოგი ამ დროს კვირაობით, ზოგი თვეობით და ზოგიც კიდევ წლობით ანგარიშობს, როგორც ყოველთვის, სინამდვილე სხვაა. მან კი მთავრობის წრეებს დუმილის ბეჭედი პირიდან არ აუღია და ის განაგრძობს ათასგვარს ხრიკებს მიმართულს ბეკების მიმართ... სავაჭრო და საკონსულო დამოკიდებულება მათ შორის შეწყვეტილია, ჩიტი ვერ გადაფრინდება რუსეთიდან და კავკასიიდან. უბრალოდ პასპორტის შოვნა აქ ჩამოსასვლელად წარმოუდგენელ სიძნელეა. ამავე დროს ჯარებსაც ერეკება კავკასიის საზღვრებისაკენ. შესაძლებელია ამ ცოტა ხანში აღდგეს მათ შორის ურთიერთობა, მაგრამ ეს არაფრის მომასწავებელი იქნება. რუსეთი კავკასიაში განწირულია. უკვე აამოძრავა სპარსეთის საზღვარზე ბანდები, როგორც ოსმალეთს ჩვევია ათასგვარ რუსეთის საწინააღმდეგო ქსელების ამბავს, როგორც ჩრდილო კავკასიაში ისე ამიერკავკასიაში (აზერბაიჯანში) ორგანიზაციები ჩრდილო კავკასიისა და ისეთ ნარად გამაგრებული აქვს ერთის დაკვრით მოსწყვიტოს ჯარი ამიერკავკასიაში და თურქესტანში მყოფთ. ამ მხრით ხომ იცი დიდი „მისტერებია“ მოკავშირე და საჭიროა არა დღევანდელი დღისთვის, არამედ ხვალინდელი დღისთვისაც, როცა რუსეთი კვლავ გაიმართავს წელს და კავკასია კი არა თავსაც დაავიწყებს. ამ მომლოდინელ უბედურების თავიდან ასაშორებლათ უნდა კავკასიის განთავისუფლება მოაწყოს არა მარტომ, არამედ ერთ, ან კიდევ უკეთესია რომ ...

.

2/IX 23 წ.

ძმაო ნოე, არ გაგიკვირდეს, რომ წერილს ვიწერები აქედან ასე ხშირათ. ამ მოკლე დროში სამი წერილი გამოვაგზავნე სამსონიას, კ. კანდელაკის და ევგენის სახელზე. პასუხი ჯერ არ მომსვლია. სამსონმა პატარა ბარათი გამომიგზავნა, რომლითაც შემპირდა დიდი პასუხი, მას აქეთ ერთი თვეა არ ისმის რა. არ ვჩივი სად არის, ევგენის მაინცა და მაინც არ ეგვიანება.. უფრო ჩემთვის საჭირო იყო კანდელაკის პასუხი. ამას წინათ ი. ედგულაშვილმა გადმომცა, რომ კონია გამბურგშია და შენ გითვის შენი აზრი მისაღები არ არისო.

ეს საზოგადოდ ჩემი ბედია, ჩემი აზრი ყოველთვის მისაღები არ არის, რაც უნდა იყოს. ნაციონალ დემოკრატებმა რაც უნდა სისულელე წინადადება შემოიტანონ, მათ თქვენ კონფერენცია გაუმართავთ მიიღებთ სიტყვაც თუ ნამეტანი გადაჭარბებული არ არის. ამას წინათ ნოეს მივსწერე, რომ ქართველ კომუნისტებში შორის უკლონიზმი იწყება და თუ თქვენ თანახმა იქნებით, მივიღებ ზომებს რომ ეს უთანხმოება მათ შორის გაღრმავდეს. არ მგონი, ჩვენთვის საზარალო რომ მათ შორის გამწვავება უკიდურეს წერტილამდის მისულიყო. ამაზე პასუხიც არ გამცა.

ნიკო ნიკოლაძის და კომპ. ავანტიურა დიდი საკამათოა და მათ წინადადება მოგვცეს მაჩაბელთ გავაგზავნეთ ანგარიშიო, არც იკითხეთ ისე უშინაარსოთ უმიზეზოთ და უაზროთ აჩვენეთ ხან ლოზნაში და ხან პარიზში. სპირიდონ კედიას და ასათიანს ხომ კონფერენციები გაუმართავთ აქაც და პარიზში, ერთხელ მიღებული და გარკვეული საკითხები სულ გადასინჯეთ, მე მესმის კი საზოგადო ჩვეულება, ადამიანს რომელსაც ინტრიგა და კლიაუზა შეუძლია, იმის ცოტა უნდა გეშინოდეს, მაგრამ არ მესმის რომ სრულიად უპატივისცემლად მოეპყრო იმ ადამიანს, რომელსაც შენთან მხოლოდ კარგი რამის გაკეთება სურდეს. იცით თქვენ კარგათ, რომ სიმონ მდივანი არასოდეს არავითარ შემთხვევაში პირად ნაწყენობით არ ვნებს საერთო საქმეს ზიანს. და მგონია ამიტომაა, რომ ჩემ თხოვნას ან წინადადებას სრულ უყურადღებობით ეპყრობით. თავს გაბეზრებდეთ მაინც ჩემი წინადადებებით და პროექტებით. წარსულ წელს დიდი ნოეს მივსწერე, ქართულ კომუნისტებს შორის უკლონიზმა თავი იჩინა, თუ თქვენი აზრიც იქნება მივიღებ ზომებს, რომ წინააღმდეგობა მათ შორის გაღრმავდეს. არ მგონია, რომ ჩვენთვის საზიანო ყოფილიყო, რომ მათ შორის უთანხმოება ახლანდელი კონფლიქტამდე მისულიყო. ჩემ წინადადებაზე პასუხსაც ვერ ვეღირსე. ეხლახან კოწიას ვსთხოვე დაეწერა ექსპოზე შემდეგის სათაურით „კავკასიის ნავთი, კავკასია და ოსმალეთი“ და სიჩქართ გამოეგზავნა. ამაზე ის პასუხი მივიღე, რასაც ზევით გწერ.

საქმე აი რა არის. საბედნიეროდ თუ საუბედუროთ თურქებმაც გაიგეს კავკასიის ნავთის მნიშვნელობა. ინტერესი ამ საკითხისადმი გაცხოველდა ლოზანის კონფერენციის დაწყებისთანავე და მას აქეთ თანდათან იზრდება. მართალია ინტერსი იზრდება, მაგრამ სწორ გადაწყვეტილებამდის კიდევ შორს არის. ეს ჩემთვის აშკარა შეიქმნა რამდენიმე პირთა ბაასის შემდეგ. მითხრეს კარგი იქნება პატარა ექსპოზე რომ დაიწეროს, რათა ნათელი იქნას იმ პირისათვის, ვის ხელშია დღეს ანატოლიის ბედ-იღბალი და ვისი სიტყვისგან არის დამოკიდებული კავკასიის პრობლემების აქტიურად ქცევა. თუ თქვენ დაგვიწერთ ექსპოზე თქვენი სახელით მას გადავცემთო.

შინაარსი ჩემი და მათი ბაასისა იყო შემდეგი: კავკასიის ნავთის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა იქნება იმავე დროს ოსმალეთის ბედ-იღბალის უზრუნველყოფა. თუ მოხერხდა კავკასიის ნეიტრალიზაცია მთელი რიგი სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ, მაშინ ოსმალეთი და მასთან მთელი აღმოსავლეთი უზრუნველყოფილი იქნება რუსების ურდოების შემოსევებისაგან. რუსეთის გზა სამუდამოდ დაიხურება აღმოსავლეთისაკენ. ასე იქნება პოლიტიკურად, მაგრამ ოსმალეთს აზერბაიჯანის შემწეობით ეკონომიურადაც შეუძლია ისარგებლოს, ნაწილი ნავთის შემოსავლისა აზერბაიჯანს შეუძლია დაუთმოს ეკონომიკურად შევიწროებულ ოსმალეთს. ამიტომ საჭიროა კავკასია განთავისუფლებულ იქნას ბოლშევიკებისაგან თავისუფალ კავკასიას, ოსმალეთს და მესამე მოკავშირეს თუ მოკავშირეებს შეუძლიათ მოაგვარონ საკითხი ინტერნაციონალურად, რათა ხვალინდელი რუსეთი ფაქტის წინაშე დააყენონ და მას საქმე ექნას არა კავკასია ოსმალეთთან, არამედ მთელი რიგი სახელმწიფოებთან. ამაზე იყო აგებული ჩემი გეგმა, რომელიც მე გადმოვუგზავნე კოწიას. მას თან დავსძინე, რომ თავისუფალი ხარ, როგორც ავტორი დასწერო

ისე, როგორიც შენ გინდა, ოღონდ ხაზი გაუსვი იმ გარემოებას რომ მხოლოდ კავკასიის ნავთს შეუძლია იხსნას ოსმალეთი მომავალი საფრთხისაგან. მე მესმის რად დაიწუნეთ ჩემი აზრი, ინგლისს ეწყინება, რომ ასეთ აზრს ვაწვდით ოსმალებსო. ერთი რამ ეს იქნებოდა ჩემი კერძო აზრი და არა საქართველოს მთავრობისა. მეორეც ისა, რომ თვით თურქების პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც იციან, რომ ინგლისთან შეთანხმება სწორედ ამ ნიადაგზე უნდა მოხდეს. ამის პერსპექტივა მათ აქვთ, მაგრამ შიში თან ახლავს, ვაითუ ინგლისელებთან შეთანხმება ვაითუ კარგ ხანს ვერ მოვახერხეთო. კავკასიაში ნაბიჯის გადადგმით რუსებიც დავინდუროთ უდროვოდ. სწორედ ამ დროისთვის მცირე კომბინაცია ინტერნაციონალური პროტექტორატი ხელსაყრელი პერსპექტივა არის ოსმალეთისგან. ამ კომბინაცია ან ინგლისთან ან ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად კავკასიის პრობლემის გადაჭრა. ამიტომ შედეგად მიღებულ უნდა იქნეს კავკასიის პრობლემების გადაჭრისადმი ხელის შეწყობა, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა დაისვას საკითხი. სწორედ აქ მარხია ჩვენთვის ძაღლის თავი. თუკი ოსმალეთი შეხედავს, რომ ან ინგლისთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოთი განთავისუფლდა კავკასია... აუშვებს იმ კარგად მოწყობილ ორგანიზაციებს, რომელთა რიცხვი, როგორც ჩრდილო კავკასიაში, ისე აზერბაიჯანში საკმაოდ აქვთ. გარდა ამისა ეს პროექტი მათ ხელთ ექნებათ ინგლისთან მოლაპარაკების დასაჩქარებლად. ვთქვათ ყოველივე ეს მიუღებელია, ხომ გაქვთ საკუთარი აზრი ამ საკითხის გამო დავსწერდი და გამოვგზავნიდი, მე მას იმას გადავუგზავნიდი ან ამით ვისარგებლებდი და წერილს მივსწერდი აუდიენციას ვთხოვდი. ეხლა უკვე შესაძლებელია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ამისთვის ზომები უკვე მიღებული გვაქვს. ამ წერილს კიდევაც მიტო გწერთ, რომ დასწეროთ ექსპოზე და დააჩქაროთ საჩქაროდ გამომიგზავნოთ დამდევით იმდენი პატივი, რომ ეს მეორე კომბინაციაც დასახულ მოვიხსენიეთ. მგონი ხვეწნა მე არ დამჭირდებოდა, რომ ჩემი წიგნები ნავთის შესახებ ყველა არ გამეგზავნა ანგორაში. ეხლა ცარიელი ვარ, მაშ გიცდით.

ანგორის ამბები... მართალი ქემალმა ჩვენზე უფრო მოხერხებულად გააწყო არჩევნები, შენ დამფუძნებელ კრებაში ჩააწყვე ასი დეპუტატი, 30 თუ ხუთი სხვა პარტიებმა გაიყვანეს. აქ კი ერთი დეპუტატიც არ გასულა სხვა პარტიიდან. სუყველამ დაყარა იარაღი. სამაგიეროდ თავის ფრაქციაში მას უფრო დიდი ოპოზიცია აღმოუჩნდა. თორემ შენ, შენს ოპოზიციას ერთი ხმა მიცემული ნიკიფორე წარმოადგენდა მას რამოდენიმე პირი უმშვენებდა მხარს. აქ ქემალის ოპოზიცია უფრო მძლავრი აღმოჩნდა, დიდი ბრძოლა აქვს თვით პარტიაში. ოპოზიცია ეყრდნობა მათ მიერ შედგენილ კონსტიტუციას. ამ კონსტიტუციის ძალით ანატოლია უნდა გამოცხადებულიყო რესპუბლიკად პრეზიდენტით, რომელსაც ექვსი წლით ირჩევენ საკანონმდებლო ორგანო ოთხი წლით. ეს პროექტი ჯერჯერობით უარყოფილია. სულთანის ხელისუფლების აღმდგენელთა ჯგუფი ძლიერი აღმოჩნდა თავის ფრაქციაში დიდ რესპუბლიკანელს. ამასთან დაერთო პირადი უსიამოვნებაც. მისმა ერთგულმა მეგობრებმა წინადადება შეიტანეს ერთი მილიონი თურქული ლირის გაღება ხაზინიდან და მიეცათ მისთვის ხალხის სახელით, როგორც ეროვნული საჩუქარი. ფრაქციამ უარი სტკიცა. ბრძოლა გრძელდება. უფრო შესაძლებელია, რომ ბოლოს ქემალი გაიმარჯვებს თუმცა დაჟინებით ამბობენ, რომ ეს გამარჯვება რამოდენიმე თვით იქნება. შემდეგ მას მოელის ის ბოლო, როგორც ყველა დანარჩენ ოსმალეთის მოღვაწეს. ოპოზიცია იმედს არ კარგავს, იმედი აქვს ქემალის კაპიტულაციისა და მაშინ კონსტიტუციაც და სხვა ბევრი რამ საერთო შეთანხმებით იქნება მიღებული. სამინისტრო დაიცემა და ახალი კაბინეტი შესდგება უფრო სახელოვან მინისტრებისგან. ორი დიდი ყოჩი: საუხი და ბექირიც დაუბრუნდებიან მთავრობას. ამ უკანასკნელის შანსები ამ ბოლო ხანს, მოულოდნელათ აიწია. თუ სხვა არა ელჩად მოხვდება,

ან პარიზში, ან ლონდონში. რასაკვირველია ამ შინაური ბრძოლის გამო გარეშე პოლიტიკა ეხლა დროებით უკუგდებულია. ისმეილ ფაშა დაბრუნდა ლოზანიდან ანგლოფილათ, გადაწყვეტილი აქვს როგორმე შეუთანხმდეს ინგლისს, როგორც გადმომცეს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია ამ საკითხის გამო კარგათ ქემალთან მოლაპარაკება... დანიშნულ წუთებზე ახდენენ ევაკუაციას. მთელი აზიის ნაპირი სამ დღეში გაათავისუფლეს. რაც იარაღი და სხვა სამხედრო მასალა ქონდათ საკუთარი, გადასცეს სესხით. დანარჩენი ქონება სუ მცირე სამოცდათი ათასი გირვანქისა გადასცეს წითელ მთავრეს ნახევარ ფასში და ისიც გრძელვადიანი კრედიტით. ერთ სიტყვით, ინგლისელები თავს არ იზოგავენ, რომ როგორმე „სერდეჩობა“ ჩამოვარდეს, მაგრამ უჭირს კი. პსიხოლოგიურათ (შენ მარქსისტი ხარ ეს არ გწამს) კიდევ ბევრი წყალი გაივლის, ვინემ მათ შორის ნდობა დამყარდებოდეს, ამიტომ არი კიდევაც რომ მიუხედავათ ამ ბოლო დროს გამწვავებულ დამოკიდებულებისა, უმარავლესობა ისევ საფრანგეთისაკენ იცქირება. სანამ ინგლისი სამუდამოთ დაუბრუნდებოდეს, მანამ კიდევაც საფრანგეთის შემწეობით სურთ ზოგიერთი რამ მოაწესრიგონ. სხვათაშორის კავკასიის საკითხშიც დიდის სიამოვნებით მოელოდნენ საფრანგეთის დხმარებას. მათი სიტყვითაც მზათ არიან აყალმაყალის დაწყებისა.

ოფიციალურად ჯერ კიდევ ბეჭედი დუმილისა არ გაუტეხიათ, მაგრამ პატარ პატარ სამზადისი უკვე დაწყებული აქვთ. სპარსეთ აზერბაიჯანის საზღვარზე ბანდები აუშვეს. ჯარს გზავნიან კავკასიის საზღვრისაკენ. თვით ჯარში დიდი აგიტაცია კარგა ხანია დაიწყეს ბეკების წინააღმდეგ. დიდ სიძულვილს უნერგავენ ამათ წინააღმდეგ, პრესა ხომ სრულია მოურიდებლათ და ხმა მაღლა ლაპარაკობს კავკასიელ მუსლიმანებზე, რომელბიც წამებულნი არიან ბეკების მიერ და სხვა.

სამსეონს, ვწერდი, მოსინჯე ნიადაგი ფრანგებთან ან ინგლისელებთან, სურთ თუ არა მათ თურქებთან ჩვენი საკითხის გამო ლაპარაკის დაწყება, პასუხს ველი, რადგან შეპირებული ვარ თქვენი პასუხი ანგორას გადავუგზავნო.

საქართველოს ამბების ძლიერ კარგს მიღებული ან მიუღებელი გექნებათ. ნოე ხომერიკს ძეგლი უნდა დაუდგათ თქვენ, რადგან გიხსნათ საუკუნის სირცხვილისაგან, თავაზაიები ისე ამართმევდნენ სულს თქვენს პარტიას, რომ ვერც გაიგებდით. ხომერიკმა პარტია გამოამრთელა. რასაკვირველია, საქართველოს საქმეც გაკეთდა ამით და მიტომ ვარ, რომ მიხარია ნოეს სიყოჩაღე.

სამაგიეროთ პარიზში მყოფთ ხალხს რაგაც მოდუნება დაეტყოთ. რის გეშინიათ. შიმშილობა თქვენთვის არა ახალია, ძველია. როდის იყავით მაძღარიანად დარჩენილი. ხომ ხედავთ, საქართველოდან გამოქცეული ნაც. დემოკრატები გიპირებენ თავზე დაჯდომას. მე ვერ წარმომიდგენია, როგორ მოხდა ვეშაპელის გამოსვლა, რომ თქვენ ვერაფერი გაიგეთ. ან რა მოსაზრებით გადადგა ეგ ნაბიჯი? აქ პრიმიტიულათ ხსნიან მისი ამხანაგები ასეთ ნაბიჯს. მას აწერენ კედია-ასათიანის ინტრიგას. არ მგონია ასე იყოს. გუშინ კ. გვარჯალაძემ გადმომცა შენი აზრი. იმის შესახებ, რომ კედიას ისევ ვეშაპელი სჯობია. პირველი ბეკებთან მორიგებისა მომხრეა, მეორე კი ბრძოლის გაგრძელების მსურველია. კარგ კომპანიაში უნდა მას ბრძოლის გაგრძელება. ბელგრადის და კონსტანტინოპოლის ბაზად გადაქცეული საქართველო მას ქონდეს, ნუთუ თქვენ ამის საწინააღმდეგო ნაბიჯს არ გადადგამთ, ხომ უყურებთ როგორ ღრმავდება ალიანსი მათ შორის, მოწინავე წერილიც წავიკითხე.

სამსონ, გუშინ მივიღე შენი წერილი. სხვა ამ თვეს მივიღე გ. ნაკაშიძის წერილი. დღეს მასაც ვწერ წერილს. პასუხი დავუგვიანე შენგან პასუხის მოლოდინში.

გიორგი თანახმაა წავიდეს, ოღონდ ეჭვებს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ რამდენათ ის შეძლებს იქ ხელმძღვანელობას. მიაჩნია კ. კომახიძე უფრო მომზადებულათ და შესაფერად. ეს მართალია. უეჭველად კოტე სჯობია. თუ გინდა მიტომაც, რომ ერთგვარი ავტორიტეტი, პრესტიჟი არის საჭირო, რომ მის ნათქვამს და მომავალ ქმედებას ფასი ქონდეს ახლაგაზრდობაში და მოხუცებულებიც დაემორჩილებიან მას, პასიურად მაინც. ერთგვარ წინააღმდეგობას გამოიწვევს არალეგალურად მომუშავე აქედან ჩასული ამხანაგი. შეიძლება პატარა შეჯახებაც მოხდეს მათ შორის. აქ, რასაკვირველია, კოტეს როლი უფრო ნაყოფიერი იქნება. გარდა ამისა მომავალისათვის კოტეს პარტიული ღვაწლი შეივსება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში პირდაპირი მონაწილეობის მიღებით. საუბედუროთ კოტეს ერთი ნაკლი აქვს. არ ვიცი შეიძლება ეხლა ამ ნაკლისაგან უკვე თავისუფალია, ვგულისხმობ მის ფიზიკურ ძალას. შარშან წინ ძალიან ავათ იყო, არ ვიცი ეხლა როგორ არის? საქართველოში ბრძოლაში ჩაბმისთვის კი საჭიროა ფიზიკური ჯანმრთელობა, ან კიდევ თუ ჯანმრთელობა მაინც და მაინც მძლავრი არ არის, ერთგვარი შეგუება იმ პირობების, რომელშიც მას მოუხდება მუშაობა, ფიზიკურად ნოე ხომერიკი, როგორც იცი სრულებით სუსტია, მძიმე ავათმყოფიც. მიუხედავათ ამისა მაინც აიტანა როგორც ერთი წლის მუშაობა, ისე ჩეკა და ციხე. მაგრამ ამას სოც, დემოკრატების ბედი უნდა, მეშინია კოტემ ვერ შესძლოს მუშაობა და ტყუილად უბრალოთ ისიც დავკარგოთ და ჩვენს მიზანს ვერ მივაღწიოთ. ყოველივე ამას მიტომ გწერ, მინდა ერთხელ კიდევ გადავსინჯოთ ეს საკითხი. თუ შორის არ არის, შენ ნახე კოტე და მოელაპარაკე. მიიღეთ მშვიდობაში ისიც, რომ გიორგი ერთხელ უკვე გამოდევნილია საქართველოდან და მეორეთ მისი ჩავარდნა ცუდი იქნება, რასაკვირველია. აქვე მინდა გითხრა, რომ ამ უკანსკნელმა გარემოებას არჩევანის დროს გადამჭრელ მნიშვნელობას მიაკუთვნებთ. თავათ გიორგის ჯგუფში მყოფნი სოც. დემოკრატები რამოდენიმე პირი საქართველოში არიან, ერთი მათგანი უკვე მეორეთ ჩავარდა. მართალია, მაგრად აწვალებენ, მაგრამ ვერას გახდნენ ჯალათები, მაგრათ არის. როგორც ზევით გწერ, დღესვე ვწერ გიორგისა მაგრამ გადაჭარბებულათ არას მივწერე. მე მოუცდი შენგან პასუხს და შემდეგ იმისადა მიხედვით ვიმოქმედებთ, ტეხნიკურათ გადაგზავნა არ არის ძნელი. რაც შეეხება გროშებს, გზის ფულს ვიშოვით, მოხერხდება იმ ფულიდან, რომელსაც აქედან უგზავნიან დამკომს. არის დარჩენილი ნაშთები. იქ საცხოვრებლათ კი დამკომიდან მიიღებს, როგორც იცი, ალბათ, დამკომი ანაწილებს აქედან მიღებულ თანხებს პარტიათა შორის.

ჩვენი პარტიის წილის მომვლელი და მხარჯველი პარტიიდან იქნება სწორედ ის ამხანაგი, რომელიც აქედან გაიგზავნება. მართალია ეს თანხა გამოლეულია, მომავალი სამი თვისღა დარჩა, მაგრამ იმედი მაქვს საქართველოში მუშაობისათვის მაინც უნდა მეიძებნოს, იმედი მაქვს ეს ასეც იქნება, ისე რომ მომუშავე ამხანაგი შიმშილით ასე მიკვდება. სხვათა შორის გიორგის ამის ეშინოდა. ალბათ ის იმ შთაბეჭდილებით არის, რომ ხომერიკის ჩასვლამდის სოც. დემოკრატები დამკომს ფულს სავსებით არ აძლევდნენ, მას შემდეგ გარემოება გამოიცვალა. დამკომი ფულს ღებულობს რგულარულად.

ძალიან მოხარული ვარ, რომ ბრძოლის დრო დადგა, ჩემს შორის არავითარი განზრახვა არ არის ნიუანსებშიც, აქაური სოც. დემოკრატებიც ძალიან მოხარულნი არიან, ერთი მეთაურიც ნ. რ.

აქ არის და ის ხომ ნამეტანი კმაყოფილი დარჩა. ამ ნაწერს შენი წერილიდან გადავუგზავნი საქართველოს.

შალვა მიქელაძის ამბავი მართალია უნდა იყოს. ამას წინათ ნინუცადან მიიღო ნელიმ წერილი. ისიც იწერებოდა მოვა ზაფხულში წამოვა ევროპაში.

20/05. 24

ამხანაგო გიორგი, თქვენი წერილი მივიღე ცხრა ამ თვეს, პასუხი დამიგვიანდა, ვინაიდგან ველოდებოდი სამსონის წერილსაც, მხოლოდ გუშინ მივიღე პასუხი.

უწინარეს ყოვლისა ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ მზათ ხართ განმეორებით აქტიურად მონაწილეობა მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მე მესმის თქვენი, ვეცდები მოკლეთ გიპასუხოთ, თეორიული მომზადება, საუბედუროთ, სხვათა შორის ჩვენ პატრიოტულ ხალხს არც ხასიათი და არც სულისკვეთება მომზადებული არ აღმოაჩნდათ. თეორიულათ მომზადებულ თავს უძლურმა სულმა უღალატა და ასეთი ამხანაგები დღეს ზოგიერთი პირდაპირ მოღალატეები ან ზოგიერთებიც ლაჩრებათ იქცნენ. არც თავს არგიათ და არც სხვას ვისმე. საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელ ამბებისათვის არავინ არ არის თეორიულად საკმაოდ მომზადებული. ამ მხრივ შედარებით თანასწორი არიან, ოღონდ განსხვავება ჩვენს ყოფაშია. ვისაც მაგვარი სული აქვს ის არის თეორიულად, პრაქტიკულადაც მომზადებული და გამარჯვებული, ამის მაგალითები უწინარეს ყოვლისა ბოლშევიკებია. ამის მოწმეა თვით ჩვენი შეცდომები, არა მგონია თეორიულ მომზადებაში გიორგი რცხილაძეს სჯობდეს რომელიმე სოც. დემოკრატი, ბრძოლაში არა თუ თეორიული მომზადებული სოც. დემოკრატები, არამედ ანანია სალუქვაძე და სხვა მრავალი... თვით სოც. დემოკრატები თვით დევდარიანის თეორიულად მომზადებაში ვერავის სჯობნიდა, მაგრამ ბრძოლაში აღზდილმა ბალღმა გოგიტა ფაღავამ წააჭარბა და მომავლისათვის გზა გაიკაფა. ყოველივე ამით, რასაკვირველია, ასე მინდა ვსთქვა, რომ თეორულ მომზადებას არავითარი მნიშვნელობა არ ვაძლევ. მხოლოდ ამით მინდა მეთქვა, რომ თეორია ნაკლებობა თქვენ ხელს ვერ შეგიშლის როგორც წინათ ისე ეხლა, მეც გეთანხმებით, რომ კოტე კობახიძეს წასვლა სჯობია, თუ გინდა მიტომ, რომ მისი მომავლისათვის აუცილებელია საჭიროა მონაწილობა მიიღოს აქტიურ ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ მეშინია ჯანმრთელობა მისი ვერ არის საიმედო, ყოველ შემთხვევაში პარიზიდან წამოსვლის დროს სერიოზულად ავათ იყო. არვიცი ეხლა როგორ არის, ყოველ შემთხვევაში ჯერ ნუ გადავწყვიტავთ. შენ თუ ერთ დღეს მწერ წერილს, ამის შესახებ მოუცდი პასუხს. თუ გამოდგა, რომ მას ფიზიკურად არ ძალუძს წასვლა, მაშინ, ამხანაგო გიორგი ისევ თქვენ უნდა იდვათ ეს აუცილებელი ჯვარი, რაც შეეხება თქვენ უზრუნველყოფას ამის შესახებ, რა თქმა უნდა, სრულიად უზრუნველყოფილი უნდა იყოთ. რასაკვირველია არ ვიცი, როგორი იყო თქვენი საქართველოში ყოფნის დროს როგორ ნაწილდებოდა დამკომის მიერ აქედან გამოგზავნილი ფული. ხოლო ხომერიკი ჩასვლის შემდეგ დამკომის ფული ნაწილდებოდა პარტიათა შორის და უმთავრესად ხმარდებოდა დაფარულ ორგანიზაციების შენახვას. ეს წესი დღესაც ძალაშია. არ ვიცი როგორი წილს ღებულობს ჩვენი პარტია. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქრისტეფორე რაჭველიშვილის დატუსაღების შემდეგ ჩვენი ამხანაგი აღარავინ არ არის გადამალული, აშკარაა, რომ ის პირი რომელიც მეთაური იქნება ჩვენი დაფარული ორგანიზაციულობის, იქნება იმავე დროს პატრონი და გამანაწილებელი აქ თანხისა. მართალია მთავრობის თანხა

დაიცალა, უკანსკნელი თანხა მომავლი სამი თვისა უკვე გადაგზავნილია, მაგრამ იმედია საქართველოში საჭირო მუშაობის გასაგრძელებლათ იშოვება. თუ ეს არ მოხდა მაშინ ყველაფერი ფუჭი იქნება სხვათა შორის თქვენი წასვლაც. ასეთი უიმედონი არ ვართ, კიდევაც ვიშოვებთ ამ მოკლე ხანებში აუცილებლათ როგორმე დიდ მთავრობაში.

2/VI 24

გიგა ჩიქოვანს.

თქვენ მიერ გამოგზავნილი ამხანაგი ვინახულე. ამბებს გავეცანი დაწვრილებით. პასუხს მიიღებთ ამ თვის დამლევს. გთხოვთ, თანხმად ჩვეულების და წესისა დამიმოწმოთ წერილობით მისი მანდატი. წერილის გამოგზავნით იმ გზით, რა გზითაც ჩემი წერილი მოგივათ. გამომიგზავნეთ ამავე საშუალებით ორ ორი ეგზემპლარი ჩვენი პარტიის მიერ გამოცემული ჟურნალ პროკლამაციები.

სოსიკო

შინაგან საქმეთა მინისტრი.
Министръ Внутреннихъ Делъ.

---

17. II 192 / წ.

მიეცეს შინაური ფრონტის გასამაგრებელი თანხიდან გ. კობალაძეს ორმოცდაათი ათასი მანეთი (50 ათამ.).

შინ. საქმ. მინისტრი ნ. რამიშვილი
გ. ჩიხლაძე მოვიღე, 50 ათას. მანეთი
გ. კობალაძე

შინაგან საქმეთა მინისტრი.
Министръ Внутреннихъ Делъ.

„18“ თებერვალი 192 / წ.

მიეცეს შინაური ფრონტის გამაგრების თანხიდან ხუთი მილიონი მანეთი აბდურახმან-სადეს იმ დანიშნულებისათვის, რომელიც პირადათ მე მივეცი.

შინ. საქ. მინ. ნ. რამიშვილი

Получил пятичь милионов рублей
Абдул Рахман

შინაგან საქმეთა მინისტრი.
Министръ Внутреннихъ Делъ.

---

22 თებერვალი 1921 / წ.

მიეცეს საფ. ივანიცკის შინაური ფრონტის გამაგრების თანხიდან სამასი ათასი მანეთი.

შინ. საქ. მინ. ნ. რამიშვილი

სამასი ათასი მანეთი მივიღე
დამოკ. ჯარების წევრ.

შინაგან საქმეთა მინისტრი.
Министръ Внутреннихъ Делъ.

---

24 თებერვალი 1921 / წ.

მიეცეს შინაურ ფრონტის გასამაგრებელი თანხიდან ერთი მილიონი მანეთი ჭიაბრიშვილს იმ საჭიროებისათვის, რომელიც პირადათ მე ვიცი.

შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი

ერთი მილიონი მივიღე
ჭიაბერაშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი.
Товарищъ Министра Внутреннихъ Делъ.

---

192 / წ.

მიიღოს თავდაცვის ფონდიდან ერთი მილიონი მანეთი მთაში საქმიანობის მოსაწყობათ

დამფუძნებელი კრების წევრი

შ. ჯიქაძე .....

1921 27/II

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი
Директоръ Канцеляріи Министерства Внутреннихъ Делъ.

---

19 თებერვალი 1921 / წ.

მიეცეს შინაური ფრონტის გამაგრების თანხიდან ხუთი მილიონი მანეთი თელორე განედოვს იმ დანიშნულებისათვის, რომელიც პირადათ მე ვიცი.

შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი

Пять миллионов рублей
Получиль ..... Гнидова

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი
Директоръ Канцеляріи Министерства Внутреннихъ Делъ.

1921 / წ.

მივიღე საღამოს სამუშაო 14,000 მანეთი

მ. ჯაყელი

საღამოს სამუშაო მივიღე
14000 მან.
6/III.1921 წ.

მივიღე 10000 მან. 6/III .....
მივიღე 10,000 მან. ნ. დუღაძე....

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი
Директоръ Канцеляріи Министерства Внутреннихъ Делъ.

“10” II 1921 / წ.

შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტორისგან სამონასტროს თანხებიდან მივიღე ოთხი მილიონი მანეთი 4 000 000 მილიონი შესაწირავი დახმარების ანგარიშში თფ. ქალაქის თვითმართველობისთვის გადასაცემათ

9 თებერვალს 1921 წლის
თფ. ქლამის .... ჩხიკვიშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი
Директоръ Канцеляріи Министерства Внутреннихъ Делъ.

„17“ თებერვალი 1921 / წ.

მივიღე განსაკუთრებული მონდობილობის შესრულებისთვის ოცდა ხუთიათასი

ელენა ლორთქიფანიძე

შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანი.
Секретарь Министръ Внутреннихъ Делъ.

---

24. II 1921 / წ.

მიეცეს ფრონტის გასამაგრებელი თანხიდან არჩილ შათირიშვილს ასი ათასი მანეთი (100 000 მ.)

შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი

ასი ათასი მანეთი / 100,000 მ. / მივიღე
არჩილ შათირიშვილი

შინ. საქმ. მინისტრი ნ. რამიშვილი
მივიღე ხუთი ათასი მანეთი (5000)
ნიკო ჩიგიანი

შინ. საქმ. მინისტრი ნ. რამიშვილი
გ. ჩიხლაძე მოვიღე, 50 ათას. მანეთი
გ. კობალაძე

მთავრობის გასაკუთრებულ რწმუნებულს

თფილისისი მაზრის მიდიციის უფროსის პატაკს სიებით ვარდგენ თქვენ განკარგულებაში.

„16“ მარტს 1921 წ. ქ. მათომი. № 252

ქ. ბათუმის და ოლქის საგანგებო კომისიის საქმეთა მმართველი
მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა
„16„ III 192 წ.
შემოსავ. № 3362

მილიციის უფროსის მაგ.

თ ა ნ ა შ ე მ წ ე დოლიძე

მოლარე სტამ.....

<u>დირექტორს</u>
ჩემი აზრით უნდა მიეცეს
ეხლავე. ჰკითხეთ და მიეცით
მინ. ამს. .....

შინაგან საქმეთა
მინისტრს

ბათუმში გადმოხვეწილია რამოდენიმე წევრი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს. მათი უმწეო მდგომარეობა მაიძულებს მოგმართოთ თხოვნით რათა აღმოეჩინა მათ ერთდროული დახმარება.

ივანე ყიფიანს 50000 მან.
შ. აფხაიძეს 50000 მან.
ნ. კალანდაძეს 100000 მან.

დირექტორი დეპ. სააგენტ. ნ. კალანდ....

ორასი ათასი მანეთი მივიღე ნ. კალან.....

ფრიად საჩქაროთ.

საიდუმლოთ.

შინაგან საქმეთა ბ. მინისტრს.

საქ. სოც. ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა და დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციათა

განცხადება.

მიეცეს აღნიშნული მიზნისთვის სამი მილიონი მანეთი.

შინ. საქ. მინ. ნ. რამიშვილი

8/III

სამი მილიონი მივიღე

მთავრ. კომიტეტის წევრი ალ. მღებ (?)

9/III 921 წ.

შექმნილ გართულებულ მდგომარეობის გამო ფრონტის ყოველ მხრივ დახმარების გასაძლიერებლად (მოხალისითა რაზმების შედგენა, ამუნიციის დამზადება ან სხვ.) გთხოვთ გადმოგვცეთ განსაზღვრული თანხა, რათა ჩვენმა ორგანიზაციებმა ხელი შეუწყოს მტერთან ბრძოლის გაგრძელებას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დღიდან ბრძოლის დაწყებისა ყველა ჩვენი ორგანიზაციები ჩაბმული არიან თავდაცვის საქმის მოწესრიგებაში. ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა ორგანიზაციებმა დიდძალი სამხედრო იარაღები და მასალა გადასცა ჯარს.

მთავარი კომიტეტის წევრნი: .....

სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ლაღიძე

საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე .....

მთავრობის გასაკუთრებულ რწმუნებულს

თფილისისი მაზრის მიდიციის უფროსის პატაკს სიებით ვარდგენ თქვენ განკარგულებაში.

„16“ მარტს 1921 წ. ქ. მათომი. № 252

ქ. ბათუმის და ოლქის საგანგებო კომისიის საქმეთა მმართველი
მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა
„16„ III 192 წ.
შემოსავ. № 3362

მილიციის უფროსის მაგ.

თ ა ნ ა შ ე მ წ ე დოლიძე

მოლარე სტამ.....

<u>დირექტორს</u>
ჩემი აზრით უნდა მიეცეს
ეხლავე. ჰკითხეთ და მიეცით
მინ. ამს. .....

შინაგან საქმეთა
მინისტრს

ბათუმში გადმოხვეწილია რამოდენიმე წევრი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს. მათი უმწეო მდგომარეობა მაიძულებს მოგმართოთ თხოვნით რათა აღმოეჩინა მათ ერთდროული დახმარება.

ივანე ყიფიანს 50000 მან.
შ. აფხაიძეს 50000 მან.
ნ. კალანდაძეს 100000 მან.

დირექტორი დეპ. სააგენტ. ნ. კალანდ....

ორასი ათასი მანეთი მივიღე ნ. კალან.....

მიეცეს .... ასასი ათასი
მანეთი
შინ. საქ. მინ. ნ. რამიშვილი
17 / III

ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს

შინაგან საქმეთა მინისტრის
კანცელარიის მოხელეებს

თხოვნა.

შექმნილი მდგომარეობის გამო, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავ მოგმართოთ შედეგი თხოვნით.

ყველასათვის ცხადია თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს დღეს ის მოხელე, რომელსაც თბილისის დატოვების დროს გამოქცევა მოუხდა ისე _ რომ მას არ წამოუღია არავითარი ტანთსაცმელი და სხვა საჭირო რამეები გარდა იმისა, რაც კი ტანზედ შერჩათ.

ამ მდგომარეობას თან დაემატა ის კრიზისი, რომელსაც დღეს განვიცდით ბათომში.

მთელი დღეს აღამებს მოხელე ინისთვის, თუ როგორ ჭამოს სადილი და შეიძლება სადმე იშოვოს ერთი ან ორი გირვანქა მჭადი.

ასეთ პირობებში მყოფი მოხელეები შევიქენით დათხოვნილი რაღაც სულ ცოტა თანხის მოცემით, მაშინ როდესაც ეს თანხა არ ეყოფა კაცს არც ერთი კვირას.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ აუტანელ პირობებს, რომელსაც დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხუთი მოხელე განიცდის, რომლებმაც უკანასკნელამდის თავი გადადვა სამინისტროსათვის და დღესაც მზათ არიან განაგრძონ ყოველგვარი მუშაობა, გთხოვთ შეხვიდეთ ჩვენს მდგომარეობაში ერთდროული დახმარება თქვენის და მიხედვით, რაც მოგვცემს საშუალებას ასეთ პირობებში ცოტა ხნით არსებობის შენარჩუნებას.

მასთანავე გაცნობებთ, რომ ეს ხუთი მოხელე არის ისეთები, რომლებს არ მოეპოვება ბათომში ნაცნობ-ნათესავი დამხმარენი.

1) მილიც. გაყოფილების უფროსი .....
2) ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი ა. ცინცაძე
3) საერობო განყოფილების უფროსი ი. სუხაძე
4) საერობო განყოფილების უფროსის თანაშემწე გ. ბახტაძე
5) საგანგებო მინდობილების მოხელე მ. ნანეიშვილი

მივიღე დასარიგებლათ
500 000 მან. ხუთასი ათასი მან.
ილ. .....

„15“ მარტი 1921 წ.
ქ. ბათომი

1ს
III - 21

ბ_ნ შინაგან საქმეთა მ ი ნ ი ს ტ რ ს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა:

მოგეხსენებათ, რომ თფილისიდან გამოსვლის დროს, რაიც მოხდა სრულიად მოულოდნელათ, ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ ის, რაც ტანზე გვეცვა. ბევრი ჩვენგანი არც კი მისულა თავიანთ ბინაზე, რომ თითო საცვლები მაინც წამოეღოთ. ამ რიგათ, ჩვენ თფილისიდან გადმოხვეწილნი ვიმყოფებით უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში. ის ფული, რასაც ჩვენ ვღებულობთ, არ გვყოფნის მარტო სადილისათვის. ასე რომ იძულებული ვართ ვიშიმშილოთ. ამიტომ გთხოვთ განკარგულებას, რათა მოგვეცეს ჩვენ სესხის სახით თითოს ასი ათასი მანეთი, რითაც საშვალება მოგვეცემა შევიძინოთ საცვლები და რაოდენიმე დღით ნახევრათ მაინც თავი დავახწიოთ სიმშილობას.

1. 1921 წ. 6/III ოცდა ათი ათასი მივიღე შენ....
2. მივიღე 30 000 მან. ს. ბახტაძე
3. მივიღე 90 000 მან. წ. დევ...
4. მივიღე 30 000 მ. ჯაყელი
5. მივიღე 30 000 ან. აფაქი....
6. მივიღე 30 000 გ. კვეტაშ.....
7. ….
8. ….
9. ….
10. ….
11. ….
12. ….
13. ….
14. ….

მთავრობის სხდომის ოქმი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია
მდივანი ი. გოგოლაშვილი
საგ. საქმ. მინისტრი ე. გეგეჭკორი
ფინ. _____ ვ. კანდელაკი
საქართ. ელჩი პარიზში ა. ჩხენკელი
დამფ. კრების თავმჯდ. ამხ. ექ. თაყაიშვილი
სიმ. მდივანი
წევრთ. გარ. ვეშაპელი
მოისმინეს
მ. ს. მდივნის მოხსენება სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტი საქართველოში პარტიათა შორის შეთანხმების შესახებ
დაადგინეს

სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტი მიღებულ იქნას მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას შესწორებით: „პროექტის პირველი ან მეორე მუხლების შეუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს.“ მიღებულია ერთხმად.
ამ რიგათ მთელი შეთანხმება იქნება შემდეგი:

1. - შედგეს საქართველოში ინტერპარტიული ორგანო. თითო პარტიიდან თითო კაცი პარტიათა შორის კონტაქტის დასამყარებლად ანტიბოლშევიკურ ფრონტის გასამტკიცებლად. ბოლშევიკების ლიკვიდაციამდე პარტიები ერთი მეორის წინააღმდეგ საჯარო გამოსვლას არ აწყობენ.
2. - ყოველი პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას ან დამპყრობელთა ძალა-უფლებას არ სცნობს, ვალდებულია თავის დამოკიდებულება ამ საგანთან ანა თუ იმ ფორმით გამოამჟღავნოს ისე, რომ ის აშკარა იქმნეს როგორც ქართული ხალხის, ისე ევროპის საზოგადოებისთვის.
3. - დამპყრობელთა განდევნის შემდეგ დამფუძვნებელი კრება იკრიბება მხოლოდ იმისათვის, რომ დანიშნოს პარლამენტის არჩევნები, მოისმინოს მთავრობის ანგარიში, შექმნას კაბინეტი ან მისცეს მას დროებითი კრედიტები.
4. - პარლამენტი მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს ორი თვისა დამფუძვნებელ კრების შეკრებიდან. –

შენიშვნა: 3-4 არჩევნების ვადის გაგრძელება ან დამფუძვნებელ კრების მიერ სხვა საკითხების განხილვა, გარეშე აღნიშნულისა, შეიძლება მხოლოდ კოალიციაში მყოფ პარტიათა შორის შეთანხმებით. –

5. - ერთად ერთი კანონიერი მთავრობა, ახალის შედგენამდე დამფუძვნებელ კრების მიერ, ითვლება ახლანდელი მთავრობა, რომელიც საზღვარ გარეთ იმყოფება. –
6. - დამფუძვნებელ კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას.
7. 1 ან 2 მუხლის აუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს.

პოლიტიკურ კომისიის თავმჯდომარეს

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა განიხილა რა პროექტი მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა.

საერთო მუშაობისათვის საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის საქმეში, რომელიც მოწონებულ და მიღებულ იქმნა საქართველოს მთავრობის მიერ პარიზში, საჭიროთ აღიარა აღნიშნულ პროექტში ზოგიერთი ცვლილებანი და დამატებანი შეეტანა და თავის მხრივ შეიმუშავა პროექტი შეთანხმებისა, რომელსაც ამასთანავე გიდგენთ.

აღნიშნული პროექტი, მიღებულია აგრეთვე სოც. რევ. პარტიის და „სხივის“ ჯგუფის მიერ.

უმორჩილესად გთხოვთ, ხსენებული პროექტი შეთანხმებისა აცნობოთ კომისიაში მონაწილე პოლიტ. პარტიათა წარმომადგენელთ.

პ რ ო ე ქ ტ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა:

1. R. საქართველოში არსდება ეროვნული ცენტრი, რომელიც მეთაურობს საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ამ მიზნით იგი მუშაობს შინ და გარეთ: რაზმავს ერს შეიარაღებულ აჯანყებისათვის, უცხოეთში სძებნის პოლიტიკურ სიმპატიებს და რეალურ დახმარებას

2. R. ცენტრიდან არ შეიძლება გარიყულ იქმნას არც ერთი ქართული პარტია, რომელიც საქ. დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას.

ცენტრში პარტიები წარმოდგენილია თანაბარის რაოდენობით. პარტიას შეუძლიან თავისი წარმომადგენელი შესცვალოს, მაგრამ ახალი წარმომადგენელიც შეთანხმების პრინციპს ექვემდებარება.

3. R. ცენტრი სცნობს წინანდელ მთავრობას ისე, როგორც დღეს არის, ესე იგი საგარეო მუშაობის ასპარეზზე. დღიდან ცენტრის დაარსებისა, მთავრობა დამოუკიდებელ პოლიტიკას არ აწარმოებს: როგორც მთავრობის მთლიანი სამოქმედო პროგრამა, ისე ყოველი მისი კონკრეტული ნაბიჯი მუშავდება ცენტრში მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. R. არსებულ ხელისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ, მექანიკურათ გადამდგარათ ჩაითვლება ძველი მთავრობა, ცენტრი იქცევა დროებით მთავრობათ, იგი იწვევს დამფუძნებელ კრებას რომელიც მას ნამდვილ მთავრობათ აცხადებს და უხსნის კრედიტებს. ამასთან ერთად იგი ადასტურებს იმ კანონებს და რეზოლუციებს, რომლებიც წინ და წინ შემუშავებული იქნებიან ცენტრის მიერ.

5. R. საპარლამენტო არჩევნები ხდება არა უგვიანეს ოთხი თვისა დღიდან დროებით მთავრობის შექმნისა.

საარჩევნო კომისიები შესდგებიან პარტიათა თანაბარი წარმომადგენლებისგან.

6. R. უქმდება გვარდია და იქმნება რეგულარული ჯარი.

7. R. ერობა - ქალაქების სათავეში ინიშნებიან ახალი დროებითი გამგეობანი შეთანხმებით.

8. R. მთავრობა აღნიშნავს დეკლარაციაში, რომ იგი მართავს დემოკრატიული საფუძველზე და რომ უარყოფს რეკვიზიციის სისტემას.

სათანადო ორგანოებთან მოლაპარაკებას ამ საკითხის შესახებ, მთავარი კომიტეტი ანდობს შემდეგ პირებს: ნ. ნიკოლაძეს, გრიგოლ ვეშაპელს, გრ. გვაზავას, პ. სურგულაძეს, ლ. ჯაფარიძეს

და რ. გაბაშვილს, რომელთაგან აუცილებლად ოთხმა პირმა უნდა მოაწეროს ხელი შეთანხმების პროექტს.

საქართველოს დემ. პარ. მთავარი კომიტეტის დავალებით:

ლ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს .

24 -დეკემბერი 1921 წელი.
ს ტ ა მ ბ ო ლ ი.

შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი კ რ ე ბ ა: სტამბოლში მყოფი ცეკას წევრებისა, ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენელთა, მთავრობის ადგ. წარმომადგენლისა და პოლიტ. კომ. სოც. დემ. წევრებისა.
დ ა ე ს წ რ ე ნ: ხომერიკი, ვ. ჯუღელი, არსენიძე, ელიავა, გვარჯელაძე, ჭუმბურიძე, ყიფიანი, წულაძე, ჭავჭანიძე, და შარაშიძე.
განსახილველია: დემოკრატიულ „ნაც. დემ.“ პარტიის ცენტრ. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების შესახებ.
ნ. ხომერიკი: წარმოდგენილი პროექტის მიღება შეუძლებელია როგორც პოლიტიკურად, ისე მრავალი პრაქტიკული მოსაზრებით. ყველა პარტიების ერთ დონეზე დაყენება და პარტიული პრინციპის მიღება, იმ უფლებით, რომელსაც ისინი ანიჭებენ პოლიტ. კომისიას, მიუღებელია. ჯერ არც ერთ პარტიას „გარდა ფედერალისტებისა“ საჯაროთ არ გამოუთქვამთ, რომ ისინი არსებულ „საბჭოთა“ წყობილების მტრები არიან. ამიტომაა, რომ გარდა ჩვენი პარტიისა არც ერთ პარტიას არ სდევნიან და „სხიველებს“ და შენგელაიას ტიპის ესერეტს თავზე ხელს უსვამენ ბოლშევიკები, რადგანაც მათ ჯერჯერობით მხოლოდ ის გააკეთეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან. პრაქტიკულად ხომ შეუძლებელია რომ პარიტეტულმა ცენტრმა „ხელმძღვანელობა გაუწიოს საზღვარ გარეთ მუშაობას და მერე მექანიკურად იქცეს მტავრობათ, დამფუძნებელი კრების იმ სახით მოწვევაც მისი გამასხარება იქნება.

მცირე აზრთა გამოთქმის შემდეგ ერთხმად აღიარებულ იქმნა მიუღებლობა დემოკ. პარტიის პირობებისა და მიღებულ იქმნა შემდეგი დადგენილება:

განეცხადოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთ რომ მათ მიერ წამოყენებული პირობები შეთანხმებისა ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან ის სავსებით ეწინააღმდეგება ამას წინათ საზღვარ გარეთ მიღებულ შეთანხმების პირობებს. მეტის დათმობა, რაც იმ პირობებში იყო ჩვენთვის შეუძლებელია, როგორც პოლიტიკურათ, ისე მრავალ პრაქტიკული მოსაზრებით. მიეცეს დემოკრ. პარტიის წარმომადგენლებს წინადადება ერთი თვის განმავლობაში გამოარკვიონ თავიანთი პოზიცია, უნდათ მათ ჩვენთან მუშაობა, თუ არა. ეცნობოს ეს დადგენილება პარიზში და საქართველოში მომუშავე ამხანაგებს და ეთხოვოს პასუხი რაც შეიძლება დაჩქარებით.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე :
დედანს ხელს აწერს ნ. ხომერიკი.
მ დ ი ვ ა ნ ი : კ. სულაკველიძე.
დედანთა სწორია,
სან. ქუთათელაძე



პარიზი, 3/II 22 წელი.

ანგარიშები გორის მაზრის უფროსისადმი

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

ანგარიში

1921 წელ. 24 დეკემბერს ორი მილიციონერით ს. ქსანში, ახალქალაქის და კავთისხევის რაიონებში წასვლაზე დასათვალიერებლად პირადი დავალებისა მაზრის ერობის თავმჯდომარისა და მაზ. მილ. უფროსი და დაიხარჯა ხუთი დღის განმავლობაში:

ბილეთების მატარ. უკან დაბრუნ..... 420 მან.

პირადი დღიური 5 დღის ხარჯი ..... 3000 “

ორი მილიციონერი ხარჯი ..... 800 “

ჯამი 4220 “

ოთხი ათას ორას ოცი მანეთი

მივიღე გორის მაზ. მილ: უფროსის

თანაშემწე

1921 წ. თებერვლის 19 დღე.

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

ანგარიში

1921 წელ. 20 იანვარს მაზრის მილ. უფროსის და მე 2-რე უბნის გამომძიებლის პირადი დავალებით სოფ. ხიდისთავში ნონიკაშვილის შესახებ ორი მილიციონერით, ორი დღის განმავლობაში დაიხარჯა:

პირადი ხარჯი ორი დღისა ..... 1200 მან.
ორი მილ. ხარჯი ..... 320 "

ჯამი 1520 მან.

ათას ხუთას ოცი მანეთი

მივიღე გორის მაზ. მილ.

უფროსის თანაშემწე .....

1921 წ. თებერვლის 19 დღე.

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

ანგარიში

1921 წელ. 6 თებერვალს ატენის და ქარელის რაიონებში წასვლაზე დავალებით №№ 563, 678, 673 და სხვა, ოთხი მილიციონერით შვიდი დღის განმავლობაში დაიხარჯა:

პირადი ხარჯი 5 დღისა ..... 4200 მან.
ოთხი მილიციონერის 7 დღ. ხარჯი..... 2240 "
ორი მილიციონერი ხარჯი ..... 1060 "

სულ 8400 მან.

რვა ათას ოთხასი მანეთი

მივიღე გორის მაზრის მილ.

უფროსის თანაშემწე .....

1921 წელ. თებერვლის 19 დღ.

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

ანგარიში

1921 წ. იანვრის 4 დღისა, მე ვიყავი გაგზავნილი კავთისხევი და ახალქალაქის რაიონებში. თანახმად დავალებისა გოტის მაზრის მილიციის უფროსისა № 5860, 5144 და სხვა. სამი მილიციონერით და რვა დღის განმავლობაში დაიხარჯა:

ბილეთის ფული უკან დაბრუნებით ..... 540 მან.
პირადი ხარჯი დღიური 8 დღისა ..... 4800 მან.
სამი მილიციონ. ხარჯი..... 1920 “
მოუკოდნელი ხარჯი ..... 3000 “

სულ 14760 მან.

თოთხმეტი ათას შვიდას სამოცი
მანეთი მივიღე გორის მაზ. მილ. უფროსის თანაშემწე .....

გორის მაზრის
მილიციის უფროსის
თანაშემწე
ალექსიძე 1920 წ.
5 დეკემბერი

ბ. გორის მაზრის მილიციის
უფროსს.

ანგარიში.

მილიციის უფროსის დავალებით 5 დეკემბერს ა/წ ვანის, ახალქალაქის და კავთისხევის რაიონებში ანარქიის საწინააღმდეგოთ ორგანიზაციების მოსაწყობათ ყარაღაჯში შესაპყრობათ მაზმიაშვილისა, ქვრივიშვილისა და სხვა... დავალება № 6025 რვა დღის განმავლობაში ორი მილიციონერით დაიხარჯა:

ბილეთებში -ქსანკი და უკან დაბრუნ..... 420 მან.
პირადი ხარჯი რვა დღისა ..... 4800 მან.
ორი მილიციონერების ხარჯი ..... 1920 “
მოუკოდნელი ხარჯი ..... 5800 “

სულ 12300 მან.

თორმეტი ათას სამასი მანეთი
მივიღე თანაშემწე ალექსიძე

გორის მაზრის მილიც. გორის მაზრის მილიციის
უფროსის თანაშემწე უფროსს.
ალექსიძე.
1920 წ.

ანგარიში.

16 დეკემბერს 1920 წ. შინდისის და ცხინვალის რაიონებში წასვლაზე 6 დღის განმავლობაში თქვენი დავალებით ა/წ. № 4848 – 5881, 29 ოქტომბრიდან და 16 დეკემბრიდან 6 დღის განმავლობაში ორი მილიციონერით დაიხარჯა:

პირადი ხარჯი ..... 3600 მან.
მილიციონერების ხარჯი ..... 960 "

სულ 4560 მან.

ოთხი ათას ხუთას სამასი მან.

მივიღე თანაშემწე ალექსიძე

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

ანგარიში

1921 წლის 24 თებერვალს ატენის, ახალქალაქის და კავთის ხევის რაიონში წასვლაზე ოთხი მილიციონერით შვიდი დღის განმავლობაში დაიხარჯა:

ჩემი დღიური ხარჯი შვიდი დღისა ..... 4200 მან.
მილიციონერების შვიდი დღის ხარჯი ..... 2240 მან.

ჯამი - 6440 მან.

ექვსი ათას ოთხას ორმოცი მანეთი

მივიღე თანაშემწე ალექსიძე

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

ანგარიში

1921 წლისა იანვრის 31 წასვლაზე გომისა და დირბი რაიონებში კვლევა-ძიებების მოსახდენად № 443, 154 და 14 ხუთი შვიდი დღის განმავლობაში ორი მილიციონერით დაიხარჯა:

ბილეთების ფული უკან დაბრუნებით ..... 3700 მან.
ჩემი დღიური ხარჯი ხუთი დღისა ..... 3000 მან.
მილიციონერების ხარჯი ხუთი დღისა ..... 800 მან.

სულ - 7500 მან.

შვიდი ათას ხუთასი მანეთი მივიღე

თანაშემწე ალექსიძე

გორის მაზრის მილიციის უფროსის
თანაშემწე
ალექსიძე
„10„ თებერვალი 1921წ.
№ 109
ქ. ბათუმი

გორის მაზრის მილიციის უფროსს.

მოხსენება

წარმოგიდგენთ, რა რვა ანგარიშს 59700 მან
ჩემ მიერ დახარჯულს, საკუთარი თანხიდგან,
გორის მაზრის რაიონებში წასვლაზე თქვენი
დავალებით სხვადა სხვა დავალებების შესასრულებლად,
გთხოვთ, ზემოთ ხსენებული და დახარჯული ფული მომეცეს.

გორის მაზრის მილიციის უფროსს

თანაშემწე ალექსიძე

სია

მარტის თვის ჯამაგირისა

თფილისის მაზრის მოხელეების, რომლებიც არიან ბათომის მილიციის უფროსის განკარგულებაში.

1.	მაზრის მილიციის უფ: დანელია კონსტანტინე	24000 მან.	ხელმოწერა
2.	თანაშემწე ძიძიგური რომან	18000 მან.	----------
3.	რაიონის მილ. უფ. გოცირიძე პროკოფი	16000 მან.	----------
4.	თუმანიშვილი ზაქარია	16000 ~	----------
5.	დვაბერიძე გერასიმე	16000 ~	----------
6.	არსენიშვილი ილია	16000 ~	----------
7.	ქაჯაია აქვსენტი	16000	----------
8.	უფროსი მილიც. დადიანი ალექსანდრე	13600	----------
9.	ასრახაძე კონსტანტინე	13600	----------
10.	უმც. მილიც. გალაშვილი მათე	11600	----------
11.	იშხანაშვილი შაქრო	11600	----------
12.	ლორთქიფანიძე ალექ.	11600?	----------
13.	ბაღაღიშვილი გიორგი	11600	----------
14.	ტორჩინავა ვასილი	11600	----------
15.	ელიავა პარმენ	11600	----------
16.	სოუდეს ალი არის-ოღლი	11600	----------
17.	მამუკა ანსმონი ~~ხაჩაპურიძე სოლომან~~	11600	----------
18.	ხუნდაძე ივანე	11600	----------
19.	რამაზაშვილი სოლომონ	11600	----------
20.	დემეტრაშვილი ზაქარია	11600	----------
21.	ინასარიძე იასონ	11600	----------
22.	მაკალათია გიორგი	11600	----------
23.	გალაშვილი გიორგი	11600	----------

ჯამი 302100 მან.

სულ მისაღებია სამას ორი ათასი ასი მანეთი

ოცდა ათიათასი
მანეთი მივიღე
მ. დევდარიანი

მილიციის უ ფ რ ო ს ი კ. დან.....

ბატონ გენერალ გუბერნატორს საქართველოს რესპუბ.

ჯარის კაცი მე 12 ტე ქვეითა ათა-
სეულის მიტროფანე სპირიდონის
ძე დევდარიანი

თხოვნა

მე ვიმსახურე სამი წელიწადი ქ. თბილიში მილიციონერათ მე 12ტე სამილიციო უბანში, რომელიცა მობილიზაცით გამიწვიეს ჯარის კაცათ აგარაკ მანგლიში 15 ნოემბრიდგან 1920 წ. და ჩემს ცოლ შვილს მის შემდეგ 1 ნოემბრიდგან ჩემი კუთვნილი ჯამაგირი არ მიუღია და გამოიქცენ სრულიათ ცარიელები თბილიში საშინელი პანიკის დროს ჩემ სახში სოფ. ზედუბანში თავის შესაფარებლათ. მაგრამ უბედურობას ვერც იქ გადარჩენ, ვინაითგან ჩვენ ჯარს ხაზი ჩვენს ეზოში ქონიათ გაკეთებული და მტრის ყუმბარები ჩემ ეზოში სკდებოდენ, რომელიცა მოცვდა ჩემ სასიმიდეს და განადგურდა სულ ერთიანად რაც მებადა თელი წლის სარჩო სიმინდი. ცოლ შვილი აწიოკებული ჩამოცვივნდენ სადგურ მარელიში ჩვენ იქ დგომის დროს, რომელიცა დავამშვიდე ისინი და ავიღე სესხის სახით ამ აფიცრებიდგან და ჯარის კაცებიდგან რამოდენიმე ათასი გადავეცი მათ სიმინდის შესაძენათ და დავაბრუნე უკანვე სახლში. ამისთვინ ქთხოვთ უმორჩილესათ, ბატონო გენერალ გუბერნატორო, მომცეთ ერთდროული დახმარება და გასცეთ განკარგულება მას შინა სადაც ჯერარს რომ დამაყმაყოფილონ ჩემი კუთვნილი ჯამაგირით პირველი ნოემბრიდან 1220 წლიდგან მიმდინარე ამა მარტამდის 1921 წ.

მთხოვნელი მ. დევდარიანი

15/III 21 წ. ქ. ბათუმი.

გიორგი კერესელიძის წერილები

9/I 1916 წ. ქ. ბერლინი

ძმაო ლეო, აგერ რამდენი ხანია შენი წერილი არ მიმიღია. თამარა მწერს, რომ შენც უკმაყოფილ ხარ ჩემი სიჩუმის. მე შენ სტამბოლში ყოფნის დროს რამდენიმე წერილი მოგწერე და შენგან პასუხი არ მიმიღია. საქმის ვითარებას დაახლოებით საერთო წერილში გწერთ, ასე, რომ აღარ გავიმეორებ. უნდა გითხრა, რომ მეტის მეტად ძნელია მუშაობა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვეცდებით და როცა შეგვიძლია გავაკეთებთ. ჩემის აზრით მთავრობები საკმარის სერიოზულათ არ უცქერიან ჩვენს საქმეს და ეს სულ გვიხუთავს სულს. ჩვენ ვცდილობთ უფრო დავაინტერესოთ, მარა ძნელია. გვსურს ამ ცოტა ხანში რაიხკანცლერთან მოვითხოვოთ აუდენცია, თუ მოხერხდა, როგორც ხედავთ ომი გაჭიანურდა და მდგომარეობა ძალიან გამოურკვეველია. საფრანგეთს დრო ჰქონდა, ძალიან გამაგრებულიყო და მისი ფრანგის გაგლეჯა შეუძლებელი შეიქნა. რუსეთი საშინლად დამარცხდა, მარა რახან მასაც ასე თუ ისე, დრო მიეცა და მისი დამარცხება ბოლომდის ვერ მივიდა, მასაც მიეცა საშუალება წელში გამართულიყო და ახლა აქტივობას იჩენს. მაშასადამე, მტერი ჯერ დამარცხებული არ არის. იგი კიდევ მძლავრია. როგორც ჩანს, ომი მარტო ბრძოლით არ გაიმარჯვება. დიდ როლს თამაშობს დრო, ესე იგი საკითხი დევს ვის შეუძლია მეტს ხანს გასტანოს. ვნახოთ რა იქნება. ჯერ თქმა ძნელია. მე ვიმედობ, რომ ყოველ შემთხვევაში გერმანიას დამარცხება შეუძლებელია. მარა არ ვაგონებ. მაგან ისე გაიგოს ომი, როგორც ეს სანატრელი იყო ჩვენთვის.

რაღაც საშინელება ხდება თურმე იტალიის ფრონტზე. ვკითხულობ კორესპოდენციებს ჟურნალ „ლეჟენევში“. ამბობენ (აქაური აფიცრებიც) იმასთან საშინელი ბრძოლები, როგორც იტალიის ფრონტზე, არსად არ არისო და მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს რაღაც გადარევით, მიუხედავად საშინელებისა, არ სდგებიან და იერიშები შეუწყვეტლივ მიაქო. ჯერ ვერაფერს ვერ გახდნენ. საშინელი ბრძოლაა. ჯერ ხალხი იხოცება ტყვიით და ზარბაზნით, ეს კიდევ არაფერი. ზარბაზანი მიჰგლეჯს კლდეს, დაამსხვრევს ათას ნაწილად და ყველაზე მეტად ავნებს ეს კლდის ნაგლეჯები. რუსეთში იყო რამდენიმე აჯანყება, მარა, როგორც იცი, რუსის ხალხი არ არის რევოლუციისთვის გაჩენილი და სერიოზული არაფერია მოსალოდნელი.

მით უმეტეს, რომ თუმც რუსის მთავრობა საშინელ რეაქციას აწარმოებს, მარა უმეტესი ნაწილი რუსეთის რევოლუციონერებისა (ლიბერალებზე არც კი ღირს ლაპარაკი) მომხრეა რუსეთის გაერთებისა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა. უშვებენ მანიფესტებს, სადაც იწვევენ მუშათა კლასს დაივიწყონ დარტყმით კლასიური ბრძოლა და შეერთდნენ ერთ სულათ მტრის საბოლოოთ განადგურებისათვის. მხოლოდ ლენინის პატარა ჯგუფი არის მომხრე რუსეთის დამარცხებისა. ამ ჯგუფს ჰქვიან... მარა ეს ჯგუფი პატარა არის და გავლენა არა აქვს.

მოგონებაზე: აი, რა მოხდა ჟენევაში (ერთი დამახასიათებელი ეპიზოდთაგანი). რუსი სტუდენტები, ურიები, მივიდნენ ერთ პროგრესორთან, დამავიწიდა მისი გვარი, საექიმო ფაქულტეტზეა-შვეიცარელი და სთხოვეს ლაბორატორიის ფულის დროებითი გადადება. პროგრესორმა შეხედა და უთხრა რუსულათ ... თქვენ დროს კი არა შავ ქვას მოგცემთო, თქვენ არ იყავით ურიები, რომ რუსებს უღალატეთო, დამეკარგეთ აქედან, საუბედუროთ რუსულათ მეტი გინება არ ვიცი რომ გაგინოთო. წამოვიდნენ გაჯავრებული ურიები და როგორც იცი მათი ხასიათი, კრება კრე-

ბაზე გამართეს. ბოლოს მოვიდნენ რექტორთან ...მან უთხრა, დროებით ნუ ივლიან მის ლექციებზე და ამას სენატი განიხილავს. დაახლოებით ასე იქცევიან ფრანგ-შვეიცარიელები.

ამასწინათ საქმისთვის ვიყავ ჟენევაში. ვიყავი იმიტომ, რომ თამარი ძალიან ავათ იყო. ახლაც ავათ არის. და გარდა ამისა, წერილებს პარავდნენ, როგორც ჩანს ფრანგის ჯაშუშები. ერთი სხვათაშორის ბევრი ვცავე. ვნახე კომპანიონი. დიდი მოკითხეა. დიდი ინტერესი აქ შენდამი. მსთხოვა წერილს მივწერო, მარა რაღაც ვერ მოხერხდა.

როგორც საერთო წერილში გწერთ, საკითხი ძალიან გამწვავებული უნდა იყოს. სომხებმა დაჰკარგეს შიში და მორიდება. გვიცქერენ ზიზღით. გვიძახიან ,,კეთილშობილ მეზობელს“ ირონიით. ამბობენ ჩვენ ხალხს პრეტენზიები აქვს კავკასიაში. ჩვენ აქ უნდა მიწები მოგვეცესთ. პოლიტიკა სულ რუსული აქვთ და ეუბნებიან მთავრობას, სომხობა არის ერთად მათი ელემენტი, რომელიც დაიცავს და მუდამ იცავდა რუსეთის სახელმწიფოებრივ იდეას, არის ყველაზე უკეთესი გამავრცელებელი რუსული კულტურის, გავლენის და ვაჭრობისო. სომხის ხალხი ერთგულია და მუდამ რუსის სახელმწიფოისადმი იგი არის მუშა და კულტურული. მაშინ როდესაც აფხაზები და გურულები მოყაჩაღე ხალხი არიან. ერთი სიტყვით, გვლანძღავს, გვათრევს და გვაბეზღებს რუსის მთავრობასთან. ამას დაუმატე კიდევ ის, რომ მთელი რუსის პრესა თითქმის გამოუნაკლისად მათ უდგება. ამასწინათ იყო ერთი საყურადღებო წერილი... ხომ იცი ეს გაზეთი ითვლება მოწინავეთ და სინდისიერ გაზეთათ. დაახლოებით ეწერა შემდეგი: ამ ომმა გამოარკვია კავკასიის ხალხის სულის ვითარება. უპირატესობა მიენიჭა სომხობას.

ენდობიან მათ, დიდი სამსახური გვინდაო. მხოლოდ სომხების ზურგს უკან ხელი ხელს გაუწოდეს თათრებმა და ქართველებმაო. შემდეგ ეს გაზეთი რჩევას აძლევს ნამესტნიკს (ნიკოლაი ნიკოლაევს). მან განაგრძოს ტრადიციონალური პოლიტიკა. ხალხის ინტერესი რუსულ სახელმწიფოებრივ იდეასთან და იბრძოლოს პოლიტიკან ნაციონალისტებთან. ე.ი ქართველებთან და უპირატესობა მიენიჭოს სომხებს. ასე თუ ისე, რუსეთი საბოლაოთ უერთდება სომხობას ჩვენში. იცოდეთ მაშ, რომ დიდი სიფრთხილე გვწადია, თორემ ამოგვჟლეტენ. შენ მოგმარათე კიდევ განსაკუთრებით. სიფრთხილე და სიფრთხილე, რადგან ეძებენ ჩვენს წინააღმდეგ მხოლოდ მიზეზს გულის წადილის ასასრულებლათ და თუ უდროვოთ მიეცათ ეს მიზეზი, დაგვამარცხებენ და მოგვსპობენ.

სხვათაშორის საინტერესო პოლიმიკა მოხდა რუსის პრესის და სომხის მომხრეებმა როგორც იციან, დიდი პლანი შექმნეს თავისუფალ სასომხეთისა. ჩვენზე ბევრს წერდნენ. ერთ მშვენიერ დღეს რუსულმა პრესის ნაწილმა განაცხადა, საინტერესოა, როგორ ესმით სომხებს სასომხეთის თავისუფლებაო. ჩვენ რუსებს ესე გვესმის და ასე გვესმოდა - შემოერთება სასომხეთისა რუსეთის იმპერიასთან. ამაში და მხოლოდ ამაში სომხების თავისუფლებაა. რასაკვირველია სომხებს ეწყინათ, რადგან ისინი ელოდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას, მარა როგორც ჩანს ადვილად შეეგუენ ამ აზრსაც და ახლა ლაპარაკობენ სომხებზე, როგორც რუსის გავლენის გამტარებელზე და მათი პოლიტიკაა მიმართული ჩვენი ხარჯით გამდიდრებაზე. რუსიც ხელს უწყობს.

ახ, ბევრი რამის მოწერა მინდოდა, მარა გუშინ დრო არ მქონდა დამემთავრებინა ეს წერილი და დღეს კი ასეთი აურზაური მაქვს, რომ ვერ წარმოიდგენ. ამ ნახევარ საათში უნდა გავიქცე რომ ოფიცრები მოვაწყო და სადგურზე გავიყვანო და ამიტომ იძულებული ვარ შევამოკლო, თუმც ბევრის მოწერა მინდოდა.

მხოლოდ გთხოვ შენ, კიდევ როგორც არმიის შეფს, გაფრთხილებთ, საქმე აჩქარებით არ წახდეს. სიფრთხილე, დაცდა, ობიექტური დაფასების მდგომარეობისა. ეს უნდა იყვეს ჩვენი

მოქმედების სახემძღვანელოც. გიმეორებ, შენც არც ერთს წუთს არ დაივიწყო, რომ ჩვენ არ ვართ მეომარი ერი, რომელიც მხოლოდ არმიაა სასიკვდილო განსაცდელში, არამედ ვართ აჯანყებული ერი, რომელსაც მთლად გაგვანადგურებენ, როგორც მოღალატეს და მით უმეტეს, რომ ამას ცდილობს სომხებიც და რუსებიც. საჭიროა მხოლოდ მიზეზი მათთვის. აბა შენ იცი, ლეო როგორც აასრულებ იმ საშინელ მოვალეობას, რომელიც შენ გაწვება კისერზე. ნერსტორასთან ბოდიში მომიხადე, რომ წერილს ვერ ვწერ. ვაპირებდი, მარა როგორც გითხარი დრო სრულიად არ მაქვს.

კაი ბიჭი ჰყავს. ჩვენსა იყო ჟერტი ბავშვით. მე რომ ჟენევაში ჩავედი, მერე რომ ჩამოველ, ისინი იქვე დავტოვე. საწყალ ჟერტის ძალიან გაუჭირდა ბავშვის ლეგალიზაცია. არ ვიცი რით გათავდა. ამ დღეებში თამარი მომწერს. თამარა ძალიან ავად არის, ექიმებს უთქვამთ აუცილებელია მკურნალობა და საჭირო, თუ საბოლაოთ არ გინდა დასნეულდე და ... გამოეთხოვო სამუდამოთ. ხანგრძლივი მოსვენებაო. უნდა რამდენიმე ხანი სულ მოსვენებული იყო, მარა არ იფიქრო რომ იზამს. ცხოვრება ისე გაძვირდა რომ ... უდიდესი ფანტაზიაც ვერ წარმოიდგენდა. შეუძლებელი გახდა ცხოვრება, ბევრი სანოვაგეც აღარ არის და რაც არის მამასისხლად ღირს. ზოგმა რამემ ერთი ხუთათ, ერთი შვიდათ აიწია. ერთი სიტყვით რაღაც წარმუდგენელი ამბავია. აქაც საშინელი ძვირია ცხოვრება. წარმოუდგენელი. ხოდა ამ პირობებში სად შეუძლია მოსვენება. ღმერთმა ქნას შიმშილით არ ამოწყდნენ.

შენ ფული გამოგიგზავნია და უკან დაუბრუნებიათ. ძალიან მეწყინა, რადგან შეიძლება იმ ფულით ბავშვებისთის მაინც ჩაეცვა და იქნებ ერთი კვირა მაინც მოესვენა.

ახლა რას იზამ? ძნელი იქნება მანდედან გამოგზავნაბავშვები სულ შენს მოლოდინში არიან. დიდი იმედი აქვთ საქართველოს თავიუსფლების.

მართლა, ერთი მეტისმეტად უსიამოვნო ამბავი მოხდა. შენი წერილი ლეკულტარ კასპარსთან გაუხსნიათ და დიდი უკმაყოფილოები არიან. სწერთ ფრანგებს, ან ... და მერე ისეთ საქმეში, რომელიც არავინ არ უნდა იცოდესო და გარდა ამისა, ცუდ შთაბეჭდილებად სჩანსთ. ჩვენ გვთხოვეს გადათარგმნა, მარა უარი უთხარით. პროტესტი გამოვაცხადე, რათა ხსნით მეთქი წერილებს. თქვეს, რა გარანტიას აძლევთ იმ პირს, რომელსაც თქვენ სწერთ, გინდ შვეიცარიელი იყვესო და თუ ის შორეული სამშობლო (საფრანგეთი) უფრო არ უყვარდეთ, ვიდრე თქვენ გიყვართ, ამით ჩვენი საქმე არ გენახლებათ.

ერთი სიტყვით, ძალიან გვეწყინა და არ ვიცით რა გვექნა.

ასეა საქმე. კარგათ იყავ და არ დაგავიწყდეს რომ შენზე ბევრათ არის დამოკიდებული და უფრო ვრცელი.

აბა, კარგათ იყავ, ჩემო ლეო, შენ იცი როგორ მოუვლი საქმეს.

შენი გიორგი.

დამიკოცნე ნესტორი და სხვები.

8/ I 1916 წ. ქ. ბერლინი

ძვირფასო მეგობრებო, ბოდიშს გიხდით, რომ აქამდის წერილი ვერ მოგწერეთ. მარა ამის მიზეზები ბევრი იყო, ჯერ არც თქვენგან მიგვიღია წერილები. და მეორეც, საქმეები აქ აქამდის გამოურკვეველი იყვნენ.

როგორც გეცოდინებათ, ჩვენ აქ ქართველ ტყვეებაში გავწიეთ პროპაგანდა. მათ ოცამდის ქართველი ტყვე შეაგროვეს ბერლინის ახლოს ლაგერში, სადაც გარდა ამ ქართველებისა ბევრი რუსის თათარი (ყაზანის და სხვები) იყვნენ. დასაწყისში აგრეთვე იყვნენე ფრანგები, ბელგიელები და ცოტა ინგლისელებიც. შიგ, ქართველ ლაგერში იყვნენ რუსის ექიმები და აგრეთვე რუსის ღვდელი. ყველა ამ ელემენტებმა (გარდა რუსის თათრებისა, რომელთა შორისაც მუშაობა არის). საშინლად იმუშავეს ჩვენს წინააღმდეგ. განსაკუთრებით რუსის ღვდელმა და ფრანგებმა. დაარწმუნეს ჩვენი ტყვეები, რომ გერმანიას

ჯარი აკლია და სურთ ქართველი ტყვეები გაიტყუონ და გერმანიის ფრონტზე გაგზავნონ. ან/და სათათრეთში დაასახლონ. აგერთვე იმოქმედეს მუქარით, რომ მათ ცოლ-შვილს ამოწყვეტენ და სხვა. შიგ ქართველებთა შორისაც იყვნენ ბევრი ისეთი ელემენტი, რომელიც რუსის მხარე აქვთ (ნაპოლიციელი, ჯაშუში და სხვა ამისთანა). ამათ შექმნეს ჯგუფი და გაუჩინეს ტერორი დანარჩენ ტყვეებსაც. ხოდა აქ ქართველებმა იბრუნეს პირი, შეუძლებელი გახდა მათში მუშაობა. პირდაპირ იბრძოდნენ. ჩვენ არავის არ გვეშინიან, დაგვხრიტონ და მაინც ფეხს არ გავადგამთო. დაიწყრეს ჩვენ ჯიბრზე. ...მღერა და ქება-დიდება რუსის ხელმწიფეს და რუს ხალხსა. თუმც შემდეგ ფრანგებიც, ბელგიელებიც, რუსის ექიმებიც, ღვდელიც და ხულიგანთა მოთავეებიც გადაიყვანეთ, მარა ხომ იცით თუ ქართველმა ხალხმა ერთხელ თუ პირი შეჰკრა, მისი გამბრუნება შეუძლებელია. მერე დაიწყეს მოლების დაცინვა. პირში ლანძღავენ და ერთი სიტყვით ყველანაირი უსაქციელობა. იძულებული გავხდით დროებით უარი გვეთქვა ამ ოც კაცზე და იგინი გადიყვანეს სხვა მოშორებულ ლაგერში. ახლა ჩვენ გვსურს ამოვარჩიოთ გერმანიაში მყოფ ქართველთა ტყვეებს შორის მიხედვით მათი დასრულება ისეთ ელემენტით რომელთა შორის უფრო ადვილი იქნება მუშაობა და გადმოვიყვანოთ სპეციალურ ქართულ ლაგერში. მათ შორის ჩვენ ნელ-ნელა ფრთხილად შევუდგებით მუშაობას, ვეცდებით რაც შეიძლება უკეთესათ მოვაწყოთ საქმე. შემდეგი საშვალებანი გვსურს ვიხმაროთ.

მოვაწყოთ ქართულის და გერმანულის ენების სკოლები, (რაზედაც პირველმა კონტინენტმა უარი განაცხადა, არც სწავლა გვინდა და არც მღერაო). საგალობო გუნდები სხვა და სხვა თამაშები და სხვა, რაც საშვალებას მოგვცემს გავიცნოთ ახლო და მოვიპოვოთ ნდობა. გვსურს აგრეთვე, გამოვცეთ ბეჭდვითი გაზეთი ქართულ ენაზე, რომელიც პირველ ხანებში იქნება მარტო ინფორმაციული და ლიტერატურული. შემდეგ პირობებთა მიხედვით შეუცლით ხასიათს ამ გაზეთს. დაახლოებით ასე იყო საქმე ჩვენი მუშაობისა ტყვეთა შორის და ასეთი პირობით ვიმუშაოთ შემდეგ. ეს რაც შეეხება ჯარის კაცთ.

ოფიცერთა შორის კი აი როგორ იყო: დავიარეთ მე და მიხამ (ცალ-ცალკე). აქაური ოფიცრების ლაგერები. ვნახეთ 40-50 კაცამდე. ნახევარზე მეტი რუსოფილია, ბევრი გარუსებული, ბევრიც რუსის მომხრე პირადი ინტერესებით. ზოგი სიმპატიით და ზოგიც რწმენით. დანარჩენთა შორის არიან უმეტესი, შედარებით კარგი ქართველები, მაგრამ მონანი რუსეთის. თავის ცოლ-შვილის ბედ-იღბლის აქვთ პირადი შიში და სხვა.

ზოგი ლუარსაბ თათქარიძისავით ოცნებობენ. ახ, რა კარგი იქნება რომ საქართველო განთავისუფლდეს, მარა თვითონ კი ხელს არ გაანძრევს. იდეალისტებათ განმსჭვალულნი სამშობლის სიყვარულით და მომზადებულნი იყვნენ მხოლოდ ეს ხუთი ოფიცერი, რომლებიც უკვე ჩვენთან არიან და ოთხი მათგანი მანდ მოდის და სამი ოფიცერი, რომელიც მათ მოსდევან. მეხუთეს კი ჯერ აქ ვტოვებთ, რადგან გვჭირიან. ოფიცერთა შორის სამუშაოთ. არიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც წამოვლენ თუ ნახეს, რომ საქმეს სერიოზული ხასიათი აქვს და განსაცდელში არ აგ-

დებს ჩვენს ერს. გარდა გერმანიისა, ავსტრიაშიც მოიპოვება რამდენიმე ოფიცერი რომელთა გულის ჩვენსკენ არის.

ასე იყო მუშაობა ტყვეთა შორის, მაგრამ რასაკვირველია, ჩვენ მარტო ამითი არ განგვისაზღვრავს ჩვენი მუშაობა. რამდენადაც შეიძლებოდა ვეწევით პროპაგანდას გერმანიაში ქართულ იდეისას და ვაცნობთ გერმანიას ჩენს ერს. მის წარსულს, მის კულტურას, მის მისწრაფებებს და მის განსახდელს. ვცდილობდით და ვცდილობთ დაგაინტერესოთ უმთავრესად გერმანია და მისი მოკავშირენი ჩვენის საკითხით და აგრეთვე დანარჩენი ევროპა თუკი ეს შესაძლებელია. საჭიროა მთელი ხალხი და ჩვენ არც პირველად გვაქვს და არც მეორედ. მეტადრე პირველად უსახსრობა გვიბორკავს ხელ-ფეხს. არც თუ სახსარი ბევრი გვაქვს კარგათ დავაყენოთ ეს მუშაობა, არამედ სახსარი არ გვაქვს ხეირიანათ ეცხოვრათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი აქტივი ამ მხრივ არც ისეთი პატარაა, როგორც არის ჩვენი სახსარი. უკვე მოვახრხეთ გამოგვეცა მიხას წიგნი „საქართველო და საკაცობრიო ომი“. გერმანულათ შემდეგ გადათარგმნა იგი და გამოვიდა ფრანგულათ.

ახლა გამოვა ინგლისურათ, ისპანურად და შეიძლება იტალიურადაც. სურდათ გამოეცათ რუსულადაც, მარა ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით. ამ წიგნმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათაშორის პირველი გერმანული გამოცემა (1200 ცალი) ჩვენ ხარჯზე დაიბეჭდა, რასაც სავსებით ხელი შეუწყო გიორგიმ, მეორე გერმანული გამოცემა (10000 ცალზე მეტი) ფრანგულ და სხვა ენებზე მოვახერხეთ ისე, რომ თავისთავზე აიღო აქ ერთმა გერმანულ აღმოსავლეთის საზოგადოებამ. შემდეგ მიხამ წაიკითხა მშვენიერი მოხსენება, გიორგის წინასიტყვაობით. გერმანულ საზოგადოებაში და ამან ხომ უფრო მაღლა ასწია ჩვენი საკითხი. ეს მოხსენებაც იბეჭდება.

ვამზადებთ ახალ წიგნს გამოსაცემად (მიხა სწერს). ერთი სიტყვით რაც შეიძლება ხელს არ მივაკლებთ მუშაობას, მარა ვიმეორეფ, უსახსრობა ხელ-ფეხს გვიკრავს. გარდა ყველა ამისა, ვაწყობთ ერთ საზოგადოებას (აქაც გიორგი დიდ აქტივობას იჩენს) გერმანულ-ქართულს. რომელსაც კულტურული ხასიათი ექნება. ამ საზოგადოებაში გამოვლებ გერმანიის გამოჩენილი პირნი. ეს საზოგადოება ეცდება წიგნების საშვალებით საქართველო გააცნოს გერმანიას მისი კულტურული, ფიზიონომიური და ეკონომიური სიმდიდრე. აქაც უსახსრობა ძალიან გვიშლის, მარა იმედია ჯგუფის წევრებს ავართმევ საჭირო ფულს. შემდეგში იქნებ გაყიდულმა წიგნებმა მისცეს საშვალება ამ საზოგადოებას იარსებოს და გაადიდოს საქმე. უკვე ... გვყავს მეტი აქტიური და სიმპატიური პიროვნება. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ამ საზოგადოებაზე.

გარდა ყველა ამისა, ვაწარმოებთ აგრეთვე რამდენადაც შეიძლება, ყოვედღიური გაზეთების საშვალებით ჩვენი თავის გაცნობას. მარა ეს მეტისმეტად ძნელი საქმეა, რადგან საჭიროა ფული, თორემ ისე არავინ არ ბეჭდავს. ხშირად საშინელი ტყუილები იბეჭდება ჩვენზე და პასუხს არც კი იღებენ. ახლა იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამოცემული წიგნი შეგვიწყობს ხელს და რედაქციები. ამ წიგნის გაცნობის შემდეგ ასეთ ობრუდობას აღარ მოათავსებენ.

გეცოდინებათ, სტამბოლში თათრის მთავრობის დახმარებით შესდგა კავკასიელ ერების წარმომადგენელთ კომისია და ჩამოვიდა ბერლინში. ამ საქმიდან თითქმის არ გამოვიდა რა. ვინაიდან ძნელი გახდა მათთან მუშაობა. მშვენიერი კაცი და მართალი საქმის მოყვარე არის ბაქოელი თათარი, რომელსაც წრფელის გულით სურს ჩვენთან მუშაობა და ინტრიგების ჩამდენი არ არის. ეს კომისია თითქმის დაიშალა, ვმუშაობთ ცალ-ცალკე, თუმც თათართან ადვილია მუშაობა.

იარაღი გამოიგზავნა, 23000 თოფი, მარა საუბედუროთ, ეს თუმც თოფები კარგებია, მარა თითო ტყვიიანი. გამოვაცხადეთ პროტესტი, მარა გვითხრეს ჯერ არ გვაქვს მეტიო. ახლა ვცდილობთ

გამოვაგზავნოთ ჯერჯერობით 2000 რუსის თოფი მაინც. დაგვპირდნენ. მოდის აგრეთვე 20 ტყვიის მტყორცნელი.

ჩვენ ოფიცრებს მოსდევთ ერთი გერმანელი ოფიცერი და ორი უნტერ-ოფიცერი. ჩვენის აზრით თუ ეს გერმანელი ოფიცერი ჩვენს ჯარში ჩაეწერა, მას უნდა მიემატოს ერთი ჩინი. ესე იგი მიეცეს ამაღლება შედარებით იმ ჩინთან, რომელიც მას გერმანიის სამსახურში აქვს. ერთი უნტერ-ოფიცერთაგანი ამ ოფიცრის ძმაა და სპეციალისტი არის იარაღის კეთებისა. არც ჩვენს უნტერ-ოფიცრებს და არც გერმანიელებს, ჩვენის ღრმა რწმენით ჯერჯერობით არ უნდა მივცეთ ოფიცრობა. ეს დაარღვევს დისციპლინას.

კომიტეტის აზრიც და ჩემი პირადი რჩევაც და რწმენაც შემდეგია. კომიტეტმა არც ერთი წუთი არ უნდა დაჰკარგოს თავის ავტორიტეტი ჩვენ ოფიცრებში. არცერთ ოფიცერს არ შეუძლია იყვეს წევრი კომიტეტისა (ამაზე შემდეგ).

რასაკვირველია, საჭიროა მათთან მეგობრობა, მარა არა გადაჭარბებული (ეს დასცემს ავტორიტეტს), საჭიროა ახლავე, დასაწყისშივე წინდახედული ჭკვიანური, მარა მაგარი დისციპლინა.

ჩვენ ბერლინში და სტამბოლში მყოფ კომიტეტის წევრებს რამდენიმე საყვედური გვაქვს თქვენდამი: მანდ თქვენ მიგიღიათ რამდენიმე პრინციპიალური გადაწყვეტილება ჩვენს შეუკითხავათ. ჩვენის ღრმა რწმენით ეს არის დარღვევა კოლეგიალური მუშაობის პრინციპის.

აი ის პრინციპები, რომელიც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მთელი კომიტეტის სახელმძღვანელოთ და დაჟინებით გთხოვთ მოგვწეროთ ამაზე თქვენი აზრი, ან უკეთესი იქნება დეტალურათ შეიმუშაოთ ჩვენი რეგლამენტი და ისე მოგვაწოდოთ, ჩვენ შევიტანთ თუ საჭიროთ ვნახავთ ჩვენს შესწორებებს და ასე, ამრიგათ გვექნება გამორკვეული კონსტიტუცია.

აი ჩვენი სქემა:

ქართველ სეპარატისტთა კომიტეტი მუშაობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ.

ორგანიზაცია: 1) კომიტეტი. კომიტეტს აქვს უფლება კოოპტაციის, მხოლოთ იმ პირობით, თუ ყველა კომიტეტის წევრი თანახმაა კოოპტაციისა. სხვანაირ შემთხვევაში ვერც ერთი პირი ვერ გახდება კომიტეტის წევრათ.

2) წევრნი, დამხმარნი, თანამოაზრენი და მსურველნი, რომელსაც ენდობა ან მთელი კომიტეტი, ან კომიტეტის ნაწილი, ან წევრი კომიტეტისა.

კომიტეტს აქვს სამი ადგილი: ტრაბზონი, ბერლინი და სტამბოლი (თუ კომიტეტი საჭიროთ დაინახავს შეიძლება მიემატოს ადგილები). ყველა ამ სამ ნაწილს აქვს უფლება იმუშაოს ავტონომიურათ, მხოლოთ ისეთ საკითხებში, რომელნიც არ სცლიან პრინციპიალურად დაწყებულ საქმეს. ყველა საკითხი, რომელსაც პრინციპიალური ხასიათი აქვს და აგრეთვე რაიმე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, უნდა წყდებოდეს მთელი კომიტეტის წევრების ხმის უმეტესობით.

კომიტეტის წარმომადგენელი მუშაობს განსაზღვრულ დირექტივების მიხედვით. რომელთა ფარგლებში მას ეძლევა ვრცელი ინიციატივების უფლება.

სამივე ნაწილი კომიტეტისა შეძლებისდაგვარათ უგზავნიან ერთი მეორეს ანგარიშს თავის ნამოქმედარისას. არმია (ლიგიონები), ქართველი ჯარი ექვემდებარება კომიტეტს. კომიტეტის წევრი განაგებს პირდაპირ საქმეს ჯარისას (დაახლოებით სამხედრო მინისტრის პრინციპს). არც ერთ ოფიცერს, გარდა ჯარის გამგისას, არა აქვს უფლება იყვეს წევრი კომიტეტისა.

ჯარს ჰყავს თავისი შტაბი. ეს შტაბი წარადგენს ოფიცერს, ან ჯარისკაცს, ან ხარისხის დამატებისათვის ან საჩუქრისათვის კომიტეტი ამტკიცებს ან უარს ამბობს. ყველა გადაწყვეტილებას არმიის მოქმედებისას, ან მისი ორგანიზაციისას იღებს შტაბი და ამტკიცებს კომიტეტი.

ჯარის კანონმდებლობის პრინციპებით (იღება როგორც უკვე გადაწყვეტილი იყო) გერმანიის სამხედრო კანონმდებლობა. ჩვენის ღრმა რწმენით აუცილებლათ საჭიროა რაიმე დისციპლინა იყოს. კომიტეტის ნაყოფიერი მუშაობისთვის საჭიროა მთლიანობა და ერთაზრიანობა. რამდენადაც შესაძლებელია შეთანხმებული მუშაობა. მართალია მარტო წერითი რეგლამენტი და ამაზე აშენებული დისციპლინა კომიტეტისა სავსებით ვერ შექმნის ყველა ამას. საჭიროა ერთი მეორის გულწრფელი ანგარიშის გაწევაც, მარა თვით რაიმე დისციპლინა დამყარებული წერით რეგლამენტზე აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია.

ახლა საუბედუროთ დრო არ გვქონდა დეტალებში შეგვემუშავებინა ჩვენი პროექტი, ამას შევეცდებით მალე შევასრულოთ და გამოვგზავნოთ. თქვენ შეიტანთ თქვენს შესწორებებს და გამოგვიგზავნით. ჩვენ შევიტანთ ჩვენს შესწორებებს და ასე, ამრიგათ შევთანხმდებით.

ჩვენი ღრმა რწმენით საჭიროა უკეთესი ორგანიზაცია ჩვენი მუშაობისა. საჭიროა უფრო სერიოზული ხასიათი მიეცეს და მიხედვით ჩვენი წარსული მუშაობის შეცდომებისა, შესრულდეს ჩვენი მომავალი მუშაობა.

ჩვენს გარშემო იკრიფება ინტრიგები, ჩვენს საქმის ჩაფუშვას ცდილობენ და მაშ საჭიროა დიდი სიფრთხილე და შინაგანი სიმტკიცე, ერთსულოვნება და სერიოზული შესწავლა ყველა ჩვენი ნაბიჯისა.

ჩვენ ავიღეთ ჩვენს თავზე საშინელი საკითხი. ჩვენმა შეცდომებმა შეიძლება საშინელი განსაცდელები ჩააყენოს ჩვენი ერი, რომლის მოხმარებაც ჩვენ გვწადია, ან კიდე ჩვენმა შეცდომამ შეიძლება მოგვისპოს მუშაობის საშვალება და თუ ვინიცობაა დადგა ისეთი მომენტი როდის ჩვენ შეგვეძლო დახმარება, ჩვენს გამო დაკარგული იქნება. ჩვენ გვიდგება ახლა უფრო ძნელი ხანა, უფრო პასუხსაგები, ვიდრე აქამდის იყო. ერთი მხრით, ქართველი ერი ელის ჩვენს მოხმარებას, მეორე მხრივ, ჩვენში საკითხი საშინლად გამწვავდა. სომხებს როგორც ჩანს პრესიდან პირდაპირი იერიში მოაქვს ჩვენზე და სურთ ჩვენი ბრძოლაში გამოწვევა. უეჭველია რუსი მათკენ იქნება. მაშ ჩვენმა შეცდომამ შეიძლება გააბნიოს ჩვენი საქმე და სომხებს სასურველი მიზეზი მისცეს თავიანთი წადილის აღსასრულებლათ.

ჩვენი არმიის არსებობა იწყება, ჩვენს მოძრაობას უფრო სერიოზული ხასიათი ეძლევა და ჩვენს სინდისზე არა თუ მარტო უფრო მძიმე საკითხი წყდება, არამედ ბევრ პიროვნებათა ბედიღბალიც.

ჩვენის ღრმა რწმენით დიდი და დიდი სიფრთხილეა საჭირო, აუჩქარებლივი და დაფიქრებითი მოქმედება. არ გაგვიტაცოს დროებითი გამარჯვების ჩრდილმა, არ ჩავებათ ისეთ საქციელში, რომელიც მოსპობს ჩვენს ჩაგრულს ერსა. ჩვენ მოვითხოვთ და მეგობრულადაც გთხოვთ არაფერი მოქმედება არ დაიწყოთ სანამ არ ნახავთ, რომ თათრის ჯარს გადაწყვეტილი აქვს სერიოზული ... რომ იგინი საკმარისი ძალებით იწყებენ რუსების წინააღმდეგ გალაშქრებას. ასწონ-დასწონეთ, გამოიანგარიშეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ უბრალო აჩქარებამ შეიძლება მოსპოს ჩვენი ერი.

არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ არ ვართ მეომარი სახელმწიფო, რომლის ჯარსაც მოსპობს გამარჯვებული ჯარი, ხოლო რომლის ერს და მიწა-წყალს სიცოცხლეს არ მოუსპობს და რომელსაც თუმც დამარცხებულს შეუძლია კიდე აღსდგეს და დროის განმავლობაში კიდევ გამაგრდეს წელში.

გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვართ აჯანყებული ერი, რომელსაც მთლიანად მოსპობს მტერი, ისარგებლებს შემთხვევით და სულ გაანადგურებს უშიშართ. მოსპობს მთელს ერს, როგორც ასეთს და დაისაკუთრებს მიწა-წყალს.

მაშ დაფიქრება, სიმშვიდე, ობიექტური დაფასება მდგომარეობის და მხოლოდ ისე მოქმედება. არა სხვა გარეგანი რამე მოსაზრება გარდა ჩვენი იდეის, გარდა ჩვენი ერის ბედ-იღბლის.

მაშ, კიდევ გიმეორებთ, აუცილებლათ უნდა მოუცადოთ თათრის სერიოზულ და მძლავრ ... თორემ დავმარცხდებით. მოვისპობით მთელი ერი და გავხდებით რუსის და სომხის წერა. ეს არის ჩვენი უდიდესი თხოვნა და სურვილი როგორც კომიტეტის ნაწილისა.

ნიკოლოზი ჩამოსულა სტამბოლში და ეწევა საშინელ ინტრიგებს. არამც თუ მარტო კომიტეტის წინააღმდეგ, არამედ ყველა ჭუჭყით და ჭორით პიროვნებების წინააღმდეგაც. მას შეუდგენია ვითომ და ახალი ცენტრალური კომიტეტი ჟენევაში და მისი სახელით მოქმედებს. აგრეთვე შეუდგენია ახალი კომიტეტი სტამბოლში, სადაც შედიან ...

გიორგი ხვალ ან ზეგ მიდის ისევ სტამბოლში და ვნახოთ, როგორ იმოქმედოს. საჭიროა ადგილობრივ პირობებსაც გაუწიოს ანგარიში. ჩვენის აზრით კი საჭიროა (თუ ეს შესაძლებელია) პირდაპირ მის წინააღმდეგ მოქმედება და ულტიმატუმის წაყენება, ან ჩვენ და ან ეგ, თუ არა და არ გვინდა მუშაობა. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ უთხრათ, რომ ჩვენს დაუკითხავად ვერავისთან ვერ დაიჭერენ საქმეს. მარა ვნახოთ კიდე რა გამოირკვევა სტამბოლში.

ასეა აქ დაბოლოვებით საქმე. ვეცდებით რაც შეიძლება ხშირათ მოგცეთ ანგარიში ჩვენი მოქმედებისა და ამასვე მოვითხოვთ თქვენგან.

გიმეორებთ კიდევ, რომ ჩვენ ვართ უკმაყოფილო იმისა, რომ მიგიღიათ რამდენიმე გადაწყვეტილება ძალიან სერიოზული ხასიათისა ჩვენ შეუკითხავათ და ჩვენ იძულებული ვიყავით პოსტფაქტუმ დავთანხმებოდით. იმედი გვაქვს ეს აღარ გამეორდება.

ჩვენის აზრით, საჭიროა ინიციატივის უფლება ყოველ კომიტეტის განცალკევებულ ჯგუფებისა, მარა შეუძლებელია სხვა კომიტეტის წევრების შეუკითხავათ დიდმნიშვნელოვანი საკითხების საბოლაოთ გადაწყვეტა. შეიძლება თუ ამას მოითხოვს დაბეჯითებით პირობები მიიღოს კომიტეტის ნაწილმა ეს თუ ის გადაწყვეტილება, მარა ამ გადაწტვეტილებას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი და მისი საბოლაოთ მიღება კი შეიძლება ყველა კომიტეტის წევრების ხმის უმეტესობით, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება შეთანხმებული და სერიოზული მუშაობა.

როგორც ზემოთ გწერდი, სომხის პრესა ძალიან ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ. მან დაჰკარგა ყოველი მორიდება და სირცხვილი და როგორც სჩანს სწადია ჩვენთან სერიოზული საბოლაო შეტაკება. იცოდეთ, თუ ჭკვიანურად არ მოიქცევით გვაჯობებენ, დაგვამარცხებენ. ძალა ჯერჯერობით მათს ხელშია.

ჩვენში მუშაობა არის. ხალხში არის გადასული ეს მუშაობა. ერთი ჩვენი ოფიცერთაგანი თითქმის პირდაპირ გამოგზავნილი იყო ჩვენთან. მას უმუშავია ჩვენში და იცის რა მუშაობა არის. იგი როცა მოდიოდა გერმანიის საზღვარზე საომრათ, უთქვამთ: ეცადეთ ტყვეთ მოხვდეთ და თუ აგისრულდა წადილი მონახე ქართველებიო, პირდაპირ ჩვენთან დაუბარებიათ და იმუშავე იმათთანო. იგიც მოხვდა ტყვეთ და იმ საათში მისწერა წერილი შტაბს. რადგან ჩვენი მისამართი არ იცოდა. საუბედუროთ იგი ჯერჯეროზით აუცილებელი საჭიროა აქ დარჩეს, რადგან კარგათ იცნობს ჩვენს ხალხს. უმუშავნია მათში და აგრეთვე ბევრი ნაცნობები ჰყავს ქართველ ოფიცერთა შორის. პირველივე შემთხვევაში იგიც წამოვა და დაიწყება თუ არა სერიოზული საქმე, მეც მანდ ვარ.

საბოლოოდ პირადი ჩემი თხოვნაა. რადგანაც მეც ვიყავ ნაწილი ჩვენის არმიის, გთხოვთ, შტაბსაც გადასცეთ არმიის თხოვნა და კომიტეტსაც ვთხოვ დამამტკიცო რაიმე ჩიწში, რომ შემეძლოს თუ საჭირო იქნება ფორმის ჩაცმა. შეიძლება დრო მოვიდეს, როდესაც ეს ხელსაყრელი იქნება ჩვენი საქმისთვის. დაახლოვებით პირადის ფორმა აქ შევიმუშავეთ და ჩვენმა ოფიცრებმა აქ ჩაიცვეს. ჩვენ თანახმანი ვართ ამ ფორმის, თუ თქვენც ყაბული ხართ დროებითი საბოლოოთ იქნას მიღებული ეს ფორმა.

თუ მე მომეცა უფლება ფორმის ტარების (რაიცა არ დაარღვევს ზევით აღიარებულ პრინციპს, რომ აქაური არმიის წევრათ კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყვეს, ვინაიდან მე ჯერ არ ვიღებ პირდაპირ მონაწილეობას არმიის მოქმედებაში), მომწერეთ ჩინიც რა მექნება და ეს ჩინი რამდენ ვარსკვლავს ატარებს.

რასაკვირველია დარწმუნებული ხართ, რომ მე ეს არც სათამაშოთ მინდა და არც საკოხტავოთ.

კომიტეტის აზრები დაახლოებით გადმოგეცით.
თქვენი მეგობარი გიორგი კერესელიძე.

P.S. ლეოს კერძოთ ვწერ კიდევ წერილს.

P.S. ოსტავკა ჯერ არ შემომიტანია ... გიმეორებთ მე ჯერ ამ არმიის წევრი არ ვარ, მაშინ შემიძლია იმავე დროს კომიტეტის წევრი ვიყვე.

კარი მესამე
მასალები სტამბოლის ქართული სავანიდან



ცხოვრება აბბა პეტრე ხარისჭიროშვილისა

მღ. იე. გვარიშვილის მიერ

ქართველ კათოლიკეთ აბბა პეტრე ხარისჭიროშვილი ხარისჭირათ გვარის კაცი იყო. ესენი თავითგან ბარალეთლელი ყოფილან, ადავაშვილს ქორწილში ლეკები რომ დასცემიან და კარები ვერ შეუმტვრევიათ, სხვათა შორის იმ ქორწილში, როგორც გამიგონია, ერთიც ხარისჭირათი ყოფილან მიპატიჯებულნი. ბარალეთიითგან დამარცხებული ლეკები, მერმე გავიას თავს დასხმიან, ხმლით და ცეცხლით აუოხრებიათ. ახალ ჯვარდაწერილი ბაბუნათ პატარძალი დაულჯიანთ ქალი სხვებთან ერთად ტყვედ წასულა, ესენი მერმე ახალციხეს გადმოსახლებულან. ხარისჭირათი სამი მოსახლე იყვნენ: ერთი ტერ პოღოსის ძმები იყვნენ, მეორე ტერ პოღოსის ბიძა უსინათლო ბრმა (არ უთენა) და მესამე იოსები. ამას ბაბუნათ ქალი შეერთო ცოლათ, ორი ვაჟიშვილები გასჩენოდა ლუკა და იოანე. იოანე რუსობისა გარდაცვლილ იყო და მოსი ქვრივი ანნა ზრდიდა თავის შვილებს როგიან ხელშეწყობითა. ლუკა დაბადებულია 1818 წ. 5 აპროლს მონათლულია აბინათ ესასშვილი ტერ სტეფნისგან ქ. ახალციხეს იე. ნათლისმცემლის ეკლესიაში. ლუკა დიაკვანი იყო, უყვარდა წერვა კითხვა, საქრისტიანო მოძღვრებებს სწერდა და ჰყიდდა ახალციხეს თუ სოფლად ვალეს და უდეს, სადაც ყანები ჰქონდათ და მისი ძმა იოანეც ხარაზობდა, ძველ ძულებს უკერემდა როცა ზაფხულობისა სოფლებში ამოდიოდნენ. ვიცნობდი კარგათ ლუკა შუატანისა იყო, შვენიერი, თეთრ წითელი სახისა, ცოტა სუსტი თვალი ეწკიპლებოდა ხოლმე, შეგნებული და ღვთის მსახური. სწავლობდა ქართულს და სომხურს თავიანთ სახლის მღვდლის აბანათ ტერ სტეფანთან და მის მოწაფეთაც ასწავლიდა თავისთან ერთად, იმ დროის ჩვეულებისამებრ, რომ ყველა მღვდელი თავიანთ ერისაგანთ უსასყიდლოდ ასწავლიდნენ ღვთისმსახურებას და სამშობლო ენაზედ წერა-კითხვასა და არიფმეტიკასა ხელად.

ლუკამ რომ სასულიერო წოდება ისურვა, მაინდომა უკეთ შესწავლა სამსახურისა, მით სომხური ღრამატიკა ხელად მიხიტარისტის ჰაირ ეფრემისგან შეისწავლა და ღვთისმეტყველება ზნეობრივი და გონებრივი პოზოს ვარდაპეტ შაჰყულიანისაგან. იმ დროინდელი მღვდლები კი არ მოსწონდა, რომ ერს ვერავითარ სულიერ სარგებლობას ვერ აძლევდნენ, მხოლოდ თავიანთი თავს და თავიანთ ნათესავთ იფარემდნენ, არც ურთიერთშიც ქონდათ ერთობა. ცოტანი თანაუგრძნობდნენ მისიონერ კაპუჩინის პატრებსა და უმრავლესნი კი წინაღმდეგნი იყვნენ შაჰყულიანის მომხრეობითა, რითაც მოუკლებელი უკმაყოფილება ვრცელდებოდა ერში შენ ჩემობისა.

შაჰყულიანი თავითგანაც გადამტერებული ყოფილიყო კაპუჩინის პატრებზედა, რის გამოც რამდენჯერ ჩავარდნილ იყო შეჩვენებაში თავის მიმყოლ ბერებთან ერთად, და გადაყენებული იყო უმფროსობითგან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით და მოულოდნელი შემთხვევებით ძალადობდა და არ იღებდა უფროსობისგან ხელასა.

ასრე 1840 წ. რომ გაიმარჯვა რუსის მთავრობასთან და ხელახლავ გაუმფროსდა, პირველი მისი ბიჯი ეს იყო რომ 1842 წ. გააგზავნა ხელად ასე ისე მომზადებული ხუთი დიაკვნები მღვდლად საკურთხებლად პეტერბურგში. ასატურათ იოანე, გალუსტათ იოსები, არლელი ფეიქრიანთ იაკობი, ეშტიელი პოღოსა და ხარისჭიროთ ლუკა, რომელმაც მღვდლად კურთხევისა პეტრე დაირქვა სახელი. ამათთან უნდა ყოფილიყო შაჰყულიანის საუკეთ. მოსწავლეც აღოშათ პეტრე, მაგრამ მეფისათ მიიმხრეს და პატრების წყალობით ქ. კონსტანტინეპოლს მღვდლად აკურთხევინეს. შაჰყულიანის ახალ ნაკურთ მღვდლებში თავი სწავლული, გამჭრიახი და სინიდისიერი ენა

პიროსანი ხარისჭიროთ ტერ პეტროსი იყო. ეს მიიღო პირველად თავის შემწე მრჩეველ მორბედად შაჰყულიანმან, პატრების განდევნაზედ კავკასიითგან ტერ პეტროსი გაურკვევლად იყო, ოჩოფოჩოთ ყოყმანობდა, განუსჯელობით უფრო ეგონა თბილისი, გორი და ქუთაისი როცა შეერთდეს ახალციხის სასულიერო სომეხთ კათოლიკთ მმართველობასთან, მშვიდობა ჩამოვარდება ყოველგანაო, მაგრამ ასე არ იყო. იმ დროს ემზადებოდნენ შაჰყულიანთან მღვდლად საკურთხებლად სიმოს ახლალიანი, პოღას ნაჰაპეტიანი ად ალექსანდრე არარატიანი. ესენი დაახლოებით გაცნობილი ჰყავდა ტერ პეტროსს და უფრო ასექსანდრე არარატიანი, რომ ნიჭიერი და ენა პიროსანი იყო და უნდოდა კარგი სწავლული მღვდლების გამრავლება ერის სასარგებლოდ.

აი რა ჰქონდათ მათ სალაპარაკოთ და სატირლად: „რამეთუ ბაგენი მღვდლისანი დაუყვენ მეცნიერებასა, და სჯული გამოიძიონ პირისაგან მისისა, რამეთუ ანგელოსი ღვთისა ყოვლისყპრობილისაარს მალაქ. ბ. 7. ამბობდენ: უსწავლელ მღვდელს რა მოეთხოვება? სჯული და კანონი ზედმიწევნით თუ არ ეცოდინება, რას ასწავლის თავის ერსა? ხომ ამ უსწავლელობით წარმომდგარია ქრისტიანობაში ამდენი ერეტიკოსობა და მწვალებლობა; მეტადრე უმანკო ანგელოზური წნიდა ცხოვრების უქონლობით სასულიეროთა, იღუპება მთელი ქვეყნის ეროба დაბრკოლებითა, როგორც ამბობს ასე: „რამეთუ შენ განიშორე მეცნიერება, და მეცა განგიშორო შენ, და არღარა მღვდლობდე ჩემდამო“ დ. ნ. სწორედ ამ ნაირი უმეცრებისა და უნაღვლელობისაგან არიან ჩვენს კავკასიელ სვანებსა და სხვა მთიულებში დარჩენილი ცრუ მღვდლები და ათას ნაირი ცრუ მორწმუნობანი სატირლად. ჭეშმარიტი მღვდელი ქრისტეს წარმომდგენელია, აი რასა სწერს საქმე მოციქულთა: „რომელთა იწყო (იესომ) ყოფად და სწავლებად მღვდელმანც ჯერ თვითონ უნდა ჰქმნას ის კეთილი საქმე, ის მადლი და მერე უნდა ასწავლოს თავის ერს, რომ მისი მღვდლობა სასარგებლო იყოს თუ არა და იტყვიან და „იტყვიან და არა ჰყვიანო“ ქრისტეს თქმისა არ იყოს ფარისეველი ზედა რაში გამოსადეგი იქმნება. იმისთვის ჩივის ღმერთი ეზეკიელის პირითა: „ჰი მწყემსნო ისრაელოსნო, ნუ აძოვებენა მწყემსნი თავთა თავსა? არა ცხვართა აძოვებენა მწყემსნი! აჰა სძესა სჭამთ და მატყლსა შეიმოსთ, და პოხილთა დაჰკლავთ და ცხოვართა ჩემთა არა აძოვებთ...“ ეს ესაყვედურებათ სააქაოსა და მერმის ღვთის საშინელ სამართალში, ცარელა სახელის მქონე მოჩვენებულ მომხიბლელ ფორმალისტ მღვდლებსა, ამათ და ამისთანებს თვითოეულად უთქვიფემდა ყურში ტერ პეტრასი არასატიანს და სხვათა.

არარატიანს მეტად უხაროდა პატრებას საზღვარს გარე განდევნა და უქებდა შაჰყულიანს მეცადინეობას: უეჭველად მთელი ამიერ კავკასიის კათალიკობა სომეხთ კათოლიკეთ ერთ სასულიერო სამმართველოთ შევდგებით და აღარავინ მოცილე გვეყოლება კაპუჩინების პატრებთაგანო. კაპუჩინის პატრების გასვლამდის საქართველოთგან საზღვარ გარედ, ეს სამნივეც იკურთხნენ რა მღვდლად, ამოისუნთქა თავისუფლად მღ. ალექსანდრე არარატიანმან და გააბა თავისებური ქსელები ზარაფიან ტერ გრიქართან და ტერ პეტროსთანაც სასულიეროთ სწავლა განათლების გამო, როგორც ადრე უნდოდათ, მიიზიდა მიითვისა საჩქაროდ ორნივე. როცა კაპუჩინის პატრები ერთიან გასული გალაგებულნი იყვნენ საქართველოთგან და შაჰყულიანი მოსვენებას მისცემოდა და გული გულის ადგილს დაედვა და ფიქრობდა ღრმად თავის სასულიერო მმართველობის უკეთ გაუმჯობესობასა, დასწერეს სამთავ კარგი თხოვნა და მიმართვეს სამმართველოში: თხოვდნენ სასულიერო სასწავლებლების გახსნის ნებასა ალექსანდაპოლისკენ, რომ მომავალად რიგიანი სწავლით მომზადებულ იყვნენ მღვდლად საკურთხნი პირნი. ასეთი სასიკეთო თხოვნა მიიღო პირველად შაჰყულიანმან და ნება მისცა. სამზადისსა რომ შეუდგნენ, მერმე რაღაც იფიქრა შაჰყულიანმან და უარი უთხრა. იმ თავიანთ ჯეროვან თხოვნაზედ. ჯერ დათანხმება, ნებისმიცემდა და

მერმე უარის მირტყმა ითაკილეს ამ ბატონებმა და იჩივლეს მთავარ მმართებელთან: მეტად მოხუცებულია, სიტყვაში ცვალადობს, აღარ შეუძლია მმართვაო, და გამომძიებელი მოითხოვეს თავიანთსაქმისთვის, მოვიდა რა გამომძიებელი, ბევრი იშრომეს მიწერ მოწერით, კარგად ეცადნენ, მაგრამ არა გაუბათ რა, შაჰყულიანმა თავისი გაიტანა, გაიმარჯვა შესანიშნად.

მღ. არარატაინი ალექსანდრეპოლის ახალო ყარაქილისელი იყო, ერთი ალაშკერტელი გლახალი კაცის შვილი, დედა მისი ქართველი ბავრელი კაცის შვილი იყო, თამარა ერქვა. ყმაწვილობისავე სწავლის მიზეზით გაჰქცეოდა მშობლებს და შეეფარა თავი ეშტიის მღ. ტერ გრიგორ ზარაფიანისთვის და მისგან შეესწავლა ღარამატიკა და რიტორიკა, მერე შეჰყულიანთან ღვთისმეტყველება და ასე ნიჭიერებით დაწინაურებული იყო მწერლობაში. ზარაფიანი კი ბრძენი იყო ანდრონიკების მოგვარე, ლიბანის მონასტერში შემონაზონებულ იყო და საკათაკალის გამგეობაში ირიცხებოდა თურმე მწევრად, შემდგომ რაღაც შეცთომილება თუ ღალატი შეუნიშნიათ, არ გატეხილა, არ დაუმდაბლებია თავი და მღვდლობითგან გარდაეყენათ. რუსის მოსვლისა რა აზრუმითგან სომხობა გადმოსახლდა ახალციხეს, ეს ზარაფიანიც გარდაჰყვა თავის ძმებს, გაეცნო შაჰყულიანს და მან უშუამდგომლა რომში და მიეცა ისევ მღვდლობის სამსახურის ნება. სწავლული კაცი იყო მაგრამ სნეული შავნაღვლიანობით.

ტერ პეტროსს მეტად დაჰნანდა კავშირი არარატიანთან და ზარაფიანთან, თუმცა მაშინვე ჩამოშორდა მათ ერთიან, მაგრამ მაინც არ აპატივა შაჰყულიანმა, ჩაუდგა ჯიბრში, დაუწყო დევნა, არა მარტო ერი ჩამოაცალა და დასტოვა უსამსახუროდ, ისივე ხმიანი წირვა აუკრძალა, აღარ მიიკარა, იქამდის შეიძულა რომ თვალით დასანახავადაც არ უნდოდა. შეწუხდა მეტად ერი მიჰმართეს დიდით წვრილამდის კაცმან ქალმან თხოვნა ვედრებით, ჯერ პირად და მერე წერილით, დიდის მუდარებით ევედრებოდნენ: ღვთის გულისთვის ნუ მოგვაშორებთ ასეთ ტკბილს, კეთილ მოღვაწე მოძღვარსაო. მაგრამ არ გაივლინა მათი ხვეწნა ვედრება არა ვითარის მამაშვილობითა, იძახდა: მე უფროსი არხიმანდიტი ვარ, ჩემი საქმისა მე ვიცი, ვერ ვინ გამერევით, თქვენ შემცვლელი მღვდელი არ მოგაკლდებათ, ეგ ნუ იყოს და სხვა იყოს, თქვენთვის სულ ერთია, ერი რომ ასე დააწყნარა, უწყო დევნა შაჰყულიანმა ტერ პეტროსსა, აღარ მოსავენა, მაშინვე მისწერა წერილი: ხიზაბავრას განმიწესებიხარ და წადი შენს სამსახურშიო. როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდა თავმომწონე კაცივით ითაკილა, აიღო მოწმობა მკურნალისა და მისცა კანცელარიაში: მიზეზობდა ბუნებით სისუსტეს, ზეგანი ქართიანი ადგილია ხიზაბავრა, მავნებელი იქმნება ჩემის სიმრთელისთვისო. ასეთმა მოწმობამ შეაყენა ერთ ხანს საქმე, მაგრამ ბევრი არ გასწია, თუმცა რაც ხანი გავიდა ძნელად მოსდიოდა მეტად, როგორც ენერგიან ახალ ნაკურთხ მღვდელსა უთანამდებობით ყოფნა. ამასობაში ვალის მღვდელი ტერ პოღოსი ხარისჭიროთი შეუძლოთ გახდა თვალის ტკივილითა და ახალციხეს ჩამოვიდა თავისი ძნის სიმონის სახლში და ვალე დარჩა უმღვდლოდ. შეებრალა ვალელები ტერ პეტრასს, ადგა და წავიდა ვალეს შაჰყულიანის უნებურად და უწყო იქაურს ერს რამდენიმე თთვეს შევლა, სწავლა დარიგება წა. მღვდლური ვალდებულებისამებრ, რითაც მიითვისა მეტად ერი, იქამდის ვიდრე ახალციხელი პეტრე ყალაიჯიანის ავიდა და დაემოწაფა მას ს. ვალეში. ერთ დღესაც წერილი მიიღო ვალეს ტერ პერტოსმან მეფისათ გრიგოლ უჩასტკის ნაჩალიკისაგან: აფრთხილებდა, შაჰპულიანს უნდა გააგზავნა შენი ხიზაბავრას მღვდლად, მწერს თუ რომ სუსტის აგებულებისა ახალციხითგან 12 ვერსის სიშორეზედ ავა ვალისთანა სოფელში საცხოვრებლად, რა ვერსი მისთანა 45 ვერსის სიშორეზედ ს. ხიზაბავრასაც წავაო; გირჩევნია დაემორჩულე, წადიო, ყაზახებს გიქადისო წინააღმდეგ შემთხვევაში, მეც ძალდატანებული გავხდები, უთუოს უნდა შევეწიოვო! მეორე დღეს, შაჰყულიანისგან მოუვიდა

ქაღალდი ტერ პეტრასს, უბრძანებდა: დროით ჩამოდი ახალციხეს, მომწადდი რომ წახვიდე ხიზავრას ზედამხედველ მღვდლად შენს სამსახუშიო. მეტი რა ღონე იყო, უთქვამთ: ძალა აღმართს ხნავსო, ძალის ძალად უნდა დამორჩილებოდა, მაშინვე აიბარგა, ჩამოვიდა რა ახალციხეში, უკან მოჰყვნენ ვალელი წინა პირნი კაცნი, დაემხვნენ ხელფეხზედ შაჰყულიანს და ეხვეწებოდნენ: ღვთის გულისთვის თავს შემოგვივლე, გვიწყალობე, და ეს ტერ პეტროსი მღ. ჩვენში დატოვე, ძლივ მგის ჩაგონებით საფუძვლიან გავიგეთ ქრისტიანობაო, მაგრამ არ გაუგონა მუდარება ვედრება, უთხრა: თქვენ თქვენი სოფლის შვილიტერ სტეფანი მოგეცემათ, რომელი ხიზაბავრას არის და უკეთესია თქვენთვისო. ასრე ტერ სტეფანი ვალეს მივიდა და ტერ პეტრასი დიდის ავლადიდებით ხიზაბავრელებმა ხიზაბავრას მიიყვანეს. რა დალაგდა, შეისვენა, სული მოიბრუნა თუ არა, მაშინვე უწყო ერს წინამძღვრობა, დაუტკბო ქალკაცს ღვთის სიტყვით სული, გული, გონება, იქამდის რომ ხელითან ხელში ატარებდნენ ბედ იღბლის ცოცხალ ანგელოზისავეთ, დახარიდნენ, ეფერებოდნენ ეტრელებოდნენ წა სულ გულითა.

II

ოსმალოების დროთგანვე ასეთ შორს სოფლებში მღვდლის ყოლა მეტად სანუფქო სანუკვრი იყო სოფლისთის; მეტადრე ხნიერი მღვდლები მოღალულ მოფეთქილნი და მეტად გულგატეხილნი ოსმალოების მძლავრობისგან, სული გულით ელოდნენ ახალ ნაკურთხ მღვდლებსა, რომ შეშველოდნენ, შესცვლოდნენ და თვითონ ქალაქში ჩამოსულიყვნენ შესასვენებლად; საწყალთ საბრალოებს ძილი მოსვენება გაწყვეტილი ჰქონდათ და სული სიცოცხლე გამწარებული, სოფელში რაც უვიცი შემთხვევა და სამწუხარო ხიფათი მოხდენილი იყო, სულ მღვდლებს ჩაითრევდნენ, დიდს თუ პატარას, შინაურს თუ გარეულს მუდამ იმათზე ჰქონდათ ხელი ჩამოხოცილი. ხიზაბავრელები, ქართლითგან დაჭერილ ტყვეებს, რომ სხვადასხვა ხერხით და მოგვრილობით სტაცებდნენ ხელითგან ლეკებს და ათავისუფლებდნენ, ისე ქართლს გადაჰყვანდათ, მისთვის მიუჩინეს ამათ ხერთვისის მებატობე ბაშაღა: იყვანდა ძევლებად ხიზაბავრელ ქალიშვილებს და მერმე ჩუმათ ჰყიდდა. ამისთვის ჩაუდგა პირში ხიზაბავრის მრი. ტერ ანტონი: არა თუ მარტო არ აყიდინებდა მძევლებს უცხოებზედ ტყვედ, ისივე ახალციხეს გაპარვით ქვეითად, მალმალ უჩიოდა ფაშასთან და უკუაყენებდა მრავალ ნაირის მძლავრული ავკაციანობითგან; იქამდის გაუჭირვა საქმე, რომ რამდენმეჯერ მიუჩინა მოსაკლავად მზირნი დღე ღამ გზებში, მაგრამ ვერც ერთხელაც ვერ ჩაიგდეს ხელში, რომ ბაშაღისაგან ჯილდო მიეღო. პირიქით მღვდელმან აიღო ფაშისგან ბრძანების ქაღალდი, ჩავიდა მარტო ხერთვის და ხელითგან ხელში მიართვა ბრძანება, რაზედაც ისე გაჰკვირდა მის მხნეობასა და უშიშრობაზედ, რომ მაშინვე ძვირფასი ხალათით დააჯილდოვა და შეურიგდა, 1820 ბაშაღა.

აი რა ნაირ თხოვნას სწერს ვიჩენციო მთავარ ეპისკოპოსს: 18 წელიწადია რომ მე მღვდლად კურთხეულ ვარ და სულ ჩემი უმფროსის მორჩილებაში ვყოფილვარ: სადაც მას უბრძანებია ყოველგან წავსულვარ ს. არალს, ვალეს თუ ხიზაბავრას. ეს ხიზაბავრა, ყველას მოეხსენება, თუ როგორ სამტრო ალაგი არის ყოველთ კარგათ იციან თუ მტრისგან თუ ერისგან და თუ ბატონისაგან რაც გამიწევია, მეც ამათ განგიცხადებთ თქვენის საყდრობის წინაშე თვითოეულად შემოკლებით.

ა) როდესაც რუსი ახალციხეს შემოადგა (1810) გიორგ. ჩვენ მათ უფლების ქვეშ დავრჩით მომწყედეული, რადგან ხიზაბავრის გზით მოვიდნენ, ბოლოს რომ რუსები დამარცხებულნი

უკანვე გაბრუნდნენ, ჩვენ ისევ ოსმალოების ხელში დავრჩით რა, მაშინ მობრუნდნენ და შარი შილთახით მთელ სოფელს 12 ქისა თეთრი ფული და მე 300 ყურუში გარდამახდევინეს.

ბ) ამ გარდასახადის მიზეზით, ერთი კაცის ცოლშვილი გაყიდეს ოსმალოებმან და ჩვენ დავიხსენით იგინი. ამისთვის ავიღე წერილი უფროსისაგან და წაველ ლივანას წყალობის მოსაკრებავათ, იქაც გამიდიდდა ცოდვა და როდესაც დავბრუნდი ლივანითგან დამოხვდნენ გზაში მაჭიხელლები და გამცარცვეს ერთუან, რაც წყალობა დამეკრიფა და მასთან ჩემი 600 ყურუშის საღირელი ცხენი, საათი და სამოსი და სხვა მრავალი რამ, ვიდრე მსახურიც ტყვედ წამივიდა და ფხიკი ურელებს დავახსნევინე.

გ) კვალად როდესაც რუსმა ახალქალაქი აიღო 1811 – 7(ან წ.) ქრისტ. და ისევ მიატოვა, როგორც ახალქალაქზედ ახლომყოფთ, დაგვესნიენ ოსმალონი და მთელი სოფელი აიკლეს, იაღმა ქნეს და მეც მათთანა; მაშინ მეზიანა სახლიდგან, კარითგან თუ საქონლიდგან, 1000 ყურუშამდის. მერმე მთელი ერთი წელიწადი უდისკენ და ვალისკენ ექსორიას ვიყავით მშიერ მწყურვალნი.

დ) როდესაც ექსორიითგან ისევ ჩვენს ხიზაბავრაში მოველით, მაშინ მოგვეცა ერთი უსამართლო ბატონი აღზი აჩუღი (ბიშაღა), რომ ცალკე მისმა ზულუმმან და ცალკე დიდმა შიმშილობამან მიწა-მტვრად გაგვხადა. მარტო ზულუმს არ გვაჯერებდა უსამართლო ბატონი, ისივე მრავალი სოფლებისგან ტყვეებს ყიდვა დაუწყო, საცა ქვრივი და ობოლი იყვნენ აღარ გაუშვა და ჩვენი ხიზაბავრითგანაც მრავალჯერ მოიწადინა ქვრივთა და ობოლთა გაყვანა და გაყიდვა. მაგრამ ღვთის შეწევნით მე გავუმაგრდი, ჩემი თავის სიკვდილის განსაცდელში განწირულმან და ვერაოდეს ვერც ერთი ობლის გაყვანა შეიძლო. ამ მიზეზით დიდად გადამეკიდა მე, სასიკვდილოდ მდევნიდა, ბოლოს, მისგან დევნული ალი ფაშას ჩაუვარდი და მის დროს რაც შიში და ნაღველი გამოვიარე, პირველად ღმერთმან იცის და მეორედ თემობამან. მის გამო მრავალჯერ გხეები შემიკრა დასაჭერად რომ მოვეკალ, იმისთვის რომ რატომ ტყვეებს მაყიდვინებსო; ამის გარდა სხვა მიზეზების დაბრალებით 500 ყურუში ჯარიმა გამაწევინა რომ მისი სარგებლით წლამდის 1000 ყურუშამდის დამიჯდა.

ე) ჩავარდი გლახაკ ერში, რომელთაც თავიანთთვისა სარჩო არა აქვთ და მე რას მომცემენ და ამ ფერად უსარჩოდ ვარ, ვალით ვსვამ და ვჭამ, 1200 ყურუში ვალი დამედვა, მარგამ მაინც იმ შეწუხებულ ერს ვუვლი. ახლა უნდა ვთქვათ თუ რა მიზეზია ჩემი ამოდენი შრომისა? პირველად, მინდა ჩემი ვალი აღვასრულო, რომ ღვთის წინაშე მოვალე არ დავრჩე, მეორედ ღვთისა და წა. ეკკლესიის პატივისათვის და მესამედ, მორჩილებისათვის. ვუყურებ რომ ზოგნი ჩვენს პატივდებულს უფროსს არ უჯერებენ და არც ემორჩილებიან, რის გამოც რამენიმე სოფელნი უმღვდლოდ ჰყავს, მე კი თავი გამიწირია, ასეთ ჭირიანკაცს არალში და ვალეში მსახურების შემდგომ, აგერ 15 წელიწადია რაც ხიზაბავაში ვმსახურობ ამდენის საცდურებით, რამდენჯერ ეგონათ მთელ ქვეყანას ქალაქ სოფლამდის, რომ მე ხიზაბავრის ბატონი აქამდის არც კი მაცოცხლემდა და მამკლემდნენ სადმე. ამიტომ ამდენი საცთურებისა, ზიანებისა და ხორციელი ნაკლებულებაებისაგან შემწვარი, 50 წლის კაცი, 80 წლის მოუძლურებულ კაცს ვემსგავსები, აღარა შემიძლია რა, ვხედავ სხვებს, რომ მათი მღვდლათ კურთხევა აღარ მახსოვს, ჩემზედ უფრო კარგად და მხნედ არიან. სხვათაც ვუყურებ რომ სოფელში არავითარი შეწუხება არ ჰქონიათ, ვერ გაუძლიან და სულ წასელით განთავისუფლებას ეძებენ თავიანთ სამსახურის მოვალეობითგან და კიდევც ნება უსრულდებათ, ისე როგორც თუმანათ იოცხელი ტერ ანტონი, ერთჯერ სოზუმს წასვლითა განთავისუფლდა, რაც თავის სარგებლობისთვის იყო მისი იქ წასვლა; მან თუ კი იქ შემთხვევითად ეკკლესიას შესძინა მცირე რამ სულნი, აგერ მეც ხიზაბავრაში ეკკლესიისთვის შემიძენია 6 სული

მწვალებითგან და ის სხვა რაც კათოლიკენი გამომიხსნია და არ გამიყვიდინებია ოსმალოებისათვის, ან თუ გაყიდულნი შემიძენია, იმათი რიცხვი ვინღა უნდა მოგახსენოს, არა მარტო საცხხოვრებელის ზიანითა, არამედ იმავე სიკვდილის შიშის საცდურითა თუ მას უმიზეზოდ განთავისუფლება ერგება, მაშ მე რატომ უფრო სიმართლით არ უნდა მერგოს?

ამის გარდა ვსწერ კვალად თქვენს მაღალს და ბრწყინვალე ნათელმოსვილს საყდრობასა, რომ თუ სხვა სოფლის ბაროხებმან ამ ფერნი მორჩილების ტვირთნი თავსვიდევით, რომ არ დაქეჯილ, დაქელილ იყო როგი და კანონი ამ ახალციხის კათოლიკე თემის, რომ მუდამ კანონი და ჩვეულება იყო, როდესაც ახალციხის ერში, რომელიმე წილი სოფლებისა უმღვდლოდ ცარიელი დარჩებოდა მღვდლის მოხუცებულობის თუ მღვდლის სიკვდილითა, მაშინ ამ თემის უფროსი მოხუცებულ მღვდელს ქალაქში ჩამოიყვანდა და ახალად ნაკურთხს მღვდელს მის ადგილას განამწესებდა რათა ეზრუნა ვალდებულებისამებრ კეთილად ერისთვის; ან სხვა რამ ცვლილებით რომლისამე მღვდლისა დააკმაყოფილებდა. ასრე იყო ამ ჩვენი თემის კანონი და რიგო ვიდრე აქამომდე. ახლა კი ვუყურებ რომ, რიგი ამბობს: მე დიდი კაცის შვილი ვარ და სოფლად ფეხს არ გავადგამ. მაშ აბა ჰგავს მარტო ჩვენ ვყოფილვართ ყოველი საცდურისა და სასჯელისთვის გამეტებული, უპატრონონი, და ასე უნდა ვიწვათ და ვიდაგოთ მძიმე ტვირთ ქვეშე, იმათ კი თითითაც არ უნდა შეძვრა.

უფრო სხვათა უარესი ის არის, რომ სოფლის მღვდლებს, არა თუ მღდლად, არამედ ლიტონ კაცათაც არ თვლიან აქ ზოგიერთნი ქალაქის ბაროხნი, თუ არა და რა უნდა იყოს ეს ამდენო უსამართლობა ჩვენს თავზედა. თუ ამბობენ დიდი კაცის შვილი ვართ, მე მგონია როდესაც მღვდლობა მივიღეთ, ყოვრლნი ძმანი ვართ, ერთი ეკლესიის შვილნი და ქვევრდომნი, უნდა მორჩილნი გავხდეთ. დარწმუნებული ვარ რომ ღმერთი თავის ეკლესიაში ზენგინს და გლახაკს არ არჩევს, არამედ ეძებს თავის მორჩილსა, ამისთვის მეც თავიანთ ქონიერებას არაფრად შევრაცხავ, ამიტომ რომ მათ თავიანთ ქონიერებიტ ჩემთვის არაოდეს პური არ უჭომევიათ; მე ჩემის შრომით, თავის ქვაზედ ხლით და ვალით ერთს მტრისაგან გაფუჭებულს სოფელში ვრჩები. უკეთესი იყო მათ თავიანთი ქონიერებით შემწეობა მიეცათ ისეთი გლახაკებისათვის რომ არაფერი ნაკლულება არ შემჩნეოდათ; თუ იტყვის ჭირიანი ვარ, სიცრუვე არს, ჭირს იმისთვის იმიზეზებენ რომ სოფლად არ წავიდნენ, განაუჭირო ვარ? ჩემი ჭირი და სატკივარი უარესია, ყოველთ იციან მღვდელთაც და ერმაცა. ფუშები ჰქონდა ჩამოსული, მალ სჩხერდა მუცელსა. უფროსსაც რომ შევსტირო, ისიც მეტყვის თუ რა ვქმნა, რა გიყო, მეც კარგად ვიცი რომ გაჭირვებული ხარ, ძალა გადგია, მაგრამ საშვალება არა მაქვს, კიდევ შენ ყაირათი უნდა გამიწიო, და მეც პირველად ღვთის ხათრისთვის, მერმედ უფლისის მორჩილებისათვის ვიწვი ამ ცეცხლში, მე არავინ მყავს შემწე სტამბოლში ვარდაპეტები, რომ მყოლოდა იქმნებაც მშველებოდა, ასრე რომ არავინ მყავს მოსარჩლე, ვრჩები მე ჩემს სამსახურში.

აიგერ მეფისაშვილებიც ცდილობენ, რომ თავიანთ ძმა ტერ გრიგორი არ გააზავნინონ სოფელში, უპატიური სიტყვებიტ იხსენიებენ უფროსს, აღარაფრად თვლიან; ამბობენ: ჩვენ ეპისკოპოსთან მიჩნეული ვართ, როგორც გვინდა საქმეს ისე დავატრიალებთო. მაშ ეგენი ყოფილან ეკლესიის შვილნი და ჩვენ კი არა, თუ ამ ფერად არის, არც ეკკლესიის ცხოვარნი არ ჩაგვბარდება საძოვრად, რადგან სასყიდლით დადგინებულნი ვიქმნებით, ძალად დარჩენილნი, და ცხოვართ მგელნი წარიტაცებენ. თუ მეფისაშვილიც შეგვეწევა ამ სოფლის მღვდლებს, რა კარგი, თუ არა და უფროსმან რაც უნდა ჰქმნას, იმან იზრუნოს ამდენი სულებისთვის, თუ იმათ არა აქვთ მორჩილების ვალი, ჩვენ ვალი გარდაგვიხდია, აღარც ჩვენ გვექნება, აი ამ ორი მღვდლისაგან დაიბადა ამ 25 წელიწადში ამდენი ამღვრეულობა, მომხრობით რომელიმე მღვდლებისა.

ამისთვის მოვმართამთ თქვენს კეთილ მზრუნველობასა და ფეხთ ქვეშ გივარდებით ვედრებითა, რომ ჭეშმარიტი სამართალი მოიხმაროთ და წყალობა გვიყო, სიმართლით როგორც შვილთა, და დაგვამშვიდობოთ სრულიად.

ხელ აწერს ამ ქაღალდზედ ხიზაბავრის ბაროხი ხუციანთ ტერ ანტონი, აოჰანთ ტერ ანტონი ბაროხი ახალციხის იე. ნათ. მცემლის ეკლესიისა, ბაროხი წა. ჯვრის ეკლესიისა მღებრიანი ტერ სტეფანი, ბაროხი წა. ჯვრის ეკლესიისა სილაჯიანი ტერ იოანე 1822.

რომელი ერთი ვთქვა ოსმალოს იენგიჩრების მძლავრობა? იმერეთითგან გადმოცვივნული თავადები შეჰკედლებოდნენ ახალციხეს ნაცნობ დიდკაცობას (ასე 1810), ადგილობრივ ფაშის მხედველიბის ქვეშ, და ფაშის უნებურათ წასულიყვნენ გურიისკენ თუ აჭარის მხარეს. იმაზედ თურმე ცილი შესწამეს ხუციანთ ტერ პოღოს, უდის მღვდელსა: ეს შენი საქმე უნდა იყოს, მიუჩინე უთუოდ შენი ერებისაგანი და გააპარეო. შეუყარეს ფეხებში ხუნდი და უწყეს ფეხის გულებზედ ცემა ათ დღეს: გამოტყდი, თქვი რომლების ხელით გააპარეო. ეს მღვდელი გარდაიცვალა 1818, და ახალციხის ჯვარის ეკლესიაში დაიმარხა. ეკლესიის გაახლების დროს, საფლავი გახსნეს და ისევ მრთელი იყო სხეული თავით ფეხებამდის, მე თვითონ ვნახე, ერთი კვირა საზეთეში ესვენა, ერთი დღის მიცვალებულს ჰგვანდა, არ დაჰკარგოდა ხორცის ფერი, ხელ ფეხ ფრჩხილები, ბეწვი ტანზედ, თავი კისერზედ ება უცვლელად და თავს აბრეშუმის ფესი. ისევ თავის საფლავში დამარხეს სამხრეთის ტრაპეზის წინ. ახლა, უფრო შორს დაკარგულ სოფელთ, დაბათ და ქალაქებში: ველს, არტანს, სათლელს, არტანუჯს, ართვინს და შავშათს, რამდენს ტანჯვა წვალებას აყენებდნენ მღვდლეებსა! სადაც რა უწესოება, ხიფათი და შემთხვევა მოხდენილ იყო ერში, საზოგადოებაში, ჭირში, ლხინში, სულ მღვდლებს ჩაითრევდნენ: მზის დაბნელებისა, მთვარის დაბნელებისა, კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენისა, გვალვისა, ავდრიანობისა და სეტყვის დროს სულ მღვდლებს მისცვივდნებოდნენ, მალე აგვიხსენით ამათ მიზეზი რისგან არისო, მიჰყავდათ ხან ერთ დიდკაცთან ხან მოსამართლესთან და ხან ფაშასთან. ამისთანებს არ აჯერებდნენ, ქრისტიანულ წესწყობილებაშიც ერეოდნენ, ქალ-ვაჟის დანიშვნაში, ჯვარის წერაში, და ლოცვა-წირვაშიც კი; ვინც ვინ შეეცილებოდა წირვაში ან სამოციქულოს წაკითხვაში უეჭველად პირსისხლიან მაჰმადიანს მოიხმობდა და ის უბრძანებდა მღვდელს ვისთვისაც უნდა ეწირა ბედნიერ დღეს და ვისაც უნდა წაეკითხა საწინასწარმეტყველო დანიელის ან სამოციქულო სტეფანე პირველ მოწამისა.

ამას დავუმატოთ სომხების დევნულების საქმენი. ხოჯევანთ ტერ იოანე, 1767 წასულა იმერეთს მაისში, როცა პავლე ეპისკოპოსი ასლანათი დასდევდა ბავთისტულ მისიონერ პატრებს, ქისტებში ხშირად მიდიოდნენ და მოდიოდნენ. ეს მღვდელი მაისშ ჩასულა ქუთაისში და უღვაწია დაუცხრომელად ათ წელიწადს; ჰყოლია ახალ მოქცეული იმერლებისგან და სომხებისგანაც, სადაც ოსმალოებისგან მრავალნი აწყვრელები და ახალციხელები დამფრთხალნი აქა იქ მოფანტული ყოფილან, უვლია ხშირად იოფიჩხეთას, ხონს, ჩიხორს, ჩხარას, ზარათს, გელათს, ქვიტირს, ვახანს, ონს. იმ დროს პატრი იაკობიც ყოფილა ვაკეს, ტავაზს და მისთანა სოფლებში. სამკვიდროდ კი ქუთაისში უცხოვრია. მისვლა მოსვლა ჰქონია კათალიკოს ბესარიონთან, მეფესთან, ეპისკოპოსთან, ბერებთან და თავად-აზნაურობასთან რიგიანი განწყობილებით. თურმე ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე, ეს შეშურდათ სომხებს და მიექორნენ საბჭოდ თუ სადავოდ სომხების მარტიროს ვარდაპეტი ორის ტერტერებით და უწყეს ბჭობა-კამათი. სიტყვით თავს რომ ვერ მოუვიდნენ, დააქრთამეს მეფე, მიიმხრეს თავიანთკენ იქამდის, რომ მეფემ უბრძანა კათოლიკებს: ან გაქართველდით და ან გასომხდითო, მაგრამ კათოლიკები მტკიცედ დაუდგნენ მეფეს და უთხრეს:ჩვენ ვერ უარვჰყოფთ ერთს წა. კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესიასა და ასრე მოიხსენიეთო. რომ

ვეღარაფერი გაუწყო მეფემ იმათ საგუნებო, დააცლევინა ეკკლესია და გზა მისცა იე. მღვდელსა: მიბრძანდი შენს ახალციხეშიო, და მოშორდა მაშინვე, 1777 მოვიდა ახალციხეს. მაგრამ სომეხი თათოზაშვილის ტყვილის დაბეზღებით, ფაშამ ზანჯირხანაში გამოამწყვდია 8 თიბათთვისა, მაგრამ ქურქჩიბაშიანი იოანეს, სტეფანეს და იანუღიანთ ანტონას თავმდებობით გამოუხსნიათ, კიდევ წასვლია 325 ყურუში.

1782 21 ქრისტ. მაქანდრიანთ ტერ იოანე და ტერ გრიგორი დაუტყვევებიათ. 1789 17 იანვარს, ხოჯევანათ ტერ იე. ტყვედ ჩაუგდიათ და ჯარიმით გამოუტანიათ წიგნი ქაღალდი. 1790 დესპოტი პეტრე მღ. და ყაიჩბეგი ჩილდემეტრუცა 8 თებერ. ხვანთაქმან ფაშისგან და საყდრებისგანაც თეთრი მოითხოვა. 1791 19 მარიობ. პატრებთან საყდარს წინ მიდგმული გაუკეთეს და 22 მთელ ხუცებს ჯარიმა გარდაახდევინეს.

III

მოხუცი მღვდლების გადმოცემით ვიცი, რომ ერთს სირიელ უნითორს მღვდელს გადუყვანივართ სომხურს ლატინის ტიპიკონზედ. დღეს აღმოვაჩინე მე მისი მოტანილი სახარება ეტრატზედ დაწერილი კილივიაში 1328 როცა თბილისში 1. იე. ნათლისმცემლის ძველ ეკლესისას სამხრეთით მიდგმული აქვს საზეთის წინ ერთი მატური, ამ მატურის შესავალ კარის ქუდზედ წარწერაა სომხურად ასე: სადათიერა, დოვლათარა, გულბაჰარა, მურადი და სპანდარა. ესენი 5 ძმანი ყოფილან შემძლე პარსების მოდგმისა, გასომხებულნი, ამათ მიუღიათ იმ ასორი მღვდლისაგან კათოლიკე სარწმუნოება 1510 ში. ვიპოვნეთ ძველი მუშაობის ღვთის მშობლის სავარდის ხატიცა, იერუსალემს გაკეთებულის ყდითა, სადაფებზედა აწერია ლატინურად იესო, მარიამ და იოსები. მიზეზი ამ მატურის გაკეთებისა ის ყოფილა რომ ეკლესია ქართველების ყოფილა კათოლიკეთა, არ ჰქონიათ მისთვის ადგილი და მატური მიუშენებიათ; ერთ ხანს ასრე ყოფილა, მერმე ეს მღვდელი როგორც მისიონერი, მიმდგარ მომდგარა აწყვერს, იცხეს და სხვა სოფლებში, ჩაუგონებია კარგად და შეუერთებია უნითორის კათოლიკობაზედ, პატრების წინამძღვარობითა. მერმე ეკკლესიაშიც შესულა. ეს იე. ნათლისმცემლის ეკკლესია ბროსეს, შეცთომით, აშენებული ჰგონია 1298. მოხდენია შესამოსის კარის ქუდზედ ჯვრის პატარა ქვა უნახია კლდეში შემდგომ ჩასმული. 1301 რიცხვისაა და იმ რიცხვითგან ჰგონებია, მაგრამ ეკკლესია უფრო ძველია, გორმეზი ქვებით ნაშენი, სტილიც ძველია: მერვე თუ მეცხრე საუკუნოებისა. წა. გიორგის ტრაპეზის ქვის ჯვრებზედ ხუცური ნაწერიჯერ ვერ წაგვიკითხია, იმედია წაიკითხივს ვინმე როდისმე. ამ მატურის საძირკვლითგან, ლატინური ნამტვრევი საფლავის ქვები ამოდის; როგორც სჩანს, ძველთაგანვე ყოფილან აქ ჯინივიზები. 1839 სამოსელასიან მატური აღმოჩნდა და შიდა საფლავი ჯინვიზის აფიცრისა, ტანისამოსითგან იცნეს რომ ისევ ისე დაულპობელი იყო. მაშინ თეატინის მისიონერ მისიონერ პატრები ყოფილან, ამათ მოუტანიათ მიქელანჯელოს ნახატი შვენიერი ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც მრავალი სასწაულები უწევია, განთქმულა მისი სასწაულები ყოველგან ვიდრე მაჰმადიანებიც დიდს პატივსცემდნენ. ეს მისი სასწაულები შეშურვებია ერთ ებრაელს არინა ზუბასვილს, მოუნდომებია მისი შვენიერი თვალების დათხრა. მისი სასწაულიანობისგამო, მუდამ ღია ყოფილა ეკკლესია ყოველ მერჯულისთვისაც. ბევრჯერ უთვალიერებია ამ ებრაელს, რომ როგორმე მისთანა დრო ხელში ჩაეგდო არავინ ყოფილიყო ეკკლესიაში, რომ თავისი უსამართლო აზრი ფანატიკობით სისრულეში მოეყვანა და კიდევაც ეწია თავის სურვილს ერთ დღეს: როცა მცველი მწათე სახლში წავიდა და მეზობლის ყმაწვილს მიანდო თვალყურის

ჭერა ეკკლესიაზედ: ეს ყმაწვილი რაცხა ხილის საყიდლად გაგზავნა ვიცდიას ბაღჩაში და თვითონ შევიდა ეკლესიაში და ხატს დაუმიზნა ტაბანჩა, რვაჯერ ჩამოკრა კვეხი (ჩახმახი) და არ აიღო! გაოცდა ეს კაცი, იცოდა რომ არაოდეს არ დამცდარა, ამაზედ როგორღაც შეკრთა, გაუელვა აზრმა თავსი, თქვა: ვაი თუ ხატის სასწაულისგან იყოსო; საცდელად, მიიბრუნა ეკლესიის ღია კარისკენ, ჩამოჰკრა ტაბანიჩის ჩახმახს თუ არ, მაშინვე გავარდა ტყვია ძლიერად. მაშინ დაჰნანდა ძლიერ თავის შეცდომილებას, - უთუოდ ღვთის წინაღმდეგი საქმე მომიხდაო-თქვა. მაშ ამ სასწაულებით ცხადად გვიმტკიცებს ღმერთი ქრისტიანობის წა. ჭეშამრიტებასა და უნდა სწორედ ჩემი მოქცევაც რომ ცხადი სასწაულით მიჩვენაო. ეს რა სთქვა, დავარდა ხატის წინ მონანული, თქვა: მიწყალე მე ღმერთო, და შენდობა მოსთხოვა ღვთისმშობლის ხატსა და წარვიდა სახლში განკვირვებული, უამბა თავის ცოლშვილთ, ყოვლიფერი ჩააგონა და მოიდომეს გაქრისტიანება,ცდა იწყეს სწავლა პატრებთან სარწმუნოების ნაწილებისა, შეიტყვეს ურიებმა, უჩივლეს ყადთან, შეანწყვდევინეს საპატიმროში ბარე ერთ კვირა, მაგრამ ვეღარ შეძლეს მისი უკან დადგომა ქრისტიანობითგან. ურიები მეტად ჰკიცხავდნენ გაქრისტიანებისათვის, უფრო დიდათ თავიანთ მონათესავე განაყოფობა. შეუმჩნიეს პატრებმა ეს სირიელი მღვდელი და მან არა თუ შეარიგა და დაამშვიდა, ისევე დააქრისტიანა ზუბაშვილები ყველა. ამათ ჩამომავლობაა ზუბალაშვილნი. ეს ეკკლესია არამარტო მტრისაგან ნაქცევი შეკეთებულაა 1301 მოსული სომხებისგან, არამედ 1360 გი. ბრწყინვალე მეფის შვილის დროს, როგორც აღმოჩნდა ამოსავლეთის ფანჯრის ზემოდ წარწერილი ქვისაგან: ზეითგან ქართულად აწერია:გაუმარჯოს მეფესა დავითს და აღბუღას, ქვეშ სომხურად წყალობითა ღირსა მე ტერ ნერსესმან ართამანელმან აღვაშენე ეკლესია ღისა სახელსა ზა ყდ წა. ღვთისმშობლისა, სამეოხებოდ ჩვენდა და მშობელთა ჩვენთა 1360. ეს ქვა პირდაღმა ემხო, თქმა არს, ნაქცევი ეკლესიებითგან მოტანილია და შეკეთებული გუმბათის თავი, თვარემ ეკკლესია ძველი ქართული გეგმის არის; მტრისგან ნაქცევი. ბევრჯერ შეუკეთებიათ ნაეკლესიარი ქვებით და ჯვრითა.

ვიდრე უნითორ კათოლიკები ვიყავით, შორგვიდგნენ სომხები: მღი. სომხურად სწირემდა და ერი ქართულად გალობდა და ლოცულობდა. მით დღსაც არის ჩვენს ეკკლესიებში დაშთენილნი ახალციხესა და გარე სოფლებში სომხური მისალი და ბრევიერა დაბეჭდილი რომს და ვენეტიკს 1714-1725-1728 წ. რა რომ ვეღარ დადგნენ სომეხი უნითორი კათოლიკენი მეტის სომხების დევნულობისა და შეჭირვებისაგან თავიანთ წესზედ, ნელნელა დასტოვეს ლათინის ტიპიკონი და დაუბრუნდნენ ხელახლავ სომხის ტიპიკონსა რა, შეგვითრიეს ჩვენც სომხის ტიპიკონში. მაშინ იწყეს ზოგიერთმა სომხის მღვდლებმა ჩვენი მღვდლების შეგონებით გაკათოლიკება და შეერთება ჩვენთან, როგორც იყო ტერ არაქელი, ტერ კირაკოსი, ტერ ვოტო ვალის მღი., ტერ სარქისი უდის მღ. და სხვანი. ამისთვის სომხის კათალიკოზები 3 წელიწადში ერთხელ მირანის ფულს გვახდევინებდნენ: ერთხელ ას ასი ყურუში აუღიათ ახალციხის ზემო და ქვემო ეკკლესიებისგან, ივლიტის ეკკლესიითგან 60 ყურუში, ვალის ეკკლესიითგან30 ყურუში, ამის დაგვარ სხვა სოფლების ეკკლესიებითგან აუღიათ. ასეთი გარდასახდელისა და სხვა ერის შენჩემობის გამო ყოფილა რომ ამ სამი ეკკლესიების შესავალ გასავალი თავასწორედ შეუერთებიათ, როგორც სჩანს. 1771 წ. 29 მაისისა, კვირა დღეს, ახალციხის წა. ნიშნის ტაძარში შევიკრიბენით მოწყალებითა ღვთისა, ჩვენ ახალციხის და ივლიტის მღვდელნი და ერნი ერთად და ეს რჩევა ვქენით საერთო სიკეთისათვის: ეს სამნი ეკლესიანი, ახალციხის წა. ნიშის ტაძარი და ივლიტის წა. ნიშის ტაძარი, რომელნიც ამის უწინარეს განყოფილნი იყვნენ თავიანთი ყოველი მოსავლითა, ჩვენ ამ აღნიშნულ თარეხში შევაერთეთ ეს სამნი ტაძარნი ამ ფერად, რომ ამ სამივეს რაც მოსავალი იყოს კეთილი თუ ბოროტი,

ყოველივე სამივესთვის საერთო უნდა იყოს; და ამ ჩვენი ეკკლესიების საქმის წინ წაყენებისთვის თემის მარიფათით ხუთნი კაცნი უნდა დადგნენ, სამი სამს საყდარში, ორიც ფოხნად, მეოთხე საყდრების მულქის მუთაველად, და მეხუთე ამ ეკკლესიების მოსავლის ანგარიშის და თეთრის მიმღებლად, ამ ოთხის კაცისაგან თვით თვემდისინ, და რაც ამ ეკკლესიების გასარიგებელი საქმე მოხდებოდეს ამ ხუთისა მასლაათით მოხდებოდეს და რჩევით იქმნებოდეს. და ვინც ეს ხუთნი კაცნი გამოირჩევიან და დაადგებიან ამ კეთილ საქმეზედ, ერთგულებით მოუვლიან ეკკლესიებს და მათ მოსავალზედ მუყაითი იქმნებიან, - მაგიერათ სასყიდელი მიიღონ სასუფეველშიდ და ქვეყანაზედ თავიანთი ყოველი სულიერი და ხორციელი საქმები კეთილად განაგოს ამავე ეკკლესიების ძალმან და მადლმან, ამინ, ამინ. და ამას გარდა, რომელმაც ამ ჩვენს დაწყობილ კეთილ საქმეს შლად ხელჰყოს და დაარღვიოს, - პირველად ამავე სამის ეკკლესიების მღვდლების და ერის მოვალე იყოს ღვთის სამართალში, მეორედ რომ ამ ეკკლესიების წმიდანები ერთნი არიან და ერთობაც უყვართ, რომელიც გაჰყრის და გაყრასაც მოინდომებს, ამავე წმიდანების პასუხის გამცემი იყოს და იმავე საიქიოსაცა.

თქვან ანგელოზებმან ცაშიც და კაცებმან ქვეყანაზედ ამინ, ამინ.

ამას გარდა, ეს ხუთნი კაცნი, რომელნიც გამოირჩევიან ზედამხედველად, თუ ერთგულობით მოუვლიან, ხომ ის ზემოთქმული ლოცვა და კურთხევა იმათზედ ასრულდეს, თუ რომ ამ ხუთ კაცშიდ ვინმე უორგულობდეს ამ ეკკლესიებს და თავისთვის რამე გამოჩემობდეს, ზემოთქმული ლოცვა-კურთხევის მაგიერათ, თავის დაგვარ რისხვას მიიღებდეს აქა და საიქიოსაცა.

ხელი უწერიათ ტერ იოანე აივაზაშვილს (აბაზაძეს), ტერ არაქელსა, მღ. სტეფანე აღამალიანს, უდიელ ხუციენთ ტერ პოღოსსა, მაქანდრიანთ ტერ იოანესა და იორთავათ ტერ იოსებსა, კრუხიჭამით ბატონჯანას, მაქინდარათ ბატანჯანას, ქაჩხუათ პეტროსას, ფირალათ ბატონჯანას, ზალინათ იოჰანესას, ქირქჩიანთ ყაზარას, ქურქჩ ღუკაზას, მეფისათ იოსებას, მეფისათ იოანეს, ხანუმაშვილ პეტროსას, უდელ იოვანესას, ყანდინათ იოვაბესას, გაბრიელ სიმონ გულაშვილს, მეფისათ პეტროსას, ხოჯევანათ სარქისაშვილს იოჰანესას, მეფისათ პეტროსას და ოტიაშვილს იაკობას.

აი კიდევ უნდა ყოფილიყოს 1778 ან ცოტა წინ ეს წერილი, ქართულ კათოლიკეთათვის სწერს უფროსი: „ვინათგან მესმის რომ თქვენში არიან ზოგნი რომელნი გაშფოთებენ და ეჭვს აგდებენ თქვენს გულში, წა. ეკკლესიის სწავლების წინააღმდეგ რამებს გასწავლიან თქვენ და ამისთის ზოგნი თქვენგანნი, რომელნიც ეჭვიანი შექმნილან, ამბობენ: არ ვირწმუნებთ, მანამდინ პატრები არ მოვლენ და როგორათაც ჩვენ მოგვაქციეს, დასაწყისიდამ იმათ გვასწავლეს, ისრე ხელახლავ გვასწავლიან! ამისთვის დასაჭირო ვჰგონე, რომ ეს წიგნი მომეწერა, და ჭეშმარიტებაზედ მემოწმა, როგორათაც წა. მოციქულმან ადრევე გაწურთნა ურიები, ისრე მეც გწურთნი და გეუბნები: „მოძღვარებასა მრავალსახიერსა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ“ იე. 9. ნუ დაიჯერებთ ყველა უმცოდინარე კაცის სიტყვათა: „მღვიძარე იყვენით, მტკიცედ დეგით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით“ იე. 13. რომელიც დასაწყისიდამ პატრებისაგან გსმენიათ და გაქურთნილ ხართ, მარტოკა ეს სარწმუნოება ჭეშმარიტი არის: ერთი წა. კათოლიკე, რომელიც თქვენი საუკუნო ცხონებისათვის გეჭირვებათ. ამიტომ რომ ჩვენ უფლის და მოციქულების სწავლება ეს არის, მისგან სული არ გაირჩევა: და თუ სხვა გზით გწამსთ, ვერ ცხონდებით. საძირკველით და ჭეშმარიტებით გეტყვით: „დაღაცათუ ჩვენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს გარეშე მისსა რომელი იგი გახარე თქვენ, შეჩვენებული იყავნ“ გალატ. ა. 9.

მიკვირს რომ პატრების მოხმობას თქვენი სარწმუნოებისთვის ითხოვთ. აწ ეგების ახალციხის მღვდელთა სხვა ფერად სწამსთ, ანუ წა. ეკკლესიის და პატრების სარწმუნოებას წინ უდგებიან? არა, რადგან ესენიც სწოვენ მართალი და ჭეშმარიტის სწავლების სძესა იმავე დედისაგან (რომელიც არის კათოლიკე წა. ეკკლესია), რომლისაგანაც პატრებს უწოვიათ, ამ მიზეზებისათვის, ესენიც მართალნი შვილები არიან მხოლოდ მაცხონებელის ეკკლესიისა, რომ ყოველას ამ სარწმუნოების თქმულებისა პატრებთან ერთად აღიარებენ!

რათა განკითხვის დღეს პატრებს ბრალი რომ არ დაედვასთ და თქვათ: თუ რომ ჩვენი თხოვნა გსმენიათ, და ჩვენი დამტკიცება გდომებოდათ ამ მართალს სარწმუნოებაში, ხელმეორ ჩვენის თხოვნისამებრ გვასწავლიდით და ამ ახამ მწვალებლობაში არ ჩავარდებოდით და ასრე არ წარვწყმდებოდით საუკუნოდ, - პატრებს თავიდამ რა სწავლაც მოუცია თქვენი ხორციელი მამებისათვის და თქვენ დაგვიწყებიათ, ხელახლავ მოკლედ გიმეორებთ. ეს ჩემი სწავლა რომ უფრო ადვილად შეიტყოთ, ღვთისმეტყველების ღრმა მიზეზნი და დამტკიცებანი უკუმიგდია და მარტო იმ მიზეზებით და დამტკიცებას მოგიტანთ, რომელთაც უფრო ადვილად შეიტყობთ.

და ვინაით ეს ცრუ სწავლება თქვენში, როგორც თუ წა. პაპი პიო მეექვსე და სხვანიც, რომელნიც ამის წინ რომას ისხდნენ, ჩვენი უფლის მართალნი მომაგიერენი და წა. პეტრეს მონაცვლენი არ არიანო, - ამისთვის გეტყვი: ახლანდელი წა. პაპი, რომელსაც პიო მეექვსე ჰქვიან, მართალი ჩვენი მაცხოვრის მაგიერი და წა. პეტრეს ნაცვალი არსი. მიზეზები გაიგონეთ: უფალმან ჩვენმან, რა დროსაც წა. პეტრე თავის ნაცვლად დააყენა, უთხრა მას: „აწ მე გეტყვი შენ, შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი, და მიგცე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათასანი“. მათ. ივ. 1819. სვიმონ, სვიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოება შენი და შენ ოდეს მიიქეც და განამტკიცე ძმანნი შენნი. კულ. ლბ. 3232 აძოვენ კრავნი ჩემნი, დამწყსე ცხვარნი ჩემნი და სხ. იე. კა. 15. ეს შეძლება და მთავრობა არა მარტო მას ჟამს პეტრესთვის მიუცია, არამედ კვალადცა მისი მაგურებისათვის უნდა მიეცა უფალსა, ამიტომ რომ იცოდა მისი ეკკლესია დაფუძნებული წა. პეტრეს კლდესა ზედა, სოფლის დასასრულამდის დარჩებოდა და არ დაიქცეოდა, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას“ იქვე მათ. და კვალად „ აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა რღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფელსა“. მათ. კდჰ. 20.

ქრისტემ, თავის ღვთიული მამის სიბრძნემ, დიაღ იცოდა, რომ თავისი ეკკლესია, როგორც წა. პეტრეს დროს, ეგრეთვე სხვა დროსაც ვიდრე სოფლის დასასრულამდის საჭიროებდა ერთს ხილულ თავრა საყოვლიერო მწყემსად, რომ პეტრე სოფლის დასასრულამდის, როგორც მოკვდავი ადამიანი, ვერ იცოცხლებდა, მაშ მარტო წა. პეტრესთვის არ მიუცია ის უფლება, არამედ ყოველი მისი მართალ მონაცვლებისთვისაც უნდა მიეცა, თვარემ წა. პეტრეს სიკვდილის უკან წა. ეკკლესია უთავოდ დარჩებოდა და მის შემდგომ ხილული თავი აღარ ეყოლებოდა.

ახლა მითხარით ეს წა. პეტრეს მაგიერნი ვინ არიან, ანუ რომელნი? სიმართლის გზით წა. პეტრეს დროიდამ აქამომდე, მუდამ რომის პაპები იყვნენ და არიან, რომებში უიჭველდა არის ახლანდელი წა. პაპი პიო მეექვსე, მართალი ჩვენი უფლის მაგიერი და წა. პეტრეს ნაცვალი, იმ ყოველთსავით რომელნიც წა. პეტრეს მიცვალების უკან რომს მის ადგილს, მის ტახტზედ იჯდნენ და წა. პეტრეს მისდევდნენ, პირველი იყო წა. ლინო მოწამე და ყველა მისი მონაცვლე ახლანდელსა წა. პაპამდის. მაშ მარტო რომის პაპები მართალნი უფლის მაგიერნი და წა. პეტრეს მონაცვლენი არიან!

რომ წა. პეტრე რომში მიიცვალა და იმ ქალაქში წამებულ იქმნა, სრულ მთელი ქვეყანა აღვიარებს, მარტო იქმნება ვინმე უმეცარმან და გიჟმან უარჰყოს, ჯერ არავის გაუგონია წა. პეტრეს სხვა რომელსამე ქალაქში მიცვლა ანუ საფლავი მისი ყოფილიყოს რომის გარეთ. მაშ უკეთესი წა. პეტრე რომს მიიცვალა, ის მის ნაცვლად შეიქმნა, ვინც მის ტახტზედ მის მაგიერათ დაჯდა, სხვა ვისმეს როდი ერგებოდა.

რომ ეს საქმე ასე იყო, რომ რომის პაპები მუდამ მართალი ჩვენი უფლის მაგიერნი იყვნენ და არიან აქამდის, არა მარტო ლატინის, მაგრამ ბერძნის წა. მამებიც ერთ პირად მოწმობენ, რომელთაც ერთობის დროს იცოცხლეს ერთობის შემდგომ სხვა წა. აღარ ჰყოლიათ იმათ. რომის ქალაქში რომ გადვიდა წა. პეტრე, დაერქვა რომს - წა. პეტრეს სუდარი (ტახტი), რომის პაპას წა. პეტრეს ნაცვალი დაარქვეს... ასრე ამბობენ მსოფლიო აღმოსავლეთის და დასავლეთის მამებისაგან შეკრებული კრებანი.

წა. პეტრე, ჩვენ უფლის ამაღლების შემდგომ ოთხი წლის უკან, ანტიოქიას მოსულა, სადაც ევსეობს ქრონიკოსაებრ შვიდი წელიწადი იჯდა, მაგრამ ამ მიზეზით ანტიოქიას პატრიარქის პატრიარქი წა. პეტრე მონაცვლე ვერ ითქმის, რამეთუ პეტრემ შვიდი წლის უკან ის ქალაქში გაუშვა და ჩვენიმაცხოვრის ამაღლების უკან იერუსალიმში მივიდა ისევ, რა დროსაც ეროდის ბრძანებით დაჯინჯულებილი საკანში ჩააწყვდიეს და ანგელოზისაგან გამხსნა. მერმე რომს წავიდა კლაუდიო კეისრის მეორე წელს, და როდისაც კლაუდიო კეისარმან თავის კეისრობის მეცხრე წელს და ჩვენი უფლის ვნების უკან მეოცხრამეტე წელსა, ჰურიები რომითგან განაძია, წა. პეტრე ხელმეორ იერუსალიმს წავიდა, იქ კრება ჰქმნა, როგორც სწერია საქმე მოციქულთაში. მერმე კლაუდიო მოკვდა, წა. პეტრე რომს მიბრუნდა და იქ დაჯდა ნერანის კეისრობის მეთოთხმეტე წელამდის, რომელს წელიწადშიც იწამა. მაშ წა. პეტრე იჯდა რომს ოცდახუთი წელიწადი ერთიან და იქავ მოკვდა. მაშ ანტიოქის პატრიარქს ჩვენი უფლის მაგიერობა და წა. პეტრეს ნაცვალობა არაორეს არ ერგება.

რომის წა. პაპებს წა. პეტრეს მიცვალების უკან რვაას ოთხმეოცდა თვრამეტ (898) წელიწადს მუდამ დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკკლესიები, როგორც ჩვენის უფლის მაგიერებს და წა. პეტრეს მონაცვლებს, ეგრეთ პატივს სცემდნენ იმათ და ემორჩილებოდნენ, სულ მათ სამართალზედ იდგნენ; ასრე მოწმობენ მსოფლიო კრებანი ერთობის დროსა: ნიკიის პირველი კრება, მეექვსე კანონში მე-16 ჯდომისა, ამფერად ბრძანეს: რომის ეკკლესიას მუდამ უფროსობა ჰქონია ყოველს სხვა ეკლესიებზედა, არათუ ქალაქის ღირსეულებისათვის, არამედ მეტი პატივის და შეძლების მიზეზითა, რაც რომ აქვს სხვა ეპისკოპოზებზედა! სტამბოლის მსოფლიო პირველი კრება ამბობს მეორე კანონში: სტამბოლის პატრიარქს მეტი პატივი ერგება, შემდგომად რომის პაპისა! ეფესოს მსოფლიო კრება მეორე ჯდომისა, წა. პეტრეს მონაცვლეთა, რომის პაპებს, თავად და სარწმუნოების სვეტად ახსენებს! მრავალი სხვა კრებაების და მეტადრე წა. მამების მოწმობანი, სიმოკლის მიზეზითა გამიშვია, მარტო ამ წა. კიპრიანეს აღმოსავლეთის ეპისკოპოზის სიტყვები კარგად გაიზეპირეთ, რომ ერთს თავის წიგნში ასრე ბრძანებს: „ვინც წა. ეკკლესიასთან რომისა შეერთებული არ აღის რომელსა ზედაცა აღშენებულია ეკკლესია, ამისთანა წა. ეკკლესიაში როდისაც არ არის, ეკკლესიის გარედ არის!“ ასსე აღვიარა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიამ საყოველთაოდ 898 წლამდის, ფოციოს დრომდის, რომ წა. პაპების წინააღმდეგი გახდა პირველად, მან იმათი პატივი და შეძლება უარჰყო, ასეთი მისი მწვალებლობის მიზეზი ეს იყო, რომ წა. პაპებმან შეაჩვენეს და პატრარქობითგან გადააყენეს სტამბოლისა, აგერ ამ პაპებმან შეაჩვანეს: I ნიკოლამ,

რომ დიდი ეწოდა; მეორედ: II ადრიანემ; მესამედ: VIII იოანემ; მეოთხედ: III ადრიანემ; მეხუთედ: VI სტეფანემან. ფოტმანც მაგიერად შეაჩვენა და იმათი პატივი და შეძლება უარჰყო.

აქ მარტო ეს მინდა მოგახსენოთ: თუ რომ საყოველიერო ეკკლესიამან აღმოსავლეთსა და დასავლეთისამ, ერთგულად, ერთპირად 898 წელიწადი აჭვიარა, როგორც წეღან გითხარით, რომ რომის პაპები მართალნი ჩვენი უფლის მაგიერნი და წა. პეტრეს მონაცვლენი არიანო, პატივსაცემდნენ იმათ და მუდამ იმათ სამართალზედ იდგნენ, ახლა როგორ იქმნა, რომ იმისთანანი აღარ არიან, განა იმიტომ რომ მწვალებელნი ჯავრის მიზეზით, იმათ უფლისაგან მიცემულს შეძებას და პატივს უარჰყავენ? ეს ხომ ცულიმადი მიზეზია! მაშ ასრე უნდა ვთქვათ: ან საყოველთაო ეკკლესია წა. პეტრეს მიცვალებს უკან შეცდომილია, ანუ ახლანდელი მწვალებლებო შემცდარნი არინ. ეს კი ჭეშმარიტია, რომ საუოველთაო კათოლიკე ქრისტეს წა. ეკკლესიას არაოდეს არ მოუხდება შეცთომილება, რომ სული წა. მას ასწავლის, მაშ მწვალებელნი შემცდარი არიან სრულიად!

მეორე თქმული კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ ეს არის, რომ ზოგნი თქვენგანნი ეჭვნეულობენ, ამბობენ: სული წა. მამისაგან და ძისაგან არ გამოვალსო. რომელნიც ასრე ამბობენ და ასრე სწამთ, სულსა წმიდასა და ძესაცა ჰგმობენ და წა. სამებასაც აუპატიურებენ! რომ სული წა. მამისაგან და ძისაგან გამოვალს, წა. მამანი და წა. ეკკლესიის მოძღვრები ამტკიცებენ და ამტყუნებენ ბერძნებსა იმავე სახარების სიტყვებითა, რომელნიც თავიანთ სწავლების საძირკვლად ხმარობენ; იოანეს იე. თავს სადაც ბრძანებს უფალი: „ხოლო რაჟამს მივიდეს ნუგეშისმცემელი იგი. რომელი მე მოვავლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან სწამოს ჩემთვის“. აგერ ამას ამბობენ რომ მარტო მამისაგან და არა თუ ძისაგანაც გამოდისო სული წა! ახლა ყური მიგდეთ: უფალი ბრძანებს რომ თვითონ მოავლინებს სულსა წმიდასა, ამ სიტყვით მტკიცდება რომ მომავლენელი ძისაგანაც გამოვალს სული წმიდა! როდესაც საღმრთო წერილი ღმერთზედ ლაპარაკობს, ის მისი სიტყვებით იმ ფერად არ უნდა დავიჭიროთ, როგორც თუ კაცზედ ვლაპარაკობდეთ, არამედ იმ დროს ეს სული წმიდის სიტყვები ამ ფერად უნდა შევიცნოთ და ვათარგმანოთ, როგორც ღმერთ ეკადრება, ამ მიზეზით ღვთიური ძის სიტყვა, „რომელი მე მოვავლინო თქვენდა“ ისრე ვერ ითარგმნების, როგორც კაცი ვინმე რომ სხვა ვინმეს მოავლენს: აი როგორ.

როდისაც კაცი კაცს სადმე მიავლენს (სხვაგან გაგზავნის), მარტო ამ სამის რიგით შეუძლია მივლინება (გაგზავნა), პირველად ბრძანებითა, როგორც ბატონი ერთს ვინმე თავის მსახურს უბრძანებს წასვლასა, მეორედ წურთვნითა თუ რჩევითა, როგორც მკურნალი ურჩევს ერთს ვინმე ბატონს, რომ აბანოში წავიდეს თავის სიმრთველისათვის, მესამედ თხოვნა-ვედრებითა, რომ შეეხვეწება რათა წავიდეს, როგორც შვილი ვინმე იყოს თავის მამისა! ამ რიგად როგორ შეიძლება, რომ ღვთიულმან ძემან მოავლინოს სული წმიდა. პირველად არ იქმნება ბრძანებითა, ამიტომ რომ ძე ღვთისა სული წმიდის უფალი და მბრძანებელი არ არის, არცარა ძესა და მამაზედ უფროსია, არამედ ორთავეს თანასწორი არის! არც წურთნით და არცა ხვეწნით შეეძლო ძესა ღვთისას მოვლინება სული წმიდისა, ამიტომ რომ სამთავეს ერთი და იგივე ბუნება გინა არსება აქვსთ, ერთი და ისივე ღვთაება აქვთ და ერთი და იგივე ნებაცა აქვთ, ამის მიზეზით, რაც რომ ერთს ჰნებავს, იმავე წამს ერთი და იგივე ნება მეორესა და მესამესაცა ჰნებავს იგივე მაშ არც ბრძანებითა, არც წურთნითა და არც ხვეწნითა არ იქმნება, რომ ძემან მოავლინოს სული წმიდა, თუ არა და სული წმიდა თვითონ თავის თავს რომ მოავლინებდეს, სული წმიდის ნება ძის ნებაც არის.

ეს ხომ ასრე არის, ახლა მითხარით, რაფერად მოავლინა იმ ღვთიულმან ძემან სული ჭმიდა? თუ თქვენ არ იცით მე გასწავლით! მარტო შეუძლია ძესა, რომ გამოსვლისა მიერ მოავლინოს

სულო წმიდა, სხვანაირი გზით არ შეიძლება! მაშ ეს სიტყვა ღვთიული ძისა ამ ფერად უნდა ვათარგმანოთ: როდისაც მოვიდეს ნუგეშინის მცემელი იგი, რომელიც ჩემგან და მამისაგან გამოდის, მე მოვავლინო თქვენდა, ამის მეტი სხვა გზა არ არის, რომ ღვთიულმან გვამმან მეორე გვამი გამოავლინოს, გამოსვლის გზის გარდა!

უკეთუ სული წმიდა ძისაგანაც არ გამოდიოდეს, იმას ძე ვერ მოავლინებდა. საღმრთო წერილში არც ერთ ადგილს არ სწერია, რომ სულმან წმიდამან ღვთიული ძე მიავლინა, რატომ? იმიტომ რომ ძე სული წმიდისაგან არ გამოვალს გინა იშობება, არამედ ძე მამისაგან გამოდის შობის მიერ. ეგრეთვე თუ სული წმიდა სულად მამისა მოხსენებულია: „რამეთუ არა თქვენ იყვნეთ მეტყველნი, არამედ სული მამისა თქვენისა რომელი იტყოდეს თქვენ შორის“. მათ ე. ი. 20. სული წმიდა რომ მამისაგან არ გამოდიოდეს, არ მოიხსენებოდა სულად მამისა! ეს სიტყვა მართალი არის თუ არა! მაშ იმავე მიზეზისათვის საღვრთო წერილში ითქმის სული ძისაცა, რომ როგორც მამისაგან ისე ძისაგანაც გამოდის სული წმიდა: „ და რამეთუ ხართ შვილნი, გამოავლინა ღმერთმან სული ძისა თვისისა გულთა შინა ჩვენთა, რომლითა ეღაღადებთ აბბი მამაო“. გალატ. დ. 6.

მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ: თუმც სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოვალს, მაინც ორ დასაბამს სული წმიდისასა ვერ ვიტყოდით, რადგან ორნივე ერთი და იგივე დაუსრულებელისა ძალითა საუკუნოდამ საუკუნოთ, თუმცა გვამების დაგვარად ერთმანეთისაგან განირჩევიან. მაგრამ მაინც არ დასაბამს ვერ ვიტყვით, მაგრამ მატყო ერთს სრულს დასაბამს სული წმიდისას, ამიტომ რომ ორივეს ერთი და იგივე ბუნება განა არსება აქვთ! იგავით ასრე ვთქვათ: მამა ღმერთი არის, ძე ღმერთი არის, სული წმიდა ღმერთი არის, მხოლთობაში სწორედ ასრე ითქმის, მაგრამ მრავლობით ვერ ვიტყვით: მამა, ძე და სული წმიდა ღმერთები არიან, შეცთომილებაა, რადგან მხოლოდ ერთი ღმერთი არის! რომ ვთქვათ: მამა ყოვლისმპყრობელი არს, ძე ყოვლისმპყრობელი არს, სული წმიდა ყოვლისმპყრობელი არს, სწორე არის, მაგრამ რომ ვთქვა: მამა, ძე, და სული წმიდა ყოვლისმპყრობელნი არიან, შემცდრობა არის! კიდევ, მამა სული წმიდის დასაბამი არის, ძე სული წმიდის დასაბამი არის, მხოლოობითად სწორე არის; რომ ვთქვათ: მამა და ძე სული წმიდის დასაბამები არიან, შემცდრობა იქმნება მრავლობით თქმა, ამიტომ რომ ორთავ მხოლოდ ერთი ბუნება აქვთ. ეს სიტყვა მრავლობაში რომ სწორედ მოვიდეს, საჭირო იქნება რომ მამას და ძეს თვითოს თვითო ცალკე არსება ჰქონდესთ, რომ ერთი მხოლო, სული წმიდის დასაბამები იყვნენ!

წა. მამები და მოძღვრები ერთ პირად გვასწავლიან, რომ ყოვლად წმიდა სამების გვამები ყოველს რამეში თანასწორები არიან და თანაზიარნი, რაიც ერთსა აქვს მეორესა და მესამესაც აქვს, იმ რამების გარდა, რომელთა ღვთიულნი გვამნი ერთ მეორისაგან განირჩევიან, როგორც მამა ძე არ არის, რომ მამა და ძე სული წა. არ არის და რომ სული წა. მამა და ძე არ არის. ამისათვის უფალი ბრძანებს: „ყოველი რაოდენი აქვს მამასა, ჩემი არის და ამისთვის გარქვი თქვენ, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ“ იე. ივ. 15. მაშ თუ ყოველი რამები საერთოდ აქვთ იმ ღვთიულ გვამებსა, რაც ერთსა აქვს, მეორესა და მესამესა აქვს, რაღა რჩება მისაღებელი, სული წმიდისა უიჭველად გამომავლობა ძისაგანაც. რომლითა საუკუნოდ გამოსულა ძისაგან როგორც მამისაგან გამოდის და გამოვა საუკუნოდ გამოსელის მიერ. ის ყოველს მიიღებს რაც მამას და ძეს აქვთ. მაშ სული წა. არა მარტო მამისაგან, მაგრამ ძისაგანაც გამოვალს!

რომ ასერე არის, წა. მამანი ბერძენთა და ლატინთანი მემოწმებიან, თუმც ბერძნებმა ამოხოცეს ეს მოწმობანი თავიანთ წიგნებში. წა. იე. ოქროპირი ამბობს:ეს არის სული წმიდა, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს, რომელი ყოველსა დაარიგებს, როგორც უნდა; მრწამსის თარგმანში ე.

წიგნი. იგივე წა. მამა და წა. ეკკლესიის მოძღვარი, სხვა ადგილს იტყვის: „გვრწამს რომ სული წმიდა მამისა არის და ძისაც და ართაგან გამოვალს“, ასრე წა. ათანასი, რომ უფროსი ერთი წა. სამებაზედ დაუწერია ასრე ამბობს: „სული წა. მამისაგან და ძისაგან არსთ, არა თუ ქმნილ, არც შობილ არამედ გამოსული“. წა. ილარიონი წა. სამებაზედ მეორე წიგნში ევნომიის წინაღმდეგ ამბობს: „სულ წმიდას გამომავლობა ძისაგანაც აქვს!“

მე მაინც მინდა შეგატყობინოთ რომ ბერძნები სამჯერ სამს კრებაში ლატინებთან შეკრებილიყვნენ, პდ ლატერანის მეოთხე კრებაში. ქვს. 1215 იმ კრებაში ერთად ისხდნენ სტამბოლის პატრიარხი და იერუსალემისა მრავალეპისკოპოზებთან ერთად შერიგებულ იყვნენ ლათინებთან და თავიანთ შეცთომილებანი აშკარად წა. კრების წინაშე უკუთქვეს. მაგრამ შემდგომ მრავალნი თავიანთ შეცთომილებაშ ხელახლავ შთაცვივნულიყვნენ. ლუვდონის კრებაში 1274 ისევ შერიგდნენ და ხმოვან წირვაში მრწამსის დროს თქვეს: და სული წა. რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს; მაგრამ მესამედ კიდევ იმავე შეცდომილებაში ჩავარდნენ და ამისთვის ფლორენციის ქალაქში მესამე კრება იქმნა, 1438, სადაც თვითონ პაპა ევგენიო დაესწრა, და ბერძნების კეისარი იოანე პალეოლგი იმ კრებაში იჯდა სტამბოლის პატრიარხთან და სხვა მრავალ ეპისკოპოსებთან; კიდევ იმ კრებაში შეერთებულ იყვნენ დასავლეთის ეკკლესიასთან ყოველნი, ეფესელი მარკის ეპისკოპოზის გარდა, რომელიც თავის თემშ რა მიბრუნდა, მრავალნი თავის შეცთომილებაში მიაქცია.

ახლა იფიქრეთ და მითხარით, რა მიზეზისათვის იმ სამს მსოფლიო კრებაში თავიანთ შეცთომილებანი უკუთქვეს და მერმე ისევ მიუბრუნდნენ? მე ასრე დარწმუნებული ვარ, თუ რომ ერთი პატარა რამ ეჭვი იმათ გულში დარჩენილ იყო, ლატინის ეკკლესიის სწავლებას მტკიცედ არ დაიჯერებდნენ, მისი ჭეშმარიტება ცხადად რომ არ ენახათ, მის დღეში არ შერიგდებოდნენ და არც შეუერთდებოდნენ. თუ რომ ვინმე ტყვილად მოიმიზეზებს, ვითამც, კეისარმან ომის განსაცდელი ახლო დაინახა, ევროპიელებისგან შველის იმედი ჰქონდა, და ამიტომ შეურიგდაო, - ძლიერ კარგი. მაშ იმ წინა ორს კრებებში. ხომ ომის არავითარი შიში იყო და არც კეისარი მათი დამსწრე, რაღად შერიგდნენ და შეუერთდნენ? ცინდლიან კაცს ავდარი მიზეზად ექმნათ, სწორედ ეს არის.

მესამე ეჭვი, რლი ეშმაკების მოქმედებით ზოგიერთების გულში ჩავარდნილა, როგორც გამიგონია ეს არის, რომ ამბობენ, საჭირო არის ჩვენი სულის ცხონებისათვის, რომ როგორც მღვდელნი, ისეც ერისკაცნი ორის სახით უნდა ეზიარებოდნენ.

პასუხის წინად ეს მინდა შეგატყობინოთ: ორი სახის ქვეშ ზიარება, რამე ბრალი და ცოდვა არ იქმნებოდა, უკეთუ წა. ეკკლესიას მძიმე მიზეზისათვის არ დაეშალა; ვინც ამბობს, ზიარება არის სახითა ჩვენი საუკუნო სულის ცხონებისთვის საჭირო არის და ერთის სახით ზიარებას ვინც მიიღებს, ნაკლებიაო, ამის თქმა მწვალებლობაა, უთუოდ ეკკლესიის საკანონოს ქვეშ ჩავარდება.

ახლა მოგახსენებთ და გეტყვით, არც ერთი ღვთის ბრძანება არ არის რომ ერის კაცნი დავალიანებულნი იყვნენ ორის სახით ზიარებისა, არც ეკლესია ვალდებულია რომ ორის სახით აზიაროს იგინი, მხოლოდ ერთის სახისაც ეყოფათ, რომ ცხონდნენ. პირველად, ამიტომ რომ ღმერთი საღმრთო წერილში ორის სახის ქვეშ ზიარებას არც ერთ ადგილს არ გვიბრძანებს, უფრო გვატყობინებს, რომ ზიარება ერთის სახის ქვეშეყოფათ ერის კაცებს საცხონებლად: „უკეთუ ვინმე ჭამდეს ამის პურისაგან არა მოკვდეს, არამედ ცხონდეს უკუნისამდე“. იე. ა. 5. – „დაიყვნენ განკრძალულ მოძღვარებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა“. საქმ. მოც. შ. 42. თუ ღვთის ბრძანება ყოფილი იყო, რომ მორწმუნენი არის სახის ქვეშ ზია-

რებულ იყვნენ, არც ერთს ადგილს მარტო პურზედ არ ილაპარაკებოდა, არამედ სისხლსაც მოიხსენიებდა!

წა. ეკკლესიაში მუდამ ეს მოძღვრება ყოფილა, რაც საქმით ჰსჩანს, უწინდელი ქრისტიანენი, დევნულობის დროს, შეწირული პური, ვითამც წა. ზიარება სახლებში და უდაბნოებში მიჰქონდათ, რომ ამ ყოვლად წა. პურის ძლიერებით, ტანჯვის დროს, სარწმუნოებაზედ უფრო მტკიცედ ყოფილიყვნენ; ეგრეთვე იგინი რომელნიც ვრცელ მგზავრობას აპირებდნენ, წა ზიარება თავიანთთან მიჰქონდათ, რომ ზღვაში მღელვარების დროს უზიარებლად არ დაღუპულ იყვნენ. ასრე მემოწმებიან თეთრულიანე პღ საუკუნაებაში ძ წიგნის ე თავში, წა. ბარილი თავის წიგ. თ. თავს 280 გ. - წა. ამბროზი, როდისაც თავის ძმის სიკვდილზე ლაპარაკობს.

აღმოსავლეთში 700 წლამდის ჩვეულება იყო, რომ მეუდაბნოელნი, რომელნიც ქალაქებითგან და სოფლებითგან შორს იყვნენ, წელიწადშ რა ზოგჯერ წირვას ნახემდნენ წა. ზიარების პურის სახით თან წაიღებდნენ თავიანთ სამყოფოში და მის დროს თავიანთ ხელით ეზიარებოდნენ. ასრე მოგვითხრობს წა. ბასილი თოვის ეპისტოლეში ჩესარეს მიმართ: ყველა ბერებიო, ამბობსიგივე, ვინც კი უდაბნოში ცხოვრობენ, ახლო მღი. რომ არ ჰყავთ, ზიარებას თავიანთ სახლებში ინახვენ ეს ამბავნი მარტო იმისთვის მინდოდა მომეხსენებინა, რომ შევეტყოთ, ახლანდელი ეკკლესია ახალწესწბს არ აფუძნებს, არამედ რაც ძველად ეკკლესიაში ხმარებული იყო, მუდამ იმ მოძღვრებას მისდევს. წესი იყო, რომ მარტო ერთი სახითა, ანუ ზოგნი ღვინოს და პურის სახის ქვეშ ეზიარებოდნენ, როგორც მოითხოვდა მათი საჭიროება ნუ წესი ეკკლესიისა!

მაგრამ შეიძლება თქვას ვინმემ ჩემს წინაღმდეგ: „უკეთუ არა ჭამთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არ გაქუნდესთ ცხოვრება თავთა შორის თქვენთა“. იე. ვ. 53 (რაც მწირველთათვის თქმულია). მაშ საუკუნო ცხოვებისათვის საჭირო ყოფილა ორის სახით ზიარება. იმას ვუპასუხებ, რომ ამ ფერი სიტყვებით ერის კაცებისათვის არ უბრძანებია, რომ არის სახით ეზიარონ; ეს იქითგან ცხადად ჰსჩანს, რომ ამ სიტყვების შემდგომად მარტო პურზედ ლაპარაკობს, იქვე: „რლი ჭამდეს ჩემგან, ცხონდეს ჩემ მიერ“. 57. – „ხოლო რლი ჭამდეს ამას პურსა ჰსცხონდეს უკუნისამდე“. 58. და რადგან პურის სახის ქვეშ ცოცხალი ული არს, თან თავილსი სისხლიცა აქვს. მაშ ვინც პურსა სჭამს, სისხლსაცა მიიღებს, რამეთუ პურის სახით ქვეშ ცოცხალი ქრისტე არის. უსისხლო როგორ იქნება? მერმე მრავალჯერ სწერია: „უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქუნდესთ ცხოვრება თავთა შორის თქვენთა“. იე. ვ. 54. 55. 56. ჩემის სწავლების დასამტკიცებლად, კაცმან ულის სიტყვები უწინ კარგად უნდა გასინჯოს და ნახოს, რა დროსა და ვისთვის უთქვამს ის სიტყვები და ეგრედ ჩახვდეს და ვითარცა სჭამდეს იგინი, მოიღო იესო პური და ჰმადლობდა და განსტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და ჰრქვა მათ: მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰრქვა: ჰსუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა მრავალითათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“. მათ. კვ. 26, 27, 28. მაშ იტყვიან ერის კაცნი, ჩვენც სისხლითაც უნდა ვეზიაროთო. იმ დროს ქრისტემ მოციქულები მღვდლად აკურთხა და მის გამო საჭირო იყო, რომ სისხლიც მიეღოთ.

მაინც წა. ეკკლესიის ხელში არის ამისთანა დასტურის მიცემა, რომ ერისკაცები ერთის ანუ ორის სახით ეზიარებოდენ, ასრე მოქცეულა ეკკლესია ყოველთვის ერთობისა: ხანდისხან ორის სახით ზიარების ნება მიუცია, რომ წა. ზიარება ორის სახით მიეღოთ და ხან მარტო ერთის სახით ანუ პურისა ან ღვინისა. ასრე მემოწმება უგო ვითარელი თავის პლ წიგნში წა. საიდუმლოებზედა კითავში. ასრევე პაქალ პაპი თავის ეპისტოლეში პონწიოს მიმართ ბრძანებს: ავადმყოფნი, რომელ-

ნიც პურს ვერ ჩაჰყლაპვენ, მარტო ღვინის სახით ეზიარნენ. იმავე ეპისტოლეში უშლის პურისა და ღვინის შერევასა. კვალად გელასია პაპმან განსაზღვრა, რომ ყველანი ერის კაცნი ორის სახით ზიარებულ იყვნენ. ეს ბრძანება გამოსცა მანიქელ მწვალებლის წინაარმდეგ, ინც ღვინოს არ დალევდა, გაირჩეოდა მორწმუნეთაგან. როცა ეს მიზეზი დაცხრა, ხელახლავ ერთის სახით იწყეს ზიარება ერისა.

და რომ ეკკლესიას შეუძლია ნება მისცეს ერისკაცებს ორის სახით ზიარების მიღებისა ახლანდელ წესიერებაც ამტკიცებს: რომში მყოფ მონასტრის ბერებს ნება აქვთ აზიაროონ მრევლი ორის სახითა. ასრე არის აღმოსავლეთშიც დღევანდლამდის კათოლიკობაში ალაგ-ალაგ ნება მიცემული.

წა. ეკკლესიამ საზოგადოდ ამ ოთხი ჯეროვანი მიზეზებისთვის დაუშალა ორის სახით ზიარება და მხოლოდ ერთის სახით უბრძანა ერისკაცებს რომ ზიარებულ იყვნენ: ა) მიზეზი იყო, დაქცევა დაღვრის შიში და დიდი უპატიურობა, რაც რომ ემართებოდა მრავალჯერ დაუფასებელს და პატიოსანს ქრისტეს სისხლსა, ვინც წვერიანები იყვნენ ან გრძელ ულვაშიანები, წვერ-ულვაში უსველდებოდათ, ძირს ეწვეთებოდათ ზოგჯერ, მით ციდვა ედებოდათ მაზიარებელთაც და ნაზიარებელთაც, მეტადრე სიმრავლის დროს კაცთა თუ დედაკაცთა, როცა ზედი-ზედ მოეჯრებოდნენ საზიარებლად, დიდი უწესოება და უპატიურება ხდებოდა ღვთისა ასეთი დაღვრის შიშისათვის წა. ზიარებას, ბერძნებმან აღმოსავლეთში იწყეს პურის დასველება ბარძიმში რომ ქრისტეს პატიოსანი სისხლი აღარ დაღვრილ იყო, პატრიარხი მიქელ ვერულარის დროს, რომელმანც ბოლო მოუღო ბერძნების ერთობასა ლატერანის მსოფლიო კრებაში 1175 წ. XV კანონი ასრე იტყვის: წა ზიარება დასველებული არა ვს არ მიეცეს, რადგან ქრისტე უფალს არავისთვის არ მიუცია, მარტო მხოლოდ იუდა ისარიოტელს მისცა გასარჩევად მისი მოღალატე გამცემლობისა.

ბ) მიზეზი დაბრკოლების საცთური იყო: მრავალნი ამას უწინ დაჯერებულნი იყვნენ ტყვილად რომ ერთის სახს ქვეშ მრთელი ქრისტე არ არისო და საჭიროდ ჰხედემდნენ საუკუნო ცხონებისათვის ერის კაცების ხელმეორ ორის სახის ზიარების მიღებასა, ბასილელის და კოსტანციის კრებების წინად. ამ დაბრკოლების მოსასპობლად ბასილიის კრებამ განსაზღვრა ერისკაცთათვის ერთის სახით ზიარება; კოსტანცის კრებამაც დასძინა, ჩვენ გვინდა რომ ეს ერთის სახით ზიარება მტკიცე სჯულად დარჩესო, არავის არ შეეძლოს უნებურად შეცვლა ან წინაღმდეგად მოქცევაო. ხოლო ტრიდენტინის წა მსოფლიო კრება იტყვის: „უკეთუ ვინმემ თქვას: ღვთის ბრძანება არის და საუკუნო ცხოვრებისათვის საჭირო ორის სახით უნდა ეზიაროთ ქრისტიანენიო, შეჩვენებული იყოს! კბ ჯდომისა, ა. კანონი.

გ) მიზეზი იყო, რომ ზოგს თემებში ღვინო ძლიერ ძვირი იყო და დიაღ ძნელად იშოებოდა.

დ) იმისთანაც არიან, რომელნიც ღვინოს სულ ვერ დალევდნენ!

ამით ცხადდება, რომ აღმოსავლეთში ვინც კათოლიკენი არიან, ვერ შეუძლიათ იმათ უცოდვოდ ორის სახის ქვეშ ზიარება, წა. ეკკლესიის საკუთარი დასტურის მიცემის გარდა. რადგან ეს ბრძანება ყველასათვის არ არის მიშვებული. თუმცა ეკკლესიის ბრძანება არის, რომ ყოველმან ტომმან თავის გვარის წესი რიგი უნდა შეინახოს, მაგრამ ბერძნის ბერები, რომელნიც რომ თავიანთ მონასტერში სხედან, მაინც ერთი საკუთარი დასტური სჭირიან რომ შეძლონ თავიანთ მრევლს ორის სახით ზიარება, თუ რომ საყოველიერო ბრძანება ყოფილიყო, ამისთანა საკუთარი დასტურის მიცემა რაღათ დასჭირდებოდათ რადგან ბერძნის რიგისანი არიან? როცა ბერძნებს მიშვებული აქვთ ორის სახის ზიარება თავიანთ მრევლისა!

ამ ჩემის სიტყვის ოხჭინი ეს არის, რომ გაგაცნოთ ქონებული ეკკლესიის უფლება და რისთვისაც მიუცია ეს ბრძანება საყოველთაოდ: პლი მიზეზი იყო დაღვრა დაქცევის შიში და დიდი უპატიურობა, რაც მრავალჯერ დამართია ამ დაუფასებელს პატიოსანს ღვთიულს სისხლსა, ამისთანა შიში საყოველთაო არის, მაშ ბრძანებაც საყოველთაო უნდა იყოს, რასაც სჯულ კანონი თავის ნებას გამოგვიცხადებს და გვითარგმნის.

გამიგონია კიდევ, რომ ამბობენ: ანტიოქიის პატრიარხი ორის სახით აზიარებს თავის ერსა. თუ რომ ასრე არის, სჩანს ერთი საკუთარი დასტური ჰქონია; ამ ნაირი დასტური ალაგზედ ჰკიდია, მარტო იმ თემების მრევლისათვის მიცემული არის, რომელთაც თვითონ უფროსი ბრძანდება; ან ის უფლება მარტო თავის გვარისთვის მიცემულია, რომელთაც უმფროსობს და თავის ხელქვეითნი არიან. ასრევე შეუძლია თავის უმცროსთ სასულიეროთაც მისცეს თავისვე მრევლში, თავის საზღვარს გარეთ არ შეუძლია. მაგნაირი უფლება თუ გვამისთვის კერძო პირისთვის მიცემულია, იმას კი შეუძლია თავის თემს გარეთ ამ ფერად ორის სახით აზიაროს, ოღომც დაბრკოლების შიში არ იყოს, არამედ სხვას რომ ვინმე ბერს ამისთანა დასტური მისცეს, არ შეუძლია მისი თემის გარეთ, სადაც ერთი დიდი უფროსი ეპისკოპოსი იყოს, რომელიც მისი ხელქვეითი არ იყოს, იქ ხელი და შეძლება არ აქვს, თვარემ შეიძლება მისი წა. პაპის თანასწორი გახდეს!

რომ (ანტიოქიის პატრიარხს) ამ აქაურს თემში ხელი არა აქვს, ცხადი არის. წა. ბენედიქტე პაპი მეათერთმეტე, ერთს თავის განწესებაში სულ ყველა ადგილებს და თემებს ანგარიშობს, რომელთა ხედა ხელი და შეძლება აქვს, და რომელთაც ზედა უმფროსობს ანტიოქელი პატრიარხი, მისი სიტყვა ეს არის: ანტიოქელი პატრიარხი მარტინელი გვარის ლიბანის მთაზედ ზის ერთს მონასტერში, რომელსაც კონუბელი ჰქვიან; ამას უწინ ხელში უნდა ჰქონოდა არხიეპისკოპოზები და ეპისკოპოზები ა) ტვირთსა, ბ) პტოლომადისა, გ) კიპრისა, დ) ალეპისა, ე) ბერიტისა, ვ) ტრიპოლისა, ზ) ბოტორისა, ჱ) პტოლომადისა, თ) ლაიდიკისა, ი) აპამეოსი, ია) არკისა, იბ) ელნისა, იგ) სარეფდისა, ოდ) პანეადოსი, იე) ლისტრისა გინა ებილისა, ივ) ნეაპოლისა. უწინ ასრე იყო და ნეტარ უფრო მეტი ჰქონდა, მაგრამ როდისაც ქრკ. 1736 წ. 30 სექტემბერს კრება უქმნიათ, განუსაზღვეიათ, რომ კვლავად მარტო იმათ პატრირხი ამ თემებზედ უფროსობდეს, ვითამც: ა) ალეპზედა, ბ) ტროპოლზედა, გ) ბიბლოს და პოტროსზედა, ჱ) ტვიროსა და სიდონსზედა, და ამ დავთრის ბოლოს, რაც რომ უქმნიათ იმ კრებაში, ისევე წა. კრება ასრე სწერს: ჩვენ ამის ქვემოდ ხელის მომწერელნი ამ თემების დარიგებას ვიყაბულებთ თქმულს ლიბანის მთის წა. კრებაში ლოაიზელს ღვთისმშობლის მონასტერში, ქვს. 1736 წ. 30 სექტემბერსა: იოსებ პეტრე პატრიარხ, ბაზილი ტრიპოლისა, ფილიპო ლისტრისა, სტეფანე ბოტრისა, გაბრიელ აქსია, იოანე ლაოდივისა, ვენატე ტიროსა და სხვ. ბოლო აკლდა.

IV

ართვინის მახლობლად, მდ. ჭოროხის ნაპირზედ, ს. კორძულში არს სომეხ კათოლიკეთ ერთი ეკკლესია ღვთისმშობლისა ქვითკირით ნაგები, ამ ეკკლესიის მღვდელს აქვს ეტრატზედ დაწერილი ქართულად საბუთი 1501 წ. 1 იანვრისა. ამ კონდაკში ჩამოთვლილია სიქსტო პაპისა, ვისაც რა შეიწირია ეკლესიისათვის ასრე: „ჩემი ნებით და პეტრე ხუცის შვილის დარწმუნებით, მე ნიკოლოზ ხანავამ შევსწირე ეკკლესიასა და წა. ღვთის მშობელს (მიწა) ეკკლესიის გარშემო წყლისაკენ, სადაც არის ბაღი, რომელსაც სასაწლოვო ეწოდება, კიდევ ხინძეთი, ადგილი ნიკონორა, მდინარეს ზემოდ. ამას გარდა კიდევ წყალთან ქვის ზემოდ ადგილი და კიდევ ქვის ქვემოდ

ქვემოთ არის წითელი ქვისაგან გაკეთებული ღარი, რომელზედაც წყალი მოდის, ეს წყალი შიკინოეს ხევიდგან გამოდის. ამის გარდა ეკკლესიის გარშემო არის მილები წყლის გასაშვებად, ეს მილები ღვთისშობლის ეკკლესიას ეკუთვნიან... „მე გიორგი დადიავამ შევსწირე ჭოროხის ზემოდ ხინძო თავისის ბაღითა, რომელიც გარშემო აკრავს“. მოწამე ვარ გიორგი არნელი. მოწამე ვარ მოურავი ციციანი, მოწამე ვარ იოანე ჭელიძე, ამ კონდავში მთელი სახელები ქართული გვარებისა არიან, რომ ჯერაც იქაურ მაჰმადიანებს ჰქვიან.

ახალციხითგან ბარემ 200 მოსახლემდის ძველადგანვე ოსმალოს მძლავრობითგან გადასახლებულ არიან, როგორც ზაქარათი 1804 წ. აგრე სხვა დროს მეფისათი, სამწუკიანთი, ეფოთი, ასაათი, გელაზარათი, ბატონჯანათი და სხვანი. ამისთვის სომხურ ლაპარაკობენ ასე: ბიძის გოგოი მზითვები ბერელისენ, ვაზის ფოთოლი საბძელი ტანელისენ, რა თავმდაბალია, მაინც, მხარბეჭი, გადარეული და სხოზაშვილი 1898 თბილისს. ართვინის კათოლიკენი დიდი წილი ჩხოლელი აჭარლებისგანი არიან და მურღულელნი როგორც ნათქვამია ეი. ეპისკოპოზის ზაქარიანისაგან, ასრე შავშეთელები, არტანუჯელები რომლებში ამოჩნდა ძველი ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთავლევის თხზულება; სათლელი არტაანი, მისი ნაქალაქევი ერუშეთი და სხ. სულ სამესხეთოს მცხოვრებნი არიან და ნატევი ხალხი.

შავშელთა და იმერხეველთ გადმოცემით, არტაანის პირველ ფაშათ მიქელაძე იყო, პირველათ ამათ გვარის კაცნი გამაჰმადიანებულან. ერთხელ ეს ფაშა ავათ გამხდარა მეტად, მკურნალთ ვერ უშველიათ. ერთი გამაჰმადიანებული ქართველი ნაცნობი კაცი მოსულა და უთქვია: ახალციხეს არის ფაშას ექიმი პატრი, რომელიც ადვილად არჩენს ყოველულ სნეულთა, სთხოვე წერილით ფაშას, გამოგიგზავნის, უიჭველად თქვენ ეს ექიმი პატრი მოგარჩენს, რისთვის იჭირვი მაგისთვისო! გახარებია ფაშას, მიუწერია რა წერილი ახალციხის ფაშისთვის, მაშინვე გამოუგზავნია ის პატრი მისთვის და პატრსაც გაუმრთელებია სწყულებისაგან. მერმე პატრს მოუნდომია დაბრუნება ახალციხეში, მაგრამ ახალ განკურვნილ ფაშას არ გაუშვია; უთქვამს: მოიცადეთ უფრო კარგად გავხდე, ავდგე ფეხზედ და მაშინ წადი რა გეჩქარებაო. მოუხსენებია: მე მარტო ექიმი კი არ ვარ, უფრო მოქალაკე ვარ, ქრისტიანებს ვიცვამ, კათოლიკედ გადამყავსო. - უფრო კარგი, აიგერ ყველა გავათათრეთ და ორი სამი სოფელი ვერ მივითვისეთ, ჩემ კარგად გახდომამდის, მიიარ მოიარე შენ საქმეზედ, ისინი გააფრანგე, მეც შევეწევი, ჩემთანაც ახლო იქმნები და ასრე ორივ საქმე გაკეთდებაო.

პატრი დასთანხმებია, თან გაუყოლებია ფაშას კაცი, წასულა პატრი, პატივისცემის მიუღიათ, ნუგეში მიუცია ქრისტიანებისთვის, მერმე უთქვია: ხომ ხედავთ ყველა ქართველობას არ სტოვებენ ბერძნის სჯულზედ; თუ გინდათ ქრისტიანათ დარჩენა, კათოლიკობა მიიღეთ და ვეღარავინ გადაგარჯულებს, ხვანთქარსაც რომის პაპთან პირობა მიცემული აქვს, რომ კათოლიკეთ ვერავინ გაამაჰმადიანებს ძალათათ. დასთანხმებისნ პატრს ქრისტიანენი თუ არა, მაშინვე გაუკათოლიკებია ყველა და მიუჩენია შემალულად პატრები. რაც დარჩენილან მათ ხელში, ქართული არ დაუვიწყნიათ, რომ პატრებიც ქართულს სწავლობდნენ თურმე. შემდგომ პატრების წილ სომხის უნითორი მღვდლები რომ მისულან, დიდხანს მათ ხელში ნელ-ნელა გადავიწყევიათ ქართული და ისე ნელნელა ახალ მოზარდმოწაფებისთვის სომხურის სწავლითა, შემდგომ სომხური ენა დარჩენიათ სალაპარაკოთ.

ჭოროხის ხეობაში ბორჩხის ახლოს დასავლეთად მიდის ერთი ხეობა სახელად ჩხალა. ეს ხეობა მოემათვის ლაზისტანში, ოსმალთ ლივანას ჩხალის ხეობითგან დაუწყეს გამაჰმადიანება, მთელმა ხეობამ იუკადრისა გამაჰმადიანება, ბევრ რიგად ეხვეწებოდნენ ევედრებოდნენ ხელი

აეღოთ გამაჰმადიაებაზედა, დაეტოვებინათ ქრისტიანად, მაგრამ ოსმალთ არ შეუსმინეს; რომ გაუჭირვეს ზოგიერთნი ძალის ძალად გადასცდნენ, ზოგი კი მტკიცედ იყვნენ, დღეს ხვალაზედ უგდებდნენ, ვნახოთ ვიფიქროთო, ამ დროს ართვინელნი გაკათოლიკებულ იყვნენ, პატრები ჰმოძღვრობდნენ. ჩხალელებში მიმართეს პატრებს გვიშველეთ რამეო, პატრებმაც აუხსნეს ყოვლიფერი და უთავეს როგორც რიგი იყო და გააკათოლიკეს. ოსმალებმა დევნა დაუწყეს, აღარ მოასვენეს, აიყარნენ და დიდი წილი ართვუნში გადმოსახლდნენ და დანაშთი სხვა ქალაქებში შეუერთდნენ კათოლიკეებსა.

ართვინის ეპისკოპოზსა ზაქარიანის ნაამბობი: მოხუცებულებისგან გამიგონია, როცა ოსმალნი აჭარს ქრისტიანობას ამაჰმადიანებდნენ ძალის ძალად, ბათუმში ერთი პატრი ყოფილა, კათოლიკებს თავიანთ წესს რიგს უსრულებდა კარგა ხანს, მერმე გამგზავრებულა მაჭიხელისკენ, ალაგალაგ სოფლებში რჩებოდა და თან სწერდა გამოსადეგ ცნობებსა; ასრე მაჭახელშიც დარჩენილა. ერთ ხანს ჰხედემდა რომ იმათაც ძალისძალად ამაჰმადიანემდნენ, უთქვია პატრს: შვილო, მაგისთვის რას სჩივით ან რა ძალა გადგიათ რომ სულებს იწყმენდთ, მიიღეთ კათოლიკობა და გადარჩებით ოსმალოების ძალმომრეობასო. პირი ერთი უქმნიათ 3 სოფელს, გაკათოლიკებულან, გამოუცხადებიათ ოსმალოებისთვის, ჩვენ კათოლიკები ვართო, და ასე მოუცილებიათ თავითგან სჯულის მტერნი... ნახეთ მოგზაურის ცნოები ქართველ კათოლიკეთა შესახებ 1904 თბულ. 259 გვერდი.

1791 წ. 19 მარიობას, პატრებიანთ ჟდ წმიდის სავარდის ეკლესიას მოდგმული გაუკეთეს და 21 კათოლიკე მთელ მღვდლეებს ჯარიმა გადაახდევინეს. სომხის მღვდელი ტერ სააკი, ახალციხის სომხების წა. სტეფანეს ეკკლესიისამან, დაახლოებით ჩვენ მღვდლებთან შეისწავლა კათოლიკე წა. სარწმუნოება და ერთ ხანს იწყო ფარულად ზედასში შერევა წირვაზედ მაჯაში მოწყობილის ჭიქითა, და ერებშიც სანდო პირები და ნათესავები ჩაგონებული ჰყავდა კათოლიკობაზედ და აგრეთვე დიაკვნები; იმედი ჰქონდა ერთს მარჯვე დროს შეაერთემდა ერთიან ჩვენს კათოლიკებთან, მაგრამ ერთმა დიაკვანმა გასცა ეჩმიაწინითგან მოსულებს 29 მარიობისა დაატყვევებინეს ფაშასა ტერ სააკი თუ არა, 30 წაეჩხუბნენ ჩვენი კათოლიკები სომხებს, მოხდა დიდი ყალმაყალი, არეულება და ვაივაგლახი იმ საღამოზედ, იქამდის რომ კათოლიკებმან სომხებს წა. სტეფანეს ეკკლესია წაართვეს. 14 ენკენისა სომხებმა თავიანთ ეკკლესია ისევ დაიჭირეს და 15 იმავე თთვისს კათოლიკების ეკკლესიები დააყრევინეს ქრთამით ფაშას 8 დღეს და მერმე გაგვიღეს.

მალე წაიყვანეს ტერ სააკი ეჩმიაწინს და დასაჯეს მრავალ გვარი ცემა ტყებითა, მაგრამ ვერ აგმობინეს კათოლიკე სარწმუნოება, მერმე ჩასვეს რა სატყვეოში და უწყეს მეტად უწყალოდ მოპყრობა სასიკვდილოსავით, ვემა ტყეპით, სიმშილ წყურვილით, ავის სიტყვით გინებით, გმობით და ლანძღვით რამდენიმე წელს. ერთხელაც თაქირ ტაღელი სარქის ვართაპეტი (როგორც სწერია ეკკლესიის ცხოვრებაში ვენეცოვისა), მოვიდა ტფილისს გაიცნო ერეკლე მეფე, აიღო ნება და წავიდა კათალიკოზმან და ჩასვა სატყვეოში, სადაც ახალციხელი ტერ სააკი ემწყვრია. მან ნახა რომ 24 საათში ერთხელ ერთ ნატეხ ობიან პურს აძლევდნენ საჭმელად და ერთ სტექან წყალსა, ყოველ დღის დილა საღამ ათ ათ წკეპლს არტყამდნენ შარვალ ჩახდილ შშველ ტანზედ, რომ დასისხლიანებული ქონდა ტანი და მერმექვეშ წყალს უსხემდნენ, ასე უიმისოთაც მუდამ ტანჯული იყო ჭოჭის სიკვდილსა და სიმყრალისგან. დახედა სარქის ვარდაპეტმან რომ დიდი ჭირში ჩავარდა, თქვა: ვაი თუ მეც ამაზედ უარესი დასჯა მარგუნონო; მიაწოდა როგორმე ფარულად თხოვნა ერეკლე მეფესა, რომელში ევედრებოდა, ებრძანა სიმონ კათალიკოზისთვის რომ გაეთავი-

სუფლებინა, როგორც სარქის ვირთაპეტი, ისე მასთანვე ახალციხელი ტერ სააკი. მართლაც გასჭრა მისმან წერილმან, ასეთი ბრძანება რა მიიღო, მაშინვე გაათავისუფლა ორთავე ერთად სიმონ კათალიკოსმან; თავზარი ეცათ სომხების სასულიერობასა: ტერ სააკი ახალციხეს რომ მოსულ იყო, გაითქმებოდა წა. ცოცხლებრივ წამებულად, და ვაი თუ ჩვენ სომხობას დაუბრუნდეს გული მისი ნახვით, და ერთპირად ისინიც კათპლიკედ გახვდნენ და ჩვენ დიდად შევრცხვეთ და მოვიკიცხოთო. სარქის ვირთაპეტს რომ კაცი გააყოლეს, ისინი მივიდნენ ყოშავანქს თუ არა, სადაც რამდენიმე მოსახლე სომხები იყვნენ, ამათ მიიღეს თავიანთ სტუმრობაში; იმ ღამეს სასმისში შეურია მიყოლილმა კაცმან საწამლავი ტერ სააკსა, მისცა საშინელი ჩხვერაგვრემა, თქვა აღსარება იქავ სარქის ვართაპეტთან, მიიღო ახსნა შენდობა და დილამდის გარდაიცვალა, და იმ ხოჯავანქში დასაფლავდა. წავიდა ეს სარქის ვართოპეტი რომს და თვითვეულად უამბო კარდინალებს თავის თავგარდასავალი და ტერ სააკის წამება. ეს საქმე ერთ ხანს მიფანიერებული დარჩა. შემდგომ, რამდენიმე წლის უკან, რა შევიდნენ კარდინალები რომელიმე აღმოსავლეთის წამებული პირების განხილვაში, მათ შორის ახალციხელი ტერ სააკიც მოიგონეს, მოიწერნენ არხიმანდრიტ შაჰყულიანთან, უბრძანებდნენ: როგორმე საშვალებით მოეპოვათ მისი საფლავი, ამოესვენთ მისი ნაშთი და წამოეღოთ. ამაზედ შეეცადა შაჰყულიანი, მოიხმო ყველა მღვდლებზედ გამჭრიახი და მოხერხებული. ხიზაბავრელი მღი. ტერ ანტონი და შეუკვეთა, დროით წასულიყო ხოჯავანქს, ეპოვნა ტერ სააკის საფლავი, ამოესვენა მისი მაშთი საფლავისაგან და წამოეღო! გაუკვირდა ამ გვარი წინადადება ხუციან ტერ ანტონს, უთხრა: ძლიერ კარგი. აგერ მე წაველ ხოჯავანქს, მის საფლავს ზედ წარწერილი ქვა არ ადევს რომ იმით მივაგნო, ვიცნა ჩემი საძიებელი, გავახსნევინო მისი საფლავი და წამოვასვენო. მე რომ არ ვიცი მისი საფლავი, უთუოდ უნდა ვჰკითხო იქ მდგმურ სომხებს, იმათ უეჭველია არა ეცოდინებათ რა და მიმითითებენ თავიანთ სასულიერობაზედ, მეტყვიან, ეგ მღვდლებს ეცოდინებათ; კიდევც რომ იცოდნენ, იმათ უნებურათ საფლავს არ გახსნიან. თუნდა რომ სასულიერობამაც ნება დასცეს, განა ნამდვილად ტერ სააკის საფლავს გაახსნევინებენ, ხომ იციან რომ სომხობა ჩვენი სისხლის მსმელია. უიჭველად ჩვენს გასაკიცხად და მასხარად ასაგდებლად, ერთ ვიღაცა ჩაძაღლებულის ნაშთს შეგვატყუებენ და კუდს გამოგვინასკვენო.

შაჰყულიანსაც დაუჯდა ჭკუაში ტერ ანტონის სიტყვა და იმის დაგვარად აცნობა წა. კრებასა შეუძლებლობა!

8 ქრისტ. მღვდლები ტყვედ ჩაყარეს შუბაშხაში, მე ტერ იე. ხოჯევენათი და პატრი ზანჯირში მიგვცეს; მე მიშველა ეფრიკაშვილმან და გამომიშვეს ზანჯირითგან. ხუცებს ერისკაცების ათი ქესა თეთრი შეაწიეს. საყდრები დაჭრილი იყო. 16 ქესა თეთრი წავიდა სუდრების გაღებაზედ. 17 სახლებში თეთრის კრება დავიწყეთ. 12 პარი და პეტრე მღი. გამოუშვეს ზანჯირითგან.

1794 წელს 5 იანვარს ჩემი ერი უდელ ტერ პოღოსს და ტერ ხაჩატურს მივეცი, 29 ენკენისა, უმფროსი ზანჯირში ჩააგდეს პატრი ალიოზის მიზეზითა. ხუცებიც ტყვედ ვიყავით. 5 ღვინ. უმფროსი გამაუშვეს.

1800 წელსა 12 თიბათ პატრებიანთ საყდარი დაუყარეს, დაბეჭდეს და მათი დიაკვნები ტყვედ ჩაყარეს. 1801 წ. 12 აპრილი. ხუცები სულ წაგვიყვანეს ტყვედ. 28 მაისს ფაშამ ხუცები ტყვედ ჩაგვყარა. 1802 წ. 22 მარტ. ხუცები ტყვედ ვიყავით შუბაშთან. 1803 წ. 19 თიბათ. ჩვენი ვაჟები ტყვედ ჩაყარა ფაშამ საყდრის დავაზედა. 1804 წ. 10 მკათათვისა, ფაშამდესპოტი გრიგოლი და ბასილ მღვდლები მოაკვლევინა: ჩამოახჩეს დათათ რანეს ეზოში, წა. იე. ნათლისმცემლის ეკკლესიის მახლობლად, კოსტო გურგენ ბეგათ კარწინ. ამბობენ ნათელი დაადგათ მიცვლილთა, მამა

ჩემიც იტყოდა. 1805 წ. 15 აპრილს, ფაშამ ტერ სტეფანიანთ (ვაჰრამათ) იაკობისთვის, ხუცები სულ შუბაშ ხანაში ტყვედ ჩაგვყარა და სამი ქესა ჯარიმით გამოვედით. იაკობის სახლი და დუქნები დაუბეჭვდეს იმერეთს გაქცევისათვის, ათი ქესა ჯარიმა წაუვიდა. 1806 წ. შუბაშებმა ჩვენი საყდრები და ქართველების საყდარიც დაუყარეს, ფაშამ ბედიავათ გააღებინა ჩვენი საყდრები, ღმერთმან დიდი დღე და სიკეთე მისცეს. 1807 წ. 4 მაისს ყველა საყდრები დასჩხრიკა შუბაშმან და ათათი ყურუში და მეტიც აიღო. 1809 წ. 7 თებ. ტერ იოსები დაიჭირეს, ტყვედ ჩააგდეს პურისა და ქერის გაყიდვისათვის.

1810 წ. მე აზინათ ესასშვილი ტერ სტეფანი და ოცხელი ტერ იე. ლაზარიანი თათრებისაგან ექსორიას წავედით 200 ერისკაცებითა, რუსი რომ მოდიოდა ახალციხის აღსაღებლად. ამ დროს სოლომონ მეფე ხელმეორ გამოქცეული იმერეთითგან მოვიდა 150 კაცით, წავიდა ართაანს და იქითგან ერევანს. აი ამის კაცების გაპარვის გამო დასაჯეს უდელი ტერ პოღოსი: თურმე 10 დღეს სტანჯეს, ფეხის გულებზედ სხემდნენ. მალე გვითხარ ვინ გააპარა თავადებიო. 1814 წ. 6 ქრისტ. უმფროსი ტყვედ იყო დანწყვდეული. 9 უმფროსი გამოუშვეს. 1819 წ. 13 მარიამ. ტყვედ ვიყავით მღვდლები რუსებისათვის.

1828 წ. ოსმალომ რომ ომი მოინდომა რუსზედა, ეჭვი შეუვიდა: ქრისტიანები და უფრო სომხები რუს მიემხრობიან და გარდავლენ რუსის სახელმწიფოშიო. მით ყველა ქრისტიანების თავი სასულიერინი მიიწვია და მათთან სომხების პატრიარხი და თხოვნა თავმდებობა თავიანთ ქვეშევრდომთა მთელს ოსმალეთში, რომ არ ეღალატათ არავის და მტკიცედ ერთგულნი ყოფილიყვნენ ოსმალოს მთავრობისა. ყველა წარმომადგენეთ ქრისტიანთ მტკიცე პირობა მისცეს ფიცით ჯერითა, მაგრამ სომხების პატრიარხმან მარტო თავის სომხებს თავდებად დაუდგა და კათოლიკენი გასცა: მართალია, ისინიც ჩემს ქვევრდომობაში ირიცხვიან, მაგრამ რომის აღვიარებაში არიან, ევროპის ხელმწიფებთან მონაწილეობაში მყოფნი, რომელნიც არ მემორჩილებიან; თუ მომცემთ საშვალებას, რომ ისინიც დავიმორჩილო, მაშინ შემიძლია ფიცით ჯერით თქვენი წინადადების ასრულებაო მტკიცედ თავმდაბობითაო. ამ უსინიდისო მაბეზღრობისა, რამდენიმე დიდად გავლენიანი სომხის პირები იყვნენ წინმდგომნი და უფრო არუთენ აღაბეზჯიანი. ამათ შეგიზგოზებით ატყდა დიდი დევნულება კათოლიკებზედა (ეკკლესიის ცხოვრება ვენნისა). სომხების პატრიარქმან ოსმალოს მთავრობას გამოაცემინა ბრძანება მთელს ოსმალოში 1828 წ. 10 იანვარს და იმ ბრზანების სიფიცხითა ეპისკოპოზი და 25 მღვდელნი გაღატელნი განიდევნენ სამშობლოსგან უცხოეთში, სადაც მრავალი შეწუხება გამოიარეს, ასრე გაიდევნენ მონასტრებითგან სადაც მოლოზნად ქალწულნი იყვნენ.

აი რას სწერს ახალციხელი ნავროზათ ტერ სტეფანი განწესებული ს. არალს მღვდლად: 24 მარტისა ვიჯილა დღეს, ალიონ დილაზედ, ისევ ლოგინში ვიწექი, რომ სომხების დევნულობის გამო, იასაული თუ ჩოხადარი კარს მომადგა არლის სოფელში; მაშინვე შინ შემომეჭრა და სარეცელითგან ამაყენა, მითხრა: დროით მოემზადე, ბატონი ფაშა გიძახისო. საჩქაროთ ეკლესი და სახლიც დამიბეჭდა. ვნახოთ, ადრიან, უდის მღი. აღოშათ ტერ სტეფანიც გადმოიყვანეს თავისმა იასაულებმა. ურთიერთთან მსწრაფლ აღსარება ვთქვით და ასრე წამოგვიყვანეს ახალციხეს დიდშაბათს ყუშლუღისა და შეგვასხა სატყვეოში. თუვაგჩი ბაშის ყონაღში, სადაც დიდ პარასკევ დღეს ახალციხელი მღვდლებიც შეეყარათ; მათთან ერთად იყო ხიზაბავრელი ხუციან ტერ ანტონიცა, ვალიდამაც იმავ დღეს ხარისჭიროთ ტერ პოღოსიც ჩამოიყვანეს. აღდგომა დღე სატყვეოში გაგვითენდა. იმ დეებში თურმე ალექსანდრე, ერეკლე მეფის შვილი ახალციხეს იყო; ქართველების წა. მარინეს ეკკლესიაში მათე მღი. სულხანათი ცისკრის ლოცვაზედ იდგა, უთხრა

ალექსანდრემ: მღვდელო, ეკკლესიას გარს რათ არ შემოუვლიო, და ტირილით უთხრა: ჩემი ძმები სატყვეოში სტირიან, კათოლიკები ჰგოდებენ ქალით კაცამდის, და მე რა პირით უნდა შემოუარო ეკკლესიასო. მერმე ათ დღემდის ყველა მღვდლები მოიყვანეს სანჯაღებითგან აღდგომის შემდგომ და დაატყვევეს ჩვენთან. გავლილ დიდ ხუთშაბათს საღამოზედ საჩქაროთ მოვიდა აზრუმითგან თათეოზ ვარდაპეტი სულთან მაჰმუდის ფანვნით, მახსუს განგებისად ეთქვა გზაში 2 ცხენი დამიდგაო სიჩქარულისაგანო, რომ ჩვენ აღდგომის დღესასწაული არ აგვესრულებინა, და კიდევაც აასრულა და ჩენ იმ დროს ვეზირს გირითლი სეიდ აჰმად ფაშას დაგვაჭერინა, ასრე ამ ფერად დავჰყავით საპყრობილეში 43 დღე, და ამ 43 დღეს ჩვენს ფაშას არ უნდოდა ჩვენი ექსორიაში წასვლა. ორჯერ მანზილი გააგზავნა სარბაკარ ყალიბ ფაშასთან რიჯის საქმნელად, რომ არ წავსულ ვიყავით სურგუნში. მაგრამ რიჯა არ გავიდა, რადგან ხვანთქრის ბრძანება იყო და მწვალებელთაგანაც დაქრთამებული 500 ქესა თეთრამდინ. ამ სატყვეოში მრავალი შიში გამოვიარეთ, არც ჭირი გვაკლდა. მეტის შეწუხებისა და დარდისაგან მუცელა შეგვეყარა და მიგვწყვიტა ერთიან, რა მოგვაფოჭოლემდა თუ ჩვენი კათოლიკებისგან დღე ყოველ ჭამა სმით დიდი პატივისცემა არ გვქონოდა, უნ ათასეულად აღუმატოსთ და გააძლიერონ.

როდისაც შესრულდა 43 დღე, კვირა საღამოს საათისა შვიდზედ ცხენები მოგვაყენეს კურტნებიანი, შევჯექით და დიდის უპატიურებით წაგვიყვანეს. მთელი ახალციხე ფეხზე დადგა, დიდ პატარას მწარე ტირილი და გლოვა დაუდგათ! თან 20 იასაული დაგვადევნეს, აზრუმამდის მოგვდევდნენ, იმ დღეს საკირეს აგვიყვანეს და იმ ღამეს იქ დავდექით; მეორე დღეს ავდექით და საცხარას მივედით, ღამე იქ დავდექით. აქეთგან ავდეგით წავედით და არტანს მივედით; იასაულთ მთავარმან იქ იმ ღამეს ახორში კლიტის ქვეშ შეგვინახა, იქითგან ავდეგით და ფანჯოთს დავდეგით, იქითგანაც ქოთიგს მივედით, იქ დავდეგით და იქითგან წავედით ოლთიხს, ოლთისითგან იდის მივედით, იდითგან ყოზილქილისას, მეცხრე ყონაღი ინძქი, ინძქიდგან აზრომი.

ინძს რომ მივედით, იქაურ კათოლიკებს დიდი ტირილი და თავთცემა დაუდგათ; რადგან მათი 2 მღვდელი ექსორიაში წაეყვანათ, ჩვენი დანახვით გაუახლდათ მათი სურვილი, მისცეს ქრთამი იასაულებს და დიდის პატივისცემით მიგვიღეს თავიანთ სახლში მთელი ერთიან მღვდლები. იმ ღამეს ყველამ აღსარება თქვეს, სხვა სოფლებითგან მოსულთაც: არწათითგან, თოანჩითგან და სხ. მეორე დღეს იმდენი ხნის უწურავთა წირვა ვთქვით და ის ხალხნიც ეზიარნენ დიდის მხურვალებით მონანულნი. და იქითგან წავედით და შევედით აზრუმის ქალაქში, წინ დაგვიხდნენ მრავალთ შორის მოსეირეთ გამოსულნი სომხის მღვდლები. ჩვენც სიყვარულით სალამს ვაძლევდით, და საჩქაროთ ხუთშაბათს შუადღისა საპყრობილეში შევედით. მაშინვე მოგვაყენეს სატანჯავი იარაღნი და ტომრულნი (ხუნდნი), მიგვიწვიეს ფეხთ შესაყოფლად, მაგრამ ვთხოვეთ პატივება, მივეცით 704 ყურუში და მოვიცილეთ თავითგან.

ჩვენი ახალციხის ბეგებისა, აღა ბაირახტის და ულამების არზი მუჰასარ ჩვენის დახსნისა წამოუვიდა სარაჯკარსა, მიიღო, შეიწყნარა სარასკარმან. ამის ქეითგან მახაროზელი აზრუმის თოანგჩიბაშის ოდაბაში ჩვენზედ მდგომი მოვიდა და გვითხრა, რომ ბატონმან სარასკარმან აფი გიყოთ (შეგინდოთ), და უნდა წახვიდეთ თქვენსავ ადგილს ახალციხესაო, და გვაჩქარემდნენ მალე ცხენები იყიდეთ, რომ უნდა წახვიდეთ თარსის სურგუნსაო. ეს მერე მოიგონეს. რა დღესაც გვიმახაროზლეს ახალციხეს წასვლა იმ ოდაბაშმან ქეჰამ დაგვიძახა, წავედით, რომ მოვედით, რაღაცა იეშმაკეს სომხებმა დაგვაბრუნეს და ისევ სატყვეოში შეგვყარეს და ესრეთ გვაცოცხლეს კლიტეში ზანჯირხანისა. დღეში სამჯერ გამოვდიოდით გარეთ ყოველ დღივ და თითო ყურუშს ვაძლევდით, ხანდისხან ორჯერად. შინ სატყვეოში სიცხისგან ვიხარშებოდით, გარეთ გამოვდიო-

დით სიცივისგან ვკანკალებდით; ახლა შინ საშინელი სივიწროვე, ჰაერის სიწამხდრე, სხვა და სხვა ნაირი გაჭირვება ვიღან თქვას? ასრე გავატარეთ 26 დღე. აზრუმის კათოლიკენი ხანდისხან დაგვხედვმდნენ ხოლმე, ზოგჯერაც პატივს გვცემდნენ, ნამეტნავად ჩვენი ახალციხელი იოვანჯანა ლალათ იოსების შვილი, რომელიც თითქმის ყოველ დღივ დაგვხედემდა და ნუგეშისცემას გვაძლევდა და გვეწეოდა ყოვლითურთ, ჩვენც ვყიდულობდით საზრდელსა და ვხარჯემდით ფარასა, ვიდრე ივნისის 17 გახდებოდა. კვირა საღამოს მწუხრის ჟამსა, ისევ ის ოდაბაში მოვიდა და გვიმახარობლა: ამას ღამს უნდა წახვიდეთ თქვენს ადგილს ახალციხეს. და იასის დროს გამოვედით და თვით ოდაბაში სინანოღლის ხანში წამოგვყარა, იქ ცხენები მზად ჰყავდათ აზრუმელ კათოლიკებსა. იქ გვთხოვეს კათოლიკეთ ორი მღვდელი. 4 დღით წინ დასნეულდა ლაზარიანი ტერ იოანე ახალციხის უფროსი, ისქეჰის ბრძანებით გაიყვანეს ართვინელი მათოზას სახლში, იქ უკეთ გამხდარიყო. ერთი ის დარჩა აზრუმს, ერთიც არტანუჯელი ყაზანჯიან ტერ პოღოსი. ჩვენ კი ხანიდან კურტნიანი ცხენები გამოგვიყვანეს და შევსხედით, საჰთის სამ ნახევარს გამოვედით აზრუმითგან, ძალიან კი შიში გვქონდა დაგვაბრუნებენო. მთვარიანი ღამე იყო, მოვედით ერთს ჭალაში ჩამოსვჯექით ცხენთ მოსაძოვებლად, ერთი საათი დავრჩით, მერე შევჯექით ცხენებზედ, ვიარეთ გათენებამდის, ვიდრე მზის ამოსავალსა ინძქს მოვედით და აქამდის ჩვენი ზანჯირჯი ჰასანაღა მოგვყვა ოდაბაშის ბრძანებითა!

18 ივნისისა ინძქს დავდეგით და დილაზედ ვსწირეთ აჯოფას სახლში, შაჰყულათ პოღოს ვარდაპეტიან, ხიზაბავრელმან ტერ ანტონმა და მე უღირსმან და აქვე დავრჩით, აზრუმითგან გამომყოლთ ზოგიერთთან აქამდის.ორშაბათს დიდი სიხარული უდგათ და ინძქელთაცა დიდი პატივი გვცეს 20 მღვდელთა, ღნ აღაშენოს ისინი და დაიცვას სულიერი და ხორციელი საცდურთაგან. შემდგომად შუადღისა გასანდოთ დავჯეგით ვიდრე შუაღამემდინ, გავინდეთ აზრუმელნი, ჰინძქელნი და სხვა სოფლელნი, როგორც წასვლისა ისე მოსვლისა.

19 დილაზედ ვსწირეთ ინძქელების ფიქრზედ და დიდის სურვილით და ნატვრით სიწმინდე მიიღეს, მოდიოდნენ როგორც მარილზედ ცხვარნი; მეც თან ვიტირე მათს სიწმინდის მიღებაზედა. ამ დროს აზრუმის ქეჰის ყავაზი ახალციხეს წამოსვლისათვის მოვიდა სარასკრის ბრძანებითა: სამშაბათს ავდგეთ 20 მღვდელნი ინძქიდამ ჩვენი მამულისაკენ წამოვედით ღვთის განუზომელი მოწყალებითა; იმ დღეს ბარას მოვედით, ღამე იქ ვიყავით და დილას ავდეგით, იდს მოვედით დავდეგით ღამე; მერმე ოლთის მოვედით, ვიდექით ღამე, იქითგან ფანჯროთს დავჰყავით ღამე, დილაზედ ავდეგით, ქურთებში მოვედით, ობებში გავათიეთ. მას უკან ფიქლობს მივაწიეთ, ღამე იქ ვიყავით და დილით ამდგარნი ვალეს მივედით და ბოლოს ჩვენს სამშობლოში ახალციხეს ღვთის მადლოთა. 22 მღვდლები ვიყავით: 1. შაჰყულიანი პოღოს ვარდაპეტი. 2. ლაზარიანი ტერ იუანე უმფროსი. 3. მეფისათ ტერ სტეფანი. 4. აბინათ ტერ სტეფანი. 5. მღებრიანთ ტერ სტეფანი. 6. იოჰანათ ტერ ანტონი ჭრელოშვილი. 7. შილაჯიანთ ტერ იოანე. 8. ხიზაბავრელი ხუციან ტერ ანტონი. 9. მაზმნიან ტერ სტეფანი. 10. ხარისჭირათ ტერ პოღოსი. 11. უდისა აღოშათ ტერ სტეფანი. 12. ზაქარიან ტერ იოანე არტაინის ველისა ადგილობრივი. 13. გათენიან ტერ იაკობო შავშეთისა. 14. ყულახსიზიან ტერ პეტროსი ველისა ადგილობრივი. 15. ტერ პეტროსი ფხილიურისა. 16. ყაზანჯანიან ტერ პოღოსი არტანუჯისა მკვიდრი. 17. ბეთანიან ტერ იოანე არსაშინა მყოფი. 18. ტერ თომასი კორძულისა ხატაჯურისა. 19. ტერ პოღოსი იესეშვილი ართვინის მკვიდრი. 20. ტერ გრიქორი ყალფაღჩიანი ართვინის მკვიდრი. 21. ტერ გრიგოლი მეფისათი ივლიტისა. 22. ნავროზიან ტერ სტეფანი არლისა, ახალციხელი მჯვიდრი. გაიღო დაბეჭდილი საყდრენი და დაიწყო უწყვეტლივ ლოცვა წირვა ღვთის დიდებისათვის.

1828 წ. 15 მარიამობ. რუსმა ახალციხე აიღო და მოაოხრა, ხმალცეცხლით გარდახრაკა, რომ აღარ ედგომილებოდათ რიგიან მცხოვრებთა. რაც აოხრება აკლება რუსებმა დააკლეს 1829 წ. 19 თებ. დაესხა თავს ხიმშოათ აჭარელი ფაშის შვილი აჰმად ბეგი, ციხის უკანვე ასაღებლად. ველარ აიღო ციხე, მის ჯავრზედ აიკლო ააოხრა ქალაქი, 80 ამდის ტყვე აიღო, დიდი წილი კათოლიკეთა, გაიარა და წავიდა. მოოხრებულ ქალაქში ველარ მოთავსდა ხალხი, აიყარნენ და გაცვივდნენ გორს, იმერეთს თუ თბილისში, იქ წავიდა შაჰყულიანიცა.

საჰყულიანის წინაპარნი გორითგან გარდმოსახლებულან ახალციხეს კარგს დროსა. ქართველის ტომისაგანი ჯერაც გორის ს. შინდისში მრავალნი არიან შაჰყულისშვილები და აწყვრის უკან ს. ტაძრისშიცა. დავით პავლე შაჰყულიანი დაბადებულია 1769 წ. მონათლულია ტერ იე. აივაზა-შვილი აბაზაძისგან. ეს 12 წლისა გაუგზავნიათ რომში, როგორც თვითონ იტყოდა. 3 თვეზედ იმდენად უსწავლია იტალიური რომ თავისუფლად აღსარება უწყვია იტალიურად. მის შემდეგ სწავლაშიც კარგი გამომდგარა: არა მარტო ლათინური საქებურად უსწავლია, ისევე სომხური ღტამატიკაც შეუსწავლია ფროფაქანდის მწერლის ახალციხელი ბაღიანთ ტერ გრიგოლისაგან. ამასვე ჩაუგონებია სომხობა, რადგან ვენეტიკელების დაახლოებული ნაცნობი ყოფილა ის; იქამდის მათი ერთგული ყოფილა, რომ მღ. ტლუკანთ დავითი როცა ტავის ნათარგმნ ბასმა საქრისტიანოს ბეჭდამს რომში სწერს: გადმოთარგმნილი ქართველი ტლუკანთ დავითისაგან, როცა მეორე გამოცემას ბეჭდამს იმავე მასმა საქრისტიანოსა, აწერს მღ. ბაღინათი თარგმნილია სომეხი ტლუკანთ დავითისაგანო.

შაჰყულიანი მოსულა ახალციხეს 1798 წ. უწყვია მღვდლობა და 1801 წ. უწყვია უმფროსობა, მისი ავკარგიანობა სწერია თამარათ პ. მიხეილის ისტორიაში კათოლიკეთა. 1822 წ. 12 ღვინობ. მოსულა მისი მოწაფე ტერ გრიგოლ მეფისაშვილი ახალციხეს. მიუწერია წერილი შაჰყულიანს მეფისაშვილი ტერ გრიგოლისათვის: ს. ვალეს უნდა წახვიდე, რომ იქაურმა მღ. ცოტა შეისვენოს და იწამლოსო. მას ეპისკოპოზის მიცემული ატესტატი უჩვენებია: ახალციხისთვის ვარ მარტო ნაკურთხიო, არ დამორჩილებია; შაჰყულიანს ეპისკოპოზისთვის უჩივლია რომში, რომ ამ რიგად ნაკურთხი ადგილობრი უფროსს არ დაემორჩილებაო, ასე ამ რიგად რათ უკურთხიაო. ჩამოუშო-რებიათ ამ დროს უმფროსობითგან და მას წილ ოცხელი ლაზარათ ტერ იე. გაუხდიათ უმფროსათ.

1826 წ. 1 თიბათ. ეპისკოპოზმან შაჰყულიანი უფროსი დააყენა (გარდააყენა) მღვდლობითგან; 6 ენკენ. ეპისკოპოსთან წერილი წავიდა; 9 შაჰყულიანი გასანდოთ დაჯდა; 15 შაჰყულიანი ჩამოვიდა დასში დადგა; 18 შაჰყულიანმა სწირა, და თავის მიმდეგთ მადლიერება მოახსენა; ქრისტ. 6 შაჰყულიანი გადადგა, 8 გუშინ სწირა გლისპმა შაჰყულიანმა; 30 გიორგ. ეპისკოპოზის და კრების წიგნი მოვიდა შაჰყულიანის გადაყენებაში. 6 ქრისტ. შაჰყულიანი გარდადგა.

1827 წ. 18 თებერ. წურთვნა ჰსთქვა შაჰყულიანმა: არა ვარ შეჩვენებულიო. 9 აპრილს დაჭირე-ბით ეფექია ჰქმნა შაჰყულიანმა; 22 ენკენისა კრებას წერილი მივეცით შაჰყულიანზედა; 25 შაჰყუ-ლიანს წერილი მოუვიდა ქალაქ თბილისს წასვლისა, მაგრა ფაშას (ნაჩალიკს) ჩაუვარდა, მისცა თეთრი და არ წავიდა. 27 გიორგ. შაჰყულიანმა შფოთი მოახდინა ხარისჭირათ ტერ პოღოსხედ: სახარება ბრუდეთ რათ გიჭირავსო. 1840 წ. 30 მარიობას დღეს, პატრმა ქვემო საყდარში ხმიანი სწირა და შაჰყულიანი ცხადათ შეაჩვენა!

შაჰყულიანი შუატანის კაცი იყო, ჩასხმული პირბადრი თეთრწითელი, ცხვირი დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა ელვარე, დიდ კაცური შეხედულებისა, ენამეტყველი მიმზიდველი კაცისა, მოხუცებულების თავს ასარსალებდა, მარგამ ტანმრთელი იყო, სიკვდი;ამდის არც ერთი კბილი არ აკლდა, მუდამ ხმელ პურს სჭამდა საჭმლის ჭამისას, ყოველ წლივ სისხლს ირთმევდა

კლავითგან, სადილის შემდგომ თითო საათს იძინემდა, მუდამ წერა კითხვა ჰქონდა ხელსამძღვანად თავის დღენი დროს გასატარებლად, ლოცვა წირვის მუყაითი იყო. 10 თვე ვემსახურებოდი როგორც მოწაფე, 1850 წ. ჰქონდა სრული სჯა, გამოთაყვანებული იყო. მართველობაში ყირქესლიანთ სტეფანე ბევრს ეწეოდა. ტავის დროს გაუტეხელი კაცი ყოფილა, მედიდური სა მეტად გლისპი. ერთი მღვდლისთვის მიუწერია რაღაც შეკვეთილობა, დამემორჩილე თვარემ შეგაჩვენებო. უპასუხნია: შენ თვითონ შვიდჯერ შეჩვენებული ხარ, სადღა გაქვს იმდენი შეძლება რომ მე შემაჩვენოვო!

V

1849 წ. დახედა შაჰყულიანმა რომ ხარისჭიროთ ტერ პეტროსზედ ქება მოდის, ვისაც ნახამს ხიზაბავრელებს, ყველას ეკითხება მის გარემოებაზედ ყოველთვის. თუმც მოიშორა თავითგან, მოუსვენა გულმან, მაინც არ წყნარდებოდა, რადგან ესმოდა რომ ხშირი მიწერმოწერა ჰქონდა კიდევ ზარაფიანთან და არარატიანთან, დიდად ეფიქრებოდა, ამბობდა: ვაი თუ მიღალატონ და დამტოვონ ცარელაზედო! ნახეთ კაცის ანგარება სიდამდის აუბედურებს კაცსა! რათა დროს იმის უფროსობა იყო, იმდენი მამა პაპის ყანები ჰქონდა ვალეს თუ ახალციხეს რომ იმათი მოსავალი ორ სახლობას ეყოფოდა წელითწადამდის.

საბედნიეროთ ქუთაისს ითხოვა თავის შემწეთ ეს ხარისჭირათ ტერ პეტროსი, იქაურმა ზედამხედველმა მღ. დომ ანტონ გლახაშვილმა და შაჰყულიანი სიხარულით ცას ეწია. საჩქაროთ მისცა ნება წერილი ქუთაისში წასვლისა და წავიდა კიდევც ერთიან ხელ აღებული შაჰყულიანის სომეხთ კათ. მმართველობისაგან, და ძლივ სვინიდისი მოასვენა, რომ დასცალებოდა რამდენიმე წელიწადს გულ დამშვიდებით ტერ პეტროსს ახალციხეს და შესდგომოდა კვლევა ძიებას ეკკლესიების კონდაკ ჯავთაგებში და მოხუც მღვდლებთან ძველ ხელთნაწერ ქართულს და სომხურ წიგნებში, ბევრ წყაროებს შეჰკრებდა ისტორიულ და არხეოლოგიურს, რომ მაშინ ჯერ კიდევ დაცული იყო საკმაო ძველი წიგნები, მაგრამ სამწუხაროდ არ ჰქონდა აზრში მისთანა ნათელი მიმართულება აგრეთი სასარგებლო საგნებისა. მით ბევრი რამ დაიკარგა არა მარტო ახალციხის აოხრებისა ჯერ რუსებითგან და მერმე აჭარლებისგან, ისევ მოხუცებული მღვდლების გარდაცვალების შემდგომ, მათმან ნათესავებმან მიყიდ მოყიდეს ყველაფერი მღვდლების წიგნების, შეძენილი ნივთიერებანი ოხერ ფასად სომხებზედ, ურიებზედ, ვითამ თავიანთ დღიურ ლუკმისათვის და ასე სამწუხაროდ დაიკარგა ბევრი რამ სიმდიდრე.

რაც შეეხება მღვდლების მწერლობის მოღვაწეობა ჩვენს დროს, პირველი შაჰყულიანი იყო: ეთარგმნა ლათიტურითგან ქართულად ოთხის მახარებლების სახარების თარგმანი, წარედგინა თბილისში ყოფნისა დასაბეჭდად ნიკოლა იმპერატორთან და მას დაებეჭდა თავის ბეჭედიღ და შეენახა თავის საპატიმრო რამეებში. ბევრი ეცადა მერმე უკან გამოტანა, მაგრამ არ იქმნა. ეთარგმნა ეკლესიის ცხოვრება, 4 ტომი, საშვალო საუკუნოებამდის; წლიული ქადაგება; ორმოცეული ქადაკება პავლე სენიერის; აბბა მიხითარის საზოგადო ლექსიკონი სომხურ-ქართული. მოხმარებიან წერვაში ხუციანთ ტერ ანტონი, ლაზარათ ოცხელი ტერ იოანე, თუმანთ აბასტუმნელი ტერ ანტონი, იესაშვილი ტერ სტეფანი და ნავროზათ ტერ სტეფანი: სომხური ზნეობითი ღვთისმეტყველება და სხ. ხუციანთ ტერ ანტონს უფრო მრავალი: გადუწერია ხუცურითგან მხედრულათ მთელი დაბადება, შაჰყულიანის ეკლესიის ცხოვრება, ქადაკების წიგნები, ღვთის მშობლის სასწაულების წიგნი 40 დაუწერია, თომა კემფელი 60, ლოცვის წიგნები 100, ეფიმერდე რამდენიმე. იცოდა

თავისით მხატვრობა საკმაოდ, ყვალების ბეჭვდაც იცოდა. ხუციანთ ტერ იოსებმა მისი ხელმძღვანელობით გამოიღო ქართული წიგნების ბეჭვდა ახალი ასოებით: დაბეჭდა ლოცვის წიგნები, წმიდათ მოთხრობისა, ღვთის მშობლის გალობისა. მთავრობამ დაიჭირა ნების აუღებლობისათვის და ყველაფერი ასონი თუ ნაბეჭდი წიგნები ჩამოართვა. კიდევ ბევრი რამ უწერია აბას ტუმნელ თუმანთ ტერ ანტონსა, დიდი წილი ქართულად.

რაც დარჩა ქუთაისში ტერ პეტროსი შემწე მღვდლად გლახათ დონ ანტონისა, დატრიალდა ერში, როგორც კარგი სულიერი მზრუნველი მამა, უწყო ერს რიგიან შევლა და წინამძღვრობა. დიდთან და პატარებთან თანასწორ ერთიამ კარგად მიღებული იყო, ყველასთან მის სჯა სიტყვას გავლენა ჰქონდა, ყოველი წესიერი სიტყვა თხოვნა გაუდიოდა; შეძლებისაებრ გლახაკთ ეწეოდა, ჰშველიდა, გაჭირვებულთ ეხმარებოდა, უცხოთ ხელს უმართემდა, ნაცნობთ შემწეობით სასამართლოებში, ვაჭრებს აგულიანებდა ურთიერთის ხელის მოსაწყობლად, ხელოსნებს ამხნევებდა წინ წასვლა წარმატებაზედ, საწყალთ ქვრივ ოხერთ იცავდა იფარემდა, მუშათ მსახურთ და მოახლეთ ნუგეშს აძლევდა ტკბილობით და აიმედებდა: შრომას და ერთგულებას არ დაგიკარგამს ღმერთი, ერთისთვის ათ ვეცილ სიკეთეს მოგაგებს ღმერთი სააქაოს წუთს სიცოცხლეში და მერმის საიქიოსაცა უკვდავ დიდებასო. ერთის სიტყვით, ყველას იმედი, ნუგეში და ხელის ხელმანდილი იყო.

დონ ანტონმა როგორც ზედამხედველმა კარგად იცოდა მისი შეგნებულება და კეთილ მოშურალობა, ყოველ კეთილ საქმეში თავდადება და თავს გატანა ყოვლიფრისა; მისთვის, დიდი წილი თავის ვალდებულება თავისუფლად მისთვის მიეტოვებინა, არ უშლიდა ხელს არაფერში და შორითგან კი თვალყურს ადევნებდა, როგორც გარეულს მისვლა მოსვლაში. საქმე ყოფაში ისე სულიერისაშიც, როგორც იყო აღსარება, წურთნა და მისთანები მინდობილი ჰქონდა მასზედა, თუმცა თვითანაც ნაქები მღვდელი იყო თავის წეს რიგის წმიდად მასრულებელი. მაგრამ სწრაფი და გულფიცხი იყო ახალციხელებს არა ვის არ უყვარდათ, იცოდნენ თვითონაც ივლიტელი იყო. სხვებრ კი თავის პიროვნულს ყოფაქცევაში სწუნობდა დონ ანტონი ტერ პეტრეოსსა, რადგან არ იცოდა თავის პატივი ჩაცმა დახურვა, გამოჩენა: გლახაკურად სცხოვრობდა და არა ვისთან არ ირთობდა თავის მისვლა მოსვლით შექცევით და დროს გატარებით. მას თავისი საფიქრალი ჰქონდა: ქვეყნის სასარგებლო ღონე საშვალებას ეძებდა, რაც კი შეიძლებოდა შესწეოდა ქვეყანას თავის სიცოცხლეში, თავის შეძლებისამებრ, და რა მისი მოსაწონლად ცხოვრებისათვის სცალოდა.

ერთნაირი ახირებული ხასიათი ჰქონდა: ახალციხელ საწყალ ქალ-კაცზედ გააბემდა საუბარს, რაც გაეგონა სცინემდა, ქირდად იგდემდა და მათთან ტერ პეტროსსაც შეაპარემდა სიტყვებსა, რაც არ შეშვენიდა. ტერ პეტროსი სრულიად ხმას არ გასცემდა ხოლმე და არც თავზედ აიღემდა, ასრევე საღვთისმეტყველო საგნებზედ სიტყვა რომ მოვიდოდა, ყოვლიფერში თავის სჯა აზრი მოსწონდა, რომში განსწავლულ ზოგიერთთ ახირებულ ფროფანდისტებივით. მახსოვს, ერთ დღეს 1854 ში თ. მიხაელ თუმანოვს ქორფა ძუძუმწოვარი ყმაწვილი მოუვიდა და მღვდლებმან დაასაფლავეს; საღამოზედ ჩაიზედ იყვნენ მღვდლები, თ. მიხაილ თუმანოვმა ჰკითხა მღვდლებს: განა ჩჩვილ ყრმას რამე მეოხება შეუძლია ღმერთთამ თავის მშობლებზედაო? დომ ანტონმა უარი უთხრა: არა ვითარი მეორება არ შეუძლიაო სრულიად; მერმე ტერ პეტროსს მიუბრუნდა და უთხრა: თქვენ რას ბრძანებთო? ტერ პეტროსმა მოახსენა: მე მგონია უნდა შეეძლოს მეოხება; თუ რომ ქრისტეს ბრძანებისაებრ ერთი სმა ცივი წყლის სასყიდელი ღვთის სახელზედ არავის დაეკარგებათ, რაოდნად უფრო მშობლის ღვაწლი მეტად მაღლა დგას. რამდენს სასჯელს, უსიამოვნებას, ჭირს და შეწუხებას სწებს ჯერ ორსულობაში, მერმე მშობიაროების დროს; სიკვდილის კარამდის მიდის,

მასუკან ძუძუმწოვრობისა ძილ მოსვენებას იწყვეტს დღე და ღამ, ერთ დღეს მოსვენებით სადილ ვახშამსაც ვერა სჭამს, ასრევე მზრუნველობს დღე ყოველ მამა მისი და მონაწილეობა აქვს თავის მეუღლესთან ყოველ შემთხვევაში ყმაწვილს ზრდისაო! იყვნენ სოღროვი, აკოფოვი და სხვანი, ყველამ ტერ პეტროსის მსჯელობა მოიწონეს, მაგრამ დონ ანტონი არ გატყდა, ისევ თავისას იძახდა!

მღვდლების სადგომად ფიცრული შენობა იყო ეკკლესიისა რიონის მდინარის გარდამხედ, ქვეშ მაღაზია იყო და ზეით 7-8 თვალი სენაკები; ცალკე იყო დონ ანტონის სადგომი და საწიგნე, ცალკე ჯარის პატრიდა და მათთან ტერ პეტროსის სადგომი და სასადილო, წინ სიგრძეზე ბალკონი იყო; ასე ქალაქზედ მოშორებულ ტიალზედ მარტოდ მარტო დაეტოებინა ტერ პეტროსი, ჯარის პატრიც ორ სამ თთვეში ერთხელ ძლივ მიდიოდა, ორ სამ დღეს არ დადგებოდა, მაშინვე გავარდებოდა, წავიდოდა ხოლმე; ტერ პეტროსი მუდამ ავაზაკების შიშსა საფიქრებელში იყო დონ ანტონი კი ქალაქში თავის დასთან და დისწულთან სცხოვრობდა უშიშრად მოსვენებითა.

თუმც სომეხთ კათოლიკეთ მმართველობისაგან განთავისუფლებულ იყო, მაგრამ გული ეწოდა შაჰყულიანის გარდაცვალების შემდგომ, რომ თავისებური მწევრები ამორჩნენ სომეხთ კათოლიკეთ მმართველობისა: ასატურათ ტერ იე. და ტერ გრიგორ ზარაფიანი, ამათი არჩევა არ მოეწონა. ამაზედ მიჰმართა წერილით თბილისს იაკობ ზუბალოვსა და მისი მაშვალებით მტავრობამ მიიღო მათ მაგიერ წარდგენილნი პირნი: ტერ სიმონ ასლანოვი და ტერ იოსებ ხუციანი მეფისათ ტერ გრიქორთან ერთად და ასე ბევრნაირ შეცთომილებას და უწესობას მოაშორა სასულიერო მმართველობა! არა ნაკლებ გული ეწოდა რომის კათოლიკებზედაც, რომ უვიცი პოლაკი პატრების ხელში ჩაცვივნულ იყვნენ. ერთი ჯარის პატრი იყო ქუთაისში, თთვეში ერთხელაც არ სწირემდა, ისე გართული ცხოვრება ჰქონდა აფიცრებში. სხვანიც, სიცივე სიგრილეში ღვთისმსახურებისა იმას არ ჩამოუვარდებოდნენ; არც ვისითატორი იყო კეთილ საიმედო და სასარგებლო პირი. ასრე ახალციხის სომეხთ კათოლიკეთა სამართველოს სულიერის მხარით ყოვლითურთ გასაუმჯობესებლად და რომის კათოლიკეთ უკეთეს მოსაწყობლად, გასწირა თავი: ვალით თუ ვახშით გამოიკრა თავი თავის კალთაში და ისურვა გამგზავრება წასვლა კოსტანდინეპოლში, რომ იქ მაღალ სწავლაში მოემზადებინა კარგი პატრები და მღვდლები, შემოეყვანა საქართველოში და გაებრწყინებინა მათ მიერ კათოლიკე წა. ეკკლესია სხვა ტომთა სამაგალითოდ და წასაბაძავად, ღვთის პატივისათვის!

აზრი მიმართულება ძლიერ კეთილი იყო, საქმე მაღალი დიდათ სასარგებლო ქვეყნისა და საშვილისშვილო და უკვდავი, მაგრამ ცარელა სურვილით რა გაურიგდებოდა, როცა არ ჰქონდა საიმისო მომზადებულება, ძალ ღონე, შეძლება და გამოცდილება. ეს თვითონაც იცოდა სრულიად არ უწვდებოდა ხელი ასეთი მაღალი საქმის განსახორციელებლად, რაც ნივთიერად დიდ ძალას და ენერგიას საჭიროებდა; მაგრამ ხომ იცით, ყოველი კაცი კეთილ მოსალოდნელი იმედით ცოცხალ არს, მერმე, ასეთი სასარგებლო აზრებით გატაცებული, როგორღა მოისვენებს თუ ქუდი ჭერში არ ჰკრა და რამდენმეჯერ თახლა არ გარდატრიალდა, არ სცადა თავი პირველს შემთხვევაში მაინც! ჯერ აქვე ყოფნაში მეტის მზრუნველობისა და მოუცლელობისგან, თვითონ რომ არ ეხერხებოდა, ათარგმნინა მღვდლებს სომხურითგან ქართულად საღმრთო ისტორია, წმიდანების ცხოვრება და სასწავლებლებში ხელსამძღვანი წიგნები, მოთხრობები და სხვაც წამხდარს ენაზედ. მე არ მოუწონე: არ მიიღება მეთქი ამ ჩვენს დროში მაგისთანა დაჯღაბული დანტვრეულ დალეწილი ენა, მაგრამ არ დამიჯერა, მითხრა: რას ამბობ, ხალხი მოსეული მშიერია და მოწყურებული ასეთი სულიერი და ხელსამძღვანო წიგნებისაგან, რომ ნახვენ სუფთად დაბეჭდილს ვენეტიკში,

ერთგან დაიტაცებენო; მე რაღა მეთქმოდა, გავჩუმდი! ასეთი წიგნების გამოცემით ეგონა, საძირკველი დაედება ჩემს საქმეს, ხალხი შეიგნებს თავიანთ საჭიროებას, გაეხარდებათო; შეძლებულ შემძლენი უჩემოთაც შეგულიანდებიან, შემწეობას მომცემენ და საქმეები წარმატებით წინ წამივაო. მაგალითად მოჰქონდა ვენეტიკელი მხითარისტების საქმე, ამბობდა: აიგერ ისინი სომხურს სასარგებლო წიგნებს ჰბეჭდენ, რომ ქართულად არც ერთი წიგნი არ დაუბეჭდიათ; ეს მათი სასარგებლო საქმენი რომ ნახეს ჩვენმა ახალციხელებმა, მარტო მეფისათ ტერ სტეფანის ძმამ ბაღდასარამ 45000 მანეთი შეიტანა შესაწირათ ვენეტიკის მონასტერში და თვითანაც მორჩილათ შევიდა და იქავე მოკვდა. სხვებმანც მას მიჰბაძეს და მარტო ჩვენი ახალციხელებისგან ასი ათას მანეთზედ მეტი შემოსულა შესაწირავიო. სომხურისთვის ეომ ასრე გაფოციალდნენ, რა ეჭვი რომ ქართულისთვის უფრო თავს გასწირვენო. ის კი არ შეენიშნა რომ იმ დროსა და ამ დროს შუა დიდი გარჩეულობა იყო.

მაინც ამ თავის აზრებისაგან ღრმად განმსჭვალული ადგა, ქუთაისითგან გადმოვედით ახალციხეს, იწყო სამგზავრო სამზადისი, მიარ მოიარა შეგნებულ პირებში: ზოგისგან მიიღო შემწეობა, ზოგისგან ფულები ისესხა, ზოგისგან უსარგებლოდ მიინდო! მე დავრჩი ქუთაისს სწავლაში ტერ პეტროსთან 14 თთვე. ახალციხეს მოსვლისა მითხრა: შენ ჰსაკში შესრულებული ხარ, მე კოსტანდინეპოლს არ გამომადგები, აქაც შეგიძლია მღვდლად კურთხევა, მე მცირე წლოვანი მჭირია რომ სწავლაში მიიღონო. ჩემ მაგიერ ხითარათ თომას ძე სიმონა აირჩია, წაიყვანა და წავიდა საჩქაროდ, ჩავიდა კოსტანდინეპოლს. თავითგან რომ იმედი არ ჰქონოდა, მიჰმართა ადგილობრივ პატრიარქს ჰასუნს, რომ შესწეოდა ორი საზამთრო ერთ ხელში დაეჭირა, ჰასუნ პატრიარქის წყალობითა, მაგრამ ვინ ითავებდა მის დათმობას, გიჟი ვინ იყო, თვითონ ორივე უფლება, მეთაურობა ხელში სჭეროდა და სხვას ხელცარიელს მისთვის ემზირა და ესეირნა შორითგან, ყველა კაცი თავისთვის სცდილობს, ვიდრე ორი ძმა, ორი ამხანაგი, ორი ერთგული მეგობარი ყოველ საქმე ყოფაში, ძლიერ საეჭვო არის და მეტად იშვიათი, რომ მიჰკერძონ ერთს რომელსამე თავიანთ უინთერესიდ მისთანა დიდ მნიშვნელოვანი საქმე, როგორიც ჰსურდა მამა ტერ პეტროსსა. და ამ საგანზედ რა პირზედ მოსატანი და სახსენებელი იყო სომხის მაღალი სასულიეროთ მეთავური პატრიარხის ჰასუნიიანისთანა პირის მიმართვა? აი რა არის გულმართალი კაცის უმანკოება! ჰასუნიანმა პირველ მისვლაზედვე თავის ჩვეულებისაებრ მეტად ზრდილობიანად მიიღო ტერ პეტროსი, დიდი მოხარულობა უჩვენა: ჯერ გამოჰკითხა ახალციხის სასულიერო მმართველობის, მღვდლების და ერების ამბავი თვითვეულად და მერმე მოუსმინა სავედრებელ სათხოვარი, რისთვისაც რომ მიემართა. პირველ აზრი მიმართულება, საქმის თავბოლო ძლიერ მოუწონა, აქო დიდად ეგრეთი კეთილ საქმეზედ თავის დადება, თავგანწირულება მისი, არა მარტო ერთხელ, არამედ რამდენმეჯერ მაგგვარ საქმეზედ მისვლისა რამდენიც მივიდა, და ბოლოს საქმის სისრულის მოსაყვანათ ვ ნ ა ხ ო თ ი მისცა თავდებად და მოიცილა თავითგან, მანამდის წასულ იყო ვენეტიკში და წიგნები დაებეჭდინა და ისე მობრუნებულ იყო კოსტანდინეპოლს!

ჰასუნიანის ვ ნ ა ხ ო თ ო მ ეჭვი შეუპარა გულში ტერ პეტროს, იწყო ყოყმანობა და აღარ გაუღიმა პირმა; დიდ საზრახ სანაღვლებლად გაუხდა, მინამდის ვენეტიკში გაემგზავრებოდა. ვენეტიკში მისვლა კი, გული ხელახლავ გაეშალა მაისის ვარდივით რა გარდაავლო თვალი ვენეტიკის წა. ლაზარის მონასტრის შემობას, მის მოწყობილობას შინ თუ გარეთ; ათასნაირი კეთილ იმედებით აევსო გული, ცაში ფრინემდა; მეტადრე დიდის პატივისცემით რომ მიიღო აბბამ და მთელმა მოწესე სამღვდელოებამ, სიხარულით ფეხზედ აღარ დგებიდა და მის სიხარულ ფარფარრუჭობას საზღვარი აღარ ჰქონდა. დარჩა ასეთს შვება ლხენაში რამდენიმე თთვეს, ვიდრე წიგნებს

დააბეჭდინემდა, მერმე რაც ჰქონდა ფასი გარდუხადა და რაც არა, ვალდადებული წამოვიდა კოსტანდინეპოლს იმ პირობით რომ მალე უნდა გარდაეხადა მათი ვალი!

ასე გულ გაშლილი რომ მოვიდა კოსტანდინეპოლს, ცოტა შეისვენა და მესამე მეოთხე დღეს მივიდა ჰასუნიანთან ნახა და უსინჯა პირი მიცემული საიმედო სიტყვაზედა თავის საქმისა, რომ ახლა მისთვის მოეცალა მის სამზადისზედა, მაგრამ ჰასუნიანი სრულიად გამოცვლილი ნახა, შორს დაიჭირა ყოვლიფერში, თითქოს გაცნობილიც არ ყოფილიყო მისგან, იქამდის რომ ტერ პეტროსი ებრუთ წავიდა, სულ ვეღარ იცნა თავისად, გაჰკვირდა, გაოცდა კაცი, ხელი ხელს შერჩა და პირი პირსა, ამისგან უარესს უკანასკნელს ერის კაცზედაც ვერ წარმოიდგენდა, ასეთი უდიერობის მიზეზი ის იყო რომ მეთაურობა თვითონ ჰასუნიანს უნდოდა და ამ ნაირად მისი ბატონობა ჩვენს საქართველოს არა ვითარ სიკეთეს არ მოუტანდა. ტერ პეტროსი თან და თან ნელნელა ჩამოშორდა, მაგრამ მისვლა მოსვლა არ შეუწყვეტია, კიდე რაღაცას ელოდა! მას შემდგომ ჰასუნიანი მტრულად ეპყრობოდა, არ ისწორებდა გულსა სიკვდილამდის.

ჰასუნიანის მხრით ასე რომ მოეცალა ხელი ერთიან, არ გარდიწყვიტა იმედი, ღვთისაგან სიკეთეს მოელოდა, რამდენიც თქვათ, დიდი მოთმინება ჰქონდა, მასთან საქმისთვის მოსწრაფებაცა შეუყოვნებლად, ახსენა ღმერთი და მივიდა ჯერ ლატინის უმფროსთან და მისი დარიგებით მერმე მთავრ ეპისკოპოსთან, გაეცნო ჯერ და მერმე მოახსენა ყოველი თავის გაჭირვება, სათხოვარი და მასთან სთხოვა დარიგება, წამალი, რომ ჰშველებოდა რამე მის დაჭერილს საქმესა. ეპისკოპოზმან რა გაიგო ყოვლისფერი, მოჰხვია ხელი საბედნიეროდ მაშინვე ტერ პეტროსს და შეიწყნარა დიდის კაცთ მოყვარებითა. ერთხან ალაგალაგ იყო მიღებული და შემდგომ მოწყალების დათ მონასტერში გაუჩინეს სამყოფი და კაპელად იქავე, იქ ცხოვრობდა კარგა ხანს თავის მოწაფებიანად, საუზმე სადილი ვახშამი მუდამ ქალწულებითგან ჰქონდა ფერიქოვს.

თავისი გამჭრიახი მეცადინეობით მოამზადა ხელად მღვდლები რომის კათოლიკებისათვის, არა მარტო რომის კათოლიკეთა და სომეხ კათოლიკეთ წესიერებისანი, აგრეთვე ქართველ კათოლიკეთათვისაც გამოსადეგნი, მაგრამ მხოლოდ ლატინის წესიერებისანი შემოვიდნენ საქართველოში, და მეორენი ვერა სხვა და სხვა მიზეზის გამო. ასრე, ნელნელა შეიძინა ადგილი სადგომნიც მონასტრისა და ეკკლესიისათვის, ზოგი ფასით, ზოგი შეწირულობით, გაიჩინა საბოსტნე, საბაღე, სავენახე ადგილები კოსტანდინეპოლში აქა იქ საეჩოსაბადებლად მონასტრიელთა მამათა და დედათა. მამათ და დედათ მონასტერთან ერთად შეიძლეს ეკკლესიის აშენებაცა, სასწავლებელისაცა. თავის სიცოცხლეშივე გაიჩინა ქართული ასოები, ჰბეჭდა სასარგებლო წიგნები როგორც არიან: წუნამძღვარი ზეცისა, გზა ცხოვრებისა, კაცებრივი მეცნიერება, ფილოსოფია, რიტორიკა, ღრამატიკა, კათეხიზი საქრისტიანო მოძღვარება და სხვანი. მოამზადა საერო მღვდლად საკმაოდ, მაგრამ როგორიც რომ თვითონ უნდოდა მაღალი სწავლით კი ვერ შეიძლო მომზადება, ვერ ვინ იშოვნა შემწე მომხმარო ასეთი სასარგებლო საქმისთვისა. სამშობლოში ნაფიქრი უცხოეთში არ გაუვიდა. ზოგიერთი მისი ნაკურთხი მღვდლებისგან გამიგონია: კარგი სწავლის მიღება მინდოდა, იმისთვის განვიწირე თავი მღვდლობისთვის რომ კარგი სასარგებლო ვყოფილიყავ, ქვეყნისთვის რამე ნაყოფი გამომეღოვო, მაგრამ არ მაცალა, საჩქაროთ მაკურთხვინა მღვდლად და გამომგზავნა სამშობლოში, ჯერაც გულმაკლდება; ასრევე სხვანიცა. აქეთგან სჩანს საზრდო სარჩოსთვის უზრუნია, საწირავების წყალობა შესლოდა მონასტერში, რომ მონასტერს არ გასჭირვებოდა ცხოვრება, მაგარ საძირკველზედ დამტკიცებამდის, და რა დამტკიცდებოდა, შემდგომ მის მოადგილე აბბათ ეზრუნათ უკეთესი სწავლის შესატანად ევროპიული სასარგებლო მონასტრების ნაირად, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, დიდ სამწუხაროდ, არა თუ მის მოადგილეთ მარტო

ვერ შეიძლეს დაწინაურება მონასტრისა სწავლაში, ისევე სასარგებლო წვრილი წიგნების ბეჭდაც მოსპეს უმოქმედობით. მოაქვანან სხვა და სხვა მიზეზები თავიანთ თავის გასამართლებლად, რაც შესაწყნარისი არა არის არც ერთ შემთხვევაში. სულ რომ არაფერი იყოს, ქართული ლაპარაკი კარგად იციან თავიანთ დედაენა, ფრანგულიც კარგათ იციან: გარეთ ევროპიელებთან სულ მას ხმარობენ; თათრულიც იციან საკმაოდ, და რა მიზეზია რომ აქამდის ერთი თთვიური პატარა ან გაზეთი ან ჟურნალი არ გამოსცეს. ხომ კიხულობენ ფრანგულ და ქართულ გაზეთებს, აგრეთვე თათრულსაც; მიხვდენა, ახრის გამოტანა როცა შეუძლოათ და ესმით ეყურებათ, მაშ რათ არ იღებენ მათგამ სასარგებლო საგნებსა და არ სწერენ საგაზეთოებს და არ აწვდიან თბილისის რედაქციებში დასაბეჭდავად მაინც? ვთქვათ, გამოუცდელობით არ შეუძლიათ არც გაზეთის და არც ჟურნალის გამოცემა, ქართულს გაზეთებში წერვას რაღა აბრკოლებს, რაც კი შეიუძლიათ სწეროონ ყოველთვის, თან და თან ხომ გაეჩვევიან, დაწინაურდებიან და ასრე მერმე თვითონაც სიადვილით შეიძლებენ ჟურნალის თუ გაზეთის გამოცემასა. შეუერთებლობა ხდება ასრე: ერთი ამბობს მოხუცებულობასა; მეორე მეობით თავზედ პაწიწორს იყრის: მარტო ჩემზედ ხომ არ დარჩენილა, ამბობს, მონასტირს მწერლობაო; მესამე, უგლაგარჯობით ხელს არა სძრავმს; მეოთხე შორს გაურბის: მე მოსვენებული თავისუფლება მჭირიაო და ასე, როგორც თქმულა: ერთმანეთის გვაჯითაო, სახლი აივსო ნაგვითაო. ეს არს შუაში მონასტირ დამღუპავი და სხვა არაფერი: „ადექ ბაბაი, დაწექ ნანაი“.

~~~~~~

აქ ამ იე. ნათ მცემლის ეკკლესიაში არის ერთი საუცხოვო ღვთის მშობლის ხატი თავის ყრმა იესოსით, მოტანილი მისსიონერებისაგან, თავის ძველი ნაქანდაკი ვარაყიანი ყდით და მინით დახატული რაფაელისგან დაფერადებული ცოცხლად თავის ხელით უბრალო ქაღალდზედ, უკან აწერია ატალიურად ასრე:

†

<u>იტალიური ტექსტი</u>

_____

დათარიღებული 1754

ეს ევროპიელს სიხარულით იმ დროს შეუწირია ჩვენი ეკკლესიისთვის როცა 10000 კათოლიკობა გამრავლებული ყოფილა მარტო ახალციხეში, 15000 ახალციხის გარეთ.

~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~

გარდაცვლილნი მღვდლები

1764 წ. 21 აპრილს + ტერ ლაზარე ივლიტის მღი.

1764 29 აპრილს + დონ სტეფანე ბავთისტელი.

1764 23 მაისს + აწყვრელი ტერ იოანე ივლიტას.

1767 20 მკათათ. + დონ ანტონი

1771 + ვაჰრამათ ტერ სტეფანი, ჩრდილოთ დასის თავს ტაძრის შესავალში.

1771 პატრი უმფროსი ალიოზი, სომხის მარტირო ვართაპეტმან მოწამლა არაყით ხოჯევანაცა.

1776 წ. 6 მარტ. + პატრი იერონიმე ნირსელი.

1764 წ. 27 ,აის. გიორგ ვარდაპეტ ეპისკოპოზმან ახალ გაკათოლიკებულმან, ახალციხის ზემოჯვრის ეკკლესიაში მღვდლად აკურთხა სხვათა შორის გარსევასშვილი ტერ იოანე, გორელი სტეფანე აღამალიანი.

1779 5 თებერ. ტერ იე. გარსევანაშვილი სომხებმან მოწამლეს შავშეთ ოქრობაგეთს, ახალციხის წა. იეს. ეკკლესიაში მარხია სამხრეთს დასის წინ, მღვდლის საჯდომ წინა, ტაძრის შესავალში.

1779 16 მათათ. პროვიქარი ჩიგიანათ იე. ვარდაპეტი † ივლიტას.

1783 19 მარიობ. † ტერ არაქელი.

1786 4 თიბათ. † პროვიქარი კრუხიჭამიათ ტერ გრიგოლი (ისარლოვი).

1786 21 მკათათ. † აივაზათ ტერ იოანე აბაზაძე.

1794 5 გიორგ. † ტერ სარაქისი.

1797 4 თებერ. † მაქანდრიანთ ტერ იოანე.

1798 25 მარიობ. † ნარუანთ ტერ გრიგოლი, წა. იეს. ეკკლესიის ტაძარში შუაზედ.

1800 6 იანვარს † ქაჩხოათ პროვიქარი ტერ ანტონი სათლელს.

1800 21 მკათათ. † პატრი ბონავენთურა.

1800 15 ენკენ. † აღამალიანთ ტერ სტეფანი იოსილოს მამა.

1805 31 ქრისტ. † ისკანდრიანთ ტერ პოღოსი, აელის მღი.

1809 13 თიბათ. † ხოჯევანათ ტერ იოანე.

1810 28 მაის. † ვართანათ ტერ ხაჩატურს, საღამო ლოცვაზედ იეს. ეკკლესიაში სახარებას კითხულობდა, რა თქვა „აჰა აღვალ იერუსალემსაო“ დაეცა მეხი ფანჯრით შემოვარდნილი, ერთ დიაკვანს თვალი მოსთხარა, შევარდა ტაძრის ფანჯრითგან გავარდა. იტყოდა თურმე: მე მეხათ მოვკვდებიო. ჰმარხია სამხრით წა. გიორგის ტრაპეზის წინ. ნახევარ საათი უცოცხლია, აღსნა მიუღია.

1814 23 თიბათ. † გორელი ტერ ფრანჩესკე.

1818 6 მაისს † ხუციანთ ტერ პოღოსი, უდის მღი.

1819 15 ქრისტ. † ორთავათ ტერ იოსები.

1824 10 თიბათ. † პროვიქარი სათლელი ტერ გაბრიელი.

1828 18 გიორგ. † შილაჯიანთ ტერ იოანე.

1828 30 გიორგ. † მეფისათ გრძელ წვერა ტერ სტეფანი.

1829 7 ქრისტ. † მღებრიანთ ტერ სტეფანი.

1835 14 მარიობ. † პროვიქარ პატრი ფოლიპპე.

1836 13 ქრისტ. † ოცხელი ლაზარიანთ უმფროსი ტერ იოანე.

1838 11 მაისს † პატრი თომა კაპუჩინი ჟამით.
1839 17 იანვ. † ნავროზათ ტერ სტეფანი.
1841 2 თებერ. † ოჰანათ ტერ ანტონი ჭარელაშვილი.
1842 12 თიბ. † აბინათ ესასშვილი ტერ სტეფანი.
1854 14 იანვ. † ხარისჭირათ ტერ პოღოსი ვალის მღი.
1855 25 თიბ. † შაჰყულიანი დავით პავლე არხიმანდრიტი.
1858 7 მაის † გრიგოლ ვართაპეტი ზარაფიანი.
1859 თებ. † ხიზაბავრელი ხუციანთ ტერ ანტონი.
1862 22 ქრისტ. † ტერ გაბრიელი, პლანის მღი.
1864 23 მაისს † არელელი ფეიქრიანთ ტერ იაკობი.
1870 22 ქრისტ. † მწევრი ტერ სარქის მიხითარიანი.
1873 2 აპრილს † ტერ გრიგოლ მეფისათი.
1873 21 მკათ. † ტერ იაკპბ მურადათი.
1890 19 თებ. † მწევრი ხუციანთ ტერ იოსები.
1890 28 ენკენ. † აბბა მამა პეტრე ხარისჭირათი, კოსტანდინეპოლს.
1892 22 მარიამობ. † მწევრი ტერ სიმონ ახლანოვი.
1892 13 მაისს † ბალახათ ტერ პოღოსი, არლის მღი.
1894 22 იანვ. † ლაზარათ ტერ პოღოს ვარგაველი, არალს.
1895 9 მარტს † მწევრი გოზალათ ტერ სტეფანი.
1896 10 ღვინ. † მწევრი ტერ არსტაკე შაჰნიანი.
1899 25 იანვ. † აღოშათ ტერ პეტროსი.
1899 8 მკათ. † უდელი ბალახათ ტერ სიმონი.
1900 8 აპრ. † ადრინდელი მწერვრი ტერ იაკობ ჩითელანი.
1905 მკათ. † ზაქარათ ტერ სტეფანი, ვალის მღი.

~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~

დედნიდან გადმოვიღე 1908 წელსა, 18 მკათათვესა, ძ. ალიოზ ბათმანიშვილმან, აბბა ბენედიქტის ბრძანებითა.
~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~

ავთანდილ ურუშაძის ჩანაწერები

გაკვრით რა ვნახე რუსეთში

1942 წლის 15 ივნის ღამ ჩავედი „სიმფეროპოლში“. 18 წელია მას შემდეგ, რაც საქართველოდან წამოვედი. 1930 წლიდან საქართველოდან არავინ გამოსულა და არ ვიცი დანამდვილებით რა ხდება იქ. ვღებულობ წერილს, მაგრამ ეს ხომ არ გამოარკვევს მდგომარეობას. ასთე რომ თევზს წყალი სჭირია, ასთე ჩვენ გვწურია სამშობლოს ამბები. მე ვნახე ორი ძველი ამხანაგები აპალოს ორაგველიძე და სერგო ხუბულავა. ესენი დაინტერესებული პირებია, ესენს სასჯელის მეტი არაფერი ღირსებია და ვიფიქრე უშვალოდ ვნახო მუშები და გლეხები. შეუდექი ამ საქმეს. აქ არის რამოდენიმე ქარხანა. იქ ვინახულე მუშები რუსები და ადგილობრივი თათრებია. ესენის გაჭირვებას მე ვერ ავწერ, ისეთი სიღატაკე. არც ერთს გამოსაცვალი ~~ბილიკი~~ საცლები არ აქვს, რაც არის ის აცვია, მეტი არაფერი. ამით მუშაობს, ამით მიდის კრებაზედ, ამით წვება. სამუშაო ხომ მეტი აღარ შეიძლება, ისეთი აუტანელია. ვიღაც გერკულესის ღონის კაცს გამოუმუშავებია ნორმა 8 საათში გააკეთე, გინდ ვერ შეძელი, ამას არავინ კითხულობს. შენ მიიღებ საათობით გამომუშავებულ ნორმას, არავინ შენი მფარველი არ არის, მიგცემენ ნორმას და იტეხე თავი. ჯამაგირი ხომ მინიმალურია და ამას ახლავს იმდენი გადასახადები, რომ დამახსოვნება ძნელია. შეველ სადგომ ოთახში საშინელი სიბინძურე. რა ვქნათ, ჩვენდა არც ღმერთია და არც კაცი- ამბობს საწყალი მუშა. ღმერთი არ გაგიწყრეს, ლოგინზედ არ ჩამოჟდე, საშინლად დაისვრები. ეხლა წაველ გლეხებთან, ვაი, შენ ჩემო თავო, ეს რა ვნახე. აქ არის „კოლექტივი“, ვიღაც მხეცი დღეს დაიმუშავებს რამოდენიმე ფართობს, შენ მოგისჯიან გამოანგარიშებით და უნდა დაამუშაო. წელიწადში ვალდებული ხარ, რომ კოლექტივში გამოანგარიშებული დღიური 125 დღე იმუშაო, მაშვინ შენ ხარ წარმატებული მუშა. თუ ეს ვერ გააკეთე, შენ ხარ საბოტაჟნიკი, ვერც დღიურს მიიღებ და კიდევაც დაისჯები. საერთოდ უკრაინა, კრიმი, ჩრდილო-კავკასია შემოსავლიანი ქვეყანაა მთელ დედამიწის გულზედ და აქ გლეხს რომელიც დღე და ღამიანა მუშაობს, იმას არ აქვს ოჯახში ერთი დღის პური, ის ყოველ დღიურათ დამოკიდებულია „კოლექტივზედ“. საშინელი სიღარიბე სუფევს ყოველგან. წითელი უმფროსები განცხრომაში არიან. ისეთი უსწორ მასწორობა ჩემს დღეში არ მინახავს, მხოლოდ გამიგონია ბატონ-ყმობის დროის. წითელი არისტოკრატია ყველა ხელშეუხებელი არის, იმას ვერავინ ვერ ეტყვის შენ გლახათ მოიქეცი. იწყება ასთე პასუხის-მგებელი მდივანი არის მის რაიონში დიდი ფეოდალი, მას ვერავინ გაუბედავს რამეს, მას ყავს თავისი მოურავები შინასახკომის უმფროსი. ეს ყველა, მთელი ხროვა ბიუროკრატია ემორჩილება მას. ხან და ხან თუ მოხდება ამ პირის დარბევა. ეს ხდება ზევიდან, ვიღაც გადაიკიდება მასზედ უმფრო ძლიერი და ის დაარბევს, მგზავსათ ძველი დროისა. ძლიერი ფეოდალი არბევდა მაზზედ სუსტს. ყველა ცხენი პასუხის-მგებელი მდივანი წითელი დირექტორი წითელი კოლხოზის თავმჯდომარე ცთილობს, რომ ყავდეს მის ირგლივ თავისიანები შვილი, ძმა, ანდა ვინმე ახლობელი. ეხლა კეთდება „ხალტურა“ ეს „ხალტურა“ იწყება ზევიდან და მიდის ქვევით. შენ ხარ ერთი ქარხნის დირეჯტორი, შენ უნდა ეცადო, რომ დააკმაყოფილო შენს ზევით, რომ ხალხია იმის მოთხოვნილებები. და თუ ეს შესძელი, მაშვინ შენ ხარ კარგი დირექტორი. ამისათვის ყველა გაქნილი გამამაძაღლებული ხალხი არის ამ დაწესებულებაში. პატიოსან კაცს აქ ადგილი არ აქვს. ეხლა ვკითხე ქართველ ბიჭებს როგორი მდგომარეობაა საქართველოში, იქაც ასეთი ამბავია, შეიძლება რომ რაიმე სხვანაირათ იყოს, მაგრამ არა.

ეხლა დავიწყოთ ომიდან საქართველოში მომხდარა სრული მობილიზაცია 18 წლიდან 50 წლამდე და შერჩევით ზევითაც. ეს ხალხი გამოიყვანეს და წამოიყვანეს რუსეთში. საქართველოში ჩაიყვანეს რუსები ადგილობრივ გარნიზონებში და საძღვრებზედ ყველგან რუსებია. ნაწილი ქართველების სწორეთ სასაკლაოზედ მიიყვანეს კრიმში. მათ აქ გადმოასხეს დესტანი კერჩში ფეოდოსიაში ევპატორიაში და სხვაგან. აქ დაიღუპა დიდი ნაწილი ჯერ პარახოდებში გერმანელებმა ჩასძირეს რამოდენიმე პარახოდი. აქ ვნახე ისეთები, რომლებიცა რაღაც შემთხვევით გადარჩენილან. დანარჩენი დაჩიხეს კერჩში და სევასტაპოლში. უკან ვერ დაიხევს, წინ გერმანელები უეჭველი სიკვდილი და ბევრი აქ დაიხოცნენ. ასთე, რომ ქართველებისათვის ეს ომი პირდაპირ შავი ჭირია. არც ერთს ეროვნებას რუსეთში შემავალს პროცენტურათ იმდენი ზარალი არ ექმნება, რამდენი საქართველოს. ასთე წაიყვანა ქართელი ხალხის საქმე მისმა უსინდისო შვილმა ჯუღაშვილმა და ბერიამ.

მათ მიიღეს ჩინ-ორდენები და მას ანაცვალეს ქართველი ერი. პატარა ჩინიზა ამ ხალხმა რამდენი მილიონები ადამიანის სიცოცხლე ჩაყარეს მიწაში. „საწყალი ძველი ოფიცრობა“. საქართველოში თუ შენ იყავი რაიმე პატარა ჩინის პატრონი ძველათ ხომ კონტრ-რევოლიუციონერი იყავი. ვაი, სირცხვილო სადა ხარ.

ეხლა მეტყვიან, როგორ მოხდა რომ თუ ასეთი გაჭირვებაა საერთოდ რუსეთმა როგორ დაამარცხა გერმანიაო. ერთი რომ რუსეთს გერმანელები არ დაუმარცხებია. პირის-პირ რომ ყოფილიყო ეს ორი ვაი შენი ბრალი სად იქნებოდა ეხლა მარშალი „სტალინი“.

გერმანია დაამარცხა პირველ ყოვლისა მისმა უჭკუობამ და პოლიტიკურმა სიბეცემ და მერმეთ ამერიკა-ინგლისმა. აი ასთეა სინამდვილე.

იოზიტი. 14 ივლისი 1945 წელი.

დამარცხდა გერმანია

დამარცხდა გერმანია საშინლად და სასირცვოთ გაიშხლართა მიწაზედ. ქართული ძველი არაკია.

„ბრიყვი რომ საქმეს წაახდენს
ფათარაკს დააბრალებსო“.

ასთე მოუვიდა გერმანიის ხელმძღვანელობას. მათი სიბრიყვით დაღუპეს გერმანიის ერი. და ვინ იცის რამდენი ათეული წელი დასჭირდება, რომ გერმანიამ წელი ეიღოს და გამოვიდეს ამ დუხჭირ ცხოვრებიდან ას-წლობით შექმნილი კულტურა ერთმა ვიღაცამ გამოირბინა და რამოდენიმე წლის მანძილზედ მიწაზედ დაათხია.

„გიტლერი“ მივიდა ხელის-უფლებაში დემოკრატიულ საშვალებით. მაგრამ არას-გზით არ წავიდა არც ერთი საშვალებით. ხედავს საქმე წაგებულია და მაინც ეპოტინება. გასაკვირია, როგორ გერმანიის ხალხი ფანატიკურად მისდევდა. ამ ვიღაცა არამზადის მე მიკვირდა ყველა დიდი და პატარა როგორ იყო შებყრობილი იმით, რომ ჩვენი „ფიურერი“ ჩვენ გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდანო. „გიტლერი“ იყო გერმანიის ხალხში რაღაც „მესია“ რომლის სიტყვას და საქმეს არავინ კრიტიკას არ უკეთებდა. გასაკვირია როგორ შედგა ეს კულტურული ერი ამ გზაზედ. ეს რასის-

ტული მოძღვრება დაიდვა ყველამ წინ. გერმანიის ერი არის პირველი დედა-მიწის ზურგზედ, მას ყველა უნდა ემორჩილებოდესო. და აი, ამ მოძღვრებით დაიწყო ომი. ბევრი ომი მოიგო, მაგრამ უკანასკნელათ მოიტეხა კისერი. მან მოინდომა რუსეთის დაბყრობა, ეს ვერ გაიგო გერმანიის ხელმძღვანელობამ, რომ რუსეთის დაბყრობა არ შეიძლება გარეშე რუსის ხალხისა. მაგალითი წინ არის ვიღაცა „სტალინი“ მივიდა რუსეთში და დაიბყრო ის თვით რუსის ხალხის საშვალებით. გერმანიას ქონდა ორი გზა რუსეთში შემავალი ყველა ერების განთავისუფლება და ამ არების საშვალებით მერმეთ რუსეთის დამორჩილება. მეორე გზა იყო შეექმნა თვით რუსეთში დაბყრობილ ტერიტორიაზედ მთავრობის და ეს მისცემდა მას საშვალებას, რომ თვით რუსის ხალხი გაეყო ორათ არ უნდა ჩარეოდა მის შინაურ საქმეში. მაშვინ მას თავისუფალი ხელი ექნებოდა, რუსის ხალხი ერთი-მეორეს დაუწყებდა ბრძოლას და მას ეყურებია. გერმანიამ ეს გზები ყველა უარყო, იქ სადაც აღმოცენდა თავისი მთავრობა ყველა დაატუსაღა. მაგალითად ლატვა-ლიტვა და სხვები და არც უკრაინას მისცა საშვალება, რომ თავისი ფიკტიური მაინც რაიმე შეექმნა. ამბობდენ ჩვენ უკრაინის ერი არ გვინდა, ჩვენ გვილდა მიწაო. მან მოინდომა მთელი რუსეთი თავის მონათ გაეხადა. მილიონობით წაიყვანა გერმანიაში რუსის ახალგაზრდობა და საშინელ პირობებში ჩააგდო ისინი მგზავსათ საშვალო საუკუნის ტყეების შეიძლება კიდევ მეტი.

შევიდა რა რუსეთში მან ნახა საშინელი სიღარიბე ხალხში და იფიქრა თუ ბოლშევიკები ამ ხალხს ყმობდენ, ჩვენ რისთვის არ უნდა ვიყმოთო. ეს გაუჟდა ძვალ-რბილში. ეს ვერ გაიგო-ბოლშევიკები თვით რუსის ხალხიდან იყო. მერმეთ კიდევ ნახა არმიები იარაღის ყრის და იფიქრა, რომ ჩვენი გამძლე არავინ არისო. გერმანელებს სიმართლეს ვერ ეტყოდი, ეს ისინს სწყინდა და ყავდა ისეთი ხალხი რომლებიც არც ავტორიტეტი ქონდათ და ვერც შექმნიდა.

მეორე ყველა ჯარის-კაცი იყო გამსჭვალული საშუალოთ იმდენი ქონდა თვითეულს ნაძარცვი, რომ ამის მოსვლა იყო საჭირო. ამის ხელმძღვანელობა არ უშლიდა. პირიქით მას ხელს უწყობდენ მიდის ეშალონები გერმანიაში ნაძარცვი საქონლით. ამან შექმნა დეზორგანიზაცია იბრძოლოს თუ ძვარცვოს.

ამით მოუსპო გერმანიამ თავის-თავს არსებობა. ის დამარცხდა უნდა დამარცხებულიყო.

იოზ-ტი ოს-თი 15 ივლის 1945 წელი.

“Tчois gчands”

გაიმარჯვა სამმა დიდმა. მოსპეს ფაშიზმი და დღეს გამეფდა ანარხია. დახედეთ ევროპის რუქას და იქ ნახავთ რა ხდება. რა არის ფაშიზმი ადამიანის უფლების უარის-ყოფა. ეს ერთი და იგივე მცნებაა. სხვა და სხვა სახელ-წოდებით. ეს არ ახალია, ძველია. ასთე მოდის დასაბამიდან. ერთი ვინმე მირონ ცხებული არის ხელშეუხებელი. და ეხლაც „სტალინი“ ხელშეუხებელი ბიჭი ხარ და გაბედე რაიმე მის წინააღმდეგ, ვაი შენი ბრალი. ასეთი ხელუხლებილი ისტორიაში, მე ვფიქრობ, ბევრი არ ყოფილა.

ჯერ-ჯეროზით ამ სამის გამარჯვებამ მოგვცა პოლონეთის გაყიდვა. ის გაიყოდა მგზავსათ იესო ქრისტესა ოცდაათ ვერცხლად. ომი დაიწყო პოლონეთის განთავისუფლების დროშით. პოლონეთს დააღვრიეს სისხლი თვით პოლონეთში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, სამხრეთ აფრიკაში, იტალიაში, მერმეთ კიდევ საფრანგეთში და მიიყვანეს გოლამდიამდის. და უბრძანეს აწი საჭირო

აღარ-ხარ და მიბრძანდი. თუ გსურს მიიღე სტალინის ნასუფრალი, არ გსურს იყანყალე სადაც გნებამდეს. აი ეხლანდელი მორალი და სამართალი. ზის სამი დიდი, ისინი არიან მომჩივან-მოპასუხე, ისინი მსჯელობს, ისინი სწყვეტს. ჯერჯერობით ასთეა, სხვა არა-სჩანს. აქ გაგახსენდება ძველი გურული არაკი. რუსეთი რომ შამოვიდა ჩვენში, მოსპეს ვახტანგ მეფის კანონები. და შამოიღეს რუსული სასამართლოები. ერთ გურულ გლეხს დაურჩა საქმე ამ სასამართლოში. საქმე წააგო. მეზობლებმა ჰკითხეს რა ქენიო. მან უპასუხა წავაგეო. მე როგორ მოვიგებდი „მან დასწერა მან წაიკითხა და მან გადასწყვიტა სამართალიო“.

აი, ასთეა ეხლაც, თვითონ სწერენ, თვითონ კითხულობენ, თვითონ ადგენენ სამართალს?

დღეს მოიყარა სამმა დიდმა „პასტდამში“ ფრიდრიხ დიდის სასახლეში, ვნახოთ, რას მოგვიტანს ჩემის აზრისთ არაფერს.

იოზ.-ტი 16 ივლისი 1945 წ.

ერთი პანაშვიდი

შალვა ამირეჯიბი მოკვდა პარიზში და მას გადაუხადეს პანაშვიდი ბერლინში. აქ ბევრი მეგობრები შემხვდენ და სთქვეს წავედით შალვას პანაშვიდზეო. ვაი შენ, ჩემო თავო, ვერ მოვიფიქრე სადა ვარ პანაშვიდზედ, თუ შერყეულ ხალხში. პირველად ილაპარაკა გრიგოლ დიასამიძემ, მე ვერ გავიგე რას ლაპარაკობდა და ერთ ჩემ მეგობარ ერეთეოზ რამიშვილს ვკითხე, რას ლაპარაკობს ეს კაცი. მან მიპასუხა რა გენაღვლება, იქციოს თავიო. მერმეთ გამოდის დათა ვაჩნაძე. ის ამბობს: საქართველოში სამი კაცი ვიყავით, არც მეტი, არც ნაკლები პირველ ყოვლისა მეო, რეზო გაბაშვილი და შალვა ამირეჯიბიო. ჩვენ სამი და სამი აბა სთქვას რაიმე სპირიდონ კედიამ თუ უყო სხვა ვინმეო. ჩვენ სამი წავედით ქუთაისში და იქ სადილი გაგვიმართესო. წამოვედით თბილისში სამი და ასთე დაათავა. მერმეთ ადგა ვითომ გენ-ლი კერესელიძე.ბუნდა გითხრა, რომ კერესელიძეს ვერ გიცნობდი. ჩვენ ვცხოვრობდით საფრანგეთში ქ. ოდენკურში „დუ-ს დეპარტამენტში. და ის იყო ქ. ვალენტინეში ჩვენგან მოშორებით, ორი კილომეტრის მანძილზედ და არ მქონია ბედნიერება ეს კაცი მენახა. აი აქ ვნახე პირველად. და რა ვნახე, ნეტავ არ მენეხა. ადგა და სთქვა მე ვიყავ რაც ვიყავ მე, ჩემი ძმა გიორგი, ჩემი ბიძაშვილი ივანე, ჩემი მამიდაშვილი (ექვთიმე), ჩემი დეიდაშვილი პავლე და შალვა ამირეჯიბიო. ჩვენ მოვიყარეთ თავი ერთადა 1901 წელსა, როდესაც ქართველი ერი დღესასწაულობდა რუსეთთან შეერთებასო. მაშვინ ჩვენ გამოვეცით ჟურნალი, სადაც რუსეთს შეიარაღებული ომი გამოუცხადეთო. ჩვენ ვიყავით თუთხმეტ-თექვსმეტი წელი ყმაწვილებით და ეს ჟურნალი გაუგზავნეთ რუსეთის ხელმწიფეს ნიკოლოზ მეორესო. ამ დროს აქ მყოფი ხალხი შეიძრა და ვიშოვე დრო გარეთ გამოვსულიყავ. ერთეოზმა მკითხა სად მიხვალო მე უპასუხე საგიჟეში.

იოზ.-ტი ოს-თი 16 ივლისი 1945 წელი.

საფრანგეთი ნევილის სასაფლაო

ვისაც გსურს ქართველების ამბავი გაიგო ემიგრაციაში, იმან უსათუოდ უნდა ნახოს ერთი პატარა სოფელი ლევილი, პარიზიდან 30 კილომეტრის მანძილზედ. აქ არის ქართველების

სასაფლაო. ვინ გინდა რომ აქ არ იყოს, ჩვენი დათიკო შარაშიძე, ჩვენი ნესტორ კალანდაძე, ჩვენი „ეშმაკი“, ჩვენი „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორი, მისი სულის ჩამდგმელი. ვინ იყო ნესტორ კალანდაძე - ეს „ეშმაკი“ ასთე უწოდებდა ის თავის სახელს. თუ გსურს გაიგო, მაშვინ მონახო უნდა საქართველოს ცხოვრება 1900 წლიდან 1921 წლამდე და აქ ნახავ ნესტორს, შეიძლება შეგცილდეს. აქ ნახავ „ეშმაკს“, „ეშმაკის მათრახს“. რამდენი უსინდისო ადამიანი გაუწკეპლავს მას თავისი მათრახით. რამდენ ადამიანისათვის მიუცია სიამოვნების ღიმილი. აი ეს დრო, ჩემო კარგო, უმფრო მშვენიერი, უმფრო ლამაზი და სამართლიანი დრო საქართველოს არ ღირსებია. აქ ყველა გრძნობს რაღაც ახალს, გიჭირავს ხელში გაზეთი „აზრი“ და „ეშმაკის მათრახი“ ,მოწინააღმდეგე შურით გიყურებს, დანარჩენი ხალხი შემოგესევა - აბა, წაიკითხე რას წერენ ჩვენი „ეშმაკი“ და „თაგუნა“ ან და „ბუტუნა“ ან და სხვა ვინმე, ვინ მოსთვლის. კითხულობ, არის ერთი ხარხარი, იცინიან. კითხულობენ ვინ იყო ნეტავ ეს სოლომონ ზურგიელიძეო. ხომ არის ერევა ამდენ კაცში მეტიჩარა, რომ თავი მოიწონოს, წამოაყრანტალებს მე ვიცნობდი სოლომონ ზურგიელიძესო. ზოგი გაშტერებით შეხედავს, ზოგს შეუსკდება სიცილი. განა შენ იცნობ სოლომონსო ეტყვიან, ის მაინც არ ცხრება, ხოო, ვიცნობდიო. მართალია ეტყვის მესამე რავა არ იცნობდა, თვითონ არისო. შეიქმნა ერთი სიცილი. ასთე მიდის წლობით „ეშმაკი“ ემსახურება ხალხის კეთილ-დღეობას ორი ათეული წელი ემსახურა. ქართველი კაცი გამოვიდა ასპარეზზედ და შესძახა მაგრათ გაუმარჯოს თავისუფლებასო, მაგრამ აღმოჩნდა მტერი ვერაგი და სისხლის მსმელი არ იქმნა და ვერ გაძღა ქართველი ხალხის სისხლით, დღესაც სწოვს მას და აი ამ მტერმა წაართვა ჩვენს „ეშმაკს“ ის ასპარეზი. ბევრი მისი თანამშრომლები დაეცენ მტრის ხელით. ციხე გადასახლებაში დალიენ სული. ჩვენ ეშმაკი კი დღეს განისვენებს ლევოლის სასაფლაოზედ. მას გვერდს უმშვენებდენ ბევრი ჩვენი საუკეთესო ახალ-გაზრდობა ვინ გინდა აქ არ არის: ჩვენი კოწია საბახრარაშვილი, კოლია ჭუმბურიძე, არძაყან ამუხვარი, ვლასა მგელაძე, ნიკო ნასიძე, ვლასა იმნაძე, გერონტი ცეცხლაძე, ზოსიმე ჯორბენაძე, ერმალო ებრალიძე, დათიკო ჟორჟოლიანი, კოლია შარაბიძე, მავროზ ჩახვაძე, ჟორა ჩაჩუა და ბევრი სხვები, ვინ მოსთვლის ვის შეუძლია დამახსოვრება და კიდევ რამდენს დეიტევს ვინ იცის, თუ ვინმე პატრონი აღმოუჩნდა. აი ასთეა ქართველების გაჭირვება. ეხლა თუ არ შეგეზაროს, რატი, „დუ“ს დეპარტამენტში იქ არის ქ. „მონტბელიაში“ მის მახლობლად პატარა სოფელი „სობო“. იქ ნახავ კიდევ ქართველების ნახლაფორთევს, აქ პატარა ეზო იყო მშვენიერი ბაღით, შიგ რესტორნის შენობა და სამკვითხველო, ცნობილი ამ რაიონში. რამდენი კულტურული ღირებულების წიგნები ეწყო მაქ შკაფში და სხვა, მაგრამ დაიღუპა. ინგლის-ამერიკელმა უქმნეს ბომბადიროვკა „სოშოს“ და ეს ჩვენს 15 წლის ნახლაფოთადი ჩაიტანს მიწაში. შიგ ორი კაცი დაიღუპენ შიო ქურიძე და ლევან ჩარკვიანი. ესენის სასაფალოს ნახავ აქვე სოშოში ~~სასაფ~~, აქ მესამე კაცი წევს, კიდევ ალფეს ხომურიკი. აქედან წახვა ქ. მონდბელორის სასაფლაოზედ. იქ ნახავ ეფრემ ქარცივაძე, გიორგი დოლიძე, ვალოდია ბაკურაძე, დურსუნ ვასაძე, კოლია თაყაიშვილი და სხვები, კიდევ ვინ იცის, რამდენი მიბნეულ-მობნეული საფლავებია და ამის ნახვა ძალიან ძნელია. ასთე წავიდა ქართველების საქმე ემიგრაციაში. და ვინ იცის როდის მოეღება ბოლო მაგრამ მალე ერთი ათი წელი და გათავდა ყოველივე გადაეცემა ძველი წარსულს.

იოზ.-ტი 17 ივლისი 1945 წლისა.

ვლასა მგელაძე

ვინ იყო ვლასა მგელაძე უბრალო ადამიანი ასოთ-ამწყობი აი ამ კაცმა რამდენი იმუშავა, რამდენი ირბინა, რამდენი იბრძოლა, რომ მის მოძმეს მუშას და გლეხს უფლება ეშოვნა ადამიანის. პატარა ვიყავ 1905 წელში ჩამოვიდა ვიღაცა სადგურ ლანჩხუთში ერთი იმისთანა შეიყვარა რომ იქ მყოფი ხალხი გაშტერდა ვინ არის ეს კაცი რომ ასეთი ხმა აქვსო. ეს არის ვლასა მგელაძეო. მერმეთ ვლასას ხანდა ხან დავინახავდი რეაქციის დროს მაგრამ ახლოს არ მინახავს. 1918 წელს აგვისტოში ვნახე ვლასა ნოე ჟორდანიას სახლში. ეზოში დადიოდა ქრისტინემ ნოეს დედამ და-მიძახა და გამაცნო ვლასა. ვლასამ წამკიდა ხელი ერთი მაგრათ შემაჯანჯღალა.

დავკარგეთ სამშობლო ვლასას მიანდვეს ევროპაში წასვლა და იქ გენუის კონფერენციისადმი მემერენდუმის გადაცემა. ის წავიდა და დაბრუნდა აჯანყების წინა დღეებში. მას არ უთხრეს რომ მოდიოდენ ჩვენები პარიზიდან მან მერმეთ გაიგო და წამოვიდა მარტო ჩამოვიდა აჯანყება და-მარცხდა. ის დარჩა გურიაში თითქმის ერთი წელიწადი და მერმეთ გამოვიდა საფრანგეთში. ჩვენ-თან ოდენკურში ჩამოვიდა 1925 წელს დამლევს მერმეთ თითქმის ყოველ-წლივ ზამხულობით ჩვენთან არის. გავეხუმრებით ვლასა რა გინდოდა სპარსეთში რევოლიუციას რომ ახდენდი თქვა. რა მინდოდა და ყოველგან მინდოდა რევოლიუცია მომხდარიყო და ვფიქრობდი რომ ხალხი დაეპატრონება თავის-თავს ამიტომ დავრბოდი, მაგრამ არ გამომართლდა. მოხდა რევოლიუცია რუსეთში, გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში და სხვაგან მაგრამ მე რომ ვფიქრობდი ისთე არ წავიდა საქმე. რუსეთში გაბატონდა ლენინ-სტალინი გერმანიაში გიტლერი და ეს ჩემი ნამუშევარი კინწის კვრით გააგდეს გარეთო. ხალხი არ აღმოჩნდა შეგნებული რომ თავის-თავს დაპატრონობოდა და ვიღაცა ვიგინდარებს მიზდევსო. მაგრამ საქართველო სხვა იყოო. დღეს ვლასა სიტყვა უნდა სთქვა 26 მაისია. ხომ არ გადირიეთ რა დროს ჩემი სიტყვაა. დაჯდება ჯერ უყურებს და ერთ-ხანს მერმეთ მოვა ხასიათზედ და შესძახებს. დაიძინე ჩემო ვლასა რას იზამ ლევილის სასაფლავომ ბევრი მიი-ღო შენისთანები იქ რომ ჩარაბადებული ხართ ერთ მწკვრივათ ქართველები ეს კაცს ჭრუანტელს მოგვრის. და შეიძლება მოვიდეს ეს დროც რომ შენი მცხედარი სხვა შენ მეგობრებთან ერთად ჩაი-ტანონ საქართველოში. მაშვინ შენ შეგეძლება შენებურათ შესძახო „ასრულდა ის რასაც ვფიქრობდი“.

იოზ.-ტი 19 ივლისი 1945 წელი.

მშვენიერი თაიგული

ვისაც უნახავს თავმოყრილი ერთად სირბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი და ბევრი სხვები რომლის ჩამოთვლა ჩემთვინ ძნელია. ეს ვისაც არ უნახავს ის ვერ გაიგებს თუ რა მშვენიერი თავ-ყრილობა იყო მშვენიერი თაიგული ერთი მეორეს რომ ამსებდა ის რომელიმეს აკლდა მეორეს ქონდა. ამ ხალხის ნამუშევარი ისტორიის საქმეა. ესენმა ქართველი ხალხი გამოიყვანა ასპარეზედ რომ „ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნისო“. ორი ათასი წლის ქართველი ერის არსებობა თითქმის არავინ იცოდა. თვით ქართველებსაც არარ ქონდათ ილაჯი რომ თავის არსებობა ვინმესთვის ეთქვა. და აი ეს ახალგაზრდობის ჯგუფი იმ დროს ადგა ფეხზედ და ხმა

მაღლა შესძახა მტერი და მოყვარე ყველა გააკვირა. ორი ათეული წელი იმუშავა ამ ხალხმა ქართველი ერი დააყენა ფეხზედ ასწავლა წერა-კითხვა თვით-განვითარება და ადამიანის უფლება მიანიჭა. ესენი ებრძოდენ თვითმყრობლობას, თავად-აზნაურობას, აღვირ ახსნილ სამღვდელოებას, და მასთან ერთად თვით გლეხებს და მუშებს, რომლებიც ფიქრობდენ რომ მათი ხვედრი თვით ღვთისაგან არის ბოძებულიო. ღმერთმა გააჩინა უმფროსი და უმცროსიო. არც ესთე ადვილი იყო ეს ბრძოლა ამისათვინ ისჯებოდენ ათასები სახრჩობელა, კატორღა, ციხე გადასახლება და დევნა აი ამ გზაზედ შედგა ეს ჯგუფი. ისინმა არ შეუშინდა მათზედ ათასჯერ ძლიერ მტერს დაკვეთა მათ. გავიდა დიდი დრო მაგრამ მტერი ძლეულ იქმნა ის დამარცხდა. ჩაბარდა ისტორიას. ქართველი ერის ოთხმოცი პროცენტი ამ ხალხს მისდევდა მათი სიტყვა და საქმე ერთი იყო ამათ დაიმახსოვრეს ქართველი ხალხის ნდობა. და მოვიდენ საქართველოს დამოუკიდებლობამდინ და მოწვეულ იქმნა მისი დამფუძნებელი კრება. ქართველმა ერმა ესენს ჩააბარა თავის ბედი. მაგრამ ხანგრძლივი არ აღმოჩნდა ეს ბედნიერება. მტერმა ისევ გაიღვიძა ეხლა კი სხვა ფერით. და საშინელება მოევლინა საქართველოს. ვის უნახავს ჩვენი მეტეხი აქ ზის ყველა ქართველი ხელმძღვანელები. ვინ გინდა რომ აქ არ იყოს სირბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, გრიშა ლორთქიფანიძე და სხვები ათასები. მეტეხის ციხე ითვლება ქართველი ერის ციხე-სიმაგრედ. და აი ამ ციხე-სიმაგრეზედ მიიტანა ბოლშევიკებმა იერიში. გაჩაღდა უსწორო ბრძოლა ციხეში გამოწყვდეული ხალხი და კბილებამდის შეიარაღებული ჩეკისტები. რამდენიმე დღე გაგრძელდა ეს ბრძოლა და ბოლოს მტერმა დაუთმო რა უნდა ექმნა სხვა გამოსავალი არ იყო. ეს მოხდა შემოდგომაზედ 1922 წლისა. წაიყვანეს პირველი პარტია ტუსაღების ნოე ცინცაძის ხელმძღვანელობით და გადაასახლეს საძღვარ-გარეთ რიცხვით 62კაცი.

მერმეთ დაიწყეს ნელ-ნელა მეტეხის დაცლა აგზავნიან რუსთავში. გაგზავნეს ისიდორე რამიშვილი გრიშა ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლომთათიძე და სხვა ათასები. გასცალეს მეტეხი ეხლა იწყეს ახალი სტუმრების მიღება ასთე დაუსრულებლივ. გასტეხეს მეტეხი ქართველი ერის ხელმძღვანელები გაიგზავნა ციმბირში მერმეთ მიყვენ ხელი ხვრეტას, რომელიც რამოდენიმე წელია მიმდინარეობს. ქართველი ერი დარჩა უხელმძღვანელოთ მეორე ხარისხოვან ხალხს დარჩა ხელმძღვანელობის როლი. ვისაც არ უნახავს ჩეკის სარდაფები შიგ წლობით დამწყვდეული ხალხი მათი წამება მათი ტანჯვა ძნელია მათვინ ამ ამბის გაგება.

„აიმსო საგიჟე“ დახვრეტილებს ხომ საფლავი არ ააქვს. ეს ამბავი გადაეცემა საშვილიშვილოთ მომავალ თაობას.

განა ასეთ მშვენიერ თაიგულს კიდევ აღზრდის ქართველი ერი? .....

იოზ.-ტი ას-თი. 24 ივლისი 1945 წელი.

ინგლისის მუშათა პარტია

არჩევნებში გაიმარჯვა ინგლისის მუშათა პარტიამ მან მიიღო დიდი უმრავლესობა. 640 დეპუტატში მას ერგო 387 დეპუტატი. ეს პირველია ინგლისის ისტორიაში. მართალია მას ორჯელ ყავდა მუშათა პარტიის მთავრობა, მაგრამ ისინს არც ერთხელ ყოლიათ თავის უმრავლესობა ორივეხელ ლიბერალებთან დაურჩა კოოლაცია. და როდესაც დადგა დრო თავისი პროგრამა

გაენხორციელებიათ მაშვინ ლიბერალები არ გაყვენ და მთავრობა გადადგა. ეხლა კი არ სჭირია სხვისგან სესხება მას თავისი დიდი უმრავლესობა ყავს, ვნახოთ რას მოგვიტანს ახალს ეს ხომ ამ დღეების საქმეა ეს არ არის წლის საქმე. მუშათა პარტიას თუ აღმოაჩდა ისეთი ძლიერი ძალა, რომელიც მან მიიღო არჩევნებში, მაშვინ შესაძლებელია და მოსალოდნელი ბევრი ახალი მდგომარეობის შექმნა, პირადათ ჩვენ ქართველებს გვახარებს ასეთი ამბავი. ვინაიდგან ჩვენ ხომ მშვიდობიანობის და კეთილი საქმის მომხრენი ვართ. და ეს საქმე დღეს დღის წესრიგში სდგას. ბევრია მათზედ დამოკიდებული თუ შესძლეს და ეს დანგრეული ქვეყნები, რომლებიც განიცდიან საშინელ ანარხიას დააშოშმინეს ჩამოაყალიბეს და მისცეს სწორი გზა მაშვინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ინგლისის მუშათა მთავრობამ შესძლო მათზედ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად აასრულა. და თუ არა მაშვინ არა მარტო ინგლისში არამედ მთელ დედამიწაზედ და მის ზურგზედ იდღესასწაულებს საშინელი რეაქცია. ეს იქმნება მარჯვნით თუ მარცხნით სულ ერთია. ჩვენ არ ვართ ომის მომხრე: რატომ იმიტომ რომ ჩვენ სუსტი ძალა ვართ, ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, რომ პატარა ერებმა, როგორც საქართველოა წელში გასწორდეს თავისი სუსტი ძალა თავის ქვეყნის კეთილ-დღეობისათვინ შეინახონ. ამიტომ გვსურს და გვიხარია ისეთი სიმპტოპი გამოჩდა შეიძლება ამან მოგვცეს ამ ქვეყნად ჩვენც ცხოვრების უფლება. ჩვენ პირადათ მეტი არაფერი შეგვიძლია მხოლოდ სურვილი, რომ მათ არ გაემეორებიოს განვლილი შეცდომები მაშვინ ჩვენც ვიტყვით: „გაუმარჯოს ინგლისის მუშათა პარტიასო“.

იოზ.-ტი ოს.-თი 30 ივლისი 1945 წელი.

55 წელი

დღეს შევასრულე 55 წელი. და მოვიხედე უკან, მაგრამ რა ვნახე ტანჯვა წვალება. მეტი ვერაფერი. რას იზამ უნდა დაემორჩილო ბედს. მაგრამ არა უნდა ებრძოლო, რაც საშვალება გაქვს თუ გინდა გახდეა ადამიანი.

55 წელი რა გრძელი გზაა რა ეკალ-ნარიანი რა ბინძური და გადათრეული. 55 წელი მოვიქციე ქვემო დავდევ მიწაზედ და ვეუბნები აი შენ გლახაკო ხომ ხედავ, როგორ მოგექეცი აწიც ნუ ფიქრობ უკეთეს. ეს ასთე მოდის ასთე უნდა წავიდეს.

იოზ.-ტი ოს.-თი 10 აგვისტო 1945 წელი.

29 აგვისტო 1924 წელი აჯანყების დღე

29 აგვისტო რა ძნელი მოსაგონარია; 29 აგვისტოს მოჰკვეთეს თავი იონე-ნათლის-მცემელს. 29 აგვისტოს გასწყვიდეს ქართველი ერის საუკეთესო შვილები. ვინ გინდა რომ არ დახვრიტეს ახალ-გაზრდები ძველი მუშები და გლეხები ძველი რევოლიუციონერები ციხე-კატორღაში ნამყოფი ხალხი. და დღეს როდესაც ვზივარ მარტო ოჰ რა მარტოობას განვიცდი! ჩემთვინ 21 წლის

შემდეგ კიდევ მგონია გუშინდელი ამბავია. ისთეა ჩემს მეხსიერებაში ეს დღე. თვალ-წინ მიდგება მთელი კრებული ჩემი ნაცნობ მეგობრების და ამხანაგების სახეები, მათი მხნეობა მათი იმედი.ოჰ სიბერევ შენ რა გითხრა. ახალ-გაზრდა რომ ვიყავ, მაშვინ კიდევ ვერ ვგრძნობდი ამას დღეს კი ნათლად მიდგია თვალ-წინ. მაგრამ ვინ ერთი მოვსთვალო ვის გინდა რომ მათი სახელები დაიმახსოვრო, რამდენი უსახელო ჯარის კაცები დაიღუპენ მათი სახელების ჩამოთვლა მე კი არა მკლევარსაც გაუჭირდება გამოკვლევა. ოჰ 29 აგვისტოვ რა ძნელი სათქმელი ხარ, ვინ იყო ამ დღეს დაუმიზნა მაინც ეს ჩვენი უბედურება.

ოცდა ცხრა მარიობისთვე
ძნელი მოსაგონარია
ვინ გინ რომ არ დაიღუპა
ახალგაზრდა ბებერია.
- - -
სისხლით მდელო შეიღება
მინდორ ვაკე ეწერია
დედა სტირის თავისშვილებს
დაუღადრავს გულ-მკერდია
- - -
ცხრა თვეს მუცლით გატარებდი
ვაი გშობე ვუით გზარდე
და რათ გიკვირს ყოველ კაცზედ
უფრო დედას რომ უყვარდე .....

იოზ.-ტი 29 აგვისტო 1945 წელი.

ლანჩხუთის რაიონის მომუშავენი

ივანე კალანდაძე, არონ ჩხაიძე, კოლია წილოსანი, ერმალო ებრალიძე, პართენ ებრალიძე, სამსონ ხუხუნაიშვილი, ლადიკო ბარამიძე, ილია თარგამაძე, კოლია შარაბიძე, შალვა ბესარიონისძე ცინცაძე, ეპიფანე იმნაძე, ზოსიმე ჯორბენაძე, ზოსიმე მუნაღარიშვილი, კოლია მუნაღარიშვილი, სიმონ ორაგველიძე, ანანია გოგუაძე, დიმიტრი ბარამიძე, ერასტო და ლუკა ურუშაძეები, არტემ ჩახაიძე, ბანქო, ურუშაძე, სევერიანე ფირცხალაიშვილი, ლადიკო არჩილის-ძე წილოსანი, კვიროსი წილოსანი, ქიშვარდი იმნაიშვილი, ნიკიტა იმნაიშვილი, ქრისტიფორე იმნაიშვილი, ზოსიმე ფირცხალაიშვილი, დიომიდე ორაგველიძე. პლატონ იმნაიშვილი, ბარნაბ სურგულაძე, ვალენტი ქიქავა, შალვა სამსონაძე, ხიტიფო ფირცხალაიშვილი, არტემ ფირცხალაიშვილი, ალფესი გოგუაძე, ზაქრო წულაძე, გრიშა მახარაძე, მიხაკო ბაჯყნიაშვილი, შიო ქურიძე, სოლომონ ქანთარია, ილიკო თოხაძე, იორა ფიფაიშვილი, ირაკლი ფიფაიშვილი, რაფიელ ჩხაიძე, გერასიმე ქინქლაძე, დათიკო ჭანტყრიშვილი, გიგო სიხარულიძე, მელენტი სანდრო მუხაშავრიები, ანტონ მელუა, სირბისტრო პატიიშვილი, ერმილე კუნჭულია, მამანტი გოგიჩაიშვილი, ბენია კვაჭაძე, კოლია კვაჭაძე, ბენია სოლომონის-ძე ტუღუში, ბენია გლახუნას-ძე ტუღუში, ნოე აბხაზავა, ბიკტორ ერასტო თედორე ურუშაძეები, სამსონ ურუშაძე, კლემუნტი მურვანიძე, ოლიფანტე

მურვანიძე, ლავრენტი უშვერიძე, ამირან აბჟანდაძე, სამსონ ვასაძე, ივანე ვასაძე, ვლასა გოგუაძე, ლონგინოზ გოგიჩაიშვილი, სიო ჩხარტიშვილი და სხვები რომლის ჩამოთვლა ვერ შევძელი. ოზურგეთიდან მუშაობდენ სამაზრო კო-ტში გიორგი შილაკაძე, გიორგი მურვანაძე, ვანო ღლონტი, მიხა საბაშვილი, ვასო ჩიტაიშვილი გაბრიელ გოგუაძე, გიორგი სალუქვაძე, ვანო ცომაია, მილორსი სიხარულიძე.

ჩოხატაურიდან გიორგი ბერეჟიანი სერგო მათითაიშვილი სიმონიკა გოგიბერიძე, გოგია ცინცაძე.

იოზ.-ტი 1 სეკტემბერი 1945 წელი.

მეგობრების ხსოვნას.
მე თქვენ ხსოვნას მეგობრებო
თან ვატარებ გულში-სულში
მარად ვჩივი, მარად ვსტირი
და ვიძახი ვიში-ვიში.

— — — — — — — — — —
მაგრამ ბედმა არ მარგუნა
მტრის პასუხი გადვიხადო
და მით შევძლო გამოყიდვა
თქვენ ვალი მოვიხადო.

— — — — — — — — — —
ბევრი თვენგანი დაეცა
მტრისაგან განგმირულია.
ზოგი ტანჯვაში მოხუცდა
ზოგიც ეხლა ცოცხალია.
- - - -

იოზ.-ტი ოს.თი 1 სეკტემბერი 1945 წლისა.

ისკანდერ მეგრელიძე და ვარდენ ჩიკაშუა

ისკანდერ მეგრელიძე დაიბადა 1901 წელს სოფ. ქაქუთში ქობულეთის რაიონი. ქართველი მუსულმანი ნამდვილი ქართველი ის დაუახლოვდა ჩვენს ორგანიზაციას კიდევ ძალიან ახალ-გაზრდა იყო 1920 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მაშვინ როდესაც ქართველ მუსულმანებში სანთლით საძებარი იყო ქართველი კაცი. ისკანდერი მე გავიცანი 1924 წ. ნოე-მბერში მის რაიონში. მერმეთ ის გამოვიდა საფრანგეთში 1925 წლის დამლევს. მას მერმეთ თითქ-მის ერთად ვცხოვრობდით. ხან ქარხანაში ხან მამულში ხან ტყეში ერთად ვმუშაობდით დრო გამოშვებით დავშორდებოდით ერთი-მეორეს თორემ სულ ერთად ვიყავით.

მას ასთე შესისხორცებული ქონდა ჩვენი საქმე რომ თუ კი რაიმე საჭიროება მოითხოვდა ის მზათ იყო თავი გაეწირა, ეს ასეც მოხდა. როდესაც მას უთხრეს საქართველოში უნდა წახვიდე, იმან მაშინვე გაემზადა და წავიდა.

ვარდენ ჩიკაშუა დაიბადა ლანჩხუთში 1910 წელს მამა მისი იესები იყო საშვალო გლეხი. მე ბავში დავტოვე 14 წლის, რომ წამოვედი საძღვარ-გარეთ. 1929 წელში მამა-მისიდგან მივიღე წერილი, რომ ბიჭი წამოვიდა იქითო და შეიძლება გამიგო რამეო. მეც შევეცადე და გავიგე იყო სტ.-ში და მერმეთ გამოვიდა პარიზში. ვინახულე 1931 წლის დეკემბერში გაზრდილა დავაჟკაცებულა. მას მერმეთ დრო გამოშვებით ვნახულობდი. 1941 წლის 1 ივლის ერთად გავემგზავრეთ რუმინიაში იქ მე დავრჩი ოთხ-თვე ნახევარი. ის მერმეთ გამემგზავრა ფრონტზედ. დაბრუნდა 1943 წლის გაზამხულზედ და ვნახე გამოიარა ბერლინში. აქ მან სთქვა ეხლა მე წავალ პარიზში დავბრუნდები მელეო. ეს ასეც ქმნა დაბრუნდა ბერლინში ივლისის პირველ რიცხვებში. სექტემბრის 1 რიცხვებში წამოვიდა ბერ-ში ისკანდერთან ერთად და წავიდენ საქართველოში. ესენთან წავიდა კიდევ ერთი ახალ-გაზრდა სევერიანე კერესელიძე რაჭველი ემბალაურის რაიონიდგან. მე ძალიან მსურდა ესენთან ერთად წასვლა მაგრამ არ მომიხერხდა და ჩამოვრჩი. ესენი იყვნენ ჩემი სულიერი მეგობრები ესენ მე გაუგებდი ისინი მე გამიგებდა ეხლა ქე ვარ მარტოდ-მარტო.

იოზ.-ტი ოს.-თი. 5 სეკტემბერი 1445 წლისა.

გერმანე ბარამიძე

გერმანე ძალიან ახალგაზრდა იყო, რომ გავიცანი საფ.-ში ოდენკურში. ძალიან გატაცებული სოც.-დემ. პარტიის. ერთი ნაკლი ქონდა ძალიან კვიმატი იყო და თუ დაინახავდა, რომ ის ვითომ მართალი იყო არა გზით არ დაზოგავდა მოწინააღმდეგეს. ეს ნაკლი ქონდა, მაგრამ ესთე დაუღალავი სად გინდა, რომ არ წავიდოდა რა ხიფათიც არ შეხვედროდა ის თავს არ დაზოგავდა. მუშაობა ძალიან უყვარდა არ იყო ზარმაცი დღეს, რომ 5 ფრანკათ ემუშავა იმუშავებდა. და ესთე გაქონდა თავი. ბევრს არ უყვარდა მიტომ, რომ ნამეტარი გადაჭარბებული სიტყვები იცოდა. ის წამოვიდა ჩვენთან რუმინიაში და დაბრუნდა პარიზში მერმეთ წავიდა ბერლინში სამუშაოდ. კვირას გარდა დღები 12 საათს მუშაობდა. უნდა ვსთქვა რომ ასეთი დაუღალავი ადამიანი ჩემ დღეში არ მინახავს. 12 საათის ნამუშევარი კაცი სად გინდა, რომ არ გაჩდებოდა. სად არ აღმოჩენდა რაიმეს. მოირბენდა დღეს ერთი ჯგუფი ვნახე ქართველებისაო იტყოდა და სადაც მივიდოდა დაანთებდა ცეცხლს. მერმეთ ჩვენ გადმოვიყანეთ ქარხნიდგან ჩვენ ჯგუფში.

ასეთი დაუღალავი ადამიანი იყო საჭირო არც თავს დაზოგავდა და არც სხვას. უკანასკნელათ ვნახე პარიზში 1944 წლის იანვარში. შევეხვეწე რომ ჰაერით არ წახვიდე შენ ძალიან საჭირო კაცი ხარ არ დაიღუპო თავი-თქვა, მე მერმეთ ოს-ში წამოვედი. ის მაინც წასულიყო და დაიღუპა. მაგრამ იქ სადაც დაიბადა, აღიზარდა და მაგრამ დავაჟკაცებას არ მოსწრებია. იქ მივიდა უკანასკნელად ჩაეხუტა თავის სამშობლოს მიწა-წყალს. მშვიდობით ჩემო გერმანე ვინ იცის ჩვენ უბედურებს არც კი მოგვიწიოს ჩვენი სამშობლოს ერთი ან ორი მეტრი მიწა. შენ კი იქ მოკვდი სადაც დაიბადე. აგისრულდა რასაც ნატრობდი სამშობლოს მიწა.

იოზ.-ტი 6 სეკტემბერი 1945 წელი.

საქ.-ლოს სოც.-დემ. პარტიის შესცდომები

ჩვენი შეცდომა იმაში მდგომარეობდა რომ ნამტარი გადაჭარბებული წარმოდგენა ქონდენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის. აქ ვერ იყვნენ გაცნობილი ძირში თვით მუშების მსოფლ-შეხედულებაში ესენი იცნობდენ თეორიებს კეთილი ადამიანების მაგალითად „კაუტსკის“ და სხვების შეხედულობას და ამაზედ აშენებდენ თავის მომავალ მუშაობას. „ლენინმა“ თავის ბოროტი თვალით ყველა ეს ორგანიზაციები გაიცნო ძირშივე და ამაზედ ააგო თავის „ბინძური“ პოლიტიკა. „შენ შესძელი ძალა-უფლების დაპატრონება მორალი გვერდზედ გადაგევი და იმდენი შეგვხდება თაყვანის მცემელი, რომ ბოლოს შენც გაგიკვირდება“.

მე პირადათ არავითარი პატივის-მცემელი არა ვარ ევროპის მუშათა მოძრაობის ინგლისელი მუშა ისეთივე კონსერვატორია ჩვენთვის როგორც „ბოლდვინი“, ან და „ჩერჩილი“ ერთ წუთსაც არ დახარჯავს შენი გულიზა. მერმეთ ჩვენს გამოცემებს ყველას ეწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთიდ“. აბა ნახეთ თუ რომელიმე ევროპის სოც. პარტიის გამოცემაზედ თუ აწერია. მერმეთ ვიყავით მარქსისტები. დაიდვეს წინდამ მარქსის კაპიტალი და ონისომა დიაკონივით დაუწყეს კითხვა არც მეტი არც ნაკლები. თავის დროზედ „მარქსიც“კარგია და ყველა ის გამოცემები, რომლებიც არსებობენ თუ გინდ ნამეტარი შენი მოწინააღმდეგეს. ადამიანმა ყველას ამას უნდა გაეცნოს აქედან გააკეთოს დასკვნა. გაუმარჯოს ინგლისის პროლეტარიატს იძახის შუხუთელი გლეხი.

დახმარება საფ.-თის პროლეტარიატს იძახის ოკრიბული. რათ უნდა ან ერთს ან მეორეს შენი დახმარება ინგლისის ან და ფრანგ მუშას იმდენი გამონაცვალი ექმნება განჯინაში ჩაწყობილი რომ გურული გლეხი თავის დღეში ვერ ეღირსება. ჩვენ ქონდა ნამეტარი სხვის იმედი სხვა მოვა ის დაგვეხმარება ან ინგლისელი ან და გერმანელი ან და სხვა ვინმეო. აი ეს უნდა აღმოიფხრას სამუდამოთ ქართველმა ადამიანმა გულიდან „სხვისი დახმარება: ამას უნდა დიდი ბრძოლა ეს დიდი ხანია ქართველი კაცის გულში ზის ღრნის მის სხეულს და ეს ნაკლი უნდა იქმნას გულიდან აღმოფხრილი. ეს ახალი არ არის ეს ძველი ამბავია ეს სთე მოდის ძველიდან, სხვი იმედი“. პირველ ყოვლისა შენ უნდა იყო დაყრდნობილი თავის ძალაზედ აქ უნდა იყო მტკიცეთ რაც უნდა პატარა იყოს ეს ძალა მაშვინ გაგიწევს მტერი და მოყვარე ანგარიშს. ჩვენ მოვაწყვეთ დიდი აჯანყება საქართველოში 1924 წელს და ამ აჯანყებას თან დაყვა ეს სენი „სხვამოვა“. „ეცადეთ რომ ზედმეტი სისხლი არ დაღვაროთ“, თორემ ევროპიელები მოვლენ და სირცხვილს ვჭამთ. „მორალი“. ევროპის მორალში შაურს არ დავხარჯავ აბა ნახეთ რა მოხდა 1939-1945 წლამდე. მაშვინ მითხარით ევროპის მორალზედ. მე რომ ვიყო დარწმუნებული ეს ომი მოხდა საერთოდ კეთილი საქმის დასაწყებათ მაშვინ ვიტყოდი რომ ჰოო. მაგრამ არა ეს ომი მოხდა „გეგემონიის“ ე. ი. გერმანელები ამბობდენ ჩვენ უნდა ვიყოთ ქვეყნათ მბრძანებელიო. ეს ვერ დაუთმეს ანგლო-საქსონებმა.

საერთო დასკვნა: მტერი გებრძვის ყოველივე საშვალებით რაც მას მოეპოვება, მაშვინ შენ უნდა ეცადო შენი თავი გადაირჩინო და იშოვნო დრო მას სამაგიერო გადაუხადო. ბრძოლაში ყველა იარაღს ხმარობენ შენც ისთე მოიქეცი აქ „მორალი“ არაფერ შუაშია. და როდესაც გაიმარჯვო მერმეთ ნუ წაბაძავ მას.

ნუ აყვები ვიღაცას იმედს იქონიე შენი თავის იმედი. და თუ ეს არა გაქვს მაშვინ დაყარე ფარხმალი. ვისაც თავის იმედი არ აქვს ვერ გაიმარჯვებს. ნუ აყობი სხვის განყენებულ თეორიებს შენ შენი ყოველ დღიური ჭირ-ვარამზედ იზრუნე.

თავის დროზედ სოციალიზმიც კარგია და დემოკრატიზმი, მარგამ ეს რომ ენაზედ გეკეროს არაფერს მოგიტანს. უნდა ეცადო მტერი და მოყვარე გაარჩიო. ჩვენ ვერ შევსძელით ბოლშევიკების დაფასება, ისინიც სოციალისტებია იდეური ხალხი ჩვენი ამხანაგებია. დღესაც იძახიან ამხანაგი კომუნისტები. აი ეს არის საშიში.

მტერი მტერია რა ფერის არ უნდა იყოს ის.

იოზ.-ტი ოს.-თი 8 სეკტემბერი 1945 წელი.

ვალიკო ჯუღელი

ვალიკო ჯუღელი მე გავიცანი 1917 წლის სეკტემბერში ფრონტიდან ვიყავ ჩამოსული თბილისში. მერმეთ მე მქონდა საშვალება მას უმფრო ახლო გავცნობოდი ჩვენს დამოუკიდებლობის ხანაში და მერმეთ 1924 წლის აპრილი, მაისი, ივნისი. ვალიკო დიდი ენერგიის და პათოსის კაცი იყო ნამეტარი გატაცებული რარაც ზეცაში გამოკიდებული თეორიის „რევოლუციის“. პირველად რომ ვნახე მასვინ ბოლშევიკი იყო. მერმეთ დასტოვა ეს გზა და ჩაუდგა ქართველ შეიარაღებულ ძალას სათავეში. აქ მან ბევრი იბრძოლა ბევრი კარგი საქმე ქმნა, მაგრამ მისი განყენებული თეორიები უმფრო მჭრელი აღმოჩნდა. ბევრ კარგ საქმესთან ბევრი შეცდომები ჩაიდინა. მაგალითად მოვიყვან, როდესაც ნახა თბილისში სასახლეზედ დროშა წითელი ჩამოუხსნიან მან დაიმუქრა გაქცევით. ბევრი ამისთანები. შექმნა სახალხო გვარდია ეს მასვინ აუცილებელი იყო და საჭიროც. ვინაიდგან ჩვენ არ გვყავდა შეიარაღებული ძალა. ბევრიც იბრძოლა, მაგრამ მუდამ ამ ძალაზედ დაყრდნობა შეუძლებელი იყო. მას უნდა ეზრუნა უმფრო მტკიცე შეიარაღებულ ძალაზედ. მოხალისეობა და სიკვდილი არავის უნდა ეს არ არის საამდროვო.

როდესაც დაბრუნდა საძღვარ-გარეთიდან ამას ყველას გრძნობდა და ამბობდა რამდენი შეცდომა მე მომივდაო. მე ვფიქრობდი რომ ყველა ისთე მეგონა გატაცებული, როგორც მეო. დღეს ნათლად ვხედავ, მაგრამ რას იზამო. ეს იმიტომ მოვიყვანე რომ შეიძლება საქართველოს კიდევ დაებადოს მეორე ვალიკო ჯუღელი და მან ყოველივე წვრილმანი შეცდომები, რომელიც პირველმა ვალიკომ ჩაიდინა ეს არ გაემეორებიოს. იმან უნდა შეისწავლოს რა იყო კარგი და რა იყო ცუდი ეს სირცხვილი არ არის, პირიქით ეს მოტანს ბევრ ნაყოფს.

იოზ.-ტი ოს.-თი 9 სეკტემბერი 1945 წელი.

ჩემი თავ-გადასავალი პროზით

გავხედე აღმოსავლეთით ანატოლიის ხრიოკსა
საიდღანც სიომ დაბერა ხელი გადვისვი მეოცა
ჩემი ქვეყნიდან მოფრინდა სასიამოვნოთ მეოცა
დავჟდი ლექსი მომიდა მუზაც მოვიდა მეოცა.

ახალ-გაზრდა გიახელი მქონდა დროის ტარება
ჩაცმა დახურვა მიყვარდა არ მინდოდა სწავლება
მუდამ ვიყავ მხიარული არ მქონდა მე დარდება
განა აწი მეღირსება მე ლანჩხუთში გარება?

მე არ გეგონო პოეტი არცა მწერალი მგოსანი
არცა ნასწავლი ვინმე ვარ არცა ვარ მე კალმოსანი
სახლში როდესაც ვიყავი გახლდი კარგი ოთხოსანი
ჯარში როცა გამიწვიეს იქა დავრჩი ფეხოსანი.

პატარა ფაცხის მქონესა მეც მქონდა თავ-საყუდადა
მეც მყავდა ხარი გიბერა რქა მონტვრეული კუდალა
ქეიფიც ბევრი მინახავს მიძახია დელი-ლალა
ყველა ცხენი დავკარგე ეხლა ქე ვარ ბუზინკალი.

ფიჩორის პირის ყანები ბევრი მეცა მითოხნია.
გაძირულისა ტყეები ღამე ისიც მიჩეხნია
ფიჩორი პავლიასტომი ტივითა მეც გამივლია
კაპარჭინაის პირზედა ბევრი ოფლი დამიღვრია.

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის თავისუფლება ვიგემე
თავისუფლების დაცვაში რაც კი შემეძლო ვიომე
მაგრამ მტერი ყოველ მხრიდან ჩვენცა მოგვევლინა ხოლმე
ჩვენი კეთილი სურვილი იმათ იოცეს უიმე.

სულთან სელიმის მთაიცა ფეხითა გადამივლია
არდასა გუმიშხანაში იქაც ბევრჯერ გამივლია
ტრაპიზონის ვილაეტი კიდით კიდე მომივლია
აქედან დაბრუნებული ჩემსას მოვიდა ალია.

თავისუფლების ხანაში საიდღანც გაჩდა ლენინი
დაანთო ცეცხლი ძლიერი გარს შემოეკრეს ისინი
ბრესტის ზავის შემოიღო კმაყოფილი ქმნა ალმანი
ძღვენიც ბევრი გააჩუქა ზედ დაუმატა ბათუმი.

ბათომიდგან წამოვედი ჩაქვისთავი ჩავიარე
ჩოლოქი და ოჩხამური ყველა ერთად მოვიარე
აკეთიდან რომ გავედი ნასაკირალს ჩაუარე
ისევ ჩოლოქს მოვაკითხე შენ როგორ ხარ ჩემო მხარე.

აქიდანა წამოვედი ბაღდადშიაც ავიარე

ზეკარის უღელტეხილით რკინის-ჯვარსაც გაუარე
აბასთუმანის ხეობას იმას გვერდით აუარე
აქა ფეხი მოვიტეხე ფორთხვით ძლივსღა ვიარე.

ჩამოვედი ისევ ლანჩხუთს კოჭლობითა ბარბაცითა
ცოტა ხანი დავისვენე შევიარაღდი თოფითა
სომხები კარს მოგვდგომია ფიქრობს დაბყრობას ომითა
ბორჩალოისკენ წავედი მოკლე გზით შულავერდითა.

რაღა თავი მოგაწყინო რაღა ბევრი გავაგრძელო
სამ წელიწადს თოფით ვიდეგ მშვენიერო სანატრელო
რა კარგი სანახავი ხარ ათას ცხრაას ოცო წელო
ამ წელს იყო ჩემო კარგო რომ გამრთელდა საქართველო.

დიდხანს არ გაგრძელდა ეს დრო რომ სანატრელი
დაიწყო სუსხი ზამთარი ეს ოციდა-ერთი წელია
დაქუხნა ზეცამ დაელა რიცხვით შვა თებერვალია
ყოველი მხრიდან მოგვაწვენ მტერი ჩვენ როგორც კალია.

წითელ-ხიდიდან ძმობილო ლანჩხუთამდინ ვიჩანჩალე
და გზა და გზა ჩემო ძმაო თოფი ბევრი მეც დავცალე
ორმოცი დღეიდა ღამე სულ ბუზივით ვიყანყალე
და ეღირსა რავაც იყო ესეც ქე გათავდა მალე.

მერმეთა საქართველოში შედგა რევკომი წყეული
მის თავმჯდომარეთ მოვიდა მოღალატე და ეული
მახარაძე მოევლინა ბოროტი გადათრეული
მაყრებიცა ბევრი მოყვა თანმოიყვანა წყეული.

მათ მომინდომეს დაჭერა მე კი თოფით გავიქეცი
სამ წელიწად ნახევარი ტყეთ ვიარე როგორც მხეცი
აჯანყებაცა მოვაწყეთ დავტრიალდი როგორც ბეცი
აქაც დავმარცხდი გეთაყვა უნებლიეთ წავიქეცი.

ელის ციხით გავხედე ჩემ საყვარელსა გურიას
შორით მოვკარი მე თვალი ჯუმათის მონასტირიას
თვალით კურცხალი გადმოხტა და დავემგზავსე შტერიას
ჩემსა სამშობლოს მე ვტოვებ უტოვებ ვიღაცმუნიანს.

აქედანა წამოვედი აჭარაცა გადვიარე
კარჩხალის მთიდ დავინახე მე ბათომის არე მარე
გული მოწყდა და შეინძარა მე ვიგემე რაღაც მწარე

რა მიჭირდა მე უბედურს იქ გამეთხარა სამარე.

შავი ზღვითა ხმელთა ზღვითა საფრამგეთშია მივედი
ლუკმა პურის საშოველად ქარხანაშია შევედი
ფრანგებმა კარგათ მიგვიღეს ჩვენ წავიხდინეთ სვებედი
აქაცა ბევრი აღმოჩდა თავრეტიანი და ყბედი.

ათას ცხრაას ოცდა თერთმეტს წერილს ვღებულობ სახლიდან
მამაჩემი წასულიყო საწყალი ამა ქვეყნიდან
ამან გული მომიზარჩა მაგრამ რას ვიზამ აქედან
დავჭედი ბევრი ვიგლოვე სახეც წამიხდა დარდიდან.

ასთეა ამა ყოფითა ოცდა თორმეტი გავიდა
გათენდა კვირა დილაა ფოშტალიონი მოვიდა
მან წერილი მომიტანა გამოვართვი და წავიდა
იმისთანა შენსა მტერსა მე რომ საქმე მომივიდა.

ავდექი წერილს დავხედე კანვერტზედ წაწერილია
ცოლსა და დედას მაგინებს ლანჩხუთის კომსომოლია
ამ დროს ოთახში შემოდის ორაგველიძე კოლია
წერილი ხელათ დავმალე არ გამიგოს სირცხვილია.

მინდოდა მეთქვა მე მისთვის მე ჩემი გასაჭირია
ბავშობის ამხანაგისთვის გამეზიარა ჭირია
მაგრამ ვერ ვქენი ვერა გზით ვერ გაუჟღვავნე გულია
როგორცა თავმოყვარესა ესთე მიცნობდა გულია.

მე არ გეგონო ტრაბახი ან და ვინმე მეტიჩარა
და არ გეგონო გლახა ვარ გადაჭარბებით მშიშარა
ნამეტარი მორცხვი ვიყავ ეს აიბი მქონდა არა
ყველა ესე მომდიოდა მორცხვობითა მეტი არა.

მერმეთ აქედან წავედი პარიზშია გავემგზავრი
და ვიფიქრე შეიძლება გამოვიცვალო ჰაერი
ჩემ გულზედა სხეულზედა მოწოლილი ბოღმა არი
შეიძლება მკურნალიცა აქ კიდევა ვინმე არი.

აქ ყველა ასთე ფიქრობს ეგებ გაგიჟდა საწყალი
იმან რა იცის ჩემ გულზედ რა ბოღმა არი დამპალი
ისევ სოშოსა დავბრუნდი ტოტა გაიწმინდა თვალი

დრო და ჟამმა თავისი ქმნა და გადავრჩი გულალალი.

ცხრაას-ოცდა-ცხრამეტ წელსა დაიწყო დიდი ომია
შენ ვინ კითხავს შენ საწყალო გინდა თვარა გდომია
ამის დამწყები სულ სხვაა დიდი ვეფხი და ლომთა
მათ ხელს არის გასახსნელი ვის ხელთა რკინა ლომია.

მე დამრჩა მხოლოდ ერთი ავირჩიე ფალავანი
ჩემ გალავანთ მივიჩნიე საფრანგეთი გულოვანი
და როგორცა კატგი მთხლეი ქე გაგორდა ეს ბალვანი
და ბევრჯელ დამარცხებულმა ჩამოვყარე ყუროვანი.

მერმეთ იყო გერმანიამ გახსნა აღმოსავლეთს კარი
მან თავს დაესხა რუსეთსა ივნისისა თვეი არი
ყოველგანა წინ წავიდა სადაც რუსის ჯარი არი
ჩვენ დავფაცურდით შევშფოთდით და ავიკიდეთ აბჯარი.

და ამ რიგათ ჩემო ძმაო გერმანია გავიარეთ
და ორი დღის სიარულით ავსტრიასაც ჩაუარეთ
აქედანა რომ წავედით უნგრეთშიაც ავიარეთ
შენ არ გეგონოს ფეხითა სულ მატარებლით ვიარეთ.

სხვა ხომ არავისა კითხვს მიდის დაუპატიჟებლად
ამის გემო ჩვენ ხომ ვიცით სტუმარი იყოს მასპინძლად
გერმანელი გავიცანი ზევით იმზირება სულ მთლად
მე მხოლოდა ერთი მივხდი არ გამოდგება მასპინძლათ.

ორ წელიწად ნახევარი აქეთ იქით ვეჩანჩალე
რუსეთშიაც ქე გავედი აქაც ბევრი ვიყანყანს
კრიმშიაც კავკასიაში გვარიანათ ვისანსალე
აქედან დაბრუნებული სტამპოლს მივაკითხე მალე.

სტამბოლშია რომ ჩავედი დათიკო შემხვდა გზაზედა
გავიარ-გამოვიარე სანდროს მივადეგ კარზედა
ბესარიონიც მოვიდა გადვედით საუბარზედა
ყველაფერი მოვიგონეთ რა ხდება ქვეყანაზედა.

ნამეტარი ვისლაათედ გაგვიგრძელდა საუბარი
აქაც ბევრ ლაპარაკში დრო გავიდა ნამეტარი
უცებ კარები გაიღო შემოვიდა მადამ მარი
იგი ეხლა გავიცანი რა კეთილი ვინმე არი.

გზაში ვინმე კაცი შეგვხვდა ულვაში ჩაუცინია
ავსუფ-ბეი მეუბნება ქართველი მუსლიმანია
შემობრუნდა და ეს გვითხრა მურაბა ჩემო ძამია
ჩემი ქვეყანა იქ არის ლამაზი გურჯისტანია.

კარგა ხანი აქ დავყავი რვა თვეს სტამპოლშიც ვიარე
მერმეთ მითხრეს მორიდებით ეხლა ნახე სხვა მხარე
იქიდანა წამოვედი ანკარას გამოუარე
იოზგატში ჩამოვედი ვინახულე არე მარე.

ერთი წელი აქა ვზივარ მარტო ვარ მოწყენილია
მე მარტოობას განვიცდი მარტო ვარ დაღრემილია
ბესარიონ მოგოგდება ვიფიქრებ მოფრენილია
ღმერთმა აცოცხლოს დიდხანსა გაიწმინდება გულია.

ვინმემ რომ ნახოს წააწყდეს ეს ჩემი გლახა ნაჯღაბნი
იტყვის ვინ იყო ეს კაცი ჭკუა არ აქვს ერთი ჩინი
გაუკვირდება და იტყვის ხომ არ ქონდა ფეხის ჯინი
ანდა რაფერა იარა როგორცა ძველი ხურჯინი.

მე პასუხი შემიძლია და უთხრა ჩემო კეთილო
მე იმ ქვეყანას დავეძებ ღვთის-მშობლისა წილხდომილო
მე იმის მაძებარი ვარ ჩემო ძმაო საყვარელო
ედემის ბაღსა ჩამოგავს მშვენიერი საქართველო!

იოზ.-ტი ოს.-თი 15 სეკტემბერი 1945 წელი.

სტალინი - ჯუღაშვილი.

შენ არ გეგონოს სტალინი ვინმე კაცის სახელთა
მისი სახელი და გვარი იოსებ ჯუღაშვილი
და ეს არის სავალალო რომ ის ტომის ქართველია
და თუ კი გინდა იცოდე ნამდვილათ კი გორელია.

ქართველი ასთე ბოროტი ისტორიაში ვერ ვნახე
უბედურსა დედა-მისსა ეგებ სხვამ დაუგო მახე
და ამისთვის გამოვიდა ბოროტი და სხვა სახე
ბოდიშს ვიხდი რომ მის საქმეს სხვა სახელი ვერ უნახე.

ეხლა გავყვეთ ჩვენ გზადაგზა რა მისი ნამუშევარი
ათას-ცხრაას ოცდა ერთწელს ხომ იყო დიდი ზამთარი
მან საქართველო დაიბყრო მოიყვანა რუსის ჯარი
მან ესეცა რა აკმარა დააყენა სისხლის ღვარი.

საქართველოს კუთვნილება დაგლიჯა და დაარიგა
ერთი წილი მომხეთს მისცა თათრებსაც კი წაუგლიჯა
ოსმალეთსაც კარგათ უძღვნა ბათომს გული გაუგლიჯა
მერმეთ მიყვა ქართველი ბიჭებს სულ შიგანი გაუგლიჯა.

ეხლა ვიწყოთ აჭარიდან რა დაუყენა დარდია
მისი მოძმე მოაცილა სამუდამოთა წადია
ვინცა აქეთა გადმორჩა მასსაც გაქცევა სწადია
რა უჭირდა რომ ეჭამა მისი უცრელი მჭადია.

გადმოვიდა გურიაში და დაუმტვრია გოშია
გურული გლეხი საწყალი სახელი ქვია გოგია
რისთვის შეგზარდა წყეულო ეჭამა პარკი ლობია
შენ ხომ ბევრჯელ გიჭამია კარგი გურული ღომია.

აქედანა რომ წავიდა სამეგრელოს წვდა კისერში
ესეთი საქმე დამართა ენა ჩაუდო მუცელში
რა უჭირდა საწყალ მეგრელს ეწყესა ძროხა ბოსელში
ესეც შეგზარდა წყეულო ქალამნით ევლო სოფელში.

სვანეთიც აღარ დატოვე დაუკარ მაგრათ თავია
საწყალი სვანი რომ ცხოვრობს როგორც ბუნაგში დათვია
რას ერჩოდი რა გინდოდა რათ უქენ იმას ავია
მოთმინებიდან გამოსულს და დაავიწყე თავია.

და იმერელსა საწყალსა ვენახი ქონდა ზიარი
ისიც შეგშურდა ტიელო და ამოაყრიე ზვარი
და ესევა არ აკმარე და დაუნგრიე სახლ-კარი
რადგანც მესაკუთრე იყო ვითომ ფეოდალი არი.

ჭიათურის შავ-მუშასაც შენ გაუტეხე თავია
ვაგონებში ჩაამწყვდიე დახოცე როგორც სვავია
რა უჭირდა მაგ საწყლებსა ეწყესა მისი ცხვარია
და მით მოეწყო ოჯახი აქ რომ დიდი ზამთარია.

კახეთშიც გაინადირე იგიც აღარა დატოვე
იმდენი ხალხი დახოცე მთელ წელიწადსა აგლოვე
კახური ღვინისა მსმელსა ცივი კურცხალი აწოვა
და მით მოუსპე ცხოვრება უთხარ კახეთი დატოვე.

ქიზიყელ გლეხსა საწყალსა რომ ყავდა ორი ვირია
ისიც კულაკით აქციე ვითომ ხალხისა მტერია
ოჯახიც ისთე მოურთე როგორც ნეხვი და მტვერია
შენ ხომ იცი ქიზიყშია წყალი როგორია ძვირია.

შენ ხომ იცი გორის არე შენი სამშობლო ქართველია
აქ გვარები ამოსწყიდე აღარ დატოვე ჩვილია
ბევრსა დედაცა უტირე გაუწყვიდე ყოველია
და ხომ ბევრსა ქართლის დედას მოუკალი ქმარ-შვილია.

ეს შენი ნამუშევარი შევაერთე შევაჯამე
საუკეთეს ქართველ კაცებს მწარე ხვედრი შენ აჭამე
შენ დიდ კაცობა გინდოდა ამისთვის სხვები აწამე
ივერიის კეთილ შვილებს თვისი ხორცი შეაჭამე.

ბელამორისა კანალი ფრჩხილებითა ათხრევინე
სოლოვკის ცივი კუნძული კურცხალი იქ აღრევინე
ვიატკა, პერმა ტაშკენტი სისხლი იქ დააღრევინე
რუსეთის ცივსა მინდორსა ძვლები იქ დაატოვინე,

რა შვაში იყო ქართველი შენ ხომ მარშლობა გინდოდა
შენ ჩინ-ორდენისათვისა სხვისი სისხლი რათ გწყუროდა
თიანეთის გლეხისათვის მითხარ ერთი რა გინდოდა
თბილისელი ჩვენი კინტო ორთაჭალას დადიოდა.

საქართველოს ლაჟვარდ ცაზედ გადიფარა სუდარია
აიმსო მინდორ ველები დადგა სისხლისა ღვარია
შენ ამას ყველას ივარებ მე არ ვიცოდი არია
მაგრამ შენ კარგათ იცი მათი სახელი გვარია.

შენ გაყიდე საქართველო სხვის ქვეყნის ჩინ-ორდენზედა
ივერიის დამწუნებელს ჭირი მოუდეს კარზედა
ქართველი ხალხის დამღუპველს ცეცხლი ეკიდოს ტანზედ
თვის ტომის დამწუნებელსა ავი მოუდეს თავზედა.

საქართველოს ისტორიას ბევრჯელ უნახავს ავია

ბევრჯელ მას შემოსევია ლანგი თემურ ან და სხვაია
შენ დაემატე წყეულო და სჭამ როგორცა სვავია
მაგრამ იცი უბედური საქართველო უკდავია.

შენ დაუდევი სარჩულად შიში შეიქმს სიყვარულსა
და ამისთვის შემოიღე საწამებელი ყოვლისა
ავსა კაცსა ავი საქმე ურჩევნია სულსა გულსა
შენ ხომ ავებში სწერიხარ გული გაქვს შენ სატანისა.

შენ არ გეგონოს ბინძურო ისტორიას სწერს ბერია
ის ხომ სულით ჯალათია სისხლითაცა გამძღარია
როდესაც შენს ნამუშევარს გამოაკვლევს მკლევარია
მაშვინ ხომ ყველა იტყვისა ვინ იყო საზიზღარია.

მოვა დრო და ჯაჭვსა გასწყვედ ამირანო მიჯაჭვულო
მაშვინ შენ რა გეშველება იოსება ჯუღაშვილო
შენ ჯალათო სისხლის მსმელო შენ იუდა გამყიდველო
წყევლა კრულვით მოგიგონებს მომავალი საქართველო.

იოზ.-ტი ოს.-თი ნოკტომბერი 1945 წელი.

დაბრუნება გადასახლებიდან

იოზ-ში ჩავედი 21 სეკტემბერს 1944 წლისა აქ გვინახულა ბესარიონ ჟღენტმა დეკემბრის 10ს 1944 წლისა მერმე თებერვალში, მესამეხელ ივლისში და მეოთხეხელ ოკტომბერში 1945 წლისა. ყოველთვინ რჩებოდა ჩვენთან სამი-ოთხი დღე და ეს მაძლევდა ცოტა შეღავათს. ჩემში დაიმსახურა უაღრესი პატივისცემა ბესარიონმა რომ ასეთ დროს არ გვივიწყებდა.

გაგვანთავისუფლეს დეკემბრის 18ს. და წამოვედით სტ.-ში სადგურზედ ჰად.-ფ.-ში.შეგვხდა ისევ ჩვენი მოხუცი ბესარიონი და იქვე დაგვხდა სანდრო და ვიკტორ ხომუკი და წავედით ბინაზედ.

სტ.-ში არიან ბევრი ქართველები მაგრამ ამაზედ მერმეთ. აქ ჩამოვედით 23 დეკემბერს 1945 წელსა.

24 დეკემბერი სტ.-ლი ოს-თ. 1945 წელი.

რა ვნახე სტამპოლში ოს-თი

ბევრი დაკვირვებია და დაფიქრების შემდეგ შეუდექი რა ვნახე აქ. უნდა გითხრა მე კი არა მტერსაც გაუკვირდება ის რაც აქ მოხდა რომ გაიგოს. ქართველი სოც.-დემ. და ქათველი დემ.-ტი იყო ცნობილი თავის პატიოსნობით სხვის უბედურობას თავის საქმეთ აგდებდა. სხვა რომ თავის ბედნიერებას სხვის უბედურობაზედ აგებდა იმას ყოველივე შესაძლებლობით ებრძოდა და ამჟღავნებდა. მაგრამ მენაღარიშვილმა ეს ყოველივე უკუღმა გადაატრიალა თავის ბედნიერება (როგორც თვითონ ფიქრობს) სხვის უბედურებაზედ ააგო. ქართველი სოც. დე.-ტი. იყო ჩვეული პასუხისმგებლობის სადაც ეს მოსახერხებელი იყო იქ მქნიდა ამას. ეს იყო ციხე-ციმბირეში და თუ სადმე იქ სადაც საჭირო იყო. მაგრამ აქ სტამბოლში ამას კაცი გაექცეს ეს ვერ წარმომიდგენია. სხვას ვინ კითხავს მე ვარ პასუხისმგებელი. ხომ უნდა ეგო ვიღაცას პასუხი. ვინ არის ეს ვიღაცა ალახმა იცის. მე ასთე (მინდა?) მე მოცეს ფულები სხვას ვინ კითხავს როგორც მსურს ისთე დავხარჯავ. სხვა ვინ არის მე ჩემი ოცდაათი წლის ნამუშევარი გავინაღდე სხვამ როგორც უნდა ასთე ქმნას. გაცოცხლდა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“. „ქვეყანა ვნახე უძაღლო შიგ გავიარე უჯოხო“. აი ასეთია მუხაღარის მორალი. როგორც წინათ ვსთქვი მე ჩამოვედი სტ. 1944 წლ. 28 იანვარს ჩამომყვა ხუსეინ ხინიკაძე (ქართ. მფსალ.) სანდროსან აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდი რომ საჭიროა საქართველოში წასვლა. გერ.-ბმა გადმოგვცეს ყოველივე საჭირო მასალა როგორც სამხედრო ესთე ფულათ „ჩერკონცები“. ფულად იყო მილიონ ხუთას ოთმოცდა ხუთი ათასი მანეთი. 1,565,00 მანეთი. 158500 ჩერკონეცი. ხუთ ჩერკონეციანი და ათ ჩერკონეციანი. ბერ.-ში გერ-მა გერ-მა წამიკითხა სანდროს გაგზავნილი „დოსიე“. რემეგტონზედ დაბეჭდილი. რუსულად. რომ ბიჭები შეურთდენ პატარებს (ისანდერ მეგრელიძე ვარდენ ჩივაბუა და კერესელიძე) და სანდროსან აქვენ სისტემატური კავშირი რადიოთი.

ჩვენი წასვლა არ მოხერხდა და იძულებული გავხდით ეს იარაღი მიგვეტანა ერთ პასუხისმგებელ თურ.-თან. ჩვენ მეგობრებთან. ფული დავიტოვე და იყო ჩემთან ერთი დიდი ჩამოდანით. მერმეთ ჩვენ იო-ში წასვლისას ჩავაბარე ბესარიონს. ბესარიონმა კი ჩამაბარა 1946 წლ. თებერვალში უკლებლად ერთი ფურცელიც არა აკლდა. აგვისტოს პირველ რიცხვებში ოს.-თი სწყვეტს კავშირს გერ.-სთან. გერ.-ბი მიდიან ჩვენ დავრჩით. ამ დროს გერ.-ბი გვაბარებენ კიდევ იარაღს და მასთან ფულს. ფულათ იყო მილიონ რვაას ათასი მან. (1,800,000მან.) ე. ი. 180000 ჩერკონეცი. ათიანი ხუთიანი. ეს ყველა კიდევ იქ მივიტანეთ. და დავაწყვეთ გასაღები კი დარჩა სანდროს. მასთან ერთად გერ.-ბმა გადასცეს სანდროს სამუშიერათ თურ.-ლი ლირები. 130000ლირა. ას ოცდაათი ათასი ლირა. გამომშვიდებობის დროს ეს ამბავი გადმომცა ვე-მა და ვატ.-მა. ისინი წავიდნენ ჩვენ დავრჩით. სანდრომაც დაადასტურა რომ კარგათ მოგვეპყრენ.

სტამპოლში დავრჩით 182ეკტ. მერმეთ კი გაგვაგზავნეს იო.-ში როგორც გერ-ბის პასპორტეების მქონე. ჩამთან წამოვიდენ ხინიკაძე და ერიკა. მე არ შეუდგები იქაურ მდგომარეობის აღწერს მხოლოდ ვიტყვი შემდექს. ბერ.-დამ რომ მოვდიოდი გერ.-მა მითხრეს რას თხოულობს აქენად მენაღარი ხალხს, იქ ლაგერებში ბევრია ქართველები და შეეცადეთ მათი გამოყვანა და მოიხმარეთ საქმეზედო. ეს მე გადავეცი სანდროს, მან მითხრა რომ არც ერთი კაცი არ არის აქ ქართველი თორემ მე მეტყოდენო. მაგრამ ეს ვერსია არ გამართლდა. ჩვენ იო.-ში ჩასვლისთანავე ვნახეთ ქართველები. თავის ნებით გადმოსულები საძღვაეზედ ყოფილი ჯარისკაცები. რიცხვით 62 კაცი.

ჩვენ ჩუმი კავშირი აღვადგინეთ მაგენთან. ვინაიდან მთავრობა არ გვაძლევდა ნებას. რამოდენიმე წერილის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გავიგეთ ყველაფერი როგორც მათი სულის-კვეთების ისთე მგდომარეობის შესახებ. დეკემბრის 10 ჩამოდის ჩვენთან ბესარიონ იგივე სიმონ. ჩვენ გადავეცით ამბავი როგორც ჩვენი ისთე იმ ბიჭების შესახებ.

რამოდენიმე წერილები და მათი სია გამოვატანეთ სანდროსთან. (სია სრულად არ ვქონდა) მე ვწერდი სანდროს რომ გადაიდგას ნაბიჯი მათი მდგომარეობის გამოსარკვევათ. მეორეხელ ჩამოდის ბესარიონ ეს იყო თებ. 15 1945 წლ. და სანდროდან მოიტანა წერილი და პირადათაც გადმომცა რომ მიღებულია ყოველივე ზომა.

ივლისის პირველ ნახევარში ჩად(მ)ოდის ბესარიონ და გვეუბნება მასთან ერთად გადმომცა სანდროს წერილი რომ მოლაპარაკება დამთავრდა ჩვენდა სასარგებლოდ. თქვენ საშვალება გეძლევათ მათთან კავშირის დაჭერის და შეეცდებით მათან ყოველივე ურთიერთობა აღდგენილი იქმნება. ბესარიონ შედის „ვალთან“ და გადასცემს წერილს სტამარლიდან გამოტანებულს. მაგრამ მიიღებს პასუხს სანამ ჩემი უმფროსდგანი ბრძანება არ მიმიღია, მანამ უფლებას ვერ მოგცემთ მათთან ლაპარაკისო. ამ დროს მოდის დეპეშა ბესარიონის სახელზედ, სადაც იწვევს უკან. ჩვენ ვერაფერი გავიგეთ ვინაითგან მიწერ-მოწერის საშვალება არ იყო. არ გასულა 20 დღე ე. ი. აგვისტოს პირველ ნახევარში ეს ხალხი სხვებთან ერთად გადასცეს რუსებს.

ნოემბრის პირველ რიცხვებში ამოდის ბესარიონ და გადმოგვცემს რომ მოხდა საშინელი ამბავი ჩაიშალა ჩვენი მოლაპარაკება. ასთე დამარცხდა ჩვენი საქმე აქ.

მერმეთ გადის აგერ ხუთი წელი ეხლა ვიღაცა ქალმა დასწერა გაზეთში ის ამბები რომელიც გზა და გზა ნახეს მნახველებმა. ის საშინელი ტრაღედია და გაუგონარი ამბები. გაზეთი (Son Saat.) 15 აპრილს ნომერი 1950 წლ.

მერმეთ ჩვენ გაგვანთავისუფლეს და ჩამოვედით სტარპოლში. 23 დეკ. 1945 წლ.

ქართველ ლტოლვილთა დახმარება

ორიოდე სიტყვა.

ათი წელიწადია საქართველოს რკინის უღელი დაადო ბარბაროსულმა რუსეთმა. ყველასათვის ცნობილია ქართველი ერის წამება. დიდის სიმხნით იტანს ჯოჯოხეთურ წამებას ჩვენი ერი.

1924 წლის ამბოხების შემდეგ ლტოლვილთა რიგები არ ჩერდებოდა. აქ სტამბოლში ჩვენს მთავრობას ჰყავდა არა აფიციალური წარმომადგენელი, რომელიც მეტ-ნაკლებად ეხმარებოდა გამოქცეულებს და მათ ლტოლუწყობდა საფრანგეთში გადასვლას.

ორი წელიწადი სრულდება არა ოფიციალური წარმომადგენელი მოხსნა ოსმალეთის მთავრობამ. ამასთან ერთად ჩვენმა მთავრობამაც შესწყვიტა თავისი დახმარება. ჯერ ვერ გაგვიგია რისთვის. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ საქართველოში ცხოვრება აუტანელი შეიქმნა, და ლტოლვილთა რიცხვი შემცირების მაგიერ, გაიზარდა.

დახმარება არსათ ჩანს, არც ფულის და არც სამუშაოს აღმოჩენის. ამ წელს ლტოლვილების სახე უფრო საყურადღებოა, რადგან წინეთ თუ ასე თუ ისე პოლიტიკაში ჩაბმულები გამორბოდნენ, დღეს გამოქცევა სტიქიურია და მომეტებულათ გლეხები არიან, რომლებიც საქართველოში უმამულოთ დარჩენ და დევნილნი იყვნენ.

სამწუხაროთ, ასეთ მდგომარეობის დროს ყოველივე დახმარება შეაჩერა ჩვენმა გულგრილმა ემიგრაციამ და დღეს აქ როცა ოსმალეთში ქართველი ლტოლვილები განიცდიან საშინელ წამებას და მათ ავიწყდებათ თავიანთი წამება კომუნისტურ სამოთხეში განცდილი.

ჩვენ ამის მნახენი ვართ და გული გვტკივა. მდგომარეობა მწვავეთ არის. ჩვენ ვერ აგვიტანია, რომ ჩვენ თვალწინ დაიხოცონ ქართველები. ჩვენი ენერღია ყველა ზომებს ღებულობს, მაგრამ რას გავხდებით? მათი დახსნა თურქეთის ციხიდან ხერხდება ჩვენი თავდებობით; მაგრამ ამდენ ხალხს, ბინა, საზრდო სჭირია. აი ამის გამო შემოიკრიბნენ აქაური ძველი ემიგრანტები და გადაწყვიტეს, სიტყვით და არა საქმით, არა თავიანთი მოღვაწეობის შეწირვით, შემოიკრიბოს დახმარება იმ ქართველებისთვის, რომლებიც მირბიან მრავალ რიგობით.

ერთი ორი მოვღვაწეობდით დღემდის. დღესაც 22 იანვარს, კრების შედეგათ ის მოჰყვა, რომ კიდევ იგივენი დავრჩითამ საქმეს და დანარჩენებმა მარტო ტეორიების წამოყენებით დაითბუნეს ხელები. ქართული საქმე ყოველთვის ასეთია. კრებამ ბახი-ბიხით დამხმარი კომიტეტის გამგეობა აირჩია, დამხმარ წევრათ დაასახელა ზოგიერთი ქართველები და უცხონიც, და სწორათ რომ ვსთქვათ დაგვავალა ამ პირებისგან შემოგვეკრიბა დახმარება და ამით გაათავა მან თავისი საქმე და მოვალეობა. მადლობელი ვართ მათი პატივისცემისათვის და ჩვენ მაინც ძველებურათ განვაგრძობთ ჩვენს მუშაობას ლტოლვილების დასახმარებლად. გამგეობაში დაინიშნა ატაშედ ვარდიძე თავმჯდომარეთ, და ამხანაგათ ნესტორ მაღალაშვილი და ოლგა?

გუდუშაური. მოურავათ, ესე იგი ლტოლვილების მეთვალყურეთ და ზოგიერთ საქმეების მოსაწესრიგებლად პოლიციაში, ფრანგების საკონსულოში და ლიგაში კოლია მასხარაშვილი, როგორც წინეთ იყო დაყენებული მდივნის მიერ ჩვენი მთავრობის თანხმობით. აქ არ ღირს დავასახელო დამხმარი წევრების სახელ-გვარი, რადგან ამათში ორი-სამის გარდა, არცერთმა არ გამოიღო დახმარება, თვით მცირედი.

ეს, როგორც კრებამდის ვამბობდი, ფორმალიზმია და უბრალო კომედია. დავრჩით ფაქტიურათ მომქმედნი, ისინი ვინც წინეთ ვიყავით, მე და კოლია, და ოდნავ გვეხმარება ნეტორ მაღალაშვილი, რომელიც მალე გაინაბება ზღარბსავით.

ამ შენიშვნის შემდეგ მოვიყვან აქ იმ დახმარებას, რომელიც შემოვკრიბეთ და მოვახმარეთ ლტოლვილებს.

სტამბოლი იანვარი 1930 წელი

პ. შ.ვ.

მოგონებანი ავთანდილ არსენის-ძე ურუშაძისა დაბადებული 1890 წელს 10 აგვისტოს ქ. ლანჩხუთში

… ბავშები ვთამაშობთ და მოდის ერთი შავწვერა კარგათ ჩაცმული კაცი. გვეკითება, ვისი ხართ, ბავშებო, მას ახლავს ერთი პატარა მოწაფე კვიროს წილოსანი. იმან უთხრა, ეს არის არსენა ურუშაძისო, ავთანდილ ჰქვია სახელადო. ამ კაცმა ამოიღო ჯიბიდან კამპეტი და მომცა, მითხრა: - გინდა, ბიძი, სწავლა? მე ვერ უპასუხე რამდენი წლისა ვარ. კვიროსიმ უთხრა, - მეშვიდეში არისო. სწორეთ დროა, შემოდგომაზედ მივიღებთ სკოლაშიო. აბა ბიძი, მამა-შენს უთხარი, რომ მასწავლებელი იყო და სკოლაში წამოდი, მითხრა-თქვა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. გავიქეცი ჩემ უმფროს დასთან და უთხარი, როგორც იყო საქმე. მე არ ვიცი, სკოლაში წასვლა უმფო მიხაროდა, თუ კამპეტი. 1897 წლის სეკტემბის 1-ს მიმიყვანა მამაჩემმა, სწორეთ იმ კაცთან, რომელიც უწინ თამაშობის დროს ვნახე.

მამა ჩემმა მითხრა, ეს არის ნასწავლი კაცი, უჩიტელი არსენ წითლიძეო. მეორე კაცი გამოვიდა, ეს არის კიდევ უჩიტელი კირილე წილოსანიო.

ესენმა მომეფერეს და მომცეს კამპეტი. ხვალ გამოგზავნეთო, მამა-ჩემს უთხრეს. მეორე დღეს დავიწყეთ სწავლა… არსენ და კირილე გვასწავლის. ასთე განვლო ერთმა წელმა. მეორე წელს ე.ი. 1898 წელს არსენი გადაიყვანეს სამეგრელოში, ძველ-სენაკში. მისი ადგილი დაიკავა კირილემ ე.ი. ზედამხედველმა. ვინაიდგან სკოლის შენობა ცოტა იყო, ჩვენ გადაგვიყვანეს კერძო სახლში. აქ მოვიდა მასწავლებლად ბარამიძე. იმისთანა შენს მტერს, ჩვენ დღე დაგვადგა. ამ კაცმა ისთე მოგვეპყრა, რომ კინაღამ სული ამოგვართვა. გვცემა, გვქიჩა, რა არ გვიქნა, დაჩოქება ხომ სანატრელი იყო. იძახდა: – თქვენი სისხლი უნდა დავლიო. ასთე, რომ რაც სათუთად გამოვიარეთ წინა წელი, ამან ყველა წაგვამწარა. ორ თვეს გაგრძელდა ჩვენი წვალება, მერმეთ ის გადაიყვანეს სხვა განყოფილებაში. ჩვენთან მოვიდა მიხეილ ჯიბლაძე. ამან ცოტა საშვალება მოგვცა, დაწყნარებულიყავით. როგორც მასწავლებელი, არაფერი ბედაური იყო, მაგრამ როგორც ადამიანი, არა უშავდა. 1899 წლის გაზაფხულზედ მიხეილი გადაიყვანეს სხვა სოფელში და ჩვენთან მოვიდა გრიგოლ ურატაძე მასწავლებლად. გრიშა ძალიან კარგი იყო.

1899 წლის სეკტემბერში უკვე აშენდა ლანჩხუთის ორ-კლასიანი შენობა. იქ დავბინავდით ყველა ხუთივე განყოფილება. მე უკვე მესამე განყოფილებაში ვარ, გრიშა არის ჩვენი მასწავლებელი. მეოთხე განყოფილებაში შეიქმნა ერთი აურზაური. იქ იყო მასწავლებლად ის ბარამიძე. ერთმა მოწაფემ დაარტყა მასწავლებელ ბარამიძეს. ეს კაცი იყო მასწავლებელი თუ მაწვალებელი, არ ვიცი. ბარამიძე გადაიყვანეს სადღაც. მის ადგილზედ მოვიდა ვლადიმირ ქუთათელაძე.

1900 წ. მეოთხე განყოფილებაში ვარ, კიდევ მასწავლებლად იგივე გრიშაა. სამღვთო სჯულში მოვიდა მღდელი ეპიფანე ჩხაიძე, კაცი კულტურული და განათლებული.

1901 წლის სეკტემბერში უკვე მეხუთე განყოფილებაში ვარ. მასწავლებლად არის ვლადიმერ ქუთათელაძე, სამღვთო სჯულში – ეპიფანე. ესთე ხშირათ მოდის კირილე და სხვასხვა საგნებს გვამაცადინებს. ხშირათ მოდის გრიშა. ის დაინტერესებულია. ჩვენ ვართ მისი ყოფილი მოწაფეები და ხშირათ ნასადილევს დაგვიბარებს, გვიკითხავს და გვიხსნის სხვადასხვა მოთხრობებს, როგორც ილია ჭავჭავაძის: „გლახის ნაამბობი“ და ისთე ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს: „მოსე მწერალი“, „სიმონა“, „ქრისტინა“ და სხვა. 1902 წელს მაისში გავათავე ორი კლასი. ამავე წელს, სეკტემბერში, ლანჩხუთში გაიხსნა სამოქალაქო სასწავლებელი, მოსამზადებელ მასწავლებლად არის ივანე კალანდაძე, კაცი ძალიან ენერგიული. 1 სეკტემბერს გვიქმნეს გამოცდები;

ჩავაბარეთ და მასწავლებლად დაინიშნა გიორგი ჭუმბურიძე. ინსპეკტორათ კი ვიღაც რუსი „ერმახი“, ნამდვილი პირ-წავარდნილი „რუსოფილი“. დაგვდევს მოწაფეებს და თუ ვინმემ დაილაპარაკა ქართულათ, იმას სჯის. უნდა გველაპარაკა რუსულად; მეორე წელმა ვერ ჩაიარა მშვიდობიანათ. 1904 წლის აპრილში ვიღაცამ დახია ნიკოლოზ, მეორეს სურათი. ამას მოყვა არალეგარული კრება გლეხების, სადაც დახვდა ხალხს უკან დაბრუნების დროს პრისტავი სტრაჟნიკებით და მოკლა ორი კაცი. 1. კოსტა ჩაჩავა 2. ესეფი ებრალიძე. მათ დამარხვაზედ დიდი ამბავი მოხდა; დიდმა ძალმა ხალხმა მოიყარა თავი და გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია. ამ საქმეზედ ჩამოვიდა გუბერნატორი თავის ამალით. ხალხი დასაჯა, ჩაუყენა ეგზეკუცია და მოგვადგა სკოლას. მოვიდა ჩვენთან; ორ უმფროს განყოფილებას მოუყარა თავი და მოგვთხოვა

დამნაშავები. ჩვენ - ბავშებმა რა ვიცოდით. გაჯავრდა, აირჩია ხუთი უმფრო წროვანებით უმფრო-სები და დაატუსაღა. ესენი იყვნენ: 1. ნიკიტა იმნაიშვილი 2. კვიროსი წილოსანი 3. იასონ ურუშაძე 4. დათა ზენაიშვილი და 5. აკაკი ჟღენტი. ჩვენ სკოლა დაგვიკეტა. ესენი წაიყვანეს ქუთაისის ციხეში და ხუთმეტ დღეს მერმეთ გაუშვეს.

ამ დღიდან იწყება ჩემი ოჯახში მუშაობა. მამა ჩემი ღარიბი გლეხი იყო და ცოტა დახმარებამ შეუმსუბუქა მდგომარეობა.

იწყება 1905 წლის რევოლუცია; გრიშა ურატაძე, ჩემი ყოფილი მასწავლებელი, თამაშობს მთავარ როლს ლანჩხუთის რაიონში. მისი დამხმარე ამ მუშაობაში, ასთე ვთქვათ, არიან შემდეგი პირები: 1. პართენ ებრალიძე 2. ნიტიფო ებრალიძე 3. ზოსიმე ჯორბენაძე 4. ზოსიმე მენაღარიშვი-ლი 5. სიმონ ორაგველიძე 6. ბიკტორ ჭედია 7. ქიშვარდი იმნაიშვილი და სხვები ბევრი. ზოსიმე ჯორბენაძე, როგორც ნასალდათევი და იმ დროს უნტერ-ოფიცერი, დაინიშნა ლანჩხუთის რაიონის წითელი რაზმის უმფროსად. გურიის მაშტაბით მუშაობს ბენია ჩხიკვიშვილი, გიორგი მურვანიძე და სხვები. გურიის წითელი რაზმის უმფროსად დაინიშნა პორუჩიკი დათიკო ქარ-ცივაძე - „მეჩონგურე“. 1924 წელს აგვისტოში დახვრიტა ბოლშევიკებმა.

ეს მოძრაობა ერთობის სახელწოდებით არის. ერთობის კაცი თუ არ ხარ, ძალიან ცუდი კაცი ხარ, აი, ასთეა საქმე. ებრძვიან როგორც მთავრობას, ესთე თავად-აზნაურობას და სამღვდელობა-სა, ამაზედ იყო ხალხური ლექსი.

გურიის აჯანყებულს აღარ მოსწონს ძველი წესი, არც თავადი, აზნაური, არც მღვდელი და არც ხუცესი. გაუკეთეს ყველა მთავრობის დაწესებულებებს ბოიკოტი. იქ ხალხი არ დადის; შემოვიდა სახალხო სამსჯავროები. უნდა ითქვას რომ მომჩივან - მოპასუხე ყველა ემორჩი-ლებოდა ამ წესს. შეებძოლენ თავად-აზნაურობას და სამღვდელოების აღვირ ახსნილ მდგო-მარეობას. თავად-აზნაურობას გადაუწყვიტეს მიწის ღალა მეშვიდედი, ნაცვლად მესამედ– მეოთ-ხედისა. სამღვდელოებას ზედმეტი ხარჯები აუკრძალეს, როგორც დრამა ფული და სხვა. მთავ-რობა შეშფოთდა და გამოსცა 17 ოკტომბრის მანიფესტი. მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა მოძრაო-ბის ხელმძღვანელები. მოძრაობა გაფართოვდა. არსენ წითლიძე მუშაობს და თამაშობს მთავარ როლს სამეგრელოში.

1905 წლის დამლევს დამარცხდა რევოლუცია რუსეთში და ამან გამოიწვია საშინელი რეაქცია ყოველგან. კერძოთ, დასავლეთ საქართველოში დამსჯელ რაზმის უმფროსად დაინიშნა გენერალი „ალიხანოვი“. გურიის დამსჯელ რაზმის უმფროსად - პოლკოვნიკი „კრილოვი“. კრი-ლოვმა გადასწვა ოზურგეთი და ნახევარი გურია. ოზურგეთის მაზრის უმფროსად დაინიშნა ვიღაც „ერმალოვი“. ლანჩხუთის რაიონის პრისტავათ - „მიქიაშვილი“. ყველგან ჩააყენეს ეგზეკუ-ციები. კაზაკები საშინელ როლს თამაშობენ; რევოლუციის ხელმძღვანელები – ზოგი დაიჭირეს, ზოგი გაიქცენ. მაგალითად დაიჭირეს ბენია ჩხიკვიშვილი. გრიშა ურატაძე იმალება. ბათომიდგან ჩამოვიდა გურიაში კარლო ჩხეიძე. 17 ოკტომბრის მანიფესტით უნდა მომხდარიყო სახემწიფო დუმის არჩევნები. ეს არჩევნები მოხდა და საქართველოდან პირველ დუმაში გაიგზავნა თავისი წარმომადგენლები: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილის მეთაურობით 7 დეპუტატი.

პირველი სახელმწიფო დუმა აღმოჩნდა მთავრობისათის მიუღებელი და ეს დუმა მთავრობამ გარეკა... კერძოთ, გურიაში დადის მთავრობის დამსჯელი რაზმები. 1906 წლის შემოდგომაზედ ე.ი. ოკტომბრის დამლევს, სადგურ ჯუმათში დაეცენ მატარებელს და გაძარცვეს. როგორც ამბობ-დენ, ეს პროვოკაცია მოაწყო პრისტავმა მიქიაშვილმა. გამცარცველები აღმოჩდენ ლანჩხუთლები–

ვიღაც ბოლქვაძე და სხვები. ამაზედ ჩამოაყენეს ეგზეკუცია, როგორც კაზაკები, ისთე ჯარის ნაწილები. ატრიადის ნაჩალნიკად იყო ვიღაც პოლკოვნიკი „ტალმაჩევი“.

ჯარის ნაწილები შეუსიენ ხალხს; დადიოდენ სოფელ-სოფელ და ძვარცვიდენ ხალხს. კერძოთ, საწყალი მამა ჩემსა შეაჭრეს წელზედ ვერცხლის ქამარი. სცარცვით რომ გული იჯერეს, მერმეთ ნაჩალნიკმა თავი მოუყარა ხალხს და გამართა სოფლის ყრილობა, და მოსთხოვა ერთობის ხელმძღვანელები. ხალხმა უპასუხა, ჩვენ არავითარი ხელმძღვანელები არა გვყავს, ჩვენ ყველა ვართ ხელმძღვანელებიო. ამ სიტყვის გადაცემა მიენდო კირილე მგელაძეს, რომელმაც თავის დავალება პირნათლათ აასრულა.

ამაზედ გაჯავრდა ატრიადის უმფროსი და ხალხი დაატუსაღა ერთი მოსახლის ეზოში. შიგ ჩაუშვა თავის ხალხი და თვალით ათვალიერებდენ, ვინ იქნებოდა აქ ხელმძღვანელები. ამ რიგათ, ამოარჩიეს რამოდენიმე კაცი; უმფრო ახალგაზრდები გამოიყვანეს და სცემეს, დაატუსაღეს ცალკე სახლში. მაგრამ არაფერი გამოდგა. ერთ დღეს და ღამეს ყავდათ ხალხი დატუსაღებული. გამთენიეს გამოუცხადეს ხალხს, რომ თქვენ ხართ დაშტრაფული 10,000 მან. ათი ათას მანეთად. ეს ეხლავე უნდა შემოიტანოთ და გაძლევ 24 საათს ვადას. ჯარის შესანახი დღიური 200 მანეთი ერთი თვის. ე.ი. 6,000 მან. სულ 16,000 მან. თექვსმეტი ათასი მანეთი.

ეს არც ადვილი თანხა იყო, მაშვინ, ისთე მოკლე დროში, როგორც ბრძანა უმფროსმა. მაგრამ აქ აღმოჩნდა მამასახლისი ნიტიფო წილოსანი, კაცი ძალიან ენერგიული და პატიოსანი. იმან სთქვა, თუ ეს ჯარი მოგვცილდება, ჩვენ ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ რამენაირათ გავისტუმროთო. დღიური ხარკი, რომელიც ჯარს სჭირდებოდა, ეს საქონელი გამოჰქონდათ ადგილობრივ ვაჭრებიდან, და ეს ადვილი იყო, ამის გადმოტანა ხალხზედ. თუ გაიგებდენ, რომ არ გადიხადეს, კიდევ ჩამოაყენებდენ ეგზეკუციას. საქმე იყო, ის ათი ათასი მანეთი. სხვა და სხვა საშვალებით მოახერხა მამასახლისმა წილოსანმა სესხება და გაისტუმრა. ეგზეკუცია წავიდა; ხალხი დარჩა დარბეული. ამაზედ იყო ხალხური ლექსები:

„ათას ცხრაას ექვსა წელსა
ლანჩხუთს მოხდა საქმე დიდი;
ჯუმათს პოეზდი გასტეხეს,
ჩვენ ვყოფილვართ ამის ქურდი.
ატრიადის ნაჩანიკმა
წყრომით დაგვიქნია ქუდი;
ყველა ერთად დაგვატყვევა,
მართალი ვართ ახლა ბრუნდი.“

– – – – -- – – – -- – – --- –

ათასი თუმნით დაგშტრაფა,
ფეხიც არ მოგვაცვლია.
დღიური ხარჯი ოც დუმნის,
ჩქარა ზედ მიგვათვლია.
მეთაურები მოგვთხოვა,
უთხართ არ გაგვაჩნია,
ყურით არ გაგვიგონია.

– – – – -- – – – -- – – --- –

ტალმაჩევ ჯარით მოვიდა,

ყველას უქადის დახჩობას;
ბერიძე, ჩვენი მგელაძე,
უბოძა ამხანაგობას.
- - - - -- - - -- - - --- -
და სხვა.

1907 წელს მოხდა მეორე დუმის არჩევნები. აქაც საქართველოდან წავიდენ შემდეგი პირები:

1.ირაკლი წერეთელი 2. არჩილ ჯაფარიძე 3. სევერიანე ჯუღელი 4. ჭოლა ლომთათიძე და სხვა.

ეს დუმაც არ აღმოჩნდა მთავრობისათვის მისაღები და გარეკა. ქართველი დეპუტატები კატორღაში გაგზავნა. ლანჩხუთში კი ბდღვინავს პრისტავი მიქიაშვილი. ივნისში 1907 წელს მას ესროლეს თოფი და დააცილენ; ამაზედ დაარბიეს ქალაქი და კერძო მოსახლენი. სტრაჟნიკებმა მოკლა გიმნაზიის მოწაფე 18 წლის ყმაწვილი მაქსიმე კვირკველია.

ხელმეორეთ ესროლეს თოფი აცანის გზაზედ. აქ მოკლეს ერთი სტრაჟნიკი „რუსი“. ამაზედ მოუყარეს ხალხს თავი და მოსთხოვეს დამნაშავენი. პრისტავმა არ დაინდო არც ქალი და არც კაცი: - იტირეთ გველის წიწილებოო, იძახდა გამწარებული პრისტავი.

ქალებმა იტირეს და დააყოლეს:

„ძმაო რუსო, ძმაო რუსო,

რა გიტირო, რომ არ მსურსო“!

ამოარჩია პრისტავმა უმფრო ახალ - გაზრდები და უბრძანა:- ეს მკვდარი უნდა გაასვენოთო. ოზურგეთში გაგვაყოლა სტრაჟნიკები და უბრძანა:- თუ ვინმემ ფეხი გადადგას, იქვე მოკალითო.

მკვდარი წავასვენეთ მაღალ ჯუმათში. რომ ჩავედით კანცელარიასან, იქ წინ იჟდა ორი კაცი, ერთი მასწავლებელი ბილიხოძე და მეორე დარჩია. სტრაჟნიკები ჩამორჩენ უკან და მოკლეს ეს ორი კაცი. ჩვენ მიგვატოვეს და გაიქცენ ოზურგეთისაკენ. ჩვენ რა ვქნათ, ძალიან ცუდი პირობები არის. მაგრამ აქ აღმოჩდენ ისეთი ვაჟკაცები, რომ სთქვეს:- ჩვენ გავასვენოთ მკვდარი და ჩავიდეთ ოზურგეთში, ვნახოთ; არც ერთმა ფეხი არ გადავდგათ, ვისაც ძალიან ეშინია, ისინმა უკან დაბრუნდესო. მეთაურობა გასწია ოქრობილ სტორონჯაძემ. ამ რიგათ, წავედით წინ. სტრაჟნიკები ასულან ოზურგეთში. აქ მაზრის უმფროსისათვის უთქვამთ, რომ გზაში დაგვხვდა ყაჩაღები და ჩვენ დიდი სროლის შემდეგ გამოვიქეციოთო. მაზრის უმფროსად იყო ვიღაც „ზაკუსოვი“ კაცი აუცილებლად უმფრო პატიოსანი, ვინემ სხვები. ის წამოვიდა თავის ამალით და შეგვხვდა სუფსის პირად. მის განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ნახა, მკვდარს მოვასვენებდით. იკითხა, რაშია საქმეო. მაშვინ წინ წამოდგა იგივე სტორონჯაძე და უთხრა, რაშიც იყო საქმე. მან მაშინვე დაატუსაღა ის სტრაჟნიკები. ჩვენ მოგვეპყრა ზრდილობიანათ. ამ რიგათ ავედით ოზურგეთში. იქ კი ყველა გაგვანთავისუფლა და გვითხრა, წადით სახლშიო.

1908 წელს მოხდა მესამე დუმის არჩევნები. აქ მთავრობამ შეკვეცა ამომრჩეველთა სია. მაგრამ მაინც ჩვენებმა გაიმარჯვეს. ტბილისის გუბერნიიდან გავიდა კარლო ჩხეიძე, ქუთაისის გუბერნიიდან – ევგენი გეგეჭკორი. ამ დუმამ დაყო ოთხი წელი და დაასრულა თავის მოვალეობა. დუმას მუშაობამ და საერთოდ ჩვენების ენერგიულმა მუშაობამ ხალხს შეუმსუბუქა თავის გაჭირვებული მდგომარეობა. დღეს გამოდის ერთი გაზეთი, მას მთავრობა კეტავს და ხვალ მეორე გამოდის და ასთე დაუსრულებლივ. ასთე რომ მუშაობა არ შეწყვეტილა; ხალხმა ეკონომიურათ წელში გაიმართა, მას დაურჩა უფასო დამცველი. პრესამ ცოტათ თუ ბევრათ დააშინა მოწინააღმდეგენი

და ხალხი წელში გაიმართა. თუ ვინმე-ვინმეს გლახას უგდა, ის პრესაშია გამოჭიმული. ამან ძალიან იმოქმედა ყველა ფენებზედ. ამ რიგათ მიდის მუშაობა. 1910 წელს შევედი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. როგორც სრულწლოვანი მიმიღეს. ამ დღიდან უკვე სხვა მდგომარეობა შემექმნა. ხშირათ მავალებენ პარტიულ საქმეებზედ მუშაობას.

1912 წელს მოხდა მეოთხე დუმის არჩევნები.

ტბილისიდან გავიდა კარლო ჩხეიძე. ქუთაისში დამარცხდა ევგენი გეგეჭკორი. მის ადგილას გავიდა ვიღაც „გელოვანი“. ბათომის და სუხუმის ოლქებიდან გავიდა აკაკი ჩხენკელი. ეს მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდგან მოხდა ომი; 1914 წელს ივლისის ბოლო რიცხვებში ჰორიზონტზედ უკვე აღმოჩნდა ომის ხიშტები, რომელმაც კატასტროფიულათ წავიდა წინ და დაიწყო საერთაშორისო მობილიზაცია, მოხდა სათადარიგო ჯარის ნაწილების. გაიწვიეს ყველა, ვინც იყო ჯარში ნამსახური 25 წლ.-43 წლამდე. რუსეთი დარჩა მოკავშირეების მხარეზედ - ე.ი. ინგლის-საფრანგეთის. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. კაცობრიობა არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზედ, თავის გაიტანა რამოდენიმე ჯგუფმა. ომმა შეარყია ყოველივე, რაც იყო. კერძოთ, ჩვენს პარტიაში შეიქმნენ, როგორც აბარონცები, ისთე პარაჟენცები. რუსეთი გაება ომში გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთდან. მე პირადათ არ მიწევს ჯერ-ჯერობით ჯარში წასვლა, ვინაიდგან მამის ერთი შვილი ვარ. და თანახმათ მაშინდელი კანონისა, ვითვლები მეორე ხარისხოვან სათადარიგო ჯარის-კაცათ ე.ი. მწვანე ბილეთიანს ეძახდენ. 1914 წლის სეკტემბერში შევირთე ცოლი.

ამ წლის დეკემბერში ოსმალეთი თავს დაესხა რუსეთს და გამოუცხადა ომი, კერძოთ, ჩვენ ქვეყანას. ეს საშიშროება არის, ვინაიდგან ყველა ქართველები მიყავთ რუსეთის ჯარში. ხდება კანტი-კუნტი მობილიზაციები. გაიწვიეს უმფრო ახალგაზრდები.

1915 წლის აგვისტოში მოხდა კიდევ დამატებითი მობილიზაცია ეგრეთწოდებული წითელბილეთიანების, გაიწვიეს 40 წლამდი და ახალგაზრდები 18 წლამდი.

ომი ქუხს, მუშათ ხელი ჯარშია გაწვეული, ხალხში კრიზისი ჩამოვარდა; თითქმის სანახევროდ შიმშილობაა. დაარსდა სხვა და სხვა ორგანიზაციები ხალხის დამხმარე. 1916 წელში აგვისტოში მოხდა კიდევ დამატებითი მობილიზაცია ყველა კლასის - როგორც ახალ-გაზრდებისა 18 წლიდან 43 წლამდე. არც მწვანე ბილეთი შველის და არც თეთრი. აქ მეც ვეღირსე ჯარის-კაცის ფარაჯის ჩაცმას. ჩავედი ბათომში. გამაწესეს 221 სათადარიგო პოლკში, აქვე ბათომში. აქ ბევრი ჩემი ამხანაგები მსახურობდენ. მოვედი შტაბში და გამაგზავნეს ქ. ფოთში. ფოთში იყო ერთი ბატალიონი მესამე. აქ ჩამრიცხეს 12 როტაში; ჩემი ნაცნობი არ აღმოჩდენ და დავრჩი მარტო. ესთე ქართველები ბევრი იყო. აქ როტის უფროსათ იყო ქართველი... ..ლბეცაშვილი, ..ითი... „პარუჩიკი“. მაგრამ ქართულს არ ლაპარაკობს. გავიცანი მისი ცოლ-შვილი, ორი მშვენიერი ბავშვები ყავს და ქართველი ქალი. სახლშიდ მივედი მისას; ქალი ლაპარაკობს მშვენიერ ქართულს და ვკითხე: თქვენმა ქმარმა თუ იცის ქართული თქვა? როგორ არა, ჩვენ სახლში ქართულად ვლაპარაკობთო. ერთ დღეს მიბარებენ ბატალიონის კანცელარიაში, მივედი. იქ დამხვდა ბატალიონის უმფროსი „ნაუმოვი“ და ოთხი როტის უმფროსები. ჩემი როტის უმფროსმა მითხრა:– თქვენ ოთხი კაცი, იქ კიდევ სამი ჯარის კაცი, მიდიხართ ბელიკლუჩში უნტერ-ოფიცრების სკოლაში, იქ არიან ჩვენები თვენახევარია; დარჩა თვენახევარი, რომ ჩააბარონ ეგზამენები. თქვენ ოთხი კაცი მიტომ აგირჩეთ და გაგზავნით იქ, ჩახვიდეთ უნდა და იგენს დაეწიოთ და კიდევაც გაასწრათ; აქ ჩამოხვალთ ნოემბრის პირველ რიცხვებში. უნდა ეცადო, რომ უმფროს-უნტერ-ოფიცრათ მოხვიდე, თორემ ჩემთან ვერ გამოცხადდები. მე უთხარი, რომ ჩემი ხელობა სამხედრო სამსახური არ არის და არ

მინდა წავიდე. მაშვინ მან გაიცინა და მითხრა რუსულად, აქ არის სამხედრო დაწესებულება. ვინც მოვა, ის ამ წესს უნდა დაემორჩილოსო, აქ არ არის სოც.-დემ. პარტიაო. გაიცინა და სთქვა, რას იზამ?? დავმორჩილდი. მეორე დღეს წავედით. ოკტომბრის დამლევს მიქნეს ეგზამენი, ჩავაბარეთ. მომცეს უმფროს-უნტერ-ოფიცრის ხარისხი. მე არ ვიცი, ეს ჩემი ბიჭობით მოხდა, თუ რაიმე მოსწერა ჩემმა როტის-უმფროსმა. ამ რიგათ ჩამოუძეხი 24 კაცს, ზოგი უნცროსი უნტერ-ოფიცერი იყო და ზოგიც ეფრეიტორები. ჩამოვიყვანე ქ. ფოთში ბატალიონის შტაბში. იქ იყვნენ ოფიცრები, დამხვდა ჩემი როტის უმფროსი და დაიწყო ტრაბახი: – ხომ ვსთქვი, ურუშაძე ჩამოვა უმფროს-უნტერ-ოფიცრის ხარისხითო. მივედი როტაში; იქ დამხვდა ბევრი ახალმოყვანილი ჯარის-კაცები, ახალ-გაზრდები და ხნიერები. დამხვდა ნიტიფო ღლონტი და ბევრი ჩემი მეზობლები.

მეორე დღეს მივედი უმფროსთან და ვსთხოვე შვებეულება და მან მითხრა, ეხლა სამი დღით მოგცემ შვეულებასო და საახალწლოთ ერთი კვირითო. მადლობა უთხარი და წავედი სახლში. დავბრუნდი და ჩავიბარე პირველი „ვზვოდი“. ერთ დღეს ბაზარში ვარ, ქალაქში წასული. ჩემ მეგობარ სიმონ ორაგველიძეს „კიოსკა“ ქონდა და იქ ჩუმათ გაზეთებს ვკითხულობდი. ჯარის კაცს არ ქონდა ნება გაზეთის კითხვის. ჩამოვედი როტაში და მომვარდა ნიტიფო ღლონტი, მითხრა: – ალექსანდრე ჯორბენაძე დაიჭირესო, ქუხნაში მუშობდა დღეს და იქ ხორცი შეუჭამიაო. ამი-სათვის ასამართლებენ. როტის უმფროსი ბათომშია წასული, მივედი მის მოადგილესთან; იმან მითხრა, რომ დამნაშავეა და უნდა დაისაჯოსო. დაჟდა პრაპორჩიკები და გადაუწყვიტეს 6 როზგი ხორცის შეჭმისათვინ. გავიქეცი ბატალიონის უმფროსთან, უთხარი რაშიც იყო საქმე და დავძინე, რომ ეს რომ მოხდეს, ქართველები გაიქცევიან ამ ტყეში და მერმეთ უმფრო ვარესი იქნება-თქვა. იმან ხელათ წამოვიდა; მივედით იმ დროს, როდესაც მწკრივი დაწყობილია და ჯორბენაძე მოყვანილი. ბატალიონის უმფროსმა გასცა განკარგულება, რომ მოეხსნათ და შეუცვალა 6 დღით კაზარმაში მორიგეობა. ბატალიონის უმფროსი იყო „ოჩამჩირეში“ გაზრდილი, მეგრულათ ლაპარაკობდა, ბაღნობას ესწავლა.

1917 წლის იანვარში სამი დღით წავედი სახლში სადგურ-ლანჩხუთში შემხვდა პართენ ებრალიძე და მითხრა, რომ ნამდვილად ეხლა იყავი საჭირო და ქეც მოდიო. ჩვენ პარტიის კონფერენცია ხდება ჯუნჯუათში; რამენაირათ ამეღამ და ხვალ საღამოს ყარაულად გაგვიჩერდი სადგურშიო, რომ რაიმე ხიფათი არ მოგვივდესო, მეც დავთანხმვდი და დავრჩი. სახლში არც წავსულვარ. ამ დროს ჩამოდის ბათომის მატარებელი; მას ჩამოყვა ნიკიტა იმნაიშვილი, ისიც ჯარში იყო ბათომში. იმასაც უთხრა და ორთავე დავრჩით სადგურში. მერმეთ ნიკიტა ხშირათ ამბობდა: - თქვენ იცით ჯუნჯუათის კონფერენცია, მე იქ ვიყავიო; რავაც მე არ ვყოფილვარ, არც ის ყოფილა.

20 თებერვალს მომცეს 15 დღის შვებულება და წავედი სახლში. 27 თებერვალს მოხდა რუ-სეთში „რევოლიუცია“. გადავარდა ნიკოლოზ მეორე. ოჰ, რა სიხარული, რა აღტკინება გამოიწვია ხალხში. მე მთხოვეს ცოტა ხანს დარჩენა ადგილობრივათ, რომ წესრიგი დაგვეცვა. მოვიდა ზო-სიმე ჯორბენაძე, ჩამოვიდა დიდი-ხნის დევნილი თეოფილე მუხაშავრია. წავედით, განვიარაღეთ ადგილობრივი მთავრობა. მის მაგიერ დააყენეს ახალი. შედგა აღმასრულებელი კომიტეტი. რა სიხარული რა მშვენიერება იყო ეს დღეები. მე მივიღე დამატებითი შვეულება 20 დღის და ვეხმარებოდი ადგილობრივ. არც კი იყო საჭირო, ხალხი თვითონ იცავდა წესრიგს. მერმე წავედი ნაწილში მარტის დამლევს. აქ ხომ ყველა სიხარულში იყო, ცოტა მოწყენილობა ეტყობოდა ოფიცრებს; ესენი ვერ გამოერკვენ, რა მოხდა, რისთვის მოხდა, რისთვის უხარია ხალხს. ვნახე ჩემი

როტის უმფროსი; ეხლა მან მშვენივრათ იცის ქართული. ჩემს შეკითხვაზედ, რატომ უწინ არ ლაპარაკობდი ქართულს-თქვა, მან მიპასუხა,– მაშვინ სხვა დრო იყოვო.

მაისის პირველ რიცხვებში მივიღე დეპეშა, ჩემი ერთად-ერთი ბავში ძლიერ ავათ არისო. წავედი, მაგრამ შენს მტერს, აღარ დამხვდა ცოცხალი ჩემი „კუკური“, ასე ვეძახდი. ამ ამბავმა ძრიელ იმოქმედა ჩემზედ; მომიწამვლა გული. გადამავიწყდა, რაც სიხარული და კარგი დრო გავატარე.

20 მაისს წავედით ფრონტზედ. ჩავედით ტრაპიზონში; ერთხელ ვიყავ ნამყოფი რამოდენიმე დღით, 8 თვის ადრე. აქ შემხვდა ჩემი ძველი მეგობარი ბიკტორ ჭედია. ბევრი ვისაუბრეთ. ძალიან კარგათ არ ... აქედან წავედით ეზერჟანის მიმართულებით. მივედით დანიშნულ ადგილას; 14 ტურკესტანის პოლკში გამაწესეს, 1 როტაში. ჩემთან არიან კიდევ ჩემი მეგობრები ნიტიფო ღლონტი, ესეფი წილოსანი და სხვები. პოლკში შემდგარია როგორც პოლკის, ისთე როტის კომიტეტები. აქ პოლკის კომიტეტის თავმჯდომარეთ არის ბოლშევიკი ნიკოლოზ ოკუჯავა. გავიცანი ოკუჯავა და მითხრა, გუშინ აქ იყო სარდიონ მენაღარიშვილი. ქუთაისიდან საჩუქრები მოგვიტანაო. მე ძალიან შევწუხდი, მინდოდა ნახვა, მაგრამ წასულიყო. ბევრი ვიდავეთო, ის მენშევიკი, მე ბოლშევიკი, მაგრამ მაინც ვნახეთ საერთო ენაო. ამ რიგათ მიმდინარეობს ჩვენი საქმე. ჯარში არ არის არავითარი ექსცესები; ყველგან, სადაც გავიარე, წესრიგია, მაგრამ საიდგანაც გამოჩდა შავი ღრუბლები: რუსეთში ჩამოვიდენ ლენინი და მისი ამხანაგები. ესენმა დაანთო ცეცხლი, შეიტანა საშინელი არევ-დარევა. დაიძახა:- ძირს ომი, გლეხებს მიწა, მუშებს ქარხნებიო. შეუგნებელი მასსა წამოეგო ამ ანკესზედა; გუშინ რომ წესიერება იყო, დღეს არევ-დარევა არის. პოლკის კომიტეტში მითხრეს, აქ იყო ერთი ქართველი ოფიცერი კაპიტანი გრიგოლ უჩაძე, ენერგიული და პატიოსანი, პარტიულათ „ესერი“. მაგრამ ეხლა წავიდა თბილისშიო, რადგანაც ბევრ-ხელ იყო დაჭრილი და გადარიცხეს რეზერვშიო. ეს უჩაძე იყო მერმეთ სოჩის რაიონში „ზელიონების“ უმფროსად. მე გავიცანი შემდეგ საფრანგეთში ემიგრაციაში.

ოკუჯავასთან ხშირათ შეხლა-შემოხლა ვქონდა მე და ღლონტს, მაგრამ თავდებოდა უმფრო კეთილი მეგობრობით. ის განათლებული კაცი იყო, ჩვენ კი საწყალი მუშები. აქ იყვნენ კიდევ ქართველი ოფიცრები, რომლებმაც პოლიტიკის არაფერი იცოდენ: პორუჩიკები პეტრე კასრაძე და იაკობ შელია, პრაპორჩიკები ბალანჩივაძე და სხვები. ბალანჩივაძე მერმედ მოგვიკვდა ტრაპიზონში სნარიადების საწყობის აფეთქების დროს. ჩვენ რაც შგვეძლო ძალ-ღონეს არ ვშურავდით, რომ ჯარის-კაცები არ წამოგებულიყვნენ რაიმე ანკესზედ. სეკტემბრის პირველ რიცხვებში ოკუჯავამ მითხრა, შენ ერთი ამხანაგით წახვალ თბილისში, რუსეთის დამფუძნებელ კრების ადგილობრივ საარჩევნო კომისიის დავალებით, იქიდან წამოიღებ ბიულეტენებს. კი ხარ მენშევიკი, მაგრამ რას იზამო. სხვა არავინ არის, რომ რამე გაეგებაო. გამაყოლეს ერთი რუსი. ეს რუსი ესერობდა, რომ წავედით. თბილისში რომ ჩავედით, უკვე გაბალშევიკვდა და ოკუჯავას მიემატა ერთი წევრი. თბილისიდან დავბრუნდით პოლკში. მოხდა არჩევნები. ჩვენს პოლკში უმეტესობა მიიღო „ესერებმა“, მეორე რიგში გავიდა „მენშევიკები“. . . ტრაპიზონისაკენ.

ერთ პატარა ქალაქს არდასას დაუახლოვდით; ბიჭები მომღერიან. ამ დროს მორბის ერთი ქართველი ჯარის-კაცი და გვითხრა: - არიქა გვიშველეთ, აქ რუსები გენერალ ართმელაძეს სამოსულს უკეთებენო. ჩვენ არ დავაყოვნეთ, გავიქეცით, მივედით. შესულა გენერალი ართმელაძე ზემლიანკაში. შეუტანია კარაბადინი და იქიდან ესვრის. აქედან ბრძოლა დგას; ზემლიანკას უშენენ თოფს. ჩვენ ბრბო გავფატეთ და დაუმახეთ ქართულად: - ჩვენ ვართ ქართველები, გამობრძანდით. მან მიხვდა, ვიღაცა დამხმარე მოვიდენ; ართმელაძე გამოვიდა, ჩაგვეხვია ყველას,

ტირილი წასდა და გვითხრა: - ამ უნიფხო-შვილებს თავს დავსტრიალებდი, როგორც კარგი მამა; ეხლა კი მკლავდენო. ის მოვიყვანეთ ჩვენთან; ნახა ყველა ჩვენები. ტიროდა უხაროდა, რომ ქართველებს აქვს უნარი წესიერებისო. ის მერმეთ არ მოგვცილებია.

ამ რიგათ ჩამოვედით ტრაპიზონში. ქალაქს რომ დაუახლოვდით, საიდანაც მოვარდა ბიკტორ ჭედია; მომაშურა და მითხრა: - ბიჭო, შენ ხომ ხარ ჭკუაზედო? - მე გამეცინა და უთხარი: – რაშია საქმე? მან მიპასუხა: - რამოდენიმე ათი-ათასი კაცი, აქ. ვინ იცის და ყველა გაგიჟებულია, არც ერთთან არ ილაპარაკება, ქართველებიც მათ შორის არიანო. ნახა გენ-ლი ართმელაძე და სხვა ოფიცრები. ჩვენ გადარიცხული ვართ მესამე ქართულ პოლკში. ჩვენთან დროებით პოლკის უმფროსად დაინიშნა კაპიტანი კაპანაძე. გზაში შეგვხდა, სხვა პოლკიდან მოდიოდა. ჩვენ ჩავედით ტრაპიზონში 1 იანვარს 1918 წლისა საღამოს, ვიშოვეთ ბინა.

ბიკტორმა წაგვიყვანა მასთან გენ-ლი ართმელაძე და მე. გვიამბო ყველაფერი, რაც იცოდა. ჩვენც ჩვენი მხრიდან უამბეთ, რაც ვიცოდით და მოგვიხდა. მეორე დღეს ბიკტორმა მოახერხა, გენ-ლი ართმელაძე გაეშვა ბათომში.

ბიკტორმა დაიწყო მუშაობა. შევადგინეთ ქართული სამხედრო საბჭო. რომლის თავმჯ. ავირჩიეთ ბიკტორი და თავმჯ. ამხანაგათ ახალ-გაზრდა პორუჩიკი ცაგარელი, რომელიც მოკ-ლულ - იქმნა გემ „კარლ-კარლოს“ აღების დროს. ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეთ არის ბოლშევიკი ბესარიონ კვირკველია, წევრათ მამია ორახელაშვილი, კაცი ყოვლად პილწი. აქ კიდევ ჩამოვიდენ საქართველოში ნიადაგ დაკარგული ბოლშევიკები: ბუდუ მდივანი და კოტე ცინცაძე. ასტეხეს ერთი კორიანტელი; არ დაინდვენ არავინ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ხომ არის რეაქციონური და მასთან ყველა, ვინც მას მხარს უჭერსო. და სთქვეს, ვინ არის ეს ქართული სამხედრო საბჭო, ალბათ, ესენიც კონტრ-რევოლუციონერები იქმნებიანო. წამოგვისიეს რუსის ბანდა, მოუწოდეს ქართველ ჯარის კაცებს, ჩამდგარიყავით მათ რიგებში. არც ჩვენ გვეძინა, ჩვენც შევარდგინეთ თავ-დაცვის რაზმი, რომლის ხელმძღვანელათ დავნიშნეთ ერთი ფელთვებელი გამრეკელი. ყოფილი დეპოს მუშა-ოფიცრის დანიშვნა არ შეიძლებოდა, ვინაიდგან გამოიწვევდა პრავაკაციას. და მეორეთ, რომ თვითონ ოფიცრები იყვნენ ძალიან დაში-ნებულნი. უნდა ითქვას, რომ გამრეკელმა თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მერმეთ ის მოკლულ იქმნა სომხის ფრონტზედ. კოტე ცინცაძე დანიშნეს სამხრეთ-აღმოსავლეთის შავი-ზღვის კომისრად, მის ხელში დარჩა ყველა პარახოდები, რომლებიც იდგნენ ტრაპიზონში და არე-მარე პორტებში, ანდა ჩამოვიდოდა რუსეთიდან, სხვა პორტებიდან.

მატროსების უმრავლესობა მიემხრო ბოლშევიკებს. კოტემ შეადგინა მატროსების რაზმი, რომლებმაც დაიჭირა პრისტანი. ბოლშევიკებმა გამოგვაცხადეს კონტრ-რევოლიუციონერებათ. არც ერთი პარახოდი არ მივსცეთო. ისინი დარჩებიან აქ, ანდა ფეხით წავიდენო. ტრაპიზო-ნიდგან-ბათომამდე 300 კილომეტრზედ მეტია. არც გავლა არის ადვილი; ჩამოვიდენ თურქების ჯარის-ნაწილები და მასთან თურქების ხალხმაც იშოვა უპატრონოთ იარაღი. დაეცემოდენ ჩვენ ჯარის ნაწილებს და ანიარაღებდენ. ამ გზაზედ შეიქმნა ძალიან ცუდი მდგომარეობა; სამხედრო საბჭოში მოვიდა პოლკოვნიკი ყარალაშვილი. იმან შეადგინა 2 ქართული პოლკი და განაცხადა: – ვინაიდგან ბალშევიკები არ გვაძლევენ პარახოდს, მე ჩემი პოლკით წავალ ბათომშიო. ამაზედ ბიკტორმა უპასუხა: – ნუ აჩქარდები, ეგება რაიმე მოხერხდესო. ჩვენ ვაგზავნით კაცს ბათომში და თუ კი რაიმე მოხერხდება და საშვალება იქმნება, მოვაწყოთო. საბჭომ ამოირჩია ორი კაცი ბათომში წასასვლელათ, თვითონ ბიკტორი და მე. იქ გაგვეკეთებია რაიმე და დაგვხმარებოდენ შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასახსნელად. წავედით, ჩავედით ბათომში. იქ გვითხრეს:–

ჩვენ არაფერი შეგვიძლია. ნეტავი თქვენ, რაიმეს დაგვეხმარებოდეთო. აქ ისეთი შექმნილი მდგომარეობაა, რომ აგერ წაგვლეკავენო, თბილისის ფრონტიდან დაბრუნებული რუსის-ჯარიო, და ჩვენც ძალიან ომიანობაში ვართო, რომ ტრაპიზონის ნაწილები არ მოგვადგეს კარზედო. რას იზამთ. დავბრუნდით უკან და ჩავედით ტრაპიზონში. ეს ყველაფერი ბიკტორმა ჯერ უთხრა საბჭოს, ვინაიდგან არ შეშინდენო და მან სთქვა, ჩვენ ამ მოკლე დროში მივიღებთ დახმარებასო.

ტრაპიზონში, შვა ქალაქში, არის ერთი მოედანი; ერთ დღეს ბოლშევიკებს მოუწყვია მიტინგი. ამ მიტინგზედ საშინლად გაილაშქრეს როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის, ისთე ბათომის საბჭოს წინააღმდეგ და კერძოთ, ჩვენი ქართული საბჭოც არ დატოვეს. ამ მიტინგზედ უყურებენ ქართველებიც. გამრეკელი მეკითხება, ვინ არიან ესენიო? მე ვუპასუხე, ესენი არიან ქართველი-ბოლშევიკები. საქართველოში რომ ვერაფერი გააწყვეს, ეხლა აქ ჩამოვიდენ, რომ რუსებმა დააქციონ ჩვენი ოჯახი-თქვა.

გათავდა მიტინგი, ჯარის-ნაწილები წავიდ-წამოვიდენ, თავ-თავის ხელობის გასაგრძელებლად ე.ი. ყოველ დღე და ღამე პაგრომს ახდენდენ. როგორც მშვიდობიან მცხოვრებლებზედ, თურქებზედ და ბერძნებზედაც. ძვარცავდენ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა და აიკლეს ყველაფერი. ერთ დღეს მივდივართ ჩვენ საქმეზედ; საწყობებიდან გამოგვაქვს საქონელი და ვაწყობთ პრისტანთან. ამ დროს იქიდან მოდიან ეს ქართველი ბოლშევიკები, შეგვხდენ; მე გამარჯობა უთხარი; ისინმა: – გაუმარჯოს კონტრ-რევოლუციონერსო, - დაცინვით. ამ დროს გამოვარდა ეს გამრეკელი და უთხრა: - ბედს აუყვანიხართ; არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო. ჩვენ ხომ ყოველივე სისაძაგლეს გვიშობით, თუ კი რაიმე შეიძლება თქვენგან.

ცინცაძე გაცხარდა:- როგორ გვიბედავთ ამასო, შეიქმნა ერთი ალიაქოთი. მამია ორახელაშვილმა მიმართა თავის ბინძურ სიტყვებს. ის ხელად ჩააჩუმეს, აკანკალდა, შეშინდა; ჩამოდგა ბესარიონ კვირკველია, სცადა საქმის მოგვარება. ესენს ახლავს მატროსები. ისინმა ვერ გაერკვენ, რაში იყო საქმე. ჩვენებმა ისინი ხელათ გაანიარაღეს. ათი კაცი იყო. ისთე მოულოდნელი შეიქმნა ეს ჩემთვისაც, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. ბესარიონ მომვარდა და მეუბნება, რაშია საქმეო? მეც არ ვიცი, რომ ხედავ, ეს არის თქვა. კოტე იქაჩება და განიარაღეს, წაართვეს მაუზერი. გამრეკელი ეუბნება, ხომ ხედავთ, ეს თქვენი რუსები როგორ უყურებენ სეირსო. ამათი იმედი ნუ გაქვთო; მე და ბესარიონმა კიდევ ვცადეთ საქმის მოგვარება, დაშოშმინება, მაგრამ არაფერი გავიდა. ისთე შეშინდენ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ცინცაძეც ძალიან წახდა და მეუბნება, რა უნდათ მაგენსო. გამრეკელმა აღარ მაცადა და უთხრა: - რა გვინდა? ერთი, რომ პარახოდები გვინდა და მეორე, ქართველების გინებას თავი დაანებეთო, შეგვისრულებთ ამას, ხომ კარგი, არა და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაგხოცავთო.

მაშვინ ცინცაძემ სთქვა: - ეს გეთქვა, თქვენ კარგო-კაცებო, რაღა ჩხუბს ტეხავთო. გამრეკელმა უპასუხა: - თქვენთან უჩხუბრათ არაფერი გამოვავო. ცინცაძემ სთქვა: - პარახოდები დღეს მინდოდა თქვენთვის მომეცა, თქვენ კი ჩხუბი აგვიტეხეთო. - არა, ნუ სტყუი - უპასუხა გამრეკელმა, თქვენ ჩვენთვის არაფერი გინდოდათ, რომ მოგეცათ, მაგრამ ეხლა ძალას ხედავთ და ამას ემორჩილებითო. ამ დავაში შევთანმხდით, რომ ორ პარახოდს ჩვენ პრისტანთან მოიყვანდენ და შეგვეძლო ზედ დაჟდომა და ყოველივე ტვირთის დატვირთვა. მე წავედი საბჭოში და ბიკტორს უამბე, რაც მოგვიხდა; მან მითხრა:– არ მომხდარიყო კარგი იყო და რადგანაც მოხდა, ეხლა უკან დახევა აღარ შეიძლებაო. წამოვიდა თვითონ. მივედით. აქ კიდევ დავა არის. ეხლა არის დავა იმაზედ, რომ იარაღი დაუბრუნონ მატროსებს. ამაზედ ჩვენები ვარს ეუბნებიან: – ჩვენც კარგათ დაგვშენდება იარაღიო. მივედით. მოვიდენ ყველა ბიკტორთან, ეუბნებიან: – ეს შენი და ამის

მოწყობილია, დამადვენ მე ხელი. ჩვენ უპასუხეთ, ეს არის თქვენი მოწყობილი, თქვენ გამოიყვანეთ მოთმინებიდან და ეს არის, რაც მოხდა. ბუდუ ენას არ იღებს, ორახელაშვილი, ეტყობა ძალიან შეშინებულია. მერმეთ, დიდი დავის შემდეგ, ცინცაძეს დაუბრუნეს მაუზერი. მან აიღო და გადატეხა შვაზედ და სთქვა :- მე თუ ვინმე იარაღს წამართმევდა, არ მეგონა - არ ვყოფილვარ მაგის ღირსიო. მატროსებს არა შემთხვევაში არ მისცენ იარაღი და არც ჩვენ დავატანეთ ძალა. ამ რიგათ მოგვცეს ორი პარახოდი და ზედ ჩვენ მცველები დავაყენეთ.

დავიწყეთ ტვირთვა; დღე და ღამე ვმუშაობთ. ბევრი რაიმე კარგი საქონელი მედიკამენტები-- თუ სხვა - არ დაგვიტოვებია. ორახელაშვილმა აქ გამოიჩინა გულუხვობა: სადაც რა იყო, ყოველგან მიგვითითა; ის ექიმი იყო; საერთოდ ფრონტის ლაზარეთების გამგის თიკანაძის მოადგილეთ ითვლებოდა. ბევრი რამ იცოდა და ამით მოვახერხეთ შეძენა, რომელიც მერმეთ გადაეგზავნა თბილისს და სხვა და სხვა ქალაქებს ბათომიდგან.

თითქოს ვათავებთ ტვირთვას უკანასკნელად, მივდივართ პრისტინისაკენ ერთი დროგით. წინ კუჩერი ზის და უკან მე და ოფიცერი ბალანჩივაძე ვზივართ; დილის 10 საათია, ძალიან კარგი დარია და უცაბედათ დაიქუხნა რაღაცამ, ამიღო მაღლა და მხეთქა მიწაზედ; ამავე დროს ჩემ გვერდით დაეცა ბალანჩივაძე; შევხედე, თავი მოღლეტილი აქვს. აგერ ყვირის ჩვენი კუჩერი. მივირბინე, ბღავა. არ ვიცი, რა მოხდა, მხოლოდ რაღაც უბედურება რომ მოხდა, ეს კი ვიცი. მოვკიდე ამ ბიჭს ხელი, წავიღე გზის პირისაკენ; გზა აქ ზღვის პირას იყო, აქედან მაღალზედ. ზღვის პირი კი დაბალი იყო და ქონდა თავშესაფარი; ამან მომცა საშვალება, რომ ამომეფარებია კოდმისათვის. ამ დროს გავიგონე: - ვაი, დედაო, ძახილი. მივირბინე, აღმოჩნდა დაჭრილი პარუჩიკი პეტრე კასრაძე. კიდევ გავიგონე ყვირილი; აღმოჩნდა ოფიცერი ვალოდია ჩიგოგიძე, ხელი წაეწყვეტა. იქით-აქეთ სირბილში მოუყარე თავი 15 კაც; მაგრამ სად, მიხვალ, ქუხს ყოველივე, თითო-თითოდ ვაჩოჩე ქალაქისაკენ, კოდმე-კოდმე.

დილა იყო, დაბნელდა ყოველივე. ამ რიგათ მივედი ახლოს ქალაქთან. აქ შემხვდენ ნიტიფო ღლონტი და დათიკო რუხაძე. ესენმა დამეხმარენ და გავედით სამშვიდობოს. არ ვიცით, რა მოხდა. მხოლოდ გავიგეთ, რომ აქ პრისტანთან დიდი საწყობი იყო არტილერიის, სნარიადების და ეს საწყობი აფეთქდა. ააფეთქა ვინმემ, თუ ესე მოხდა, ვერ გავიგეთ. ესთე კი უმფრო ნამდვილია. უწესრიგობას ქონდა ადგილი. უწინ აქ პაპიროსის მოწევა იყო აკრძალული, ეხლა უპატრონოთ დარჩენილი, ვიღაცას დაუდევრობით აფეთქთდა. სამ დღე და ღამე ფეთქავდა და მერმეთ მივედით იმ ადგილას, სადაც ბალანჩივაძე დავტოვე მკვდარი, მაგრამ ვერაფერი კვალი ვერ ვნახეთ. ამ რიგათ დავკარგეთ 18 კაცი. ჩვენ დავიტვირთეთ და დავტოვეთ ტრაპიზონი და ჩავედით ბათომში ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ტრაპიზონი და მოდის წინ.

ბოლშევიკებმა შეკრეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან. კერძოთ, ოსმალეთს დაუბრუნეს მისი დაკარგული ტერიტორიები და ძღვნათ აჩუქეს ბათომის, ართვინის, არდაგნის და ყარსის ოლქები. შეიქმნა ახალი მდგომარეობა. ამიერ-კავკასიას დაუდგა ახალი საშიში მდგომარეობა, ერთი მხრით მოიცილეს რუსის გახულიგნებული ჯარი, მაგრამ ეხლა ოსმალეთი მოადგა კარზედ. კომისარიატს ჯარი არა ყავს. კერძოთ, ქართველები გაბნეული იყო რუსეთის სივრცეზედ. და ამის თავის მოყრა ისთე ადვილი საქმე არ იყო. ვინც მოვიდა, უმრავლესობა გახულიგანებული იყო. ჩავედი ლანჩხუთში. მეორე დღეს კრება მოეწვიათ ყოფილ ჯარის-კაცებს; მეც დამიძახეს. მივედი, მაგრამ რას მიხვალ, არიან კბილებამდინ შეიარაღებული, ყვირიან. თეატრის შენობაში არის კრება მოწვეული. აქ მოიყარეს თავი; იმუქრებიან, მათ არ იციან, რა უნდა ქმნან. მოვიდა ივანე კალანდაძე და სთქვა, რამენაირათ ჩვენი თავმჯდომარე ევირჩიოთ.

თავმჯდომარეთ ევირჩიეთ ივანე კალანდაძე, მდივნათ ნიკიტა იმნაიშვილი. ჩვენ ექვსი კაცი ვართ. 1. ივანე კალანდაძე 2. არონ ჩხაიძე 3. კვიროსი წილოსანი 4. არონ იმნაძე 5. სანდრო ფირცხალაიშვილი და 6. მე. ისინი კი 300 კაცს გადასცილდება. თავმჯ. ეკითხება: – რა გინდათ, ერთმა სთქვით. ისინმა სთქვა: – ჩვენ არ ვიცით, მოვა ეს და ეს კაცი, ის იტყვისო. ესენი თავისუფალ კაცს არ უშვებენ კრებაზედ, მხოლოდ ჯარში ნამყოფი უნდა იყოს, თუ არ აცვია ჯარის კაცის - ფარაჯა ეძახიან, „ვოლნი“ არისო. არა ის კაცი უნდა მოვიდეს. ჩვენ ვეწინააღმდეგეთ, ვინაიდგან ის კაცი „ვოლნი“ არის-თქვა. გავიტანეთ ჩვენი. და დიდი ვაი- ვაგლახის შემდეგ კრება დავშალეთ.

ოსმალეთის საშიშროება უკვე გამოჩდა. ოსმალეთმა მოითხოვა ზემო აღნიშნული ოლქების ჩაბარება. ამაზედ კომისარიატმა უარი განაცხადა. მაგრამ აღმოჩნდა შემდეგი: საჭირო იყო ამ ოლქების დაცვა. ყველა, მუსულმანი ქართველი იყო, თუ სხვა, აღმოჩნდა ოსმალეთის მხარეზედ. ლანჩხუთში ჩამოდის რაფიელ ჩიხლაძე. ის აკეთებს მოხსენებას საჯარო კრებაზედ და მოითხოვს რომ წავიდეს მოხალისენი. შედგა კომისია და შეუდგენ მოხალისენის შეკრებას; ყოფილი ჯარის-კაცები მოითხოვენ: - ჩვენ ვიბრძოლეთ, აწი კი სხვებმა იბრძოლონო. შედგა მოხალისენი, ჩაეწერენ მოხუცებულები. ამან ცოტა გავლენა მოახდინა ყოფილ ჯარის-კაცებზედ და წავედით ბათომში. იქ ჩამოვიდა ევგენი გეგეჭკორი. მან გააკეთა მოხსენება: – რაც უნდა დაგვიჟდეს, უნდა დავიცვათ ბათომიო. ჩვენ ჩაგვწერეს მეორე პოლკის 1 ბატალიონში და გაგვაგზავნეს ჩაქვის თავზედ. ბატალიონის უმფროსად მოვიდა რუსი კაპიტანი იუვკოვი. ეს ოფიცერი ჩამოყვა რუსეთიდან ირაკლი წერეთელს. როტის უმფროსებათ იყვნენ ახალ-გაზრდა ქართველი ოფიცრები, მაგრამ ძალიან დაშინებულები გავლილ მდგომარეობით. რამოდენიმე დღის შემდეგ მოგვიხდა შეტაკება ოსმალეთის ჯარის-კაცებთან. ჩვენ მოგვიკლეს ერთი ჯარის კაცი-კოდრათი ორაგველიძე და დაიჭრა რამოდენიმე. მაგრამ ოსმალეთის ჯარი გადავრეკეთ. ამ რიგათ მიმდინარეობდა მდგომარეობა.

ყველა ფრონტებზედ ბრძოლაა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბათომში შეკრებილი ჩვენი ჯარის კაცები არ აღმოჩდენ თავის სიმაღლეზედ. ისინმა ოსმალეთის ჯარის ერთი შემოტევით გაიქცენ და ნაწილი ჩავარდა ტყვეთ. ამით დაეცა ბათომი ასთე სამაცხვინოთ. 2 აპრილს ჩვენები მორბოდენ და გაიძახოდენ, გაგვყიდესო. ესენს გზაში შეხვდა ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი; ესენსაც ასთე უთხრეს: – გაგვყიდესო. მიუბრუნდა ირაკლი წერეთელი და უთხრა მათ: - ვინ გიყიდის, თქვენ გლახებო, თქვენში ვინ დახარჯავს ფულსო.

3 აპრილს ჩვენ შემოგვიტიენ და მოვიგერიეთ. შემდეგ გამოგზავნეს პარლამენტიორები და მოგვთხოვეს ჩაბარება, ვინაიდგან გზა მოჭრილი გაქვენო. ჩვენდა საბედნიეროთ, დილას მოვიდა ჩვენი პოლკის უმფროსი ყარალაშვილი. რაც უნდა დაგვიჟდეს, უკან დავიხიოთ და გავიდეთო. მას სამი ბატალიონი ბათომში ყავდა. ისინი გაიქცენ. გასცა უკან დახევის ბრძანება და წამოვედით; ორ ადგილას შეგვიკრეს გზა. მაგრამ გავარღვიეთ. ამ რიგათ დაუახლოვდით სად. ჩაქვს. ამ დროს ჩამოდის ჩვენდა დასახმარებლად ჩვენი „ბრონევიკი“ ვალოდა გოგუაძის მეთაურობით. ის დაგვეხმარა, თორემ ჩვენი გამოსვლა ძნელი იქნებოდა. ბათომიდგან წამოსულმა ოსმალეთის ჯარმა მოგვისწრო ჩაქვის წყალთან. გოგუაძემ გაუხსნა ცეცხლი, აქედან ჩვენ მივეხმარეთ, ოსმალეთის ჯარი გაიქცა. ბევრი მკვდრები და დაჭრილები დასტოვა. ოსმალეთის ჯარი არ იყო ჩვეული ბრონევიკის და რომ ნახეს, ცოტა დაფთხენ და დაათქვეს „შეითნ პოეზდი“. ჩავედით სად. ჩაქვში.

იქ ჩამოდგა მატარებელი დავიტვირთედ და ჩავედით ქობულეთში. აქ შეგვხდა გენ-ლი მაზნიაშვილი რამოდენიმე ჯარის-კაცებით, ესენი იყვნენ ხაშურლები. მეორე დილას ჩოლოქის

პირას ჩავედით და იქ დაუწყეთ სანგრებს კეთება; ორ დღეს დავრჩით აქ. ოზურგეთის კედვრით ისმის სროლა. ჩვენ მესამე დილას წამოგვიყვანეს ნატანების სადგურში და იქ ჩავსხედით მატარებელში და წავედით სად. სუფსაში. ჩავედით; იქ დავრჩით ერთი დღე; მეორე დღეს ჩავედით ლანჩხუთში; აქ კიდევ ერთი დღე გაგვაჩერეს. საღამოს სასწრაფოდ მოგვიყარეს თავი; წავედით აკეთისაკენ; იქიდან შევედით ნაგომარში. აქ შეგვხდენ 4 პოლკის ოფიცრები. ჩვენმა კითხა ამბავი და ისინმა სთქვეს: - დღეს ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ოზურგეთი, ამ საღამოს მოვიდენ ნასაკირალზედო.

ჩვენმა უმფროსმა ბრძანა, დაუყონებლივ ნასაკირალის დაკავება. – რაც უნდა მოხდეს, ნასაკირალი ავიღოთო. წავედით. მივდივარ, ერთი ოცეულით მზვერავათ, გავედი ბახვის წყალზედ. არაფერი ისმის. ასთე დილით მივედით ნასაკირალზედ, მაგრამ მტერი არ იყო. ისინმა შეგვიყვანა შეცთომაში. ძალიან შეშინებულები იყვნენ, ვინაიდგან არც-ერთი ჯარის ნაწილი არ იყო ამ მიმართულებით. ჩვენ დავიწყეთ თარეში გომას და ნასაკირალს შვაზედ, რომ მოგვეჩვენებია მტრისათვინ, აქ ყველგან ჯარი არისო. რამოდენიმე დღის შემდეგ ნატანების მხრიდან ჩვენებმა შემოუტიეს. ჩვენ მზვერავთ რაზმი წავედით ამბის გასაგებათ ახალ-სოფელში. შეგვხდა ფედარალისტების რაზმი გედევანისშვილის მეთაურობით. ჩვენ ერთად წავედით ვაშნარისაკენ. იქ იმ დროს მივედით, რომ მტერი უკან იხევდა და ჩვენებიც უკან წავიდენ. აქ მტერმა ზარალი ნახა; ჩვენი მხრითაც დიდი ზარალი იყო. უმეტესათ დაიხოცენ ჩოჩხათლები და ნიგოითლები. ჩვენ დავბრუნდით უკან. რამოდენიმე დღის შემდეგ მოდის ჩვენს ნაწილში ისიდორე რამიშვილი და ანანია სალუქვაძე. ისიდორე აკეთებს მოხსენებას. შემდეგ მოხსენებისა, ზოსიმე ფირცხალაიშვილმა ამოიღო ბოლშევიკების პროკლამაცია და გადასცა ისიდორეს.

პრაკლამაციაში ბოლშევიკები მოუწოდებდენ ჯარის-ნაწილებს, რომ დაეტოვებინათ ფრონტი და დახმარებოდენ სამეგრელოს და ლეჩხუმის აჯანყებულებს. ეს პირდაპირ პრავაკაცია იყო. ამით ბევრ ყოფილ ჯარის-კაცებს, რომლებიც მისდევდენ ბოლშევიკებს, პროვოკატორს აუხილა თვალი. ჩვენებს მიეცა საშვალება, რომ ემხილათ ბოლშევიკების შავი ძრახვები. ამის შემდეგ დიდი უმრავლესობა ჯარის-კაცებისა ჩადგენ ჩვენ რიგებში და პირნათლად მოიხადეს თავისი ვალი. როდესაც ოსმალეთი გვიტევდა, ბოლშევიკებმა მოაწყვეს აჯანყება დუშეთში, ოსეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, და შემოიჭრენ რუსეთიდან სოხუმის ოლქში. ნასაკირალზედ ყოფნის დროს მოგვიკლეს რამოდენიმე კაცი, ებრალიძე, ორაგველიძე და სხვები. რამოდენიმე ხანს შემდეგ ჩამოდის ნოე ჟორდანია. იმან დაათვალიერა ფრონტი და წავიდა უკან. უნდა ითქვას, რომ ყოფილი ჯარის-კაცები თან და თან ერკვეოდენ მდგომარეობაში: ამით შეიქმნა ერთ-ხანი წესრიგი. ბოლშევიკების პროვოკაცია ადვილათ დამარცხდა და შეიქმნა ჯარი. ჩვენ გადავიარეთ ახალ-სოფელში. იქ ყოფნის დროს მოგვიკლეს ერთი ახალ-გაზრდა ჯარის-კაცი კვიჭიძე. ახალ-სოფლიდან წავედით ჩოლოქის პირას. აქ ყოფნის დროს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 26 მაისს.

ჩვენ მთავრობას მიეცა საშვალება, რომ ზავი შეეკრა ოსმალეთთან. ოსმალეთის ზავი შეიკრა თანახმად „ბრესტ-ლისტოვკის“ ზავისა. ჩვენ წაგვიყვანეს ლანჩხუთში. აქ გაანთავისუფლეს 32 წლის ზედაული, ვინც იყო. ჩვენ გაგვაგზავნეს ბაღდადში. იქ იდგა 12 პოლკი. პოლკი შედგებოდა ახალ-გაზრდებისაგან. პოლკის უმფროსი იყო ვინმე სრესელი. აქ შემოეღენ ძველი წესები; მეტი მათ არ იცოდენ. ახალი არ იყო. ისჯებოდა ჯარის კაცი, თანახმათ ძველი წესისა. აყენებდენ „პოდრუჟიოთ“ თავის დრანცით. ამაზეთ ზოგიერთებმა ჩვენებმა გაჯავრდენ და

შეიქმნა ერთი აყალ-მაყალი. ჩვენ ვიყავით მივლინებული 12 პოლკზედ, როგორც სურსათ-სანოვაგის, ესთე ტყვია წამალი მათ უნდა მოეცა.

12 პოლკის უმფროსმა გასცა ბრძანება ჩვენი გამგზავრების აბასთუმანის მიმართულებით. არც სურსათ-სანოვაგე, არც სამხედრო მოწყობილება ჩვენ არ ვქონდა. ეს მას უნდა მოეცა. ჩვენ წავედით ზეკარის-ხეობით და რკინის ჯვართან შევეჩეხეთ მტერს. აქ გაიმართა ბრძოლა. ერთი დღის შემდეგ მტერმა უკან დაიხია; ჩვენ გავედევნეთ. მაგრამ არ გვაქვს საჭმელი. რაც გვქონდა ხელზედ სახლიდან წამოღებული, ის არის. მეორე დღეს ჩვენმა უმფროსმა აცნობა პოლკის უმფროსს, მაგრამ მან იმის მაგიერ, რომ სურსათ-სანოვაგე მოეწოდებია, გამოგვიგზავნა ქუთაისის მილიციის უმფროსი თავისი რაზმით, ვითომ ჩვენ ვიყავით გაბალშევიკებული ჯარის ნაწილი, იარაღ ასაყრელათ. ქუთაისის მილიციის უმფროსად იყო ვალოდია სულაქველიძე. მან თავის რაზმით იმ დროს მოვიდა, რომ ჩვენ გამბული ვიყავით ბრძოლაში. მაშვინ მან სთქვა: – ეს ჯარია, იარაღი კი არ უნდა აყარო, არამედ ის, რაც აკლია, უნდა მიეცესო. მან და ჩვენმა უმფროსმა იუვკოვმა ეს ამბავი აცნობეს გუბერნიის კომისარს გრიგოლ გიორგაძეს. გუბერნიის კომისარი გრიშა ურატაძის თანხლებით მოვიდენ ჩვენთან. გრიშა ურატაძე მიტომ წამოყვა, რომ ის ბევრს გვიცნობდა ამ ჯარში ხალხს და გაუკვირდა, რომ ესენი როგორ იქნებიან ბოლშევიკებიო. ბევრი ჩვენთაგანი იყო მისი პირადი მოწაფები. ისინი მოვიდენ ბატალიონის შტაბში. ჩვენ ცხარე ბრძოლა გვაქვს. მაგრამ ტყვია, რაც გვქონდა, თითქმის დაგველია ყველას. ბიჭებს აკერია პირზედ: - გვიშველეთ! ტყვია-ტყვიაო, – იძახდენ. საჭმელი დაგვავიწყდა, იმფერი მდგომარეობაა.

მტრის ჯარში ქართველი მუსულმანები იყვნენ. ისინმა გაიგონეს ეს და გადასცეს ოსმალებს ჩვენი გაჭივრება. ისინმაც დრო იშოვეს და შემოგვიტიენ. ჩვენ დავმარცხდით, სულ ვიყავით 300 კაცი; დავკარგეთ 90 კაცი. კერძოთ, ჩემ ოცეულში მყავდა 22 კაცი. მომიკლეს ორი-კოწია ფირცხალაიშვილი და ჯორბენაძე. დამეჭრა 8 კაცი: 8 კაცს 8 კაცი დასჭირდა წამოსაყვანათ. დამჩა 4 კაცი. ასევე მდგომარეობაა სხვა ოცეულებშიც. ჩვენ უკან დავიხიეთ იმ ადგილას, სადაც სამი დღის წინ დავიწყეთ ბრძოლა. მეოთხე დღეს გუბერნიის კომისარს მიეღო ზომები და მოგვივდა მჭადი. ძლივს ყლაპავდა ბიჭები, ისთე გამხმარი ქონდა ყორყი.

ჩვენ უკან წამოგვიყვანეს და გაგვანთავისუფლეს; სრესელი მისცეს პასუხისგებაში; მან განაცხადა: – მე მოვიქეცი თანახმად სამხედრო კანონისაო. აი, ასთე დამთავრდა ჩვენი საქმე.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენს უმფროს ოფიცრებზედ; ესენი ეკუთვნოდენ ბრწყინვალე წოდებას და ნიკოლოზ მეორეს ტახტიდან გადავარდნამ აუბნია დავთარი. ვერ გამოერკვენ, რა მოხდა, რისთვის მოხდა, რისთვის წავიდა ნიკოლოზი. გურიაში ცნობილ რეაქციონერ ნიკოკია თაყაიშვილის თქმით, აბა, რა დაემართებოდა, რომ წაიყვანა ჩვენმა ხემწიფემ ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და სხვებიო. ასთე ეგონა, რომ ეს ნიკოლოზმა ქმნა მისი კეთილი გულით; ასთე ფიქრობდა ყველა ესენი. ჩვენი ოფიცრობა მიჩვეული ქეიფს და დროს ტარებას, მხოლოდ თუ მიიღებდა ბრძანებას ზევიდან, იმას ასრულებდენ; მორჩა და გათავდა. თავის ინიციატივაზედ არ ფიქრობდა; ასთე გაზრდილი ხალხი დაიბნა, კიდევ გამოსცადა ბოლშევიკების „სამოსუდები“; შეშინდენ და დაფრთხენ და აი ასეთი ხალხის ხელში დარჩა ჩვენი ახალი ჯარის მოწყობა.

ჩვენ გვიყვეს დემობილიზაცია და ჩავედი სახლში ივლისის შუა რიცხვებში. 1918 წ. ეხლა სახლში დავიწყე მუშაობა. დრო გამოშვებით სხვა და სხვა ორგანიზაციებში მიხდებოდა მუშაობა. კერძოთ, ადგილობრივ სოც.-დემ. პარტიაში.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო გურიაში სახალხო გვარდიის მოწყობა. აქ კომიტეტის დავალებით მივიღე მონაწილეობა. შევადგინეთ ადგილობრივი სახალხო გვარდია. თბილისში კი

უკვე ერთი წელია, რაც არსებობს მუშებისაგან შემდგარი გვარდია. მათ ყავს მთავარი შტაბი ვალიკო ჯუღელის თავმჯდომარეობით. შტაბში შედიან მუშებში კარგათ ცნობილი მუშები: ალექსანდრე დგებუაძე, ვლადიმირ ჯიბლაძე, სანდრო მაისურაძე, ანანია სალუქვაძე და სხვები. და აი, ამათი მოწოდებით, ჩვენ შეუდექით გვარდიის მოწყობას ადგილობრივ. ოზურგეთში დაარსდა სამაზრო შტაბი 5 წევრით, ჩოხატაურში და ლანჩხუთში სამი წევრით. ოზურგეთის შტაბის თავმჯდომარეთ გავიდა ნიკოლოზის დროს დევნილი სერგო მათითაიშვილი. დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდა ლანჩხუთის შტაბის არჩევნები. შტაბის თავმრეთ–ექვთიმე ვადაჭ-კორია, მოლარეთ–მგელაძე და მე კი მდივნათ.

1918 წლის ნოემბერში გერმანია დამარცხდა, გაიმარჯვა „ანტანტამ.“ კერძოდ, ინგლისმა დაიკავა ის ადგილები, რომელიც ქონდა ომალეთს დაკავებული ყარსის, არდაგნის, ართვინის და ბათომის ოლქები. შეიქმნა ახალი-მდგომარეობა. ჩვენ საქმე მოგვარებული არ გვქონდა კარგათ. ჩვენ სანაპირო რაზმს თავს დაესხა სომხები. მივიღეთ სასწრაფო მობილიზაციის ბრძანება. არ დავაყოვნეთ, მოვახდინეთ მობილიზაცია. ჩვენი რაიონიდგან წავედით 220 კაცი. გურიიდგან შედგა ერთი ბატალიონი კაპიტან ვახო ცომაიას მეთაურობით და წავედით ფრონტზედ. მივიღეთ მონაწილეობა ომში; სომხები დამარცხდა. ჩვენ გუნდში მოგვიკლეს ორი კაცი - სულაბერიძე და მგელაძე. სომხები გაიქცენ, ჩვენ გავედევნეთ, მაგრამ გადაგვიდგა ინგლისელები და არ მისცა ჩვენ ხელმძღვანელობას წინ წასვლის ნება. შეიკრა ზავი. ჩვენ გვიყვეს დემობილიზაცია.

თებერვალში მოხდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. აქ სოც. დემ. პარტიამ გაიყვანა 102 დეპუტატი, 130 დეპუტატში, და მასთან მოხდა ყველგან საქართველოში ქალაქის ხმოსნების არჩევნები. სადაც ყველგან გაიმარჯვა საქ-სოც. დემ. პარტიამ. კერძოთ, ლანჩხუთშიც მოხდა არჩევნები ქალაქის ხმოსნების. სოც. დემ. პარტიამ 20 ხმოსანში 16 გაიყვანა. მეც მოვხდი ქალაქის ხმოსნად. ამავე დროს მოხდა ახალ-ციხის მუსულმანების აჯანყება ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ. ჩაიგდეს ახალ-ციხე ხელში და მიადგენ აწყურს. სასწრაფოდ მოხდა მობილიზაცია. ჩვენი ბატალიონი გაემგზავრა ახალ-ციხის ფრონტზედ. ლანჩხუთის რაიონიდგან წავიდა 180 კაცი. აქ მივიღეთ მონაწილეობა ომში. ისინი დამარცხდენ და გაიქცენ, ჩვენ გავედევნეთ; აქაც ფოცხოვის რაიონში გადადგა ინგლისელები და მოსთხოვა ჩვენებს, წინ წასვლა შეეჩერებიათ. რას იზამდენ, დათანმხდენ. ჩვენ გვიყვეს დემობილიზაცია.

სამხრეთ-რუსეთში დაარსდა მოხალისეთა არმია გენ-ლ დენიკინის მეთაურობით. დენიკინი კერძოთ, საქართველოსთან მტრულათ განწყობილებაში არის. მას არ სწამს რომელიმე რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზედ სახელმწიფოს არსებობა. ისინმა ჩვენს სანაპირო რაზმს თავს დაესხენ და წამოვიდენ წინ; აიღეს გაგრა და მოადგენ მდინარე ბზიბს, იქ ჩვენებმა გაუმართეს ბრძოლა; დაიბ-რუნეს გაგრა და მდინარე მეხადორზედ მიადგენ. აქაც ინგლისელები დახვთენ წინ; მოსთხოვეს ჩვენებს შეჩერება; აქაც დათანმხდენ.

ჩვენთან მოხდა მობილიზაცია და წავედით გაგრის ფრონტზედ. მე პირადათ დავრჩი ლანჩხუთში ადგილობრივ სამუშაოდ. ეს იყო აპრილში 1919 წლისა. სეკტემბერში მოახდინეს დემობილიზაცია და ჩვენებიც დაბრუნდა. სეკტემბერში მოხდა ყოველგან გვარდიის შტაბების არჩევნები. ოზურგეთის სამაზრო შტაბში აირჩიეს 5 წევრი: 1. სერგო მათითაიშვილი 2. მიხაკო ბაჯუნაიშვილი 3. რაფიელ ჩხაიძე და ორი სხვა. ლანჩხუთის შტაბის თავმჯდომარეთ ამირჩიეს მე, მდივნათ ალფესი ბარამიძე და მოლარეთ ევგენი იმნაიშვილი.

ნოემბერში 1919 წლის ბოლშევიკებმა მოახდინეს გურიაში შეიარაღებული გამოსვლები. დაეცენ ჩოხატაურს, ლანჩხუთს და სუფსას. მე საქმეების გამო წასული ვიყავ ოზურგეთში.

ლანჩხუთში სარაიონო და საქალაქო მილიციამ იარაღი დაყარა. შტაბმა კი გაუწია წინააღმდეგობა. ისინი გარეკეს. ხელ-ახლა აიღეს როგორც სარაიონო, ისე საქალაქო მილიციის სამართველოები. ჩვენი მხრით მოკლეს ისინმა ერთი გვარდიელი–კოლია რუსია. გვარდიამ აღადგინა იმავე ღამეს წესრიგი და დილას გაემგზავრენ სუფსის ასაღებათ. სუფსა ბოლშევიკების ხელში იყო, გარდა სადგურისა, სადაც იყო ჩვენი 6 გვარდიელი. ისინმა სადგურში არ შემოუშვეს. ამ დროს ჩამოდის გოგუაძის ბრონევიკი - „ასთე უწოდებდენ მას სახელს“ და ესენთან ერთად გასწმინდეს სუფსა. მხოლოდ ჩოხატაური დარჩა ორ დღეს ბოლშევიკების ხელში. ჩვენ დავატუსაღეთ 60 კაცი ბოლშევიკები და მივეცით სასამართლოში. სასამართლო დანიშნა მთავრობამ. პოლკოვნიკ ლექვინაძის თავმჯდომარეობით, კაპიტანი ბაქრაძე და სერგო მათითაიშვილი წევრები. მე, როგორც შტაბის ადგილობრივი თავმჯდომარე, მივეცი პასუხისგებაში ეს ხალხი. სასამართლომ გამოიტანა თავის განაჩენი; 12 კაცს გადაუწყვიდა სიკვდილით დასჯა, 15 კაცს სხვა და სხვა წლების ციხე, 15 კაცს ადმინისტრაციულათ დაჭენა ციხეში. დანარჩენი გაანთავისუფლა.

და ბოლოს თავმჯდომარემ დასძინა, ვისაც აქვს სიკვდილის დასჯა მისჯილი, მაშვინ მოვა სისრულეში, როდესაც მას ხელს მოაწერს ვინც - პასუხისგებაში მისცა ე.ი. ლანჩხუთის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ავთანდილ ურუშაძეო. ეს ჩემთვინ მოულოდნელი იყო. მე თუ ვიყავ მოსამართლე, მე უნდა გადამეწყვიდა ესენისათვინ სასჯელი და თუ სხვა იყო მოსამართლე, ისინს თავის-თავზედ აეღო პასუხისმგებლობა. ძალიან შევწუხდი: ერთი, რომ შედარებით ახალგაზრდა ვიყავ და ამხელა პასუხისმგებლობა ძალიან ძნელი იყო. მე ვაცნობე მთავრობას და ისინმა 9 კაცს შეუცვალა სასჯელი, 3 კაცი კი დახვრიტეს. ასთე დამთავრდა გურიაში ბოლშევიკების ცდა ძალაუფლების აღების.

1920 წელს იანვრის ბოლოს მოხდა მობილიზაცია, ჩვენს მთავრობას უნდოდა ბათომის ოლქის დაკავება. მაგრამ არ მოხერხდა და მოვახდინეთ დემობილიზაცია. მარტში უკვე აშკარა შეიქმნა დენიკინის დამარცხება. დენიკინი დამარცხდა; მათი ჯარი ზოგი საზღვარ-გარეთ წავიდა და ცოტა ნაწილმა საქართველოს შემოაფარეს თავი. ბოლშევიკები მოადგა ადერბეიჯანს და ჩვენს საძღვრებს. ჩვენში მოხდა სასწრაფო მობილიზაცია. ადერბეიჯანმა უსიტყვოდ ჩაბარდა ბოლშევიკებს და წითელი ჯარი მოადგა ჩვენ საძღვარს.

მაისის პირველ რიცხვებში მოხდა შეტაკება წითელ-ხიდთან ჩვენ ჯარს და წითლებს შორის, ადერბეიჯანის საძღვარზედ. ამავე დროს წითლების აგენტებმა სამხრეთ ოსეთში მოაწყვეს აჯანყება. ადერბეიჯანის საძღვარზედ დამარცხდა წითელი ჯარი. ჩვენებმა ეხლა მოუბრუნდენ ოსეთს; აჯანყებულები და მათი წითელი აგენტები გადარეკილ იქმნა ჩრდილო-კავკასიაში. ჩვენ მოგვიკლეს ერთი გვარდიელი ტუღუში და დაიჭრა რამოდენიმე. ჩვენს ბატალიონს ხელმძღვანელობს ირადიონ ხომერიკი, ვანო ცომაია კი გადაყვანილი არის თბილისის განსაკუთრებულ ბატალიონის უმფროსად. ამავე დროს აშკარა შეიქმნა ინგლისელების წასვლა ბათომის ოლქიდან. ჩვენმა ჯარმა დაიკავა ბათომის ოლქი.

ამ ხრით გამრთელდა საქართველო მთლიანათ. სამუსულმანო საქართველო დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

აგვისტო-სეკტემბერში გვესტუმრა სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლები. მათ მოიარეს საქართველო და დაბრუნდენ უკან. მერმეთ გვესტუმრა კარლ-კაუცკი თავის მეუღლით. ისინმა დაყო კარგა ხანს საქართველოში. ოკტომბერში მოხდა საქართველოს სახალხო გვარდიის ყრილობა. ჩვენი რაიონიდგან ამ ყრილობაზედ იყო 6 დელეგატი. 1. რაფიელ ჩხაიძე 2. მიხაკო ბაჟუნაიშვილი 3. ზოსიმე ფირცხალაიშვილი 4. ნოე აბხაზავა 5. პანტელიმონ ჭანტურია და

6. გახლდი მე. ამ ყრილობაზედ კაუტსკიმ გვიწინასწარმეტყველა და გვითხრა, თუ ამ გაისს ამ დროს თქვენ ასთე თავისუფალი იქნებით, მე მოხარული ვიქნებიო. თქვენ ხართ ორ იმპერიალისტურ ქვეყნების შვაზედ, ეს არის რუსეთი და ოსმალეთი.

ამ ყრილობაზედ აშკარა შეიქმნა ჩვენი მოუმზადებლობა. დაისვა კითხვა: - გვარდიელი, რომელიც იბრძვის იარაღით ხელში, მას უნდა მიეცეს ვაჟკაცობის ჯილდო თუ არაო. ვალიკო ჯუღელი იცავს და ამბობს, რომ გვარდიელი იმდენათ შეგნებული უნდა იყოს, რომ ის არავითარ ჯილდოს არ უნდა მოითხოვდესო. ამ აზრის წინააღმდეგ გამოდის ალექსანდრე დგებუაძე. ის ამბობს: - გვარდიელს უნდა მიეცეს ვაჟკაცობის ჯილდოო. ამ კითხვაზედ შეთანმხმდენ. ორ-ორ კაცს უნდა ელაპარაკა როგორც მომხრეებიდან, ისთე წინააღმდეგებიდან. მომხრეებიდან ილაპარაკა ვალოდია გოგუაძემ და სარდიონ მენაღარიშვილმა. სარდიონ ძალიან ახალ-გაზრდა იყო, მაგრამ მისმა მჭერმეტყველურმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება იქონია დელეგატებზედ. აშკარა შეიქმნა, რომ გავიდოდა ჯილდოს მომხრეების წინადადება. ამ დროს ვალიკომ დაიმუქრა გადადგომით. ამან ცოტა იმოქმედა დელეგატებზედ. ცოტა ხმის უმრავლესობით უარყვეს ჯილდო. აი ამ 25 წლის შემდეგ რომ ცოცხალი იყვეს ვალიკო ჯუღელი, მაშვინ მიხდებოდა: იყო ჯილდო საჭირო თუ არა.

ყრილობა დასრულდა. ჩვენ წავედით.

მოხდა სამაზრო შტაბის არჩევნები. თავმჯ. არჩეულ იქმნა რაფიელ ჩხაიძე; თავმჯ. ამხ. თეოფილე მუხაშავრია და მდივნათ ზაქრო წულაძე, ორი სხვაც. გაიმართა ლანჩხუთის შტაბის არჩევნები. მე ისევ თავმჯდომარეთ, მდივნათ გაბრიელ ჯიჯიეშვილი, მოლარეთ – ევგენი იმნაიშვილი.

მერმეთ მოხდა სომხეთის გაწითლება. ჩვენ გვიყვეს მობილიზაცია და წავედით წითელ-ხიდეზედ. ჩვენ ბატალიონს მეთაურობს ხომერიკი. ჩვენ რაიონიდგან წამოვიდა 240 კაცი. აქედან შეიქმნა ერთი გუნდი ფეხოსანი და მზვერავთ რაზმი. მზვერავთა რაზმის უმფროსად იყო ოფიცერი ბიკტორ ურუშაძე. ზედმდეგი ალექსი ვასაძე - დიდი გამოცდილი ჯარისკაცი. იანვრის 11 (?) საქართველო იცვნეს მოკავშირეებმა იურიდიულათ. ამან გამოიწვია აღტაცება. რუსეთს უკვე ნაცნობი ვვყავდით ცნობილ 7 მაისის ხელ-შეკრულობით. ეხლა ყველა გულდადობილია, რომ ყოველივე ხიფათი აწი აცილებულია. ასთე ფიქრობდენ;

ეს შეცდომა გამოდგა. არ ეძინა წითლებს. ისინი ვერ ინელებდენ მათ გვერდში თავისუფალ საქართველოს. 11 თებერვალს ჩვენ სანაპირო რაზმს სომხეთის საძღვარზედ თავს დაესხენ და მოხდა ბრძოლა. ჩვენთან მშვიდობიანობაა. ჩვენც მოვემზადეთ და 13 თებერვალს ვფიქრობდით შეტევაზედ გადასვლას. მოდის ტელეფონოგრამმა: – შეაჩერეთო. საძღვარზედ გადმოიარა სომხების ბანდები. ისინს ამ დღეებში ვუზამთ ლიკვიდაციასო. ჩვენთან მოდის გენ-ლი ჯიჯიხია, ის ამბობს, რომ არავითარი საშიშროება არ არის აქედანო და მოხდა ჯარების რეზერვში წასვლა. ხრამის მარცხენა ნაპირას იყო 3 ბატალიონი: I თბილისის ბატალიონი, მეორე თბილისის ბატალიონი და მესამე გურიის ბატალიონი. წინა ორი ბატალიონი წავიდა რეზერვში 15-20 კილომეტრის მანძილზედ.

ფრონტზედ დარჩა გურიის ბატალიონი. აქედან ერთი გუნდი ე.ი. მესამე გუნდი წავიდა სოფელში, ხუთი კილომეტრის მანძილზედ. ფრონტზედ დარჩა ორი გუნდი და მზვერავთა რაზმი. პირველი გუნდი და მზვერავთა რაზმი წითელ-ხიდესთან არის, ჩვენ კი ე.ი. მეორე გუნდი ხრამის ჩასართავთან. ჩვენ გუნდს მისცეს წინადადება, რომ აქ არის ძალიან საფრთხილო ადგილი და იყავით ფრთხილადო. 14 თებერვალს დილით წითელ-ხიდს დაესხენ რუსები და შეიქმნა ბრძოლა. ჩვენ ჩავჯედით სანგრებში, ვუცდით, მაგრამ მტერი არა სჩანს. ამავე დროს გაწყდა

ტელეფონის კავშირი. გაიგზავნა ორი გვარდიელი ხიდთან კავშირის ასაღდგენათ, მაგრამ დააგვიანდათ. კიდევ ორგვარდიელი წავიდა, ისინიც არა სჩანს. გათენდა. ვხედავთ, რომ მტერი გამოსულია გამოღმა; ჩვენებს უკან დაუხევიათ; მე ეხლა წავედი ერთი გვარდიელის თანხლებით; მტერი მოიწევს მტკვრის პირისაკენ. ჩვენთან კიდევ არაფერი არის. მაშვინ გვარდიელს უთხარი, რომ გასწი ჩქარა და გუნდი წამოვიდეს, რომ შევძლოთ მტკვრის პირით გასვლა ჩვენებისკენ. მე დავათვალიერებ მტრის მოძრაობას-თქვა. გვარდიელი გაიქცა. ცოტა ხანს მერმეთ მორბის უკან და მეძახის: – გუნდის უმფროსმა მგელაძემ გასცა ბრძანება, რომ გუნდი გავიდეს მტკვარშიო. მე გავიქეცი, მივედი, მაგრამ რას მიხვალ; ჩადის მდინარეში კაცი და მიაქვს ასთე წყალს. ძალიან ცუდი მდგომარეობა არის; მაშვინ მეტი საშველი არ იყო; გავაბით ხელები ერთი-მეორეზედ. მაგრები ბოლოში მოიქცენ და ამ რიგათ წავიდა ერთი ჯგუფი. აქ ძალიან დახმარება გაგვიწია მცურავ მჟავანაძემ. მას სცოდნოდა კარგი ცურვა. აქ დაგვეხჩვა ერთი გვარდიელი კობალავა. აქ მდინარე ორათ იყო გაყოფილი და ამან გვიშველა. გავედით კუნძულზედ; აქ ბუჩქები იყო და მოგვეცა საშვალება თავის შეფარვის. ამ დროს ჩვენ სანგრებს რუსებმა უქნეს იერიში და იქ არავინ დახვდათ. გავედით მეორე შტოზედ. ეს უმფრო პატარა იყო და შევედით ყარაიაზის ტყეში, მაგრამ გვარდიელები შეაწუხა სიცივმა. წავედით წინ; შეგვხდა კარვები ტყეში, სადაც დავანთედ ცეცხლი. გვარდიელებმა გაიშვრენ, ცოტა გათბენ; გავგზავნეთ 3 კაცი კავშირის ასაღდგენათ. საღამოს დაბრუნდენ. კავშირი აღდგენილ იქმნა. ჩვენ გვიბრძანეს ყარაიაზის რაიონში სანავეების დაცვა. დავაყენეთ პატრულები და იმ ღამეს დავრჩით. დილით მოგვივდა კავშირი, რომ დაგვეხია სად.ყარაიაზისკენ და შევერთდებოდით სამტრედიის ბატალიონს. ჩვენ წავედით და შეუერთდით სამტრედიის ბატალიონს, სადაც ბატალიონის უმფროსად იყო მაიორი აკაკი კვეტაიშვილი. აქედან ჩავედით ნავთლუღში. იქ შეგვხდა ბატალიონის უმფროსი ხომერიკი და მზვერავთა რაზმის უმფროსი ბიკტორ ურუშაძე. ესენმა გვითხრეს: ჩვენები ბევრი დაიხოცენ და ბევრიც უნდა იყოს ტყვედო. მოეკლენ ზემდეგი ალექსი ვასაძე და ჩვენი ძველი გვარდიელი ვალოდია გუჯაბიძე, ღლონტი და სხვები.

ასთე, რომ ეს ჯარის დაწყობილება კაცს ეგონება ხელოვნურათ მტრის სასარგებლოდ.

აქვე უამბე გუნდის უმფროსის ამბავი. ეს მოიწონეს და სთქვეს: წამხდარ დროზედ ძალის შენარჩუნება კარგი საქმეაო. მე დღესაც არ მომწონს ჩვენი გუნდის უმფროსის მოქმედება, მაგრამ რას იზამ. ჩვენი ბატალიონი თითქმის ნახევარზედ ნაკლებია. გადარჩა მხოლოდ მეორე გუნდი ერთი კაცის გამოკლებით. ჩვენ გაგვაგზავნეს დიდ-ლილოს მიმართულებით. იქ ჩვენ შევეჩეხეთ მტერს. მტერი ყოველ მხრივ აწობა თბილისს, მაგრამ მოხდა სასწაული და ჩვენებმა მოასწრეს ჯარებით შეხვედრა. დიდი ბრძოლა გაჩღდა კოჯორ-ტაბახმელას რაიონში. იქ იუნკრები და ბათომის გვარდია შეხვდენ მტერს. ბათომის ბატალიონს მეთაუროზს ოფიცერი გრიგოლ კვაშალი. აქ ბევრი დაიხოცენ, როგორც იუნკრებიდან, ისთე ბათომის გვარდიელები და თვით ბატალიონის უმფროსიც კვაშალიც მოკლეს.

ბათომის ბატალიონში ძველი მუშები იყვნენ, რომლებმაც დადვეს თავი სამშობლოს დასაცავათ, მათ შორის ძველი მუშა გობრონიძე. დიდი-ლილოს მიმართულებით მტერმა უკან დაიხია. ჩვენ გავედევნეთ. ჩვენს მარჯვნით არის თბილისის განსაკუთრებული ბატალიონი ვანო ცომაიას მეთაურობით. მარცხნით ცხენოსნები ცაგურიას მეთაურობით. ამ რიგათ მოგვიხდა ბრძოლა; მტერი დამარცხდა და გაიქცა. განსაკუთრებულ ბატალიონში მოკლეს ერთი ოფიცერი ჭკადუა და დაიჭრა რამოდენიმე კაცი. მტერმა დასტოვა დაჭრილები და მკვდრები. მეორე დღეს შევედით სად. ვაზიანში. წავედით მზვერავათ. ჩვენთან წამოვიდენ ცხენოსნები ცაგურიას

მეთაურობით. მტერი ძალიან მოშორებით ვნახეთ. აქ დაგვეჭრა ცაგურია. საღამოს ჟამს დავბრუნდით ვაზიანში. ღამის 12 საათზედ მივიღეთ უკან დახევის ბრძანება და დავიხიეთ უკან, დიდდიღომდის. მეორე დღეს კიდევ წავედით მზვერავებათ, მაგრამ მტერი არა სჩანს; ჩვენ დატოვებულს ალაგას არ არის. ღამე კიდევ მივიღეთ ბრძანება უკან დახევის და დილით 25 თებერვალს დავტოვე საყვარელი თბილისი. მერმეთ აღარ მინახავს იქ მტერი, გახდა პატრონი.

ამ რიგათ ფეხით მომიწია წითელ-ხიდიდან სამტრედიამდინ მოსვლა. სამტრედიაში ჩავჯედი მატარებელში და ჩავედი ლანჩხუთში.

აქ ყველა ჩემი მეგობრები ვნახე. გურიაში არის სასწრაფო მობილიზაცია. ყველას ვისაც თოფის ხმარება შეუძლია, ეწერება ჯარში. ლანჩხუთში არის გენ-ლები მაზნიაშვილი და ანდრონიკაშვილი. იმერეთიდან და სამეგრელოდან გამორბის ხალხი და ეწერება ჯარში. მაზნიაშვილი უცაბედათ გაიწვიეს ბათომში. ანდრონიკაშვილი დარჩა აღმოსავლეთის ფრონტის უმფროსად. მან ჩვენ გთხოვა რამოდენიმე საიმედო გვარდიელი და გაემგზავრა ფრონტის დასათვალიერებლად. დაბრუნდა კმაყოფილი და რომ საჭამიის სერიდან ფოთამდე ჩვენი ჯარი არის, კარგ შთაბეჭდილებას ახდენსო. ბინა ჩვენთან ქონდა. ამ დროს მოდის ტელე-ფონოგრამა, რომ ბოლშევიკებთან არის დროებითი ზავიო. მას გული მოუვიდა, ამ ომში ასეთი წყობა ჯარის ჩვენ არ გვყოლიაო და ეხლა დროებითი ზავი რადროს არისო. მეორე დილას ბათომიდგან ჩამოდის გრიგოლ ლორთქიფანიძე და ალექსანდრე დგებუაძე. ისინი მიემგზავრებიენ ქუთაისში. იქ არი სპეციალურათ ჩამოსული ენუქიძე - ბოლშევიკი, მასთან მოსალაპარაკებლად. მათ გააკეთეს მოხსენება და სთქვეს, რამ აიძულა ჩვენი მთავრობა მოლაპარაკება ეწარმოებია ბოლშევიკებთან. მათ სთქვეს, რომ ბათომში გამოირკვა ოსმალეთის ვერაგული პოლიტიკა. ოსმალეთმა მოსთხოვა ჩვენ მთავრობას ბათომის ოლქის დაცლა. მათ უკვე ბათომის ოლქის დიდი ნაწილი უკვე დაეკავებიათ და შიგ ბათომში შემოსულიყვნენ. გენ-ლ მაზნიაშვილს უბრძანა ჩვენმა მთავრობამ, რომ გაედევნა ოსმალეთის ჯარი ბათომიდგან. მაზნიაშვილმა ეს დავალება პირნათლად აასრულა, მან გადევნა ოსმალეთის ჯარი ბათომიდგან, მაგრამ ძვირი დაუჯდა საქართველოს. მას შეეწირა რამოდენიმე ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა. მერმეთ უკვე გამოირკვა რუსეთის და ოსმალეთის საიდუმლო ხელშეკრულობა საქართველოს მიმართ, ცნობილ ყარსის ხელშეკრულობა.

რუსეთან მოხდა ზავი. ოსმალეთმა და რუსეთმა იქ დადვეს საძღვარი, სადაც მათი ჯარები ერთი-მეორეს შეხვდენ.

საქართველოში დაარსდა შულავერის გმირებისაგან საქართველოს რევკომი, მოღალატე ფილიპე მახარაძის თვმჯდომარეობით. ამ რიგათ მათ ჩაიდინეს საქართველოს მიმართ საშინელი ღალატი. ისინმა გაიმეორეს ჩვენ წინაპრების, ფეოდალების ამბავი. ფეოდალები თავის სამფლობოლოს ყიდდენ ხან სპარსეთზედ და ხან ოსმალეთზედ და ასევე მოიქცა ქართველი ბოლშევიკები. მათი პირადი ინტერესის და მიხედვით გაასაჩუქრეს საქართველოს მიწა-წყალი: ცოტა ნაწილი სომხეთს უძღვნეს, ასევე ადერბეიჯანსაც. სამუსულმანო საქართველოს დიდი ნაწილი, ართვინით და არდაგნით, ოსმალეთს უძღვნეს.

რუსეთან საზავო პირობების მთავარი მუხლი იყო „ამნისტია“. ამ ამნისტიის ძალით ყველა, ვინც მსახურებდა მენშევიკურ მთავრობაში, თავისუფალი იყო და მხოლოდ აწი, ე.ი. გასაბჭოების შემდეგ თუ ჩაიდენდა რაიმეს, ის მაშვინ დაისჯებოდა. ჩვენი მთავრობის ერთი ნაწილი წავიდა საძღვარ-გარეთ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მეორე ნაწილი, გრიგოლ ლორთქიფანიძის მეთაურობით, დარჩა საქართველოში. ყველა სამხედრო ნაწილებმა 25 მარტს ჩააბარეს იარაღი. შეიქმნა ახალი მდგომარეობა. ჩვენებს ყველას აკერია პირზედ, რომ ჩვენი მხრით არ იქმნას

ამნისტია დარღვეულიო. მე პირადათ ძალიან დაღლილი ვარ და წავედი ერთ შორეულ ნათესავისას დასასვენებლად. აქ ჩვენებმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ მე ვითომ გავიქეცი და ამიტეხეს ერთი ალიაქოთი, რომ შენ არღვევ ამნისტიასო. ნამეტარს ღელავდა ჩემი ძველი მეგობარი ნიკიტა იმნაიშვილი. მეც გამოვჩდი და დაკმაყოფილდენ. მაგრამ მაინც ვფრთხილობ, რომ რაიმე ხიფათში არ გავება. ერთხანს მერმეთ ლანჩხუთში ჩამოდის მოღალატე ფილიპე მახარაძე. ის საჯარო კრებაზედ მოხსენებას აკეთებს და სთქვა, რომ ეხლა არის თავისუფლება კრების, ბეჭდის და სიტყვისო. ამ სიტყვაზედ მოითხოვა სიტყვა ძველმა ნაკარტოღალმა ზოსიმე ფირცხალაიშვილმა. ფილიპეს გული მოუვიდა, რომ როგორ ბედავს მენშევიკები სიტყვის მოთხოვნასო და დაიწყო მუქარა: თქვენ კიდევ არ მოგხდენიათ მუშურ-გლეხური სილაო. ამას ეუბნება იმ მუშებს და გლეხებს, რომლებმაც თავის სიცოცხლე გაატარეს ცარიზმთან ბრძოლაში, ვისი სახელით იმ რამოდენიმე ქურდების, რომლებიც მათ პარტიაში არიან. უნდა ითქვას, რომ კერძოთ, გურიაში, კომუნისტური პარტიაში, არც ერთი პატიოსანი კაცი არ იყო. ყველა ქურდები და სისხლის-სამართლის დამნაშავენი იყვნენ. ფილიპე გაჯავრდა და წავიდა.

აღდგომა 1 მაისს არის. წითელ-პარასკევს, 29 აპრილს გავედი ბაზარში. რაღაც არ დამიჟდა, დავბრუნდი უკან და წავედი ტყეში; ხარები დავათვალიერე. საღამოს ამოველ ტყიდან. შემხვდა ერთი მეგობარი და იმან მიმიპატიჟა თავის სახლში. მე იმ ღამეს იქ დავრჩი. დილას ჩემი მეგობარი ადრე ამდგარიყო და ბაზარში წასულა. მან იქ გაიგო, რომ ყველა ჩვენი ამხანაგები დაპატიმრებულია. მოვიდა და გადმომცა, რაც ნახა. წავიდა. ჩემსასაც ყოფილიყვნენ, მაგრამ შინ არ დავხდი. ბევრი ეყანყალენ, მაგრამ ვერ მნახეს. ამ დღიდან შევიქენი დევნილი. შემდეგ გამოირკვა, ბოლშევიკებმა მოინდომეს პროვოკაციის მოხდენა. ვერ მოახერხეს. ქუთაისში ესროლეს ბომბი, ვითომ მოღალატე ბოლშევიკ გეგეჭკორს. ეს ბომბი რომ გავარდა, ხალხი უკვე დატუსაღებული იყო. ეს ოინი ჩაეშალათ. ჩვენი ამხანაგები თითქმის ყველა დატუსაღებულია. ლანჩხუთში გადარჩა სარდიონ მენაღარიშვილი. ის უწინ მუშაობდა ზესტაფონის სამაზრო ერობის თავმჯდომარეთ და აქ ნაკლები ყავდა მტერი. მასთან ერთად ანგარიშს უწევდენ მის ძმას კოლიას; ვაჟ-კაცი ბიჭი იყო და ფიქრობდენ, არ გავაჯავროთო. მერმეთ გავაბი კავშირი თეოფილე მუხაშავრიასთან; ვინახულეთ ერთი-მეორე. მერმეთ ვნახეთ სერგო მათითაიშვილი და ალფესი გოგუაძე. დაჭერილები არ დაეტიათ ოზურგეთის ციხეში და ბევრი მათგანი გაგზავნეს თბილისში და ქუთაისში.

თითქმის მთელ საქართველოში მოხდა ეს რეპრესიები. არ გასულა რამოდენიმე დღე, რომ მოვიდა ამბავი: ქუთაისში დახვრიტეს რამოდენიმე კაცი, მათ შორის პოლკოვნიკი ლექვინაძე, რომელიც გურიაში სასამართლოს თავმჯდომარეთ იყო. კიდევ მარკოზაშვილი, ჭანიშვილი გიგინიეიშვილი და ძნელაძე. ეს კითხვა დავსვი ჩვენ ამხანაგებში, რომ ამაზედ აგვემაღლებია ხმა. ვინაიდგან ჩვენი ამხანაგების უმრავლესობა ციხეში ისხდენ, ეს კითხვა დაისვა ოზურგეთის ციხეში. აქ ისეთი შეხედულება გამოითქვა, რომ რა უყოთ, დახვრიტეს; ესენი მოსამსახურენი იყვნენ; თუ ბოლშევიკებმა ეს საქმე გააგრძელეს და დახვრიტენ, ან დამფუძნებელ კრების წევრი, ან მთავრობის ყოფილი წევრი, ანდა საზოგადო მოღვაწე, მაშვინ ავიმაღლებთ ხმასო. უნდა ვსთქვა, რომ ძალიან მეწყინა მიტომ, რომ ამ აზრს იზიარებდა ჩემი ყოფილი მასწავლებელი გრიშა ურატაძე. მე დღესაც ვფიქრობ, მაშვინ ჩვენ რომ რაიმე გვეთქვა და მიგვეღო ზომები, ეს უკეთესი იქნებოდა. მერმეთ ბოლშევიკებმა ყველა დაგვხრიტეს და ჩვენი ხმა დარჩა ჩახლეჩილი. შეიძლება ეს ზოგს გადაჭარბებული ეგონოს ჩემი აზრი, მაგრამ არა! ჩვენ მაშვინ ისეთი ძლიერი ვიყავით და ბოლშევიკები ისეთი სუსტი, რომ ჩვენ ჩვენსას გავიტანდით! და მერმეთ თითო-თითოდ დაგვლიჯეს. ამ ზაფხულზედ ბოლშევიკებმა შეამჩნიეს, რომ მათი საქმე მთლად კარგათ არ არის;

რომ გაეთამამებია თავის წევრები, იშვილეს ოცდა ათი ათასი (30.000) კაცი რუსის ჯარის ნაწილი; ამით შექმნეს ისეთაც აუტანელი მდგომარეობა ჩვენში. მათ პარტიის წევრებს ეუბნებოდენ: – აწი ნუ გეშინიათ მენშევიკების, აქ გვყავს ეს ამოდენა ჯარიო, რომლებიც თქვენ გდარაჯობსო.

სეკტემბერში მოგვიკვდა პარმენ ჭიჭინაძე - ჩვენი სამხედრო მინისტრი. მის დამარხვაზედ თბილისში და ყველგან გადაუხადეს პანაშვიდები. ლანჩხუთში გადაუხადა პანაშვიდი ეკლესიაში მღვდელ ეპიფანე ჩხაიძემ. აქ ხალხი ბლომათ დაესწრო. ბოლშევიკებმა ნახეს, ხალხი ეკლესიიდან გამოდის; გაუკვირდათ მენშევიკებს, ეხლა წირვა-ლოცვა დაუწყიათო. ჩაზამთრებაზედ ყველგან ჩვენი ორგანიზაციები აწყობილია.

სვანეთში მოხდა სტიქიური აჯანყება, ბოლშევიკების ხეპრე პოლიტიკამ მოთმინებიდან გამოიყვანა ეს მთის ხალხი. 1922 წლის თებერვალში მოხდა ყოველგან მთელ საქართველოში ახალ-გაზრდობის საპროტესტო დემონსტრაცია, საქართველოს ერთი წლის დაპყრობის თავზედ, ბოლშევიკებმა მათ ტყვიით უპასუხეს. კერძოთ, ლანჩხუთში მოკლეს მოწაფე კობალავა, ჩვენ რომ გვარდიელი დაგვეხვრჩვა, იმის ძმა; დასჭრეს რამოდენიმე. აქ, ჩვენებში, დიდი აღელვება გამოიწვია. კერძოთ, ძალიანს ღელავს ჩვენი მუშა პართენ ებრალიძე. ის მოითხოვდა, ეს არ შეიძლება უპასუხოდო. პართენ ებრალიძე იყო ძველი პოლიტიკური მომუშავე, გურიაში რომ დაიწყო გლეხთა მოძრაობა, იქიდან. ძველი რეჟიმის დროს ორხელ იყო გადასახლებული რუსეთში. ის ითვლებოდა ჩვენში ძველ და პატიოსან მუშათ. მის სიტყვას გასავალი ქონდა გლეხებში. ჩვენ დამოუკიდებლობის დროს მან თითქმის ჩამოშორდა ყოველივეს. არ მოსწონდა ხან და ხან ჩვენ რომ რეპრესიებს მივმართავდით ბოლშევიკების წინააღმდეგ. პირველ დღეებში ბოლშევიკების გამეფებისა, ის ისევ წყნარათ იყო. ზემო აღნიშნულ დემონსტრაციაზედ ჩვენებმა სთხოვეს მას, რომ თვალყური ედევნებია ამ დემონსტრაციისათვინ და ეს მან მიიღო. მაგრამ აქ, ბოლშევიკებმა მის თვალწინ მოკლეს მოწაფეები. ის ძალიან აღელვებული იყო ამ ველური საქციელით. ბოლშევიკებმა ის დაატუსაღეს. კინაღამ გაგიჟდა კაცი, როდესაც ერთს მის ნაამხანაგარს ბოლშევიკს მან უთხრა, რას შვრებითო. ბოლშევიკმა უპასუხა: - ეს ჩვენ ვიცით, რასაც ვშვრებითო. ჩვენ მენშევიკები კი არ ვართ, რომ არ ვიცოდეთ, რას ვაკეთებთო და კერძოთ, პართენ ებრალიძეო. მახსოვს ამ სიტყვაზედ როგორ ღელავდა. ამ დღიდან გადაეშვა პარტიულ მუშობაში. 1927 წელს ცეკას წევრიც იყო და ცეკას დავალებით მოდიოდა საძღვარ-გარეთ ნოე აბხაზავასთან ერთად. ისინი შეიპყრეს საძღვართან და ამ პატიოსან ადამიანს სადღაც რუსეთის ციხეში ამოღთა სული. იქვე დავკარგეთ აბხაზავაც. 1922 წლის თებერვალში დავკარგეთ ჩვენი პარტიის სვინიდისი სირბისტრო ჯიბლაძე - ეს ჩვენი მამა-მთავარი, ჩვენი გამამხნევებელი და ბრძოლის სულის ჩამდგმელი, „სილკა“. განა დაიჯერება ასეთი ადამიანის სიკვდილი? იმან დევნილობაში დალია სული. ეს ჩვენთვინ დიდი დანაკლისი იყო. სირბისტროს სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია ჩვენში. უხაროდა მხოლოდ მტერს, რომ მოსცილდა ისეთი ადამიანი, ვისიც სიტყვა და საქმე ერთი იყო. მაისში მოხდა ყოველგან მთელ საქართველოში მშვიდობიანი დემონსტრაციები. ბოლშევიკებმა ამ უიარაღო ხალხზედ იხმარეს იარაღი. ხიდის-თავში ხალხში ჩააგდეს ბომბი და მოკლეს რამოდენიმე კაცი. ჩიბათში მოკლეს ერთი მოხუცი ჩახვაძე, ჩოჩხათში მოკლეს გუჯაბიძე. ჩვენ ვართ ერთ მაღლობ ადგილას შუხუთში; აქ არიან თეოფილე მუხაშავრია და ქრისტიფორე იმნაიშვილი და მე. ქრისთიფორე ახალ-გაქცეული არის ციხიდან. ჩვენ გავყურებთ დემონსტრაციას, როგორ შეერთდა ლანჩხუთლები და შუხუთლები ერთმანეთდან. შეიქმნა სროლა, აღელდენ თეოფილე და ქრისტიფორე და მოინდომეს წასვლა. ჩვენ წინადადება ვქონდა მოცემული, რომ არას გზით არ ჩავრეულიყავით, თორემ ბოლშევიკები ამას ისარგებლებენო. ისინი ძლივს

გავაჩერე. მერმეთ მოგვივდა შიკრიკი; რაც მოხდა, ყველაფერი გვიამბო დაწვრილებით. ერთი ქალი დაეჭრენ, ფეოდოსი იმნაიშვილი. ბოლშევიკებს ისთე დაბნეული ქონდათ დავთარი, რომ ერთი თავისიც მოკლეს. შიკრიკმა გვითხრა, რომ ბევრი ხალხი დაატუსაღეს. კოლია შარაბიძე დაატუსაღეს და გაიქცაო. მივიღეთ ზომები კოლიას მოსაყვანათ. მეორე დღეს მოვიდა ჩვენთან და დარჩა ბოლომდის. ჩვენი ნაკატორღალი ზოსიმე ფირცხალაიშვილი ძლიერ ავათ იყო. ის ახალ-გამოშობილი იყო ციხიდან და მას ამხანაგებმა მოერიდენ, ესედაც ავათმყოფს და ახალგაშვებულს არ უთხრეს დემონსტრაციის დრო. მახსოვს როგორ ღელავდა ჩვენთან, რომ მოვიდა ჯოხით ხელში. როგორ გამიბედეს მე ამხანაგებმა, არ მითხრეს დემონსტრაციის დროო. ჩვენ უთხარით, მოგერიდენ როგორც ავათ-მყოფს. – კაცო! ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ ჩემი ბინა ციხეა, – სთქვა ეს, ადგა და მიდის. მე უთხარი: - სად მიხვალ ზოსიმე-თქვა? მან მიპასუხა: – ჩემი ადგილი ეხლა იქ არის, ეხლა საჭიროა იქ კაციო და წავიდა. მივიდა, ერთი მაგრათ შეჰკივლა: - გაუმაჯოს 26 მაისსო; შეერია ამხანაგებში; შვიდი თვე იყო ციხეში და მერმეთ გაუშვეს და მოკლეს 1923 წლის იანვარში.

1922 წლის ზამხულში ჩოლოყაშვილმა მოაწყო აჯანყება ფშავ-ხევსურეთში.

ამ ზაფხულში საქართველოს რკინის გზაზედ შეიქმნა მატარებლების ძვარცვა. აქ მთავრობამ ეს ამბავი შესწამა თავის მოსამსახურეებს. ბოლშევიკებთან მსახურებდენ ყოფილი ყაჩაღები, რომლებიც ჩვენს დამოუკიდებლობის დროს ციხეში ისხდენ. ისინი მტრულად იყვნენ განწყო-ბილი მენშევიკებთან და ბოლშევიკებმა ისინი ყველა სამსახურში დააყენა. ბოლშევიკურმა მთავრობამ მათ მოუნდომა დაჭერა. ისინი გაიქცენ. მთავრობამ მიიღო ზომები მათ შესარიგებ-ლად. ზესტაფონში მსახურებდა ყოფილი ყაჩაღი მანწკავა, მენშევიკების დროს ციხეში ნაჟდომი. ის იყო ზესტაფონის სამხედრო კომისრად. მთავრობამ ეს მანწკავა ჩააყენა შვაში ყაჩაღებს და მათ შორის შესარიგებლად. მან გახსნა თავის შტაბი სადგურ ჯუმათში და იქ დაიბარა ყაჩაღები.

გაჩაღდა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს ყაჩაღი ღლონტი ეუბნება მანწკავას, რომ მთავრობა ჩვენ დაგვხოცავსო და შენ ჩავარდები გლახა მდგომარეობაშიო. მაშვინ მანწკავამ უთხრა, რომ მთავრობამ მე მომცა პატიოსანი სიტყვა, რომ თქვენ შეგირიგებენ და თუ რაიმე ხიფათი მოვა, მე თქვენთან ვარო. ამ რიგათ მოხდა შერიგება; დაესწრო მთავრობის წარმომად-გენელი. ამ შეხვედრის დროს ყაჩაღმა დოლიძემ უთხრა მთავრობის წარმომადგენელს: ჩვენ საერ-თო მიზანი გვაქვს: „ლენინმა სთქვა ძვარცვეთ საძარცვიო. ჩვენ ხომ ვისაც აქვს, იმას ძვარცვავთ“. მენშევიკებთან მიტომ ვართ მტრულად, რომ ისინი ამას არ გვანებებდენო. ისინი შეირიგეს, რიცხვით 60 კაცამდე. ესენი ყველა ყაჩაღი როდი იყო; ზოგი ჩაეწერა იარაღის მოყვარული ხალხი. ესენი წაიყვანეს თბილისისაკენ.

ამ დროს საძღვარ-გარეთიდან ჩამოდის საქართველოში არალეგარულ სამუშაოდ ნოე ხო-მერიკი. გზაში მთავრობას უნდოდა მათი დახოცვა. ზესტაფონში მანწკავამ გაიგო მთავრობის გადაწყვეტილება. მას მიცემული ქონდა ყაჩაღებზედ წმინდა ყაჩაღური სიტყვა, რომ ის მათთან იქნებოდა ყოველ გასაჭირზედ. ეს მან აასრულა. უთხრა ყაჩაღებს მთავრობის გადაწყვეტილება და გაძარცვეს ზესტაფონი და იმერეთის მხრით ჩამოვიდენ გურიაში. მთავრობამ მიიღო თავის მხრით ზომები. დანიშნეს ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმის უმფროსად ვინმე ნახევრად გიჟი ობოლაძე. ობოლაძემ მოაწყო თბილისში მიტინგი და სთქვა: - ეხლა დავბრუნდი კახეთი-დანო, ის ხომ მოაოხრე; ეხლა გურიაში მივალ და იმასაც მოაოხრებო. მან ჩამოვიდა პირველად ლანჩხუთში და დაიწყო ყვირილი: -სად არის ეხლა მუხაშავრია და მისი ამხანაგები, მოვიდენ და მომკლანო. ლანჩხუთში არ იყო არც ერთი ყაჩაღი; ეს მან კარგათ იცოდა. აქ იყვნენ პოლიტიკური დევნილები. ეხლა აშკარა შეიქმნა, თუ რისთვინ იყო ეს ვაჟბატონი მოსული. მან ... დაარბვია ჩემი

სახლი და წავიდა ოზურგეთისაკენ. გზაში გაიარა ჯურუყვეთში. აქ გაქცეული იყო რამოდენიმე ახალ-გაზრდები, იარაღის მოყვარულნი, გადასწვა მათი სახლები. ერთ-მათგანს, გვარათ ახალ-გაზრდა მანწკავას სახლის დაწვის დროს, ჩამოდის ეზოში პატარა მოწაფე. მან კითხა: - ვინ ხარ შენო; გაიგო, ეს ძმაა მისი, შეაგდო ცეცხლში, ბავშვი დაიწვა შიგ და აქედან წავიდა ოზურგეთში.

ობოლაძე ჩავიდა ოზურგეთში, შეუდგა საქმეს. ბევრი ხალხი დახვრიტა და დაისვა კითხვა: რა ვუქმნათ ობოლაძეს? ყაჩაღების ერთი ნაწილი ღლონტის მეთაურობით მოითხოვს, რომ მომეცით ნება, ობოლაძე მოვკლათო და მით გამოვიყიდოთ ჩვენი დანაშაულიო. მეორე ნაწილი, მანწკავას მეთაურობით, არაფერი სურს მენშევიკებთან კავშირის, ისინი უმფრო ბოლშევიკებთან ფიქრობენ კავშირის გამბვას. მანწკავა აწარმოებს მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან და სხვა.

ჩვენ პარტიაში დაისვა კითხვა: - რა ვქმნათ, როგორ მოვიქცეთ. გურიის კომიტეტმა მოინდომა საზოგადოებრივი აზრის დამუშავება. ამისათვის გამოყო ორი წევრი და ეს საქმე მიანდო მათ: კომიტეტის თავმჯდომარეა გაბრიელ გოგუაძე და წევრი გიორგი სალუქვაძე. ერთ დღეს თავი მოვიყარეთ: ალფესი გოგუაძე, თეოფილე მუხაშავრია, კოლია შარაბიძე, ქრისტიფორე იმნაიშვილი და მე. ეს საკითხი დავსვით და ვიმსჯელეთ. მსჯელობის შემდეგ მივიღეთ შემდეგი წინადადება: რომ ყაჩაღები იქმნას განდევნილი გურიის ტერიტორიიდან. ესენი ყოველთვის გვირღვევდენ წყალს ჩვენს დამოუკიდებლობის დროს და მერმეთ ბოლშევიკებთან სამსახურშიც. ჩვენ დავდგეთ ძველ ტრადიციულ გზას, როგორც იყო ძველი რეჟიმის დროს. როდესაც ვალოდია გოგუაძე, სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია სდევდენ მაშვინ ყაჩაღებს, მაშვინდელ კომიტეტის დავალებით, ეხლაც ესთე მოვიქცეთო. ეს მივიღეთ ერთხმად. ამ რიგათ, გავემგზავრეთ ქვედა-აკეთში საიდუმლო კრებაზედ. ხიდის-თავიდან გამოვიდა სერგო მათითაიშვილი, სიმონიკა გოგიბერიძე და გოგია ცინცაძე, ოზურგეთიდან მოვიდენ გაბრიელ გოგუაძე, გიორგი სალუქვაძე. ჩვენც მივედით: ალფესი გოგუაძე, თეოფილე მუხაშავრია და მე. დაესწრო კიდევ შიო ქურიძე. მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარე გაბრიელ გოგუაძემ. მან დაიწყო ასთე: „აწ საქართველო ქართველებთან და საქართველო უქართველოთო“. აი, როგორ დგია კითხვაო. მოხსენებიდან უკვე ჩანდა, რომ ყაჩაღებს აძლევდენ ნებას ობოლაძის მოკვლის. ამ კითხვაზედ ბევრი დავა ქონდა. ალფესიმ გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და მეც მას მივემხარი. თეოფილეს ერთი ნაკლი ქონდა; რომ ნახვიდა უმფრო ავტორიტეტს, იცოდა იმის მიმხრობა. ეს ასთე ქმნა აქაც. ილაპარაკა სერგო მათითაიშვილმა და სიმონიკა გოგიბერიძემ. ისინმა ორთავემ სთქვეს: - ჩვენ რა გვენაღვლება, ბოლშევიკები და ყაჩაღები ერთი-მეორეს დახოცვენ, ჩვენ დავჯდეთ და ვიცინოთო. ამ სიტყვა-სიტყვით სთქვეს, ჩვენ გავამზადოთ ფურცლები და ხალხში გავავრცელოთ, რომ ყაჩაღები და ბოლშევიკები ერთი-მეორეს ებრძვიან და ხოცვენ, ჩვენ ამ კითვაზედ არავითარი პასუხის-მგებლობა არა გვაქვსო. მაშვინ მე უთხარი:- მართალია, ისინი ერთი-მეორეს დახოცვენ, მაგრამ ჩვენ ზედ წაგვაკვლავენ, ბოლშევიკებს ჩვენ ვერ მოვატყუებთ. ისინმა იციან ჩვენი ტრადიცია და ჩვენი დამოკიდებულება ყაჩაღებთან და სხვა. გავიდა ის, რომ არ ვმფარველობთ ყაჩაღებს. ესენი იყვნენ ბოლშევიკების კაცები. ჩვენ ესენის ერთი-მეორეს ბრძოლაში თავს ვიკავებთო.. და თუ ყაჩაღები მოკლავენ ობოლაძეს, ჩვენ მზათ ვქონდეს ფურცლებიო.

მე და ალფესი წამოვედით ქვედა-აკეთიდან ზედა-აკეთში. გზაში ალფესი სულ იმას მეუბნებოდა:-დავიღუპეთ, დაიქცევა ქვეყანაო. გული მოსდიოდა, თეოფილემ, რომ რა გვიქნა, როგორ მოიქცა იქო. ჩვენ აკეთის და ჭანჭათის გადასახოვთან ერთ მაღალ გორაკზედ დავშორდით ერთი-მეორეს. ამ დღეს მერეთ არც კი მინახავს, ესთე მოკლეს.

მე ჩავედი ლანჩხუთში; ჯარი სდგას; არის საშინელი რეპრესიები. მე ამხანაგების რჩევით, გავედი სამეგრელოში. კავშირი მაქვს ჩემ ძველ მეგობართან აპალონ ჯორბენაძესთან. ჩემი ამხანაგები-თეოფილე, კოლია და ქრისტიფორე ჩამოსულიყვნენ ლანჩხუთში - მათ შეერთებოდა სარდიონ მენაღარიშვილი და ასთე გაჭივრებულ მდგომარეობაში შეაფარეს თავი ერთ პატარა ტყეს. აპალონი ჩამოდის ჩემთან; გადმომცა, რომ ბიჭები ძალიან გაჭივრებულია, ყველა სოფლებში ჯარის ნაწილებია ჩამდგარი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოკლეს ობოლაძე ბოლშევიკებმა. გასწიეს პროვოკაცია, რომ მენშევიკებმა ყაჩაღებს მოაკვლიეს ობოლაძეო. ამ მკვლელობაზედ დახვრიტეს გურიიდან თბილისში გაგზავნილი ტუსაღები. ისინი გზაში იყვნენ, რომ ობოლაძე მოკლეს, დიდი ხანს ნაჟდომი ოზურგეთის ციხეში. რიცხვით დახვრეტილ იქმნა 92 კაცი. მათ შორის ძველი მასწავლებელი გიორგი გძელიძე, სამსონ ხუხუნაიშვილი - კოოპერატორი, ლანჩხუთის რაიონის კოოპერატიულ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ახალ-გაზრდა გიმნაზიის მასწავლებელი - ილია თარგამაძე, ჩემი ბავშობის ამხანაგი ლადიკო შარაბიძე ნიგოითიდან, მასწავლებელი შალვა სამსონაძე, სტუდენტი დიომიდე იმნაიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენელი უკრაინაში ბებურ ვაჩეიშვილი და სხვები. ობოლაძის მაგიერ ოზურგეთში მოვიდა ვიღაც უმფრო მოხუცი „ტალახაძე“. ოზურგეთში მან დააყენა სისხლის ღვარი; სამას კაცზედ მეტი დაიხვრიტა. ყველა სოფლებში შეაყენა შემარიგებელი კომისიები. ეს იყვნენ ყაჩაღები თუ პოლიტიკური დევნილები და მოსთხოვა ხალხს მათი მოყვანა. ამავე დროს ალფესი გოგუაძე ავათ გამხდარიყო. ის ძალიან მორიდებული კაცი იყო და მოსულიყო თავის სახლში, სხვა არ შევაწუხოო. ნაგომრიდან წამოვიდენ რამოდენიმე მილიციონერები და პარტიულები გოგუაძნების სახლის დასარღვევათ. მათ შემთხვევით შეხვდა ალფესი სახლში. გზაში დააპატიმრეს მისი ორი ძმები ნოე და მელენტი. არც ისინს სცოდნოდა, რომ ალფესი სახლში იყო. დაინახა ალფესიმ ეზოში ჩამოდიან, მან გავიდა გარეთ და წავიდა. უკინდამიდან ესროლეს და მოკლეს. სახლები დაშალეს, ნოე და მელენტი ციხეში გაგზავნეს. ნოე მერმეთ გადაასახლეს, იქ მოკვდა. მელენტი გაუშვეს. მათმა უმფროსმა ძმამ - ალექსანდრემ თავი ჩამოიღრჩო. ასთე განადგურდა ეს ძველი რევოლიუციონური ოჯახი. ამავე დროს შუხუთში მოკლეს ციხიდან ახალ დაბრუნებული ძველი კატორღელი ზოსიმე ფირცხალაიშვილი. იჯერეს რა ხვრეტით გული, მერმეთ შეუდგენ მენშევიკური პარტიის დაშლას. ცნობილია, რომ ყოველ რეაქციის დროს ჩნდებიან მხვდლები. ეს ეხლაც მოხდა. ბევრმა თავის ნებით გამოსცა დეკლარაციები, რომ გმობენ მენშევიკურ პარტიას. მთავრობამ თავის მხრით მიიღო ზომები და ყველას, ვისაც დაიჭერდენ, აწერიებდენ ხელს, რომ გადიან მენშევიკურ პარტიიდან. იყო თუ არა მენშევიკურ პარტიაში, ამას არავინ კითხულობს. შენ დაგიდობენ დეკლარაციას და გინდა არ გინდა, მოაწერო უნდა ხელი, რომ გავედი მენშევიკურ პარტიიდანო. აი, მაგალითად ლანჩხუთში იყო მასწავლებელი ია ეკალაძე, საქართველოში ცნობილი კაცი. ის დაიჭირეს და უთხრეს ხელი უნდა მოაწერო, რომ გადის მენშევიკურ პარტიიდან. იმან უპასუხა: – მე არც ერთ დროს ვყოფილვარ მენშევიკურ პარტიაში და როგორ გავიდეო. ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, შენ იყავ თუ არა პარტიაში, შენ გინდა არ გინდა ხელი უნდა მოაწეროო. მან ხელი მოაწერა და გაუშვეს. გამოდის ბაზარში და დაიწყო ყვირილი: - დღეს ბატონებო ქურდობა ვქენიო. უთხრეს რა მოიპარე, რა მოგივიდა. მან სთქვა: – დღეს მენშევიკური პარტია მოვიპარე, ბატონო. ეს გაიგო მთავრობამ და დაიბარეს: უთხრეს ენა გაკმინდე, თორემ შავდღეს დაგაყენებთო. მანც ენა გაკმინდა.

შედგა სალიკვიდაციო კომისიები, დღეს გამოაცხადებენ, რომ აღარ არსებობს მენშევიკური პარტიაო. ხვალ სადღაც გამოჩნდება და ასთე მიმდინარეობს დაუსროლებლივ. იჯერეს გული, გურიაში მოხსნეს ჯარები და წავიდა ეს სისხლის მსმელი ტალახაძე 1923 წლის აპრილში.

ამას მოყვა საქართველოს სამხედრო წრეების დაპატიმრება, რიცხვით 16 კაცი. ისინი დახვრიტეს და მერმეთ შექმნეს ბრალდებები. მათ შორის ცნობილი გენერლები-კოტე აბხაზი, ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკაშვილი გოგი, ხიმშიაშვილი და სხვები. ხიმშიაშვილი იყო ახალ-გაზრდა ოფიცერი, ნამდვილი განსახიერება ქართველი რაინდის. ამავე ზაფხულზედ დააპატიმრეს საჭამიას-სერზედ მცხოვრები ჭკუასელი; მას აღმოუჩინეს იარაღი, შვიდი ტყვია-მფრქვეველი თავის მოწყობილობით კარგათაც შენახული. მას კითხეს რატომ ინახავდი ამ იარაღსო. მან უპასუხა: – მე ვარ ქართველი ჯარის-კაცი და როდესაც ეს იარაღი დასჭირდებოდა საქართველოს, მაშვინ მოვიხმარდიო. ამავე დროს ჩოჩხათში დააპატიმრეს ჩვენი ძველი გვარდიელი შალვა ტუღუში. მას უნახეს რამოდენიმე თოფი, თავის ვაზნებით. მანც ესევე უპასუხა. ეს ორთავე ერთად დახვრიტეს. ხალხი ინახავს იარაღს, მიდის ჩეკა და ეუბნება, რომ შენ გაქვს თოფი და მოიტანეო, ის უარს ეუბნება. მაშვინ ჩეკას გამზადებული აქვს ხელ-წერილი, რომ თოფი თუ აღმოჩნდა, ის იხვრიტება. მას ხელს აწერინებენ ამ ხელ-წერილზედ; შეიქმნება ჩხრეკა და თუ ვერ ნახეს, ხომ კარგი და თუ ნახეს, იმას ხელათ ხვრეტენ. აი, ამ გვარ და ასეთ გაჭივრებულ მდგომარეობაში ხალხი ინახავს იარაღს. და უცდის დროს, რომ საჭიროების დროს მოიხმაროს.

რეპრესიები როგორც შენელდა, ჩვენები შეუდგენ დანგრეულ ორგანიზაციების აღდგენას; ეს მალე იქმნა აღდგენილი. ამავე დროს სეით დევდარიანმა დაიწყო „კომუნისტში“ თავის წერილების წერა. სეითი სოც.-დემ. პარტიის ცეკას თავმჯდომარე იყო. ამან ჩვენ შეგვაწუხა და სარდიონ მენაღარიშვილმა მისწერა წერილი ცეკას, თუ რაშია საქმე, რომ სეითი ამ წერილებს სწერსო. მიიღო პასუხი სეითმა, დველში გამოიწვია კომუნისტის რედაქციაო. რას იზამ. ამ დღეებში სეითი ჩავარდა და მან უკვე ჩეკიდან იწყო წერილების წერა, ეხლა სხვა ჰანგზედ. სარდიონი გადაიყვანეს ცეკაში. პარტიული ორგანიზაციები ყოველგან მოწყვა. და მასთან მივიღეთ წინადადება დაგვეწყო სამხედრო...

მას მიწერ-მოწერა ქონდა ცენტრთან და ხშირათ მე ვეხმარებოდი შიფრტის გახსნაში. ის არ იყო კმაყოფილი, რომ ცენტრი იგვიანებდა და არ ჩქაროდა აჯანყებას. ის ამბობდა: - ბოლოს მოსწყინდება ამ ხალხს ამდენი ლოდინი და ჩაიქნევს ხელსო. ბოლოს გადასწყვიტა, რომ უნდა წავიდე ცენტრშიო. დავაჩქარო აჯანყებაო და ივნისში წავიდა. ჩვენ გვინდოდა რომელიმე ჩვენი ამხანაგი გაყოლოდა პირადათ; მე უთხარი, წამოვალ-თქვა: მან სთქვა, თქვენ აქ ხართ საჭირო, იქაც იშოვნება ხალხიო. ამ დროს ბენია ჩავარდა; ვალიკოს აქ ყოფნის დროს გამოდიან ჩვენები ხიდისთავიდან ამხ. სერგო მათითაიშვილი, სიმონიკა გოგიბერიძე და ცინცაძე. ვალიკოს ვეღარ მოუსწრო გურიის კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სალუქვაძემ და გურიის შეიარაღებული რაზმის უმფროსმა ვანო ცომაიამ. ვალიკო წასული დარჩა, როდესაც ესენი მოვიდენ, ჩვენ შეუდექით მუშაობას; დავაწყვეთ ყოველივე და ამხანაგები წავიდენ თავ-თავის რაიონში. გიორგი და ვანო ჩავიდენ თავის რაიონში და იქ ორთავე ერთად ჩავარდენ. გურიის კომიტეტის თავმჯდომარეთ მოწვეულ იქმნა ბენია კვაჭაძე. ამ დროს ვალიკოც ჩავარდა თბილისში. მას მოყვა მისი წერილები, რამაც აუცილებლად დიდათ იმოქმედა საქმეზედ. ბენია კვაჭაძემ ჩაიბარა საქმეები და შეუდგა მუშაობას. ამ დროს ჩამოდის ცეკას რწმუნებული გურიაში ამხ. კალე ქავთარაძე.

ჩვენ მოვიყარეთ თავი: თვითონ კალე ქავთარაძე, ბენია კვაჭაძე, თეოფილე მუხაშავრია, ნიკიტა იმნაიშვილი, შიო ქურიძე, კოლია სარაბიძე, ქრისტიფორე იმნაიშვილი, სოლომონ ქანთარია და მე.

კალემ გააკეთა მოხსენება ცეკას დავალებით. ჩვენ ჩვენი ვსთქვით. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დავადგინეთ, რომ გაიგზავნოს კაცი ცეკაში და ეთხოვოს ცეკას, რომ აჯანყება იქმნას გადადებული არა მოკლე ხნით, არამეთ კარგა მოშორებით, ვინაიდგან ისეთი მდგომარეობა არის: ერთი, რომ ამხანაგები ჩავარდენ, საქმე გაიხსნა და აჯანყება განწირულია. ამ ამბის ჩატანა დაევალა ნიკიტა იმნაიშვილს ცეკაში სასწრაფოდ. ნიკიტა წავიდა, მან მოიტანა ამბავი:-თქვენ თქვენი მოვალეობა აასრულეთ, თორემ ჩვენ ჩამოვალთ იქ და გაგანთავისუფლებთო. ნეტავ ასთეც მომხდარიყო. 1924 წლის 26 აგვისტოს მე და ქრისტიფორე ვართ ერთ ადგილას. ძალიან ავათ გავხდი, ქეც გამაცივა და გამაცხელა. საღამოს წავედით და ვინახულეთ თეოფილე და კოლია მოვიდა კიდეც. აქ უკვე წერილი მიღებული იყო, რომ აჯანყება დანიშნულია 28-29 აგვისტოს დილით 3 საათზედ. ჩვენ სასწრაფოდ მოვილაპარაკეთ და მე მომიწია სუფსაში წასვლა. ისინი ყველა დარჩა ლანჩხუთში. მე წავედი სუფსაში. სუფსის რაიონში შედიოდა შემდეგი თემები. 1. სუფსა 2. ჩოჩხათი 3. მიქელ-გაბრიელი 4. მაღლა ჯუმათი 5. ნიგვზიანი 6. ჯურუყვეთი. 7. ნინოშვილის თემი.

მე გავეცი ჩვენი რწმუნებულების საშვალებით ბრძანება, რომ გამოეყოთ რაიონისათვის ხალხი და 24 აგვისტოს გამთენიეს ყველა თემებში დაწყებულიყო კომუნისტების ჭერა. ეს ასეც მოხდა; ჩვენთან მოვიდენ ყველა თემებიდგან შეიარაღებული ბიჭები. მე გავაკეთე ცოტა მოხსენება და უთხარი, რაც ვიცოდი. და მასთან ერთად დაუმატე, რომ ცეკა გვთხოვს, რომ ვერიდოთ ზედმეტ სისხლის დაქცევას. ამაზედ ბენია ტუღუშმა ირონიით მითხრა: აბა, ჩვენ ბოლშევიკებს კამპეტი ვესროლოთ და ისინი ტყვიას დაგვიშენენო. ეს ბენია იყო ამ რაიონის შეიარაღებული ძალის უმფროსი. მერმეთ ჩვენი დამარცხებისა, ჩეკისტების მიერ იქნა მოკლული.

ჩვენ დაუახლოვდით სუფსას. აქ ცოტა შევისვენეთ და სწორეთ დანიშნულ დროს დავეცით. ნახევარ საათში ავიღეთ სუფსა; ამავე დროს აიღეს ჯუმათის სადგურიც იქ დარჩენილმა ბიჭებმა. სადგურში ვარ ტელეფონთან; ფოთიდან დაილაპარაკა ვიღაცამ რუსულად და იკითხა ვინ არის სადგურშიო. მე უპასუხე, ვინც ვიყავი. ერთი რუსულად მაგრათ შემიკურთხა და დამექადნა კიდეც.

კავშირი გავაბი ლანჩხუთთან ტელეფონით. ლანჩხუთის სადგურში უკვე ჩვენებია. ეხლა მოვინდომე ნატანებთან კავშირი, მაგრამ აღარ შეიძლება. აქ აღმოჩდენ ჩეკისტები, ისინიც ძალიანს მექადნიან. ნატანებიდან ერთმა ვიღაცამ მოასწრო ტელეგრაფით ჩვენთვინ ეცნობებია ყოველივე და გვითხრა, რო აქ უკვე რუსის ჯარი თავის ბრონევიკით არისო. ერთხელ კიდევ მოასწრო - სუფსისკენ წამოვიდენო ბრონევიკი ჯარითო. ჩვენ მივიღეთ სასწრაფო ზომები. აგვეფეთქებია სამწმინდას ხიდი. გაიგზავნა ერთი რაზმი. ისინმა, რაც შეიძლება და რაც ხელსაწყო ქონდათ, გააფუჭეს ხიდი. აქედან ფოთი გვექადნის, აქაც საჭიროა ზომების მიღება. გაიგზავნა აქაც რაზმი. გრიგოლეთს იყო რამოდენიმე ცხენოსანი რუსები, ისინი გაიქცენ ფოთში. დღის 12 საათზედ ჩემთან არის ერთი ტელეგრაფისტი სუფსის სადგურის და იმის შემწეობით გავიგე, რომ ბათომიდგან თბილისამდე მხოლოდ აღებულია ოთხი სადგური. 1. სუფსა 2. ჯუმათი 3. ლანჩხუთი 4. ნიგოითი. სხვა ყველა მტრის ხელში აღმოჩნდა. ჩემთვინ გარკვეული ამბავი იყო, რომ აჯანყება წაგებულია. მტერმა შამოუტია სამ-წმინდას; ჩვენებმა უკან დაიხია. მტერმა შეუდგა ხიდის გაკეთებას და საღამოს 7 საათზედ გამოვიდენ ხიდზედ. 8 საათზედ უკვე მოგვადგენ სუფ-

სას. აქედან ფოთიდანაც გამოვიდა ფეხოსანი ჯარი. ჩვენ უკან დავიხიეთ; დავწვით გზაში ორი პატარა ხიდი. მეორე დილას ჯუმათიდან უძახი ლანჩხუთს ტელეფონით; იქიდან გამომეძახენ, რომ ჩვენები წავიდენ აცანისაკენო. მაგრამ მერმეთ გავიგე, რომ ვითომ თავს იყრიდენ ნაგომარში და აქედან აპირებდენ შეტევას. ჩვენ დავმარცხდით. დამარცხდდა ის დიდი საქმე, რომელსაც ქვია სიმართლე! ქართველ ერს სურდა თავისუფლება და დამარცხდა. გაიმარჯვა უსამართლობამ. განა ეს ახალია?! ეს ამბავი ძველია, რაც ქვეყანა გაჩენილა, მერმეთ ასთე მოდის. მის ხელშია სამართალი, ვისაც მკლავი უჭრის.

დამარცხდა საქართველო, აღზრდილი სირბისტრო ჯიბლაძის, ისიდორე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ნოე ჟორდანიას და სხვების, ათასების. სისხლის გუბე დადგა ყოველგან მთელ საქართველოში. რამოდენიმე ათასი კაცი გამოასალმეს წუთისოფელს. დამარცხდა კეთილი საქმე, გაიმარჯვა ბოროტებამ, სადაც დღესაც მძვინვარებს. ჩვენ ვერ ვქენით ის, რაც მტერმა ჩაიდინა. ჩვენ მორალზედ აღზრდილი ხალხი ვიყავით. ჩემის აზრით, ჩვენ ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ. ბოლშევიკები ვერ დავაფასეთ ისთე, როგორც საჭირო იყო; ვერ მივიღეთ საჭირო ზომები მათ წინააღმდეგ. აი, ერთი ნიმუში ჩვენი შეცდომის. ხიდის-თავში მოკლეს რამოდენიმე ლანჩხუთლები. მათ შორის ჩემი ქოჩორა აკაკი ჭეიშვილი. ის იყო 8 კლასის გიმნაზიის მოწაფე, ობლად აღზრდილი, საწყალი დედა-მისის მიერ. მამა ადრე დაეკარგა. საწყალმა დედა-მისმა ხიდისთავიდან ჩამოასვენა და დანიშნა ტირილი. მე ლანჩხუთში ვარ; გაიგო და შემომითვალა: დღეს მაქვ ჩემი შვილის აკაკის ქორწილი და ტირილი, უნდა დაესწრო რამენაირათო. მე შევწუხდი, როგორ მივიდე, ერთი, რომ გაიგოს მთლად დაიღუპება ყველაფერი, მაგრამ არ ქმნა: - ერთ ოთახში დაგაწყვმტევ და იქიდან უყურე. მეც გამთენიეს მივედი და ჩავჟედი ოთახში. 8 საათი დილის რომ იწყო ხალხმა დენა. საიდან არ მოდის; კუბო გაიტანეს გარეთ. არა სჩანს ჩვენი ახალ-გაზრდობა. ესენი ზოგი დაჭერილია და ზოგიც სადღაც იმალებიან. არიან უმეტესობა ქალები, ყველა ისეთები, რომლის შვილები ან ძმები ანდა ქმრები დახოცეს. არიან მოხუცებული მამაკაცები, რომლის შეხედვა კაცს შეგაწუხებს. არიან დაფიქრებულნი, ენას არ იღებენ. შეიქმნა ტირილი; ვაი, იმისთანა დღეს, მე რომ დამადგა. აქ ყველა ჩემს წინ გადაიშალა ჩვენი ამხანაგები, ისინი იქ სტირიან, მე აქ მარტო ოთახში ვსტირი. ამ დროს ოთახში შემოდის კოლია მენაღარიშვილი. ვიტირეთ ორთავემ, მეტი იარაღი ჩვენ ხელთ არ იყო. ის გადარჩა შემთხვევით, ზესტაფონში იყო ურმით წასული ღვინიზა და ვერ მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში.

უკვე საღამოა, 7 საათი; მკვდრის გასვენება არ მოხერხდა; ძლივს მოხუცებლებმა ააგლიჯეს კუბო ქალებს და მიცვალებული გაასვენეს. ჩემს წინ დევს „კომუნისტი“ გაზეთი; ვათვალიერებ დახოცილთა სიას. ბევრი ნაცნობი ჩემი და მეგობრები, ვინც ციხეში იყო, დახოცილია. ვაი, ჩემ დღეს! ერთი ამოვიკვნესე? ჩვენში იყო ასეთი შეხედულობა იდეური და არა იდეური ბოლშევიკი. იდეურ ბოლშევიკათ თვლიდენ ყველა იმას, ვისაც ხელმძღვანელობა, შეეძლო არა იდეურათ იყო ისინი, ვინც ფეხის ხმას აყვა; ვინც წერა არ იცოდა და კითხვა, ისინი ისჯებოდა - ვისაც ცოდნა ქონდა, ის თავისუფალი იყო. ჩვენს დამოუკიდებლობის დროს არც ერთი ბოლშევიკი ხელძღვანელთაგანი არ დასჯილა. ყველა ცოტა ხანს რაღაც სიმბოლიურათ გააჩერებდენ ციხეში, და მერმეთ გაუშვებდენ.

ჩვენ ვერ ვქენით ის, რაც რაც უნდა გვექმნა, ყველა ის ვინც ხელმძღვანელობას წევდა, ისინი უნდა დაგვესაჯა. ტყვილა კი არ უთქვამს ლენინს - საქართველო დავიპყარითო, - მან იკითხა, რა იქმნა ჟორდანიაო. მას უთხრეს ჟორდანია წავიდა საძღვარ-გარეთ. მაშვინ მან სთქვა: - თქვენ საქართველო არ დაგიპყრიათ, მხოლოდ კუდი შეგრჩენიათ ხელშიო. მან იცოდა ჩვენი პარტიის

ძველი ისტორია და ფიქრობდა, რომ ესენმა დაიწყოს ძველებურათ მუშაობა, მე აქაც დამიფრთხობენ ძილსო. ომი და მორალი ერთად არ თავსდება. მგლის თავზედ სახარება არ იკითხება. ჩვენს პარტიას ყავდა იმდენი არსენა ჯორჯიაშვილები, რომ ისინსთვის საშვალება მიგვეცა, თვით ბოლშევიკების პაპსაც აუტეხდა საღერღელს. მაგრამ დაიხოცენ გულზედ ხელდაკრეფილები მხოლოდ იმის ძახილში: - გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო და დაიხოცენ მგზავსათ ძველი დროის მოწამეებისა. ამ თემაზედ არ ვიტყოდი არაფერს, რომ დღესაც არ გრძელდებოდეს ეს პოლიტიკა ემიგრაციაში. აბა, შეხედეთ ჩვენს დამოკიდებულებას ჩვენ ჩიტირეკია მემარჯვნეებთან. ამაზედ მერმეთ.

მოვიყარეთ თავი თეოფილემ, ნიკიტამ და მე და ვსთქვით, რა ვქნათ? ნიკიტას დავალებული ქონდა კავშირის გამბა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ცენტრთან. მან ეს შესძლო და ცენტრიდან მოვიდა წერილი, რომ ყველა შეიარაღებულ ჩვენ ამხანაგებს წინადადება ეძლევა დასტოვონ საქართველოს ტერიტორია და წავიდენ სამღვარ-გარეთო. ნიკიტას კი სთხოვდენ დარჩენას. ნიკიტა დარჩა; თეოფილემ და მე გავაბით კავშირი ჯამულეთ ღლონტთან და გავედით ოზურგეთის რაიონში. აქ მოვიყარეთ თავი და წავედით ქობულეთის რაიონში. აქ გავიცანი ისკანდერ მეგრელიძე. მოვიყარეთ ყველამ თავი, ვისაც წასვლა უნდოდა სამღვარ-გარეთ: 1. თეოფილე მუხაშავრია 2. აკაკი ვადაჭკორია 3. ფილიპე შარაძე 4. ალფესი ხომერიკი. 5. ჯამულეთ ღლონტი 6. დიომიდე კვერღელიძე 7. ნახევრად გაგიჟებული ჭანუყვაძე და 8. მე. ჭანუყვაძემ რამდენი ყანყლი ასტეხა გზაში, ვინ იცის. გავემგზავრეთ სამღვარ-გარეთ. გავედით ოსმალეთში. იქ კიდევ შეგვხდენ ქართველები ოთხი კაცი 1. პავლე ვაშაძე 2. სიმონ ჩიკვილაძე 3. დარსაველიძე და 4. ჭიჭინაძე. ოსმალეთში ხოფაში შეგვხდა ბესარიონ ჟღენტი, აქ კი გოგიტაურათ წოდებული. ბესარიონი მე გამაცნო ბიკტორ ჭედიამ 1919 წელს ბათომში.

ხოფიდან წავედით პარახოდით სტამბოლში. იქ დაბლა არ ჩამოგვიშვეს; პირ და პირ საფრანგეთის გემზედ დავსხედით. ჩვენთან მოვიდენ კოწია გვარჯალაძე, დათიკო შარაშიძე და ვასო წულაძე. აქედან გავემგზავრეთ საფრანგეთში. მარსელში მივედით 10 იანვარს 1925 წლისა. აქ იწყება ემიგრაცია.

მარსელში დავათვალიერე ხალხი და ვერ დავრჩი კმაყოფილი. წამოსულან ისეთები, რომლებსაც უთხრეს და გაიგეს: სამღვარ-გარეთ ჩვენი მთავრობა ფლავს არიგებსო. ესენი უმფრო ღელავენ, ჯავრობენ, რისთვის არ არის აქ ჩვენი მთავრობის წარმომადგენელიო. რას იზამ ამ უცხო ქვეყანაში: ენა შენ არ იცი და გზა. ამ დროს ჩამოდის ჭიჭიკო ასათიანი, ჩვენ საელჩოს მდივანი. ამან წაგვიყვანა „დუს“ დეპარტამენტში, ერთ პატარა ქალაქ ოდენკურში. აქ იყო ავტომობილის ქარხანა „პეჟო“ და მოვეწყვეთ სამუშაოდ.

მე ძალიან ავათ ვარ, ციებ-ცხელება მაქვს. დამიწყო საქართველოში, აჯანყების წინ და აქაც მომყვა. ძალიან დასუსტებული ვარ. ძლივს მოვირჩინე თავი; აქ კიდევ 4 თვე ვწამლობდი. ჭიჭიკო წავიდა. ჩვენები მუშაობენ; მე ხან გამოშვებით ვმუშაობ, რადგან ყოველ მეორე დღეს; მაცივებს და არ მაძლევს საშვალებას.

ამავე დროს ჩამოდიან ჩოლოყაშვილის რაზმელები. უნდა ვთქვა, რომ ვერ დატოვა მაგენმა კარგი შთაბეჭდილება. სრულიად უვიცები, მხოლოდ ჩხუბი და აყალ-მაყალია მათი საქმე. ჩვენშიაც გამოვიდა სცენაზედ ზოგიერთი ენა მყრალები, მაგალითად, ბოცვაძე. შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ამავე დროს ჩამოდის თვითონ ჩოლოყაშვილი თავის ამქრებით, თანხლებით. აქ, საფრანგეთში, დიდი პროპაგანდა იყო გაწეული საქართველოს აჯანყების შესახებ პრესაში. ფრანგებმა მოაწყვეს ჩვენი დახოცილების პანაშვიდი კატოლიკურ ეკლესიაში. ჩოლოყაშვილი

გასაღებულია როგორც აჯანყების ხელმძღვანელი. ჩამოვიდა და მივიდა თავის ბიჭებთან; გამართეს ქეიფი და ცეკვა. იცეკვა თვითონ ჩოლოყაშვილმა. ჩვენ არ დაგვისწრეს, ვინაიდგან მან ასთე ინება და არც გვინახავს, ესთე წავიდა. ამ დღიდან დავკარგეთ ფრანგებში ავტორიტეტი. ჯერ სისხლი არ გამშრალიყო საქართველოში და მისი ხელმძღვანელი კაფე-კაფე ცეკვავდა. აქ აშკარად გამოირკვა ჩოლოყაშვილის მტრული განწყობილება ჩვენდამი. ეს მოცეკვარი კაცი საქართველოში ხომ ჩვენებმა გაზარდეს და გამოიყვანეს ეროვნულ გმირად. ნათქვამია „შენს გამზდელსო,“ ასთეც ქმნა ჩოლოყაშვილმა. გადის დრო; საქართველოდან გამოვიდა სარდიონ მენაღარიშვილი. მერმეთ ჩვენი ნიკიტა იმნაიშვილი - მას ახლავს კოლია თაყაიშვილი და ისკანდერ მეგრელიძე. საქართველოში უარესი მდგომარეობაა, ვინემ ჩვენ დავტოვეთ.

კარლო ჩხეიძემ თავი მოიკლა. ეს ამბავი ძლიერ სამწუხარო შეიქმნა. თავი მოიკლა იმ კაცმა, რომელმაც თავის სიცოცხლე შესწირა საქართველოს კეთილ-დღეობას. წავიდა ეს კეთილი ადამიანი. მან ვერ გაუძლო იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც საქართველოში იყო. მისი აღზრდილი ბიჭები ბევრი დაიხვრიტა და ბევრიც გადასახლება-ციხეებშია გამოწყვდეული.

ჩვენ ვცხოვრობთ ერთნაირათ; ხან და ხან იმართება კრებები და თავდება აყალ-მაყალით. აქ სცენაზედ გამოდის პატარიძე. ის იძახის, მე ვარ, რაც ვარ. მე ვარ ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და ყველა ჯგუფების-შეფიცულების, უპარტიოების და სხვაო. უნდა დაგიპყროთ მენშევიკებიო. აქ ამ მხეც ხალხს ეს ამბავი მართალი ეგონა., მათ მეტი არ იციან ასტეხენ ჩხუბს ყინყლს და არის ერთი ხლაფორთი.

ერთ დღეს დაარტყეს სერგო მათითაიშვილს. ეს ჩვენებმა ვერ მოითმინეს და ატყდა ერთი .უშვოლებელი ჩხუბი ეს ამბავი თითქმის სამ დღეს გაგრძელდა. ერთ კვირა დღეს მოცვინდენ ბარაკში. იქ ვცხოვრობდით. ისინი ბევრი კერძო ბინებზედ ცხოვრობდენ. ასტეხეს ჩხუბი. არ დაინდვეს საწყალი ცალ-ხელი ლუკა ურუშაძე. იმასაც სცემეს. ერთ თვეს იწვა საწყალი ლუკა ლოგინზედ, ისთე ძლიერ გალახული იყო. ბოლოს იხმარა იარაღი ვინმე სისხლისდამნაშავე მაისურაძემ და მოკლა ორი კაცი-მოხუცი 72 წლის ეფრემ ქარცივაძე, რომელიც დარბოდა და ყვიროდა: - რას შვრებით, რატომ არ გრცხვენიათ ამისო და მეორე-გიორგი დოლიძე, ესეც დარბოდა ჩვენებში და ყველას აჩერებდა. და აი, ასთე სამარცხვინოთ წავიდა ჩვენი საქმე. ჩაერია პოლიცია და მაისურაძე დააპატიმრეს, და შეფიცულები საფრანგეთის პოლიციამ გააძევა ადმინისტრატიულად აქედან. უნდა ითქვას რომ ესენი ხომ იყვნენ და იყვნენ გამხეცებული ხალხი, მაგრამ ვერც ჩვენ დავრჩით თავის სიმაღლეზედ. ვერ ავიცდინეთ ეს სამარცხვინო ამბავი. როგორც წინათ ვთქვი, ჩვენშიაც აღმოჩნდა ენა მყრალი ხალხი. საქმე კი არაფერი შეეძლოთ. მერმეთ გამოირკვა, რომ ერთი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთაგანი ვეშაპელი თურმე ბოლშევიკებთან მუშაობდა. მან მერმეთ სააშკარაოზედ გამოვიდა და გამოსცა გაზეთი „ახალი საქართველო“. ვეშაპელი მოკლეს. მოგვწყინდა ოდენკურში და მოვილაპარაკეთ რამოდენიმე კაცმა, რომ წავიდეთ მამულში სამუშაოდ. წავედით, აქაც ვერ ვქენით ხეირი. წავედით ტყეში; ერთხან აქ ვიმუშავეთ. დავბრუნდი ესევ ოდენკურში. გზაში გავიარე პარიზში. ვინახულე ჩვენი ამხანაგები: პირველათ ნიკიტა. ნიკიტამ წამიყვანა და მანახვა სარდიონ მენაღარიშვილი. სარდიონს შეუმოკლებია თავის სახელ და გვარი უძახიან სანდრო მენაღარს.

სანდრო აურჩევიათ საძღვარ-გარეთელ ბიუროს პრეზიდიუმის წევრათ. ეს ძალიან კარგია. ეს ახალ-გაზრდა კაცი ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის გვერდით უმფრო მეტს გამოცდილებას შეიძენს.

ჩავედი ოდენკურში. იგივე ამბავი, იგივე ყაყანი, უიმედობა სუფევს. ძნელია ასეთი აუტანელი ცხოვრება. მაგრამ რას იქ. მე პირადათ ძალიან ვწუხვარ. მთლად უიმედობას მივეცი თავი. ამან გამოიწვია სიზარმაცე, არც ენა ვისწავლე, არც რაიმე სხვა ხეირიანი. და ვცხოვრობ ასთე. ერთ დღეს ბიბლიოთეკის შენობაში ვართ. ბევრი ამხანაგები მახსოვს: ლადო ბაქრაძემ წამოაგდო ჯაყოს ხიზნებზედ ლაპარაკი, შეგვექმნა მსჯელობა. ლადო ძალიან ასურათებს ჯაყოს: ის ამბობს, ეს ნამდვილი საამდროვო მხატვრული აღწერილობაო. მაგრამ როდესაც მიდგება თეიმურაზედ და მარგოზედ საქმე, აქ კი ის ვერ ინელებს, ეს როგორ ქმნა ჯავახიშვილმა, რომ ქართველი ინტელიგენცია და ქართველი ქალი ასთე გალანძღაო. ამ დროს შემოდის ალფესი ხომერიკი და კითხულობს: - რაა ჯაყოო. მირიან ბარამიძემ უთხრა, ჯაყო კაცის სახელიაო. იკითხა ვინ იყო ჯაყოო. მე უთხარი ნამდვილი ჯაყო შენ ხარ ალფეს-თქვა. მოუვიდა გული და წავიდა. საღამოს ცოტა დაელია და შამოვიდა კანტინის შენობაში და მომადგა გინებით: დედაც არ დამიტოვა საფლავში. წამომესარჩლა თეოფილე, იმასაც შეუკურთხა და წავიდა. 1929 წლის დამლევს ოდენკურში ჩამოდის ჭანუყვაძე. ის აქ თითქმის დიდ უმრავლესობას არ ელაპარაკება. ეს ქმნის ერთნაირ გაუგებრობას და უხერხულობას. მე ველაპარაკები და მივედი მასთან, ვკითხე ამბავი. მან მითხრა:- მე ვმუშაობდი პარიზში, მაგრამ აქ წამოვედი იმისათვის, რომ ამ ხალხის ჯინი მაქვსო. ჩემთან არიან ზოსიმე ჯორბენაძე და ლევან ჩარკვიანი. ჩვენ სამივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის წევრები ვართ. შენ ხომ იცი, აქ ასეთი წესია, ვინც მოვა, ის ჯერ უნდა მივიდეს საზოგადოების გამგეობაში, მას უნდა სთხოვოს სამუშაოზედ მოწყობა. გამგეობის თავმჯდომარე ბაქრაძე წავა ქარხანაში და ის დაგიდგება თავდებათ და ქარხანა მერმეთ მიგიღებს. ესთე ქარხანა არავის არ ღებულობს ქართველს, იმის მერმეთ, რაც უბედურობა მოგვიხდა. მან გამგეობა და მისი თავმჯდომარე ფეხებზედ დაიკიდა, ადგა და წავიდა. ერთ დღეს შედის ბაქრაძე ქარხანაში, მას დირექტორი ეუბნება: დღეს ერთი ქართველი მივიღეთ, გვარათ ჭანუყვაძე, ხომ არ გაქვთ რაიმე საწინააღმდეგოო. ბაქრაძე ეუბნება: საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თავდებათ ვერ ვიქნებიო. ეს უთხრა და გათავდა; დირეკტორისათვის გასაგები იყო ეს და მან ჭანუყვაძე დაითხოვა. ჭანუყვაძემ დაიწყო ქადნება, სადღაც გაქრა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ჩამოდის სტუმრათ ნოე რამიშვილი. ის დარჩა რამოდენიმე დღე. საიდგანაც გაჩდა ჭანუყვაძე. გვიჩივლა რამიშვილთან, რომ ესენმა გამომაგდეს სამუშაოდანო. რამიშვილმა დაამშვიდა, ბევრი ელაპარაკა, მერმეთ ადგა ჭანუყვაძე და უთხრა: რა ვქნა ერთი კაპეიკი ჯიბეში არა მაქვს, სად წავიდეო. მოგვიბრუნდა რამიშვილი მე და ზოსიმე ჯორბენაძეს და გვითხრა მაგრათ: - წადით ეხლა თქვენ გამგეობაში და გამოართვით ფულიო. ჩვენ წავედით, უთხარით გამგეობას, რაშიც იყო საქმე და გამოვართვით ხუთასი ფრანკი და მივუტანე რამიშვილს. მან გამომართვა, დაითვალა ეს ფული, ეცოტავა და მითხრა: შენ გექნება შენი ფული და ამოიღე. სწორეთ სამას ფრანკი მქონდა. ის ამოვიღე და მივეცი რამიშვილს. ეიღო ეს რვაასი ფრანკი და მისცა ჭანუყვაძეს: წადი პარიზში, მოძებნე სამუშაო. იქ სამუშაო იშოვნებაო; მეც ჩამოვალ, დაგეხმარები სამუშაოს მონახვაში. ჭანუყვაძემ მადლობა გადაუხადა მას და წავიდა. ეხლა ჩვენ მოგვიბრუნდა რამიშვილი და ტყავი გაგვაძრო: ასთე კაცის მოძულება როგორ შეიძლებაო. კრებაზედ დასვა ეს საკითხი და იქ ყველა სათითაოდ გაგვლანძღა. აი, ამ კაცმა მერმეთ მოკლა რამიშვილი და სასამართლოში განაცხადა, რომ მისთვინ მოვკალი ოდენკურში, სამუშაოდან გამომაგდოო. ჭანუყვაძეს მე ვიცნობდი 1919 წლ. ის ძალიან გაუტანელი კაცი იყო და მერმეთ შეპყრობილი რაღაცა მანიით. იტყოდა: რაა ჩვენი სიცოცხლე, მოკვდებით უსახელოთ; კაცმა რაიმე სახელი უნდა დასტოვოსო. სწორეთ ამ მანიამ მოაკვლია მას რამიშვილი.

მოკლეს რამიშვილი; რომ იტყვიან ხე, რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა თავზედ დაადგებაო, ისთე მოხდა. ატყდა ყველა შინაური და გარეული. იფიქრეს ეხლა დადგა დროო.

გაჩდა ჩვენ პარტიაში ეგრედ-წოდებული ოპოზიცია. რამიშვილის დასაფლავებაზედ თითქმის ოდენკურიდან ყველა იყო. დასაფლავების შემდეგ რამოდენიმე კაცი დაგვიბარა ნოე ჟორდანიამ. ვიყავით შემდეგი პირები. 1. სერგო მათითაიშვილი 2. თეოფილე მუხაშავრია 3. კოლია ორაგველიძე 4. შიო ქურიძე 5. მირიან ბარამიძე 6. კოლია შარაბიძე 7. ვიყავ მე. იქ დაგვხდენ სანდრო მენაღარი და პავლე სარჯველაძე. ნოემ გვითხრა:- ხომ ხედავთ, მოკლეს რამიშვილი და როგორ ატყდა ეს ხალხიო. ჩვენი პარტია არის ჩვეული, რომ როდესაც ზევით რაიმე გაუგებრობა მოხდებოდა, მუშები მაშვინ ჩვენ მოგვიწოდებდენ წესიერებისაკენო. თქვენც ასთე მოიქეცით, აიმაღლე ხმა და ყველას მოუწოდეთ წესიერებისაკენო. ბევრი ვილაპარაკეთ და ჩვენ წავედით ოდენკურში. ოდენკურიდან ყველა გადავიარეთ ოთხი- კილომეტრის მანძილზედ ქ. სოშოში, ვინაიდგან ქარხანამ აქ გადაიტანა თავის სამუშაო.

ჩვენ ჩავედით ჩვენ ალაგას. ნათქვამია, თაგვებმა თავი მოიყარეს და სთქვეს კატას ეჟვანი შევაბათო, მაგრამ შემბელი არ აღმოჩნდა. ესევე დაგვემართა ჩვენ და ეჟვნის შემბელად მიიჩნიეს რუბენ ყიფიანი. ამის წინააღმდეგ გავილაშქრე მე და თეოფილემ. მაგრამ არაფერი გაგვივდა; მოიწვიეს რუბენი. რუბენმა ჰყარა „კრაკადილის ცრემლები“, დავიღუპეთ, მოგვიკლეს რამიშვილიო. აქ დიდი ვაივაგლახის შემდეგ გადაიტანეს ეს საკითხი ორგანიზაციაში. იქ გაკეთდა მოხსენება მდგომარეობაზედ და გადასწყვიტეს, რომ მოხდეს შერიგება ოპოზიციას და პოზიციის ხელმძღვანელებს შორის ე.ი. წერეთელ და ჟორდანიას შორის. და აირჩიეს დელეგაცია პარიზში წასასვლელად. ხუთი კაცი იქმნა არჩეული. 1. სერგო მათითაიშვილი 2. კოლია ორაგველიძე 3. რუბენ ყიფიანი 4. მირიან ბარამიძე 5. მირიან მელუა. წავიდა დელეგაცია პარიზში, დაბრუნდა და გააკეთა მოხსენება, რომ გაკეთდა საქმე, შერიგდენ ჟორდანია და წერეთელიო. ჩვენც გაგვეხარდა, არ გვწყენია, მაგრამ არ აღმოჩდა მართალი ეს. ჟორდანიამ და წერეთელმა ნახეს ერთი-მეორე, სთქვეს მოვილაპარაკოთო; როდესაც შეუდგენ მოლაპარაკებას, აღმოჩდა აზრთა სხვა და სხვაობა და დაიშალენ.

დელეგაცია კიდევ ორჯელ წავიდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერმეთ მოწვეული იქმნა საძღვარ-გარეთელ ორგანიზაციების კონფერენცია. ამ კონფერენციაზედ ოდენკურიდან წავიდენ შემდეგი პირები: 3 კაცი ოპოზიციიდან 1. სერგო მათითაიშვილი 2. კოლია ორაგველიძე 3. რუბენ ყიფიანი; ორი კაცი პოზიციიდან 1. ზაქრო წულაძე, 2. შიო ქურიძე. ავიდენ პარიზში და მოიყარეს თავი. ჟორდანიამ ცოტა შესავალი სიტყვა სთქვა. მას უთხრეს: შენ სიტყვას ნუ ამბობ, აგვირჩიე თავმჯდომარე და წაბრძანდიო. ჟორდანიამ აარჩევია თავმჯდომარე და წავიდა. ეს რა ქმნა ამ კაცმა, სთქვეს. ჩვენებმა უთხრეს, თქვენ ასთე უთხარით და იმანაც ისთე მოიქცა, როგორც უთხარითო. ბევრი ეცადეს, მაგრამ ჟორდანია არ დაბრუნდა. კონფერენცია დაიშალა უშედეგოთ. აქ უკვე გამოირკვა, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელი დარჩა; და ჟორდანიას მომხრეებმა შეადგინეს ცალკე ორგანიზაცია. ისინმაც ცალკე.

ჩვენს პარტიას 1925 წლიდან ქონდა თავის ორგანო „ბრძოლა“. შემდეგ ეს ორგანო გადაკეთდა „ბრძოლის ხმა“-დ. ჩვენ მთავრობას ქონდა თავისი ორგანო „დამოუკიდებელი საქართველო“. ეს ჟურნალები გამოდიოდა თვეში ერთხელ, სანამ გერმანიამ არ დაიპყრო საფრანგეთი. ე.ი. 1940 წ. ივნისამდე. ოპოზიციამ გამოსცა თავის ორგანო „სოციალისტური აზრი“. კიდევ გამოდიოდა სხვა ჟურნალები: ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის „საქართველოს გუშაგი“, „სამშობლო“, „მამულიშვილი“, „კლდე“; გამოდიოდა „თეთრი გიორგი“; ეგრეთ წოდებული ფაშისტების ორგა-

ნო - „მომავალი“ „ქართლოსი“ „ორნატი“ „მუზარადი“ და სხვა. ესენმა ყველამ ერთ ხმათ დაწყებული, „სოციალისტური აზრიდან“ - გათავებული „მუზარადით“, ებრძოდა ჟორდანიას და მის მთავრობას. შემთხვევით თუ გაახსენდებოდა ბოლშევიკები, თვარა, აჰა, მტერი - აგერ ჟორდანიაო, ამბობდენ. ოპოზიციამ გამოსცა იმ კონფერენციის ანგარიში, რომელზედაც გვქონდა ლაპარაკი, და ვაი, სირცხვილო, სად უწერია ხელი წერეთელ-არსენიძეს და მის ამხანაგებს, ნოზაძე-საღირაშვილთან ერთად, ჟორდანიას წინააღმდეგ, სადაც ჟორდანიას არა დემოკრატობაზედ და არა სოციალისტობაზედ ლაპარაკობენ.

1934 წელს საფრანგეთში გააუქმეს ჩვენი საელჩო. ზეიმობს ბოლშევიკები - გაჰკივის არსენიძე-კედია: მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყოო. საფრანგეთის მთავრობამ დაარსა ქართული „ოფისი“ და ესენმა ასტეხეს ყიჟინა, ჩვენ უნდა ვიყოთ პატრონი ამ „ოფისისო“, რა მოხელეა ჩხენკელი და ჟორდანიაო. მაგრამ აქაც არაფერი გამოუვიდათ.

მერმეთ გაჩდა საიდღანაც გაზეთი „კავკასია“. ეს ორგანო გამოდიოდა რამოდენიმე ენაზედ: ქართულად, რუსულად, ფრანგულათ, გერმანულათ, კიდევ სხვა. ეს ორგანო დააარსა ვიღაც მთიელმა ბამანტმა. აქაც გაჩნდენ ქართველი კალმოსნები: პროფ. ავალიშვილი, ამირეჯიბი, გენლი კვინიტაძე და სხვები; რას სწერდენ და რას; სირცხვილია, კაცმა რომ ეს წაიკითხოს. გაჩნდენ ოს-თის უფასო ვექილებათ. ოს-თი არ იყო დაინტერესებული საკითხით, რომელზედაც ესენი სწერდენ. ამ საკითხზედ კითხვა წამომდგარიყო, ოს-თს ერჩია ისიც გაჩუმებულიყო და სხვებიც. ვინაიდგან კარგი ლუკმა ქონდათ გადაყლაპული და იმის მონელება უნდოდათ. მაგრამ ესენმა ასტეხა კორიანტელი და ისიც არ იყაბულეს, რაც დღეს ქონდათ ოს-თს კიდევ საჭიროა მათვინ და მიეცეს ბათუმიო.

ყველა ეს ორგანოები, რომელიც მე ჩამოვთვალე, ნორმალურმა ადამიანმა რომ გადიკითხოს, იტყვის:– ეს ვინ ყოფილან! თავისუფალ საფრანგეთში კი არა, საგიჟეში ყოფილანო, იტყვის. ამ რიგათ მივედით 1939 წლის სეკტემბრამდე. დაიწყო ომი; რუსეთმა დასდო მეგობრობის პაკტი გერმანიასან; ამით გერმანიას ეძლეოდა საშვალება, რომ თავისი განძრახვები სისრულეში მოეყვანა. მან თავს დაესხა პოლონეთს. ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას პოლონეთის საკითხზედ და ატყდა ომი. საფრანგეთმა ამ ომს უწოდა ერთა განმათავისუფლებელი ომი. სად უნდა ყოფილიყო ქართველები და ამაზედ ნოე ჟორდანიამ გამოსცა თავისი ცნობილი დეკლარაცია - „ჩვენ იქ ვართ, სადაც არის თავისუფლებაო“ და სხვა. გერმანიამ სძლია პოლონეთი. უკინდამიდან პოლონეთს მოადგა რუსეთი. მოხდა პოლონეთის მესამე გაყოფა: ერთი ნაწილი გერმანიამ წაიღო, მეორე ნაწილი კი რუსეთმა. მერმეთ გერმანიამ თავს დაესხა დანიას და ნორვეგიას და აიღო ისინი. ამავე დროს რუსეთმა თავს დაესხა ფილიანდიას. ამ გმირმა ხალხმა ბრძოლაში სიკვდილი არჩია. შეიქმნა ომი უსწორო; უშველებელი რუსეთი და პატარა ფილიანდია. აქ გამეორდა ცნობილი კრილოვის არაკი, „მნე ხოჩეტსა კუშატ“; რუსეთმა მოინდომა ფილიანდის შეჭმა, მაგრამ ძვირი დაუჯდა. ყველა თავისუფალ მოაზროვნე ადამიანში როგორ იწვევდა ზიზღს რუსეთისადმი. 1940 წლ. დასაწყისში მოხდა ერთა ლიგის სხდომა ჟენევაში. როგორი გაკიცხვა გამოუტანეს რუსეთს და ერთა ლიგიდან გააგდეს.

ამავე დროს იტალიამ თავს დაესხა პატარა საბერძნეთს. ესენმა კინაღამ კისერი მოსტეხეს იტალიელებს, მაგრამ აქ მოუსწრო გერმანიამ. ჯერ ეიღო იუგოსლავია და მიადგა ბერძნებს და სძლია ის. ფილანდიამ და საბერძნეთმა ამ ომში გამოიჩინეს დიდი გმირობა. 1940 წლის გაზამხულზედ გერმანიამ თავს დაესხა გოლანდიას და ბელგიას, ლუქსემბურგს. ბელგიამ საფრანგეთს სთხოვა დახმარება. გერმანიამ სძლია ყველა ესენი და მოადგა საფრანგეთს. საფრანგეთი ძლეულ

იქმნა და გერმანიამ შამოვიდა შიგ. ჩვენთან გერმანიის ჯარი მოვიდა 17 ივნისს. საშინელ სამარცხვინოთ დამარცხდდა ფრანგების ჯარი. მე მოწამე ვარ, როგორ გარბოდა ფრანგების ორი დივიზია. აქ იყო პოლონეთის ერთი დივიზია და ისინმა როგორ მისცეს ბრძოლა და გავიდენ შვეიცარიაში. როგორც ამბობდენ, ფრანგების ოფიცრობაში ბლომათ იყო ეგრეთ-წოდებული „კაგულიარები“, ჯარის კაცები კი, ნაწილი „კომუნისტები“. გერმანიამ რომ პარიზს დაუახლოვდა, იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს.

კომუნისტები დიდ პროპაგანდას ეწეოდენ ომის წინააღმდეგ, აქებდენ სტალინის ბრძნულ პოლიტიკას, რომ მან შესძლო გერმანიასან საერთო ენის გამონახვა. ქარხანაში დილას რომ მიხვალ, დაგვხვდება კომუნისტების პროკლამაცია ხშირად, სადაც მოუწოდებდენ მუშებს არ ემუშავათ კაპიტალისტებისათვინ, ვინაიდგან ისინი იყვნენ ამ ომის დამნაშვენი და სხვა. ბოლოში ყველას ეწერა – გაუმარჯოს სტალინს და მის ბრძნულ პოლოტიკასო. და აი, ამან გამოიწვია საფრანგეთის დამარცხება. შემოვიდა გერმანია საფრანგეთში. უმუშევრობა არის და მუშებს უწოდებენ გერმანიაში წასვლას. პარიზიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანელებმა დაატუსაღეს სანდრო მენაღარიო და იყვნენ ჟორდანიასანო. სანდრო იჟდა რამოდენიმე თვეს ციხეში.

საიდგანაც მიშა კედიამ ამოყო თავი და გერმანელებთან დაიჭირა კავშირი. ამუშავდა ყველა ბნელი ძალები. ამბობდენ ეხლა დადგა ჩვენი დროო. უნდა ითქვას, რომ მიშა კედიას სხვაზედ უკეთესად ეჭირა თავი. ეს ბოლომდის მიიყვანა. რამდენადაც შეეძლო, ეხმარება ყველას განურჩევლად. გერმანიამ სცადა „ლამანშზედ“ გადასვლა, მაგრამ ამაოდ. ქართველები ბევრი წავიდენ გერმანიაში სამუშაოდ, მაგრამ როგორც ემჩნევა ვერ არიან კმაყოფილი. მე ძალიან მძიმე სამუშევარზედ ვარ, მაგრამ არ მინდა წავიდე გერმანიაში. წავიდენ ბევრი ჩემი ამხანაგები; იქიდან იწერებიან წერილს.

მიდის დრო. ერთ საღამოს ვზივართ რამოდენიმე ამხანაგები და ვუსმენთ რადიოს. მოუსმინეთ მოსკოვს. მოსკოვი ამბობს, რომ ინგლისის პლუტოკრატიას სურს ჩვენს და გერმანელებს შორის ჩამოაგდოს კონფლიქტიო, მაგრამ ამაოდ; ჩვენ და გერმანელებს შორის სამუდამო შეთანხმება გვაქვსო. ღამის 11 საათზედ დავიშალეთ და წავედი დასაწოლად.

მეორე დღეს გათენდა, კვირა დილაა 22 ივნისი 1941 წ. 8 საათი იქნებოდა. მომადგა ვალოდია დოლიძე: ადე, კაცო, ახალი ამბავია, გერმანიამ ამ დილის 4 საათზე რუსეთს თავს დაესხა. მე ტყვილი მეგონა; ერთი ქეც გავჯავრდი, მაგრამ ჩემი დიასახლისი გამოვიდა და იმანაც დამიდასტურა. წავედით, მოვიყარეთ თავი, შევქენით ერთი ყაყანი; რა მოხდა, როგორ მოხდა. ოთხშაბათს ჩამოდის ერთი მეგობარი პარიზიდან და ის მეუბნება ამბავს: მიშა კედიამ მოეწყო გერმანელებთან და ქართველები, ვისაც შუძლია, ყველა მიდისო და გადმომცა ერთი მეგობრის პატარა ბარათი. აქედან პარიზში წავიდე, საჭიროა ნებართვა; ესთე წასვლა არ შეიძლება და თუ გამოგიზავნიან, წამოვალ და ჩემ მეგობარს მივსწერე პატარა ბარათი. შაბათს, 28 ივნისს, ჩამოდის შოთა ბერეჟანი. იმან მომიტანა ნებართვა. ორშაბათს 30 ივნის ავიღე ანგარიში ქარხანაში. და საღამოს 8 საათზედ გავემგზავრე. 1 ივლისს 9 საათზედ უკვე პარიზში ვიყავ; ვინახულე ამხანაგები და წავედი უმფროს პასუხის-მგებელ პირთან. ისინის აზრი მინდოდა. იქ მითხრეს, რომ თუ შეგიძლია და წახვალ, კარგს იზამო. ჩვენც მოვიყარეთ თავი და წავედით. პარიზში გვითხრეს, რომ ვენაში მოვლენ პოლკოვნიკი ვალიკო თევზაძე და კოტე იმნაძეო, რამოდენიმე პოლონეთის ქართველი ოფიცერით. ეს ძალიან გვესიამოვნა.

ჩავედით ვენაში. აქ ჩამოვიდენ ზემოხსენებული ოფიცრები. ვნახეთ ერთი-მეორე, ვისაუბრეთ. კოტე იმნაძე ჩემი ბავშობის ამხანაგია და არ მინახავს აგერ 11 წელია. აქ ჩვენ გამოგვიც-

ვალეს ეროვნება, სახელ და გვარი. მე ვიყავ ფრანგი ქ. „მეტციდან ალბერტ ურახი“. აქ ჩვენმა მემარჯვნეებმა ასტეხეს ერთი აურზაური, რომ დაინახეს თევზაძე და იმნაძე, რომ აქ კიდევ მენშევიკები იქმნებიან უმფროსებადო და გერმანელებთანაც გაანცხადეს. თევზაძემ აწარმოვა მოლაპარაკება გერმანელებთან და უთხრა, რომ აქ თუ ქართული ნაწილი დგება, მე უნდა ვიყო უმფროსი, ვინაიდგან კანონით მე მეკუთვნისო. თუ ეს ასთე არ არის, მაშვინ მე აქ არაფერი საქმე მაქვსო. ამ მოლაპარაკებით ჩავედით ბუხარესტში, რუმინიაში და თევზაძემ მიიღო პასუხი, რომ აქ არის გერმანული ნაწილი, მოხალისეებათ ქართველებიო. მან უპასუხა: მე აქ დარჩენა არ შემიძლია და ისინი გაუშვენ-თევზაძე, იმნაძე და კვალიაშვილი. დავრჩით ჩვენ. აქ არიან კიდევ ორი ოფიცერი-ნამუაშვილი და ხუნდაძე. ესენი არიან გერმ. შტაბთან. დაიწყო ჩვენი სამხედრო მეცადინეობა. ქართველი ოფიცრები ჩააყენეს რიგებში. თავს გვადგია გერმანელი ეფრეიტორები ანდა ფოლთვებელი „რიხტერი“.

ვალიკო ინწკირველმა სთქვა:- მე აქ არაფერი საქმე მაქვს, მეც უნდა წავიდეო. ის იყო ჩვენი საძღვარ-გარეთელ ბიუროს წარმომადგენელი აქ და იმან ავათმყოფობით და მასთან რამოდენიმე კაცმა გაბრუნდენ უკან. ამავე დროს ჩამოდის მეორე ჯგუფი ქართველების. ამას ჩამოყვა პავლე სარჯველაძე. ცოტა ხანს შემდეგ წავედით სამაცადინოთ. ერთ პატარა ქალაქში ოდაპეტში. აქ თავი მოვიყარეთ ორთავე ჯგუფმა ერთ კომპანიაში. კომპანია გაიყო სამ ჯგუფათ. მე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც გავეცანი ამ ხალხს და ესენი ვნახე. სად იყო და საიდან მოვიდენ ესენი. ბევრს ვიცნობდი, ბევრი აქ გავიცანი. ვინ გინდა, აქ არ არის: „თეთრ გიორგელები“, ქართველი „მონარხისტები“, ყოფილი „თავად აზნაურობა“, რომლებიც ელიან გერმანიის გამარჯვებით თავის პრივილეგიების აღდგენას, ჟურნალ „კავკასიელები“ „ნაციონალ-დემოკრატები“, ყოფილი სოც. ფედერალისტები და ჩვენ სოც.-დემოკრატები, ყველა ესენი, გარდა ჩვენისა, ნაც.-სოციალისტობენ, მაგრამ ერთი-მეორეს არ ცნობენ, იძახიან მე ვარ, რაც ვარ, ისინი არაფერი არის. მიდიან გერმანელებთან, ერთი-მეორეს ასმენენ. ერთ დღეს გერმანელებმა დაურიგა ვითომ ჩვენ მეთაურებს რაღაცა ნიშნები თითო ძაფი, ფიქტიური ეფრეიტოროობა. ამაზედ მე ვიხუმრე, რომ გერმანელები უმფრო სკუპოი ყოფილა, ვინემ რუსები. ჩვენს თავად-აზნაურობას ძველათ რუსები პრაპორჩიკობას მაინც აძლევდენ და გერმანელები ეფრეიტოროობას ძლივს იმეტებენ. ეს ამბავი ხელათ მივიდა გერმანელებთან, მენშევიკები ასეთ პრავაკაციას ეწევიანო. ეს მე ვსთქვი, რა შვაში იყო მენშევიკები. ჩვენი ამხანაგები ერთ ჯგუფში ვართ უმეტესობა - პავლე სარჯველაძე, აკაკი კვეტაიშვილი, ერასტო მაჭავარიანი, ვარდენ ჩიკაშუა და სხვები. პავლეს უთხარი, რომ აქ არ არის ამდენი ჩვენი ამხანაგები საჭირო და ზოგიერთებმა წავიდეს უკან, უკეთესია. მე გადავწყვიდე დარჩენა. მხოლოდ პავლემ განაცხადა სურვილი უკან წასვლის. დანარჩენებმა ჩვენებმა აქ ქმნეს: – ეგება გერმანელები ქეც ჩავიდეს საქართველოში და ესენს მარტო გაშვება ყოვლად შეუძლებელიაო. პავლე წავიდა. ესენს რა ქმნას, თვარა ჩვენი აქ დარჩენა არ უნდათ. ერთ დღეს ვზივართ ერთ ცაცხვის ძირში ბლომად ხალხი. სიცხეა აქ. სოლიკო ზალდასტანიშვილმა წამოაგდო ამბავი. სოლიკო იყო ქართულ ჯარში პოლკოვნიკი. ამდენი ხანია მე საძღვარ-გარეთ ვარ და არც ერთ სახელმწიფოს ასთე ნათლად არ დაუყენებია საქართველოს საკითხი, როგორც გერმანიასო. ამაზედ მე უთხარი, რომ თუ შენ სადმე მანახვებ დაწერილს გერმანელების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მე მადლობას გეტყვი-თქვა. მან მიპასუხა: აი, მაგალითად, ჩვენ რომ ვართ, ეს არ არის ცნობაო. მე უთხარი, რომ ამ საქმეს არაფერი საერთო არ აქვს საქართველოსთან; ეს ნაწილი არის გერმანიის ჯარის; ჩვენ ვართ უცხო მოხალისენი. მაგალითად, შენ ხარ ისპანიელი, გვარათ სალდარი და ვინიცობაა მოკვდე, მოკვდები როგორც ისპანიელი. მე ენამ

მიყივლა, საწყალი სოლიკო ქეც მოკვდა რამოდენიმე ხანს შემდეგ. უნდა ითქვას, რომ მთელ ამ ხალხში ერთად- ერთი კაცი იყო პატიოსანი ადამიანი. ეს ამბავი მიიტანეს გერმანელებთან. ჩვენი კომპანიიის უმფროსი იყო ობერ-ლეიტენანტი კლამერი. მან დამიბარა. თარჯიმნათ იყო ბორჩალოელი გერმანელი, რომელმაც იცოდა რუსული; მან მითხრა ეს ამბავი. აქ ვერ ვივარებ, რადგან საჯაროთ ვსთქვი და უთხარი, რომ კი ვსთქვი და მართლიც არის თქვა. იმან გაიცინა და მითხრა: – ეს ყველაფერი მართალია, რაც გითქვამს, მაგრამ თქვენს ქართველებს მოსდის გულიო. ამით გათავდა.

ერთ დღეს გვესტუმრენ ნამუაშვილი და ხუნდაძე. ნამუაშვილმა გააკეთა მოხსენება; მას ქონდა ერთნაირი შეხედულება და აზრი გერმანელებთან მუშაობის. ასთე არა უშავდა, რომ ეს გასულიყო და სთქვა მან, თქვენ უნდა დამიჭიროთ მხარიო. მე წავალ ბერლინში და იქ მოველაპარაკები შტაბსო. ამ მოლაპარაკებაზედ ყველა არ ყოფილა შერჩეული. იყო რამოდენიმე კაცი, როდესაც მან სთქვა წასვლაზედ. აქ სოლიკომ ხელი მოუწერა ჩვენ მაგიერ და უთხრა, ეს შენი დებულება თუ არ მიიღო გერმანელებმაო, მე პირადათ აქედან წავალო.

ნამუაშვილი და ხუნდაძე წავიდენ. ნამუაშვილი იყო ბერლინში და დაბრუნდა ბუხარესტში. იქიდან მე და აკაკი კვეტაიშვილმა მივიღეთ ხუნდაძის წერილი, სადაც ის გვწერდა, რომ ნამუაშვილი დაბრუნდა ბერლინიდან და მოიტანა შემდეგი ამბავი. შენ ხომ არ გაგიჟდი, უთხრეს მას შტაბში, ჩვენ ლიტვა, ლატვა და ესტონია არ ვიცანით, ისინმა თავის ძალით შესძლეს ბოლშევიკების განდევნა თავის ტერიტორიიდანო და შექმნეს მთავრობაო. ეს მთავრობა ჩვენ დავატუსაღეთ და თქვენ ვინ მოგცემს რამესო. აი, ასეთი აზრი მოიტანა ნამუაშვილმაო, გვწერდა ხუნდაძე. ნამუაშვილმა სოლიკოს მოსწერა წერილი ცოტა უმფრო დიპლომატიურიო. მე ვკითხე სოლიკოს: თუ მიიღე ნამუაშვილის წერილი თქვა. მან მითხრა, მივიღეო. მაგრამ ეხლა სხვა წერილიც მივიღე და ვჩერდებიო.

ერთ დღეს მოდის ჩვენთან ჩვენი კომპანიის უმფროსი და სთქვა, რომ ბევრი ქართველი ტყვეებია და ჩვენ უნდა გავაგზავნოთ რამოდენიმე კაცი პრაპაგანდისტები. შეარჩიეს ისეთები, რომ ისინის მისვლა ტყვეებთან პირდაპირ პრავაკაცია იყო. მაგრამ რას იზამ. ისინი წავიდა ტყვეებთან, ჩვენ წავედით ქ. ბრაზოვში. მოვიდა ტყვეებიდან კაცი და მოიტანა ამბავი, რომ პირ და პირ ვერ წარმოიდგენ, ეს ტყვეები როგორი უვიცები არიანო. არც საქართველოს დამოუკიდებლობა იციან, არც სხვა რამეო, ვინ იყო ნოე ჟორდანია, ან სხვები. არაფერი ამის არ იციანო. ჩვენ შევწუხდით, მაგრამ რას იზამ. თურმე ნუ იტყვით, ესენმა დაუწყეს ლაპარაკი სხვა და სხვა ამბები და ისინმაც ენა გაკმინდეს. ეს მერმეთ გამოირკვა, ეს რა ხალხი მოვიდა, ვინ არიან, შეშინდენ. მერმეთ მოვიდა უმფროსი და სთქვა: - ვინაიდგან მდგომარეობა ძალიან ცუდია, აქ ტყვეები მოვიყვანოთ და უმფრო ხნიერი ხალხი გავანთავისუფლოდ. ქართველმა უმფროსებმა შეიმუშავეს სია და გადასცეს გერმანელებს. გერმანელებმა დახედეს ამ სიას და გაუკვირდათ, ისეთები არიან დასახელებული ამ სიაში, რომლებიც ახალ-გაზრდებიც არიან და მასთან ვარგებული ბიჭები, როგორც ვარდენ ჩიკაშუა, აფრასიონ ხვედელიანი, გიგო ჟორდანია და სხვები. გამოიყვანეს კომპანია და თითო-თითოდ ჰკითხეს ამ ახალ-გაზრდებს, თქვენ გინდათ წასვლაო. ესენს გაუკვირდა, რომ ჩვენ არ გვითხოვია წასვლა და ვინ შეგვიტანა სიაშიო. მაშვინ გერმანელებმა თვითონ შეარჩიეს, მაგრამ ზოგიერთი გავლენა მაინც მოხდა. ისინი კი ერთი-მეორეს აბრალებდენ, არა იმან ქმნა, არა მეო. მე წავედი პარიზში.

15 დეკემბერს უკვე პარიზში ვარ. ვიკტორ ხომერიკმა და ბაგრატ ჭანტურიამ მოახერხეს ტყვეებთან წასვლა. გერმანიიდგან ბევრი იყვნენ ქართველები ტყვეებთან და ესევე ამბავი

მოიტანეს, როგორც რუმინიაში. ამბობენ, რომ უვიცებია, არაფრის ცოდნა არ აქვთო. გავიდა ხანი და ჩამოვიდა ვიკტორ ხომერიკი, რომელმაც მომიტანა წერილი ერთი ჩემი ბავშობის ამხანაგის შვილის. ვნახე ვიკტორი, რომელსაც ვკითხე, როგორი შთაბეჭდილების ხარ-თქვა. მან პირ და პირ აქო ყველანი, დიდი უმრავლესობა საუკეთესო ბიჭებიაო. აი, მაგალითად, ეს ყმაწვილი რომ ნახო, ძალიან გაგიხარდებაო. მე გავხსენი წერილი და წავიკითხე: დათიკო სანდროს-ძე ფირცხალაიშვილი. მე პატარა დავტოვე 7-8 წლის, გაზრდილა, დავაჟკაცებულა. წერილის სტილი მოგეწონება; ვისაც წავაკითხე, ყველამ მოიწონა. მერმეთ მასთან იყვნენ ვარდენი, გიგო და სხვები ერთად ჯარში. ისინი რომ ვნახე, ძალიანს აქებენ. მერმეთ მეც ვნახე სტავროპოლში, მეც მომეწონა, კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. არ გამართლდა ჩვენი მემარჯვნეების დიაგნოზი საერთოდ.

ერთ დღეს სანდრო მენაღარმა მითხრა, რომ შესაძლებელია რამოდენიმე კაცი გავგზავნოთ ტყვეებთან სამუშაოდ, რას იზამო, მეც დავეთანხმე. ვალიკო ინწკირველი, ტარასი წულაძე, ფილიპე შარაძე და მე გავემგზავრეთ ბერლინში. იქ დაგვხდა მიშა კედია. იმან წაგვიყვანა ბინაზედ;

25 აპრილი იყო 1942 წ. თვენახევარი დავრჩით ბერლინში. ჩვენმა მემარჯვნეებმა დაიწყეს ჯავრობა: რა ხალხი ჩამოვიდა, აგენს რაუნდა აქო. ასთე ეგონათ, ბერლინი მათი იყო; ეხლა აღარც გერმანელების არის.

მერმეთ წავედით კრიმში 10 ივნისს და ჩავედით 15 ივნისს ღამის 12 საათზედ „სიმფერეპოლში“. აქ ვნახე ჩემი ბავშობის მეგობარი აპალონ ორაგველიძე და მასთან, ძველი ამხანაგი გორის შტაბის ყოფილი წევრი სერგო ხუბულავა. ესენი, პირველად რომ ეტაფი გაიგზავნა გადასახლებულების საქართველოდან რუსეთში, იქიდან არიან. ათი წელი დაყვეს სხვა და სხვა ლაგერებში და ბოლოს ნება მისცეს კრიმში ცხოვრების. აქ ჩარჩენ გერმანელები, რომ შემოვიდენ. აქ კიდევ ყოფილან რამოდენიმე ქართველები, მაგრამ ისინი დაატუსაღეს და წაიყვანეს. ესენი გადამალულან. ესენმა ბევრი იმუშავეს ტყვეებთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა საერთოდ. 16 ივნისს, დილით, ვინახულე ქართველი ტყვეები; ბევრი ვისაუბრეთ არა უშავს წამხდარ დროზედ. აქვენ საღი წარმოდგენა მდგომარეობაზედ. აპოლონი ხშირათ ღელავს; მასზედ უმოქმედია ბევრ ტანჯვა-წვალებას, სერგო კი ისევ მაგრათ არის. ბევრი ვიმუშავეთ, რაც შესაძლებელი იყო და ნებას გვაძლევდა გერმანიის სარდლობა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ შინაურ საქმეში არ ერეოდენ: რაც გინდა, ის სთქვი, მხოლოდ ნუ წაახდენ საქმეს შენ წინდაუხვედოლობით. ასე რამოდენიმე კაცი, ასი კაცი-გაუშვით გერმანიაში. ესენი, რამდენადაც შესაძლებელია, დაზღვეულია. მერმეთ აპალონს უთხრა ჩვენმა უმფროსმა გერმანელმა, რომ წადი ბერლინში, ინახულე ქართველები და იქიდან გააკეთეთ საქმე, რომ უკეთესად მოაწყოთ ტყვეების საქმეო. მე მეტი არ შემიძლია და თუ ზევიდან მომივა ბრძანება, მაშვინ დიდი სიამოვნებითო. ჩვენ ვიცოდით ბერლინის ამბები, მაგრამ აპალონმა ეს ჩვენი ემიგრანტული ამბები ხომ არ იცის. ჩვენ ფრთხილად უთხარით ის, რაც ხდება ემიგრაციაში. მან გადადვა თავი და წავიდა ბერლინში.

ჩვენ აქედან წავედით ტაგანროგში; იქ დავრჩით რამოდენიმე დღე და აქედან სტავროპოლში ჩავედით. სტავროპოლიდან ვალიკო და ტარასი წავიდა „ნოვოგიერვსკში“. მე და ფილიპე რამოდენიმე დღის შემდეგ წავედით პიატიგორსკში. აქ ჩამოიარა ქართველმა ლეგიონერებმა და ისინი გაემგზავრენ ფრონტზედ.

ერთ ლეგიონში არიან ემიგრანტები ჩვენი ამხანაგები: აკაკი კვიტაიშვილი, ვიკტორ ხომერიკი, ვარდენ ჩიკაშუა, გიგო ჟორდანია და სხვები. ერთ დღეს შემთხვევით შევხდი ირაკლი კალანდარიშვილს. ისიც ჩვენებთან არის. ლეგიონში ავათ გამხდარიყო და მიდის კისლავოდკაში. მან მელაპარაკა, როგორ არიან ბიჭები, რა ხდება ფრონტზედ და სხვა. მთხოვა, ეგება მოახერხო

კისლავოდკაში ჩამოსვლა და მინახულეო. გავიდა რამოდენიმე დღე და ფილიპეს და მე გვითხრეს: – წადით რამოდენიმე დღე დასასვენებლად კისლავოდსკიდან დაშორებით 4-5 კილომეტრის მანძილზედო. ჩვენ დავბრუნდით პიატიგორსკში. აქ ბლომად იყრის თავს ყველა ქართველები – ეს თავისუფალი ხალხი, თუ ლეგიონერები, თუ ტყვეები. ერთ დღეს დამიძახეს, მიველ და ვნახე ორი კაცი გერმანულ ფორმაში. ესენი არ გავს გერმანელებს. ერთმა მომასწრო და მითხრა, თქვენ ბრძანდებით ურუშაძეო. ხო თქვა, მე უთხარი, თქვენ კი ვინ ბრძანდებით? - მე გახლავარ გივი გაბლიანი; ეს მეორე კაცი ბორჩალოელი გერმანელია, რუსული კარგათ იცის; ვისაუბრეთ; კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მერმეთ ორ-სამჯერ შევხდი. სტავროპოლიდან მოვიდა ამბავი, რომ ჩამოვიდენ ემიგრანტები კავკასიელები და ქართველები: გენ-ლი ჭავჭავაძე ალექსანდრე ასათიანი და სხვებიო. რაშია საქმე, არ ვიცით. მერმე გამოგვიძახეს ფილიპეს და მე; წავედით. იქ დაგვხდენ საერთოდ კავკასიელები - მთიულები, სომხები, ადერბეიჯანლები და ქართველები. მიშა კედია ყოფილა და წასულა. ვიკითხეთ, რაშია საქმე. ისინმა სთქვა, უნდა შემდგარიყო კავკასიის დივიზია: ეს საქმე ბერლინში მოვაწყვეთო და აქ რომ ჩამოვედით ადგილზედ, ნება არ დაგვრთესო, მიშა გაბრუნდა უკანო.

აქ არის ქართველების ორი ჯგუფი; კეთდება მოხსენებები. ჩვენთან ესენი შეჩვეულია; ისინი რომ ჩამოვიდენ, მაშინვე იგრძვნეს, ესენი სულ სხვა ხალხი მოვიდაო.

აკეთებს ხშირათ მოხსენებას ალექსანდრე ასათიანი. ბიჭები კრინტს არ ძრავს. მე გამიკვირდა ესენის საქციელი; ჩვენთან ყოველივეს ლაპარაკობენ, ეხლა გაჩუმებული არიან. ერთ დღეს მარტო ვიყავ ესენთან; მაშვინ ვიკითხე: – რაშია საქმე, რომ გაკმენდთ ხმას, არაფერს ამბობთ. აქ ერთი ახალგაზრდა ლეჟავა არის ინჟინერი და მასთან, განსხვავდება ყველასაგან. იმან მომიგო, ჩვენ ალექსანდრეს ვიცნობთ, ქ. აუშტეკში ვნახეთ, ის ვიცით, რა კაცია, ამიტომ გვირჩევნია გაჩუმებაო. რაც შეეხება თქვენ ოთხ კაცს, აგერ 6 თვეა გაგიცანით და ვიცით, ვინც ხართო. ესენი გვიან გავიცანით; ჯერ გავშინჯავთ, თუ მოგვეწონა, ხომ კარგი, თუ არა, სჯობს გაჩუმებაო.

ერთ დღეს ბიჭებთან ვზივარ ფეჩთან; სიცივეა; ჩემთან მოვიდა ერთი მათგანი - იოსებ კობიაშვილი, კახელი გლეხი, მეცხვარე, ესთე საწყალი კაცი; უსწავლელი, ქართული წერა-კითხვა ძლივს იცის. ჩუმათ მეუბნება: - ბ-ნო ავთანდილ, ერთი ეს მითხარი, რომ ამბობენ საქართველოში მეფობა უნდა შემოვიდესო, ეს კარგი იქნება, თუ არა? ბიჭებმა გაიგონეს და უკან შამოგვადგენ ჩუმათ. აქვე არის ვალიკო ინწკირველი. მე განუმარტე, რომ „მეფობა“ კარგია და მოვიყვანე ინგლისის მაგალითი. ვხედავ, რომ ჩემს იოსებას არ მოსწონს, მაგრამ რა ქმნას. მერმეთ მკითხა: – შენ რომ ამბობ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი ის მითხარი, ვინ უნდა დარჩეს მეფედო. მე უპასუხე: – მეფობა“მე მინდა-თქვა. მაშვინ მიმიხდა და მეცა კისერში, ეხლა კი მივხდი, შენ რომ ხუმრობდიო. ეს ხალხი, ვინც ამას ამბობს, გიჟები უნდა იყვესო. რამდენი ბრძოლა და სისხლი იყო საჭირო, ეს ძველი ნაშთები, როგორც მეფობის და ისთე თავად-აზნაურობის, რომ ამოვარდნილიყო ჩვენში და ეხლა კიდევ ეს რომ დაბრუნდეს, მშვიდობით საქართველოო. იქ ხალხი ამას არ მიიღებს, ეს სთქვა და გაჩერდა. ამ დროს ატყდა უკანიდან სიცილი და ხარხარი: - ვაშა იოსებ! – უძახიან. ცოტა ხანს მერმეთ ჩამოდის აპალონი.

იანვარში 1943 წლისა უკვე მოხდა გერმანელების უკან დახევა. ჩვენ უკან წამოვედით. რაც მე იქ ვნახე, ეს აღარ შეიძლება, რომ კაცმა დაიჯეროს; მაგრამ ვიტყვი ცოტას. გერმანელების ჯარი, უკან დახეული, არაფრათ ვარგებულა. ისეთი დეზორგანიზაცია იყო, აღარ შეიძლება, კაცმა დაიჯეროს. მერმეთ მარადიორობა, რომელიც მინახავს რუსის ჯარში 1918 წელს. ვერაფერი ვერ უყვეს, იმდენი ნაცარცვი ქონდათ თითო ჯარის კაცს. ქართული ლეგიონერები ჩავარდენ რკალში

რუსების მიერ; გაარღვიეს რკალი და გამოვიდენ. მოდიან ჯგუფ-ჯგუფათ, ძალიან ყინვებია. მე წავედი, ეგება ვინმე ნაცნობი ვნახო და ვნახე ვიკტორ ხომერიკი. მან მითხრა: – ძალიან ცუდი ამბავი მოგვივიდაო.

ემიგრანტები ყველა გამოვიდენ. ვიკტორი წავიყვანე ჩვენთან. აქ გავაცანი აპალონი. მეორე დღეს საღამოს ჩვენთან მოიყვანა გივი გაბლიანი. ის გაიცნეს ჩვენებმა. მესამე დღეს, საღამოს, ერთმა ჩვენმა ბიჭმა მოიყვანა ორი ახალგაზრდა; ერთი დარჩა დათიკო ფირცხალაიშვილი, რომელზედ წინათ მქონდა ლაპარაკი; ეხლა ვნახე, ძალიან მომეწონა, როგორც შეხედულობით, ისე თავაზიანობით. ყველა ამბობს, დიდი ვაჟკაციაო. ნაწილი ქართველების, ჩვენგან ადრე წამოვიდენ რამოდენიმე დღით. ჩვენ მერმეთ წამოვედით – აპოლონი, ვალიკო და მე. ჩვენი ჯგუფი ფეხით წამოვიდენ ემიგრანტებიდან. მათ გამოყვა აფრასიონ ხვედელიანი და ფალიაშვილი. ჩვენ ჩამოვედით არმავირში. აქედან მე და აპალონი კამიონით წავედით გერმანელებთან ერთად. ვის შეუძლია ამის აღწერა, რაც გზადაგზა ვნახეთ. 25 დღე დავსჭირდით მელიტოპოლში ჩამოსვლას; აქ ჩვენებს მოეყარა თავი და ჩვენც ბოლოს მოვედით. აპალონი წავიდა კრიმში, მე კი გამომიძახეს ბერლინიდგან და წავედი.

1 მარტს 1943 წლისა საღამოს ჩავედი ბერლინში. აქ ტელეფონით დაველაპარაკე კოლია იმნაიშვილს და შემპირდა, დილას მოვალო. ამ ღამეს მოხდა ბამბადიროვკა, ინგლისელებმა უქნეს ბერლინს; ეს პირველი იყო, რაც ბერლინელებმა იგრძნეს, რომ ომი არსებობდა. ისეთი სიძლიერით იყო ეს ამბავი, რომ მე გამიკვირდა; ბევრი მინახავს როგორც პარიზის დაბომბვა და სხვები, მაგრამ ასეთი სიძლიერე არაფერი მინახავს. გამოვყევი თავი და პირ და პირ სახლის თავებზედ გეგონებოდა კაცს, რომ დადიოდენ აეროპლანები. დილას მოვიდა კოლია და მითხრა: - აქ არიან ევგენი გეგეჭკორი და სანდრო მენაღარი; ეხლა მივდივარ შტაბში, უთხარი და საღამოს 5 საათზედ შევიპირე. ვნახეთ ერთი, მეორე და წავედით სანდროსან. სანდრო ამ საღამოს 10 საათზედ მიდის და მოკლეთ გამაცნო ის, რაც უნდა გაგვეკეთებია და მითხრა: ნახავ ევგენის და მიშას; ისინთან მოილაპარაკეო. მე ყოველივე ეს უთხარი ტარასისო. მეორე დღეს ვნახე ევგენი და მიშა, მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ 25 კაცამდის საიმედო ბიჭები, ვინც მე და ტარასი ვიტყვით, ისინს უნდა მოეყარა თავი ერთ ადგილას. მე რამოდენიმე დღის შემდეგ წავედი პარიზში. აქ ვინახულე ყველა ჩვენები, პასუხისმგებელი ამხანაგები; ტარასი და

მე დავბრუნდით ბერლინში. აქ კიდევ მოველაპარაკეთ მიშას, ევგენი არ დაგვხდა; წასულიყო ფილიანდიაში და რამოდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა. შეუდექით საქმეს: ტყვეებიდან გამოვიწვიეთ 1. ბორის ლეჟავა 2. მიშა შათირიშვილი 3. გრიგოლ მეტრეველი 4. ირადიონ კაჭარავა 5. ვალერიან ნაცვლიშვილი 6. დათიკო კოსტავა და სხვები. დათიკო კოსტავა იყო ძმა შაბურა კოსტავასი. შაბურას არ ყავდა 16 წელია ნახული, ბავში დატოვა და ეხლა დავაჟკაცებული არის.

ემიგრანტებიდან გამოვიწვიეთ შემდეგი პირები: 1. შაბურა კოსტავა 2. ალექსანდრე ტატიშვილი 3. სტეფანე კასრაძე 4. ისკანდერ მეგრელიძე 5. დიომიდე კვერღელიძე 6. გერმანე ბარამიძე 7. დათიკო ღუდუმიძე. 8. შოთა ბერეჟიანი. ეს უნდა ითქვას, რომ შოთა ბერეჟიანი ჩვენ არ გამოგვიწვევია. ის მიშამ გამოგზავნა. შევწუხდით ამის მოსვლით, მაგრამ არაფერი გვითქვამს. მერმეთ გავიგეთ; წამოსვლის წინ შოთამ კითხა მიშას: – მე რავარ იქო? მიშამ უთხრა: - შენ ჩემი თვალი და ყური ხარო. ჩვენ წავედით ბრესლავში; აქ ძალიან თავისუფლებაა, არავინ გაწუხებს. ერთ დღეს დათვრა შოთა და სულ დედა გვაგინა: – თქვენ, მენშევიკებო, დაგვხრეტ ყველასო. ასთე ეგონა, რომ ეს ქვეყანა მისია. რამოდენიმე ყოფილი ტყვეები წაიყვანეს ბერლინში სამაცადინოთ და მათ გაყვა გერმანე ბარამიძე. საერთოდ ემიგრაციაში ისეთი გახშირებულია, რომ იტყვიან,

განდიდების მანია. ის კაცი, რომელსაც სამი ბატი რომ მიაბარო საღამოს, ვერც ერთს მოიყვანს, დაებნევა, ამისთანა ხალხი ოცნებობს რაღაც დიქტატურაზედ. გაიხედა აქეთ სტალინი დიქტატორი, აგერ გიტლერი, მუსოლინი, ფრანკო და სხვები. ბევრს აეღერღა საღერღელი. რაა, ისინი თუ არიან, რატომ მე არ უნდა ვიყოვო. ასთე მსჯელობს ეს ხალხი. ერთი რომ შეუძახო მაგრათ, მაშვინ იკითხე მაგენის ამბავი. მე უძახი ამ ხალხს ჩიტირეკიას.

ეს ამბავი ჩვენს ზოგიერთ პარტიის წევრებსაც არ ასცილდა. აქაც არიან ზოგიერთები, რომლებიც აშკარათ თუ ვერა, გულში ფიქრობენ. ასთე დაემართა ჩვენ ტარასის.

ერთ დღეს აკეთებს მოხსენებას აჯანყებაზედ და სთქვა, რომ საქართველოს სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას აჯანყება სხვებმა მოახვიეს თავზედო. ერთმა სმენელთაგანმა მაშვინ მე მკითხა, რომ 1924 წელს შეეძლო რომელიმე სხვა პარტიას სოციალ-დემოკრატებისათვინ თავზედ მოეხვია ეს ამბავიო? ტარასიმ მე აღარ მაცალა და მან უპასუხა: – მე მაშვინ თბილისში ვიყავიო. მაშვინ შემკითხველმა უთხრა: - აგი ისთე გამოდის, რომ ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ეუბნებოდაო. მე ვკითხე ავთანდილს იმიტომ, რომ ის არის უშუალო მონაწილე ამ საქმეშიო და თბილისში ყოფნა ბევრს არაფერს ნიშნავსო. აქ ყველამ ვიგრძენით უხერხულობა და მერმეთ ზოგიერთებმა ჩვენებმა მითხრეს, რომ: – კაცო, რას შვრებით, სირცხვილია, უთხარი რაღაცა ტარასის, ნუ გამოვა ისეთ საკითხზედ, რომელიც არ იცისო. მივედით მე და გერმანემ; უთხარით ტარასის, რომ ასთე არ შეიძლება, წინასწარ დავამუშაოთ საკითხები და ვინ რა საკითხზედ ილაპარაკოსთქვა. მან მიპასუხა: – მე არავის ვაძლევ პასუხს, რას ვილაპარაკებ და რას არაო. მე აქ ვარ სანდრო მენაღარის ადგილას და სხვას არ ვაძლევ ნებას, ჩემ საქმეში ჩაერიოსო. მე გამეცინა და უთხარი, რომ შენ გასულელებულხარ და მორჩა. ეს იმიტომ მოვიყვანე, რამდენეთად იყო ჩვენშიაც „განდიდების მანია“. იმას კი არ ფიქრობდა, შეეძლო თუ არა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მე და ისკანდერი გამოგვიძახეს ბერლინში და წავედით. აქ დაგვხდა ვარდენ ჩიკაშუა. ქე ვართ მერმე ბერლინში. აქ ჩამოდიან ბევრი ლეგიონერები, ვნახულობთ ისინს, ვსაუბრობთ. ერთ დღეს მოდის გერმანე ბარამიძე და მეუბნება, ვნახე ერთი ჯგუფი ქართველების, რომლებთან საჭიროა მისვლა, თორემ პირ და პირ პრავაკაციას ეწევა კერესელიძე და საღირაშვილიო. ისინი ყოფილან, გაუკეთებიათ მოხსენება ფაშიზმზედ, მერმეთ ლეგიონერებს უკითხავთ: – სად არის ნოე ჟორდანიაო; ამაზედ კერესელიძეს უპასუხია: – რას კითხულობთ, ის აგდია პარიზში. თქვენ ყველას კომუნისტებს გეძახით და ისინთან რა მაქვს საერთოო და რამდენი სხვა და სხვა ამბები. გერმანე პირდაპირ მისწრება იყო ხალხის აღმოჩენაში; არ ეზარებოდა, დღე და ღამე დარბოდა, სადაც კი მივიდოდა, დაანთებდა ცეცხლს. ამისთანა ათი კაცი რომ ყოფილიყო, იყო საჭირო. გერმანემ რომ ჯგუფი მითხრა, იქ წავედით. იყო ყველა ნაწილებიდან საპრაპაგანდო ჯგუფის მოსამზადებელი კურსები. ყოველ სამ თვეში იცვლებოდა შემადგენლობა, რჩებოდა კადრი. რომ მივედით, ის ამბავი რომელიც გერმანემ მითხრა, დადასტურდა. აქ იყო გამოყოფილი კადრი; ესენი მუდამ აქ რჩებოდა, რიცხვით 10 კაცი და სწავლობდენ ენას, უმაღლეს განათლებას; იყვნენ ყველა ეს ათი კაცი. ესენმა გვითხრეს: - ორი თვეა აქ ვართო, ჩვენ არ გვქონდაო დრო გავლა-გამოვლის ამდენხანს, ვინაიდგან დღე და ღამე ვმეცადინეობდით. აწი კი ცოტა გვექნება დროო. ამიტომ ვერ ვნახეთ ვერავინო. აქ გერმანელებმა მოიყვანეს კერესელიძე და საღირაშვილიო, რომლებზედაც ძალიან აგვიცრუვდა გულიო. მერმე - მე იქ ხშირათ ვიარებოდი და დრო გამოშვებით მიმყავდა ჩვენი ამხანაგები, კოლია იმნაიშვილი და სხვები. ერთ დღეს ბრესლავიდან ამოვიდა ტარასი და მეუბნება, რომ ბიჭებს მოსწყინდა იქ ყოფნა და ითხოვენ ადგილის გამოცვლასო. მე უთხარი, რომ რამ გადარიათ: ერთი, რომ ბრესლავი მშვენიერი სამყოფია, მეორე,

რომ ბუდიდან ამოვარდები, მერმეთ ძნელია იქ ჩაჟდომათქვა. არ გაგიწყრეს ღმერთი, კედიას არ უთხრა ეს ამბავი მეთქი: – არაო, დამპირდა და წავიდა. მეორე დღეს უკან გაბრუნდა, ჩემთვინ არაფერი უთქვამს.

მოვიდა გერმანე ბარამიძე ჩემთან და მითხრა, რომ ბრესლავში უნდა დავბრუნდეთო. იქ შეუერთდებით ამხანაგებს და მერმეთ წავალთ რუსეთშიო; ეს გამოგვიცხადეს გერმანელებმაო. მე გავიქეცი კედიასან, ვნახე და ვკითხე, რომ რისთვის აგზავნით ამ ხალხს რუსეთში, რა საქმე აქვს იქ. ეს ხალხი სხვა დანიშნულების იყო და რაშია საქმეთქვა. მან მითხრა:– აქ იყო ტარასი, იმან დაჟინებით მოითხოვა ადგილის გამოცვლა; მე გერმანელებს ვსთხოვე და ისინმა სთქვეს გაისეირნონ რუსეთშიო. ტარასიმ კი მთხოვა პარიზში წასვლა. ტარასიმ აასრულა ძველი არაკი:

„თქვენ წაბრძანდით რუსეთში და მე წავეთრევი პარიზშიო.“

მე ვიცოდი, რომ ეს ხალხი თუ აქედან დაიძროდა, კარგი არ მოელოდა და ეს ასეც მოხდა. ესენი წავიდენ ბერდიანსკში; იქ შეხვდენ გერმანელები და უთხრეს: –ვინ ხართ მსურველი აეროპლანით წახვიდეთ საქართველოშიო? აქ უკვე გამოირკვა, თუ რისთვის გამოგზავნეს ეს ხალხი აქ. ჩაეწერენ რამოდენიმემ. დანარჩენებმა უთხრეს, ჩვენ სხვა დანიშნულებაზედ ვართო. ამ რიგათ, ვინც უარი სთქვა, ისინი უკან გამოაბრუნეს, ვინც დათანმხდა, ისინი დაიტოვეს. ერთ დღეს მოდის ამბავი: იქ რომ ხალხი დარჩა, ისინში ხუთი კაცი დახვრიტესო. მათ შორის ორი ემიგრანტი 1. სტეფანე კასრაძე 2. დათიკო ღუდუმიძე. სამი ყოფილი ტყვე: 1. ერმილე ყრუაშვილი 2. ბენია კაიკაციშვილი 3. სანდრო ველიჯანაშვილი. გამოირკვა, რომ ამ ორ უკანასკნელს-კაიკაციშვილს და ველიჯანაშვილს მოეხდინათ რაღაც დებოში, დამთვრალიყვნენ. ამ სამმა იფიქრეს, ჩვენ მოვეხმარებით მაგენსო და წაასაკრეს თავი. გერმანელებმა თუ დასახვრეტი იშოვეს, იმას აღარ დაზოგვენ, არც კითხულობენ, მართალია, თუ დამნაშავეო. ასთე წაიყვანა ტარასიმ ჩვენი საქმე. ჩვენგან წავიდა სანდროსან ორი კაცი- ისკანდერ მეგრელიძე და ერთი ახალ-გაზრდა კერესელიძე.

რამოდენიმე დღის მერმეთ წავიდენ ვარდენ ჩიკაშუა და მას ახლავს ახალ-გაზრდა ესიავა.

მე ყოველ დღე მპირდებიან წასვლას, მაგრამ არ მოწყვა და მერმეთ, ოკტომბრის დამლევს, წავედი პარიზში. ყველა დანარჩენებმა მოიყარეს თავი ერთ ქალაქში ჩვენმა ჯგუფმა. ამ ჯგუფს დაეპატრონა ცომაია. ტარასი დაითხოვეს, არც მე ვყოფილვარ წინააღმდეგი. მე გამაფრთხილეს, ტარასის ვითხოვთო. ამ ქალაქში ჩავიდა ცომაია. მან ბიჭებს გაუკეთა მოხსენება: – რის გეშინიათ, კაცო, ჩვენ ისთე გვაქვს მოწყობილი საქმე, ყოველგან შავი ზღვის პირად ჩვენი პატრულები სდგასო. ეხლა გამოვიდა კაცი და ისინმა მოაწყვესო, ამას ეუბნება იმ ხალხს, ვინც რამოდენიმე თვეა, რაც იქიდან წამოვიდა და იცის იქაური ყველაფერი. ეს კი ოცი წელია წამოსული არის. ასეთი სიბრიყვე პოლიტიკური მოღვაწის, რომელიც ჩემობს პოლიტიკურ მოღვაწეობას, მეტი აღარ შეიძლება. ვინ გენდობა ისეთ კაცს, რომელიც ასეთ სისულელეს იტყვის. იქიდან ამოვიდა ბიჭები პარიზში და ისინმა მითხრეს ეს ამბავი და დასძინეს, ეს ხალხი შინსახკომთან ხომ არ მუშაობენო. ესენი საეჭვოაო. საერთოდ დასკვნა: ამ ომში გერმანელებმა გამოიჩინეს დიდი პოლიტიკური სიბრიყვე. აქ მე არ შეუდგები იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა საერთოდ; ამის ცოდნა არ მაქვს და არც უნარი. ვიტყვი მხოლოდ, როდესაც ჩახვიდოდი ტყვეების ლაგერში, აქ საშინელი მდგომარეობა იყო.

მე ვფიქრობ, რომ ტყვეებს ასთე საშინლად არ ებყრობოდენ თვით საშვალო საუკუნის დესპოტები. ერთი ჩემი მეგობარი კოდარა ამბობდა: თქვენ არ იცით, გერმანელები რა ხალხია, ესენი განათლებული მხეცებიაო და ეს სწორი იყო. ეხლა სხვა და სხვა ხალხი, რომლებიც გერმანელებ-

თან მუშაობდენ, ისინიც ისეთივე იყვნენ, როგორც გერმანელები. არც ერთს მათგანს არ ესმოდათ პოლიტიკური ეთიკა. კერძოთ, ქართველები უნდა ითქვას, მთლად ბრიყვები იყვნენ. საერთოდ სოც-დემოკრატების ხელმძღვანელები აქ უშობდენ შეცდომას, ამ ხალხს კაცებათ აგდებდენ. მოვიყვან მაგალითს. ერთ პატარა კრებაზედ, სადაც ვითომ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები არიან, ესწრება აკაკი ჩხენკელი. ერთმა დამსწრეთაგანმა - გაბაშვილმა სთქვა, ამას რა უნდა აქო – რატომ – ეკითხება აკაკი. ის უპასუხებს: – თქვენ ყველა დასახვრეტი ხართ, მოვა დრო და ყველას დაგვხრეტთო. აკაკიმ უთხრა: ამას შენ არ იზამ, რეზო, მე შენ გენდობი. – თუ არ ვიზამ, განახვებო, – უპასუხებს გაბაშვილი. ვინ არის გაბაშვილი და მისი პოლიტიკა, ეს ასთე ვსთქვათ: „ციცი, ციცი, შენ პატარა მურია, შენი სარჩო ერთი ლუკმა პურია“; ეს იცის გაბაშვილმა. არ იქმნა და ვერ ისწავლა და ვერ მიხვდა აკაკი ჩხენკელი.

ქართველები დაწრთიან პარიზ-ბერლინში; მიაქვთ იქით საქონელი, აქეთ – ფული. არის საშინელი სპეკულიაცია; ეს არის ამ ხალხის პოლიტიკა. ამას გერმანელები არ უშლიან ალბათ. მათ აძლევენ მოწმებებს, რომ გზაში არავინ არაფერი უთხრას. ესენი ქმნიან ქართულ საქმეს. პარიზში რაც ქართული ჟურნალები გამოდიოდა, ეს ყველა დაიხურა გერმანელების შემოსვლის შემდეგ. ბერლინში გამოდის ქართული ჟურნალი სახელწოდებით „საქართველო.“ ამის რედაქტორია ვიღაც ახალ-გაზრდა მაღლაკელიძე. რამდენი სისულელე არის შიგ, ამას კაცი ვერ ჩამოთვლის. მხოლოდ ერთ წერილზედ ვიტყვი: აქ სწერს საღირაშვილი წერილებს. მან სთქვა: – გერმანია რუსეთში ამოკლებს ფრონტსო, დახედეთ რუქას და გაიგებთო და მოკავშირეებს ერთ დღეს სეირს დააყენებსო. საღირაშვილი, ალბათ, კარგათ გაცნობილი იყო გერმანიის შტაბის პლანებს, მაგრამ მას აკლდა მოკავშირეების პლანი. ის რომ შეცდილიყო და მოკავშირეების შტაბში შეერო, მაშვინ იქ ნახავდა მათ პლანს და შეიძლება ასეთი სისულელე არ დაეწერა. საღირაშვილს ხომ არ ქონდა წარმოდგენილი ჩვენი სახალხო გვარდიის შტაბი, ნეტავ?!..

ამით გავათავე გერმანელებზედ და ქართველებზედ ლაპარაკი. ეხლა ნეტავ სად არიან ეს ჩვენი „ჩიტირეკია“ მემარჯვნეები?! ვინც გადარჩა, როგორ იქნება საწყლები, სოროში შემძვრალი. მაგრამ ერთია, ეს ხალხი რა ხალხი იყო, ეს ჩვენი წმინდა ქართული საქმე ამოსვარეს ტალახში; ეს შეძლეს და ვინ იცის, რამდენი ჭაპან-წყვეტა იქნება საჭირო, ეს რომ გამოასწორონ.

ერთი საინტერესო ამბავი დამავიწყდა. ეს მოხდა 1919 წლის მარტში. ლანჩხუთი ქალაქათ დამტკიცდა 1917 წელს; 1919 წელს თებერვალში მოხდა მეორეთ ქალაქის ხმოსანთ არჩევნები. ეს წინათაც ვსთქვი; მეც მოვხდი ხმოსნად. ქალაქს ყავს თავისი გამგეობა. ქალაქის თავის ამხანაგათ არის კოტე იმნაძე. მთავრობის დეკრეტი გამოვიდა, რომ ქალაქს აქვს უფლება: ზედმეტი სახლი თუ ვინმეს აქვს, იმას, საბჭოს, შეუძლია ქალაქის საჭიროებისათვის ჩამორთმევა. ჩვენ ქალაქს არ ქონდა სახლი გამგეობისათვინ; ის ნაქირავებ სახლში იყო. ერთი გლეხი იყო მიხეილ ურუშაძე, რომელსაც ქონდა ორი პატარა სახლები. ქალაქის გამგეობამ უთხრა: ერთი მათგანი გვაქირავეო. იმან არ ქმნა, სამი შვილი მყავს, სამივე საცოლოა, ეხლა დაბრუნდენ ჯარიდან, სამთავე გადამირჩა; მინდა ისინი დავაცოლშვილოვო. ვერ შეთანმხდენ. მაშვინ გამგეობამ ეს საკითხი დააყენა საბჭოში და მოიყვანა მთავრობის დეკრეტი, რომ ქალაქს აქვს უფლება ზედმეტი სახლი, ვისაც აქვს, ჩამოერთვას ქალაქის საჭიროებისათვინ. საბჭომაც დაადგინა: მიხელ ურუშაძეს ჩამოერთვას 4 ოთახი და ჩამოართვეს. ამ დროს ჩამოდის ნოე ჟორდანია თავის სახლში. მიხელამ წაიყვანა მისი ცოლი და მივიდა ნოესან. უამბო ყველაფერი თავის გაჭივრება, რაც მოხდა და სხვა და როგორ ჩამოართვეს სახლი. ნოე მას იცნობდა და იცოდა, რომ მიხელას ეს სახლი ქონდა აშენებული ღორების წყესვით, დღე და ღამე ყანის მუშაობით. ნოემ ხელათ მოსწერა ქალაქის გამგეობას

წერილი: სახლი დაუყონებლივ დაუბრუნეთ ურუშაძესო. ამ კითხვაზედ გამგეობამ მოუყარა თავი საბჭოს, დასვა საკითხათ ნოეს წერილი. ამ კითხვაზედ საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, გაიგზავნოს ნოესან დელეგაცია, ეთხოვოს, რომ გვადროვოს, ასთე უცბათ ნუ დაგვაცლიებს, ნუ დააყენებს გლეხის პრესტიჟს ჩვენ მაღლაო.

არჩეულ იქმნა სამი კაცი 1. მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე 2. ათანასე ებრალიძე და მესამედ გამა-ყოლეს მე. მივედით, საღამოა. ნოეს დიდი ხათრი ქონდა ეპიფანესი და ათანასესი. ესენმა ორთავემ უამბეს, რაც დავალება ქონდათ. ნოემ ესენს უთხრა: – თქვენგან მიკვირს, სად არის ლანჩხუთში ჩამოსართმევი სახლი? საწყალ გლეხს რაღაც ქოხი აუშენებია, ღორების წყესვით ფეხები დამპალი აქვსო. თუ ხვალ დილას სახლი არ დარჩა დაცლილი, მე ვუბრძანებ გვარდიის შტაბს, რომ მიიყვანოს გვარდიელები და ის ხიბაკი გამოყაროს გარეთო. ამაზედ ეპიფანემ უთხრა: – რაღას იწუხებ თავს, აგერ არის შტაბის თავმჯდომარეო – სწორეთ აქ რომ არის, მიტომ ვამბობ, რომ ამან მისი ხელით უნდა ქმნასო, თორემ უბრძანებდი რაიონის მილიციასო. ამით გათავდა ჩვენი საუბარი. იმ ღამეს ხიბაკი გადავიტანეთ სხვაგან. ეს ამბავი ეწყინა ქალაქის სოც. დემ. პარტიის ფრაქციას და დააყენა კითხვა: – უჩივლოთ ნოეს ცეკაშიო, რომ მან ჩვენი პრესტიჟი შელახაო. ამ კითხვაზედ მოწვეულ იქმნა ქალაქის კომიტეტი და ასთე გაფართოებულ კრებაზედ დაისვა ეს საკითხი. აქ გადაწყდა, რომ გაკეთდეს მოხსენება ყველა იაჩეიკებში და კვირას, ნაშვადღევს, მოწვეულ იქმნას ქალაქის სოც. დემ. პარტიის ყრილობა. ჩემ იაჩეკაში ვიყავით სამი ხმოსანი: ორი კომიტეტის წევრი, მე კომიტეტშიც შევდიოდი. ეს იაჩეიკა ითვლებოდა ყველაზედ მრავალრიც-ხოვანათ, სულ 56 წევრი იყო. მე აქ მოვითხოვე ერთი კაცის დამატება. ისინმა დაგვიმატეს მასწავლებელი ილია თარგამაძე. შაბათს საღამოს ყველა იაჩეიკების კრება მოხდა და ჩვენც მივედით ჩვენს იაჩეიკაში. გავხსენი კრება და ილიას ვსთხოვე, რომ მოხსენება გაეკეთებია. მან გააკეთა მოხსენება. შემდეგ მე შემეკითხა ერთი გლეხი-ამბაკო ფირცხალაიშვილი: -როგორ? თქვენი პრესტიჟი დასცა ნოე ჟორდანიამო? - დიახ, – უპასუხე მე. მან სთქვა: – როგორ თქვენი პრესტიჟი უმფრო მაღლა სდგას, ვინემ ნოე ჟორდანიასო, – მკითხა; ამაზედ ვერ უპასუხე. – როგორ, კაცო, თქვენ გინდათ ნოე ჟორდანიას პრესტიჟი დასცეთ? ვერ მოგართვით და ვერა! ნოეს ჩვენ ვიცნობთ, ვინ არის. იმან მისი ბრძოლით ჩვენ ადამიანის უფლება მოგვანიჭა და თქვენ ვინ ხართ? ნოე რომ არ ყოფილიყო, თქვენ ვინ მოგცემდა უფლებას დამჟდარიყავით იქ, ეხლა რომ ზიხართო და მან მოუწოდა იაჩეიკას:- ეს ბაღნები რაღაცას ხლაფორთობენ, ჩვენ მაგრათ აუწიოთ ყურიო, რომ მეორეთ არ გაიმეოროს ასეთი ამბავიო. ესენის პრესტიჟი ლაშისღელეს არ გასცილდება და ნოე ჟორდანის პრესტიჟი საძღვარ-გარეთ მიდისო. ხვალ მივიდეთ ყრილობაზედ, თუ ვინმე ისინსაც დაუძახოთო.

მე ხელათ მომხსნეს თავმჯდომარეობიდან და აირჩიეს ლადიკო შარაბიძე. კრება დაიშალა და ილიასთან ერთად წავედით ღამის 10 ს. გზაში ილია სულ იმას მელაპარაკებოდა, არა, ძმაო, მარტო უნივერსიტეტი არაფერი ყოფილა; მე დავამთავრე უმაღლესი სწავლა, ვერ მივხდი, რაც იმ გლეხმა სთქვაო. პრაქტიკაა საჭირო და სხვა. ის მერმეთ დადიოდა ყოველთვის გლეხებთან, საუბრობდა და ყოველივე ცოდნით დატვირთული მოგვიკლეს ბოლშევიკებმა 1923 წლის თებერვალში. მეორე დილას მოვიყარეთ თავი და შეიქმნა იაჩეიკებიდან მოხსენება: ამბობენ, ჩვენმა იაჩეიკამ გაიზიარა ჩვენი აზრიო და სხვა. ეხლა ჯერი მიდგა ჩვენზედ; მე უთხარი: – ილია იტყვის; ილიამ სთქვა: – ის იტყვისო. მაშინ მიხვდენ, რაღაცა ამბავია. – რაშია საქმეო, სთქვით, კაცოო. ჩვენ ვსთქვით იაჩეიკის გადაწყვეტილება. შეირყა მდგომარეობა. ეხლა აღარავის აქვს სურვილი ეს საქმე გახმაურდეს და დავადგინეთ. ყრილობა მოწვეულია; გამოვნახოთ ისეთი მოდუსი, რომ არ გახმაურდეს.

ყრილობამ მოიყარა თავი; თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას სხვა და სხვა საკითხზედ. ეს საკითხი მთლად გამოტია და მაშვინ მას უთხრეს, ეს ყრილობა სხვა საგანზედ იყო მოწვეულიო. მაშვინ ამან გააკეთა მკრთალი მოხსნება ამ საგანზედ. აქ წამოდგა ისევ ჩვენი ამბაკო; მან ვრცლათ შეეხო საქმეს; ეს სამალავი არ არისო. ჩვენ ყველამ ვიცითო. საბჭოს წევრებს მოგვცეს წინადადება, რომ ამფერი ამბავი მეტი არ გამეორდესო. ეს მიტომ მოვიყვანე, რომ რამდენი ნამუშევარი ქონდათ ნოე ჟორდანიას გლეხებში და რამდენი ნდობა მათში.

მე მივიღე ამბავი, რომ უნდა წავიდე ბერლინში და იქიდან სანდროსან ოსმალეთში. 19 იანვარს 1944 წლ. წამოველ ბერლინში. ბერლინი ის აღარ იყო, რაც სამი თვის უკან დავსტოვე. ამ სამ-თვეში გაუნადგურებიათ ის ჰაერით. დავრჩი 3 დღეს და წავედი სტამბოლში. 28 იანვარს დილით ჩავედით. სადგურში შეგვხდა დათიკო ერქომაიშვილი და მიშა ესიავა. მიმიყვანეს სანდროსან და აქ მოვიდა ჩემი ძველი ნაცნობი ბესარიონ ჟღენტი, კიდევ გოგიტაურათ წოდებული. უკვე მოხუცებულა; ოცი წელია არ მინახავს. ვინც გინდა საქ. სოც.-დემ. პარტიის ისტორია იცოდეს, მან უნდა ნახოს ბესარიონი. ის მოგითხრობს ძველ ამბებს: როგორ ცხოვრობდენ ჩვენი წინაპრები-გლეხები და მუშები. როგორ პირუტყვულ მდგომარეობაში იმყოფობოდენ. როგორ დაიწყო ამ გლეხების და მუშების გამოსვლა ასპარეზედ, როგორ ანვითარებდა და ასწავლიდა წერა-კითხვას კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი, როგორ წრთვნიდა და ზრდიდა სირბისტრო ჯიბლაძე და ნოე ჟორდანია; როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში მუშაობდენ ძველათ ჩვენი მუშები 14 საათზედ მეტს დღეში და გლეხები დღეანღამიანათ, რომ ერჩინათ თავის ცოლ-შვილი და მტერ-მოყვარისთვინ პასუხი გაეცათ. ამ ჯგუფის გამოჩენამ შეარყია ძველი ადათები, გაჩაღდა სწავლა. დაეწაფა მუშები თვითგანვითარებას. მას მოგიყობა ჩვენი ბესარიონ, როდესაც დაქანცული მუშაობით ჩვენი მუშები და გლეხები ცოტა თავისუფალ დროს როგორ ეწაფოდენ სწავლას. მათ შორის რამდენი დარჩენ, რომ მერმეთ საერთო ხელმძღვანელობას სწევდენ. აბა, ნახე ჩვენი მუშები: ალექსანდრე დგებუაძე, ვლადიმირ ჯიბლაძე. აბა გლეხებში გაიარე, იქ ნახავ პართენ ებრალიძეს, სიმონ ორაგველიძეს და სხვა ათასებს, რომლებიც თავისუფალ დროს გაზეთით ხელში დარბის, რომ გლეხებმა და მუშებმა რაიმე ისწავლოს და შეიძინოს. მოხდა სასწაული, ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა საჯაროთ დაიძახეს: „ჩვენ ხომ ადამიანი ვართ, გაჩენილი ხვთი-საგანო.“ დასძლია მტერი, ის დაამარცხა და დაეპატრონა თავის თავს, ისთე მთელ საქართველოს. მაგრამ ამ ნაყოფის სარგებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მოვიდენ წითელი ურდოები მუშების და გლეხების სახელით, ფეხქვეშ გათელეს ეს წმინდა საქმე, ეს წმინდანების ნამუშევარი. ამას ყველას ბესარიონ დალაგებით მოგითხრობს, ის ყველას დამსწრეა.

მერმეთ ვარ სტამბოლში. მე მინდოდა ჩემ მეგობრებთან ისკანდერთან და ვარდენთან წასვლა, მაგრამ არ მოხერხდა; მაგრამ რას იზამ. სტამბოლში დავრჩი 18 სეკტემბრამდე და მერმეთ გადმოგვაგზავნეს ქ. იოზში. უნდა ვსთქვა, ვერ ვარ კმაყოფილი ჩემი მდგომარეობის. დრო გამოშვებით გვინახულებს ჩვენი ბესარიონი. ამით მეძლევა ცოტა შეღავათი. ეხლა შევაჩერე ჩემი მუზა. ბევრი დამრჩა; ამდენიც არ მინდოდა, რომ დამეწერა. ვინმემ რომ ნახოს, იტყვის: ვინ ყოფილა ეს კაციო, გაეცინება რა აბდა-უბდა უწერიაო. ტყვილა ხომ არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება?

იოზ.-ტი ორ-თი. 1945 წელი 12 ივლისი.

კონსტანტინე ოდიშარია

არტაანის მხარე

(ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები)

რვეული 1

შესავალი

ვიდრე პატივცემული მკითხველი საზოგადოება ჩემს შრომას გაეცნობოდეს, მსურს თავშივე გავაფრთხილო, რომ ეს შრომა არაა მეცნიერული კვლევა – ძიების ნაყოფი, ის უფრო დაინტერესებული მოგზაურის შთაბეჭდილებებია, რომელიც მე შევკრიბე **არტაანის** ყოფილ ოლქში 1913 – 1918 წლებში.

არტაანის ყოფილი ოლქი, როგორც ჩვენი უძველესი კულტურის აკვანი, მე დიდად მაინტერესებდა და ვფიქრობდი მეპოვნა „**ვეფხისტყაოსანის**“ უძველესი ხელნაწერები, ვინაიდან როგორც ცნობილია, ისტორიულ საქართველოს ეს მიდამოები **იყო დიდი შოთას სამშობლო** და ჩვენი კულტურის მაჯისცემის ერთი მთავარი ცენტრთაგანი. მე, მართლაც, წავაწყდი ასეთ ხელნაწერს, თუმცა, სამწუხაროდ, მისმა მფლობელმა მე ის არ დამითმო. „**ვეფხისტყაოსნის**“ უძველეს ხელნაწერის გარდა, მე აქ მოვინახულე ჩვენი წარსულის დიადი, ჭაღარა ძეგლები, რღვეული ტაძრები, ციხე – სიმაგრეები, ნაქალაქევები, გავიცანი იქაური გადმოცემები, ლეგენდები. თითოეული მათგანი **წარმტაცი მარგალიტია ჩვენი წარსულის საგანძურიდან, თითოეული ოქროპირი მჭევრმეტყველია ჩვენი რაობისა და ჩვენი კულტურის სიდიადისა: არტაანის**, **ველის** ციხეები, **შეითან ყალეს** ციხე **– ქაჯეთისციხედ** წოდებული, **ოლთისის ციხე** და მრავალი სხვა ციხე – ქალაქი, ნაქალაქევი, მათი გვირაბები, დიადი არხის ნაშთები, დიდებული ტაძრები, განსაკუთრებით დიდი გვირაბი სოფ. **ჭალასი**, რომელიც ტბა **პალაკაციოს** კუნძულიდან ჩადის კიბეებით, შემდეგ მის ფსკერში იკარგება და 16 ½ ვერსის იქით ამოდის კლდიდან, ნაპრალთან, რომლის ახლოს აშენებულია **ფიქრაშენის** დიდებული ტაძარი, – განა ყველა ეს ძეგლები ჩვენი დიადი კულტურის წარსულის დამახასიათებელი არაა? რა ვუყოთ, რომ მრავალ ომიანობას, თურქეთის თუ სხვა იმპერიალისტთა თარეშებს გაუნადგურებია ოდესღაც აყვავებული ეს ქვეყანა. **ეს ნაშთები წარსულის მატიანის ფურცლებია**, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ შესწავლას, გადმოღებას, აღდგენას, მოვლასა და პატრონობას. აქ ერთი კაცი ვერაფერს გახდება, ინდივიდუალური თავის გამოდება ვერაფერს გვარგებს. იმ დროს – კი, იმპერიალისტური ომის ხანაში, როდესაც **ენვერ – ფაშას ურდოები** და **ნიკოლოზის ყაზახები** ერთმანეთს ეკვეთებოდნენ, ძნელი იყო ერთი კაცისათვის შემოვლა ამ ძვირფასი და ფრიად საინტერესო მხარისა, შესწავლა და ფოტოგრაფირება ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, ზუსტი აღწერა მოსახლეობისა.

მაგრამ მე მაინც მოვახერხე, რკინის ჯოხი ხელში ამეღო და იმ ცეცხლსა და ორომტრიალში შემომეარა არტაანის ოლქი, დამეთვალიერებინა ეს ღირსშესანიშნავი ადგილები: **ალი, წყაროსთავი, ფიქრაშენი**; **ოლთისის** ოლქში: **ბანა,ოლთისის ციხე**, **იშხანი**; **ისპირის** ოლქში – **ოშკი**; **თორთუმის** ოლქში – **ხახული**, **ერზურუმი** და სხვები.

რაც ვნახე, რაც მოვისმინე, ავწერე და კორესპონდენციებად დავბეჭდე გაზ. „**საქართველო**“ – ში. ცენზურამ კორესპონდენციები შემიმოკლა და რიგ შემთხვევებში დამიმახინჯა. მაშინ იმ წერილების აზრი ის იყო, რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიმექცია ამ ჩვენგან მოწყვეტილ მოძმე მხარისათვის. დღეს მთელი ის მხარე, ფიზიკურად მოკვეთილია ჩვენგან. იქ არსებული ძეგლთა შესწავლა, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ამდენ ამაგსა სწევს ჩვენი ძველი კულტურის ნაშთების შესწავლისათვის და აღდგენისათვის, სასურველი და აუცილებელი არის. ჩემმა იქ ნანახმა და აღწერილმა, შესაძლებელია, პატარა დახმარება გაუწიოს ჩვენს მკვლევარებს. მაშინ ვიტყვი, რომ ცუდად არ ჩაუვლია ჩემს ამაგსა და შრომას.

კ. ოდიშარია (კ. მარტვილელი)
10 ივლისი, 1937 წ.
ქ. ტფილისი

კონსტანტინე ოდიშარიას დღიურები არტაანის მხარეში მოგზაურობის შესახებ

ჩემი დიდი ხნის სურვილი განვახორციელე – 1913 წლის მიწურულში ქ. **ერევნიდან** გადმოვედი და არტაანისაკენ გავემგზავრე. ქალ. არტაანიდან მტკვრის გაღმა გასწვრივ ნასოფლარ **კარგი** სოფლისაკენ გავსწიე, რომელიც **არტაანს** ერთი ვერსით ახლავს. აქ დავათვალიერე თამარისეული ორი ეკლესიის ნანგრევები და გავუდექი გზას ნასოფლარი **ქვაბის ციხისაკენ.** გზაზე სოფ. **ვარდციხელი** ბერძენი შემხვდა და გზა გამასწავლა.ქართველებს ამ სოფლისათვის ტყუილად კი არ დაურქმევიათ **ქვაბის ციხე;** ადგილი, სადაც გაშენებულია სოფელი, მართლაც, ქვაბს მოგაგონებთ. ადგილმდებარეობა საუცხოვოა და სტრატეგიულადაც გამოსადეგი. ციხის შიგნით ჩასავალი გზა მტკვრის პირიდან გვირაბით მიიმართება. გვირაბის კიბე კლდის კალთიდან ოთხ საჟენის სიმაღლიდან იწყება წვრილი ქვებიდან ნაგებ საფეხურებით.

მტკვარს ვიწრო კალაპოტი აქვს. შიგნით გვირაბი განიერია და მაღალ დარბაზებადაა დაყოფილი, რომლებიც ერთი მეორეზე მიდის. ერთ დარბაზს მეორესთან გვირაბები აკავშირებს. ზევითა დარბაზიდან გვირაბი დამოუკიდებლად ჩამოდის ქვეშ. განზე მიდის მტკვრის გასწვრით 10 – 12 ვერსის მანძილზე **თეთრი ციხისაკენ**. ამ გვირაბს მტრების შემოსევისას იყენებდნენ. **ქვაბის ციხე** დანგრეულია და მხოლოდ მისი კედლებიღა დგას. აქედან სოფ. **ვარდიციხისაკენ** გავუდექ გზას.

ვარდციხე არტაანიდან 12 ვერსით არის მოშორებული, თუ ყარსისაკენ მიდიხართ. იგი მაღალ, ბრტყელ – ზურგიან, მთაზე დგას. მთისაკენ ერზრუმიდან მიხვეულ-მოხვეულ **თამარისეული დიდი შარა-გზა** მოიმართება, რომელიც სოფელს შუაზე ჰყოფს. აქედან შარა გზა, ორად განკვეთილი, იმავე სახით მიექანება ქვემოთ და ველზე ერთი მიმართულებით მიიმართება **ახალქალაქისაკენ**, მეორე – **ყარსისაკენ**. სოფ. ვარდციხეში **ბერძნები** ცხოვრობენ. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიამბეს: ამ ასი, ას ოცი წლის წინათ აქ **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ თურმე. სოფლის ახლო ეკლესიის ნანგრევებია. სოფელს იქით, დასავლეთისაკენ, ერთი მოშორებით, ხშირ ნაძვნარს ტყეში, სადაც მთას ზედ ზურგზე კეხი დაუდგამს, აღმარ-

თულია ვარდისფერი თლილი ქვისაგან ნაგები პატარა, მაგრამ ლამაზი ციხე და გუმბათიანი ეკლესია. ადგილობრივ მცხოვრებლებს მათთვის ქვები ჩამოუცლიათ და მხოლოდ კირში შედუღებული კედლები დარჩენილა. ამ ქვისაგან მათ სახლები და ერთი ეკლესიაც კი აუგიათ. სოფლად სახლის კედლებზე მრავლად ნახავთ **ხუცურად შესრულებულს ქართულ წარწერებსა და წმინდანთა სახეებს**.

ვარდციხიდან დავეშვი ქვემოთ თამარისეულ შარა – გზით სოფ. **ოჯახისაკენ**. **ოჯახი** სოფ. ვარდციხეს ორი ვერსით ახლავს, მაგრამ რადგან დიდი მაღლობია, გზა ცხრა ვერსზე უხვევს. აქ 69 კომლი, ანუ 514 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. შუა სოფელში ერთი ეკლესიის ნანგრევია, სოფლის გარეთ კი ორი. აქვეა ციხის ნანგრევები, რომელიც მხოლოდ კირში შედუღებულ ლოდებად ყრია. აქ, მეჩეთის წინ, ხალხს მოეყარა თავი და გულდასმით უსმენდნენ ერთ მოხუც ქართველ მაჰმადიანს, რომლის ლამაზი სახე, მოხდენილი წვერ – ულვაში, ბრგე ტანი და სახის საერთო გამომეტყველება დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

– გამარჯობათ ძმებო! – მივესალმე ქართველ მაჰმადიანებს. მოქადაგემ ბაასი შეწყვიტა, მყისვე ფეხზე წამოდგა და მათი ჩვეულების მიხედვით, მოსასალმებლად ჩემკენ წამოვიდა.

– ღმერთმა მოგცეს, ეფენდი, გამარჯობა და ხანგრძლივი სიცოცხლე! – მომღიმარის სახით მიპასუხა მან და მათი ადათის მიხედვით, ხელი ჩამომართვა. სხვებმა კი თავი დამიკრეს. მოხუცს ჩემი ნახვა თითქო გაუხარდა, მთხოვა სახლში წავყოლოდი და პურმარილი მიმეღო, მაგრამ მე უარი ვუთხარი და მივმართე:

– პატივცემულო ბიძა, ამ სოფელს რა ჰქვიან სახელად?

– ძველად **ოჯახი** ჰრქმევია, ჩვენ – კი **ოლჩაგი** ვუწოდეთ. – მიპასუხა მან.

– რატომ? – გაკვირვებით შევეკითხე მე.

– ეფენდი, **ოჯახი სიწმინდისა და დიდების ფუძეა და სოფელი – კი, როგორც მოგეხსენებათ, სიწმინდისა და ბოროტებისა. სოფელში ანგელოზებიც ბევრია და ბოროტი ძალებიც.სახლში კი მარტო ანგელოზებსა აქვთ სადგური**. – მიპასუხა მან.

– თქვენ, ბიძა, ქართული სად გისწავლიათ? თქვენ ისე კარგად ლაპარაკობთ ქართულად, თითქო ძველ ქართულ ოჯახში იყოთ აღზრდილი. – შევეკითხე მე ცნობისმოყვარეობით.

– არსად. ჩვენი მამა – პაპები სახლში ქართულად ლაპარაკობდნენ, ვკითხულობდით ქართულ წიგნებსა და მეჩეთში ვსწავლობდით ქართულად და თათრულად.

ჩემმა მოსაუბრემ თავის თავს **უსუფ – ბეგ შარვაშიძე** უწოდა.

სოფლიდან საცალფეხო გზით გამოვსწიე. სოფ. **ოჯახიდან** მეხუთე ვერსზე, ზედ მტკვრის პირზე სოფ. **დუდუნაა** გადაშლილი, რომლის ქვეშ მაღალ კალაპოტში ჩამწყვდეული მტკვარი აღმოსავლეთისაკენ დუდუნით მიემართება. ალბათ, ამ სოფლისათვის ჩვენს ძველებს ამიტომ დაურქმევიათ დუდუნა. აქ 14 კომლი, ანუ 165 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. გვარად **დუდუჩავები**. სოფელში ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია, რომლისაგან მხოლოდ საძირკველი და ქვებიღა დარჩენილა. ეს ქვები თითქმის ორი საჟენის სიგრძეა, და მეტად ფაქიზად გათლილებს წვრილი ღარები აქვს ამოღებული. მისი სუფთა შეხედულებაც ძალიან წააგავს თეთრხაზოვან მარმარილოსას. საერთო სიგრძე ამ საძირკველისა 15 ადლია.

აქედან მტკვრის გასწვრივ სოფ. **თამამისაკენ** გავუდექი გზას. თამამი ქართული სიტყვაა. როგორც გადმომცეს, ამ სოფელს სხვა სახელი რქმევია და **თამამი** მერე დაურქმევიათ. როდესაც ოსმალოს ჯარები არტაანში შემოსულან, აუკლიათ იქაურობა; აქეთ წამოსულან, რომ გაეწმინდათ არტაანის მხარე ქართველებისაგან და მერე ყარსს შესეოდნენ. ამ დროს თამამელები იქვე, შორი

ახლოს ტყეში, ყოფილან გახიზნულები და როდესაც დაღლილ – დაქანცულს ოსმალოს ჯარს თავი ძილისთვის მიუცია, თავს დასხმიან თამამელები, აუყრიათ მტრისათვის იარაღი და ვისაც წინააღმდეგობა გაუწევია, დაუხოცნიათ. ეს ამბავი გაუგიათ სხვა ქალაქ – სოფლებიდან გახიზნულ ქართველებს, დასხმიან თავზე მტრებს და ამოუხოციათ. ამის აღსანიშნავად ამ სოფლისათვის უწოდებიათ სახელი **თამამი**.

ეს სოფელი დიდი და მდიდარი ყოფილა, მაგრამ 1877 – 78 წლებში რუსებს თათრებთან ომის დროს აქ მცხოვრები **შარვაშიძეები**, თავიანთი ყმებით, ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები, **ციმბირში გადაუსახლებიათ** და სოფელი დაუნგრევიათ. აქვე მტკვრის პირად მაღლობზე, ორი ეკლესია დგას, ერთი დიდია, მეორე – მცირე; ორივე გუმბათიანია და ფიქალითაა დახურული. ეკლესიის კედლების თლილი ქვები ვიღაცას გაუტაცნია და კირში შედუღებული ჩონჩხიღა დარჩენილა.

აქედან სოფ. **ურჩში** გადავედი. **ურჩი** ქართული სიტყვაა და როგორც მოხუცებულებმა მიამბეს, ამ სოფლის თავადები **თამარის შვილს** – **ლაშა გიორგის** – გადასდგომიან. გიორგის ისინი დაუსჯია და სოფლისათვის **ურჩი** დაურქმევია. აქ მხოლოდ 33 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. 1877-78 წლებში ამ სოფელსაც სოფელ თამამის ბედი სწვევია. აქაც ორი ეკლესია დგას; პატარა სოფელშია, მოზრდილი სოფლის გარეთაა. ორივე გუმბათიანებია და ფიქალის ქვებით დახურული. ხოლო კედლებიდან თლილი ქვები ვიღაცას ჩამოუღია და მარტო ჩონჩხი დარჩენილა.

აქედან, თავქვე, მტკვრის პირად, მდებარეობს სოფ. **ორ – ყიზი**, რაც ნიშნავს **ორ ასულს.** მოხუცებულებმა მიამბეს, რომ ეს სოფელი საქართველოს რომელიღაც მეფის ორ ასულს დაუარსებია, როგორც დედ – მამისაგან განდევნილებს და ამიტომ დაურქმევიათ ორი ყიზიო. აქ 32 კომლი, ანუ 217 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფელში გუმბათ – გადატეხილი და პერანგის ქვებისაგან გაძარცული ერთი პატარა ეკლესია დგას. ის იყო დავათვალიერე სოფელი და მივდიოდი სოფელ **ყიზილ – ქილისისაკენ** (ოქროს ეკლესიისაკენ), რომ მომესმა უკანიდან ხმა: – „ეფენდი“! (ნიშნავს განათლებულს). – რომ მოვიხედე ვიღაც ღრმა მოხუცებული ქართველი მაჰმადიანი მეძახდა. მე მყისვე მოვბრუნდი და ქუდის მოხდით სალამი მივეცი.

მოხუცი ადგილობრივი მცხოვრები **ოთარ – ბეგ შარვაშიძე** აღმოჩნდა. მას გაეგო, რომ ვიღაც ქართველი ეფენდი ჩამოსულა თბილისიდან და ჩვენს შესახებ ცნობებს აგროვებსო. ოთარ – ბეგი, თავის ადათის თანახმად, შემომეგება, მომკიდა ხელი და მოღიმარის სახით თავის სახლში წამიყვანა. იგი ქართულად წმინდად ლაპარაკობს, უფრო **„ვეფხისტყაოსანის“** კილოზე. ეტყობა განათლებული კაცია. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის. სახლში რომ შევედით, იატაკზე დაგებულ დიდ ხალიჩაზე მუთაქა დასდო და დამსვა; თითონ ამოიღო ჯიბიდან საკმაოდ დიდი გასაღები, გააღო ზანდუკი და აბრეშუმის დიდ ბაღდადში რაღაც გრძლად გახვეული ამოიღო და რომ გახსნა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: პერგამენტზე სპარსული ტიპის სურათებით შემკული ხელთნაწერი „**ვეფხისტყაოსანი**“ იყო, მასზე ქორონიკონი **1436** წ.ესვა; სულმა წამძლია, მყისვე გამოვართვი და გაკვირვებით და თანაც სიხარულით დავუწყე კითხვა. იგი წვრილისა და მეტად ლამაზის ხელით არის დაწერილი; ადგილ – ადგილ წითელი ასოები ამკობს მას.

– ოთარ ბეგ! ეს საქართველოსათვის დიდი განძია და მოგვყიდეთ მუზეუმისათვის! – მივმართე თხოვნით. ოთარ ბეგს ეწყინა, წარბები შეიკრა და მრისხანე თვალები შემომაშტერა. მე მივხვდი, რომ ჩემზე იყო გაჯავრებული და ბოდიში მოვიხადე. მან თვალებში თვალები გამიყარა:

– ეფენდი, ეს რა მითხარი! თქვენ იცით, რომ ეს მე **პაპის პაპის პაპისაგან** მაქვს გადმოცემული, როგორც უფროს შვილს და მეც ფიცის მიხედვით, ჩემს უფროს შვილს უნდა გადავცე, როგორც **მამა-პაპეული განძი** და არა მაქვს უფლება, გავყიდო, გავასაჩუქრო, ანუ გავათხოვო; მოპარვითაც კი არავინ ხელს არ ახლებს, რადგანაც ყველამ იცის, რომ წყევლა – კრულვითაა ხსენებული, ვინც მას მოპარვის განძრახვით ხელს ახლებს და ერს დაუკარგავს.

მითხრა მან და გამომართვა. მერე დაახვია მრგვალ ჯოხზე და აბრეშუმის ქაღალდში გახვეული კვლავ ფერად თუნუქით მოჭედილ ზანდუკში ჩაკეტა და განაგრძო ბაასი:

– მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენმა უფროსმა ძმებმა – ქართველმა ქრისტიანებმა გაიხსენეს **თავიანთ დაკარგულ სამშობლოში** მცხოვრები უმცროსი ძმები – **ქართველი მაჰმადიანები** და გვნახეს. კარგია, განათლებულო, რომ მოგვინახულეთ და გაიფიქრეთ ჩვენს შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა, – მიპასუხა მან.

– მერე თქვენ როგორ ჰფიქრობთ, ოთარ – ბეგ! – შევეკითხე მე, განა არ უნდა აღსდგეს ჩვენს შორის ეროვნული კავშირი? განა თქვენ თავს ქართველად არა სცნობთ?

– ჰმ, როგორ არა, განათლებულო. ჩვენ სისხლითა და ხორცით ქართველები ვართ.

– ოთარ – ბეგ! თქვენა ბრძანეთ, ქართველი დიდი მგოსნის დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ განძია ჩვენიო, ან კიდევ თქვენ **თამარ მეფეს** დიდ პატივსა სცემთ, ეს იმიტომ, რომ თქვენ იცით თამარის ღვაწლი საქართველოს წინაშე, ისიც იცით, რომ ის საქართველოს დიდი მოამაგე მეფეთაგანი იყო. ყველაფერი ეს მაჩვენებელია მხოლოდ იმისა, რომ ისტორიულ – კულტურული კავშირი ჩვენს შორის არასდროს არ დარღვეულა და არც შეიძლება დაირღვეს.

სახლის კარი გაიღო და სინებზე დალაგებული თეფშებით სხვადასხვა საჭმელები შემოიტანეს. ოთარ – ბეგის შვილისშვილებმა მე და ოთარ – ბეგს ხელები დაგვაბანინეს. მივუსხედით სუფრას. ისინი სუფრასთან დადგნენ და შარბათს გვისხამდნენ, ხოლო მეზობელი გლეხები, ჩვენის ბაასით დაინტერესებულნი, კედლებს მიუსხდნენ და დროგამოშვებით შეკითხვას გვაძლევდნენ. სადილს მოვრჩით, გამოვესალმე ოთარ – ბეგს, მის შვილებს, მეზობლებს და გამოვედი სახლიდან.

– გთხოვთ, გთხოვთ, კოტე ეფენდი. – ხელის ჩამორთმევით მთხოვა ოთარ – ბეგმა.

– ხშირად გვინახულეთ ხოლმე. ჩვენ მოხარული ვართ ჩვენი ძმების სტუმრობით. გადაეცით იქ, **ტფილისში**, ჩვენს ძმებს ჩვენი გულითადი სალამი და სიყვარული. ჩვენ გვიყვარს ისინი; ქართველი ჯარისკაცები აქ დიდათ გვექომაგებიან, ჩვენ თუ ამ ომიანობის დროს ცოცხლები დავრჩით, უეჭველია, მათის წყალობით.

– დიახ, დიახ, ეფენდი. მოკითხვა გადაეცით ჩვენს ძმებს. – მთხოვეს გლეხებმაც.

გამოთხოვებისას ყველამ ხელი ჩამომართვა და მეც გავუდექი გზას ნასოფლარი **ყიზილ – ქილისისაკენ**, რაც ნიშნავს წითელ ეკლესიას. ეს ნასოფლარი მტკვრის გაღმაა. **ოთარ ბეგის შვილმა– ჯამალ ბეგმა** მდინარეზე ცხენით გამიყვანა.

აქ ერთი მოზრდილი გუმბათიანი ეკლესია დგას. მას გუმბათი წვერზე გადატეხილი აქვს და პერანგის ქვებისგან კედლები გაძარცვულია. აქ **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ, მაგრამ 1877 – 78 წლებში ომის დროს ისინი ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულნი, **ციმბირში გადაუსახლებიათ**.

ნასოფლარი **ყიზილ – ქილისიდან** 6 ვერსის იქით სამხრეთისაკენ სოფ. **კრის ვარდოსანია**. ორივე ეს სიტყვა ქართულია, **ვარდოსანი** რასაც ნიშნავს ყველა ჩვენგანმა იცის, ხოლო **კრი** ქართულად ხშირქვიან მიწას უწოდებენ. მართლაც, ეს სოფელი მიწახშირქვიანია, და ზედ ვარდის

ბუჩქები ხარობენ. ამ სოფელსაც ყიზილ – ქილისას ბედი მოსვლია და დღეს ნასოფლარია. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან 3 – 4 ვერსის იქით, ქედის თავზე, სოფ. **ქობალია** გაშლილი. **ქობალი** – ხორბალი – მეგრული სიტყვაა და მეგრულად ნიშნავს **პურს**. აქ 19 კომლი ანუ 100 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი გემრიელი პურითაა ნაქები. ალბათ, იმიტომ დაურქმევიათ იმისათვის **ქობალი**. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლები პერანგის ქვებისაგან გაპარცული დგას.

აქედან აღმოსავლეთით სოფ. **ჩიხირეთი** დგას. აქ არავინ ცხოვრობს, ნასოფლარია. შემდეგ მეოთხე ვერსზე, მტკვრის გაღმა, ნასოფლარი ქვემო **ჩიხირეთია**. აქ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან უკან წამოვედი და მტკვრის გაღმა, რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ, დავადექი გზას **მდინარე წყაროსმანის** გასწვრივ და მივედი დიდს და ლამაზად გათლილი თეთრი ქვებით აგებულ ციხესთან. ამ ციხეს ქართველი მაჰმადიანები **კირ – ნავს** უწოდებენ. ესეც ქართული სიტყვაა. **კირი** და **ნავი** ალბათ იმიტომ დაურქმევიათ, რომ აგებულია კირით, ნავის მსგავსად. ამ ციხეს არტაანის ოლქში თავის სიდიდით, სილამაზით და ხელოვნებით მეხუთე ადგილი უკავია, მაგრამ სტრატეგიულად მას შეუფერებელი ადგილი უჭირავს. იგი **მდინარე წყაროსმანის** პირად, დაბლობზე, დგას და ზედ თავზე წყაროსმანის კალაპოტის მაღლობი დასცქერის. ციხის კედლები ორ – სამ ადგილზე გაბზარულია. მიუხედავად იმისა, რომ ციხეს შესავალი კარი აქვს, ვიღაცას კედლის ქვეშ მიწა გამოუთხრია, კედლები გამოუნგრევია; აქ კედელი ძირიდან 8 – 9 საჟენის სიმაღლეზე გაბზარულია და მიუხედავად მტკიცე ნაგებობისა, შესაძლებელია მიწის ძვრის დროს კედელი ჩამოინგრეს. ციხის შიდა კედლებს რამდენიმე ორ – სამ სართულიანი, ლამაზად თლილი ქვით აგებული სახლები აქვს მიდგმული, ხოლო შუაგულ ციხეში ერთი პატარა, ლამაზი ეკლესიაა აშენებული, რომლის მხოლოდ კედლები – ღა დარჩენილა. ეკლესიის შიგნით ტრაპეზის ქვა წაქცეულია და ქვეშ მიწაში გვირაბი მიდის **თეთრ ციხისაკენ**. აქვე არის საუცხოო ხელოვნებით შემკული თეთრი, თლილი ქვებისაგან ნაგები სარდაფები.

ამ ციხიდან ქვევით, ხეობაში მდინარე **წყაროსმანი** გიჟურის თავდავიწყებით მიექანება, ეხეთქება ლოდებს აღქაფებული ყვირილით და დაბლობისაკენ ეშვება. აქ დგას სოფ. **ყვირილის ციხე**. აქ ხალხი არ ცხოვრობს, ნასოფლარია, ხოლო ციხის საძირკველი შეურყეველია. იქვე ახლოს, ქედზე, მეორე პატარა, ლამაზი ციხე დგას, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. ამ ნასოფლარშიც ორი პატარა ეკლესიის ნანგრევებია.

აქედან 3 – 4 ვერსის დაშორებით მდებარეობს სოფ. **ჩაღური** (**ჩაღური** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს„ჩაკვდის“). აქაც ეკლესიის ნანგრევებია და სოფელიც აოხრებულია. შემდეგ იწყება აღმართი და 4 ვერსის იქით **მდებარეობს სოფ. ფიქრობი**. აქაც ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლები – ღა მოსჩანს. შემდეგ იწყება **მასხარა**. აქ თურქმანები ცხოვრობენ. შუა სოფელში პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან მე – 5 ვერსზე სოფ. **სანამ – ბექია**. მე მგონია, ესეც ქართული სიტყვაა – **სანამ, ბეგო**? სანამ უნდა ინავარდო,ბეგო? ეს სოფელიც ერთ დროს **ქართველ მაჰმადიანებით** ყოფილა დასახლებული, მაგრამ დღეს გაოხრებულია.

აქედან სამი – ოთხი საათი ცხენით სიარულის შემდეგ, მდებარეობს სოფლები: **ზემო** და **ქვემო თიკნები**. ქვემო თიკანში 50 კომლი ანუ 522 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. **მოხუცებუ-**

ლების მეტმა ნაწილმა ქართული ლაპარაკი კარგად იცის, ოღონდ ყოველ სიტყვას „**ყე**“ – თი აბოლოვებენ. ზემო თიკანში 30 კომლი ანუ 272 სულია. დანარჩენი ყარაფაფახებია.

თუმცა აქედან სოფელი **ხანახი** ახლოს იყო, მე სოფელ **ვარდოსანისკენ** გავუხვიე. აქ 42 კომლი, ანუ 246 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** სოფელ ვარდოსანის ადგილმდებარეობა, მართლაც, შეეფერება სახელს. ირგვლივ ღია ადგილია. მშვენიერი ბუნება, წმინდა ჰაერი. სოფელს წინ რაკრაკით ალმასივით სუფთა წყარო ჩამოუდის, რომელშიც პატარ – პატარა ცქრიალა კალმახები მზის სხივებს ეთამაშებიან.

რატომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **ვარდოსანი**? – შევეკითხე.აქაური მოხუცი ქართველი მაჰმადიანი **მუსა ოღლი ქავთარაძე**, რომელიც ქართულს მშვენივრად ლაპარაკობს, ამბობს:

– ეფენდი, აქ სოფელში ვარდი ხარობს და ალბათ, ამიტომ დაარქვეს **ვარდოსანი**.

– მიპასუხა მან და ხელი ვარდის ბუჩქებისაკენ გამიშვირა,

– როგორც ჩვენი ძველებისაგან გამიგონია, – განაგრძო მან. – აქ ზაფხულობით **თამარ ყიზილ** (თამარ ოქროს მეფე) ჩამობრძანდებოდა ხოლმე, დაჯდებოდა წყლის პირად და სტკბებოდა ამ ბუნების სილამაზით, გალაღებულ პაწია თევზების ცხოვრებით.

აქ გაღმაც და გამოღმაც ეკლესიის ნანგრევებია. უკვე ღამდებოდა, ზაფხულის გრილმა ნიავმა ღაწვები ამისუსხა. მაგრძნობინა ჩვენებური შემოდგომის სუსხი და ვარდოსანიდან სოფ. ქვემო **ხანახისაკენ** წამოვედი.

ხანახში სამი ეკლესიის ნანგრევია. ესენი ადგილობრივად მცხოვრებ ბერძნებს დაუნგრევიათ და მათის ლამაზის ქვებით ეკლესია აუშენებიათ. მათს ეკლესიაში ტილოზე **დახატული ღვთისმშობლის უძველესი დროის ხატი ასვენია ქართული წარწერით**. ეს ხატი ბერძნებს ამ ასი წლის წინათ **აზრუმის წმინდა გიორგის ეკლესიაში უპოვნიათ**. ეს ხატი, როგორც ბერძნების, ისე **ქართველი მაჰმადიანების** მიერ ცნობილია სასწაულმოქმედად და მის დღესასწაულს წელიწადში ორჯერ უქმობენ – აპრილში და მარიამობისთვეში. ძალიან მინდოდა ეს ხატი მენახა, მაგრამ მღვდელი **ყარსში** წასულიყო და ეკლესიის გასაღებიც თან წაეღო. იმ ღამეს **შიო მღვიმელის სიძემ ვასილ ზუბიაშვილმა** მიმიპატიჟა; იგი ფერშლად იყო გამოგზავნილი თბილისიდან ხანახში. მეორე დღეს გამოვეთხოვე ცოლ – ქმარს და **ზემო ხანახისაკენ** გამოვეშურე. აქ 32 კომლი, ანუ 309 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ორივე ხანახში ეკლესიის ნანგრევებია. **ქვემო ხანახთან** ახლოს სამი ნასოფლარია. სამივეში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ თურმე; მაგრამ 1877 – 78 წ. ომის დროს **ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები ციმბირში გადაუსახლებიათ.**

აქედან სოფ. **ნაქალაქევში** წავედი. აქ 112 კომლი ანუ 749 სული – **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის ახლომახლო 7 მოზრდილი ეკლესიის ნანგრევებია. სოფ. **ნაქალაქევი** ოდესღაც დიდმნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა. ადგილმდებარეობაც მეტად ლამაზი აქვს. სოფელი ცოტათი ზურგაბურცულ ადგილზე დგას და არე – მარეს ირგვლივ 40 ვერსიის მანძილზე დაჰყურებს. სოფლის გარეთ ერთ ეკლესიის ნანგრევზე, 30X20 კვ. ადლის ფართობზე, მშვენივრად თლილი თეთრი მარმარილოს საძირკველი დარჩენილა. როგორც ხალხში შენახული ლეგენდით სჩანს, ამ **ქალაქს თავის დროზე საქართველოს კულტურულად აღორძინების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უთამაშია**, მაგრამ, როდესაც ალახის ბრძანებით, მაჰომედს **თამარ ყიზილ ფადიშაჰი სიცოცხლეში „ზეცაში აუყვანია“,** ქალაქს მტერი შემოსევია და აუოხრებია. აქ გარდა ეკლესიების ნანგრევებისა სხვა მრავალი ნანგრევებიც არის.

აქედან სოფ. **მაღაროსაკენ** მდინ. **წყაროსმანის** მიმართულებით დავეშვი. სოფ. **მაღარო** თავის ადგილმდებარეობის მიხედვით საინტერესოს არას წარმოადგენს, მაგრამ მაღარო, რომელიც თავის შეხედულებით **პატარა ვარძიას** მოგვაგონებს, საინტერესოა და მიმზიდველი. სოფ. მაღაროს ერთნახევარი ვერსიის დაშორებით, მტკვრის მარცხნიდან მაღალ კლდოვან ხევში, რომლის კედლები ძირიდან თავამდე ორ ვერსზე აღმართულია, ხოლო მარჯვნიდან ერთი ვერსის ზევით, მოთავსებულია დიდი და განიერი მღვიმე. მღვიმეში დაფენილ კლდის პირით შედის გზა. ხევის ორივე კალთები გაღმა – გამოღმა დაფარულია ათასწლოვან ნაძვ – წიფლის ტყით. ქვედა დიდ მღვიმეში გზა მიდის მაღლობიდან ქვეშ და 10 – 12 საჟენის მიახლოებით ვიწროვდება, მერე იშლება ორად და ერთი შედის საერთო შესავლით მარცხენა, უფრო პატარა მღვიმეში, მეორე გზა შედის მარჯვენა, უფრო ვრცელ მღვიმეში. აქ ერთი – მეორის მიყოლებით 58 მღვიმეა, რომლებიც ზევით მიჰყვება მიუვალ ხევის კედელს. უჩინრად, გვირაბის საშუალებით, მიდის ეს გზა და გვირაბითვე გამოდის განზე, ჩადის დაბლა და მტკვრის ნაპირის გასწვრივ მიემართება გვირაბით, ხოლო 10 – 12 ვერსის დაშორებით მიდის ქვედა მაღაროში. აქედან კი მიდის მეტად შესანიშნავ **ველისციხეში**. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, **ტარიელ ბეგს („ვეფხისტაოსნის გმირს)** ამ ქვედა მაღაროს დარბაზში უცხოვრია.

მაღაროდან, ნაცვლად სოფელ ველისციხისა, მტკვარზე გადასული, წავედი ნასოფლარ **ოქროს ქოთანისაკენ**. აქ პატარა ციხისა და ეკლესიის ნანგრევებია.

– თქვენ იცით, ბიძა? – შევეკითხე გზაზედ მომავალ ღრმად მოხუც ქართველ მაჰმადიანს, – რატომ დაურქმევიათ ამ ნასოფლარისთვის ოქროს ქოთანი?

– ეფენდი, მე ასე გამიგონია, – მიპასუხა მოხუცმა, – როდესაც მობრძანებულა აქ **თამარ ყიზილ ფადიშაჰი** ეკლესიის ასაგებად, ამ ქვაზედ, – ხელით მიმითითა მოხუცმა, – ფეხებით შემდგარა და ათვალიერებდა, თუ სად აღმართოს მეჩეთი. ამ დროს ქვას პირი გაუღია და ფადიშაჰს ორივე ფეხი ჩავარდნია. ქვას პირი ისევ შეუკრავს. ვეზირები და დიდებულები შეწუხებულან, გაუმართავთ თათბირი, მაგრამ ვერას გამხდარან; მოლაც შევედრებია ალახს, ვერც მის ლოცვას გაუჭრია; ამ დროს ყავარჯენზე დაბჯენილი მოხუცი მათხოვარი მოსულა და ფადიშაჰისათვის მოწყალება უთხოვია. ფადიშაჰს, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მათხოვარი გულუხვად განუკითხავს. მას თაყვანი უცია და უთქვამს: – დიდებულო ფადიშაჰო, შენ ალახს უყვარხარ და ამიტომ გეტყვი. ამის ქვეშ თორმეტი ოქროს ქოთანია, ოქროთივე სავსე, თუ ამ ქოთნებს არ ამოიღებ, ქვაპირს არ გააღებსო.

ვეზირებსა და დიდებულებს მათხოვრის სიტყვისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და კვლავ ბჭობა დაუწყიათ; ფადიშაჰს უსაყვედურნია:

_ თქვენ რა იცით, რომ ეს მათხოვარი ალახის პირით არ მელაპარაკება? დაუძახეთ მუშებს, ამოათხრევინეთ ქვის ძირი და ნახეთო.

ფადიშაჰის ბრძანება მყისვე შეუსრულებიათ. ქოთნები რომ ამოიღეს, ქვას პირი დაუღია და ფადიშაჰი გაუნთავისუფლებია.

– აი, ეფენდი, დააკვირდით ახლა ამ ქვას (ხელის მოკიდებით მიმიყვანა ქვასთან, მოხუცმა) **თამარ ყიზილ ფადიშაჰის** ფეხი როგორ ამჩნევია. – და რომ დავაკვირდი, პატარა ფეხების ნაკვალევი, ხელოვნურად ამოჭრილი, მართლა აჩნია ქვას. ეს ქვა ეკლესიის ნანგრევის შიგნით, აღმოსავლეთის მხარეზე, დევს, ალბათ, ტრაპეზად დაუდგამთ. აქედან **თეთრ ციხისაკენ** გავუდექი გზას.

სოფ. **თეთრი ციხე** აღმოსავლეთიდან მტკვრის მარცხენა მხარეზეა და მდინარე **თეთრი წყაროს** პირად ძევს. ციხე დანგრეულია და მისი კედელიღაა დარჩენილი. აქ, ციხის წინ, დიდი და სუფთად გაშალაშინებული თეთრი ქვის ფიცარი გდია. ქვა შუაზეა გატეხილი სიგანეზე და ზედ **ხუცური წარწერაა**, მაგრამ ისე გადალესილი, რომ უთვალიარაღოდ მისი წაკითხვა არ შეიძლება. ციხის შიგნით ნაეკლესიარზე გვირაბის თავია, რომელიც ქვებითაა ამოხორგილი. თუმცა ჩასვლა შეიძლებოდა, მაგრამ მე აღარ ჩავსულვარ. ციხის ახლოს ნასოფლარია, რომელშიც ეკლესიის ნანგრევი ჩანს; ხოლო მაღლობზე, წყლის გაღმა, საშუალო ზომის **თეთრი ციხე** დგას. ციხე ნახევრად დანგრეულია.

სოფ. **ველისციხე თეთრ ციხეს** რვა ვერსით ახლავს და მდებარეობს მტკვრის ახლოს, დიდ ველზე. აქ 55 კომლი, ანუ 465 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. **ბევრი მათგანი ქართულად კარგად ლაპარაკობს,** „ყე“ – ს დაბოლოებით.

სოფელში ხმა გავარდა: თბილისიდან ქართველი პოლკოვნიკი (ყველა უცხო და პატივსაცემ სტუმრებს **ქართველი მაჰმადიანები**, თუნდაც **გენერლები** იყვნენ, **პოლკოვნიკს** უწოდებდნენ მაშინ) ჩამოვიდაო და დიდი და პატარა, კაცი და ქალი, ჩემკენ წამოვიდნენ; უხაროდათ ჩემი ნახვა. მამაკაცები ხელის ჩამორთმევით მაძლევდნენ სალამს, ხოლო ქალები და ბავშვები, ერთმანეთთან მობაასენი, შორიდან მიღიმოდნენ.

– ეფენდი, (განათლებულო), რა ამბავია ტფილისში? – შემეკითხნენ ისინი და სიხარულით თვალებს თვალებში მიყრიდნენ.

– მე ჩამოვედი, რომ გავეცნო ჩვენს ძმებს – ქართველ მაჰმადიანებს, შევისწავლო მათი ცხოვრება, ავწერო გაზეთში და ვამცნო მათი გარემოება ჩვენებს.

– მობრძანდით და გაჩვენებთ ჩვენს ციხეს, რომელიც ჩვენი მამა – პაპათა სისხლითა და ძვლებითაა მორწყულ – მოფენილი. იქ არის **ქართულის წარწერით** და **ქრისტიანულ ღმერთებისა და მეფეების სახეებით დასურათებული**. – მითხრეს მათ.

ჩვენ ბაასით გავუდექით გზას **ველისციხისაკენ.**

სოფლიდან ველისციხემდე ნახევარი ვერსია. აქ წყდება ციხის თავდაღმართი თავისი ბუნებრივი სიმაგრით და მიდის ნახევარ ვერსზე, მერე უფრო ძლიერდება და მიდის ნახევარ ვერსის მანძილზე ხელოვნურის სიმაგრით ეკლესიის მოედანზე. ეს სიმაგრე წარმოსდგება სამი კუბიკური ფორმის შავი ფერის ქვებისაგან. თითო ქვის ზომა აღმოჩნდა 2X2,5X3 კუბიკური ადლი. მოედანი, სადაც ეკლესიაა აღმართული, წარმოადგენს სწორ ადგილს. ზომით 300 კვ. საჟენს. **გუმბათიანი ეკლესია** წითელი, მარმარილოს მსგავსი ფერის ქვისაგანაა, არაჩვეულებრივი ლამაზი ხელოვნებით ნაგები, რომლის ფართობი 96 კვ. ადლია. ეკლესია დაუზიანებელია, მხოლოდ კარები აქვს მოხსნილი. **შიგნით მხატვრობა ისე ბრწყინავს**, თითქოს ამ 10 – 15 წლის წინეთ დაუხატიათო. შიგნით, ჩრდილოეთის მხრისაკენ, კედელზე დახატულია სრული სახის **იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, დიდი ბასილი, დავით აღმაშენებელი** (?). თავი წაშლილია, ხოლო ტანი ხელუხლებელია, მას ხელში პატარა ეკლესია უკავია და წელზე ხმალი არტყია. შემდეგ იწყება **ათთორმეტი მოციქული**. მათ გვერდით ვიღაც ქალის ტანია დახატული, რომელსაც ორი გრძელი თმის ნაწნავები წინ აქვს ჩამოშვებული და **ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოდრეკილი დგას**;მას ტანზე სამეფო ტანისამოსი აცვია, სახე წაშლილია. ეს სურათი, მე მგონია **თამარ მეფეს** უნდა გამოხატავდეს. დასავლეთისაკენ **დახატულია ყალყზე მდგარი თეთრი ცხენი**, რომლის ფეხქვეშ ოთხფეხიანი და გრძელკუდიანი პირდაღებული გველეშაპი წევს და პირში შუბი აქვს ჩაცემული. ცხენზე მჯდომის უზანგში გაყრილ ფეხი – ღა მოსჩანს ცხენის მუცლის ქვეშ.

იქვე, ეკლესიაში შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს, სადაც ტრაპეზი ყოფილა, ერთი დიდი ქვა გდია. ქვის სიმაღლე ადლნახევარია, განი კი ადლზე ცოტა მეტი, ალბათ, ტრაპეზის ქვაა. როგორც შიგნით ეკლესიაში, ისე გარეთაც მრავალი კაცის ძვლები ყრია; ბევრგან ქალის ძვლებსაც შეხვდებით. შესავალი კარის გარედან **ქართული ხუცური** წარწერებია ამოჭრილი. უკიბოდ და უთვალიარაღოდ მისი წაკითხვა ვერ შევძელი. ეკლესიას ზედ ჩრდილოეთით მიდგმული აქვს მაღალი კოშკის აგებულების სახლი. იქ შესავალი კარი არსად ჩანს. მეორე სართულის კედლები ერთი ადლის სივრცეზე ამოუჭრიათ. მესამე სართულის სახურავი თითქმის ნახევრად დაუნგრევიათ. კედლის ქვები შუაზეა გადატეხილი. მეორე სართულში, შიგნით, მშვენიერი, მოზრდილი და დაბალი ოთახია. იატაკზე ჭერიდან მონანგრევი ქვები ყრია. თვით ოთახს სამი ადლი სიგანე აქვს, 8 სიგრძე და 3,5 სიმაღლე. კედლებს შიგნით გარშემო ჩაყოლებული აქვს 216 უჯრა, თითოეული 6 ბრტყელი თაღის ქვებით, რომელთა სისრულე ¼ ადლისაა და სიღრმე 2/5 – ს. როგორც ეტყობა, ეს სახლი ციხის სალარო უნდა იყოს.

12 წლის წინეთ, მიამბო ჩემთან დამეგობრებულმა **ირემაძემ**,ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანს **იზიატ მეზინ გულიაშვილს** 6 ოქროს ფულები უპოვნია, რუსული ახალი შაურიანების ოდენები და ვიღაც არტანელი ვაჭარისათვის მიუყიდნია თითო 7 მან. და 50 კ. 8 – 9 წლის შემდეგ ვიღაცეები ლომებითა და წერაქვებით მოსულან ღამე და ზემოხსენებული კედლები ჩამოუნგრევიათ და ათზე მეტი ოქრო უპოვნიათ. ამ სალაროს ქვემო სართული მთელია და მასში შესავალი კარი არსად ჩანს. აქაც, ეკლესიის გვერდით, აღმოსავლეთისაკენ საფლავებია. საფლავების მხოლოდ სამი ქვა შევამჩნიე. საკმარისია, როგორც ციხის შიგნით, ისე ციხის გარეთაც, სადაც გინდათ ფეხი წაჰკრათ ფხვიერ მიწას, რომ ადამიანის თავები და ძვლები ამოცვივდება.

აქვე, ეკლესიის დაშორებით, ორი მოზრდილი სარდაფის მსგავსი თხრილია, მაგრამ არ ვიცი, რა დანიშნულება აქვს მათ. შეიძლება ქვევრები იყოს, ჩაყრილი ღვინისათვის, მაგრამ ქვევრი ვერსად ვნახე.ეკლესიის წინ, მტკვრის მიმართულებით 5 – 6 საჟენზე, თავქვე დაშვებული დაღმართია, აქაც ოთხი დესიატინის ოდენა ველია, რომელზედაც მრავალი სახლი დგას. ყველა სახლი თეთრი, სუფთად გაშალაშინებული დიდრონი ქვის ფიცრებითაა აგებული. სახლებს ქვის სახურავები ჩანგრევია. კედლები სრულიად დაუზიანებელია და **მაღალ – ხელოვნურის ნიჭითაა ნაგები.**

იქვე აბანოა, სახლებზე უფრო ლამაზის ხელოვნებით ნაგები. **აბანოს ხელოვნება უფრო წააგავს რომელიმე დიდებულ ეკლესიის გრეხილ – ჩუქურთმებს**, ვინემ აბანოებს. რომ უყურებთ ამ ხუროთმოძღვრებას, გიკვირთ, რად უნდოდათ აბანოსათვის ასეთი ძვირფასი ხელოვნებით აგებული კედლები. აბანოში მტკვრიდან წყლის ამოსაყვანი მოკლე, წითელი მიწის მილებია. მილები, თეფშის მსგავსად, სუფთად გამომწვარი, ერთ ვერს – ნახევრის მანძილზე ჯაჭვით ერთი მეორეზე მიბმული, კედლებზე მიმაგრებული, ჩადის მტკვარში. აბანოში აბაზანები მშვენივრად და სუფთად გაშალაშინებულ ერთიან ქვებიდანაა ამოყვანილი, რომლებიც ზოგიერთი წვრილად და ზოგიც შუაზე გატეხილია. **სამი აბაზანა კი მთელია.** ეს აბანო პირველი შეხედვით, დიდ და **უზარმაზარ ეკლესიის დამხობილ გუმბათს მოგაგონებთ.**

აბანოს გვერდით სახლებია თითო თვალიანი აგებული, დიდ და მრგვალ დარბაზებიანი. მათი სიმაღლე დაახლოებით 2,5 ადლს უდრის. სარკმლები განიერი და ფართე აქვს, რომლებიც მტკვრისაკენ იყურება. იქვე სამი სარდაფია, ქვებით ამოვსებული. ვერ გავიგე ამ სარდაფების დანიშნულება. აქედან ²/₃ ვერსის სიმაღლიდან კედელი ქვეშ ეშვება. ადამიანი უბაწროდ ვეღარ ჩავა. ქვევით უფრო დიდი ფართობის მოედანია.

ამ მოედნის შუაგულ ადგილზე, **ჭანურ სპილენძის დამხობილი ქვაბის ფორმის** მსგავსად, აღმართულია 60 – 70 საჟენის სიმაღლის გორა, რომლის წვერზე დგას ციხე, დაახლოებით 700 – 800 კვ. საჟენის ფართობისა, ლამაზი და მაღალის კბილებით. ციხე აქა – იქ ჩამონგრეულა და დარჩენილა 7 – 8 საჟენის სიმაღლე კედლები. ციხეს ირგვლივ შიგნიდან კედელზე ნათალ ქვებით ნაშენი სახლებია მიდგმული, ხოლო შუა ადგილზე აგებულია ოთხკუთხა 14 – 15 საჟენის სიმაღლის კოშკი, დაახლოებით 60 – 65 კვ. საჟენის ფართობისა და სართულებად დაყოფილი.

კოშკს სახურავი გადამძვრალი აქვს. ნახევარ ვერსის მანძილზე, მთის ფერდობზე, აგებულია გიგანტი ქვებისაგან გალავანი, რომელიც ციხის ფართობს ქვევიდან უვლის მტკვრის სწორი ნაპირით და ამოდის მაღლა, დასავლეთიდან,იმავე კარკარის კედლით, ველის მინდორზე და წყდება აღმოსავლეთის გალავნის პირდაპირ. ხსენებული გალავანი ირგვლივ მთელია და არც ერთი ქვა არ ჩამოვარდნილა. ქვეშ მტკვრის პირზე გალავნის გარეთ ორი თითოსართულიანი ქვის სახლი დგას. მათ პირდაპირ მტკვრიდან სამი არხი გამოდის – ორი სახლის იატაკების ქვეშ და ერთი სახლების შუა. აქვე, სახლების იქით, აღმოსავლეთისაკენ ორი ფართო დიდი ქვა გდია. მე მგონია, წისქვილის ქვები უნდა იყოს, ხოლო თვით ნაგებობა – წისქვილი.

სოფელ **ველისციხიდან**, მტკვარზე გადასული, სოფლებში **– ზემო და ქვემო ხელოვანში** მივედი. ამ სოფელში დასაბამიდან ხელოვნები ცხოვრობენო, მითხრა ადგილობრივმა მცხოვრებ-მა მოხუცმა **უსუფ ტაღი წიქარიძემ** და ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **ხელოვა-ნიო. ხელოვანში** 19 კომლი **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს, ხოლო **ქვემო ხელოვანი** ნასოფ-ლარია. როგორც მიამბო ხსენებულმა **წიქარიძემ**, 1877 – 78 წლების ომის დროს, რუსის მეფის ჯარის სარდლობის განკარგულებით სოფლის მცხოვრებლები **ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები**, **ციმბირში გადაუსახლებიათ**. უკან არავინ დაბრუნებუ-ლა.

აქედან ისევ მტკვარზე გადმოვედი და აღმოსავლეთით 15 ვერსის იქით, სოფ.**გუგუბას** მიმართულებით, აღმოსავლეთისაკენ წამოვედი, სადაც კარგად მოზრდილი კუზაწეული მთა მოსჩანს, რომლის შეხედულება ძალიან წააგავს დიდი არარატისას. აი, ამ მთის მწვერვალზე დგას **დიდი ეკლესია,** რომელიც დანგრეულა და მისი ერთი კედელი ჩანს. კედელი ხუთი საჟენის სიმაღლისაა. ქალაქ არტაანიდან ეს ციხე, მიუხედავად იმისა რომ 40 ვერსითაა დაშორებული, ერთნახევარ კაცის სიმაღლე მოჩანს. კედელი სუფთა, დიდრონი, თეთრი ქვების ფიცრებითაა აგებული. ამ ეკლესიიდან უკან დავბრუნდი სოფ. **გუგუბაში**. აქ 79 კომლი **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** ადგილობრივმა მცხოვრებმა **თითქმის ყველამ იცის ქართული**. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია, ხოლო სოფლიდან 1,5 ვერსის დაშორებით, აღმოსავლეთისაკენ, დგას გუმბათიანი მოზრდილი, **მეტად ლამაზი ეკლესია**, **მაგრამ 1877 წელს, როგორც დიდებული ბანას ეკლესია, რუს – ოსმალთა ომის დროს ასაფეთქებელ საომარ მასალების საწყობად გადაუქცევია რუსის მეფის მხედრობას. ეს გაუგია ოსმალთა ჯარს, დაუმიზნებია ეკლესიისათვის ქვემეხები და ეკლესია გუმბათიდან ძირამდე შუაზე გახეთქილა**. დასავლეთის ნახევარი იქვე ნანგრევადა ჰყრია, ხოლო მეორე ნახევარი თავის გუმბათიანად ამაყად დგას. მისი სურათები, მიუხედავად ხანდაზმულობისა და იმისა, რომ მზე მათ პირდაპირ დაჰყურებს, **ფერშეუცვლელია**. გეგონებათ ამ 5 – 10 წლის წინეთ დაუხატიათო. გარედან ეკლესიის კედლები პერანგის ქვებისაგან გაძარცუ-ლია.

ამ მოხუცმა **თეიმურაზ ყადირ ოღლი წითლანაძემ** სახლში მიმიწვია. **იგი წმინდად ლაპა-რაკობს ქართულს** და სახეც წმინდა ქართველის აქვს, **უყვარს საქართველო** და ამაყობს, რომ

ქართველია. **წითლანაძემ კარგად იცის საქართველოს ისტორია, იცის წერა – კითხვაც.** მან ზანდუკიდან ამოიღო **დიდი ფორმის ტყავის ყდიანი ხელნაწერი, ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია**. ის მას წითელს ფარჩაში ჰქონდა გახვეული. წიგნი ლამაზის ხელითაა დაწერილი და ქაღალდი სქელი, რუხი ფერისაა. ასოები მკრთალად გამოიყურება.

– 17 წლისა ვიყავი, რომ მამას გავეპარე ახალქალაქში და **მამედ აღა ბეგ ფალავანდიშვილის** მამასთან დავდექი მოჯამაგირედ; ექვსი თვის შემდეგ **ტფილისში** წაველი და **პლატონ იოსელიანთან** დამაყენეს, მაშინ იგი მოხუცებული იყო. აცხონოს ღმერთმა, კარგი კაცი იყო. იქ მან **შემასწავლა ქართული წერა – კითხვა** და საქართველოს ისტორია. ეს წიგნი მუდამ ხელთა მქონდა და ვკითხულობდი. 28 წლისა რომ გავხდი, გამოვართვი აღას ანგარიში, სამი მანეთიც მეტი მაჩუქეს, გამოვემშვიდობე იქაურობას და ეს წიგნი, ნუღარ დამძრახავთ, არავისთვის მიკითხავს, გავხვიე ჩემს ბარგში და წამოვიღე. **დღეს ეს წიგნი შვილებს მირჩევნია** და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცი, თავისუფალ დროს ამოვიღებ და ვკითხულობ. – მითხრა მან.

აქედან სოფ. **ღეჯისაკენ**, ანუ **გეჯეთისაკენ** წამოვედი. **ღეჯი** ანუ **გეჯეთი** მეგრული სიტყვაა. პირველი ნიშნავს – **ღორს**, მეორე – **ხის დიდ გობს** და ესეც რომ არ იყოს, სოფ. **გეჯეთი** სამეგრელოშია, მარტვილიდან 15 ვერსზე **სენაკის** მიმართულებით. აქ 36 კომლი სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** აქაც არის **ერთი ეკლესია,** რომლის კედლები პერანგის ქვებისაგან გაცლილია.

აქედან მე – 4 ვერსზე სოფ. **ბერგია**. ესეც მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **თოხს**. აქაც 46 კომლი, ანუ 420 **ქართველი მაჰმადიანია**. აქაც პერანგის ქვებისაგან გაძარცული ეკლესია დგას.

შემდეგ წავედი სოფ. **კონქში**. ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს **კამარას**. აქ 77 კომლი, ანუ400 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქაც ერთი ეკლესიაა, პერანგის ქვებისაგან გაძარცული.

სოფ. **კონქს** აღმოსავლეთით მე – 12 ვერსზე სოფ. **ორუშეთია**, აქ ქურთები ცხოვრობენ. **წინეთ ქართველ მაჰმადიანებს უცხოვრიათ** თურმე, მაგრამ **1877 – 78 წ. რუს – თათართა ომის დროს ზოგი დაუხოციათ და ზოგი სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ.** აქ სოფელში საშუალო ზომის ეკლესიის ნაშთია დარჩენილი.

სოფ. **ორუშეთის იქით, მთის კალთაზე ერთი დიდი ეკლესია დგას, რომელიც ძლიერ წააგავს მარტვილის მონასტერს. ეკლესია კარგად არის შენახული, წარწერები** ვეღარ ამოვიკითხე, რადგანაც ასოები ამოშლილია. **სურათები კი ხელუხლებელია.** გუმბათი ფილაქნითაა დახურული. გარედან კედლებზე და კარების ლავგარდანებზე ლამაზად და **ფაქიზის ხელოვნებით შესრულებული ჩუქურთმებია**, ამბობენ: ეს ნასოფლარი **ზემო ორუშეთიაო.**

აქედან სოფ. **ახალშენში** გადავედი. ამას ადგილობრივი ქურთები **ახა – შენს** უწოდებენ, ისე როგორც კახეთში კახელები თავის სოფელ **ახალშენს** დამახინჯებით **ახაშენს** ემახიან.

სოფ. ახალშენიდან გადავედი სოფ. **ჯვარის ხევში.** ეს სოფელი ჯვარედინა ხევშია გაშლილი და ალბათ, ამისათვის დაურქმევიათ მისთვის სახელი **ჯვარის ხევი**, აქ 52 კომლი ანუ 395 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სოფ. **ჯარისხევში** გადავედი. რატომ დაარქვეს ამ სოფელს ჯარის ხევი? ალბათ აქ ჯარსა მალავდნენ მტერზე თავდასასხმელად. ამ შემთხვევისათვის ეს ადგილი სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს. აქ 49 კომლი ანუ 408 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის გარეთ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან 4 ვერსის შემდეგ, აღმოსავლეთით, მაღლობზე, მთის კალთებში სოფ. **მაჩუეთია**. აქ 39 კომლი ანუ 419 **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს.

აქედან ხუთი ვერსის იქით სოფ. **ნუნუსია. ნუნუ**, ანუ **ნინო** ქართველი ქალის სახელია. როგორც მითხრეს ღრმად მოხუცებულებმა, ძველად, უხსოვარ დროს აქ **მოსულა ვიღაც ქართველი ქალწული და ხალხში ღვთის სარწმუნოება გაუვრცელებია** და ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **ნუნუსი**. აქ 32 კომლი ანუ 352 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

აქედან **ზემო** და **ქვემოთამარში** შევიარე. აქ კი **ქურთები** ცხოვრობენ, ერთი საშუალო ზომის ეკლესიის ნანგრევი აქაც არის. ორივე სოფლები მაღლობზეა გაშლილი. აქ საყურადღებოა მთა, რომელიც სოფლების იქით, სამხრეთისაკენ დგას. ეს მთა თითქოს ხელოვნურად დაუდგამთო. მთას ოთხკუთხიანი ცილინდრის სახე აქვს. მისი ზედა მოედანი 1600 კვ. საჟ. მოცულობისაა. მოედნის შუა გულზე მარმარილოს ერთი დიდი სასაფლაოს ქვა, ზომით 4X2 ადლის ფართობისაა. **ზედ ქართულ – მხედრული წარწერაა.** წარწერა ისეა გადალესილი, რომ წაკითხვა ვეღარ მოვახერხე. საჭიროა ასოების შავად შეღებვა, რომ ამოიკითხოს კაცმა. ამ სოფელში მე 30 აპრილს მომიხდა მისვლა. ღამე აქ გავატარე, მინდოდა დილით წავსულიყავი, მაგრამ მასპინძელმა შემაჩერა: დღეს ჩვენ სალოცავი გვაქვს, მოიცადეთ, ილოცეთ ჩვენთან, ისადილეთ და მერე წაბრძანდითო. მე ნებას დავყევი.

1 მაისს დილიდანვე ხალხმა ჯალაბობით იწყო დენა ამ სალოცავისკენ. აქაურებსა აჰყავთ ამ სალოცავისკენ ცხვრები, კლავენ, ამზადებენ საღმრთოს, ლოცულობენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰის საფლავზე**, მოუწოდებენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰს**. უკითხავენ, ნიშნად სიყვარულისა, ერთმანეთს საღმრთოს და სხდებიან ჭამად. ხოლო მზის ჩასვლისას მათ კვლავ მოილოცეს საფლავი და სახლისაკენ გაუდგნენ გზას.

– ვინ არის აქ დამარხული? – შევეკითხე მასპინძელს.

– **თამარ ყიზილ ფადი შაჰი**. – მიპასუხა მან.

– როგორ! საქართველოს მეფე თამარი?!.. გაკვირვებით შევეკითხე.

გამოვეთხოვე ჩემს მასპინძელს და სოფ. **ქერქიდანისაკენ** გავუდექი გზას.

სიტყვა **ქარქიდანი** ქართულია. აქ **თურქმენები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ, მთის კალთაზე, მოზრდილი თიხის ნანგრევია. აქედან 4 ვერსის მანძილზე სოფ. **დაბახეია**. ეს სიტყვა დამახინჯებული უნდა იყოს, რადგანაც სოფელი მაღალი ხევის თავზეა გაშენებული. აქაც **თურქმენები** ცხოვრობენ. სოფლის განაპირას ერთი ეკლესიის ნანგრევია.

სოფ. **დაბლა – ხევიდან** შორს სოფ. **სორსია**. აქაც თურქმენები ცხოვრობენ. ესეც ქართული სიტყვაა. სოფ.**სორსი** რუქაშიაც არის. ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

შემდეგ იწყება სოფ. **ჩამლეჩაი**[2]. პირველი სიტყვა ჩამმლელია (ჩამომვლელი); ქართულია, მეორეც თათრული (მდინარე). ამ სოფელს წინ მდინარე ჩამოუდის და ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ეს სახელი. აქაც ეკლესიის ნანგრევია;აქ **თურქმენები ცხოვრობენ**.

შემდეგ იწყება **ვერანა – ნაქალაქევი**. პირველი სიტყვა თათრულია და ნიშნავს აოხრებულს, მეორე ქართულია. ეს სოფელი ოდესღაც დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ მტერს აუოხრებია. **1878 წელს,ომის დროს რუსეთის მეფის მხედრობას აუკლია**, ზოგი **ამოუხოცია ქართველი მაჰმადიანები და დანარჩენები დიდიან პატარიანად სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებია და ციმბირში გადაუსახლებია** და მათ სახლებში **ქურთები** ჩასახლებულან.

[2]ჩამლეჩაი-ნაძვნარი მდინარე (çam-ნაძვი, çayır-მდინარე; შ.ფ.).

როგორც ლეგენდა ამბობს, ოდესღაც ამ ქალაქს დიდი როლი უთამაშნია საქართველოს აყვავებაში და შემოსეულ მტრისათვის არა ერთხელ ღვთის რისხვად დასტეხია. აქ 14 ეკლესიის ნანგრევია, 4 დიდრონი და 10 მცირენი. ვერ გავარჩიე, როგორც ეტყობა, აქ დიდი ციხე ყოფილა. ამ ნაქალაქევის შორი – ახლოს 13 ნასოფლარია.

აქედან სოფ. **კართანა ხევისაკენ** გავუდექი გზას. გზა და გზა მრავალი ნასოფლარი შემხვდა; ყველგან არის ეკლესიის ნანგრევები. **1877-78 წლებამდე არტაანის ოლქი ქართველი მაჰმადიანებით მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მაგრამ რუსის მეფის მხედრობას ამოუწყვეტია და ზოგან ქურთები და ზოგანაც თურქმენები დაუსახლებია**.

თვით არტაანის ოლქი რაღაც ზღაპრულის სიმდიდრითა და სიუხვითაა ბუნების მიერ დაჯილდოებული. ხალხს აქ დიდი სიმდიდრე მოსდის თავის დიდად შეუწუხებლად. აქაურმა100 ძროხა და ამდენი სხვა მსხვილფეხა პირუტყვი შეიძლება გაიჩინოს. ომამდე აქ ბეგებსა და აღებს 300 – 400 ძროხა და 3000 – 4000 – მდე ცხვარი ჰყოლიათ. აქაური ქერი და თივა, არამცთუ ამიერკავკასიაში, რუსეთშიაც განთქმული ყოფილა. თუ კი კაცი გაირჯება და თესლს ხელიდან გააგდებს, მიწა ერთი – ათასად უკან უბრუნებს. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ყველაფერი თავსაყრელად ჰქონდათ: მთელ ამიერკავკასიის ჯარსა და დაბა ქალაქებს არტაანი ასაზრდოებდა: თივა, ქერი, სახორცე პირუტყვი, რძის ნაწარმი, შინაური და გარეული ფრინველები, თაფლი და სხვა აქედან გაჰქონდათ. მინერალური წყლებიც აქ უხვად მოიპოვება. აქ ჰაერიც შესანიშნავია და საღი. **ხშირად ნახავთ აქ 130 – 140 წლის მოხუცებს, რომლებიც ჯერ კიდევ საღი ჯანისანი არიან და მუშაობენ**. ეს მხარე ძველად ისტორიაში ცნობილი იყო თავისი ეკონომიურისა და კულტურულის ცხოვრებით; **პირველი აკვანი ქართველი ერის კულტურისა არტაანში დაირწა**. ამანვე აღზარდა უამრავი ჩვენი სახელოვანი მამა – პაპა.

სოფ. **ვერანა – ნაქალაქევიდან** მიველი სოფ. **კართანა – ხევში**. ეს სახელი ამ სოფელზე ზედ გამოჭრილია. სოფელს წინ ვეება ხევი ჩამოუდის ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთ – სამხრეთით. ამ 40 წლის წინათ, ეს სოფელი 25 საჟენით მაღლა მდგარა, მაგრამ ქვეშ დაწეულია წყლიანი ნიადაგის გამო და ადგილობრივი მცხოვრებლები აშკარად ატყობენ, რომ სოფელი თანდათანობით დაბლა იწევა. აქ 49 კომლი ანუ 443 **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი.

აქედან პირდაპირ ხევისა და **მდ. წყაროსმანის** გაღმა მაღლობზე, გაშლილია სოფ. **მგლის ციხე.** ამ სოფლისათვის ახალქალაქელ სომხებს „**ყურტყალა**“ უწოდებიათ. აქ 39 კომლი ანუ 460 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** მეტი წილი **ბერიძეთა** გვარისანი არიან, ნაკლები – **ორბელიანებისა**.

სოფლიდან ცოტა დაშორებით, კარკარ კლდეზე ციხე მდებარეობს, რომელსაც თავისი სიდიდით, სილამაზით, სტრატეგიულისა და ბუნებრივს სიმაგრით არტაანის ოლქში მე – 4 ადგილი ეკავა. კლდე, რომელზედაც ციხე დგას, გიგანტური სიმაღლისაა. მას ქვეშ მდ. მტკვარი მოუდის. ციხე ოდნავ დაშვებულია. მაგრამ მისი ხელოვნება და მტკიცე ნაშენობა განაკუთვნებს მას მეხუთე საუკუნის პირველ ნახევრისას და როგორც მისი სახელწოდება ამტკიცებს, ის **ვახტანგ გორგასლანს** ეკუთვნის.

სოფ. **მგლის ციხიდან** სოფ. **წყაროსთავი** პირდაპირი ხაზით სულ ერთი ვერსითაა დაშორებული, მაგრამ ღრმა ხევები და მდინარის ვეება კალაპოტი მას 10 – 12 ვერსით აშორებს. წყაროსთავის მთის მწვერვალი თითქო განგებ გადაუჭრიათო. მის 6000 – მდე სწორს საჟენის სივრცის სუფრასავით გაშლილს მოედანზე ეკლესიაა გაშენებული მეტეხის ციხის ეკლესიის მსგავსად,

სუფთად გათლილი, დიდრონი ყვითელი ქვების ფიცრებისაგან. **ამ ეკლესიაში ებრაულ ენიდან ქართულად უთარგმნიათ სახარება**. ეკლესია შედარებით დაუზიანებელია. მხოლოდ დანგრეულია კოშკი, რომელიც ეკლესიის გვერდით მდგარა. ეკლესიის კედლები **მშვენიერის ხუროთმოძღვრების ხელოვნებითაა აშენებული** და ხშირად ამშვენებს მის კარებსა და კედელ – სარკმლებს სუფთად ამოჭრილი **ჩუქურთმები**. აქვე მცხოვრები **აღა შარიფ ოღლი საღირიძის** წყალობით, ეკლესია შიგნით სუფთადაა შენახული. იატაკი მორთულია ძვირფასი ხალიჩებით. **შიგნით მხატვრობა ძალზე კარგადაა დაცული. არსად დაფხაჭნილი და წაშლილი არ არის**. შესავალ კართან გამოსახულია **მეფე ვახტანგ გორგასლანი**, მჯდარი თავის მერანზე, ხელში ამოღებულის ხმლით, რომელიც მიეშურება გოლიათი ბაჰავარისაკენ საომრად. **აქ ქართველ მეფეებისა და წმინდანების სურათები თავდება ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დაჩოქებული თამარ მეფეთი,** რომელიც **ბრილიანტით მორთულ საყურეს დებს ღვთისმშობლის ხატის წინ.** ეკლესიის მოედანზე დგას ერთი ლამაზი და დიდი ოდა, რომელშიც ცხოვრობს ამ ეკლესიის მოამაგე **აღა შარიფ ოღლი საღირიძე**. მისი გარეგნული შეხედულება მოგაგონებთ როგორც სახის სილამაზით, ისე დარბაისლურის მიხვრა – მოხვრით **ძველ და ამაყ ქართველ მეომარს**. მან ქართული არ იცის, მაგრამ **უდიდესი მოსიყვარულეა და პატივისმცემელი ქართული კულტურისა.**

წყაროსთავის მთა სამხრეთიდან წარმოადგენს მაღლა აშვერილ გორს, ხოლო ჩრდილოეთისაკენ თავისი სიმაღლის შესაფერად დაფენილს კალთას 15 – 18 ვერსის მანძილზე. ეკლესიიდან ქვეშ, 35 – მდე საჟენზე, გაშენებულია ეგვიპტური სახის წყალსადენი, თეთრი, ლამაზად გაშალაშინებული ვეება მარმარილოს მსგავსი ქვების ფიცრებით, ხუთი ცალი ონკანით, საიდანაც უხვად მოჩუხჩუხებს წმინდა ალმასივით ანკარა წყარო, რომელიც ჩადის ქვემოთ დადგმულ თეთრი ქვისაგან გამოთლილს როფეში. წყლის ქვეშ, რამდენიმე საჟენით დაბლა, გაშლილია **სოფ. წყაროსთავი**. აქ **ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ** 57 კომლი ანუ 9437 სული. **ზოგიერთი მოხუცი ქართულს კარგად ლაპარაკობს**.

სოფ. წყაროსთავის შემდეგ იწყება სოფ. **ჩაი – ტურეცკი** (ჩაირ – çayır – მინდორი, ველი. შ.ფ.) სოფლისათვის ეს სახელი, როგორც ადგილობრივმა მოხუცებულებმა მითხრეს, 1877 წელს, ომის დროს დაურქმევით. საკვირველია, რატომ დაარქვეს ამ მდინარეს „**ჩაი – ტურეცკი**“. მდინარე ოსმალეთიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მდინარე წყაროსმანის ტოტია, რომლის სათავე არტაანის მთაშია. 1877 წლამდე ამ სოფლის ნამდვილი სახელი **ქვემო წყაროსთავი** იყო. აქ 61 კომლი, ანუ 511 **სული ქართველი, მაჰმადიანი ცხოვრობს.** სოფელში **მოხუცებულებმა თითქმის ყველამ იცის ქართული**.

სოფ. **ქვემო წყაროსთავის** შემდეგ 10 – 12 ვერსია დაბა **ზურზუნამდე**. ზევით, ზურგ – ბრტყელა მაღალ მთის წვერზე, გაშლილი სოფ. **რაბათი** მდებარეობს; აქ 32 კომლი, ანუ 427 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს,** გვარად **თარხნიშვილები** და **თარხან – მოურავები**. პირველნი გლეხებია, მეორენი – ბეგები. ეს სოფელი მაინცდამაინც არაფრითაა შესანიშნავი, მხოლოდ აქაა ციხე **მზე – ქალად** წოდებული. ეს ციხე თავისი ადგილმდებარეობით, სტრატეგიულის თვალსაზრისით, თვალსაჩინო ნაგებობაა და იგი სოფლიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ორი ვერსის დაშორებით, დგას კედელსავით ჩამოტეხილი კარკარი მთის თავზე, რომლის სიმაღლე დაახლოებით სამ ვერსს უდრის. ქვეშ ციხეს სამი მხრიდან: არტაანიდან მარჯვნით – **მტკვარი**, სამხრეთიდან – **წყაროსმანი** და სამხრეთ – აღმოსავლეთიდან **თეთრი წყარო** ჩამოუდის.

სოფ. **რაბათიდან** ციხისაკენ მხოლოდ ნახევარ ვერსზე თამარისეული შარაგზა მიდის და მერე იწყება მთის დაწოლილ ფერდობებზე საცალფეხო წვრილი გზა, მაგრამ ეს გზა, მე მგონია, მტრის

თვალასახავევადაა გაბმული, რადგანაც ციხეს ამ გზის მიმართულებით კარი არა აქვს. სინამდვილეში ციხეში შესავალი გზა იწყება მთის კედელს ამოფარებული გვირაბით, რომელიც 1,5 ვერსს მიდის მიწის ქვეშ და მიწის ქვეშიდანვე შედის ციხეში. გალავანი ციხისა 16 საჟენის სიმაღლეზეა. გარედან, სადაც ციხეს ადგება საცალფეხო გზა, ვიღაცას კედელი ერთ ნახევარ საჟენზე გამოუნგრევია და დღეს მნახველი აქედან შედის.

ციხე მრავალი კოშკის მზგავსადაა აშენებული თეთრი, ნათალის ქვით; სისქე კედლისა, გამონგრეულის მიხედვით, ორ ადლს აღემატება. შიგნით გალავანში ციხე დგას, რომლის სიმაღლე ორი – სამი საჟენით აღემატება გალავნისას. გალავნის კედელსა და ციხეს შორის 120 საჟენის ფართობი ეზოა, რომელიც ირგვლივ უვლის ციხეს. ციხის ფართობი 650 საჟენს აღემატება. აქ ეზოში 6 სახლი დგას. ყველა თეთრი, ლამაზად გათლილი ქვებითაა აშენებული. აღმოსავლეთით, სადაც მდინარეები უერთდებიან ერთმანეთს, აგებულია **ხუროთმოძღვრულის ხელოვნებით აშენებული,** ვეება ეკლესიის გუმბათის მსგავსად გამოყვანილი აბანო, რომელშიაც ქვემოდან ზევით ამოდის წითელი თიხის მიღებით წყალი. აბანოში აბაზანები ყველა თეთრი მარმარილოს ერთიან ქვებისაგანაა გამოჭრილი, რომელთა შორის ერთია მთელი. დაუზიანებელი მილები, რომლებიც კედელზეა მიკრული, ჯაჭვივით ჩადის ქვეშ მდინარეში. შიგნით გალავნის კედლებს იატაკიდან კბილებამდე მისდევს რამდენიმე წყებად ქვის კიბეები, რომლებსაც ზევით ორი ადლის სიფართე ფეხზე დასადგამი აქვს შემორტყმული, ალბათ ციხეზე მომდგარ მტრებზე ისრების დასაშენად. კიბეებს აქა – იქ სამი, ოთხი საფეხური აქვს ამოტეხილი. ამის გამო მაღლა ასვლა ძალზე ძნელია.

მე შევძელი ზევით ასვლა და რომ გადავხედე ქვეშ მიდამოს, მთელი ტერიტორია ჩემს წინ ფიანდაზად გადამეშალა. წინა ეზოდან, ციხის ეზოში შესავალი კარი საიდუმლოდაა გაკეთებული. აქვე მშვენიერი ლამაზი სახლებია, მაგრამ ეს სახლები მიწაზე კი არ დგანან, როგორც წინა ეზოში, ისინი გალავნის კედელზე არიან მიდგმული, 4 – 5 საჟენის სიმაღლეზე. ეს, ალბათ, ჯარის მეთაურთა საცხოვრებელი ბინები იყო. ამ სახლებიდან მხოლოდ კედლებიღა დარჩენილა. აქვე ეკლესიის საკურთხეველთან გვირაბია, მაგრამ არ ვიცი, სად მიდის ის. ციხის ეზოში ლამაზი თეთრი ნათალი ქვის ორსართულიანი სახლი დგას, რომელსაც ფიქალის სახურავი გადახდილი აქვს და იქვე მიწაზე ყრია. კედლებიც აქა – იქ დაზიანებული აქვს. **ეტყობა, ეს სახლი მეფის ან სპასალარის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო**.სამხრეთით ციხის კედელზე მიშენებულია სამსართულიანი სახლი, რომლის შიგნითა კედლებში ჩაყოლებულია 40 ოთხკუთხა უჯრები 2/3 არშინის ზომისა; ესენი მგონი სალაროები იყო. როგორც ველისციხეში, ისე აქაც, სადაც არ უნდა წაჰკრათ ფეხი ფხვიერ მიწას, კაცის ძვლები ამოჰყვება ხოლმე.

– ჰაჯი აღა, მითხარი გეთაყვა, ციხეს **მზე – ქალას** სახელი რატომ დაარქვეს და როდის? – შევეკითხე ჩემი გზის მაჩვენებელს **თარხნიშვილს**.

– გადმოცემით ვიცით, ეფენდი, რომ **თამარ ყიზილ ფადიშაჰის** დროს აქ ჩამოსულა თავის საცოლე **მზე – ქალათი** სახელგანთქმული **გმირი ტარიელ – ბეგი,** როდესაც იგი სანადიროდ წასულა, ღამით მოფრენილა ქაჯთა მეფე, მოუტაცნია ეს მზე – ქალა და ამ ციხეში გადაუყვანია და ამიტომ დაურქმევიათ ამ ციხისთავის **მზე – ქალა**.

მივხვდი, რომ იგი **ტარიელ და ნესტან – დარეჯანზე** ლაპარაკობდა და დაინტერესებულმა ვთხოვე, ეამბნა ჩემთვის მთელი ლეგენდა. იგი დამპირდა, შინ მივიდეთ და იქ გიამბობო. ამით გახარებული მყისვე წავყევი სახლში, მაგრამ ჰაჯი აღამ, ნაცვლად თავისი სახლისა, **იბრაჰიმ – ბეგ სულხან – მოურავის** სახლში მიმიყვანა.

აქ გლეხებს ვალად აქვთ მიღებული, სტუმარი თვითონ არ მიიღონ, არამედ უნდა მიიყვანონ სოფლის გავლენიან პირის სახლში და თვითონ ხარჯი მიუტანონ.

ჩემი მისვლა **იბრაჰიმ – ბეგს** ესიამოვნა. იგი ფეხმოკეცილი ტახტზე იჯდა და ხელში კრიალოსანს ათამაშებდა; რომ დამინახა, მყისვე ფეხზე წამოდგა, კრიალოსანი ჯიბეში ჩაიდო და თავის ადათზე, მისალმებით ორივე ხელით ხელი ჩამომართვა, შემდეგ მომკიდა ხელი და ტახტზე დიდი აბრეშუმის მუთაქაზე დამსვა. ხოლო **ჰაჯი – აღა** ჩვენს შორი – ახლო კედელთან დადგა და მოწიწებით ჩვენს ბაასს ყურს უგდებდა. მალე 40 – მდე ბეგები და გლეხები მოვიდნენ: ისინი დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს ამბებით, უნდოდათ ჩემი ვინაობა გაეგოთ. ვიღაცას ხმა გაევრცელებინა, რომ ქართველები შიდა ოსმალეთის საქართველოში გადმოსახლებას აპირებენო. იმ დროს იბრაჰიმ – ბეგი ფეხზე ადგა და გლეხებს განკარგულება მისცა, რომ დაეკლათ ცხვარი და სადილი დაემზადებინათ, მაგრამ მე მეჩქარებოდა, თანაც თქმულება მაინტერესებდა და სადილზე უარი ვუთხარი. მაგრამ როგორც იბრაჰიმ – ბეგმა, ისე სხვებმა, არ გამიშვეს.

– ეფენდი, ამას როგორ კადრულობთ, ჩვენი უფროსი ძმა ჩამობრძანდით საქართველოდან; გაგვახარეთ და თქვენ არ გნებავთ მიიღოთ ჩვენი პურ – მარილი. ეგ ხომ ჩვენი მოკვლაა, ჩვენ ძმობაზე უარისყოფა! არა, არა, ეფენდი, ამას ნუ იკადრებთ, ნუ დაგვიხშობთ სიხარულს, თქვენდამი სიყვარულს. **ქართველი მაჰმადიანები, ოდესღაც განუყრელი ძმები, და დღესაც, ეფენდი, ძმები ვართ თქვენი სისხლითა და ხორცით, გულითა და მისწრაფებით. დარჩით, მიიღეთ ჩვენი პურ – მარილი, გავაახლოთ ძმობა და სიყვარული ერთმანეთში.** ასე მეუბნებოდნენ ბეგები და წინ გზას მიღობავდნენ.

მალე სადილიც შემოიტანეს.

ბეგები ათამდე იყვნენ, ყველანი სუფრას მივუსხედით. გლეხები კი კედელთან დასხდნენ და გვიმზერდნენ.

მზე უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა, რომ ჩვენ სადილს მოვრჩით და რადგანაც უკვე გვიან იყო და წასვლა სხვა სოფელში არ შეიძლებოდა, დავრჩი.

– იბრაგიმ ბეგ, თუ არ შეწუხდებით და იცით თქმულება **მზე – ქალას ციხეზე**, მიამბეთ. – მივმართე მე მას.

– ეფენდი, **არტაანი კი არა, მთელი ყარსის, აღზევანის, ოლთისის, ისპირის, კისკისის, თორთუმის, ბაიბურთის ოლქები, არზრუმის, ტრაპეზუნდის ვილაეტები (გუბერნიები) სულ საქართველოს ეკუთვნოდა ოდესღაც; ყველგან ჩვენი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ყველგან ჩვენი დიდებაა, თამარ ყიზილ ფადიშაჰის აშენებული მეჩეთები და ციხეებია; ყველა სოფლებს დღესაც ქართული სახელები ჰქვიან**.

– მიპასუხა იბრაგიმ ბეგმა და დასძინა დიდის სიამოვნებით: – დაბრძანდით, აი, აქ, ჩემთან და გიამბობთ ყველაფერს.

შემდეგ იბრაგიმ ბეგმა მიმართა გლეხებს.

– აბა, ვახშამი გაამზადეთ!

გლეხები რომ გაისტუმრა, თვითონ იწყო თხრობა.

– როდესაც ჩვენმა სასოებამ **თამარ ყიზილ ფადიშაჰმა** აღაგო ეს ციხე, გაიხარა, მოეწონა დიდად, დაიბარა მთელი დუნიას (მსოფლიოს) ქვრივ – ობლები, დავრდომილები და უხვად გასცა მოწყალება. ის იყო ნადიმად დასხდნენ, რომ ეწვია მას ყრმობიდან გადახვეწილი საყვარელი ბიძაშვილი **ტარიელ ბეგი**,თავისი დანიშნულ **მზე – ქალით**. მზე – ქალა ისეთი ლამაზი იყო, აიხდიდა თუ არა პირბადეს, მზე ბნელდებოდა, ხოლო ტარიელ ბეგი ისეთი მძლავრი იყო, რომ

ლომს ცალი ხელით იჭერდა. ტარიელ ბეგის სიმძლავრე მთელს დუნიაზე გრგვინავდა. მისი შიშით მდევები და ქაჯები ძრწოდნენ; შესახედავადაც ისეთი ლამაზი, ახოვანი და ტანადი იყო, რომ ქალები მისი სიყვარულით იწოდნენ. თამარ ყიზილ ფადიშაჰი ბიძაშვილის ნახვით სიხარულს მიეცა და ნადიმი ნადიმზე გადაიხადა. ხარობდა და ლაღობდა საქართველო ტარიელ – ბეგისა და მზე – ქალას მოსვლით, ხოლო ჩვენი გმირები სიხარულითა და ტარიელ – ბეგის სიყვარულით ცასა სწვდებოდნენ. იწვევდნენ მას სანადიროდ, ისრის ნიშანში სროლასა და ჯირითშიც, მაგრამ ამაოდ, მასთან ყველანი უსუსურნი აღმოჩნდნენ. მას სჭვრეტდა თამარ ყიზილ ფადიშაჰი, განაგებდა სამეფოს და მზე – ქალა სიხარულით უკოცნიდა მას ხელებს და აქებდა მის სიბრძნეს. თუ ხმა დაირხეოდა, საქართველოზე მტერი მოდისო, მზე – ქალა მყისვე დაიბარებდა ტარიელ – ბეგს და ეტყოდა:

– აბა, ჩემო ვეფხვო, ტარიელ – ბეგ. დამიმტკიცე სიყვარული, შეები მტერს და დაუმორჩილე იგი შენს ბიძაშვილსა.

ტარიელ ბეგიც არ ყოყმანობდა, მყისვე აისხამდა იარაღს, გაუძღვებოდა თავის რაზმს, შეებმებოდა მტერს და მალე მათ კისერზე ხმალჩამოკიდებულს მოათრევდა და მეფეს მიჰგვრიდა ხოლმე, თამარ ყიზილ ფადიშაჰს. დააჩოქებდა მის წინაშე შებორკილ მტერს და ბოდიშს მოახდევინებდა.

ამასობაში გავიდა დრო, დამშვიდდა ქვეყანა. საქართველოს მტერი აღარ ჰყავდა. სწყუროდა ტარიელ – ბეგს ომი, სწყუროდა ქართველ გმირებსაც ომი, მაგრამ მტერი არა ვინა ჰყავდა საქართველოს. ამასობაში ტარიელ ბეგი სახლში ვეღარ ჩერდება, მიდის ღამ – ღამობით სანადიროდ, ეომება ლომებს, ვეფხვებს, ხოცავს და დროს ამაში ატარებს. სცხვენოდა ჩვენს გმირებს, რომ ვეღარ უწევენ ტარიელ – ბეგს მეტოქეობას.

ერთხელ თამარ ყიზილ ფადიშაჰს ესტუმრა უცხო სახელმწიფოს მეფე დიდის ამალითა და ძღვენით. თამარ ყიზილ ფადიშაჰი ღირსეულად შეხვდა, გაიმართა ზეიმი და სამ დღეს ილხინეს; მეოთხე დღეს სანადიროდ წავიდნენ, მაგრამ ტარიელ ბეგის ნასროლ ისარს ნადირი არ გადაურჩა. ამ დროს მოისმა მონადირეების ყვირილი და განგაში. მათ დაინახეს მათკენ მომავალი ლომები და ვეფხვი. მათი ყვირილი ციხის გრგვინვას მოგაგონებდათ, პირდაღებული ვეფხვი კი კატასავით მიიპარებოდა. ტარიელ ბეგმა დაინახა რა მხეცები, მყისვე მათკენ გაექანა და შეიქმნა ომი. ტარიელმა სძლია ლომებს და ვეფხვს შეუტია; მაგრამ შეშინებულმა ვეფხვმა მოჰკურცხლა. დაედევნა ტარიელ – ბეგი.

ამასობაში დაღამდა, სამარისებურ სიბნელემ მოიცვა ბუნება. მონადირეები ელვის განათებით იკვლევდნენ გზას; სწუხდნენ ტარიელ – ბეგის გაჭრას ტყეში, ეშინოდათ რაიმე ხიფათი არ შეჰყროდა; უნდოდათ დახმარების აღმოჩენა, მაგრამ გზა – კვალს ვეღარ იკვლევდნენ. ტყეში მეხი გრგვინავდა, ამტვრევდა ხეებს; კვნესოდა ტყე, ზანზარებდა მიდამო. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. დადგა ნიაღვარის ტბა. თამარ ყიზილ ფადიშაჰი და მზე – ქალა ერთად ისხდნენ, ბაასობდნენ, ელოდნენ ტარიელ – ბეგს. მათი გული ნაღველმა მოიცვა.

შუაღამე გადასულიყო. **თამარ ყიზილ ფადიშაჰი და მზე – ქალა** მოსვენებას მიეცნენ. დაღლილ – დაქანცულებს ძილი მოერიათ. **ქაჯთა მეფე გამოძვრა პალაკაციოს ტბის ქვეშ გვირაბიდან.** იგი ჯადოსანი იყო. იცოდა ტარიელ ბეგის ტყეში გაჭრა. მოფრინდა თამარ ყიზილ ფადიშაჰის სასახლეში. აქაც სამარისებური სიჩუმე იყო. სეფე ქალებსაც დასძინებოდათ. აფრინდა ქაჯთა მეფე, შეაღო სარკმელი, შევიდა თამარ ყიზილ ფადიშაჰის სახლში. ქაჯთა მეფემ ფრთხილად მოხვია ხელი მზე – ქალას, აიყვანა, ჩაიხუტა გულში და რადგანაც ადამიანის ტომს წყლის ქვეშ

გვირაბში ცხოვრება არ შეეძლო, ჩაფრინდა ციხეში და მზე – ქალი ფადიშაჰის სასახლის სარეცელზე დააწვინა და თვითონ ჩაჰკეტა შიგნიდან კარები და ზედ დარაჯები დააყენა.

ამ დროს გამოეღვიძა მზე – ქალას და რა ნახა თავისი თავი ქაჯთა მეფესთან, მორთო მოთქმით ტირილი და ძახილი. იგი ტარიელ ბეგს მოუწოდებდა. – ტარიელ ბეგ! ტარიელ ბეგ! მოდი, მიშველე! ქაჯთა მეფემ მომიტაცა და დამიხსენიო, მაგრამ ამაოდ. ციხე ისე მტკიცედ იყო გაკეთებული, რომ გარეთ ადამიანთა ხმა არ გამოდიოდა.

გათენდა. გამოეღვიძა თამარ ყიზილ ფადიშაჰს, გადახედა მზე – ქალას სარეცელს და მზე – ქალი რომ ვერ იხილა, ელდა ეცა. მოუხმო სეფე ქალებს, მაგრამ ამაოდ; არავინ იცოდა მზე – ქალას დაკარგვის ამბავი. მისი ამბავი რომ ვეღარ გაიგო, შეწუხდა ფადიშაჰი; აფრინა მდევარი სოფ. **ჭალაში**, ტბის ქვეშა გვირაბში.იცოდნენ, რომ აქ ცხოვრობდა ქაჯთა მეფე და იგი მოიტაცებდა მზე – ქალას. მაგრამ ამაოდ, მნახველიც კი ვერავინ ნახეს. ამ დროს ტარიელ ბეგიც მოვიდა. მას ვეფხვი მოეკლა და ტყავი თამარ ყიზილ ფადიშაჰისათვის მოჰქონდა. სეფე ქალებმა მოახსენეს **თამარ-ყიზილ ფადიშაჰს**. შემოვიდა ტარიელ ბეგიც, მოიყარა მუხლები თამარ **ყიზილ ფადი შაჰის წინ,** თაყვანი სცა. მიართვა ვეფხვის ტყავი და მოახსენა:

– დიდებულო ფადიშაჰ! მთლად გამარჯვებული იყავი შენი სამწყსოს სიბედნიერით! – მაგრამ ტარიელ ბეგმა ფადიშაჰს რომ თვალებზე ცრემლი შეამჩნია, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. კვლავ თაყვანი სცა ფადიშაჰს და გაიჭრა ველად მზე – ქალას საძებნელად. მას თან გაჰყვა **ასმათი**. ტარიელმა და ასმათმა მაღაროს ქვემოთა დიდ მღვიმეში მოიკალათეს. ტარიელ ბეგი მტირალი დადიოდა ველში სანადიროდ, ჰკლავდა შველს, მოჰქონდა მაღაროში და ასმათი ცვრიან მწვადებს ამზადებდა და ორივე მტირალნი შეექცეოდნენ მწვადს.

თამარ ყიზილ ფადიშაჰზე ცუდი გავლენა იქონია მზე – ქალას მოტაცებამ და ტარიელ ბეგის გაჭრამ ველად.დაიბარა თავისი ვაჟიშვილი და დაუწყო დარიგება: – მე, შვილო, უკვე ოცი წელი ვემსახურე სამწყსოს, დავთრგუნე მტრები, ორგულნი გავაერთგულე. არაბთა, სპარსთა და თურქთა ხარკი დავადევი. გავამდიდრე ქვეყანა, ავაყვავე სწავლა – განათლებით ხალხი. ავაგე ეკლესიები, მოვფინე სარწმუნოება მაჰმადისა (უნდა იყოს ქრისტესი), შევუქმენი ხანა ოქროსი ჩემს ერს. დღეს მძლავრია სამწყსო ჩემი. მე უკვე მოვიქანცე. ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე ერის წინაშე და ახლა მინდა შევუდგე სულზე ზრუნვას, მოვინანიო ნებსითი თუ უნებური ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვები. ამიტომ მე მინდა აღვიკვეცო მონასტერში მონაზნათ და შევავედრო ჩემი საყვარელი სამწყსო ზეცას. აწ მიიღე, შვილო, სამწყსო ესე, იგი წილხვედრია ალახის, გაუძეხ მას, მტკიცედ დაადექ ჩემს მიერ გაკაფულ გზას. ყოველი პირადი შენი ინტერესები უკუ აგდე და შეუდექი სამწყსოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას. ნუ გახდები გულუბრყვილო ვითა ბავშვი, ნუ ენდობი სხვათა ლამაზ სიტყვებს, რადგანაც სიტყვაში მაცდურობაა. ყველა შენი ხელქვეითთა მოქმედება ასწონ – დასწონე, დაუფიქრდი ღრმად, გაეცანი მისი სულის ვითარებას, მის ფარულ აზრებს და თუ ნახო მასში ერთგულება, ნუ განიშორებ. იყავი მხნე და მედგარი, ვითა ლომი; ღვთის მოშიში, მცოდნე კეთილისა, შემბრალებელი ქვრივ – ობლებისა და დავრდომილთა; უხვად გასცემდე მოწყალებას. ნუღარ დაინდობთ მოღალატეთა და ბოროტ მოყმეთ; არ მიეცე ვნებას, რათა ალაჰმა არ წარსწყმინდოს სამწყსო შენი. გახსოვდეს, რომ შენ ხარ პასუხისმგებელი ღვთისა და ხალხის წინაშე ყოველ შენსა და შენი ხელქვეითა მოქმედებაში, გახსოვდეს, რომ ერის ბედი და უბედობა შენს ხელშია. ასე დაარიგა შვილი **თამარ ყიზილ ფადიშაჰმა.** აკურთხა, მოიხადა თავიდან სამეფო გვირგვინი და დაადგა შვილს თავზე. მერე ილოცა, შვილსაც ალოცვინა, გამოესალმა სამწყსოს და წარვიდა მეჩეთათ და შეუდგა ალლახს.

– ალლახ, ალლახ, შეგცოდე და მიიღე სული ჩემიო. – შეევედრა ბოლოს **თამარ ყიზილ ფადიშაჰი**.

ღმერთმა ისმინა მისი ლოცვა, გამოუგზავნა ანგელოსთა თანხლებით მაჰომედი, **აღიყვანა ცოცხლად ზეცაში და ჩვენ კი მის საფლავს აქ ვეძებთ**. ტარიელ ბეგი კი ამ დროს დადიოდა მტირალი და ეძებდა მის **მზე – ქალას**. გაიგეს რა ტარიელ ბეგის ამხანაგებმა – ავთანდილ ბეგმა და ფრიდონ ფადიშაჰმა, გადასწყვიტეს წასულიყვნენ ტარიელ ბეგთან და მომზადებული იყვნენ ქაჯებთან საომრად. ავთანდილ ბეგი ამ დროს, გმირობასთან ერთად, გულთმისანიც იყო. ფრიდონი ფადიშაჰი კი გმირი და მპყრობელი უამრავ ჯართა. მას შეეძლო ქაჯთა წინააღმდეგ დიდძალი ჯარის გამოყვანა. ავთანდილმა იფიქრა, იაზროვნა და დიდი ძებნის შემდეგ მიაგნო, გაიგო ყოველივე მზე – ქალას დაწვრილებითი ამბავი და წამოვიდნენ ტარიელ – ბეგთან.

ამ დროს ტარიელ ბეგი ლომებზე ნადირობდა, რომ სოფ. **სარძევეში** დაინახა შავი მდევი მიდგომია აუზს, რომელშიაც ზევითა აუზიდან რძე ჩამოდიოდა. ტარიელ ბეგი განრისხდა, ვერ მოითმინა უსამართლობა მდევისა ხალხის მიმართ და მყისვე გაეშურა მდევისაკენ საბრძოლველად. მდევი შეკრთა, გაქცევა დააპირა, მაგრამ უკვე გვიან იყო და ისიც საომრად მოემზადა. შეიბნენ ტარიელ ბეგი და მდევი. მათი ლახტის ცემით მთები ზანზარებდნენ. გახარებული გლეხები სოფელ **ჭინჭროფში** აუზთან იდგნენ და ტარიელ ბეგის სიცოცხლეს ღმერთს ავედრებდნენ.

კარგა ხანი ბრძოლის შემდეგ ტარიელ ბეგმა ჩააგო ლახტი ბუდეში და ხელდახელ შეეჭიდა მდევს. დიდხანს იბრძოლეს. ბოლოს ტარიელ ბეგმა გადმოიღო მდევი მხარულზე, დასცა მიწაზე და გული ხანჯლით გაუგმირა. და ის იყო გაეკიდა მის მიერ დაკოდილ ვეფხვს, რომელიც იქვე მტკვრის პირად იდგა და ილოკავდა ჭრილობას, რომ ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი ურიცხვის ჯარით თავს წაადგნენ. ტარიელ ბეგმა იცნო მეგობრები და სიხარულით აღივსო. ავთანდილ ბეგმა გადასცა ტარიელ ბეგს მზე – ქალას მიერ გამოგზავნილი წერილი, ტარიელ ბეგს გაუხარდა. გახსნა წერილი და რომ წაიკითხა, მეტის სიხარულისაგან გული შეუღონდა.რომ მოასულიერეს, ტარიელ ბეგმა უჩვენა მეგობრებს მოკლული მდევი და სოფელი მდევის საჭურჭლესაკენ წაიყვანა.

გახსნეს ზანდუკი, ამოალაგეს უამრავი ოქრო, ვერცხლი, თვალ – მარგალიტი და ალმასის ხმლები, ჩაიცვეს ფოლადის აბჯრები და გაუდგნენ მზე – ქალას ციხისაკენ საბრძოლველად. შევიდნენ გვირაბში და რომ ციხეში შესავალი კარი ვეღარ ნახეს, ტარიელ ბეგმა ჰკრა წიხლი ციხის კედელს და შეამტვრია. შეიქმნა საშინელი ომი. ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი, ვით კაკაბთა გუნდს შევარდენი, მუსრს ავლებდა ქაჯთა ჯარს. ამ დროს ტარიელ ბეგი ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებდა მტერთან, ერთი ქაჯის შეტყორცნით ასსა ხოცავდა. ჯარი დაფრთხა, ვეღარ გაუძლო ტარიელ ბეგის მკლავთა ღონეს და აცნობეს ქაჯთა მეფეს, რომ მოშველებოდა ჯარით. ქაჯთა მეფე შეშინდა, მთელი ჯარი შეუსია ტარიელ ბეგს, მაგრამ ამაოდ. ქაჯთა ჯარი ამოსწყვიტეს და შეიჭრენ ციხეში. აქაც გაიმართა ომი. ქაჯთა ჯარი აქაც დამარცხდა და მყისვე ჩაიკეტა კარი ციხის მთავარ სიმაგრეში. ტარიელ ბეგმა აქაც ჰკრა წიხლი ციხის კედელს და შეანგრია, შევიდა და ქაჯებს მუსრი გაავლო. შეშინებული ქაჯები ციხის მესამე სიმაგრეში მოექცნენ.

დიდი სისხლი დაიღვარა ქაჯთა; სადაც მივიდოდა ტარიელ ბეგი, იქ მყისვე დახოცილ ქაჯთა მთები დგებოდა. ასე იბრძოდნენ ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰიც.

გაიგო რა მზე – ქალამ ტარიელისა, ავთანდილისა, ფრიდონის მოსვლა,გამარჯვება ქაჯებზე, მოესმა მათი გმირული ყიჟინის ხმაც და შეშინებული ქაჯთა განგაში. დაიწყო გმირების გასამხნევებლად სიმღერა. მოესმა რა ტარიელ ბეგს მზე – ქალა – ნესტან – დარეჯანის სირინოზივით

გულის მომაჯადოებელი სიმღერის ხმა, ძალა ერთი ათასად გაუორკეცდა. ვეღარ გაუძლო ტარიელის გონებამ მზე – ქალას ხმის სიხარულს. მიანება აქ ციხეში ომს თავი, შემოუარა ციხის კედელს, ჰკრა წიხლი და როს შეამტვრია, გაექანა მზე – ქალასაკენ.

ამ დროს შიშით შეძრწუნებული ქაჯთა მეფე მივარდა მზექალას და ის იყო ყელი უნდა გამოეჭრა მზე – ქალისათვის, მაგრამ მოსწრო ტარიელ – ბეგმა. შეშინებული ქაჯთა მეფე აფრინდა ას მთას იქით გადაიკარგა. მზე – ქალა კი წამოდგა ფეხზე, გამოექანა ტარიელ ბეგისაკენ და სრულის სიყვარულის გრძნობით ჩაეკრა გულში ტარიელ ბეგს.

ამ დროს ავთანდილ – ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი ხოცავდნენ მტერთა ჯარებს და ხმალთა ქნევით დაეძებდნენ ტარიელ ბეგს და რომ დაინახეს ორი მიჯნური ერთმანეთს გადახვეული, მიულოცეს მათ გამარჯვება.

მოსპეს ქაჯთა ჯარი, გაწმინდეს არე – მარე მათი სიბილწისაგან; დატვირთეს ჯორ – აქლემები ქაჯთა უთვალავ სიმდიდრით და თავიანთ გმირი ჯარის თანხლებით წამოვიდნენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰთან**, რომ მიელოცნათ, გაეხარებინათ მისი გული; მაგრამ რა გაიგეს თამარ ყიზილ ფადიშაჰი უკვე აღარ არის, **ალლახმა იგი მისი თხოვნით აიყვანა ცოცხალი ცაში**, სცნეს თავიანთი თავი დამნაშავეთ. დაიწყეს ტირილი და გლოვა, იხოკავდნენ ღაწვებს. გამოეთხოვნენ ავთანდილ ბეგსა და ფრიდონ ფადიშაჰს, რომ მარტონი დარჩენილიყვნენ ტარიელ ბეგი და მზე – ქალა; გადაკოცნეს ძვირფასი მეგობრები და გლოვად დასხდნენ. იგლოვეს, იგლოვეს და ბოლოს, როგორც დამნაშავენი ყიზილ ფადიშაჰის ამ წუთისოფელს გამოსალმებისა, შეჰფიცეს ერთმანეთს და – ძმობა და დასდეს პირობა, რომ მთელ მათს სიცოცხლეში, ჩამოსულიყვნენ ყოველწლიურად ერთხელ და ელოცნათ, ეგლოვათ **თამარყიზილ ფადიშაჰი**. ეკოცნათ მისი ნაკვალევი მიწა და დილას, გათენების ჟამს, ადამიანთა თვალთაგან დაუნახველები წასულიყვნენ.

ამიტომ ალლახმა ისინი უკვდავყო და მას მერმე ყოველ წელს ღამე, 30 აპრილს, მოდიან, ტირიან, ლოცულობენ და პირველ მაისს, რიჟრაჟის დროს, ტარიელ ბეგი მაღალის ხმით მტირალი შესძახებს **თამარყიზილ ფადი შაჰს** ცოდვების პატიებას და მის ნაკვალევზე პირდამხობილი ჰკოცნის მიწას.როდესაც ტარიელ ბეგი ადგება, **მზე – ქალა დაიჩოქებს**, აიხდის პირბადეს, რომ ემთხვიოს თამარ ყიზილ ფადი შაჰის ნაკვალევ მიწას. ამ დროს ერთბაშად დაირღვევა სიბნელის ზეწარი და ვით დღე, არემარე განათდება.ისინიც მყისვე უჩინარ იქნებიან. და აი, ამის შემდეგ ამ ჩვენს რაბათის ციხეს დაარქვა ხალხმა **მზე – ქალას** ციხე.

ასე დაასრულა სიტყვა იბრაგიმ ბეგმა.

დილას გამოვემშვიდობე იბრაჰიმ ბეგს და დაბა **ზურზუნასაკენ** გავეშურე. დაბა ზურზუნა ჩალდირის საუფროსო ნაწილის ქალაქია და მდებარეობს პალაკაციოს ტბის აქეთ ორი ვერსის დაშორებით, **თამარისეულ დიდ გზატკეცილზე**, რომელიც ერზრუმიდან მოდის ახალქალაქ-ბორჯომ-ტფილისში. ეს დაბა, როგორც ქ. არტაანი, კულტურულადაა აშენებული **ქართველ მაჰმადიანების მიერ.** მაგრამ 1914 წლის ბოლო თვეებში, იმპერიალისტური ომის გამოცხადების დროს, როგორც მიამბეს **ქართველმა მაჰმადიანებმა**: მეფის ოფიცრები დარევიათ უდანაშაულო და მშვიდობიან მცხოვრებთ, ზოგი დაუხოცნიათ, ჩამოურთმევიათ სახლები მთელის ქონებით და ზოგში თვითონ ჩასახლებულან. მას შემდეგ არც **ერთი ქართველი მაჰმადიანი დაბა ზურზუნაში აღარ ცხოვრობს**.

დაბა ზურზუნადან გადავედი სოფ. **ყორე – ველში**. 1878 წლის შემდეგ აქ **ყარა – ფაფახები** ცხოვრობდენ, წინათ კი **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ. მაგრამ ხსენებულ წლის **ომის დროს**

რუსის მეფის სარდლობას ზოგი დაუხოცია და დანარჩენები, როგორც სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები, ციმბირში გადაუსახლებიათ.

აქ სოფლის გარეთ, ერთი საშუალო ზომის ეკლესიის კედლები – ღა დგას და ისიც პერანგის ქვებისაგან გაცლილი.

აქედან პალაკაციოს ტბის ახლოს **სოფ. ფრუთია.** ეს ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ნისლიან წვიმას**. მართლაც, აქ ხშირად სცოდნია ნისლიანი წვიმა, როდესაც მოიღრუბლება და წვიმას დაიწყებს, ნისლი ისე დაბლა ჩამოწვება, რომ ერთი საჟენის იქით კაცი კაცს ვეღარ ხედავს.

სოფ. ფრუთში 29 კომლი ანუ 400 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. აქედან სოფ. **ურთაში** ანუ **ორ მთაში** გადავედი. ეს სოფელი, მართლაც, ორ მთას შუა დგას. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ეკლესიის ნანგრევი.

შემდეგ სოფ. **მერემდისია**. **მერემდის** ქართული სიტყვაა. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის შუა ეკლესიის ნანგრევია. აქედან პალაკაციოს ტბის ნაპირით, თამარისეული გზატკეცილით, რომელიც გადადის შავშეთ – ერუშეთში, მივედი სოფ. **ფიქრაშენში**.

ფიქრაშენიც ქართული სიტყვაა. აქ მარტო 8 კომლი ანუ 70 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. დანარჩენი **ყარაფაფახებია**. ეს სოფელი დევს 60 – 80 საჟენის მოშორებით ფიქრაშენიდან, დაშორებით ტბაზე. მას შუაზე სჭრის **თამარისეული შარაგზა**. აქ, მცხეთის დედათა მონასტერზე ცოტათი უფრო დიდი, **ეკლესიაა. ეკლესია ძვირფასის ქვებისაგან ლამაზი ხუროთმოძღვრული ხელოვნებით არის ნაგები. მას ლამაზი ჩუქურთმები ამშვენებს. ეს ეკლესია თავისი ლამაზი და დიდებული გუმბათითურთ მთელია.** დაზიანებული აქვს მხოლოდ კედლები. როგორც მითხრეს, ეს ეკლესია სრულიად ხელუხლებელი და მთელი ყოფილა ამ 35-40 წლის წინეთ; მაგრამ ფიქრაშენის ვიღაც მდიდარ აღას, სოფლის გავლენიან ყარაფაფახს, დაუსაკუთრებია ეს ეკლესია; გამოუმტვრევია კედელი გზატკეცილის პირზე ეკლესიის კარიდან ორ ადგილზე.შიგ ეკლესიაში ორსართულიანი 6 ოთახიანი დიდი სახლი ჩაუდგამს თავისი სამზარეულოთი, ბოსლით და ფეხისადგილით.

1914 წელს, იმპერიალისტურ ომამდე, თივის ზვინს ცეცხლი გაჩენია. მართალია, ცეცხლი ჩაუქრიათ, მაგრამ **ალს ეკლესიის მხატვრობა გაუშავებია** ზოგან. სადაც მხატვრობას ცეცხლის ალი მოსდებია, საღებავი აბურთულა და სურათებს თავისი სახე დაუკარგავს. ეკლესია, ეტყობა, რომ შვიდ საკურთხევლიანი ყოფილა; მაგრამ აღას ეკლესიისათვის რომ მიეცა დიდი დარბაზის სახე, საკურთხეველთან სამი – ოთხი საჟენის სიმაღლე კედლები გამოუნგრევია და გაუერთიანებია, ხოლო ზევითა კედლის თავები ქვეშ ჩამოკიდებულივითაა დარჩენილი. ტრაპეზის მარმარილოს ქვები იქვე გდია, ზოგი ნაჯახით და რკინებით დაჩლუნგული და ზოგჯერ ჩამოტეხილები (იხ. ჩემი მოხსენება 1917 წ. გაზეთ **„საქართველო“**-ს 24,25, 20, 27 და 28 იანვრის ნომრებში **„არტაანის ქართველი მაჰმადიანები“**-ს სათაურით **კ. ოდიშარია.**

კლესიის ძვირფასი მარმარილოს კარნიზები, **უძვირფასესის ჩუქურთმით შემკული,** ჩამოუგდიათ და იქვე ყრია, ზოგი დამტვრეული და ზოგიც დატეხილ – დამსხვრეული. ეკლესიის წინა კარის ზემოთ **წარწერიანი მარმარილოს დიდი ქვა** ჩამოუგდიათ და ქვეშ ორად გატეხილი იქვე გდია, კაცისა და პირუტყვის სიბინძურეში ამოსვრილი. თვით წარწერის ასოები ისეა დაჩეხილი და ამომტვრეული, რომ ფორმა ასოებისა ეტყობა, მაგრამ ამოკითხვა ვერ შევძელი. **წარწერიანი ერთი მოზრდილი მარმარილოს ქვა** აღას შუა ცეცხლის ბუკად დაუდგამს და ცეცხლის სიმხურვალეს გაუშავებია და დაუჟანგია. **მესამე წარწერიანი მარმარილოს** ქვა ბუხარში მოუყოლებია და წარწერები კირით ამოუვსია და ამოკითხვა არ შეიძლება. ეკლესიას 3 – 4 – 5 საჟენის ზევით **წარწე-**

რები აქვს, მაგრამ აღამ კიბე არ მათხოვა და უკიბოდ ვეღარ ამოვიკითხე. **ეს ეკლესია ბანას, ოშკის, ხახულის და მცხეთის ხელოვნების ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო მისი მხატვრობა ამ ეკლესიებზე უფრო ლამაზია, მკაფიოდ გამომზირალი და ცოცხალი**.

მარჯვნივ, ტბის გასწვრივ, წასულმა, შუა გზაზე, სოფ. **ფიქრაშენ – გურაშენს** შუა, ტბის პირად ქვის კედელზე, ტბიდან ამომავალი გვირაბის თავი შევნიშნე, მაგრამ არ ვიცი, საიდან მოდის და ან ვის, რისთვის ჩაუყვანია ამ ტბაში ეს გვირაბი.

გურაშენი ქართული სიტყვაა. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ორი ეკლესიის ნანგრევი. აქედან 6 ვერსის იქით, ყარსის მიმართულებით, მე – 7 ვერსზე სოფ. **ტაშბაშია**, რაც ნიშნავს **ქვის თავს**. ეს სახელწოდება ზედმიწევნით შეჰფერის სოფელს. მართლაც, სოფელი ქვის თავზე დგას და ზევიდან ქვეშ ტბას დაჰყურებს. ეს ტბა თანდათან ვიწროვდება და 6 ვერსის შემდეგ მისი სიგანე 18,5 ვერსისა 30 – 40 საჟენზე დგება. აქ, გადმოცემით, **თამარ მეფეს** ტბაზე დიდებული ხიდი გაუდგამს, ხიდი ცოტათი კუზიან ხიდს წააგავს. ალბათ,ხანდაზმულობის გამო კუზი ჩატეხია ერთი საჟენის სიგრძეზე.

სოფ. **ტაშბაშიდან** სოფ. **ტაშქოფრში** მივედი. **ტაშქოფრი** ქართულად ნიშნავს **ქვის ხიდს**. ალბათ, ამ სოფელს ქვის ხიდი ერქვა. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის უკან პატარა ეკლესიის ნამტვრევია. იქვე სხვა ნანგრევებიც არის, მაგრამ ვერავინ მითხრა, რის ნანგრევებია.

აქ პალაკაციოს ტბა თავდება. მისი ყელის სიფართე 2,5 საჟენია. აქ გზაზე ვიღაცას, ტბის ხიდის მაგიერ, სამი საჟენის სიგრძე და 1 ადლის სიფართე ქვა ხიდად დაუდგამს. ქვას ზედ **წარწერა აქვს**. მაგრამ ვერ ამოვიკითხე. მისი ასოები უფრო დაწყობილ **ლურსმანსა** ჰგავს.ჩემის ფიქრით, **ეს წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მე – 8 ან მე – 9 საუკუნეს ქრისტეს წინ**.

აქედან მაღლა გორაზე გზა გადადის სოფ. **ქამარვანისაკენ**. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქ სოფლის გარეთ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან გზას აღმოსავლეთის მხრით მოვექეცი და რამდენიმე ვერსის შემდეგ სოფ. **ირიშლში** მივედი. **ირიშლი** ქართული სიტყვაა. ეს დიდი სოფელი ზედ ტბის პირზეა გაშლილი და აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის გასავალთან ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან ტბის გასწვრივ გავყევი და მე – 7 ვერსზე სოფ. **ყიზილვერში** მოვედი. ეს სახელი თათრულია და ქართულად ნიშნავს **„ოქრო მომეც“.** ამბობენ, ამ ტბაში მბრწყინავი მსხვილი ქვიშა არის და ღელვის დროს წყალი ხშირად ნაპირზე გადმოყრის ხოლმეო. ეს ქვიშა ჩვეულებრივ ქვიშაზე უფრო მძიმეა წონით. შეიძლება ოქროს ქვიშა იყოს. აქ მეთევზეები ნავებით შედიან და კალმახებს იჭერენ. აქ დიდი სიგრძის კალმახები გვხვდება ხოლმე. **აქაური კალმახი საუკეთესო ხარისხის კალმახად ითვლება ამიერკავკასიაში**. აქ მოდიან ვაჭრები **ყარსიდან, ბაქოდან, ტფილისიდან,** რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და ვაგონებით ყიდულობენ. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან, 15 ვერსის მანძილზე გავიარე დაბა **ზურზუნის** მიმართულებით. გზა აქ ხან ტბის პირად მიდის და ხან მთის მწვერვალით.მივედი სოფ. **ჭალაში**. ეს სოფელი ზედ ტბის პირად, ნახევარ ვერსის ფართობზეა გაშლილი და ზედ მთა დაჰყურებს. სოფელი, შედარებით სხვა სოფლებთან, დიდია და ლამაზი. სოფლის პირზე, ტბის პირად ერთი დიდი და უაღრესად **მაღალი ხუროთმოძღვრული ხელოვნების უგუმბათო ეკლესიაა, რომლის სილამაზე და სუფთად გათლილ თეთრ ქვაზე ფაქიზად ამოჭრილი ჩუქურთმები აოცებს მნახველს.** მისი დიდრონი, მარმარილოს მსგავსი, თეთრი და სუფთად გაშალაშინებული ქვის ფიცრები, მშვენიერი გრეხილები და სხვა უმაღლესი ხელოვნების ნიმუშები მნიშვნელოვან ძეგლად ხდის ამ ნაგებობას. ჭალის ეკლე-

სიას შესავალ კარს ზევით, კედელში, ჩაყოლებული აქვს 1,2X1 კვ. ადლის სიდიდის წმინდა **მარმარილოს ქვა ხუცურის წარწერით**. ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკლესია მეჩეთად გამოუყენებიათ. ეკლესიის სახურავი დაუზიანებელია. მუხის უძველესი კარებიც, თავისი ურდულებითა და ძველებური გრძელი გასაღებით, მშვენივრად და დაუზიანებლად არის შენახული.

ეკლესიიდან გზა სულ 150 საჟენითაა დაშორებული. ტბის პირი ხუთ საჟენამდე ძალიან თხელია და შიგნით თეთრი და მოყვითალო კენჭები ისე მოჩანს, როგორც სარკეში. აქ პატარ – პატარა **კალმახები მზის სხივებზე ციბრუტივით თამაშობენ**. 5 საჟენის შემდეგ ტბა თანდათან ღრმავდება და თეთრი ფერის მაგიერ რუხ ფერს იღებს. ნახევარი ვერსის იქით ტბაში კუნძულია, დაახლოვებით 150 კვ. საჟენის ფართობისა, და ზედ კოშკის ნანგრევია. კუნძულის სიმაღლე ტბაზე ერთის მტკაველით მაღლაა და მიუხედავად იმისა, რომ ტბაში ქარის დროს შავი ზღვისებური ღელვა იცის და ნაპირზე ათ საჟენზე ისვრის ხოლმე ზვირთებს, კუნძულზე წყალი არ შედის.

შუა დღის 12 საათი იყო, ძლიერი ქარი ჰქროდა. ნახევრად მოღრუბლული ცა ერთბაშად დაბნელდა, გაიელვა, დასჭექა და წვიმამ ცრა დაიწყო.აბობოქრებულმა ტბის ტალღებმა იქვე ნაპირზე მიბმული ნავი ნაფოტივით აათამაშა. ღელვა თანდათან მატულობდა და ნავებიც აქეთ – იქეთ ეხეთქებოდნენ.

– მამედ – აღა, მიმიყვანე კუნძულზე, – მივმართე ადგილობრივ მცხოვრებ მამედ – აღას, რომელიც გაცნობისთანავე დამიმეგობრდა. მე მას ჯილდოს დავპირდი.

– მეშინია ტალღებმა ნავი არ გადამიბრუნოს, მით უმეტეს ტბა კუნძულთან 8 – 10 საჟენის სიღრმეა, – მითხრა მან, მაგრამ მე არ ვეშვებოდი.

მამედ აღამ ხათრი არ გამიტეხა, დაუძახა ორ ამხანაგს, – ნავი უნდა დავამძიმოთ და მოდითო. ჩვენც კუნძულისაკენ გავსწიეთ. მათ უკვირდათ ჩემი გამბედაობა. სჯეროდათ, რომ ტბის ძირზე ქაჯები ცხოვრობენ და თანაც ხომ ქაჯები ასეთ ამინდში ამოდიან ხოლმე ზევით, ნადირობენ ქალებზე და ბავშვებზე.

ის იყო შევცურდით ტბაში, რომ სახლებიდან სახეზე ჩადრაფარებული ქალები გამოვიდნენ და მე სიბრალულით დამიწყეს ცქერა. ეტყობოდათ, რომ ვენანებოდით. ერთმა ქალმა თავი ვეღარ შეიკავა და ხელების ქნევით მანიშნა, რომ დავბრუნებულიყავი. მე მას მადლობის ნიშნად ქუდი მოვუხადე. სამივე მენავეები ნიჩბებს ღონივრად სცემდნენ, ხან იქეთ და ხან აქეთ აბრუნებდნენ, რომ მოზავებული ტალღებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ნავი მაინც ნაფოტივით დახტოდა; ტალღა ხან მაღლა აგვაგდებდა, ხან თითქო ქვესკნელისაკენ დაბლა ჩაგვიშვებდა.

ქალები ნაპირს მოუახლოვდნენ და ჩვენს დანახვაზე ტიროდნენ, ვენანებოდით, ხელებს გვიქნევდნენ, რომ მოვბრუნებულიყავით უკან. მენავეები შეშინდნენ, ისინი ნახევარ საათს ებრძოდნენ ტალღებს და ბოლოს, როგორც იყო, ნავი კუნძულს მიადგა. მამედ აღა გადახტა კუნძულზე და მყისვე ნავი ბაწრით მიაბა; ჩვენც გადავხტით. ამ დროს წვიმამ კოკისპირულად დაუშინა. მე დავათვალიერე კუნძულის კოშკი. მისი წინა კედლის ნანგრევი – ღა დგას მხოლოდ. მიუხედავად ავდრისა, და იმისა, რომ გვირაბში შესავალი კარები ნამტვრევებით იყო სავსე, გვირაბში ჩავედი. მამედ აღამ ხელი მომკიდა და არ მიშვებდა. მაგრამ მე არ დავუჯერე და ჩავდიოდი. მემედ ალიმ ამხანაგებს უთხრა:

– ალბათ ეს კაცი ადამიანის სახით გამოცხადებული ქაჯია, დეე, იგი წავიდეს, ჩვენ კი ჩავსხდეთ ნავში და სახლისაკენ გავსწიოთო. ამხანაგები დაეთანხმნენ. მათ ეგონათ მე თათრული არ ვიცოდი. შემეშინდა არ დამტოვონ – მეთქი და მივუბრუნდი მენავეებს:

– თუ ღმერთი გწამთ, მეგობრებო, ნუღარ წახვალთ, დამიცადეთ, სანამ დაუბრუნდებოდე უკან – მეთქი და გავსწიე გვირაბში. ამ დროს მომესმა მემედ ალის ხმა:

– არა, არა, ძმებო, ნუ დავტოვებთ ჩვენს სტუმარს. მაშ, მოვუცადოთ, ძმებო!

მე გამეხარდა და უფრო თამამად დავიწყე ჩასვლა. გვირაბში ჩამავალ ქვის კიბის საფეხურები თეთრი, თლილი ქვისაა, ქვეშ თანდათან განიერდება. სანთელი ხშირად ჩაქრებოდა ხოლმე, გზა თანდათან მიბნელდებოდა. 52 საფეხურის შემდეგ იატაკზე ფეხი დავადგი. აქ ზევიდან ჩამონაყარი ქვები ეყარა, სინათლე აღარ იყო, მაგრამ უკან რომ მოვიხედე, ყველაფერი ბუნდოვნად ჩანდა. კიბის საფეხურებს გარკვეულად ვხედავდი. ფეხებს წინ ფრთხილად ვდგამდი. მეშინოდა, სადმე უფსკრული არ ყოფილიყო და არ გადავარდნილიყავი. დარბაზი ძალზე სრული იყო. ასანთს რომ გაკვრავდი, ცოტა ხანს ალს გააჩენდა და მემრე ქრებოდა. ეტყობოდა რომ ჰაერი მძიმე იყო.

დიდხანს ვიხეტიალე. დასავლეთისაკენ გვირაბში სიოს რხევა შევნიშნე და მეც იქით გავყევი გზას. დავრწმუნდი, რომ ქვეშ ჩასავალია. მალე ჩასავალ კიბესაც მივაგენი. აქ კიბის საფეხურებზე ქვები მტვრად ქცეულიყვნენ. მე, ოთხზე დამდგარი, ფეხით გზას ვიკვლევდი. თუ ვინიცობაა, კიბის საფეხურები ჩამტვრეული იქნებოდა, თავს შევიკავებდი, რომ არ გადავარდნილიყავი. აქ სანთელს აღარ ეკიდებოდა, ჰაერიც ძალზე მძიმე იყო. გულმა ცემას მოუხშირა, მაგრამ მე მაინც ქვევით მივემართებოდი. ძალიან მინდოდა, დამევლო ქვედა დარბაზიც. 92 საფეხურის შემდეგ იატაკზე ფეხი დავადგი, მაგრამ ფეხზე მაინც არ დავმდგარვარ, მეშინოდა, სადმე იატაკი ჩამტვრეული არ ყოფილიყო. ოთხზე დამდგარი, კედლების გაყოლებით, დავიარე დარბაზი.

კარგა ხანს ვიარე და მივადექი დასავლეთისაკენ ჩასავალ კიბეს, მაგრამ გულმა შემაშინა და ვეღარ ჩავედი. დავრწმუნდი რომ აქ ჩასავარდნი არსად იყო და ფეხზე დამდგარი, როგორც თვალხუჭიობის მოთამაშე ბავშვი, ორივე ხელებ წინგაშვერილი, მივადგამდი ფეხებს. სამასი ნაბიჯის შემდეგ დავეჯახე სვეტებს; შევჩერდი, დავუწყე ხელებით სინჯვა. სვეტი სამი იყო, სამივე მსხვილი. თითოეულ სვეტს სამი კაცი ძლივსღა შემოარტყამდა ხელებს. ისინი სუფთა თლილი ქვებისა იყო. მინდოდა სიმაღლე გამეგო, მაგრამ ხელი ვეღარ ვუწვდინე.

აქედან აღმოსავლეთისკენ რომ გავიხედე, სინათლის ვიწრო სხივები თვალებში გამეყარა. ალბათ, ზევიდან კიბეებზე ჩამომავალი სინათლის სხივი იყო და მეც ხელებ გაშვერით მივყევი იმას. კიდევ სამას ცხრა ნაბიჯი და კიბის საფეხურს ფეხი დავადგი. აქ კი გაბედვით ამოვედი ზევით. დარბაზს სინათლე ანათებდა. კიბეს მოახლოვებული ვარჩევდი ფერებსა და საგნებს.

დარბაზი მაღალია. მისი ჭერი დიდს ვეებერთელა გუმბათს წარმოადგენს. კედელი სუფთა, ნათალი ქვებით იყო ნაშენი, მისი ფართობი ქვეითურზე უფრო პატარა იყო. ქვეშ კიბის საფეხურის ქვები სამი საჟენის სიგრძე იყო. ზევით თანდათან ვიწროვდებოდა, სიგანე ნახევარი ადლისა. ზევით რომ მივდიოდი, სინათლე თვალებსა მჭრიდა. ზევით რომ ამოვედი, ორი – სამი წუთი თვალები ვეღარ გავახილე.

მენავეებმა რომ დამინახეს, გაუხარდათ. ჩამსვეს ნავში და წამოვედით. წვიმა მაგრად გვირტყამდა. ტალღებიც მოსვენებას აღარ გვაძლევდა, ნავს ნაფოტივით ისროდა ხან წინ, ხან უკან და ხანაც გვერდზე. შიშმა შემიპყრო; მე თვალები ამიჭრელდა, თავბრუ დამესხა და ის იყო უნდა გადავვარდნილიყავი, რომ მამედ ალიმ ნიჩაბს ხელი გაუშვა და მე მომეშველა; დანარჩენი ორი მენავე ისე მძლავრად იქნევდნენ ნიჩბებს, რომ სახეზე ოფლი ასკდებოდათ. ნახევარ საათზე მეტი ვიხეტიალეთ ტბაში. ნაპირზე მდგარნი გვიძახოდნენ და გვამხნევებდნენ. რამდენსაც წინ მივდიოდით, იმაზე უფრო მეტ მანძილს ტალღა უკან გვიტაცებდა. ჰა, გვეშველა, მივადექით ნაპირს და ის იყო უკან დაბრუნებულ ტალღას უნდა მოვეტაცეთ, რომ ერთმა მენავემ ნიჩაბს ხელი

გაუშვა და ხალხს ბაწარი გადაუგდო. ხალხმა ტალღას მოასწრო, სტაცა ბაწარს ხელი და ნავი ხმელეთისკენ მიიზიდა. ჩამოვხტით ნავიდან. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. ჩვენ თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავით და ნაცვლად იმისა, რომ სახლში წავეყვანეთ, ყველა თითოეულად მოდიოდა ჩემთან, მართმევდა ხელს და მილოცავდა მშვიდობით გადარჩენას. წარმოიდგინეთ, წინააღმდეგ მათი ჩვეულებისა, ქალებიც კი მოდიოდნენ ჩემთან და ხელის ჩამორთმევით მილოცავდნენ გადარჩენას.

ბოლოს ხალხმა აღას სახლში წამიყვანა; დაანთეს ბუხარში ცეცხლი და ბუხრის წინ დიდ მუთაქაზე დამსვეს. აღა გვერდით მომიჯდა, გლეხები, რიცხვით ასამდე, კედლებს მიუსხდნენ და დრო გამოშვებით გვირაბში ვითომდა გამეფებულ ქაჯების შესახებ ბაასობდნენ. უკვე საათის ხუთი იყო, მე ტანისამოსი შემაშრა, ფეხზე წამოვდექი, რომ წამოვსულიყავი. მაგრამ აღამ ხელი მომკიდა და აღარ გამიშვა.

– ეფენდი, ეგ ჩემი ოჯახის გალანძღვაა. უკვე გვიანია, სოფელი აქედან მე – 18 ვერსზეა, გზაც მთა – ღრუბლიანი გექნებათ სავალი. ღამე იქ წასვლას ვეღარ შესძლებ. ხვალ წვიმაც გადაიღებს და წაბრძანდებით.

მე დავთანხმდი და დავჯექი. ამ დროს შუა კარი გაიღო და აღას სამმა შვილმა სინებზე დაწყობილი თეფშებით ცხვრის ხორცი, ფლავი, ჯოხებზე შემწვარი დიდრონი კალმახები, ქათმის ხორცი, კარაქი, თაფლი და სხვა გემრიელი საჭმელები შემოიტანეს; ბოლოს ქერის ლავაში მოიტანეს. ბუხრის წინ დაბალ ტაბაკზე სუფრა გაშალეს. დაგვაბანინეს ხელები და ოცი კაცის ულუფა მარტო მე და აღას დაგვიდგეს. გლეხები ამ დროს თავიანთ ჭირ – ვარამზე გვემუსაიფებოდნენ.

უკვე 8 საათი იყო, რომ გარეთ ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. აღას შვილმა მყისვე კარი გააღო და გავიდა. მოგვესმა ორი კაცის ხმა. მალე მეორე შვილიც გავიდა, მაგრამ იგი გაჩქარებით შემოვიდა და მამას მორიდებით მოახსენა:

– მამა, **თემურ – როსტომ ბეგი ხიმშიაშვილი** მობრძანდაო. აღამ ჩემთან ბოდიში მოიხადა, მყისვე წამოდგა და აჩქარებულის ნაბიჯით მიეგება ბეგს. ცხენს აღვირზე ხელი მოჰკიდა, შვილმა უზანგს ჩამოსწია და აღა და ბეგი, ორივე, ხელი ხელზე ჩაკიდებული სახლში შემოვიდნენ.

სტუმარი მოხუცი, ბრგე ტანის კაცი იყო და დიდ ულვაშებიანი, ლამაზი სახისა. მე ფეხზე წამოვდექი. აღამ სტუმარი შორიდან გამაცნო; ბეგი ფეხაჩქარებით ჩემსკენ წამოვიდა, მომიახლოვდა, მარჯვენა ხელი გულზე დაიდო,მერე შუბლზე და ბოლოს ბაგეებზე დადებით ჰაერში კოცნა გამომიგზავნა; დამიკრა თავი და ხელი ჩამომართვა. ჩემი საჯდომი მუთაქა შევთავაზე, იგი თითქო შეწუხდაო, ბოდიში მოიხადა და ხელის მოკიდებით მთხოვა დაჯდომა. ამ დროს აღამ მესამე მუთაქა გამოიტანა და ჩემს გვერდით დასვა ბეგი. ბეგმა ჩემს მუხლზე ხელის დადებით დაიწყო მუსაიფი. იგი, ეტყობოდა, რომ ჩემის ნახვით გახარებული იყო. მოყვა ქართველებზე ბაასს. იგი აღფრთოვანებით მებაასებოდა ქართველებზე, აქებდა და უმადლოდა მათ. ქართველები არამთუ ჩვენი ძმები, ჩვენი მფარველი ანგელოზებიაო. ქართველები რომ არ მოგვშველებოდნენ, ამ ომის დროს არც ერთი **ქართველი მაჰმადიანი ცოცხალი არ დავრჩებოდითო.** მერე გამომკითხა მიზეზი ჩემი ჩამოსვლისა და რომ ვუთხარი ისტორიული მასალების აღსაწერად ჩამოვედი – მეთქი, თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა. **თეიმურაზ – როსტომ ბეგმა** ბევრი რამ მიამბო ჩვენი წარსულიდან. ამ ნაამბობს ცალკე წიგნში მოვუთხრობ მკითხველს.

– თეიმურაზ – როსტომ ბეგ! – ბოლოს მივმართე მე.

– თქვენ ალბათ გეცოდინებათ თქმულება ამ ტბის და კოშკის შესახებ?

– დიახ, ეფენდი, ვიცი, – მიპასუხა მან და მომიყვა, რაც იცოდა. ნაამბობში განმეორებული იყო ზევით მოთხრობილი ლეგენდა, ციხის, ტარიელის, მზე – ქალას და თამარ მეფის შესახებ, რომელსაც მე აქ აღარ გავიმეორებ. რამდენიმე ახალი ცნობა პალაკაციოს ტბაზე გადმომცა.

– ძველად აქ ქალაქი ყოფილა, – დაიწყო თეიმურაზ – როსტომ ბეგმა

– ფართობი, რომელიც აქ წყალს უკავია, ქვაბნარივით ჩაზნექილი ადგილი ყოფილა და ზედ ქართველებს ქალაქი გაუშენებიათ. ეს ქალაქი სიმდიდრით, ადგილ – მდებარეობით და სხვა მრავალ სიკეთითა და სიმშვენიერით შესანიშნავი ყოფილა. ამიტომ საქართველოს ფადიშაჰს თავისი ძმა დაუნიშნავს ამ ქალაქის გამგეთ. მიუცია უამრავი ყმა და ჯარი. ჰყვაოდა, ხარობდა და ლაღობდა საქართველო და ქართველები. მტერი ირგვლივ დამორჩილებული ჰყავდა მეფესა და მის ძმას.

ამ დროს მოკვდა სპარსეთის შაჰი და რადგან მას ვაჟიშვილი არ დარჩა, მისი ძმა გამეფდა. ძმას არ უყვარდა მეფე საქართველოსი და რადგანაც ძალით ვერას უზამდა, შემოისყიდა მისი ძმა, შემოუთვალა:

– მე მსმენია შენი ჭკუა, მახვილი გონება და სიბრძნე. მე მყავს ასული, რომლისთვისაც მზე საწუნარია, ვეძებ მის საკადრის საქმაროს, მაგრამ თქვენი მსგავსი ვერავინ ვნახე. ამიტომ მობრძანდით, ნახეთ და იქორწინეთ; მე ამისი მეტი შვილი არა მყავს და შენ შვილი იქნები ჩემი და ჩვენ ორივემ ერთად განვაგოთ სახელმწიფო. ჩემი მტერი იყოს საქართველოს მტერი და მოყვარე საქართველოსი – მოყვარე სპარსეთისაო.

მეფის ძმას გაეგონა შაჰის ასულის სილამაზე და დასთანხმდა. იგი ძმის დაუკითხავად გაემგზავრა **თეირანს**, შეუღლდა შაჰის ასულთან და უკან მობრუნდა.

საქართველოს მეფე, რა გაიგო ძმის ასეთი კადნიერება და ღალატი ქვეყნისა, შეწუხდა. მან იცოდა სპარსეთის მეფის ვერაგული ოინები, იგი შვილს კი არა თავსაც სიამოვნებით გასწირავდა, ოღონდ საქართველო მოესპო, მასზე სპარსეთი გაემეფებინა. მეფემ ძმას შემოუთვალა:

– ძმაო, იცოდე რომ შაჰთან მეგობრობას გველთან მეგობრობა სჯობია, შესწყვიტე მასთან ყოველი მეგობრობა, თორემ საქართველოს დაღუპავ.

ძმამ შეიგნო თავისი შეცთომა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ცოლმა რომ გაიგო ეს, მოხიბლა ქმარი, დაიმორჩილა როგორც ბავშვი, გადაიყვანა თავის ჭკვაზე. იგი უღონო გამოდგა ცოლისა და სიმამრის წინაშე. მეფე შორსმჭვრეტელი იყო და რომ სამეფო არ დაღუპოდა, ძმის ფარულად სოფ. **ფიქრაშენთან** გვირაბი გაიყვანა ქალაქამდე, ხოლო გვირაბის თავზე მარმარილოს ქვის აბანო აუშენა ძმას. ძმას ამ დროს ორი ასული ყავდა, ორივე მზისადარი: უფროსი 17 წლისა იყო, უმცროსი – 15 – სა. შაჰმა მისწერა სიძეს:

– ალლახმა მოგცა შენ ორი ასული. ჟამი უკვე მოახლოებული არის მათი გათხოვებისა. უფროსი მე უკვე დავნიშნე არაბთა მეფის შვილზე, ხოლო მეორე – ჩემი ნაზირ – ვეზირის შვილზე. და ჰა, შვილო, რომ დასტკბეს ჟამი ჩემი მოხუცებულობისა, ჩამოდი და ვაქორწინოთ.

მამას ეწყინა, არ უნდოდა უცხოთა მთავრებზე შვილების გათხოვება, მაგრამ ცოლი ძალას ატანდა. მამამ ნება დართო მხოლოდ იმ პირობით, რომ სასიძოები აქვე დაქორწინებულიყვნენ. მამასაც ეს უნდოდა, გამოუგზავნა შვილები და ერთი თვის შემდეგ სასიძოებიც დიდი ჯარის თანხლებით, ჩამოვიდნენ ვითომდა საქორწინებლად, სინამდვილეში კი საქართველოს დასაპყრობლად. მოტყუვდა მეფის ძმა. ჩამოსულმა სპარსეთის ჯარმა დაიპყრო ქალაქი. თავისი ძმა საქართველოს მეფემ თავის ცოლშვილით სპარსეთში გაგზავნა.არაბთა და სპარსთა ჯარი საქართველოს აღარ ასვენებდა. თავს ესხმოდა ქალაქებს და იკლებდა მათ. სწუხდა მეფე. სამეფო თანდათანობით ხელიდან ეცლებოდა. ესეც არაფერი, ქალაქის მცხოვრებთ არაბთა და სპარსთა

ჯარი აწიოკებდნენ, ძალით გადაჰყავდათ მაჰომედის რჯულზე; ქალაქი გარშემორტყმული ჰქონდათ. ქალაქში მცხოვრებთ ქალაქის გარეთ აღარ უშვებდა.

ამ დროს აქ ცხოვრობდა საქართველოს მეფის ძიძის შვილი. მან იცოდა საიდუმლოება გვირაბისა და გააცნო ის ხალხს. ზამთრის პირი იყო. გარეთ საშინლად ციოდა და მცხოვრებთ ადრევე ჩაეკეტათ სასახლის კარები და ზოგს ეძინა,ზოგნიც ბაასობდნენ, რომ ქართველებმა ნელნელა იწყეს დენა აბანოდან გვირაბში. გვირაბს 18,5 ვერსის სიგრძე აქვს და როდესაც ქართველებისაგან დაიცალა ქალაქი, მეფის ძიძიშვილმა ჩაკეტა გვირაბის კარი, გააღო აბანოების ონკანები და 8 ონკანმა იწყეს დენა, როგორც მდინარე. დილას უკვე ქალაქი წყალში იყო და-მალული. მტერთა მთელი ჯარი თავის წინამძღვრებით ზოგი წყალში დასცურავდა და ზოგიც დამხრჩვალნი ტბის ქვეშ დაძირულიყვნენ. ხოლო მეფის ძიძის შვილი კალმახად გადაიქცა, დასცურავდა ტბაში და ლაღობდა. მეთევზეები მას დღესაც **კალმახის დედას** ეძახიან და არავინ ხელს არ ახლებს. მაგრამ ბოლოს ეს გვირაბი ქაჯებმა დაიპყრეს და ყოველ ავდარში ღამე გამოდიან გარეთ და ადამიანზე ნადირობენო. – დაასრულა **თეიმურაზ – როსტომ ბეგმა** სიტყვა.

იმ ღამეს ვახშამმა დიდხანს გასტანა.

დილას გამოვეთხოვე ჯერ აღას, ბეგს და მერე სხვებს და გავუდექი გზას **თეთრი ციხისაკენ.**

აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

– რატომ ქვია ამ სოფელს თეთრი ციხე? – შევეკითხე ადგილობრივ მცხოვრებს.

– იმიტომ, ეფენდი, რომ ეგერ მაღლობზე თეთრი ციხე რომა დგას, იმის საპატივცემოთ. – მიპასუხა მან. მე ავედი მაღლობზე და დავათვალიერე. ციხე ნახევრად დანგრეულია და კედლები – ღა დგანან. იქავე მეორე პატარა ციხეა, მაგრამ იქ არავინ ცხოვრობს, ნასოფლარია.

აქედან სოფ. **კაკაბეთისაკენ** გავუდექი გზას. სოფ. კაკაბეთი მთის პირად დგას და უკან საკმაოდ მაღალი ქვის კლდე აფარია. სოფლის თავი სამხრეთისკენ ტბაშია შეჭრილი, და წინ ტბაში ათეული ათასი ფუთიანი ქვებია ჩაყრილი. ალბათ, იმიტომ, რომ ღელვამ არ დააზიანოს სახლების კედლები, ხოლო მეორე წვერი სოფლისა ზედ კლდესაა მიბჯენილი. გზა სოფელს შუა გულზე სჭრის, მერე ადის კლდეზე და ორი – სამი ვერსის შემდეგ ეშვება ქვეშ.

ტბის გასწვრივ ამ მთაში ასეულ ათასობით ბუდობენ კაკბები, თითქო გაუშინაურებიათო. მათის კაკანით ყურთა სმენა აღარ არის. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

სოფლის მაღლა, კლდის თავზე ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქედან ისევ მთა – ღრეებით და თანაც ტბის პირას გზა მიდის სოფ. **ქვედა ჯამბაზში.**

სოფ. **ჯამბაზი** თვალუწვდენელ მინდორზეა გაშლილი და დიდიცაა. მდინარე **„შავი წყარო“** სოფელს შუაზე ყოფს. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფ. **კოდა – მეხი**. ესეც ქართული სიტყვაა. კახეთში ქალებმა იციან წყევლა: „ვაი ერთი **კოდი მეხი** კი დაგაყარე თავზეო“. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სოფ. **ყარა – ყალასაკენ** გავუდექი გზას. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. ამ სოფელს, როგორც **ქართველმა მაჰმადიანებმა** მითხრეს, **შავი – ციხე** რქმევია. მაგრამ ყარაფაფახებს შავი ციხე **ყარა – ყალად** გადაუთარგმნიათ.

აქ სოფლის გარეთ ერთი პატარა შავი ქვისაგან გაშენებული ციხე დგას, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. ალბათ, ამ ციხეს პატივსაცემრად უწოდებიათ ეს სახელი სოფლისათვის.

შემდეგ იწყება სოფ. **ბაშქეი**. ამ სოფელს **ქართველი მაჰმადიანები უწოდებენ სოფლის თავს,** ხოლო ყარაფაფახები „ბაშ – ქეის“.

ეს სოფელი ქვიან გორის თავზეა გაშენებული და ქვეშ 10 – 12 სოფელს დასცქერის, რომლებიც გაშლილა პალაკაციოს ტბის თავზე. აქაც **ყარაფფაფახები** ცხოვრობენ და 6 **კომლი (ანუ 50 სული) ქართველი მაჰმადიანი.**

იქვე ზევიდან ჩამოვედი სოფ. **ჩადუნაში**. **ჩადუნა** ქართული სიტყვაა; **ჩადუნას გვიმრის ყვავილს უწოდებენ,** რომელიც ღამე იშლება და იმავე წუთში ჰქრება. მას ჩვენში გოგო – ბიჭები დარაჯობენ, რომ გაშლის დროს დაინახონ და ბედი სთხოვონ თხოვნა – გათხოვებაში. **აქ 8 კომლი (ანუ 80 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. დანარჩენი ყარაფფაფახებია.** აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **სუხარაა**. ეს სოფელი არტაანის ოლქის სხვა სოფლებზე უფრო დიდია. ქართველმა მაჰმადიანებმა მითხრეს: „ამ სოფელს წინეთ **„სხვა არა“** ერქვა“, ზოგიც ამბობს – **შავი წყალიაო**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ და 96 კომლი, (ანუ 900 სული) **ქართველი მაჰმადიანი.** იმათ შორის 84 კომლი **სულხანიშვილებია.** სოფელს შუაზე ჰყოფს მდინარე **შავი – წყარო**, რომელიც უერთდება პალაკაციოს ტბას. აქ 4 ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ იწყება სოფ. **ჭოლოთი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 28 კომლი (ანუ 98 სული) **ქართველი მაჰმადიანია.** ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

შემდეგ იწყება სოფ.**კოდისი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **ყარაფფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ეკლესიის ნანგრევი.

მერე სოფ. **ვაშლობში** გადმოვედი. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედელიღა დგას.

მერე არის სოფ. **ჩაბურდა**. **ჩაბურდა** ქართული სიტყვაა, მართლაც, რომ ამ სოფლის ბუნება ჩაბურდულია. აქ ისევ არეულია მთა, ველი, გორები და მთელი მიდამო, როგორც ზარმაცი დიასახლისის ოჯახი. აქ 21 კომლი (ანუ 200 სული) **ქართველი მაჰმადიანი** სახლობს. სოფლის გარეთ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია, რომლის იქით, მარჯვნივ, მოჩანს ციხის ნანგრევი.

შემდეგ საშინელი თავდაღმართია, რომელზედაც, ჯერ ჩაკიდული ბაწარივით და შემდეგ წელგატეხილი გველივით, მიხვეულ – მოხვეული მიდის გზა 20 – 25 ვერსის მანძილზე ქვევით. თვით მაღლობი 2,5 სიმაღლის არც კი იქნება. აზრუმიდან მომავალი **თამარისეული შარა – გზა** თითო და ორ – ორი ვერსის სიგრძეზე თითქოს იკეცებაო და ეს ნაკეცები 50 – 60 საჟენით არის დაშორებული ერთი – მეორეზე. ეს შარა – გზა **მეწამული ტბის** პირად მდებარე სოფ. **ყანარბილში** ჩადის და შუაზე ჰყოფს მას. ტბის გასწვრივ 35 – 40 ვერსის მანძილზე მიიმართება ახალქალაქის მომიჯნე, **სომხებით** დასახლებულ სოფლისაკენ. აქ უხვევს სამხრეთისაკენ და თვალს ეკარგება.

აქ ბუნება მეტად ლამაზია. მარცხნივ მწვანედ მობიბინე ბარიდან აღმართულან მთის კალთები, ხოლო მარჯვნივ 40 ვერსზე გადაჭიმულა მეწამული ტბა, რომლის სიგანე 8 ვერსს უდრის. დასავლეთ – ჩრდილოეთით ტბას გადმოჰყურებს ვეებერთელა დიდი ველი, ადგილ – ხეივნებად დასერილი.

სოფ. **ყანარბილში ყარაფფაფახები** ცხოვრობენ.

აქედან დავბრუნდით უკან და 45 ვერსის შემდეგ მივედი სოფ. **თათალეთში**. ესეც ქართული სიტყვაა. სოფ. **თათალეთი** სოფ. **სუხარბს** 1,5 ვერსით ახლავს არტაანისაკენ. აქ 39 კომლი (ანუ 497 სული) **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის ნაპირზე ერთი საკმაოდ მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან გადავედი სოფ. **ხამუშში** (**ამუში** ქართული სიტყვაა და ნიშნავს მუშაკთა მხნედ მუშაობას). აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სოფ. **ზარაბუქში** მოვედი (ესეც ქართული სიტყვაა. **ზარა** აღმოსავალს ნიშნავდა, ხოლო **ბუქი** თოვლიან ქარს). აქ 23 კომლი, ანუ 277 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი **ზურზუნას** თავზეა. როგორც ღია ადგილზე, აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარი გამუდმებითა ჰქრის (ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის „**ზარა ბუქი**“). აქ **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქედან **თამარისეულის შარა – გზით** ავყევი მაღლობს 10 ვერსის იქით. აქ სოფ. **ბეგრა – ხატუნია** (მე მგონია ესეც ქართული სიტყვაა. **ბეგრა** – დაბეგვრა და **ხატული** – ხატის დასახელება. შეიძლება, ეს სოფელი დაბეგრილია და ამიტომ სახელიც ასე უწოდეს). აქ **აისორები** ცხოვრობენ. აქვე არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. ამ სოფელს სამი ვერსიის მანძილზე წყალი არ ახლავს. სოფელი ორ ხევის შუა მდებარეობს და გვერდით **თამარისეული შარა გზა** უვლის.

აქედან დასავლეთით, ზედ შარა გზაზე, სოფ.**პარკაუა**, რომელიც სოფ. **ბეგრა – ხატულისაგან** ნახევარი ვერსითაა დაშორებული. აქაც **აისორები** ცხოვრობენ. სოფ. **პარკაუც** წყლის მხრივ იმავე მდგომარეობას განიცდის, რასაც **ბეგრა – ხატული**. მაგრამ მიუხედავად ამისა, პური აქ საგანგებოდ უხვად მოდის.

აქედან დავბრუნდი უკან სოფ. **მერიემში**. **მერიემი** ქართული სიტყვაა, საკუთარი სახელია – **მარიამი**.ეს ვიცი, რომ წარსულში აქეთ სოფლებს თათრული სიტყვა არ რქმევია. ამ სოფლის სახელი ან ქართულიდან გადაუთარგმნიათ, ანდა ქართული სახელი დავიწყებისათვის მიუციათ და თითონ, როგორც ნასოფლარისათვის, ახალი სახელი მიუციათ. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის განაპირას ერთი პატარა გუმბათიანი ეკლესია დგას, პერანგის ქვებისაგან კედლებგამარცული. ეკლესიის გუმბათი ქვებითაა დახურული და ზედ ბალახი ამოსულა.

შემდეგ გადავედი სოფ. **საღორეთში**. ეს ქართული სიტყვაა. აქ ერთი გუმბათიანი **ეკლესია დგას,** რომელიც ადგილობრივ აღას სათივედ გადაუქცევია. **ლამაზი ეკლესია სრულიად მთელია.** აქა – იქ **ჩუქურთმებითაა** შემკული. შიგნით **დიდებული მხატვრობაა,** მაგრამ ვიღაცას დაუფხაჭნია და მხატვრობა გაუფუჭებია. შესავალი კარის გარედან ზევით მარმარილოს ქვაა და **ზედ ხუცური წარწერა აქვს.** აქ 19 კომლი (ანუ 219 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**.

შემდეგ იწყება სოფ. **ვარდბანდი**.ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ვარდითშებარდულს**. აქ 17 კომლი ანუ200სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** სოფელში ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

აქედან საცალფეხო გზა მტკვრის პირისაკენ უხვევს და ზედ მტკვრის პირზე სოფ. **საბადურთან** ჩერდება. **საბადური** ქართული სიტყვაა და შეიძლება ორნაირად განვმარტოთ: რომელიმე მადნეულის საბადური (ბუდობი), ან 2/ ბადის სასროლი ადგილი; უფრო მგონია **ბადის სასროლი ადგილი უნდა იყოს,** რადგანაც სოფლიდან ქვეშ მტკვარში გზა ჩადის. აქ მტკვარი ფართოდ გაშლილა და ნელა მიდის, ზოგან ფონია და ზოგანაც ტბა, სადაც სასროლი ბადით თევზის დაჭერა ადვილია. ამ სოფელში მარტო ექვსი კომლი (ანუ 53 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

აქედან ქალაქ არტაანისაკენ წამოვედი.

არტაანი (ანუ **არტანი**, ხოლო რუსულად – **არდაგანი**) ეს ქალაქი ოლქის დედა – ქალაქია და როგორც „**ქართლის ცხოვრება**“ გადმოგვცემს, ამ ქალაქს თავის დროზე უმნიშვნელოვანესი როლი უთამაშნია ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს ქალაქი ირგვლივ მთებითაა შემოზღუდული და გაშლილ ადგილზე ძევს, რომელსაც მდინარე მტკვარი ორად ჰყოფს. როგორც ნანგრევებიდან ჩანს, ქალაქი ძველად მტკვრის გამოღმა ყოფილა, მაგრამ 1878 წელს გადაუტანიათ მტკვრის გაღმა, რასაც ამტკიცებს თვით სახელწოდება – **ძველი და ახალი ქალაქი.** ამ ახალ ქალაქს შუაზე ჰყოფს აზრუმიდან მომავალი **თამარისეული შარაგზა** და აღმოსავლეთისაკენ მიდის მაღლობზე მიხვე-

ულ-მოხვეული, ჭრის შუაზე ტყეს და ადის სოფ. **ვარდისციხეზე**, ხოლო დასავლეთისაკენ 15 – 20 ვერსის დაშორებით მდებარეობს სოფ. **კოდისწყარო**. სოფ. კოდისწყაროდან **თამარისეული შარაგზა** მტკვარს მისდევს მაღალ მთისაკენ და ადგება სოფ. **მერდენეგს**. აქ ყარსისა და არტაან – ოლთისის **თამარისეული შარაგზები** ჯვარედინად ერთდება ერთ გზად და მიიმართება აზრუმისაკენ.

აქედან გავემგზავრე **აღუნდირისაკენ** (**აღუნდირი** საზღვარია **არტაანისა** და **ოლთისის** ოლქებისა). სოფ. აღუნდირიდან შარაგზა მიდის ხელოვნურად გაჭრილ მაღალ კლდით. ამ მთის სიმაღლე დაახლოვებით ერთნახევარი ვერსია და სიფართე 24 საჟენი. შარაგზა მიდის სოფ. **კოსორამდე** (ქართველი მაჰმადიანები ამ სოფელს ასე უწოდებენ). აქ კლდე მარცხენა მხარეს უერთდება **არსიანის** მაღალ მთის კალთას. ხოლო კლდის მარჯვენა მხარე გრძელდება ქალაქ **ბანას** მოსახვევამდე.

აქ ამბობენ, ვითომც აქ კლდეში გაკეთებულია გამოქვაბული, რომელშიაც სამი საჟენის სიმაღლისა და 4 საჟენის სიგანისა გამოქვაბულში **მუხის დიდი ზომის კუბოა.** კუბოს თავით უდგას (მაღალი, დიდი) შანდალი, რომელზედაც ამომწვარია სანთლის კელაპტარი, ხოლო შანდალთან ახლოს თეთრი საცეცხლურია, ნახევრად ამომწვარი. გამოქვაბულში ჩასასვლელად ზევიდან ხელებისა და ფეხების ჩასადგომია ამოჭრილი, ჯაჭვი ჰკიდია.

აქედან სამი ვერსის სიმაღლეზე, კლდის მიუვალ მწვერვალზე **სახეა გამოთლილი დაჩოქილი ბერისა**. ბერს ბარტყულა ახურავს თავზე და ხელაპყრობილი **ზეცას ევედრება**. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიამბეს: როდესაც მტერი ოლთისს შემოესია, აიღო ოლთისი და ხოცვაჟლეტით წინ მოიწევდა, **ბანას მთავარი მოლა აქ მოსულა**, და ქართველი ერი ალაჰისათვის შეუვედრებიაო. მტერი ბანასთან დამარცხებულ იქნა. მოლლას კი უთხრეს, მტერმა ბანა აიღო, დახოცა ქართველები და დაანგრია ბანას მეჩეთიო. შეწუხდა მოლა, ვერ აიტანა ბანას დანგრევა და ნაპრალში გადაიგდო თავიო. ამისათვის ხალხმა მისი სხეული ზევით აიტანა და იქ დადგაო; ხალხი მასზე ლოცულობსო.

აქედან **თამარისეული შარა გზა** მოდის **ბანას** დიდებულ ტაძრისაკენ. სადაც იქორწილა და იკურთხა საქართველოს დიდებული მეფე **დავით კუროპალატი.** ტაძრის საკურთხევლიდან ქვეშ, მიწაში, ჩადის ისტორიულად ცნობილი შესანიშნავი გვირაბი. გვირაბზე, ტაძრიდან ასი საჟენის დაშორებით, გადადის ალაზნის სიდიდის მდინარე**– ბარდის წყარო.** გვირაბის სიგრძე 30 ვერსია. ის სწორ ხაზით ოლთისის დიდებულ ციხისაკენ მიიმართება, გაუდის ქვეშ **ოლთისის წყაროს**, ჩაუდის **ოლთისის ციხეს** და ორი ვერსის სიმაღლეზე ადის მაღლა ციხის მეხუთე ეზოში, წმ. **გიორგის ეკლესიის ტრაპეზით.**

დიდებულ ბანას ტაძართან, რომლის ახლომახლოს 25 ეკლესიის ნანგრევია, **თამარისეული შარაგზა** მარჯვნივ, განზე, მიიმართება და 150 საჟენის შემდეგ, **ბარდის წყაროს** გაღმა, უერთდება ახალ სამხედრო გზის მოსახვევს. ოლთისიდან **თამარისეული შარაგზა მიდის, ისპირისა** და **კისკისის** ოლქების გავლით,სოფ. **ხახულიდან** 40 ვერსის დაშორებით. შარაგზა განზე სტოვებს **კუზიან ხიდს** და მიიმართება **ერზრუმისაკენ**. კუზიან ხიდს **ხახულის ღვთისშობლის ტაძარი** აღმოსავლეთით დაშორებულია 76 ვერსით.

ქალაქ **არტაანის ციხეს** თავისი მნიშვნელობით მთელს ოლქში პირველი ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ციხე უპატრონოდაა დარჩენილი. ჟამთა ვითარებას მისი ბუმბერაზი მაღალ – კბილებიანი, სიმაღლეზე მიდგმული, ორ-ორი, სამ-სამი სართულიანი დიდრონი სახლები ნახევრად დაუნგრევია.

არტაანის ციხე ვაკეზე დგას. იგი გვერდობად მიდის ნახევარ ვერსის მანძილზე, საიდანაც მისი კედლები ეშვება ქვემოთ, მტკვრის კალაპოტის ღრმა ხევში და იქ მტკვრის პირად უერთდება მეორე კედელს, რომლის გარეთ, მტკვრიდან რამდენიმე ათეული საჟენის ზევით, ორთვალიანი გვირაბია.

შიგნით გვირაბში მაღაროებია, რომლის ფართობი 15 კვ. ადლს აღემატება. ზემოდან გვირაბს ფართო, მაგრამ საშიშო გზა ჩამოუდის, რომლის თავი ქვეშ მტკვრის მიუვალ პირით ციხის კარს ადგება. გარეთ, მტკვრის ხეობაში, მრავალი ნანგრევებია ციხისა და სახლებისა, რომელთა მხოლოდ მაღალი კედლები დარჩენილა.

მტკვრიდან ციხის მწვერვალამდე, მე მგონია, ორი ვერსი იქნება. შიგნით ეზო, როგორც ვთქვი, გვერდულად მიდის სამხრეთიდან აღმოსავლეთით და დაყოფილია მაღალი კედლებით რამდენიმე ათეულ ეზოებად. ეზოებში ყველგან მრავლადაა სახლები, ზოგი დანგრეულია და ზოგიც მთელი. ციხის წინ მდგარა დიდი ზომის ეკლესია, მაგრამ დანგრეულა და ნანგრევებიღაა. უკანა ეზოში მტკვრიდან წლის ამოსაყვანი მილი მოკლე და წითელი თიხიდანაა გამომწვარი, რომელიც, კედლად ჩამოსულ მთას მიკრული, ჩადის მტკვარში და დღესაც დაუზიანებელია.

იქვე მშვენივრად გაშალაშინებული თეთრი დიდრონი ქვის ფიცრებით აგებული აბანოა აუზებით და მაზმაროებით, რომლების ახლოს მილია გაჭრილი ჭუჭყიანი წყლისათვის. ვაკედან ციხეში შესავალ დიდ რკინის კარებს ზევით ჩასმულია მარმარილოს ქვები **ხუცურის წარწერებით**. მაღლა ორი ქვაა მიკრული, **ერთი – არაბული დამწერლობით**, მეორე – **სომხური წარწერით,** რომელიც ახალს ჰგავს. ადგილობრივმა მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკემ **ი. ხარიშარაშვილმა** მიამბო, რომ მე მაშვინ წვერ – ულვაშიანი ვიყავი (1915 წელს იგი 60 წლისა იყო), როდესაც ეს სომხური წარწერა ამოაჭრევინეს ქვის მთლელს **სავა სამანაპულოს** სოფ. **ბაღდადიდანო**. მეორე **ქართულ წარწერიან ქვაზე** ვიღაცის **ქართული ხუცური წარწერები საღებავით გაუშავებია და ქვეშ თავისი გვარიც მიუწერია რუსულად**. ერთი, არა მარმარილოს ქვა, მიწიდან 1,5 ადლის სიმაღლეზეა მიკრული და ზედ **არაბული ასოებით** რაღაცაა გამოხატული. მეორე **წარწერა** სამხრეთის მხრისაკენ არის, მიწიდან ერთი ადლის სიმაღლეზე. აღმოსავლეთისკენ, ციხის ზემოთ, მრავალი ნანგრევია. იქვე მრგვალი, საჟენზე მეტი ფართობის თხელი ქვა გდია, რომელიც შუაზე არის გახვრეტილი. ეს ქვა ძალზე წააგავს წისქვილის ქვას. აქ ხშირად შეხვდებით კაცის ძვლებს. ციხეში შესავალი კარი გამოუშენებიათ. მის ზემოთ ადლიანი ზომის ქვაა ჩადგმული **არაბული ასოებით შესრულებული წარწერით.** ეს ქვა სრულიად არ შეეფერება ციხის ქვას, უფრო ახალია და ქვაც სულ სხვა ფერისაა, ალბათ ახალი ჩადგმულია.

არტაანიდან მტკვრის ხევი თავდება ორ ვერსზე სოფ. **საზარით**. აქ დიდი **ეკლესიის კედლები** დღესაც ამაყად დგას. აქ მდ. მტკვარი ისევ იშლება და სწორ ადგილზე მიდის. აქ მტკვრის ხევის გასწვრივ მრავალი **ეკლესიის ნანგრევებსა** ნახავთ. ერთი **დიდი და დიდებულ ეკლესიის ნანგრევი** 1896 წ. ქ. **არტაანში** ამოუყრიათ და მისი ქვებით მის ნანგრევზე **პირველი დაწყებითი სკოლა** აუშენებიათ.

აქვე, აღმოსავლეთით, არტაანის ხევში ნასოფლარია **საფიცხარი**. სოფ. საფიცხარის გაღმა **ქართველების ძველი სასაფლაოა,** რომლის ნახევარზე მეტი ძეგლები დაუტაცნიათ. სასაფლაო მრავალგანაა ღრმად ამოთხრილი. ხსენებულმა **ხარიშარაშვილმა** მიამბო, რომ აქ საფლავების ამოთხრის დროს **ჩინურის მსგავსი ქოთანი უნახიათ მშვენიერი სურათებით და ქართულ – ხუცური წარწერებით** შემკული. ადგილობრივ მცხოვრებს სასაფლაო ამოუთხრია, რამე ნივთებს ვიპოვნიო და **ბრინჯაოს უძველესი ხანჯალი უპოვნია**. მცხოვრები სიხარულით კინაღამ გაგი-

ჭებულა, ოქროს ხანჯალი ვიპოვნეო! **ხანჯალზე ასოები გარკვევით ყოფილა ამოჭრილი,** მაგრამ ყველასათვის უცნობი, ვერავის ვერ ამოუკითხავს. ხარიშარაშვილისავე სიტყვით, მცხოვრებლებს გაუთხრიათ სასაფლაო და ბევრი საგნები უპოვნიათ. **ეჩმიაძინიდან** ჩამოსულ მღვდელს, **არტაანის სობორის აფეთქებამდე,** ეკლესიის შიგნით ამოუთხრია ტრაპეზის ახლოს მიწა და ხის ყუთში აღმოუჩენია მრავალი **საეკლესიო ოქროსა და ვერცხლის ნივთები,** სადაც სხვათა შორის **უძველესი ხელნაწერები** ყოფილა და **ოქროსყდიანი სახარება.** ყველა ეს განძი ამ მღვდელს ვითომც **ეჩმიაძინის მონასტერში გადაუტანია.**

აქვე არტაანში არის სომეხ-ფრანგთა ეკლესია, სადაც უამრავი **ქართული წარწერიანი** სხვადასხვა სახის საგნებია: ანგელოზები, მხეცები და სხვა. მრავალი მარმარილოს ქვა აწყვია **ქართულ – ხუცური წარწერით**. სხვათა შორის **ქართული ხელნაწერებიც** აქვთ ნაპოვნიო, მითხრა **ხარიშარაშვილმა**.

კვირა დღე იყო. ეკლესიაში კათოლიკეთა წირვა მიდიოდა. შევედი ეკლესიის წინა შესავალ დერეფანში. აქ აწყვია ძვირფასი მარმარილოს ქვის ფიცრები, სხვადასხვა ხუცურის წარწერებით, რომლებიც ჩუქურთმებით შემკულია. შემდეგ შევედი ეკლესიაში; ხალხი მრავლად იყო. პირჯვარი გადავიწერე და კედლებს დავუწყე თვალიერება. ხარიშარაშვილის სიტყვები გამართლდა. კედელზე ერთი **ვერცხლის ღვთისშობლის ხატი** ჰკიდია, რომელსაც ქვეშ აქვს წარწერა. ის ვიღაც **ორბელიანს** შეუწირავს **არტაანის** ეკლესიისათვის. აქ ყველაზე საინტერესოა მარმარილოს სამ – გოჯნახევრიანი ჯვარცმა **ხუცურის წარწერით. ეს ხატი ხელოვნების მშვენიერი ნიმუშია.** ჯვარზე ქრისტე ისეა გამოქანდაკებული, რომ სხეულის ყველა კუნთი ცოცხალი გეგონებათ. თმა და წვერ – ულვაში მეტად ფაქიზად არის შესრულებული, ჩანაჭედი ლურსმნები მშვენივრად არის გამოყვანილი. ის იყო ამოვიღე უბის ჯიბიდან რვეული და ფანქარი, შევუდექი წარწერის ჩაწერას, რომ პატრმა სომეხმა თვალი მომკრა, მიატოვა წირვა, მოვიდა ჩემთან და ზრდილობიანად მითხრა:

– გადაწერა ეკლესიის სამკაულებიდან შეუძლებელია. გთხოვთ გვიბოძოთ რვეულიო. – ჩამომართვა, ამოხია ჩაწერილები და ცარიელი რვეული დამიბრუნა. შემდეგ ჩემს წინააღმდეგ პროპაგანდა გასწია მლოცველებთა შორის.

მე მგონია, მეტი არ იქნება, მოვიყვანო ჯამი ჩემ მიერ შეგროვილი ცნობებისა, როგორც ქ. არტაანში, ისე არტაანის ოლქში მცხოვრები მოსახლეობისა 1916 წლის მიწურულამდე.

ქ. არტაანში:

სომეხი და სომეხ – ფრანგები 805 სული, ბერძნები 717, მალაკნები 208, ქართველი მაჰმადიანები 779, ქართველი ქრისტიანები (გარდა ქართველი მეომრებისა და მოსამსახურეებისა) 55 სული და ქურთები 152 სული.

არტაანის ოლქში:

ქართველი მაჰმადიანები 3250 კომლი, ანუ 36.585 სული; ქურთები 1828 კომლი, ანუ 16. 905 სული; თურქმენები 816 კომლი, ანუ 5293 სული; ყარაფაფახები 1045 კომლი, 12. 298 სული. ბერძნები 1305 კომლი, ანუ 11.106 სული; მალაკნები 201 კომლი, ანუ 1517 სული; უკრაინელები 101 კომლი, ანუ 845 სული, კათოლიკე – სომხები 29 კომლი, ანუ 250 სული; გარდა ქ. არტაანში მცხოვრებ კათოლიკე – სომხებისა. ქართველი ქრისტიანები არც ერთი; სომეხი 36 კომლი ანუ 147 სული; კათოლიკე სომეხი 12 კომლი, ანუ 92 სული; აისორები 90 კომლი, ანუ 706 სული და ლეკი 1 კომლი, ანუ 7 სული; სულ არტაანის ოლქში ირიცხება 8. 964 კომლი, ანუ 88. 002 სული, გარეშექ.

არტაანისა. 1914 წლის ომის გამოცხადებამდე, როგორც არტაანის ოლქის სამმართველოს ცნობიდან ჩანს, **ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი არტაანის ოლქში ყოფილა 64. 157 სული**.

მართალია, ქალაქ არტაანში ითვლებიან სხვა ეროვნებებზე მეტი სომხები და სომხის კათოლიკები, მაგრამ ამათში მეტი წილი სომხები და სომხის ფრანგი ვაჭრებია, რომლებიც გადმოსულან 1878 წლის შემდეგ არტაანში სოფ. **ოქრობაგეთიდან** (ართვინის ოლქი), **ყარსიდან**, ერევნის გუბერნიიდან, **თბილისიდან**, – **ახალციხიდან**, მეტი წილი კი ოსმალეთიდან გამოქცეულია – კახთაგანი. აი,სურათი, არტაანში მცხოვრები მოსახლეობის.

არტაანიდან ორი ვერსის მოშორებით არის ნასოფლარი **მინდაშენი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **შეურყეველად დგას ერთი პატარა, ლამაზი ეკლესია**, რომლის გუმბათი დახურულია ფიქალის ქვებით, ხოლო მისი კედლები პერანგის ქვებისაგან გაუმარცვიათ.

ამის შემდეგ არის სოფ. **გურჯი – ბეგი**, რაც ნიშნავს **ქართველ აზნაურს.** 1914 წელს, იმპერიალისტური ომის დროს, ეს სოფელი სრულიად გაუნადგურებიათ, აქ **მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ზოგი დაუხოციათ, ზოგიც სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებიათ, ციმბირში გადაუსახლებიათ**.

ამ ახალ ნასოფლარის იქით, დაახლოვებით 304 ვერსზე, მტკვრის პირად, გაშლილია სოფ. **პატარა სარძევე.** აქ **მალაკნები** ცხოვრობენ, რომლებსაც სოფლისათვის რუსული სახელი დაურქმევიათ. „**ველიკნიაჟევსკი**“.

შემდეგ იწყება **საბუღარი**. **საბუღარი** ქართული სიტყვაა. აქ 25 კომლი ანუ 409 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**, ამ სოფელში, როგორც გადმოგვცეს, **თამარ მეფეს მთიდან** 15 ვერსის მანძილზე წყარო გამოუყვანია და შუა სოფელში ეგვიპტურ სტილზე წყალსადენი აუშენებია, თავისივე ქვის ონკანებით, რომელსაც ქვეშ ერთიან ქვისაგან გამოჭრილი როფე უდგას საქონლისათვის.

აქედან გავყევი საცალფეხო გზას, რომელიც მიდის დაფენილ მინდორზე მდინარე მტკვარსა და **თამარისეულ შარას შუა,** სოფ. **კოდის წყაროს** მაღლობისაკენ. აქ პირველი სოფელი პატარა **ჭინჭრობია**, რომლისთვისაც აქ მცხოვრებ უკრაინელებს „**ნესვიატოვა**“ დაურქმევიათ (რაც ნიშნავს არა წმინდას).

აქედან ერთი ვერსის მოშორებით სოფ. **დიდი ჭინჭრობია,** აქ 42 კომლი **ქართველი მაჰმადიანია**. აქაც ერთი **ეკლესიის ნანგრევია.**

აქედან ორი ვერსის იქით **სოფ. ბაღდათია**. აქ ბერძნები და **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. უკანასკნელი 53 კომლია (ანუ 598 სულია). აქვე, სოფლის მისავალთან, მშვენიერი წყალსადენია აგებული.

მე – 5 ვერსზე, მთის კალთის ქვეშ, გზის გასწვრივ 2,5 ვერსზე, მდებარეობს სოფელი **კოდისწყარო.** სოფლის მისავალთან, დასავლეთით, ჩამოდის დიდი ხევი, რომელიც წააგავსკოდს; ალბათ ქართველებმა ამიტომ უწოდეს ამ სოფელს **კოდის წყარო.** სოფელში ხევიდან ჩამოდის ალმასივით სუფთა ცივი წყარო, რომელშიც პატარ – პატარა ლამაზი კალმახები ციბრუტივით დასრიალებენ და ეთამაშებიან მზის სხივებს. აქაც არაჩვეულებრივი წყალსადენია აღმართული, რომელსაც აქა – იქ ხავსი მოჰკიდებია და რომელსაც თავი მოსტეხია. ეტყობა უშნოთ გათლილი ქვა ცემენტით მიუკრავს. აქაც **უკრაინელები ცხოვრობენ,** რომელთაც სოფლისათვის ახალი სახელი (ქართული სახელი არ მოსწონებიათ და მისთვის) „**მიხაილოვკა**“ დაურქმევიათ. აქაც არის ერთი **ეკლესიის ნანგრევი,** ხოლო ზევით, მტკვრის მაღალ კალაპოტის თავზე, საშუალო ზომის **ციხის ნანგრევია,** რომლის კედლები ორი საჟენის სიმაღლეზე დგას.

აქედან პირდაპირ საურმე გზით გადავედი **თამარისეულ შარა – გზაზე.** აქ შარა – გზის პირზე სოფელი **ქერმანია**. 1914 წლის ომამდე აქ 70 კომლი (ანუ 683) სული **ქართველი მაჰმადიანი,** გვარად **მიქელაძეები, ჩხეიძეები, ფაღავები** ცხოვრობდნენ. მაგრამ **რუსის მეფის ჯარს 15 კომლიანი სოფელი დაურბევია. 15 კომლი ანუ 156 სული ამოუხოცია, ხოლო 93 სულს გაქცევა მოუსწრია**. სიტყვა ქერმანი ქართულია და ნიშნავს **ქერი – მანდს**. მართლაც, აქ ქერი კარგად ხარობს და თანაც მსხვილმარცვლოვანია.

აქედან შარა – გზით მაღლა ავედი და აღმოსავლეთისაკენ შეხვევით ჩავედი ქვეშ სოფ. **სინდისგომში**. სოფლის ეს სახელი, არ ვიცი, რა ენაზეა წარმოებული. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც ყოფილა ერთი საშუალო ზომის **ეკლესია**, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუნგრევიათ. ახალი ეკლესია აუშენებიათ, რომლის კედელზე აქა – იქ **ხუცური წარწერები** ემჩნევა.

შემდეგ სოფ. **ენიქეია**, რაც ნიშნავს ახალ – სოფელს. სინამდვილეში ამ სოფელს **თამარაშენი** რქმევია, მაგრამ იქ მცხოვრებ ბერძნებს **ენიქეიდ** გადაუკეთებიათ. 1878 წელს ბერძნები სოფ. **ტახტაკრანში** გადასულან, ხოლო ომის დროს **ოლთისიდან ქართველი მაჰმადიანები** გამოქცეულან, აქ დასახლებულან და სოფლისათვის სახელი **ენიქეი** დაუტოვებიათ. აქ დღეს 36 კომლი (ანუ 373 სული) **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი 3 ვერსის სიმაღლიდან გადმოსცქერის ქვეშ ართვინის ოლქს და საზღვარია მისი. აქაც არის ერთი პატარა **ეკლესია** და **ციხის ნანგრევები.**

აქედან სოფ. **ხაზნაფარზე** ავედი. აქ ერთი მოზრდილი **ეკლესია** და ასეთივე **ციხე** დგას. მათი მაღალი კედლები ახლაც დასცქერის არე – მარეს. როგორც მოხუცებულებმა (ხალხში გავრცელებული ლეგენდა) მიამბეს, **თამარ მეფე** ორ – სამ წელიწადში ერთხელ აქ ჩამოვიდოდა და რამდენიმე დღე რჩებოდა საზაფხულოდო. სოფ. **ხაზნაფარის** ადგილმდებარეობა და **ბუნება საუცხოოდაა მოქარგული. ირგვლივ მშვენიერი ყვავილნარია**, რომლებს შუა მთის სუფთა წყარო ჩამოდის. სოფ. ხაზნაფარი 4 ვერსის სიმაღლიდან დაჰყურებს შორს ფართოდ გადაშლილ ართვინის ზეთისხილის ბაღნარს. აქვეა მჟავე წყარო – **ნარზანი**, რკინის წყარო, გოგირდის, რძის ფერი ცივი წყარო და სხვა. ბუნებით მდიდარი საქართველოს შვილებისათვის ასეთი ადგილები არ არის სანატრელი, მაგრამ ხაზნაფარას ბუნება კი სულ სხვაა. ტყუილად კი არ ამბობდნენ ქართველი მაჰმადიანები, რომ **ხაზნაფარის ჰაერი მომაკვდავსაც კი არჩენსო.**

აქედან უკან დავბრუნდი და სოფ. **შადრევანში** გადმოვედი. **შადრევანი** ქართული სიტყვაა – წყლის მაღლა ასროლას ნიშნავს. აქ **ეკლესიის** ნანგრევებია, რომელთა მაღალი კედლები დღესაც ამაყად დგას. აქ 119 კომლი (ანუ 839 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.**

აქედან სოფ. **ხასქეიში** მოვედი. ეს სოფელი მტკვრის პირად, მაღლა გორაკზეა აშენებული. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც **სამი ეკლესიის ნანგრევია,** ერთი მათგანი **მოზრდილია, გუმბათიანი.**

აქედან დავბრუნდი უკან და ჩამოველი არტაანის ვაკეში, სადაც მდინარე მტკვარი არტაანისაკენ გველივით მიიკლაკნება. აქ სოფ. **ზედა ტარასის** ხევია. აქაც ორი **ეკლესიის** ნანგრევია. აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ.

იქვე ახლოს **ქვედა ტარასის** ხევია. აქ 64 კომლი, ანუ 107 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც ერთი მოზრდილი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ არის სოფ. **ბებერი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ, აქაც არის **ეკლესიების** ნანგრევები; ერთი სოფელშია, ერთი გარეთ – მთის მწვერვალზე. ამას იქით სოფ. **ფიჩხის გომია.** აქ 36 კომლი (ანუ 355 სული) **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობდა. აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევია. შემდეგ არის სოფ. **თანისგომი**. აქ 16 კომლი (ანუ 156 სული) **ქართველი მაჰმადიანია.**

სოფლის თავზე ერთი **ეკლესიის** ნანგრევია; იქვე ცოტა დაშორებით სოფ. **ქინძი – თამარია**. ამის შემდეგ სოფ. **ალუბალაა.** აქ 19 კომლი (ანუ 259 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.**

შემდეგ არის სოფ. **ქვედა ალუბალა.** აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევია. აქედან სოფ. **კონქში** გადმოვედი. **კონქი** ქართული სიტყვაა. აქ 23 კომლი ანუ 299 **სული ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქედან სოფ. **დეგერმან ქევში** გადავედი.**დეგერმანქევი** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **წისქვილის სოფელს**. აქ შუა სოფელში ერთი მეორეზე წისქვილი დგას. ეტყობა აქ ძველადაც წისქვილები ყოფილა, ამას ადასტურებს წისქვილის ნაშთები. აქ 49 კომლი (ანუ 535 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. სოფლის გარეთ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **კუნძულეთია. კუნძულეთი** თავის რაიონით, რომლებშიაც შედის ნასოფლარები, როგორც მითხრა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ღრმად მოხუცმა **ფალავანდიშვილმა,** მრავალი მხრით შესანიშნავი ყოფილა არტაანის ოლქში. აქ იზრდებოდნენ თურმე საუკეთესო ქართველი მეომრები და მამულიშვილები. აქ ჰყვაოდა მერძეობა, მემატყლეობა, მოჰყავდათ საუკეთესო ხორბალი, ნამეტნავად, შავი ღვინო „**ოჯალეში**“ – ს სახელწოდებით, რომელიც თავისის ღირსებით კახურ ღვინოზე მაღლა მდგარა. აქ ღვინის უხვ მოსავლიანობას ადასტურებს უხვად მიწაში ჩაყრილი უამრავი **დიდი ქვევრები.**

აქ, როგორც **კუნძულეთში**, ისე ყველა ნასოფლარი მიწები კვლებადაა დაყოფილი. ყველა ეს კვალი ძალზე ჰგავს სავენახე კვლებს და აქა – იქ **ტყის ვენახების ჩირგვებს** შეხვდებით. აქ, კუნძულეთის მაღლობზე, 8x7 კვ. საჟენის ფართობზე **კოშკივით დარბაზი დგას**, რომლის 4 საჟენიანი სიმაღლის კედლები უზარმაზარი ლოდებით უკიროდ არის აშენებული და ქვის ფიქალითაა დახურული. კედლები შეურყეველია. იქვე ახლოს უძველესი სასაფლაოა, რომელზედაც **წარწერებია**, ზოგზე **ხუცურის ასოებით.** ზოგზე **ჩემთვის უცნობის ასოებით.** მგონი **ლურსმული** უნდა იყოს. **ქვებს ფორმა ზოგს ცხენისა, ზოგს ხარის, ზოგს სხვა ცხოველის** და ზოგს **კაცისა აქვთ.** ყველა ეს ქანდაკება დიდის დაკვირვებითაა შესრულებული. რომ აკვირდები, ჰფიქრობ, რა დიდებული ნიჭია აქ გამოჩენილიო. **ა. ფალავანდიშვილმა** მითხრა, მამა – პაპიდან გვაქვს გადმოცემული, რომ არავინ ხელი არ ახლოს მათ. არვინ დაამტვრიოს საფლავების ქვებიო და დასძინა:

– **ეს საფლავი, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, ეკუთვნის ქრისტეს წინა საუკუნეებს და ყველანი მას თვალს ვადევნებთო**. აქ სოფლის ახლო – მახლო და ერთიც შუა სოფელში სამი ეკლესიის ნანგრევია, როგორც მიამბო ხსენებულმა ა. ფალავანდიშვილმა. აქ 60 კომლი **ფალავანდიშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ 1877 – 78 წლების ომიანობის დროს რუსის მეფის ჯარს ისინი ამოუწყვეტია**.

მხოლოდ ეს **ა. ფალავანდიშვილი გადარჩენილა** და **ისიც იმიტომ, რომ იგი, როგორც ნასწავლი კაცი და რუსულის კარგად მცოდნე, თარჯიმნად წაუყვანიათ**. ა. **ფალავანდიშვილი ქართულსაც კარგად ლაპარაკობს.** რუსული სიტყვების მარაგი მცირე აქვს, მაგრამ რაც იცის, იმას გარკვევით და სუფთად გამოსთქვამს.

იქედან სოფ. **ჭანჭახისაკენ** წამოვედი.

ჭანჭახი ნასოფლარია და გადაჰყურებს ზევიდან სოფ. **დიდ სარძევეს.** ჭანჭახში, სადაც კლდე პატარა გორად ჩამოდის, ქვეშ მშვენიერი მარმარილოს მსგავსი თეთრი ქვების ფიცრებისაგან გაკეთებული მრავალი აუზებია, დაახლოებით 6 საჟენის ფართობზე. ქვები სუფთად გაშალაშინებული და ერთი მეორეზეა მიდგმული. აუზს ირგვლივ შემოყოლებული აქვს ერთი მეორიდან, ნახევარი ადლის დაშორებით, **თავჯამა წვრილი ქვის ღარები,** რიცხვით 175. აქ ჩვენი ქალები ათასობით ძროხებს მორეკავდნენ, ჩააყენებდნენ წრეში ძროხებს ისე, რომ თავჯამა ძროხის ძუძუს

ქვეშ მოქცეულიყო და წველიდნენ. თავჯამიდან რძე აუზში ჩადიოდა, ხოლო ზედა აუზიდან ქვეშ სოფ. **დიდ სარძევეში** გამართულ აუზში მოდიოდა. აქ რძეს ანაწილებდნენ, ზოგს ყველისათვის, ზოგს ერბოსათვის და სხვა. მერე მზამზარეული რძის ნაწარმი იგზავნებოდა საქართველოს ყველა ქალაქ – სოფელში. ეს აუზები დღესაც ყველა მთელია, მხოლოდ აქა – იქ მოაჯირების ზედა პირია შელახული და ჯამები მომტვრეული.

სოფ. **დიდ სარძევეში მალაკნები** 1882 წლიდან ცხოვრობენ, რომლებსაც ქართული სახელი – **სარძევე** არ მოსწონებიათ და სოფლისათვის „**ნიკოლაევკა**“ დაურქმევიათ. მაგრამ **ქართველი მაჰმადიანები ნიკოლაევკას** ისევ **სარძევეს** უწოდებენ. აქ. სოფ. **სარძევეში**, მტკვრის პირად, ნახავთ გვირაბის თავს **„მდევთა საჭურჭლედ“** წოდებულს, რომლის შესავალ თავთან უზარმაზარი ქვა ძევს. გვირაბის თავი იწყება შუა სოფლიდან და მოდის ვერსნახევრის მანძილზე ჭალაში, მტკვრის პირით, ხსენებულ ქვაბამდე. 1882 წ. აქ **პიატიგორსკის რაზმი** მდგარა და ჯარისკაცებს აქ თავიანთი საჭიროებისათვის ორმო რომ ამოუთხრიათ, გვირაბის ზემო კედლები ჩაქცეულა და ჯარისკაცები შიგ ჩაცვენილან. მათ ამოსაყვანად ამხანაგები რომ ჩასულან, უნახავთ დიდი მუხის ყუთში ჩაკეტილი **საეკლესიო განძი ოქრო – ვერცხლისა, ძვირფასი ქვებით მორთული. ეს განძი ჯარის სარდალს პეტერბურგში (ლენინგრადში) გაუგზავნია.**

აქედან სოფ. **თაბაქეთში** მივედი. აქ 64 კომლი ანუ 607 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**.

აქვე, სოფლის მაღლობზე, **ეკლესიის** ნანგრევია. აქედან სოფელ **წერეთელუბანში** გადმოვედი. ამ სოფელს ახალგაზრდები **წერეთუბანს** უწოდებენ. აქ 31 კომლი **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქ დიდი ეკლესიის ნანგრევია. აქვე ორი ვერსის იქით სოფ. **წერეთმანია**. აქ 20 კომლი ანუ 179 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** აქვე მაღლობზე მეორე **წერეთმანია**. ეს ნასოფლარია. აქ ერთი **ნაეკლესიარია**.

აქედან სოფ. **ჩადში** მივედი. ეს სოფელი ხევშია. აქ 9 კომლი **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის გარეთვე მოზრდილი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ, ცოტათი მოშორებით, სოფელი **ჩიქორაა**. აქ 72 კომლი ანუ 360 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს.

აქედან სოფ. **დადაგულში** გადავედი, აქ 126 კომლია ანუ 533 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქ ერთი მოზრდილი **გუმბათიანი ეკლესია მდგარა, უძვირფასესი ჩუქურთმებით შემკული**, მაგრამ დაუნგრევიათ, და მისი კედლებიღა დგას. აქვე ახლოს მეორე სოფ. **დადაგულია**. ამ სოფელში 140 კომლი ანუ 599 სული **ქართველი მაჰმადიანი** ბინადრობს. აქ ორი **ეკლესიის** ნანგრევია.

აქედან ცოტათი მოშორებით სოფ. **მანდოთხია**. ეს სახელწოდება ალბათ სოფლისათვის ეკლესიების საპატიოდ დაურქმევიათ. აქ **ოთხი ეკლესიის ნანგრევია.** აქ 18 კომლი ანუ 146 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** შემდეგ არის სოფ. **რევაზი**. აქ 40 კომლი ანუ 340 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქ ერთი მოზრდილი და ლამაზი **ჩუქურთმებით შემკული ეკლესია დგას გუმბათით**, რომელიც ნახევრად დანგრეულია.

შემდეგ **იწყება სოფ. ტბეთი.** აქ 45 კომლი ანუ 247 სული**ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ სოფ. **ხევაშია**. ეს სოფელი სოფ. ხევშია გაშლილი და ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ხევაში. აქ 6 კომლი ანუ 77 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქედან სოფ. **ჩაქრაში** გადავედი. აქ 20 კომლი ანუ 135 სული **ქართველი მაჰმადიანია.** რატომ დაურქმევიათ ასეთი ცუდი სახელი ამ სოფლისათვის? არავინ იცის. აქ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია, რომლის კედლების ნაშთიღაა დარჩენილი.

აქედან გადავედი სოფ. **არძადახევში. არძა** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **სულ** ანუ **ყველას**, **და** კავშირია, ხოლო **ხევი** ქართულია. აქ 26 კომლი ანუ 271 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქ ერთი **პატარა ეკლესიისა და ციხის ნანგრევია.**

აქედან სოფ. **გინდაშენში** ჩამოვედი. აქ 56 კომლი ანუ 387 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქ არის **ორი ეკლესიის** ნანგრევი.

იქვე ახლოს ქვემო **გინდაშენია**. აქ 15 კომლი ანუ 103 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ მივედი სოფ. **კალანდარ – დარაში**. აქ სამი კომლი ანუ 37 სული **ქართველი მაჰმადიანია.** სოფლის გარეთ ერთი პატარა **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფელი **ქირფაშენია**. უფრო სწორეთ იქნება, ვთქვათ **ქორფა – შენი.** აქაც 27 კომლი ანუ 348 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქაც დიდი ეკლესიისა და პატარა ციხის ნანგრევია.

შემდეგ მივედი სოფ. **ფალასაში**. აქ ათი კომლი ანუ 129 სული **ქართველი მაჰმადიანია.** სოფ. **ღუმეც** იქვეა. აქ 37 კომლი ანუ 386 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქ კლდის ქვეშ, ღელესთან ერთი **ეკლესიის** ნანგრევია, რომლის მარტო კირში შედუღებული ნანგრევები ყრია.

აქედან სოფ. **ფეთობანში** გადავედი. აქაც 40 კომლი ანუ 480 **ქართველი მაჰმადიანია**.

აქედან სოფ. **გიორგის უბანში** მივედი. აქაც 19 კომლი ანუ 380 სული **ქართველი მაჰმადიანი**ა. ერთი **პატარა ეკლესიის ნანგრევია.** შემდეგ სოფელი **მუღლაურია**. აქ 10 კომლიანუ 60 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქედან გადავედი სოფ. **ლამიანში**. **ლამიანი** ქართული სიტყვაა, ნიშნავს სინესტეს, ანუ წყლის ნარჩენ ტალახს. აქაც 10 კომლი ანუ 139 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქედან სოფ. **შუაწყალაა**; აქაც 40 კომლი ანუ 589 სული**ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ სოფ. **ხერთვისია**, აქ კი 9 კომლი ანუ 109 სული**ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ სოფ. **სათლელია**. აქ 20 კომლი ანუ 346 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქედან სოფ. **ქრემია**. აქ 10 კომლია ანუ 120 სული **ქართველი მაჰმადიანია.** ეს სოფელი მაღლობზეა. ამ მაღლობზე დიდი **ციხეა აღმართული,** რომლის 6 – 7 საჟენიანი კედლები ამაყად გადმოსცქერის მტკვარს. ციხე თითქმის დაუზიანებელია და მეტად ლამაზად გამოიყურება. ციხის კედლებზე მიდგმული სახლები დანგრეულია.

აქვე ახლოს სოფ. **სტეფანწმინდაა**. აქ 22 კომლი ანუ 200 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ სოფ. **ზეინდალია**. **ზეინდალი** ქართული სიტყვაა და ნიშნავს **აბჯრის ჯაჭვის თვალს**. ეს სოფელი ოდესღაც ზევით ყოფილა გაშლილი და მიწის ნძრევის გამო ნახევარი ვერსით ქვეშ ჩამოსულა, ხოლო მის თავზე **მდგარი ჩუქურთმიანი** და **გუმბათიანი დიდი ტაძარი** ზევით დარჩენილა **სრულიად დაუზიანებლად**. ეკლესიაში **მხატვრობა სრულიად დაუზიანებელია.**

შემდეგ სოფ.**დიღვირია**. ეს სოფელი მტკვრის პირად სწორ ადგილზე დგას. იქავე სახლის ახლოს **პატარა ციხეა,** რომლის მაღალი კედლები ხელუხლებელია. ხოლო სახლები, როგორც ციხის შიგნით, ისე გარეთ დანგრეულია და კედლებიღა ჩანს.

ციხის პირდაპირ, მტკვარზე, **თამარისეული ხიდია** გაშენებული. მისი თავები მთელია, მხოლოდ შუა ადგილზე ჩამტვრეულია. აქ 60 კომლი ანუ 606 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე სოფ.**ჯმაჯუნია**. ესეც ქართული სიტყვაა. ეს სოფელი ტყეში დგას, აქაც **ციხეა**... სოფელს გვერდით დიდი ხევი მიუდის თავისი ღელეთი. აქ 46 ანუ 570 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

სოფ. **ღვინიაც** იქვეა. **აქ გუმბათიანი საშუალო ზომის ეკლესია დგას. ეკლესია ხელუხლებელია**. როგორც მიამბეს მოხუცებულებმა, მიწისძვრის დროს მრავალ **ჭურის თავებს ვნახულობდითო**. მართლაც, აქ უამრავი ქვევრების ნატეხები ყრია. ოდესღაც აქ ვენახების ზვარი ყოფილა და ქართველები ღვინოს იწევდნენ.

აქედან ერთი ვერსის დაშორებით, სოფელზე უფრო დაბლა, კლდის მწვერვალზე საშუალო ზომის **ციხე** დგას, რომლის მაღალი **კედლები დღესაც მთელია.** დასავლეთის მხარეს ციხეს პატარა ღელე უვლის თავის ციცაბო კლდით, ხოლო აღმოსავლეთით მდ. მტკვარი თავისი თვალუწვდენელი ხედებით. ციხეს მისასვლელად სოფლიდან პატარა ბილიკი მიუდის და პირდაპირ ციხის კარებს ადგება; ეს ციხე წინეთ მაღლა მდგარა, მაგრამ 1900 წელს მიწისძვრა ყოფილა და ნაწილი კედლისა ჩამონგრეულია, აქ 26 კომლი ანუ 340 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ არის სოფ. **ჭაბურია**. აქ ოდესღაც ღრმა ჭა ყოფილა, მაგრამ **ქართველ მაჰმადიანებს** ამოუვსიათ. ჭის თავი დღესაც ჩანს. აქ 30 კომლი ანუ 355 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ არის სოფ. **კოდისწყარო**. აქ 17 კომლი ანუ 1245 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე მეორე კოდისწყაროა, ნასოფლარი.

იქვე სოფ. **საჯაა. საჯა** თათრული სიტყვა არ არის; მე მგონია, ქართული უნდა იყოს, რადგანაც **საჯ** ძირია ქართული სიტყვისა. აქ 15 კომლი ანუ 122 სული **მაჰმადიანი ქართველი** ცხოვრობს.

იქვე სოფ. **კაპანია**. **კაპანი** ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ქვაღოჯს**. აქ, მართლაც, ადგილმდებარეობა **ღოჯ** – ქვებისაგან შედგება და ალბათ ამიტომ დაარქვეს ამ სოფელს **კაპანი**. აქ 5 კომლი ანუ 66 სული**ქართველი მაჰმადიანია**.

იქვე სოფ. **ჩოჩრევანია**. ესეც ქართული სიტყვაა, აქაც 14 კომლი ანუ 156 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ სოფ. **კობალაა**.ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ხარის გაბარებას.** აქ 9 კომლი ანუ 130 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქვე სოფ. **სათიბია**. აქ 12 კომლი ანუ 108 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე ახლოს სოფ. **ბანარხევია**, აქ 28 კომლი ანუ 230 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქ პატარა **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ იწყება სოფ. **სურგიშენი**. **სურგი** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **მიჯნას, საგორაოს**. აქ 5 კომლი ანუ 50 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვეა სოფ. **დგას**. ამ სოფელს ირგვლივ ტყე არტყია და სოფლის ადგილმიდამოც ფეხმიუკარებელი თავდაღმართია. აქ 9 კომლი ანუ 90 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ არის სოფ. **ვარძინა**. **ვარძინა** მე მგონია ქართული სიტყვაა (ლაზი ენათმეცნიერის **ციალა ნარაკიძის** ცნობით, სიტყვა **„ვარძია“** მომდინარეობს ლაზური სიტყვისაგან „**ვარძირა**“; „**ვარ**“ არის უარყოფითი ნაწილაკი – „**არ**“, ხოლო „**ძირა**“ ნიშნავს „**ნახვა**“ – ს. ე.ი. „**ვარძირა** – „**არნახვა**“, „**არნახო**“. ქალბატონ ციალას ეს ცნობა მოაქვს სოფელ **კვარიათში** მცხოვრები ორი მოხუცის ნაამბობიდან. მთქმელები არიან **მემედ ნარაკიძე** და **იუსუფ კაკაბაძე**. მასალა ჩაწერილია 1975 წელს სოფელ **კვარიათში**. შ.ფ.). აქაც 20 კომლი ანუ 250 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე სოფ. **მარცვალეთია**; აქ 9 კომლი ანუ 108 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ სოფ. **ზედაწმინდაა**. აქაც 16 კომლი ანუ 170 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

აქაც სოფ. **ვარხანაა**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 20 კომლი ანუ 240 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე სოფ. **ობოლია**. აქაც 10 კომლი ანუ 180 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ სოფ. **ყველია**. აქ **ქართველი მაჰმადიანები** დღესაც ჩინებულ ყველს აკეთებენ. ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის სახელად **ყველი.**

იქვე სოფ. **აღარაა.**ეს სიტყვა უარყოფას ნიშნავს ქართულად. აქ სოფლის ციცაბო კლდეზე აღმართულია **დიდი ციხე.** ეს ციხე დღესაც **ხელუხლებელია და მიუვალი.** მისი მაღალი და დიდრონკბილებიანი კედლები, როგორც ამაყი **დარაჯი, ისე დასცქერის ქვევით სოფელს**. ციხე, როგორც შიგნიდან, ისე გარეთაც ლამაზი სანახავია. შიგ სახლები დანგრეულია. ციხეში წყლის ასაყვანი მილები ყველა მთელია. ციხეს გვირაბიც აქვს, მაგრამ ვეღარ გავიგე, სად მიდის ეს გვირაბი და ვერც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მითხრეს ამის შესახებ რაიმე. აქ 32 კომლი (ანუ 250 სული) **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ იწყება სოფ. **საიხვე**. აქ უამრავი გარეული იხვი ბუდობს და სოფლისათვის ამიტომაც დაურქმევიათ **საიხვე**. აქ 18 კომლი (ანუ 222 სული) **ქართველი მაჰმადიანია.**

აქედან ცოტა მოშორებით სოფ. **ვაშლია**; აქ ჩინებული ვაშლი ხარობს. ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ მისთვის ასეთი სახელი, **ვაშლია**. აქაც 40 კომლი ანუ 459 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ არის სოფ. **ჯუმათლი.** აქ 31 კომლი ანუ 29 სული **ქართველი მაჰმადიანია.** ეს სოფელი ცნობილია საერთოდ ხილით და მეტად ვაშლით.

მერე არის სოფ. **წურწყაბი**. ესეც ქართული სიტყვაა, აქ 93 კომლი ანუ 920 სული **ქართველი მაჰმადიანია.** მერმე იწყება სოფ. **ხევათი**. აქ 18 კომლი ანუ 202 სული **ქართველი მაჰმადიანია.** ამ ზემოთ აღნიშნულ 34 სოფელში მცხოვრებლებმა **ქართველმა მაჰმადიანებმა თითქმის ყველამ იცის ქართული ლაპარაკი**.

მერე იწყება სოფ. **ხუნაგოსი**. **ხუნაგოსი** ქართული სიტყვაა და ნიშნავს სასის გასიების ავადმყოფობას. ღრმად მოხუცებულებმა მითხრეს, რომ ადგილობრივი წყლის წყალობით, ხშირად ხდებიან აქ ბავშვები ხუნაგით ავათ და სოფლისათვისაც, ალბათ, იმიტომ დაურქმევიათეს სახელი. აქ 28 კომლი ანუ 263 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი მაღლობზე დგას და მის დაბლობზე ერთი **ლამაზი და სრულიად მთელი პატარა ციხე დგას.** ხოლო სოფელს ზევით **გუმბათიანი ეკლესიაა, რომლისთვისაც ვიღაცას გუმბათი მოუტეხია და კედლებიღა დარჩენილა.**

შემდეგ სოფ. **თამარია**. ეს სოფელი განთქმული ყოფილა **ბუნებრივი თბილი აბანოთი**, რომლის კედლები დღესაც მთელია. მხოლოდ აქა – იქ დაზიანებულია. აბანო თეთრი, მარმარილოს მსგავსი ქვების მაზმაროთია შემკული. აბანოს შენობა მოგაგონებთ დამხობილ თუჯის ქვაბს, ვინემ სახლს. აქ 6 კომლი ანუ 60 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ სოფ. **ღვრიაა**. აქ 6 კომლი, ანუ 82 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **ოხთელია**. აქ პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი **ეკლესია** დგას, რომელიც **გეგონებათ, ამ ათი წლის წინეთ აუშენებიათო.** შიგნითაც **მხატვრობა მშვენივრადაა შენახული**. აქ 14 კომლი ანუ 90 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე, ახლოს, მდებარეობს სოფ. **სამხლია**. აქ 52 კომლი ანუ 179 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ იწყება სოფ. **მერე**. სოფელი მაღლა სალი კლდის თავზეა გაშლილი. ხოლო ცოტა დაბლა, მთის მაღალ გოხს კალთაზე, სრულიად **მთელი და მაღალ – კბილებიანი ციხე დგას**. რომელიც მტკვრის ღრმა ხეობას ჩასცქერის. აქ 9 კომლი ანუ 153 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ.

აქედან 304 ვერსის იქით სოფ. **ალია**. **ალი** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **აიღეს**, ანუ შეიძლება **ცეცხლის ალსა** ნიშნავს. ეს – ყოველ შემთხვევაში. აქ არც თათრებს და არც სხვა რომელიმე ეროვნებას, გარდა ქართველებისა, არ უცხოვრია და სახელიც ქართული უნდა ერქვას. აქ 42 კომლი ანუ 473 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქ მცხოვრებლები თითქმის **ყველანი ქართულს ლაპარაკობენ.** აქ სოფლის თავზე, მაღლობზე, **ერთი დიდი და დიდებული ეკლესია დგას**. ეს **ეკლესია გელათის მონასტრის ოდენაა. ეკლესია სრულიად მთელია, მხოლოდ გუმბათი, იქ სადაც ჯვრის ადგილია, ერთი ადლის ფართობზე ჩამტვრეულია**. შიგნით ეკლესიაში ძვირფასი ძველებური მხატვრობა სრულიად დაცულია. ეკლესიის წინ ერთი დიდი და სუფთად გაშალაშინებული თლილი ქვა გდია, რომელიც თავისი მოყვანილობით ემბაზს მოგაგონებს. თვით ეკლესია ძვირფასი ფაქიზი **ჩუქურთმებითაა მორთული და გუმბათიც ლამაზი აქვს.** ეკლესიის ეზოში სასაფლაოა. მიწა ფხვიერია, და სადაც ფეხს წაჰკრავთ მიწას, ადამიანის ძვლები და ქალა ამოსცვივა. **ქართველი მაჰმადიანები ამ ეკლესიას კრძალვით ეპყრობიან.** სოფელში **ცრუმორწმუნეობაა გამეფებული, თითქოს ეკლესია ღამ – ღამეობით ანათებს.** ამის შესახებ ღრმა მოხუცებულმა ა. **მიქელაძემ მიამბო,** რომ ბნელს ღამეში სიკვდილის ანგელოზი მოფრინდება ხოლმე. ჩამოჯდება ეკლესიის გვერდით დიდ ხეზე და როგორც ცეცხლი ანათებსო. გვათვალიერებს, თუ ვინ არის ბოროტი, რომ წაგვიყვანოს, მიგვაბაროს მაჰომედის სასუფეველს და ჯოჯოხეთში ჩაგვაგდოსო.

სოფ. **ალის** შემდეგ სოფ. **საკირეა**. ამბობენ, როდესაც ამ ეკლესიას აშენებდნენ, კირს აქ სწვავდნენ და მერე გაშენდა ეს სოფელი და სახელად **საკირე** დაარქვესო. აქ ერთი პატარა, **კარგად შენახული, ციხე დგას.** სოფელში 45 კომლიანუ 478 სული **ქართველი მაჰმადიანია. ქართულს აქაც თითქმის ყველა ლაპარაკობს**.

შემდეგ არის სოფ. **ენიქეი. ენიქეი** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **ახალ სოფელს.** წინეთ მას **მიქელაძეთა** უბანი ჰრქმევია. აქ 30 კომლი ანუ 387 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ არის სოფ. **ჭანჭახი.** ეს სოფელი ჩავარდნილ ადგილზეა გაშენებული, რომლის მწვერვალებზე, ერთი მეორის პირდაპირ, ვეებერთელა ციხეები დგას, რომელთაც ქვეშ გიჟი წყარო საშინელის ღრიალით ჩაურბის. სოფელში ერთი **პატარა ეკლესია დგას,** რომლის კედლები პერანგის ქვისაგან გაცლილია. აქ 30 კომლი ანუ 365 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქვე ახლოს მდებარეობს სოფ. **არილი**. **არილი** ქართული სიტყვაა, ნიშნავს **დასასვენებელ წმინდა ადგილს**. აქ 74 კომლი ანუ 1002 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქვე ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

აქედან ახლოსსოფ. **ჩრდილეთია**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. ეს სოფელი გაშლილია **გიჟი წყაროს** პირთან, სადაც გაშენებულია **თამარისეული დიდებული ბადელას ხიდი.** აქედან გადავედი სოფ. **დარინ – დარაში**. ეს თათრული სიტყვაა და ქართულად **ღრმაღელესა** ნიშნავს.

– ძველად, ჩვენს მახსოვრობაში, ამ სოფელს **ღრმაღელეს** ვუწოდებდითო – მითხრა ღრმად მოხუცებულმა თ. **ფაღავამ**.

შემდეგ სოფ. **სატყებელია**. ესეც ქართული სიტყვაა და ამ სოფელში ქართველი **მაჰმადიანები ცხოვრობენ.**

შემდეგ არის სოფ. **შავწყალა**. ეს ნასოფლარია. აქამდე ეს სოფელი **შავწყალად** იწოდებოდა, ახლა ის **დამავლიათ** გადმოუნათლავთ.

აქედან ქალაქ არტაანში დავბრუნდი და გზადაგზა ნასოფლარ **ქოფალაში** გამოვიარე. ეს ნასოფლარი 17 – 18 ვერსით ახლავს ქ. არტაანს. ეს ნასოფლარი გაშლილია ერთ მაღალ მთის კალთის ქვეშ. ძირში მას მტკვარი მოუდის. ჩემის აზრით, სიტყვა **ქოფალი** დამახინჯებულია. უნდა იყოს – **ქობალი** ანუ ხორბალი. **ქობალი** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **პურს**, ხოლო **ხორ-**

ბალი – მარცვალია, პური. მიუხედავად არტაანში მოკლეხნიანი ზაფხულისა, აქ პური კარგად ხარობს და თავის ღირსებით აჭარბებს გარე კახეთის პურს.

აქვე, ახლოს, მდებარეობს ნასოფლარი **ყიზილ – ქილისა**. ეს სიტყვა ქართულად ნიშნავს **ოქროს ეკლესიას.** ნასოფლარის ზემოთ, ასე, ასი – ორასი საჟენის დაშორებით, ერთი საკმაო მოზრდილი, ლამაზი და საუკეთესო ღირსების მქონე, თეთრი ქვებისაგან აგებული **გუმბათიანი ეკლესიაა აგებული,** რომელიც ჟამთა ვითარებას შუაზე გაუხეთქია. ნახევარი, როგორც დიდებული ბანას ტაძარი, დანგრეულია, ნახევარი კი გუმბათით მთელია. **მხატვრობა მშვენივრად არის დაცული.** ეკლესიის **მაღალი ხელოვნების გრეხილები და ნაირ – ნაირი ჩუქურთმები** დიდის ხელოვნებით არის შესრულებული. აქვე, ახლოს, რამდენიმე პატარა – პატარა **ეკლესიების** ნანგრევებია. არის სხვა ნანგრევებიც, მაგრამ ვერ გავიგე, ციხისაა, თუ გალავნის. შეიძლება, აქ ოდესმე ქალაქი ყოფილიყოს.

აქედან 3 ვერსის დაშორებით, მთის კალთაზე, მტკვრის პირად, სოფ. **პანკისია**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

შემდეგ არის ნასოფლარი **ბებერია**; აქ მტკვრის პირად, მთის მაღალ ფერდობზე ერთი დიდი და **ლამაზი ეკლესია ყოფილა გაშენებული,** მაგრამ დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიღა დგას, მშვენიერის **ჩუქურთმებით შემკული.**

შემდეგ არის ნასოფლარი **თუთიყუში**. ეს ნასოფლარი უშნო ადგილზე ყოფილა გაშენებული და ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ **თუთიყუში**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

აქვე, მთაზე, აღმართულია საშუალო ზომის **ლამაზი ციხე,** რომლის კბილებმოტეხილი კედლებიღაა დარჩენილი. შემდეგ იწყება სოფ. **ქარგალი**. ეს ქართული სიტყვაა. სოფელი მთის მაღლობზეა გაშენებული და ქვეშ მტკვარი ჩაუდის. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. **ეკლესიის ნანგრევები** აქაც არის.

ორი ვერსის შემდეგ, ხევის პირად სოფ. **სიხარბეთია**. ეს ქართული სიტყვაა; აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ, ნახევარ ვერსის დაშორებით, მაღალ კლდეზე **ციხე** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიღა გადარჩენილა.

შემდეგ იწყება სოფ. **დამალი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. სოფლის ზემოთ, მთის წვერზე, საშუალო ზომის **ციხე** დგას, რომლის კედლებიც აქა – იქ ჩამონგრეულია.

შემდეგ სოფ. **ბანიკია**. იგი მთის ქვედა კალთებზეა გაშენებული, ხოლო ზემო კალთაზე დიდი ზომის **ეკლესია** მდგარა, მაგრამ დანგრეულა და **მისი მაღალი კედლები სვეტებივით დგას**; ეტყობა, ეკლესია **უაღრესი ხუროთმოძღვრული ხელოვნებით** ყოფილა აშენებული.

ამის შემდეგ იწყება სოფ. **დიდი ყურთ-ოღლი,** რაც ნიშნავს დიდი **მგლის შვილს**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ, მთის მწვერვალამდე საშუალო ზომის **ეკლესიაა** აღმართული, მაგრამ ისიც პერანგის ქვებისაგან არის გაძარცვული.

ამ სოფლიდან ორი ვერსის იქით **პატარა ყურტყ – ოღლია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც მთის მაღლობზე **ეკლესია** დგას, მაგრამ პერანგი ქვებისაგან გაძარცულია.

შემდეგ არის ნასოფლარი „**შავ**“ – ი.

მერე კიდევ ნასოფლარი „**კბლი**“ – ა. **კბლიც** შეცთომაა, უნდა იყოს **კბილი.**

შემდეგ სოფ. **ლეემლია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც მოზრდილი **ეკლესია** დგას, მაგრამ პერანგი ქვებისაგან გაძარცულია.

შემდეგი სოფ. **ომარ – აღაა**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქედან ორი ვერსის დაშორებით სოფ. **ჩალაბაშია**. ამ სოფელს წინათ **თავ – ჩალას** ეძახდნენ თურმე და ქურთებს **ჩალაბაში** დაურქმევიათ,

ე.ი. ქართული სიტყვა თათრულად გადაუთარგმნიათ. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქ სოფლის ზევით მთის მაღლობზე დიდი **ეკლესია** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ და მისი კედლებიღა დარჩენილა.

აქედან 4 ვერსზე დაშორებით, ყარსის მიმართულებით, **თამარისეული შარას** პირად, სოფ. **ხასეია**. **ქართველი მაჰმადიანები** ამ სოფელს **კარგსოფელს** უწოდებდნენ თურმე, მაგრამ რუსის მეფის მთავრობას **1878 წლის შემდეგ ამოუხოცნიათ ისინი** და ზოგიც **სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები ციმბირში გადაუგზავნია.** აქ დასახლებულან **ქურთები** და **კარგი სოფელი ხასეიად** მოუნათლავთ. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქ ერთი საშუალო ზომის **ეკლესიის ნანგრევია** და **ორი ციხის**; ერთი პატარა და მეორე დიდი. დიდი ციხე მთელია, პატარა – დანგრეულია და მხოლოდ მისი კედლები გადარჩენილა.

აქედან სამი ვერსის შემდეგ **თამარისეული შარა – გზის პირად,** ხევის ფერდობზე, გაშლილია სოფ. **ხევის კარი**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ ნასოფლარია **შინაუა**. მოხუცმა **ქართველმა მაჰმადიანებმა** მითხრეს, რომ ამ ნასოფლარის სახელად **შინაური**დაურქმევიათო. აქ **ეკლესია** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ.

აქედან შორს, ოლთისის ოლქის მიმართულებით, სოფ. **მწყემსის – კეხია**. მაგრამ ეს სახელი ადგილობრივ **ქურთებს ჩობან – კეხად** გადაუნათლავთ. სოფელი გაშლილია საშუალო სიმაღლის მთის კალთაზე, რომლის მწვერვალი უნაგირის კეხივით ჩაზნექილია და, ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **მწყემსის კეხი.** ძველად სოფელში განსაკუთრებით მწყემსებს უცხოვრიათ. მაგრამ რუსის მეფის სარდლობას **ქართველი მაჰმადიანები ამოუხოციათ** და აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც **ეკლესია** მდგარა, მაგრამ ქურთებს დაუნგრევიათ და მისი კედლებიღაა დარჩენილი. მთაზე პატარა **ციხე** მდგარა, მაგრამ ესეც დაუნგრევიათ და მისი კედლების გარდა არა დარჩენილა რა.

აქედან მე – 4 ვერსზე დიდ და განიერ ხოშორქვიანს ველზე სამი ვერსის ფართობი შამბნარიანი უქვო მინდორია, რომელიც ირგვლივ გალავნის მსგავსი ბრტყელ და მაღალი მთით შემოზღუდულია; მაგრამ აღმოსავლეთით თითქო მთას სიგრძე არ ყოფნიათო, ათი საჟენის ფართობზე კარი ღია დარჩენილა. შიგნით ამ შამბნარში **40 წყაროა**, რომლებიც მიწის ქვეშიდან ზევით, ნაბუვარი ადლის მოცულობის სიმსხო, როგორც შადრევანი, ცემს, დგება ადლის სიმაღლეზე ტბა და ღია კარებთან მოსული თანდათან ვიწროვდება, იღებს მდინარის სახეს და სამი საჟენის ფართობი ჯერ სწორად და შემდეგ გველივით მიხვეულ – მოხვეული უახლოვდება მეოცდაათე ვერსზე ხევს და, ვით დაჭრილი ლომი, ყვირილით ექანება ქვეშ, ქ. არტაანისაკენ.**წყალი, როგორც ალმასი, წმინდაა, ცივი, ანკარა**, რომელშიაც პატარ – პატარა კალმახები დასრიალებენ და ეთამაშებიან მზის სხივებს. აქ, გასავალ კართან, ვიღაცას ძვირფასი მარმარილოს დიდრონი ქვის ფიცრებიდან აღუმართავს გუმბათიანი ეგვიპტე, წინ მარმარილოსავე ონკანით და ქრონიკონი **„უ ო ვ“ (476) ხუცურად წაუწერიათ.** წარწერა ვიღაცას რკინის იარაღით გაუფუჭებია და ამოკითხვა ძნელია. მე ამოვიკითხე და აზრი **წარწერისაც** დაახლოებით ამ შინაარსისაა:ვიღაც საქართველოს მეფეს **უოვ** წელს დაღუპვია ამ მტკვრის სათავეში ბანაობის დროს ქალიშვილი და სახსოვრად იმ დამხრჩვალ ქალიშვილისა აუშენებია ეს გუმბათიანი ეგვიპტე თავისი ონკანით, რათა ვინც წყალს მიირთმევდა, შეეთვალა მისი ასულისათვის შენდობა. წარწერა ვრცელია, მაგრამ მისი ამოკითხვა ვერ შევძელი (უშავსაღებაოთ)უთვალიარაღოდ.

მტკვრის სათავის დათვალიერების შემდეგ გადავედი სოფ. **ორდინაქში**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფ. **უჩიკილისა,** რაც, ჩემის აზრით, **„სამი ეკლესიის“** თარგმანია. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. ბერძნებს სოფლის სახელი არ მოწონებიათ და **სამი ეკლესიაუჩოკილისად** გადაუთარგმნიათ. როგორც მითხრეს, ბერძნები აქ **გადმოსახლებულან 1878 წელს. ქართველ მაჰმადიანების ამოჟლეტის შემდეგ.**

სოფელში მართლაც **ეკლესია** მდგარა, მაგრამ ბერძნებს პერანგის ქვები ჩამოუღიათ. აუშენებიათ ერთი ეკლესია და რაც ქვები გადარჩენილა, თავიანთთვის სახლები აუშენებიათ.

შემდეგ იწყება სოფ. **ვარგენეს**. აქაც **სამი ეკლესია** ყოფილა. ერთი მათგანი, რომელიც სოფელში მდგარა, ადგილობრივ **ბერძნებს დაუნგრევიათ** და მის ადგილზე აუშენებიათ თავიანთთვის ეკლესია, ხოლო დანარჩენი ორი ეკლესია ჯერ გაუძარცვიათ პერანგის ქვებისაგან და მერე დაუნგრევიათ. ხოლო **ბალავერი და ტრაპეზის ქვები ხელუხლებელი დაუტოვებიათ.** მაღალ მთაზე, სოფლის მოშორებით, **ხელუხლებლად დგას დიდი ეკლესია, რომელსაც ბერძნები ნაცვლად ღვთისმშობლისა, წმინდა ილიასას უწოდებენ**.

შემდეგ ტრიალ მინდორზე სოფ. **არფაშენია.არფა** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **პურს**, მაგრამ მე ვფიქრობ **არფა** არ უნდა იყოს, არამედ **აბა – შენია**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე, ახლოს, სოფ. **მერდენეგისაკენ** სოფ. **თელიოღლია**. ეს ქურთიაღას სახელია. შეიძლება ვინმე მდიდარმა ქურთმა, როგორც სოფლის მბრძანებელმა, მიითვისა სოფელი და მას თავისი სახელი უწოდა. აქ სოფლის გარეთ **ეკლესიის** ნანგრევი ჩანს.

შემდეგ მდებარეობს სოფ. **ხირმზიანი**. ეს სიტყვა დამახინჯებულია, რადგანაც **ხირ** არც ქართულში, არც თათრულში, არც სომხურში არ მოიპოება. ამიტომ სინამდვილეში სოფლის სახელი **პირ – მზიანი** უნდა იყოს და არა **ხირ – მზიანი**. ეს სოფელი მაღლობსა და ღია ადგილზე დგას; მზიან დღეს დილიდან საღამომდე მზე დასცქერის ზედ. აქ სამი **ეკლესია დგას,** ორი დანგრეულია და მისი კედლებიღაა დარჩენილი, მესამე კი **ხელუხლებელია და მთელი დგას.** აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე, ახლოს, ნასოფლარი **არფა – ერმაზია**. ეს სახელი თათრულია და ქართულად ნიშნავს „**ქერიარხარობს**“. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

იქვე ნასოფლარი **სინაბეზანია**. აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევია. შემდეგ იწყება ნასოფლარები **ხარაბახევი**. **ხარაბა** თათრული სიტყვაა, ნიშნავს **ცარიელი**, **აოხრებული**. ე.ი. **აოხრებული ხევი.** აქ **ორი ეკლესიაა**. პატარა ეკლესია, რომელიც ნასოფლარშია და დანგრეული, მეორე თვით ნასოფლარის ხევის გარეთ, ისიც დანგრეულია და კედლებიღა დგას.

იქვე **არხი – ოღლია**. **არხი – ოღლი** ქართულად ნიშნავს **გამხდარ შვილს.**

შემდეგ ორი დიდი ხევის პირზე დგას **სოფ. ხევი.** აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი დიდი **ეკლესიის** ნანგრევია.

ხევის ცოტა დაშორებით სოფ. **კუნდრუკია** გაშლილი. კუნდრუკი ქართული სიტყვაა, **გუნდრუკსა** ნიშნავს. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

იქავე ნასოფლარი **ქამარბელია**. აქ დიდი **ეკლესიაა**, რომელიც დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიღა დგას.

იქვე დაშორებით სოფ. **ფლორშანია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **ოლჩევანი**. ეს ქართული სიტყვაა.

მეორე სოფელი **ხარაბა – ალთუნაბულახია** და ნიშნავს **გაოხრებულ ოქროს წყაროს.** აქ ეტყობა რომ მშვენიერი აუზი ყოფილა წყაროს თავზე, მაგრამ სანახევროდ დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიღა დარჩენილა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე სოფ. **ზვინია**. ზვინი ქართული სიტყვაა. ეს სოფელი, მართლაც, იმერულ ზვინსა ჰგავს; აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება **ხოშ – დოლბანდი.** ეს თათრული სიტყვაა. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე, სამი ვერსის დაშორებით,**სოფ. ამურია.** აქ 6 კომლი ანუ 58 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს.

შემდეგ ჩრდილოეთით **დემურ – ყაფია**. ადგილობრივმა ბერძნებმა მითხრეს, რომ ჩვენ აქ მოსვლამდე, **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობდნენ. ამას **რკინის კარს** უწოდებდნენო, მაგრამ ჩვენ **დემურ – ყაფად** გადმოვთარგმნეთო. აქ ერთი ეკლესია ყოფილა, მაგრამ **ადგილობრივ ბერძნებს დაუნგრევიათ** და მისის ქვებით თავისათვის ეკლესია გაუშენებიათ.

აქედან ერთი ვერსის დაშორებით სოფ. **თათრის დემურ – ყაფია**, აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე ნასოფლარი **შავი – ციხეა**. სოფლის ახლოს დიდი მთაა, რომლის მწვერვალზე შავი ქვისაგან ერთი დიდი ციხეა გაშენებული. **ციხე მთელია** და მეტად ლამაზი. ციხეზე ასავალი გზაც მეტად საშიშია.

სანამ კაცი იქ ავიდოდეს, 4 – 5 ჯერ უნდა დაისვენოს. ამ ციხეს წყლის ამოსაყვანი მილები ჩაუდის ქვეშ. მაგრამ მდინარე იქ ახლო – მახლოს არ არის და არ ვიცი, საიდან ამოჰქონდათ წყალი.

ციხიდან გამოსული მოვედი ნასოფლარ **ხერთეოზში**. ხერთეოზი, ე.ი. **ხერთვისი**, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ჭალაკს**. აქ ერთი დიდი **ეკლესია** მდგარა მთაზე. მაგრამ დღეს მარტო მისი მაღალი კედლები – ღაა დარჩენილი.

ხერთეოზიდან ჩამოსული მოვედი ნასოფლარ **მაღალი – ჯიხაში**. **ჯიხა** ქართული სიტყვაა და ნიშნავს **კოშკს**. მთის მწვერვალზე **ამ კოშკის გიგანტური სიმაღლის კედლები დღესაცა დგას**.

აქედან წამოველი სოფ. **ტახტაკრანში**. სიტყვა **ტახტაკრანი** თათრულია, და ნიშნავს **ფიცრებს**. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც ეკლესია მდგარა, მაგრამ **ბერძნებს დაუნგრევიათ** და მისი ქვებით ახალი ეკლესია აუშენებიათ.

შემდეგ სოფ. **ტეხაშენია**. აქ **ხუთი ეკლესია მდგარა,** მაგრამ ზოგი სრულიად დანგრეულია და კირში შედუღებული ქვები ყრია, **ორი კი მთელია,** ქვის ფიქალით დახურული. ადგილობრივი **ბერძნები ერთ – ერთ ამ ეკლესიას წმ. სოფიოს ეკლესიას უწოდებენ, მეორეს – წმინდა გიორგისას**.

სოფ. **ტეხაშენის** შემდეგ ნასოფლარი **გუმბათია**. ესეც ქართული სიტყვაა და თვით ადგილიც გუმბათსა ჰგავს თავისი აბურთული ადგილ – მდებარეობით. ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **გუმბათი**. აქ სოფელში ერთი **ეკლესიის ნანგრევია.**

სოფ. **სანამ – ოღლიც** აქვე ახლოა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ყოფილა **ეკლესიის** ნანგრევი.

ერთი ვერსის დაშორებით ნასოფლარი **ფალ – ოღლია**. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ კიდევ ნასოფლარი **ფურქი – ფულია**.

აქედან მეოთხე ვერსზე არის სოფ. **პირ – დამალვა**. ეს ქართული სიტყვაა. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

შემდეგ არის სოფ. **კიალპი – ქალი** (კერპი ქალი?). აქ **სამი ეკლესია** მდგარა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **კეხი**. ეს ადგილი, სადაც სოფელი ყოფილა გაშენებული, ძალიან ჰგავს **კეხს** და ალბათ ამიტომ დაურქმევიათ **კეხი**.

შემდეგ სოფ. **თოფ – დაშია**. ეს სიტყვა თათრულია და ნიშნავს **ქვათაგროვას**. მართლაც, აქ ქვები გროვებად ყრია. აქ, **ქურთები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **ლაუსტანია**. აქ 5 კომლი ანუ 50 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქაც ერთი **ეკლესია** მდგარა, რომლის დაბალი კედლებიღაა დარჩენილი.

იქვე სოფ. **შაქია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქ სოფლის გარეთ დიდ და მაღალ კლდეზე **ციხე** დგას, რომლის დაუზიანებელი კედლები ქვეშ მტკვრის გაღმა სოფელს გადაჰყურებს.

იქვე ახლოს ნასოფლარი **სამი – ყრანია** (ამ სოფელს **სამი ონკანი ნარქმევა,** მაგრამ რუსებს **სამი კრანტი** დაურქმევიათ. მათ აქ მხოლოდ სამი წელიწადი უცხოვრიათ და შემდეგ თვითონ დასახლებულან).

აქედან სამი ვერსის დაშორებით სოფ. **ჩულია**. **ჩული** ქართული სიტყვაა და ჰქვიან **ცხენზე მოსახურავს**. აქ 1877 წლამდე **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ. შემდეგ **რუსის მეფის ჯარს ისინი ომის დროს ამოუხოცნიათ.** სოფელი გავერანებულა... აქ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

აქვეა სოფ. **ყარა – თათოხია**. ეს თათრული სიტყვაა და ნიშნავს **შავ – ქათამს**. აქ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **ლალა – ვარგან – ესია** (**ლალა** თათრულია და ნიშნავს **მოადგილეს**). აქ **ქურთები** ცხოვრობენ. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

იქვე შორი – ახლოს სოფ. **ბუღა – თაფაა**. (**ბუღა** ქართულია, **თაფა** – თათრულიდა ნიშნავს **მთას**) აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქ **მალაკნები** ცხოვრობენ და სოფლისათვის **ნოვაია ვორონცოვკა** დაურქმევიათ.

მერე იწყება სოფ. **ოჩხი** (ქართული სიტყვაა და ნიშნავს **თევზის საბუნაგოს**. **ოჩხი, ოჩხომური**). აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფ. **ბუღა – თაფა**. აქაც **მალაკნები** ცხოვრობენ და სოფლისათვის **ვორონცოვკა** დაურქმევიათ. იქვე, შორი – ახლოს, მდებარეობს საკვანძო სოფელი **მერდენექი**. მას სამი გზა სჭრის: ყარსი – აზრუმი და ახალქალაქ – არტაანი – მერდენექი. ყველა ესენი **თამარისეული შარა გზებია.** ეს სოფელი თავისი სტრატეგიულის მნიშვნელობთი ყოველთვის ომის ბედის გადამწყვეტი იყო. აქ **სამი ეკლესია** და ერთი პატარა **ციხე** მდგარა. ისინი 1877 – 78 წლის ომის დროს დაუნგრევიათ და მათი ნაშთიღა ჩანს. ამ სოფლიდან დასავლეთით ორი ვერსის სიმაღლე მთაა, რომელზედაც აღმართულია ცნობილი **ქორ – ოღლისციხე**, რომელსაც მაჰმადიანები **ქაჯეთის** ციხეს უწოდებენ. **ეს ციხე მგლის ციხეზე უფრო დიდია და მიუვალი.** ციხის გალავანი მეტად მაღალია. მისი ფართობი ნახევარ ვერსს უდრის. შიგნით გალავანში გიგანტური სიმაღლის კოშკია აღმართული თავისი სახლებით, მაგრამ სახლები დაუნგრევიათ და აქა – იქ საფეხურები ჩამონგრეული აქვს. ზედ ასვლას დიდი გაბედულება უნდა. ციხეს **ბარდის წყარო** უვლის, რომელიც მიუხედავად თავისი სიდიდისა, შავ ზონრად მოჩანს ქვევიდან. **ქოროღლის ციხე ყოველი მხრივ შესანიშნავია და მტრისათვის მიუვალი.**

აქედან გადავედი სოფ. **მხკერეკში**. **მხკერეკში** ორი **ეკლესიის** ნანგრევია. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

აქედან სამი ვერსის იქით სოფ. **სალუქია**. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. ერთი **ეკლესია** აქაც ყოფილა აღმართული, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს პერანგის ქვებისგან გაუმარცვავთ. ეკლესიის ქვებით თავიანთთვის უშნო ეკლესია გაუშენებიათ. სიტყვა **სალუქი** ქართულია და ნიშნავს **შემკობის მოყვარეს.**

სალუქიდან ჩრდილოეთისაკენ, მთის ფერდობზე, გაშლილია სოფ. **მუზარეთი**. **მუზარეთი** სოფ. **მერდენექს** ტრიალი მინდვრით სამი ვერსით ახლავს. ეს სოფელი განთქმულია უდიდესი ღირსების **ნარზანის წყლით**, რომლის დღე – ღამის დებეტი, როგორც ეს უკვე დამტკიცებულია,

15.000 ვედროს უდრის. ეს წყალი ცოტათი მოთბოა, მაგრამ სასიამოვნო სასმელი. მის არხში ნალექიც არის. ეს ნალექი, როგორც ექიმებიირწმუნებიან, **გამოსადეგია რევმატიზმისა და სხვა ამგვარ სნეულებათა სამკურნალოდ.** ნალექი ღრმაა, ამბობენ სამ საჟენზე მეტიაო. მაგრამ იქ ჩასული კაცი მკერდზე ზევით არ იძირება. ამ **მუზარეთის ნარზანმა** არტაანის ოლქიდან განდევნა ბორჯომისა და კავკასიის მინერალური წყლები. სოფ. **მუზარეთში ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც **ორი ეკლესია** და **ერთი ციხე** ყოფილა აღმართული, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს პერანგის ქვისაგან გაუძარცვიათ და თავიანთთვის ეკლესია და საცხოვრებელი სახლები გაუშენებიათ.

აქ შორი – ახლოს თავდება **არტაანის ოლქი** და იწყება **ოლთისი**, აღუნდირის სადგურთან, მერდენექიდან 25 ვერსის იქით.

ამიტომ სოფ. **მუზარეთიდან** უკან მოვბრუნდი და **თამარისეული** მეორე გზით მოვედი სოფ. **შარაფში,** რომელიც მერდენეგს ახლავს აქეთ სამ ვერსზე. სოფ. **შარაფი** მცირებორცვის კალთაზე, ზედ **თამარისეულ შარა გზაზე,** დგას. (სიტყვა **შარაფი** ქართული სიტყვაა და წარმოდგება **შარასაგან,** ხოლო „ფ“ ზედნართი). აქ ერთი **ეკლესია** დგას პერანგის ქვებისაგან გაძარცული. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქედან **თამარისეული შარა – გზის** გასწვრივ ორ ვერსზე სოფ. **ქვეშარია**. (**ქვეშარი** ქართული სიტყვაა, და ნიშნავს ჩვენების ნიშანს – **ქვეშ არის**). ეს სოფელიც, როგორც **შარაფი**, ბორცვის კალთაზეა გაშენებული, თამარისეულ შარა გზაზე. აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც არის ერთი **ეკლესიაა** პერანგის ქვებისაგან გაძარცული.

მერე არის ნასოფლარი **იზლამ – ყალა**, ანუ **ისლამის ციხე.** აქ სოფელთან მთის წვერზე ერთი **ციხე დგას.** ციხე **დაუზიანებელია და მეტად ლამაზი.** მაღლა, ექვსი საჟენის სიმაღლეზე, **ხუცურად წარწერა** აქვს, მაგრამ სიმაღლის გამო ვერ გავარჩიე.

შემდეგ არის სოფ. **დადა – შენი**. აქაც ეკლესიის ნანგრევია. აქ 56 კომლი (ანუ 521 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც არის საშუალო ზომის **ლამაზი ეკლესია,** რომელსაც გუმბათი მოტეხილი აქვს. **დაუზიანებელი მხოლოდ კედლებია.**

შემდეგ სოფ. **ურუთია**. აქ 14 კომლი (ანუ 80 სული) **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. დანარჩენი 16 კომლი **სომეხ კახთაგნებია.** აქ ერთი **ეკლესიის** ნანგრევი ყრია.

შემდეგ სოფ. **ქონქია.** ესეც, როგორც **ურუთი**, ქართული სიტყვაა, ორნაირია მნიშვნელობით: **კამარა** და **ტაშტი**. აქაც ეკლესიის ნანგრევია. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ.

იქვე ახლოს **დორთქილისაა**, ანუ **ოთხი ეკლესია.** მართლაც, სოფელში **ოთხი ეკლესიის ნანგრევია** და მათი კედლებიღა დგას.

აქვე ახლოს სოფ. **იორამია**(**იორამი** ბიძის ადგილსა ჰქვიან თათრულად). აქ მთის მაღლობზე პატარა **ციხე** დგას, რომლის კედლები ნახევრად დანგრეულია.

შემდეგ იწყება სოფ. **სამსალაქი**. ეს სიტყვა დამახინჯებულია. უნდა იყოს **სამსალაგას**. მართლაც, ერთი მეორის დაშორებითაქ **სამი საყდარი** ყოფილა, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებლებს პერანგის ქვებისაგან გაუძარცვავთ და ამ ქვისაგან ერთი ეკლესია და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი აუშენებიათ. აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ. შემდეგ იწყება მტკვრის გადაღმა, **თამარისეულ შარას პირად,** სოფ. **თურქი – შენი.** თურქული **შენი** ქართული სიტყვაა. აქაც **სამი ეკლესიის ნანგრევია.** აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ.

იქვე ახლოს ნასოფლარი **ლარიხევის კარია.** აქაც **ერთი ეკლესიის** ნანგრევია. აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ.

იქვე ახლოს ნასოფლარი **ლარიხევის კარია.** აქაც **ერთი ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ არის სოფ. **ყიზილ – ქილისა,** რაც ნიშნავს **ოქროს საყდარს.** აქ ორი ეკლესიის ნანგრევია, რომლების მარტო დაბალი კედლებიღა დარჩენილა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ ნასოფლარი **კალანდაა**. ეგეც ქართული სიტყვაა. აქაც არის **ეკლესიის** ნანგრევი.

აქედან, მთის გადაღმა, სოფ. **ყორე – ვანია**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **თეთრი ქოში.** აქ, ერთი **ეკლესიის** ნანგრევია, რომლის კედლებიღა დგას და ისიც პერანგის ქვებისაგან გაძარცული.

იქვე სოფ. **ჩოლფენიაკია**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **შიგა – მელია.**

შემდეგ სოფ. **ორი ქილისაა,** ე.ი. **ორი ეკლესია.** აქ მართლაც **ორი ეკლესიის** ნანგრევია. აქ**ქურთები** ცხოვრობენ.

აქედან გადმოვედი სოფ. **ფონადიქში**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც მაღლობზე **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ, მთის მაღალ კალთაზე სოფ. **სასადილოა**. აქ **კათოლიკე სომხები** ცხოვრობენ. **ქართველ მაჰმადიანმამიამბო**, რომ ისინი სოფ. **ოქრობაგეთიდან** (ართვინის ოლქი) **გადმოვიდნენო ურუთელების დახმარებით 1892 წელს, ღამე იარაღით ხელში თავს დაგვესხნენო, გამოგვყარეს სახლებიდან და ჩვენს სახლებში თითონ დასახლდნენო**.

აქ ერთი პატარა სოფელია **ჩამურდა. მალაკნები** ცხოვრობენ 1896 წლიდან. სოფელს რუსული სახელი **მურავიოვკა** დაარქვეს.

იქვეა სოფ. **ჯოჯორია**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 26 კომლი ანუ 315 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქ ერთი **საშუალო ზომის, სრულიად მთელი, დაუზიანებელი და ჩუქურთმებით შემკული ეკლესიაა. მხატვრობა ეკლესიის შიგნით ძვირფასი ხელოვნებითაა შესრულებული. არსად არ არის დაზიანებული.** როგორც **წარწერებიდანაც ჩანს, მეთერთმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელს ეკლესია გაუშენებია.**

იქვე ნასოფლარი **ასკილია**, რაც ნიშნავს **თეთრ ტაძარს**. როგორც მითხრა ა. **დიასამიძემ** (სოფ. **ჯოჯორიდანაა**). 1878 წლამდე ამ სოფელს **თეთრ საყდარს** ვუწოდებდითო. მართლაც, აქ **მშვენიერი თეთრი თლილი ქვისაგან ნაგები ეკლესიაა. ეკლესიას სახურავი ფიქალი ქვებისა აქვს.** ეკლესიას მუხის კარიც ჰქონია, მაგრამ ის ვიღაცას ჩამოუღია. იქვე ნასოფლარი **პეტრე – პავლეა.** სოფლის მაღლა, მთაზე, ერთი **ეკლესია** დგას, რომლის კედლები გადარჩენოდა.

აქვე ნასოფლარი**აჯამეთია**. აქ **ერთი დიდი და მშვენიერი ეკლესია დგას.** შიგნით, სურათებს შორის **ქართულ – ხუცური წარწერებია,** მაგრამ ვიღაცას ადგილ – ადგილ მოუფხეკია.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **არდადექი**. **არ დადექი**, ეს ქართული სიტყვაა. აქაც **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ ნასოფლარი **შავიჯიხაა**. აქ ერთი დიდი **ციხე** დგას მაღალ მთის მწვერვალზე. მისი გალავანი ჩვეულებრივზე მაღალია. გალავანში კოშკი დგას, რომლის სიმაღლე ორი საჟენით მეტი იქნება გალავანზე. ციხეს გალავანი კლდიდან, არტაანის ციხის მსგავსად, ჩამოუდის ქვეშ და იქვე მტკვრის პირად უერთდება მის მეორე გალავანს და მერე ადის მაღლა.

აქედან იწყება ნასოფლარი **ზირა – შენი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ ერთი პატარა **ეკლესიის** ნანგრევები დგას.

შემდეგ ნასოფლარი **მირიანია**. აქ მაღლობზე **დიდი ეკლესია მდგარა,** რომლის ვეებერთელა კედლებიღა გადარჩენილა.

იქვე ნასოფლარი **აბადელიაა**. აქვე მაღლობზე სამი პატარა ციხეა. სამივე ციხის კედლები მთელია.

შემდეგ ნასოფლარი **სამოთხეა**. აქ ერთი **ციხედგას**, მარტო კედლებიღა გადარჩენია. იქვე პატარა ეკლესიის ნაშთია, ადგილმდებარეობა ძალიან ლამაზი და მომხიბლავია. მწვანე ხალიჩასავით გაშლილი ხავერდოვანი ფიჭვნარის ლამაზი ტყე უფრო ამკობს ციხის მშვენიერებას.

შემდეგ კარგა მოშორებით ნასოფლარი **აქიფერისმაა. აქ დიდი ლამაზი ჩუქურთმებით შემკული ეკლესია დგას. ეკლესია დაუზიანებელია** და როგორც შიგნით, ისე გარეთ **ხუცური წარწერები აქვს.**

შემდეგ იწყება ნასოფლარი **ყარაბახი.** აქაც ერთი **ეკლესიაა**, რომელიც ნახევრად დანგრეულია, მაგრამ სახურავი დაუზიანებელია.

შემდეგ სოფ. **ალაგიოზია**. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი.

სულ არტაანის ოლქში 331 სოფელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მაჰმადიანები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ჩვენ მამა – პაპათა კულტურულ ძეგლებს.

დასასრული I რვეულისა.

კ. მარტვილელი/კ. ოდიშარია/

ქ. არტაანი, 1915 წ., 20 ივნისი.

შემოსავალი

ქართველ ლტოლვილების დასახმარებლად ფულის
შემოკრება დავიწყეთ 24 იანვარს 1930.

იანვარი 24-1930 წელს

	მარჩილი
პ. შალვას შემოკრებილი 4000	
ნ. მაღალაშვილის შემოკრებილი 2400	
ჯამი: __	6400. –

თებერვალი.

პ. შალვას შემოკრებილი ..... 300. –	
კ. მასხარაშვილის , , ... 500. –	
ქნ. ბარრის, ედვარდს და ვუთის , ,.....500	
ჯამი : -	1300. –

მარტი.

პ. შალვას შემოკრებილი 500	
ქნ. ბარრიმ მოიტანა M. Holls ……..... 2500	
ნ. მასხარაშვილის შემოკრებილი 500	
ჯამი : -	3500. –
გადასატანი 3 თვის ჯამი: _____	11 200. –

გადმოტანილი : 11200. -

აპრილი.

პ. პეტრესგან გადმოცემული ..... 1000. –

პ. შალვას შემოკრებილი ..... 2000. –

ქნ. ედვარდსმა საღამოს შემოკრეფილიდან ნაწილი: ... 6400. –

ჯამი: __ 9 400

მაისი.

მიხეილ ცაგარელმა (ლტოლვილი 2 მაისი) 5000.-

ქნ. ედვარდსმა და ბარრიმ საღამოს შემოკრებილი: 4000.-

კიდევ მოიტანეს : 18 800.-

ბერძნის საპატრიარხიდან (18_[1]) გამოგზავნეს 6000.-

ჯამი: __ 33800 33800

გადასატანი ჯამი : ___ 54400

განვიხილე ყოველი ანგარიში ეს, და რა ვნახე შეუცდომლობა ჩამოკრებილ რიცხვებში, რომლებიც შეადგენენ ორმოცდათოთხმეტ ათას ოთხას მარჩილს, (54400) ვაწერ საკუთარ ხელს მაისის 25 -[2]) 1930

წელს.

პ. შალვა ვარდიძე

გადმოტანილი : 54400. –

თიბათვე.

3 ? მადამ ბარრიმ (საღამოს დარჩენილი) ..... 1000. –

ქბნ. ედვარდსმა (, , ,) ..... 1400 . –

ჯამი: __ __2400

კოლია მასხარაშვილს _____

მიუღია ადერბეიჯანელ შაფი ბეისგან ორმოცდაათი (50) ლირა ლტოლვილებისათვის; ვინაიდან ფული არ გადმოუცია, ამიტომ აქ შემაქვს მხოლოდ მისი დანახარჯის საპირდაპიროთ, რომელიც ხარჯებში აღნიშნულია, ესე იგი ორმოცდა ათ ლირიდან დაუხარჯია 2802 –

ჯამი: __ __2802.-

გადასატანი ჯამი:_ __59 60

მკათათვის პირველს ანგარიშები დავხურე;

იანვრის 24, მკათათვის პირველამდე შემოსული:

პ. შალვა ვარდიძე

გადმოტანილი : ____ 59602. _

მკათათვე :

7 მაისს ეპისკოპოზს მოვსთხოვე დახმარება დახმარება ლირა:	20 –	
თიბათვეში (25 [2]) ავანსათ კიდევ მომცა ლირა:	15 –	
	ჯამი: 35 _	_ 3500

მარიამობისთვე:

ავასანთ კიდევ ეპიზკოპოზისგან მივიღე ერთ დროული დახმარებისათვის		
მკათათვის დასასრულს (30 -[2]) ლირა:	_____ 20 –	
რომიდან (უარი არაა): ავანსი ამწლისთვის	_____25 –	
	ჯამი . 45	
15 მარიობას საღარიბო კასიდან __	_____ 21 –	
	ჯამი: ლირა 66	__6600. –
	ჯამი ერთიან: __	__ 69702 –

სექტემბერი:

5 -[1] ერთმა ერთდროული	_____ 1000	__1000

მთლათ შემოვიდა : ___ 70 702

დავხურე ანგარიში სექტემბრის 23 -[1] 1930 წელს

პ. შალვა ვარდიძე.

გადმოტანილი : - 70702-

თიბათვე 1930

დარჩენილი შემოსავალი კოლიასგან მოკრეფილი

(ნახე თიბათვე გვერდი 6.) ..... 2050 | - 2050 –

კიდევ ..... 100 | - 100 -

ჯამი: | 72852-

დავხურეთ ანგარიშები 1 ოქტომბერს

1930 წელს _____

პ. შალვა ვარდიძე

გასავალი

ხარჯები აქ შემოკრებილია და თვიურად დალაგებული.

თვით ლტოლვილებისგან შემოკრებილი და კერძოდ

დახარჯული აქ არ იგულისხმება.

იანვარი, 24 – 1930 წელი.		მარჩილი
1) მომასვლა პოლიციაში ლტოლვილების გამოსაყვა....	35.-	
2) თავდებობის ოქმზე მარკები - (პოლიციაში)	50.-	
3) თავდებობის შემოწმება მამასახლისთან	50.-	
4) ლტოლვილების საკვებავი (საჭმლობა)	2500.-	
ჯამი	2635.-	
		___2635. _

თებერვალი

1. მიმასვლა ლტოლვილების გამოსაყვანათ	25.-	
2. პოლიციაში თავდებობის ოქმის მარკები	50.-	
3. მამასახლის სამი ჯგუფის თავდებობის შემოწმება .....150. -		
4. ლტოლვილების ბინისათვის კოლიას	1200.-	
5. ლტოლვილების საკვებავი 13 ჯერ მიცემული ..... (შალვას და მურად ბეის მიცემული)	4575.-	
ჯამი: _	6000.-	
		___ 6000. _
გადასატანი ჯამი: _		___ 8635. _

გადმოტანილი: - 8635. –

მაისი

1)	ლტოლვილების საკვებავი ორ გზის 1500.-	
2)	ლტოლვილების პერაზე მცხოვრებლებს (მურადს) 300.-	
3)	„ „ ქირისა (მურადს) 800.-	
4)	ლტოლვილების საკვებავი (ზოგიერთების) 375.-	
5)	„ სარეცხისა („) 150.-	
6)	ლტოლვილს ამბროზ 50.-	
7)	ლტოლვილების ბინისათვის (ვილიამ ნათლ) - ..... 2100 -	
8)	„ „ („ „) ..... - 1400 –	
	ამ თვის ჯამი: ..... 6675 –	- 6675 . –

აპრილი.

1.)	სააღდგომოთ კოლიამ წაიღო და დაარიგა: ..... 1000 -	
2.)	48 ახალ ლტოლვილს ციხეში ..... 480 -	
3.)	„ლტოლვილის თავდებობის ოქმის მარკები და მუხტარი .... 100 –	
4.)	მიმოსვლა ლტოლვილებისათვის ..... 25 –	
5.)	წერილი და ღია ბარატი ..... 20 -	
6.)	ორი ახალი ლტოლვილი ..... 100 –	
7.)	(26/27) ლტოლვილებისათვის ბინის დაქირავებისთვის (კოლია) ..... 1500 –	
8.)	28 (IY) ბინისათვის კიდევ წაიღო კოლიამ ..... 1000 –	
9.)	4 ლტოლვილის მასვლა თივათიდან: მარკები მუხტარი ..... 100 –	
10.)	30/w ლტოლვილების სანოვაგე (კოლიამ წაიღო) ..... 1200 –	
11.)	„ სახლის ქირისა წაიღო კოლიამ ..... 2000 –	
12.)	ზოგიერთ ლტოლვილს წვრილ წვრილათ ..... 150 –	
	ჯამი: - 7675	7675. -
	გადასატანი ჯამი: ___	- 22985. –
	გადმოტანილი :	- 22 985 –

მაისი

1. ლტოლვილების საზრდო კოლიამ წაიღო .....1200 –
2. ლტოლვილი 2 დავიხსენი მუხტარს ..... 50 –
3. ქნ. ბარრიმ ჭავჭავაძეებისათვის ..... 4000 -
4. ლტოლვილებისათვის საზრდო კოლიამ წაიღო ..... 1500 –
5. ქალაქში უგრეხელიძეს და ამხანაგების ბინის ქირა ..... 800 –
6. ლტოლვილების სამუშაოზე ბებევში, მალტეპეში წასვლა ..... 200 –
7. „ კუნძულ პრინკოპოზე. „ ..... 150 –
8. ლტოლვილების გამგზავრება და დახმარება (ნივთ) ..... 225 –
9. ---------- კოლიამ სამუშაოზე წაიყვანა ..... 300 –
10. ლტოლვილების საზრდო ..... 1000 –
11. ინდი ინასარს და მისიანებს (8^{-1}) ..... 500 –
12. 2 წერაქვი, 2 ნიჩაბი 200-ად კოლიამდა საჭმელი 2 (შალვამ)..... 400 –
13. ბინისათვის კოლიამ წაიღო ..... 2000 –
14. ინდის და მისიანებს (17 ^{2}) ..... 300 –
15. „ „ (19) ..... 1000 –
16. მიმასვლა ლტოლვილებისათვის ..... 30 –
17. 4 ალბომი სამოთხის ხატების გადაღება, წარწერა ..... 3650 –
18. 18^{-2} 15 ახალი ლტოლვილის გამოხსნა და სათავდებო ხარჯები... 100 –
19. ამ ლტოლვილთაგანთ ხვედეგიანს, ტვივტვახიძე და სხვა ..... 500 –
20. ლტოლვილებს საზრდო წვრილ წვრილათ ..... 250 –

ჯამი: -18065 -

8 65. -

გადასატანი ჯამი: - 41 040. -

გადმოტანილი : -41040.

თიბათვე.

1) 3[-1] სახლის ქირისთვის საბოლოოთ კოლიამ წაიღო: ..... 3000 –
2) 4[-1] M ~~Grespin დღეობის ბუკეტი (კოლიამ) ..... 160 –
3) იოსება ბალახაშვილს საზრდო ..... 100 –
4) ახალკაცს კოლიამ მითხრა ..... 100 –
5) ლტოლვილების საქმისა წერილები ..... 60 –
6) სერგო ინასარიძე ცელებისთვის სესხათ წაიღო და აღარ აბრუნებს ..... 1000 –

ჯამი: 4420 -

ჯამი : -4420 –

კოლია მასხარაშვილის ანგარიშები ამ თვეში:

1) მიუცია ინდო და ანდა ინასარებს ..... 300 –
2) „ ალექ. გელოვანისთვის..... 300 –
3) 4 ფიწალი, 4 ფოცხი, 2 ცული ტარით უყიდია ..... 460 –
4) ექიმისთვის მიუცია (ლტოლვილებისათვის) ..... 300 –
5) ქაქუცას სიკვდილის გამო დეპეშის ხარჯი 297-
6) თვითონ დაუხარჯავს ..... 575 –
7) ამასიიდან ქართველებისგან გამოგზავნილთსთვს ..... 570 –

ჯამი: 2802.

ჯამი: -2802

გადასატანი ჯამი: -48262

გადმოტანილი: -48262 –

თიბათვე (გაგრძელება)

1.)	მიმოსვლა ლტოლვილების საქმეზე ..... 75 –	
2.)	ორი წერილი „Par avion ..... 66 –	
3.)	ერთ მშიერ ლტოლვილს ..... 100 –	
	ჯამი: 241 -	- 241 –

მკათათვე.

1.	წერილები ლტოლვილებისათვის ..... 24 –	
2.	კონტრაქტების მიმტან ფოსტალიონს ..... 20 –	
3.	წერილები, ღია ბარათი და მიმასვლა ..... 77 –	
4.	ტელეგრამა 10 სიტყვა (-------) ..... 270 –	
5.	ტელეგრამის და წერილის პასუხი წერილით ..... 33 –	
6.	საყვარელიძეს პასპორტის აღება მიმასვლა ..... 25 –	
7.	ჩხენკელის პასუხი Pour avion ..... 33 –	
8.	კერესელიძეს “ “ “ ..... 33 -	
9.	ბინის ქირისათვის კრების გადაწყვეტით ..... 2200 -	
10.	კოლიას ბინისათვის უკვე წაღებული ჰქონდა ..... 800 –	
11.	6 ლტოლვილს (20/ VII) გაბუნიას, გელაშვილს, მიხატაძეს,	
12.	ტარასაშვილს ..... 400 –	
13.	20/VII - ავათმყოფს თავშესაფარში იტვა უყიდე ..... 30 –	
14.	21-23 / VII - ამასიაში ლტოლვილების პასუხი - ლტოლვილებისთვის მიწერ-მოწერა საფრანგეთში: ლტოლვილების კონტრაქტებზედ ..... 67 –	
	ჯამი: 4012 -	-4012
	გადასატანი ჯამი:	52515
	გადმოტანილი :	- 52515

მკათათვე (გაგრძელება)

ამთვის 23-1 -24-1 25-1 26-1 სამ ავათ მყოფს დახმარება	425 –	
22 -1 ანტონის და მათ ოთხ ამხანაგ ლტოლვილებს	500 –	
25-1 ჭილაძეს და მის სამ ამხანაგს დახმარება და სამუშაოზე წასვლა	450 –	
26-1 გაბუნიას, ზედგინიძეს, მიროტაძეს და გელაშვილს	400 –	
27-1 კოლიამ წაიღო ექიმთან წასასვლელათ (.....)	300 –	
28 -1 ლტოლვილების დახმარება:	500 –	
30 -1 კოლიამ, ოტელ რიმადან მომწერა და ანტონის ხელით გადუგზავნე	1000 –	
31 -1 ობოლაშვილს და გოგორიშვილს დახმარება :.....	200	
ჯამი: 4625		- 4625 –

აგვისტო:

წერილები ლტოლვილების საქმეზე	45 –	
2 -1 ოთხ ლტოლვილს უმუშავარს (ზედგინიძე 46U.....	400 –	
4 -1 კ. მასხარაშვილმა წაიღო ბინისათვის:	1900 –	
5 -1 წერილი პარიზის საარხიეპოზკობაში	35 –	
5 -1 ლტოლვილების (დარჩენილების) სამუშაოზე წასასვლელი	1140 –	
7 -1 დაროჟნაში პოლიციას 29 პასპორტის შემოწმება და დახმარება 3 გზის .....300 –		
7 -1 მივწერე ლუის, დგებუაძეს და სანდროს ვიზებზე:	57 –	
1-8 - ერთ გაჭირვებულ ძველ ლტოლვილს ქართველს:	1000-	
28 - ერთ უდელს და ჭილაძეს : -	200 -	
ჯამი: 5 077-		- 5077 –

გადასატანი ჯამი:	-62 217
გადმოტანილი:	62217

აგვისტო (გაგრძელება)

5-8 -1 ერთ ძველ ლტოლვილ ქართველ მანდილოსანს:	1000 -	
7 -6 უმუშევარ გაჭირვებულ ლტოლვილებს:	500 –	
9 -1 ლტოლვილების წაღების დაკერება, სარეცხისა	450 –	
11 -1 ტარასაშვილს 1 ლირა და მისი წერილი:	132 –	
12 -1 ორი კონტაქტი მოვიდა (პოსტალიონს:	20 –	
13 -1 წერილი	32 –	
15 -1 ტარასაშვილს, ყაველაშვილს და შიშას:	300 –	
17 -1 გაჭირვებულ ბინისათვის და საჭმელისა:	300 –	
20 -1 ყაველაშვილს მეხსაცმელისათვის:	500 –	
21 -1 „ პურისათვის:	150 –	
23 -1 ჭისკარიანს ვალი ჰქონია:	400 –	
10- 31 -1 მიმასვლა და წერილები ლტოლვილებისა:	194 -	
31 -1 ერთ ლტოლვილს (სესხათ დაეწერა) : .....1000 -		
ჯამი:- 4978-		4978-

სექტემბერი:

1 - ქიშვარიანს და ტარასაშვილს	150 –	
4 - ერთ გაჭირვებულს	300 –	
10 - გიორგი ყაველაშვილს ბინის ქირა	200 –	
15 - უმუშევრებს 3 გზის	300 –	
7 -18 - წერილები ლტოლვილებისთვის	55 –	
ჯამი: 1005		-1005
გადასატანი ჯამი:		68200
გადმოტანილი		68200

25-1 ჭილაძეს და ტარასაშვილს 100

27-1 უმუშევრებს 200

28-1 4 გორელებს ბებევში 1000

1300 | -1300 –

ლტოლვილებზე დახარჯული სხვა და სხვა დროს წვრილათ პ. შალვასგან და კოლიასთან არის ერთიან. -2650- საქიმოზე და სხვაზე

ჯამი: 2650- | -2650-

ჯამი მთლათ: - | -72150

დავხურეთ ანგარიშები 1 ოქტომბერს 1930 წელს - პ. შალვა ვარდიძე

შემოსავალი გვერდი: 72852 –

გასავალი ზემოთ: 72150

დარჩა: 00702.-

ეს ფული გადავეცი კოლიას.

პ. შალვა ვარდიძე

თქვენო ღირსებავ პატივცემულო მამაო პიო

მივიღე თქვენი ვრცელი წერილი ეგრეთვე მსგავსი ვრცელი წერილიც ერთი მანდაური ძმისა. _ ამ წერილებმა ძლიერ აღმაშფოთეს და ღრმად გული დამკოდეს, რადგან ცხადათ დამანახეს თუ რა უბედურს მდგომარეობაშია მონასტერი, თუ როგორ დაცემულია, ორივეს მხრით, ზნეობა, რადგან არც ერთ კერძოდამ სჩანს ან ღვთის შიში, ან პატიოსნება, ან გაზიდილობა, ან ცოტა რამ კაცობა. მონასტერი სწორეთ ახლა წარმოადგენს სწორეთ იმ საარაკო სახლს, რომ ნათქვამია: „ერთ-მანეთის ბაძვითა სახლი აიმსო ნაგვითო“ სწორეთ დამსგავსებია იმ სახლს რაცა მდაბალი ხასია-თის რძალი და დედამთილი, ანუ ორი შვილი ერთმანეთ სჭამენ და მეტის შურით გამსძვინე-ბული, არ იციან თუ ერთმანეთი როგორ შეურაცხონ უფროკარგად! _ ვაი საბრალო საქართველო! თუ როგორ გატყვილებელ, თუ როგორ ცრუ იმედს გაძლევენ, რომ ვითომ შენთვის განწირული არიან, შენს საკეთილდღეოთ შრომობენ, შენი განათლებისა და მოქცევისათვის სცხოვრობენ, შენთვის მზათ არიან, რომ უკანასკნელ წვეთამდინ სისხლი დაღვარონ.... — გარნა ჯერ-კი ერთმანერთის მცირე ნაკლებულებაც კი ვერ აუტანიათ, ერთმანეთის ზურგი ვერ მიუყუდებიათ რომ საზოგად მტერს წინ დაუდგნენ და შენს სანუგეშოთ მაინც ერთი რამ მცირე კეთილი დაგანახონ ! ! ! — ერთი სიყტვით მე სრულიად ჭკუიდამ გამოველი ეგრეთი მდარე, სასარცხვინო და გასაკიცხი მონასტრის სურათის დანახვით. გამართლების საგანს ვერც უფროსისა და ვერც უმცროსებში ვხედავ, გარნა გარნა ბრალს – კი ბლომად ორივეს კერძოთ. ყველა ხელს იბანს, თავს იმართლებს, და ბრალს სხვას ატეხებს. გარნა არ ვიცი ღვთის წინაშე რაოდენი გავლენა ექმნება ეგრეთ თავის გამართლებას. გარნა თუ მართლა უფროსი ცუდია, ხოლო ცუდი უფროსებისათვის მაცხოვამრმა კანონი მოგვცა: ..... თქვენც ყველანი ცუდი უფროსის ხელქვეშ ასე უნდა მოქცეული-ყავით. მაშინ იმას თავის გასამართლებელი მიზეზი აღარ ექმნებოდა, გარნა უნცროსენი - კი თუ კაცსა და თუ ღვთის წინაშე გამართლდებოდნენ, რადგან თავიანთი ვალი, რომელიც არის მორ-ჩილობა, აღსრულებული ექმნებოდათ. ვსთქვათ, რომ აქამდინ თქვენ, როგორც ნამდვილი ღვთის მონა, უფროსაც დაემორჩილეთ ყველაფერში და აღასრულეთ ყველა ნაირად თქვენი ვალი. ერთი სიტყვით, აქამდინ, რომ ყველა ნაირად უმანკო ყოფილიყავით, ამას იქით - კი ვეღარ იმართლებთ თავს, რადგან იმისთანა სულელობა იმოქმედეთ, რომ თქვენი დიდი და მიუტევებელი დანაშაუ-ლობა ცხადია ღვთის და ქვეყნის წინაშე. ეს თქვენი დიდი ბრალი გახლავსთ, ეპისკოპოსის სარდის წინააღმდეგ დაწერა გაზეთ „.....“-ში. მართალია თქვენი არცერთის სახელია გამოცხადებული, მაგრამ ყველა სიტყვა ღაღადებს რომ ყველა თქვენი ჩაგონებულია, ისე ჰგავს ერთმანეთის შურმა და უზომო თავმოყვარეობამ, ისრე თვალები აგიხვიათ და გონება დაგიხშოთ რომ სრულებით ვერ წარმოიდგინეთ თუ ეგრეთი გლისპური წერილი სად მიდიოდა და რა შედეგი მოჰყვებოდა. — იცოდეთ კარგად მაგ წერილით სარდი -კი არ შეურაცხეთ, არამედ თვით ეკლესია, რადგან .....-ს შეურაცხყოფა, თვით ეკლესიის და ღვთის შეურაცხყოფაა. ამით თქვენ საქვეყნოდ ამტკიცებთ თქვენს ურჩობას ეკლესიის წინააღმდეგ. არ ვიცი ვისგან რას მოელოდით მაგისთანა თქვენივე გამამტყუნებლის წერის გამოქვეყნებით. თუ ეპისკოპოსის წინაღმდეგ რამე სამდურავი, ან საჩი-ვარი რამე გქონოდათ, ეს უეჭველად აქ უნდა მოგეწერათ, და არ უნდა მიგემართათ ფარმასონი ფრანცუზებისა და თათრებისათვის. იცოდეთ კარგად პასუხის მგებელი თქვენვე ხართ, რაც ამას სამწუხარო შედეგი მოჰყვება. მე პირი აღარა მაქვს თუ ამას იქით როგორ წარვსდგე პროპაგანდასა

და ვატიკანში. — სარამდინ სარდი აქ მოვიდოდა, რა შევიტყვე ეგრეთი წერილის გამოქვეყნება, მაშინათვე მოვსწერე სამდურავი პ. ბენედიქტეს. განა სიკვდილს უკან სინანული უსარგებლოა. — აგერ ეხლა ვნახე სარდი, რომელიც მეტად გაცეცხლებული თქვენ ყველას წინააღმდეგ. საცალკეოდ უფრო ახალგაზდებზე, თქმით ქართველებში სრულობით არ არის, არც მორჩილობა და არც საეკლესიო მთავრობის პატივისცემაო; ყველანაირი საშუალი ვსცადე, მაგრამ მათ ვერაფერი შევასმინეთ, დღეის იქით ქართველები ჩემთან ფეხს ვეღარ შემოადგმენ, სანამდინ ამ დიდ შეურაცხყოფას ცხადად არ შეაკეთებენო. თუმცა პ. ბენედიკტესაც შესაფერადნ ემდურება, მასთანვე ამბობს იმათში როგორ სძლებსო. ეგრეთვე იმასაც ამბობს: ის უფროსად არ უნდათ, მაგრამ სხვა კაცი არა ჰყავს, ვინ დავაყენოვო. ეგრევე დაუმატა: მე ყველა შევატყობინე და დავუმტკიცე დოკუმენტებით პროპაგანდას, ახლა თვითონ იცისო ესრეთი ჩასმენის შემდგომ, არ ვიცი კაცი რაღა სიკეთეს უნდა მოელოდეს მონასტრისათვის.

იცოდეთ კარგად არც ერთს მხარეს არვუჭერ და არ ვამართლებ, ამიტომ უფროსაც ვწერ შესაფერ საყვედურს. თუმცა მანდედამ მიღებულ წერილებს ვრცელი და შესაფერი პასუხები უნდა. გარნა რომ წუხრად მე ისედ მდგომარეობაში ვარ, რომ ბევრი წერვა კალმით აღარ შემიძლია. ამისათვის ვამოკლებ და გთხოვ ყველას: შეიბრალეთ მონასტერი. მას ნუ ღუპავთ, საქართველოს ყელს ნუ სჭრით. იცოდეთ კარგა, ურჩობა, უთანხმობა, განზე გაწევა, საცალკეო და პიროვნული აზრების მოყოლვა მონასტრის დაღუპვა და საქართველოს გაცემაა. გთხოვ შეიბრალოთ, ამას იქეთ მაინც გონს მოდით, ყველანი შეერთდით, არა მარტო ერთმანეთში, არამედ თავთან, უფროსთან, ურომლისოთ თქვენი ერთობა არ იქმნება. უჩვენეთ თქვენი ერთგულობა, საზოგადო სიკეთისათვის ზრუნვა, როცა თქვენ ყველანი იქმნებით მორჩილი, მომთმენი და სანდო, მაშინ რაგინდ ბოროტი უფროსიც იყოს, მორჯულდება, მოგენდობა, და ისე მოეპყრება ყველას როგორც საჭიროა. ერთობის დასამყარებლად ყველამ უნდა იზრუნოთ, თვარა ერთი ნაწილი არ იკმარებს. — იმედი მაქვს ამ ჩემს ძმურს მხილებას და თხოვნას ყველა ყურადღებას მიაქცევთა და საწყენოთ არაფერს მიიღებთ. და თქვენის კაის ამბავით მასიამოვნებთ.

პ. მიხელ თამარასი

18 ივნისი, 1911. რომი....

თქვენო ღირსებავ
დიდად პატივცემულო მამაო ბენედიქტე,

აგერ მივიღე თქვენი 25 მაისის წერილი. უგულითადეს მადლობას მოგახსენებ ნების მოცემისათვის. ამნაირი ნებით მანდ არაფერი გაფუჭდება; ხოლო აქ-კი მ პეტრე ძლიერ კმაყოფილი იქნება და იმედია ჯეროანი ნაყოფიც გამოიღოს. _ იმედია არასფერი სიძნელე აღმოჩნდეს თუ მობრუნებისა და თუ ფულის შოვნის კერძოდ ისე როგორც თქვენ გსურთ.

ძლიერ ვწუხვარ და მასთანვე დიდად მიკვირს პ. ემანუელის ეცსეთ ცუდ მოქცევად. ყველაზე უკეთესი და თავმდაბალი ეგ მეგობა. რაცა! ღმერთმა მადლი მისცეს. წინანდელ წერილში დამავიწყდა რომ მომეწერა: როგორც ჩუმათ შევიტყვე, პროპაგანდას უკვე მოუცია ნება, რომ ეგ სამ

ძმანი გადავიდნენ ლათინურ ტიპიკონზედ. გამიკვირდა, რომ აქამდინ არ მოუწერიათ. _ როგორც სჩანს, სარდს მანდ მყოფი სხვა მონაზონები ყველა მოუმდურებია.

დ. საზარეს დაწვრილებით არ მოუწერია. საყოვლიეროდ მომწერა თავისი შეწუხება თუ ერისა და თუ სომხების მხრიდან. _ პ. ამირხანოვზედ ამ ვითარი სამდურავი არ მოუწერია. წინეთ ორივეს მივწერე და ვთხოვე, რომ ერთმანეთში კარგად ყოფილიყვნენ. იმედია ჩემი თხოვნა აასრულონ.

იქიდამვე შევიტყე რომ პ. დომინიკე სომეხ მღვდელ კალატოზოვს ქვეშ უძვრება უძვრებაო. თუ ეს მართალია ცხად იუდობა იქმნება, მეტადრე ამისთანა დროს, როდესაც სომხები ჩვენს და ლათინური ტიპიკონის მიწასთან გასწორებას ცდილობენ. ამისთვის გთხოვ პ. ლეონს მისწეროთ და სთხოვოთ, რომ ჩააგონოს, რათა გონს მოვიდეს და ესრეთი იუდობა არა ჰქმნას. იმედი მაქვს, რომ თქვენს თხოვნას პ. ლეონი ყურადღებას მიაქცევს.

მისლების შესახებ ფიქრი ნუ გაქვთმ ძრიელ კმაყოფილი დარჩენით.

აგერ ახლა დავიბარე მ. პეტრე და გადავეცი თქვენი ნების დართვა მის ავსტრიაში წასვლაზე. ეს ამბავი ძლიერ გაეხარდა. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაზე უკეთესად მოიქცეს და ყველაზე უკეთესად აასრულოს თავისი მონაზონებრივი მოვალეობა. ამისთვის ისიც და მეც დიდ მადლობას გიძღვნით. მის წერილსაც აქვე ვსდებ.

მანდაურს ამბავს ნუ დამიგვიანებთ.

თქვენს წნ. წირვაზე დავედრებული

პ. მიხელ თამართი

30 მაისისა 1911. რომი.

ლტოლვილი.

საახალწლო

1925 წ.

ახალი წელიწადია!

ა-ცრემლდა თვალი, დაიხა გული,
ხ-ალხის წამებით აღარ ჟღერს ჩანგი!
ა-ღსრულდა სისხლში წელი წარსული...
ლ-ტოლვილს მრქვით მხოლოდ გოდების ჰანგი!
ი-ღვარა სისხლი დიდ ნიაღვარად,
წ-არღვნა ქართველთა ბინა, მთა-ბარი!..
ე-რსა წამებულს თავ-შესაფარად,
ლ-უკმად დაურჩა კაპან-მაღნარი!..
ი-ვერის იუდებს, გულ-ღადრიანებს,
წ-ყევლა ტანჯულთა არ გაახარებს!
ა-ღგვის დრო უგლიმთ, კრულ-სისხლიანებს
დ-ა უდაბნოთ ჰქმნის თვით მათ სამარებს!
ი-მათ საქმესა, გვარს და სახელსა
ა-მიერიდგან ჩანსთქავს ბნელეთი,
გ-ავლილსა მათის ცოდვების კვალსა
უ-კუნით კრულ ჰყოფს ცა, ზღვა, ხმელეთი.
ლ-იზღ-გველთ სისინი, ნადირთ ღმუილი
ი-მათ უდაბნოს როცა შეჰზარდეს,
თ-ავი იწყევლონ, ვერც გრძნონ დუმილი
გ-რიგალი რისხვის როს ზრუნს დასძახდეს
„**ი**-უდებს კრულვა!“ – ჭოტთაც ყივილი
ლ-იას მათ მტვრისას როცა დაჰყეფდეს
ო-რღანით მაშინ, ვიმღერთ „დიდებას“
ც-ას ვეტყვით მაშინ შვებისა ქებას,
ა-ხალ წელს, მაშინ ქართველი ერი,
ვ-აშის ძახილით, სდგეს ბედნიერი!

ჟურნალ „ახალი საქართველო-ს“ ბელადებს.

შემოგვესმა დაცაუღლდენ
მიწიშვილი-ვეშაპელი;
ორივ ერთდ სისინობენ,
გესლს ანთხევენ ვითა გველი.

კარგს ნუ მოვსთხოვთ გუდაფშუტას,
თავ-დამთხვეულს, ყბედსა, მყრალსა,
ზარაფიანც-ვეშაპოვსა
შობითგანვე ბილწსა, მხდალსა.

ქართველთ სისხლში გათხუპნულებს
ტაშს უკრავენ უკეთურნი,
და ფიქრობენ ჩვენც ბანს მივცემთ –
ეგზომ გახლავსთ უგუნურნი!

ხრწნილნი სულით, მხდალნი გულით
აფურთხებენ ჩვენს აკლდამებს...
ფულზე თავი გაიყიდეს,
დაემონნენ უგლიმთ ქრთამებს.

უხარიათ იქედნებსა,
სისხლის მსმელებს შეუერთდენ;
მხოლოდ ის ჰკლავს საზიზღრებსა
მოძმეთ სისხლს, რომ თვით ვერ ხვრეტდენ.

დაცდილია: – ტურა-მგლები
როს ჯიჯგნიან სადმე ლეშებს,
ხრწნილ ხორც-სისხლის მძიმე სუნი
ყვა ყორნებსაც დააგეშებს.

ყრანტალობენ... გვეძახიან...
– ვისი ხმაა საზარელი?
საქართველოს დასჩხავლიან,
დრო დაუდგათ სახარელი!

ცოდვით ხრწნილსა მუცელ-გუდას
ქებით ამკობს ფლიდი, შტერი;

ბელიარსა მოემატა
ბელზებუთი ქართველთ მტერი.

ქარუმიძე, მიწიშვილი,
ვეშაპელი, ყანდარელი:
ოთხი ჲუდა; ოთხი გველი!
სად ძვრებიან, სად აქვთ ხვრელი?!

სწყევლის ამათ ქართველობა,
საქართველო და თვით ღმერთი!
ჩვენც ნუ გვინდა ეს კრებული
– საზიზღარი ჯოჯოხეთი!

3.2. 1960 წ. სტამბოლი

თხოვნა ქართველ თანამემამულესადმი!

მე, ქართული მონასტრის გამგე და მცველი ძმა პავლე აკობაშვილი (ადგულაძე) ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს ქართულ საზოგადოებას ლტოლვილობაში და პირადათ ყოველ ქართველს ვაცნობო შემდეგი: 1861 წლიდან სტამბოლში (კონსტანტინოპოლში) როგორც ცნობილია, არსებობს ქართული კათოლიკური დედათა - მამათა მონასტერი. რომელნიც ერთერთ ქართული კულტურის ცენტრად იქცა დროთა განმავლობაში, და რომელმაც წარმოშვა დიდი თავდადებული მოღვაწენი ჩვენ საყვარელ სამშობლოსათვის. ამათში რამდენიმე დასახელება მინდა, მაგალითად: ფრიათ პატივცემული მამა პეტრე ხარისჭირაშვილი დამფუძნებელი ამ მონასტრისა და რომელიც მარხია აქ ჩვენ ეკლესიის შუა გულზე, რომელზედაც წარწერა აქვს ქართულათ და ლათინურათ მღ. ივანე გვარამაძე, მამა მიხელ თამარაშვილი, მამა მიხელ თარხნიშვილი.

ამ ჩვენ ეკლესიას დიდის პატივისცემით ეპყრობა აქაური უცხო კათოლიკობა და მამადიანებიც. ჩვენი ეკლესია დიდათ განთქმულია აქაურ კათოლიკეთა შორის და ასეთი ეკლესია საუბედუროთ უმღვდლოთ არი დარჩენილი. აღარავინ დაგვრჩა სულ ყველანი გარდაიცვალნენ და ზოგნიც ბოლშევიკებმა სიმბირში გადაასახლეს საქართველოდან. გარდაცვალებულნი ამ ბოლო ხანებში არიან ესენი: მამა ბენედიქტე ვარდიძე, მამა პიო ბალიძე, მამა შალვა ვარდიძე, მამა მიხეილ თარხნიშვილი (რომში) და მამა პეტრე ტატალაშვილიც მძიმე ავადმყოფი, სამი წელიწადია საავადმყოფოში ატარებს ბოლო დღეებს. გადასახლებულნი არიან შემდეგნი: მამა შიო ბაიმანანშვილი, ყოფილი საყოველთავო უმფროსი ანუ წინამძღვარი, მამა კოსტა საფარაშვილი, ქართული ტიპიკონის ჩუმათ ნაკურთხი ეპისკოპოზათ პაპა პიო მეთერთმეტისაგან. მამა ემანუელი ვარდიძე ნაკურთხი ეპისკოპოსათ იგივე პირობებში, როგორც პირველი, ლათინურ ტიპიკონზე მთელ კავკასიის ადმინისტრატორათ მთელ კათოლიკობისა. მამა ანდრია აფრიამაშვილი და

სხვანი. 1927 არ ვიცით თუ ცოცხალი არიან. ასე რომ დავრჩი სულ მარტოთ მარტო. ვიბრძვი და ვმუშაობ, რომ იგივე ბედი არ ეწვიოს ამ ჩვენს ეკლესიაშ, როგორც წილათ ხვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს პალესტინაში, ათონის მთაზე, და სინაის მთაზე და სხვაგან.

ბატონებო!

შველა გვჭირია მორალურად და რაც მთავარია, სათანადო სასულიერო პირის ან პირების აღმოჩენა, რომლებიც თავის თავს მოწოდებულათ გრძნობენ ხელი მოკიდონ ამ მეტად სათუთ და საპასუხისმგებლო საქმეს. პიროვნულად ვთხოვე ზოგიერთ ქართველს ამ სამამულიშვილო საქმეში დახმარება. მაგალითად, ვთხოვე ბატონ ალექსანდრე მანველიშვილს ამერიკაში, რომ იქ ერთი ქართველი მღვდელთა გოზალიშვილის სახელით. მოელაპარაკეთ მას და შეეცადეთ, რომ მან მოჰკიდოს ხელი ამ დიდ საქმეს. დაპირება მივიღე ბატონ მანველიშვილისაგან, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ მიმიღია. არ მინდა, რომ აქ შეკრებილი საუნჯე, წიგნთსაცავი, მამულები, სახლები და სხვა დაგვეკარგოს. ჯერჯერობით აქ შევადგინე ერთი პატარა კომიტეტი (ეფორია) რომელიც ხელმძღვანელობს სამლოცველოებს აქაურ მთავრობის მფარველობის ქვეშ. ამგვარად ჯერჯერობით ჩვენი მონასტრის ძვირფასი ნივთები დაკარგვას გადავარჩინე. სანამ მე ცოცხალი ვარ არ ვზოგავ ძალღონეს, რომ ყველაფერი ეს განძი შერჩეს ჩვენს ერს. ჩემს შემდეგ არ ვიცი რა დაემართება. ღმერთმა იცის ყველაფერი ჩვენი საყვარელი სამშობლოსა და მის შვილებზეა დამოკიდებული. ყოველთვის აქ ქართული წირვა გვქონდა და ახლა ლათინურად ვაწირინებთ უცხოელ სასულიერო პირებს.

ვფიქრობ, მოკლედ გაგაცანით, ქართველნო თანამემამულენო, ქართული მონასტრის სვე-ბედი. ჩემი ხ თხოვნაა ყველა ქართველთადმი, ყველა ქართველთა ორგანიზაციებისადმი, ყოველ-გვარი ზომები მიიღონ, რომ აღმოაჩინონ ისეთი პირი, ან პირები, რომლებიც მთელი თავისი ეროვნული შეგნებით განაგრძობენ ამ ქართული კულტურის ცენტრის მოვლასა და პატიოსნე ტრონობასა. საჭიროა სასწრაფოდ მოქმედება... საჭიროა ამასთან ერთად მორალური დახმარება.


იმ ღრმა რწმენით, რომ ქართველობა, სადაც არ უნდა იყოს ისინი, ყოველ ძალ-ღონეს იხმარენ ამ ჩვენი ეროვნული კულტურის ცენტრის შენარჩუნებისათვის ვრჩები თქვენი პატივისმცემელი:


პავლე აკობაშვილი (ადგულაძე) ხელმოწერილია.

მონასტრის გამგე და მცველი

სტამბოლი (კონსტანტინრპოლი)

თებერვალი 3 3 1960 წელი

ეს ასლი დედანთან სწორია: ი. 

p. s. დედანი მიმართვისა ინახება ჩემთან. 

მიუნხენი, 1960 წლის ოქტომბრის 1

ძვირფასო ძმაო პავლე!

მაპატიეთ რომ ამდენი ხანი გავიდა და ვერაფერი მოგწერეთ. თქვენი მიმართვის შინაარსი ქართველებისადმი ვაცნობე ზოგიერთ პირებს თავის დროზე. ეხლა ამ უკანასკნელად გადავიღე თქვენი მიმართვის ასლები და ახსნა-განმარტებით და თხოვნით დღეს ვუგზავნი ყველა ქართულ კოლონიებს: პარიზში, ლონდონში, არგენტინაში, ნიუ იორკში, ვაშინგტონში, ქართულ კათოლიკურ ეკლესიას (პარიზში), ქართულ მართმადიდებელთა ეკლესიას (პარიზში). ყველა ქართველ ჟურნალ-გაზეთებს, რაც საზღვარგარეთ გამოდის და ზოგიერთ ქართველ მოღვაწეებს.


აქვე გიგზავნით თქვენი მიმართვისა და ჩემი მიწერ-მოწერის ასლს ამ საკითხზე და გთხოვთ გაეცნოთ.

ამავე დროს ყველა ამათ ვაცნობე თქვენი მისამართი, რომ უშუალოდ დაგიკავშირდნენ თქვენ; და ვაცნობე აგრეთვე ჩემი მისამართიც.

მე მგონია ემიგრაციაში გამოჩნდება ვინმე, რომელიც მოწოდებულია ამ საქმით და უყვარს ეს საქმე.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი სალამი და კეთილი სურვილები. ვთხოვ ქვეყნის შემომქმედს, დიად ღმერთს თქვენს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ველი თქვენს პასუხს!

ღრმა პატივისცემით: 

ი. კუჭუხიძე (მინდია ლაშაური)

იუნხენი, 1960 წლის სექტემბერი

ძვირფასო თანამემამულენო!


სტამბოლში (კონსტანტინოპოლში) არსებობს ქართული კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი ადგილ-მამული, რომლის გამგე და მცველია აწ ღრმა მოხუცი ბერი პავლე აკობაშვილი (ადგულაძე). გიგზავნით მისი მიმართვის ასლს, რომელშიაც აღწერილია ქართული კულტურის ამ ერთერთი ცენტრის სავალალო მდგომარეობა.

თუ ჩვენ ჩქარა ვერ შევძელით ამ ეკლესია-მონასტრის და მისი მეტად მდიდარი და ძველი წიგნთსაცავის მოვლა-პატრონობა, მოსალოდნელია, რომ ეს ძვირფასი საუნჯე მთლიანად დაეკარგოს ქართველ ერს!


უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ შეეცადოთ ემიგრაციაში მოწოდებულ სასულიერო ან სამოქალაქო პირის (ან პირების) მოძებნას, რომელიც იკისრებდა ამ სამამულიშვილო საქმის გაძღოლას და პატრონობას.

დრო არ ითმენს!

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სტამბოლიდან.

მისამართი: 

ან ჩემგან, მისამართი:



ღრმა პატივისცემითა და ქართული სალამით: ი. კუჭუხიძე

ამონაწერი პარიზი 22 სექტემბერი

ივ. გომართელის სტატიები ჟურნალ „ივერიიდან“

ალიონი, 1917 წ. №64

აჭარა და აჭარლები

წერილი I

აჭარა ნაწილია კლარჯეთისა ანუ მესხეთისა; კლარჯეთი კი ჩვენი ბრწყინვალე მეთაურია.

ქართველი ერის აზროვნების, ხელოვნების, ვაჭრობის და საერთოთ კულტურული აკვანი პირველათ კლარჯეთში დაირწო, კლარჯეთი აკლდამა არის ჩვენი ძველი დიდების ნაშთებისა, კლარჯეთი ისტორიაა ჩვენი წარსულისა, კლარჯეთი მოწამეა ჩვენი აყვავებისა და ჩვენი დაცემისაც, ჩვენი ძლიერებისა და ჩვენი დასუსტებისაც, ჩვენი აშენებისა და ჩვენი დამხობისაც.

ამიტომ მიმეჩქარებოდა აჭარისაკენ.

მე ისტორიკოსი არა ვარ, არც სიძველეთა მკვლევარი, მაგრამ მწამდა, რომ აჭარის ბუნება, აჭარის მთები, აჭარის წყალი ბევრ რასმე მეტყოდენ.

მე მწყუროდა მათი ნათქვამის მოსმენა.

აჭარისკენ მომავალს შორიდანვე ეპატიჟებიან და გულს უღებენ აჭარის მთები, რომლებიც ფეხით შავ ზღვას ებჯინებიან, ქედით კი ცის ლაჟვარდ კამარას ესიყვარულებიან.

მაგრამ სანამ აჭარის მთებს შეუერთდებოდეთ, წინ გეფინებათ, ფეხქვეშ გეშლებათ კახაბრის ველი, რომელიც ქურდულათ იპარავს თვალს — მისრიალებთ და მაინც ვერ გალევთ.

უძველეს დროს, როდესაც შავი ზღვის ფაფარ აყრილი ვერცხლისფერი ტალღები აჭარის მთებს ეხეთქებოდენ და განადგურებას უქადდენ. აჭარის მთების ერთგულმა მესაიდუმლემ

ჭოროხმა ნელა-ნელა აგროვა მთების ფერდოებიდან სილა, ამოავსო ზღვის ნაპირი და ამგვარათ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წარმოშვა კახაბრის ველი.

კახაბერი გარდიშალა ზღვისა და მთებს შუა.

და მას დღეს აქეთ აჭარის მთები, კახაბერზე დაყრდნობილები, კოხტათა და უშიშრათ გად-მოჰყურებენ შავ ზღვას, რომლის მქუხარე ტალღები კახაბრის ნაპირებზე ღონე მიხდილი იშლებიან და მთის კალთებს ვეღარ სწვდებიან.

კახაბრის ველი მთელი აჭარის ძუძუა: მთელ აჭარას ეს არჩენს. აჭარა აქ ჩამოდის სამუშაოთ და აქვე მოჰყავს მას მთელი წლის სარჩო.

გალევთ თუ არა კახაბრის ველს, შეუერთდებით აჭარის მთებს, რომლებიც თანდათან მაღლდებიან, თითქოს ზღვისა და ხმელეთის ამბავი ცისაკენ მიაქვთო.

მთელი აჭარა — მაღალი მთებია. მთებს შუა მეტათ ვიწრო ჭალები და ხევებია, ზოგან ისე ღრმა, რომ გადახედვაც არ იამება უჩვევ თვალს.

მთები შემოსილია ზოგან თხელი, ზოგან დაბურული ტყით. ზოგან ხეებს ვეღარ მიუღწევიათ მწვანე მწვერვალებამდე, რომელთა ალპის ბუნება ნისლის ლეჩაქში შებურვილი თვალს იზიდავს, თვალს ჰხიბლავს, თვალს ატყვევებს და ათრობს.

მოგესალმებით ქედებო,

მომაქვს სალამი გვიანი!

გვიანი იმიტომ რომ აქამდე არ მინახავხართ.

ძირს მისრიალებს აჭარის წყალი, რომელიც სოფელ კიბესთან ჭოროხს ერთვის.

აგერ გვერდზე ღელე მოჩხრიალებს, იქით წყარო გადმოჩუხჩუხებს;

აგერ მთის ფერდობი ჩაზნექილია, ვაკეთ ქცეულა და ზედ ოდები კოხტათ წამოჭიმულან. ცოტა მოშორებით აქანებული მთის ნაპირიდან წყალვარდნილი ვერცხლის ფრათ იფანტება.

გულიც იქ იწევს, თვალიცა,
იქ რომ მაღალი მთებია,

ბევრგან მინახავს ლამაზი ბუნება, ლამაზი მთები, მაგრამ სილ სხვა არის აჭარის ბუნება, აჭარის მთები.

ყოველ ფეხის გადადგმაზე სურათი იცვლება, თვალი იღალება სილამაზის ხილვით. ხევი, მდინარე, ღელე, წყარო, ჩანჩქური, წყალვარდნილი, კლდე, ტყე — ერთი მეორეს ეჯიბრებიან და სწორეთ აქ არის შესაფერისი პოეტის სიტყვები:

ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!
ხევი მთას ჰმონებს, მთა — ხევსა;
წყალნი —ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი მიწას და მიწა
თავის აღზრდილთა მცენარეთ.

მამისონი? თერგის ოსეთის კლდენი, სვანეთის მთები, კავკასიონი?

დიდებული მთაკლაკნილია, მაგრამ გულქვანი, მრისხანენი, მობერებულნი, მუდამ წარბ-შეკრულნი და სამორად გამზადებულები არიან. იქ ცივა, იქ მუდამ ზამთარია.

აჭარის მთები კი მუდამ გულღიანი, მუდამ მოღიმარნი, მუდამ ახალგაზრდანი, მუდამ მხიარულნი, მუდამ საქორწილოთ გამზადებულნი, მუდამ სიყვარულის ფერხულში არიან.

თუ დიონისი ოდესმე ქვეყნათ იყო, ის უსათუოთ აჭარის კალთებზე დანავარდობდა, ქეიფობდა და დროს ატარებდა.

მთა თუ ხალხის წარმოდგენაში საზოგადოთ მდევრების, ეშმაკების, ჭინკებისა, ალისა და ქაჯების, ყველა ავსულების საბინადროა, აჭარის მთები ასეთები არ არიან.

აქ ყვავილთა სამეფოა, აქ ბაღნარია, აქ ანგელოზების წალკოტია: ყურძენი, ვაშლი, საუცხოვო მსხალი, აქ ტყეში ჰხარობს.

ვინ გარდა, ვინ დამყნა?

ვინ იცის, ვინ გეტყვის?

ნაზი, მხიარული, ბაღათ ქცეული მათა — აი აჭარა.

სხვაგან ნახავთ დიდებულ მთებს, მრისხანე კლდეებს, მაგრამ ამის მსგავსს კი ვერა.

მთა და ბარი, ტყე და ბაღი, ქალის სიკეკლუცე და ვაჟის სიხალისე აქ ერთად არიან შეერთებული და მთელი სიმშვენიერე, არა ჩვეულებრივობა აჭარის მთებისა სწორეთ ამაში მადგომარეობს.

მიდიხართ აჭარის გზაზე. წინ გხვდებათ საუცხოვო ხილით დატვირთული ცხენები.

იხედებით აქეთ იქით; თითქოს ბაღი არსად არის, მარტო ტყეა.

თურმე ნუ იტყვით, ეს ტყე იგივე ბაღია. გარეულ ირემსა და საუცხოვო ვაშლს, მსხალს ერთათ ინახავს აქ ბუნება.

ცხადია, ქალური სინაზე, წარბგაშლილობა, სიმდიდრე სიუხვე და სიხალისე აჭარის მთებისა ნაყოფია ზღვისა.

ვის ეკუთვნის აჭარის მთები?

რასაკვირველია აჭარლებს.

მთავრობამ აჭარლებს ჩამოართვა მათი სიმდიდრე და სახაზინოთ ჩარიცხა.

რევოლუციამ კი აჭარლებსავე დაუბრუნა საკუთრებათ მათი მთა და ტყე.

მიწის საკითხი აჭარაში ისევ აჭარლებმა უნდა გადაწყვიტონ. ჩვენ მხოლოდ რჩევა-დარიგება შეგვიძლია.

ამიტომ ვიტყვი, რომ აჭარის მთები უნდა შეადგენდენ ყველა აჭარლების საერთო საკუთრებას.

აჭარაში აქა იქ შეხვდებით ვენახს — მაღლარს.

ვინ გააშენა?

არავინ იცის.

ამბობენ, ეს ვენახები ძველადგანვე არის დარჩენილი, როცა აჭარლების წინაპრები ჯერ კიდევ ქტისტიანები იყვნენო.

ნასაყდრალ ადგილებში ღვინის ქვევრებიც ჰყრია მწაში თურმე, ძველი მარნებიც ყოფილა აქა იქ დარჩენილი.

აჭარის მთები მარტო ხილით კი არ არის მდიდარი, მდიდარია საბალახეებით, რითაც მცხოვრებლები სარგებლობენ, განსაკუთრებით კი ბეგები, რომლებიც ბლომათ ინახავენ ცხვარს, თხას, საქონელს.

აჭარის მთის ერთ დიდ სიმდიდრეს შეადგენს ფუტკარი, რომელიც აქ საშინლათ მრავლობს.

არის აქ სხვა და სხვა მადანი — სპილენძი, ვერცხლი, საღებავები და სხვ.

ნაშთი ძველის დიდებისა

არ გამქრალა ჯერაც ყველა.

გამახსენდა ეს სიტყვები პოეტისა, როდესაც აჭარის წყალზე თამარის ხიდი დავინახე. ქვითკირის ხიდი, თაღად გადაყვანილი მდინარეზედ. დღესაც კოხტათ არის დაკიდებული.

მრავალი უბედურების მოწამეა, მაგრამ არ ჩანგრეულა, არც ჩაზნექილა და დღესაც სავსე ურემი თამამათ გაივლის ზედ, თუმცა ხიდის ერთადერთ საყრდნობს მარტო ნაპირები შეადგენს.

თამარის ხიდი აშკარად ჰმოწმობს, თუ რა მაღალი იყო ჩვენი კულტურა ძველათ.

ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე ხანა ახსოვს ამ ხიდს ჩვენი ისტორიისა! ეს ხიდი მარტო წარსულზე კი არ გველაპარაკება, არამედ მომავალზედაც.

ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს თვისი უკანასკნელი სიტყვა. წყეულმა ბედმა დაგლიჯა ის, მაგრამ დღეს დგება ხანა აღდგენისა, გამთლიანებისა და ახალი აყვავებისა.

ეს იქნება გაგრძელება ჩვენი ძველი კულტურისა და დამთავრება, დაგვირგვინება ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭისა.

ქართველ ერში ჯერ კიდევ დიდი ენერგია არის დაგროვილი და დაუხარჯავი.

ქართველი ერი უსათუოთ გაშლის ამ ენერგიას და გააკვირებს, აალაპარაკებს ქვეყანას.

მდინარის ორივე მხარეს მთების კალთებზე გამოფენილია აჭარლების სოფლები. სოფელი სოფელზე არ არის ისე გადაბმული, როგორც იმერეთში. სახლები უფრო ახლო-ახლოს არის ერთი მეორეზე. კოხტა ხის და აივნით და ქვითკირის ბუხრებით, ყავრით ან კრამიტით შეხურული, — აი უმთავრესათ აჭარელის სახლი. შორიდან სოფელი ლამაზ სურათს წარმოადგენს და გურიის სოფელს, სახლკარსა და მოსახლეობას მოგაგონებთ.

მთელი აჭარა იყოფა ორ ნაწილათ: ერთია ქვედა აჭარა, მეორე ზედა აჭარა.

ქვედა აჭარაში ითვლება სამოცდათორმეტი სოფელი, ზედაში ოთხმოცდაორი.

ქვედა აჭარის დაბათ ანუ ბაზარ ადგილათ ითვლება სოფელი ქედა, რომელიც ბათომიდან ორმოცი ვერსის მანძილზეა.

ზედა აჭარის ცენტრია ხულო, რომელიც ბათომიდან 85 ვერსზე მდებარეობს.

ხულოს როდესაც მიუახლოვდებით, თქვენს ყურადღებას იპყრობს მაღლობზე გადმომდგარი, ლამაზი შუშაბანდიანი ოდა. ერ არის ჯემალ-ბეგ ხიმსიაშვილის საზამთრო სახლი.

მარტო ოდები კი არა, ხალხიც მთლათ გურულებია სახით, ლაპარაკის კილოთი ტანთჩაცმულობით გურული ტანისამოსი და ყაბალახი თავზე.

ნახავთ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილებსაც, უფრო ბეგების ოჯახში.

რუსულ ტანისამოსში ე. ი. ევროპულათ თუ ვისმე აცვია, ან ბერძენია, ან სომეხი.

ჰკითხავთ გამვლელ-გამომვლელს გვარსა ბეჟანიძე, შარვაშიძე, დიასამიძე, თურმანიძე, ბერიძე, მიქელაძე, თავდგირიძე, ნაკაშიძე, ნიჟარაძე, ბოლქვაძე, ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ჯაყელი, — აი რას გაიგონებთ.

ქართული ენა წმიდათ არის დაცული. ბევრმა ოსმალური იცის, ბევრმა კი არა.

მთელ აჭარას რომ გაივლით ყოველისფერი გეუბნებათ, რომ აქ საქართველოა, ქართველი ხალხი, ზნე, ჩვეულება, ენა, სიმღერა, ჩაცმა-დახურვა ქართული.

მაგრამ აი გამოჩნდნენ ქალები. სწრაფათ იბუდნიან პირისახეს, გზაზე გადადგებიან, მობრუნდებიან და ზურგს მოგვიქცევენ, სანამ არ გაშორდებით.

მხოლოდ ახლა რწმუნდებით, რომ აქ მთალად ქართული ჩვეულება არ არის, რომ ჩვენს შორის რაღაც განსხვავებაა.

ეს არის სარწმუნოება.

ივ. გომართელი

(გაგრძელება იქნება).

ალიონი, 1917 წ. № 65
„აჭარა და აჭარლები“
წერილი II

(გაგრძელება. იხ. გაზ. „ალიონი“ № 64)

ჯერ უწინაც, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი იყო და მისი დემოკრატია მეტათ სუსტი, ქართველი ერის მთავრობა სარწმუნოების საკითხში დიდ თავისუფლებას იჩენდა და ამ ნიადაგზე არავის სდევნიდა, არავის ჩაგრავდა, არცა ცდილობდა ძალდატანებით ქრისტიანობის გავრცელებას. დღეს კი საქართველოში ძალა უფლების პატრონი, საქართველოს გამგე და მპყრობელი ქართველი დემოკრატია არის.

სინდისის, რწმენის, სარწმუნოების სრული თავისუფლება, — აი რას იცავს ქართველი დემოკრატია აჭარის ხოჯებს, მოლებს, ბეგებს ცოტა არ იყოს, ეშინიანთ, ვაი თუ ჩვენს მომძე ქრისტიან ქართველებს გულში რაიმე ფარული ზრახვა ჰქონდეთ ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგო. ჩვენი ერთობის მტერიც ყურში ჩასჩურჩულებენ აჭარლებს, უფრთხილდით ქართველებს, მაგათ თქვენი გაქრისტიანება უნდათო. აჭარლებმა კარგათ უნდა იცოდნენ, რომ ქართველ დემოკრატიას არავისი გაქრისტიანება არ უნდა.

უწინდელი მბრძანებლები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თავის სარწმუნოებას. მაგრამ ეს ბრძანებლები დემოკრატები კი არ იყვნენ, არამედ დემოკრატიის მტერი.

ქართველი დემოკრატია ჰგმობს მათ გზას, მათს ძალმომრეობას და მათი მიმბაძველი არასოდეს არ იქნება.

იყავით თავისუფალი, ევედრეთ ღმერთს, ისე, როგორც თქვენ გინდათ, აასრულეთ ის წესები, რომლებიც თქვენა გწამთ, — აი როგორი ქადაგებით შედის ქართველი დემოკრატია ყველგან.

სარწმუნოება ყოველი ადამიანის კერძო, მისი საკუთარი საქმეა. და ქართველი დემოკრატია არა თუ ძალას არავის დაატანს, პირიქით თვითონ დაიცავს ყველას თავის სარწმუნოებაში.

ჩვენი აჭარლებისა და საერთოთ მაჰმადიანი ქართველების რჯულის საუკეთესო დამცველი ქართველი დემოკრატია იქნება. რატომ?

იმიტომ, რომ ქართველი დემოკრატიის დროშა თავისუფლების დროშაა და არავის არ მისცემს ნებას, რომ ვინმემ ძალა მიიტანოს საქართველოში სხვის სარწმუნოებაზე.

სამწუხაროთ აჭარაში სარწმუნოება ეროვნებისაგან კარგათ ვერ გაურჩევიათ მდაბიო ხალხს კი არა მარტო, თვითონ ბეგებსაც.

დარბაისელმა, თავაზიანმა და სტუმართ მოყვარე ჯემალბეგ ხიმშიაშვილმა თავისი ტკბილი ლაპარაკის დროს წარმოსთქვა: როდესაც ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენო. ჩვენ დემოკრატებმა ვიცით, რომ სარწმუნოება სხვა არის, ეროვნება კი სულ სხვა. ქართველი მართმადიდებელია ისე, როგორც რუსი, ბერძენი და სხ.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ქართველი ქართველია და არა ბერძენი ან რუსი. სადაც დემოკრატია ძლიერია, იქ ეროვნებას და სარწმუნოებას ერთმანეთში არავის ურევს.

ხოლო საცა დემოკრატია სუსტია, იქ ხალხს სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივე ჰგონია.

განათლებული მაჰმადიანებიც კი არ უწევენ ამ გარემოებას ანგარიშს და თავის სარწმუნოებას რაღაც განსაკუთრებულ როლს აკისრებენ.

ჩვენი სარწმუნოება ადამიანის კერძო ცხოვრებაში ერევა, ოჯახში შედის, ადამიანის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას ძირიან ფესვიანათ სცვლის და ამიტომ მან სხვა და სხვა ეროვნება არ იცის, ეროვნებას კი სპობს; ვინც ჩვენს სარწმუნოებას მიიღებს, ის ამით უკვე თათარიაო, — აი როგორ მსჯელობს ბევრი მათგანი. სრული შეცდომაა.

ხალხის განვითარების დაბალ საფეხურზე არც ერთი სარწმუნოება არა სცნობს ეროვნებას. ასე იქცეოდა ქრისტიანობაც პირველ საუკუნოებში ვინც ქრისტიანობას მიიღებდა, ის ამით ჰკარგავდა თავის ეროვნებას და ამ დღიდან იყო მხოლოდ ქრისტიანი.

შემდეგ და შემდეგ კი როდესაც ეროვნული ცხოვრება განვითარდა, ჩამოყალიბდნენ და გაძლიერდნენ სხვა და სხვა კლასები, სარწმუნოება და ეროვნება ერთმანეთს დაშორდნენ.

დღეს რეაქციონერები სარწმუნოებას სახელმწიფოს და ერს უკავშირებენ ხალხისავე დასაბნელებლათ და დასამორჩილებლათ, მაგრამ დემოკრატიამ დიდი ხანია განაცხადა: სარწმუნოება კერძო საქმეა, სახელმწიფოს უნდა ჩამოვაშოროვო. იგივე უნდა ითქვას მაჰმადიანობაზედაც თუ სხვა და სხვა ეროვნების მაჰმადიანები ამბობენ: ჩვენ ყველანი თათრები ვართო, ეს აიხსნება მხოლოდ უკან ჩამორჩენილობით, დაბალი კულტურით.

როდესაც მაჰმადიანებში ევროპული კულტურა საკმაოთ ფეხს მოიკიდებს და დემოკრატია გაძლიერდება, იქაც იგივე მოხდება, რაც ქრისტიანებში:

სარწმუნოებას იმის შესაფერის ალაგს მიაკუთვნებენ და ეროვნება საკუთარის გამორკვეულის სახით მოგვევლინება. ეს მოვლენა უკვე კარგა ხანია დაიწყო მაჰმადიანებშიც: სპარსელი, თურქი და არაბი, — ყველა მაჰმადიანები არიან, მაგრამ მათი სარწმუნოება მათ ეროვნებას ვეღარა ჰყლაპავს: სპარსელი დემოკრატი დღეს აღარ იტყვის, მე თურქი ვარო; აგრეთვე არაბი დემოკრატი სრულებითაც აღარ ამბობს, მე თურქი ვარო; პირიქით ის ოსმალეთს ბრძოლას უცხადებს და დამოუკიდებელი არაბეთი უნდა.

იგივე უნდა ვთქვათ აჭარლებზედაც. აჭარლების წინაპრები იყვნენ ქართველები, მათი ჩამომავლობაც — დღევანდელი აჭარლები რასაკვირველია ქართველები არიან.

უძველეს დროს თუ ქრისტიანები იყვნენ, დღეს მაჰმადიანები არიან, — ეს სრული მათი სინიდისის საქმეა; მათი ხელის შემშლელი ამ კითხვაში ქართველი ქრისტიანები არასოდეს არ იქნებიან, — ამას მხოლოდ მტრები თუ იტყვიან. ქართველი ადამიანი მაჰმად იწამებს, ქრისტეს, თუ მოსეს, — მაინც ქართველია და მაინც ქართველი სისხლით, ხორცით, ჩამომავლობით, ენით, სამშობლოთი, ისტორიით სჯულის საქმეში ის ყორანს აირჩევს, თუ სახარებას, — ეს მარტო მან უნდა იცოდეს და მისმა სინიდისმა.

მე მინდა, რომ ეს კითხვა იმდენათვე ნათელი და გარკვეული იყოს აჭარლებისთვის, რამდენათაც მათი მოძმე — ქართველი დემოკრატიისათვის.

ივ. გომართელი.

(დასასრული იქნება)

ალიონი, 1917 წ. № 67
აჭარა და აჭარლები
წერილი III

(გაგრძელება, იხ. გაზ. „ალიონი“ № 65)

რა რომ კახაბერს გასცილდებით და აჭარის მთებს მისცემთ თავს, სახნავ-სათეს ადგილებს ძალიან ცოტას ნახავთ. ჭოროხისა და აჭარის წყლის ხეობა მეტათ ვიწროა. მხოლოდ აქა-იქ მოიძებნება წყალთა ნაპირებზე ჭალა ადგილები, ისიც მეტათ პატარაა. მთის ფერდოები ალაგ-ალაგ იმდენათ გაკეთებულია, რომ სახნავ სათესი ადგილები გამოიჭრება. ტყე და მთა სახაზინო საკუთრებას შეადგენს და ამ რიგათ აჭარაში მიწის სივიწროვეა.

სამაგიეროთ ბუნება მეტათ მდიდარია და აქ ადამიანს შრომა უნდა უყვარდეს, რადგანაც შრომა აქ უსათუოდ დაფასდება.

აჭარის ნახვამ მე ვერ დამამტკიცა, ვერ დამარწმუნა, რომ აჭარელი შრომის მოყვარე იყოს.

აჭარელი არ არის ზარმაცი, როგორც ზოგიერთი მთის ხალხი, მაგრამ არც იმდენად გამრჯეა, რამდენადაც იმის მდიდარ ბუნებას შეეფერება.

დარწმუნებული ვარ, ეს იმითაც აიხსნება, რომ აჭარელი ცოდნას მოკლებულია.

მიეცით მას მისი ქვეყნის შესაფერისი სამეურნეო ცოდნა და ის უსათუოთ ააყვავებს აჭარას, შრომის მეტს უნარს, მეტ ენერგიას გამოიჩენს.

ხშირათ სიზარმაცე უცოდინარობის შედეგია.

აჭარელს მოჰყავს უმთავრესათ სიმინდი აქა-იქ თამბაქოსაც შეხვდებით. მითხრეს, ზოგან მეფუტკრეობასა და აბრეშუმის მოყვანასაც მისდევენო.

უძველეს დროს აჭარა განთქმული იყო ვაჭრობით, ხელოსნობით, ხუროთმოძღვრებით. აჭარის წყალსა და ჭოროხის ნაპირებზე შეხვდებით საყარაულო კოშკებს, რაც ჰმოწმობს, რომ აქეთ სავაჭრო გზები მიდიოდა.

დღევანდელი აჭარელი ამ მხრივ მეტათ ჩამორჩენილია: მას არც ვაჭრობა უყვარს, არც ხელოსნობა.

აჭარელი მუშაობს წელიწადში რამოდენიმე თვე. დანარჩენი დრო სრულებით თავისუფალია.

როგორც გადმომცეს, ქალები აჭარაში მეტათ შრომის მოყვარენი არიან, მაგრამ სამწუხაროთ კარ-ჩაკეტილ ცხოვრებას ატარებენ.

მამაკაცთა საზოგადოებაში აჭარელ ქალს ვერ ნახავთ.

წერა-კითხვის მცოდნე აჭარაში ძალიან ცოტაა, რადგანაც სულ ხოლო დროს გაიხსნა აქ რამოდენიმე სასწავლებელი. ხოჯები ასწავლიან თურქილს, მაგრამ თურქულის, მაგრამ თურქული ენა აჭარაში არ არის გავრცელებული.

აჭარის ენა ქართულია; თურქულათ უფრო დიდაკაცობა, ბეგები ლაპარაკობენ. ქართული ენა ქალებშია მტკიცეთ დაცული და, თუ აჭარამ თვისი სამშობლო ენა შეინარჩუნა, მგონია აჭარელ დედას უნდა ვუმადლოდეთ: ტკბილ რძესთან და ტკბილ ნანინასთან ერთათ აჭარელს ის ბავშვობიდანვე ათვისებს სამშობლო ენას.

ქალთა საზოგადოებაში მამაკაცს არ შეესვლება, ისიც უცხოს.

აჭარელი ქალი კი უსათუოთ უნდა გამოვიდეს კარ ჩაკეტილობიდან; უსათუოდ უნდა აიხადოს ჩადრი და დაენახვოს ყველას იმ სახით, რომელიც მისთვის ღმერთს დასამალავათ არ მიუცია.

აჭარელმა ქალმა და საზოგადოთ ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა უნდა მოიპოვონ თავისუფლება და ამ საქმეში მათ დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენმა ქალებმა.

აჭარელ ქალებთან თავისუფლათ მიესვლებათ ჩვენს ქალებს და ზაფხული ამისთვის საუკეთესო დროა.

ჩვენი ქალები უნდა გაეცნონ, უნდა დაუახლოვდენ თავის დებს მაჰმადიან ქართველ ქალებს. ეს გაცნობა-დაახლოვება აუცილებელია ჩვენი მერმისისათვის.

საქართველოს გაერთიანების, აღდგენის ხანაა და ამ აღდგენაში ქრისტიანმა ქართველმა ქალებმა უნდა შეიტანონ თავისი წვლილი.

სხვა და სხვა სარწმუნოების ქართველები თავს იყრიან ერთად საერთო სამშობლოს საკეთილდღეოთ და ჩვენმა ქალებმა უნდა შემოიერთონ ქართველი მაჰმადიანი ქალები. სილამაზე და სიძლიერე ქართველი ერისა სწორეთ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ დემოკრატიის მფარველობის ქვეშ სრული თავისუფლება ექნება დათმობილი ყოველ გვარ სარწმუნოებას.

ქრისტიანი ქართველები, მაჰმადიანი ქართველები, ქართველი ისრაელები შეერთებულის ძალ-ღონით ააყვავებენ საერთო სამშობლოს — საქართველოს და როდესაც შრომისაგან მოქანცულები სულის საქმეს შეუდგებიან, ერთი მაჰმადს მიმართავს, მეორე ქრისტეს, მესამე მოსეს.

ქართველი დემოკრატია ერთიანის პატივისცემით ეპყრობა ყველას სარწმუნოებას, სამივე დიდ წინასწარმეტყველსა და რჯულის მდებელს.

საჭიროა, რომ აჭარაში და საერთოდ მთელ სამაჰმადიანო საქართველოში დემოკრატია ისევ იყოს ძლიერი, როგორც საქრისტიანო საქართველოში. ამის განსახორციელებლად კი საჭიროა აჭარაში სწავლა და ცოდნა.

აჭარელს ყოველისფერი ხელს უწყობს, რომ ის მდიდარი იყოს, ბედნიერი. მტა, ბარი, ზღვა, მდიდარი ბუნება, — ყოველივე იმის ხელთ არის, მაგრამ აჭარელს არა აქვს ცოდნა.

აჭარა არის მეურნეობისა და სამთამადნო წარმოების ქვეყანა. აჭარაში აყვავებული უნდა იყოს ერთიცა და მეორეც. აჭარაში ძლიერი, შეგნებული და გათვითცნობიერებული უნდა იყოს როგორც წარმოებაში ჩაბმული მუშათა კლასი, ისე მეურნეობაში ჩაბმული სოფლის მუშა.

შიგა და შიგ აჭარაში შეხვდებით გადამწვარ სახლებსა და დუქნებს. ეს არის შედეგი ომისა, რომელმაც აჭარას დიდი უბედურება დაატეხა თავს.

— აი ეს სოფელი სულ აოხრებული იყო! ეს სოფელი მთლათ მიტოვებული იყო. ამ სოფელში მხოლოდ ახლა დაიწყეს მცხოვრებლებმა დაბრუნება; გეუბნებიან, როდესაც აჭარაში მიდიხარ.

მე ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ აჭარა მსხვერპლი გახდა დასმენისა, ჯაშუშობის და პროვოკაციისა. რუსის ჯარი და კაზაკები რომ აჭარაში ჩავიდნენ, იმათ ჩაგონებული ჰქონდათ, რომ ისინი მიდიან მოღალატეებთან.

მოღალატეებს კი არავინ არა ზოგავს, ამიტომ არც ჯარმა და განსაკუთრებით კი კაზაკებმა დაზოგეს აჭარლები და საერთოდ ართვინის მხრის მაჰმადიანობა.

როდესაც ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი მოგვითხრობდა იქაურ ამბებს, ქვაც კი აცრემლდებოდა.

არ ინდობდენ არც ქალს, არც მოხუცს, არც ბავშვს. ორმოცსა და სამოც კაცს ერთად დააყენებდნენ და ხმლებით ჰკუწავდნენ.

— ართვინში ნათესავი მყავდაო, გვიამბო ჯემალ-ბეგმა. მთელი ოჯახი ორმოცდა შვიდი სულისაგან შესდგებოდა. ნაშუაღამევს დაეცნენ თავს, მოუყარეს ერთად ყველას თავი და შემდეგ ხმლებით აჰკუწეს.

— სამოც კაცზე მეტი ერთად დაამწყვდიეს დიდ ბოსელში. ქართველ ჯარის კაცს შეებრძოლა, იცოდა, რასაც უზამდენ ამ საწყლებს და შეეხვეწა: გაუშვით, ეგენი ხომ მაჰმადიანები არ არიანო. ის იყო, გაშვებას აპირებდენ, მაგრამ გამოჩნდა ერთი კაცი (სამწუხაროთ ექიმი, როგორც ჯემალბეგი გვარწმუნებდა), რომელმაც დაუმტკიცა კაზაკებს, რომ ისინი მაჰმადიანები იყვნენ და საბრალონი იქავე აკუწეს ხმლებით.

— როდესაც ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენ, სხვა და სხვა ძველებური ნივთები, ნაქსოვები და მარგალიტით ნაკერი ნიშნები ჰქონდათ. ეს იყო მთელი განძი, ფასდაუდებელი სიმდიდრე. ყოველივე ეს დაიტაცეს, წაიღეს. ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, — ყოველივეს მიერეკებოდენ, არაფერი არ დაუტოვებიათ.

თვითონ ჯამალბეგისათვის მოუტაცნიათ რამოდენიმე ასე სული საქონელი, თუმცა ჯამალბეგი რუსეთის არმიის პოლკოვნიკია და იმ ხანებში ომში იღებდა მონაწილეობას.

— სადაც ქალს მოასწრებდნენ გაუპატიურებელს არა სტოვებდნენ ეს კი ვეღა მოვითმინეთ, ფიალა აივსო; ვხედავდით, რომ აღარავის აღარ გვზოგავდა, ვიღუპებოდით და აღარც ჩვენ დაგვიზოგნია ვინმე ამის შემდეგ. მაშ რა უნდა გვექნა? არა არ უნდა გვექნა? გვეკითხებოდა ჯემალბეგი.

ერთმა ქალმა ტყეს მიაშურა ორი ბავშვით დაიღალა, ორივე ვერ ათრია. ჩალის ზვინი დაინახა, უფროსი ბავშვი შიგ დამალა და უმცროსით გადმოიარა, რომ შემდეგ მობრუნებულიყო და უფროსიც წაეყვანა. ჯარისკაცებმა ზვინს ცეცხლი მისცეს და ბავშვი შიგ გამოსწვეს. . .

ერთი ქალი გარბოდა ძუძუმწოვარი ბავშვით. დაედევნენ და თოფი ესროლეს. ქალმა გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, წაიქცა და განუტევა სული. ბავშვმა კი მკვდარი დედის ძუძუ მონახა და ჩაიდვა პირში მოვიდნენ ჯარის კაცები, თმით სწიეს ბავშვი და ხანჯლით თავი გააგდებიეს.

განა ამის დავიწყება შეიძლება? — დააბოლობა ჯამალბეგმა.

მართლა რომ არ შეიძლება საშინელების დავიწყება.

ჯამალბეგი დიდის მადლიერებით იხსენებდა ქართველ ჯარის კაცებს, რომლებიც ასეთი მხეცობის დროს მაჰმადიანებს ეხმარებოდენ, იფარავდენ და მოხუცებს, ბავშვებს, ქალებს ღამით გააპარებდენ ხოლმე.

კერძოთ ჩემზე ჯამალბეგმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა:

სტუმართ-მყვარე, მხიარული, ოხუნჯი, ჯეთილშობილი, ღირსეული, ამაყი და გულკეთილი, რაინდი და გულ-ჩვილი, შეუპოვარი და მშვიდი, თავმდაბალი, — აი ჯამალბეგი.

მასში ძველი ქართველისა და მაჰმადიანის ყველა ღირსება, ყველა კარგი მხარე ერთად არის თავმოყრილი და შეზავებული.

მას დიდი გავლენა აქვს მთელ ზემო აჭარაში. ხალხი მას მისდევს, ხალხი მას ენდობა. ხალხი იმას უჯერის, ხალხი მას ეკითხება ყოველისფერში; ხალხს უმისოთ არც ჭირი უნდა და არც ლხინი.

ზემო აჭარაში ყოველისფერის გაკეთება შეუძლია ჯემალბეგს. უჯემალბეგოთ აქ არაფერი არ გაკეთდება.

თუ ჯამალბეგი თქვენსკენ არის, ხალხიც თქვენსკენ არის.

თუ ჯამალბეგი განზეა, ხალხიც განზე წავა.

ყოველივე ამას ანგარიშს არ გაუწევს ზოგიერთი პრაპაგანდისტი, რომელსაც კლასთა ბრძოლა და წოდებრივი ანტაგონიზმი გაზეპირებული აქვს და დაიწყებს აჭარაში იმგვარსავე ქადაგებას, როგორც გურიაში ამ იმერეთში.

ამის გაკეთების მაგიერათ მთლათ ერთიანათ გააფუჭებს საქმეს.

ის რაც გურიაში და იმერეთში ითქმის, აჭარაში არ ითქმის.

ჯამალბეგთან მივედით, რამოდენიმე საათის შემდეგ ბათუმში უნდა დაბრუნებულიყო აკაკი ჩხენკელი, რადგანაც თბილისისაკენ მიეჩქარებოდა.

სტუმართ-მოყვარე ჯამალ-ბეგმა გულწრფელათ სთხოვა აკაკის მეორე დღემდე მოცდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, გასცა განკარგულება და ნახევარი საათის განმავლობაში რამოდენიმე ასი ზემო აჭარელი ამის ეზოში იყო თავმოყრილი.

დავრწმუნდი, რომ აკაკი ჩხენკელს დიდი გავლენა აქვს აჭარაში, აჭარლებს აკაკი განსაკუთრებით უყვართ და მათგან ღირსიც არის ის ასეთი სიყვარულისა, მაგრამ ჯამალბეგს რომ ეთქვა, არამც და არამც არ მოხვიდეთო, ზემო აჭარლები არ შეხვდებოდენ თავის საყვარელ აკაკი ჩხენკელს.

შეუძლებელია აჭარლებზე ილაპარაკოთ და აკაკი ჩხენკელზე არა თქვათ რა.

სოფლის ყრილობაზე, სოფლის ხალხის წინაშე მე აკაკი არ მინახავს, — მხოლოდ აჭარაში ვნახე.

როდესაც აკაკი ჩხენკელი ხალხს ელაპარაკება, თქვენს წინაშე დგას ადამიანი, რომელსაც დემოკრატიული რწმენა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ხალხთან მისი ენა არის სადა, მარტივი, უბრალო. ის გვერდს უვლის ყოველივეს, რაც ხალხისათვის გაუგებარია, რასაც ხალხის შეგნება ვერ მოინელებს, და ჩაქუჩს ურტყამს ყოველივე იმას, რაც ხალხისათვის დღესვე არის აუცილებელი. ლაპარაკის დროს ის სრულებით არ ცდილობს, რომ ვინმე მოისყიდოს, ვისმე ასიამოვნოს. ის მიუდგომელია, გულწრფელია და უაღრესათ პატიოსანი.

ამავე დროს ხალხს მოსწონს მისი ლაპარაკი, — ხალხი სულგანაბული უსმენს მას და იჭერს, ჰაერში კრეფს ყოველივე იმის სიტყვას.

გავლენიანი ბეგის აივნიდან ის ეუბნება შეუბნებელ ხალხს, რომ თავისუფლებამ გლეხი და ბეგი გაასწორა, გაათანასწორა, მაგრამ ეუბნება ისე, რომ ბეგს არა სწყინს; ბეგი მას ეთანხმება. მსმენელი აკაკის სიტყვებში ბეგის დამცირებას კი ვერა ჰხედავს, არამედ ხალხის ამაღლებას, ხალხის შემოსვას სრული უფლებიანობით.

აკაკისა სწამს აუცილებლობა და განხორციელება ყოველივე იმისი, რასაც ხალხს ეუბნება, ყოველივე მისი სიტყვა მტკიცეა, შეურყეველი და ამ რწმენას უნერგავს ის ხალხს.

აკაკის ყოველ სიტყვაში ხალხი გრძნობს ძალას, რაც ხალხის სიყვარულს აკაკისადმი ჰმატებს უსაზღვრო პატივისცემას, ნდობას და იმედს.

აკაკი ჩხენკელი არ მალავს წყაროს ამ ძალისას. ის ეუბნება ხალხს: ეს ძალა თქვენსგანა მაქვს მე. თქვენს ამორჩეულსო. მაგრამ ამავე დროს იმის ყოველ სიტყვაში გაიგონებთ, რომ უკან არ დაიხევს, არავის დაუთმობს; თუ ნებით არ განახორციელეს ის, რასაც ამბობს, ძალით განახორციელებს. ძალას იხმარს ყველას წინააღმდეგ, ვინც ხალხის ინტერესებს წინ გადაეღობება. აქ არ არის მუქარა, ვერც გაიგონებთ მრისხანების კილოს; მისი ენა ტკბილია, მისი კილო მშვიდი, აუღელვებელი; მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად თქვენ გრძნობთ ძალას, თქვენ ჰხედავთ, რომ აკაკის უბრალო ლაპარაკი არ უყვარს, რომ მას შესწევს ზალა შეასრულოს, განახორციელოს ის, რასაც ამბობს.

რაკი აკაკიმ თქვა, მაშ ეს ასეც იქნება, ასე უნდა იყოს რაკი აკაკი დაგვპირდა, მაშ ეს ასე იქნება.

აკაკი არ ეძებს ხალხის ნდობას, პატივისცემას, ის საქმით არის გატაცებული; ის მეტათ დემოკრატია, რომ ამაზე იფიქროს და იზრუნოს, მაგრამ მისი სიტყვა, მისი მოქმედება იწვევს ხალხში უზომო ნდობას და პატივისცემას.

როდესაც აკაკი სიტყვას ათავებს, ის თვითონ გადიქცევა სმენათ, ყურს უგდებს გულდასმით ყველას; იქვე იძიებს და იკვლევს ყოველივეს იქვე აძლევს სხვა და სხვა განკარგულებას, იქვე ადგენს სამართალს, ყველას საჩივარს, გასაჭირს და გულის ტკივილს ისმენს, ყველასათვის მზათა აქვს პასუხი.

სადაც თხოვნაა საჭირო, მისი თხოვნა სჭრის სადაც დარიგება უნდა, მისი დარიგება მიზანს აღწევს, სადაც განკარგულება სჭირია, მისი განკარგულება სწრაფათ სრულდება, ხოლო სადაც ბრძანება უნდა, იქ აკაკი მბრძანებელია და იმის კილო აუმაღლებელ ბრძანებას ტყვიის სიმძიმე აქვს.

დაუღალავი, დინჯი, აუჩქარებელი, მეტათ წინდახედული, ფრთხილი და გაწრთვნილი, დამთავრებული, დასრულებული და ამავე დროს ზრდილი, თავაზიანი პოლიტიკური მოღვაწე, აი აკაკი ჩხენკელი. ენდეთ, გაჰყევით მას და ის ყოველ გვარ მდგომარეობიდან ნახავს გამოსავალს, დემოკრატიის საქმეს გაიტანს.

აჭარლებზე ბევრი ამაგი მიუძღვის აკაკი ჩხენკელს, აჭარა უყვარს მას და აჭარლებსაც უყვართ ის.

[დასრულება იქნება]

ივ. გომართელი

ალიონი, 1917 წ. № 68, გვ. I – II
„აჭარა და აჭარლები“
წერილი IV

აჭარელი, როგორც საზოგადოთ ყოველი მაჰმადიანი, მეტად თავაზიანია და ამავე დროს ცოტა გულჩათხრობილი. რაც უნდა გულწრფელი იყოთ მასთან, ის მთლად არ გენდობათ, თავის გულში სრულად არ ჩაგახედებთ; ჩვენთან ფრთხილია, რაღაცისა ეშინიან.

ატყობთ, რომ ერთმანეთისა ჩვენ კარგათ არ გვესმის, ერთმანეთი ვერ გავიცანით რიგიანათ.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენში ეროვნული შეგნებაა ძლიერი, აჭარლებში კი სარწმუნოებრივი ფანატიზმი. ჩვენთვის სარწმუნოებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ კარგა ხანია განვლეთ ის ხანა ჩვენი შეგნებისა და განვითარებისა, როდესაც სარწმუნოება ჩვენთვის უმთავრესი იყო. აჭარელი კი სწორეთ ახლა იმყოფება ამ ხანაში, სარწმუნოება მისთვის ყოველისფერია, ის მონაა სარწმუნოებისა.

ამიტომ სანამ საერო განვითარებით, საზოგადოებრივი შეგნებით ის ჩვენ არ დაგვეწევა, სანამ იმის შეგნებაში სარწმუნოება არ დაიჭერს თავის შესაფერის ალაგს, ჩვენს შოროს ზოგი რამ იქნება გაუგებარი. ამიტომ იქნება პატარა უნდობლობაც.

განვითარების დაბალ საფეხურზე სარწმუნოებრივი შეგნება ჰგავს ყოველივეს. შემდეგ ისახება და ნელნელა ვითარდება ეროვნული შეგნება. მაგრამ ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის შეკავშირებული სარწმუნოებრივ შეგნებასთან და მას ემორჩილება. შემდეგ და შემდეგ ეროვნული შეგნება უთანასწორდება სარწმუნოებრივსა და ბოლოს უსწრებს და ჩაგრავს მას.

ადამიანის შეგნებაში პირველ ალაგს იჭერს ეროვნული თვითცნობიერება. მაგრამ აქ იბადება საერთაშორისო შეგნება და ის უწევს მეტოქეობას ეროვნულს. ეროვნული პირველათ საერთა-

შორისოზე ძლიერია, მაგრამ შემდეგ და შემდეგ საერთაშორისო უთანასწორდება ეროვნულსა და ბოლოს უსწრებს მას.

ქართველი ერის შეგნებაში უკვე მძლავრათ ვითარდება საერთაშორისო. აჭარლის შეგნებაში კი ჯერ ისევ სარწმუნოებრივი ბრძანებლობს და ეროვნული აგერ აგერ ისახება.

ასეთ პირობებში იმგვარი მოღვაწეობა, როგორიც ჩვენში აუცილებელია, აჭარაში ფრიად მავნებელია.

ჩვენში შეგიძლიათ სარწმუნოებაზე თავისუფლათ იმსჯელოთ, სამღვდელოებასა და თავადაზნაურობას „ძირს“ უხახით, აჭარაში კი ეს ყოვლად შეუძლებელია.

პარტიული მუშაობა იმ სახით, როგორც ეს ჩვენშია, აჭარაში შეუწყნარებელია. პარტიული მუშაკები აჭარაში საარჩევნო კენჭებს ეძებენ და ამ კენჭებს მსხვერპლათ სწირავენ მას, რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს: აჭარელის ეროვნულათ გათვითცნობიერებას.

ქედაში შემდეგი გვიამბეს: ნაციონალ-დემოკრატების პროპაგანდისტს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ სხვათა შორის ეთქვა ამის მსგავსი: ეგენი სოციალ-დემოკრატები არიან, სარწმუნოება არა სწამთ, მაგათ თუ გაჰყევით, სარწმუნოებას დაგაკარგვინებენო და სხვა.

აჭარელმა პარტიები არ იცის. აჭარელი ქართველში ჰხედავს უპირველესათ ქართველ ქრისტიანს და არა პარტიულ ადამიანს. თუ ამ ქართველი ქრისტიანისადმი მას ნდობა დაუკარგეთ, თუნდაც ის სოციალ-დემოკრატი იყოს, ამის შემდეგ ის აღარც ნაციონალ-დემოკრატს ენდობა: ისიც ხომ ქართველი ქრისტიანიაო, იტყვის თავსი გულში. ქვემო აჭარაში აკაკი ჩხენკელს დიდის თხოვნით მიმართეს, პროპაგანდისტების პარტიული კამათი და კინკლაობა ნუ იქნება ჩვენშიო.

აჭარაში ყველმა ქართველმა უნდა შეიტანოს შემდეგი პოლიტიკური ლოზუნგი: აჭარა ეკუთვნის აჭარლებს!

აჭარა ნაწილია სამაჰმადიანო საქართველოსი. სამაჰმადიანო საქართველო შედის საერთოთ მთელი საქართველოს საზღვრებში, მაგრამ მას აქვს თავისი საკუთარი თვითმმართველობა. თავისი მიწა-წყლის, თავისი ქვეყნის პატრონი და გამგე მაჰმადიანი ქართველები არიან და ჩვენთან მათ აქვთ ძმური კავშირი და განწყობილება. ბათუმში არსებობს ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტი. ეს კომიტეტი წინ უნდა წაუძღვეს და წაუძღვება კიდეც, როგორც მთელ სამაჰმადიანო საქართველოს, ისე აჭარას. ჩვენი ვალია, ამ კომიტეტს დავეხმაროთ და ცოდნით, შრომით, ფულით შევაძლებინოთ, გავუადვილოთ თავისი მძიმე საქმის შესრულება.

საქველმოქ. საზოგადოებამ ბევრი რამ გააკეთა აჭარაში. ჩვენ უნდა გავყვეთ იმის კვალსა და მისი შრომა გავზარდოთ, გავაფართოვოთ.

აჭარას აკლია ცოდნა. ამისთვის საჭიროა აჭარაში პირველ-დაწყებითი სასწავლებლები, სადაც პატარა აჭარლები წერა-კითხვას ისწავლიან.

აჭარლების ნამდვილი დედა-ენა, რომელიც დაცულია როგორც ოჯახში, ისე ოჯახს გარეთ, არის ქართლი.

მაშასადამე, სასწაული ენა აჭარის პირველდაწყებით სასწავლებლებში უნდა იყოს ქართული, თურქული ენა კი უნდა შეადგენდეს სავალდებულო საგანს.

სამაჰმად. საქ-ში არის ისეთი კუთხეები, სადაც ქართველებს ქართული ენა უკვე დაუკარგავთ, - დღეს იმათი ენა უკვე თურქულია.

სამწუხაროა, როდესაც ხალხი თავის მშობლიურ ენას ჰკარგავს და გადაგვარდება. მაგრამ სამაჰმადიანო საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ეს ასე მოხდა და იქ ბავშვებმა ქართული არ იციან. მათი ენა თურქულია ოჯახშიც და ოჯახს გარეთაც. ამიტომ აქ სასწავლებლებში სასწავლი

ენა თურქული უნდა იყოს, ქართული კი სავალდებულო საგანი. ამას ითხოვს დემოკრატიული პრინციპი და საღი პედაგოგიური შეხედულება.

აჭარაში საჭიროა სახელოსნო სასწავლებლები. აჭარა მდიდარია ტყით, სხვადასხვა მდინარეებით. ყოველივე ეს კი საუცხოვო მასალას იძლევა სახელოსნო სასწავლებლებისათვის.

მომავალში მთამადნის წარმოება უსათუოდ განვითარდება აჭარაში და სახელოსნო სასწავლებლები მისცემს აჭარის ახალგაზრდობის შესაფერ ცოდნისა და მომზადების, რომ თავისი ქვეყნის სიმდიდრე გამოიყენოს.

აჭარაში ხარობს ხეხილი, ვენახი, ფუტკარი, თუთუნი; ზემოაჭარის საბალახოები საშუალებას აძლევს მცხოვრებთ, მერძევეობას მოჰკიდონ ხელი. აქ საკმაოთ ამზადებენ კარაქს, ყველს. ამიტომ აჭარაში საჭიროა სამეურნეო სასწავლებლები, სადაც პრაქტიკულად უნდა იყოს დაყენებული ყოველი დარგი ისეთი მეურნეობისა, როგორის საშუალებასაც აჭარა იძლევა.

მოზრდილთათვის აჭარაში საჭიროა ლექციები, ბუნდოვანი სურათები და საპარასკეო სკოლები.

ზაფხულობით უნდა მოვაწყოთ მოძრავი ჯგუფები, რომლებიც აჭარაში გამართავენ ლექციებს ბუნდოვანიმ სურათებით სხვა და სხვა ალაგს. ამის მოწყობა ადვილია, მხოლოდ სურვილი უნდა იყოს. სურვილი უსათუოდ უნდა გვქონდეს, რადგანაც სამაჰმადიანო საქართველოს აღდგენასა და ეროვნულათ გათვითცნობიერებასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული ქართველი ერის მთელი მომავალი. სამაჰმადიანო საქართველო მცხოვრებთა რიცხვით და ტრადიციით თითქმის მთელი საქართველოს მესამედია. სამაჰმადიანო საქართველო თავისი მდებარეობით საქართველოს ერთი საუკეთესო ნაწილია. ამიტომ ქართული ერის მერმისი შეუძლებელია ისე, თუ სამაჰმადიანო საქართველოს ეროვნული თვალები არ აეხილა. ეს ძალიან კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ ქართველს.

აჭარაში უნდა დავაარსოთ საკმაო რიცხვი ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოებისა, აქ უნდა იყოს როგორც ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ისე თურქული.

ზაფხულობით უნდა გავმართოთ ჩვენი მოსწავლეების ექსკურსიები აჭარაში და აჭარელი მოსწავლეებისა ქართლ-კახეთ-იმერეთში. პირად შთაბეჭდილებებს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ ეროვნული შეგნებისათვის, ვიდრე წიგნებსა და სჯაბაასს.

აჭარაში უნდა მოვაწყოთ კოოპერატიული დაწესებულებანი და წვრილი კრედიტის ამხანაგობანი. ასეთ საქმეს უნდა აღმოვუჩინოთ ყოველგვარი დახმარება. აჭარაში უნდა დავახმაროთ საექიმო და საფერშალო პუნქტები. განსაკუთრებით საჭირონი არიან ფერშლობა, ბებიაობის მცოდნე ქალები, რადგანაც მხოლოდ იმათ მიმართავს აჭარელი ქალი დახმარებისათვის.

უნდა დავაარსოთ ყოველწლიური სტიპენდიები სხვა და სხვა სასწავლებლებში აჭარლებისთვის.

აჭარელი ბავშვების მასწავლებლები და აღმზრდელები, ისევ აჭარლები უნდა იყოს. სამწუხაროთ, ჯერჯერობით ძალიან ცოტაა აჭარაში და საერთოდ სამაჰმადიანო საქართველოში ასეთი მოვალეობებისთვის მომზადებული პირები. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ბათუმში სემინარიის დაარსება; ეს სემინარია მოამზადებს ქართველ მაჰმადიანებს სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის სამაჰმადიანო საქართველოში.

ამ საქმის განხორციელებას უკვე შეუდგა ჩვენი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ჩვენი დრო ერთია თვითგამორკვევის, ეროვნებათა აღდგენის დროა.

ქართული ერი უნდა აღსდგეს. ის ვერ აღსდგება, თუ სამაჰმადიანო საქართველო ეროვნული შეგნების ძლიერი შუქით არ გაბრწყინდა. ამისათვის კი საჭიროა ჩვენის მხრით მედგარი კულტურული მუშაობა სამაჰმადიანო საქართველოში.

ივ. გომართელი.

სამშობლო

— სამშობლო ნაციონალისტების თავშესაფარია, ბურჟუების საკუთრებაა, ჩვენ საკუთარი სამშობლო არ გვწამს — ინტერნაციონალისტები ვართო, გაიგონებთ ზოგიერთისაგან ჩვენში.

— მე მინდა, რომ ჩემი სამშობლო მაგალითის მაჩვენებელი იყოს ყველასათვის. მტერი რომ შემოგვესიოს, იარაღს მოვკიდებ ხელს და სამშობლოს მიწის ერთ მტკაველსაც არავის დავანებებო, დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ბებელი.

— სარევოლიუციო მუშაობა ისე უნდა ვაწარმოვოთ, რომ რუსეთის შვილებმა იგრძნონ, რომ მძიმე ავათმყოფობას განიცდის მათი დედა.

ასე მსჯელობს ირ. წერეთელი.

რუსეთის პროლეტარიატის მოწოდებას, თქვენც გადააგდეთ თქვენი კაიზერიო, გერმანიის ხალხმა, გერმანიის პროლეტარიატმა ასე გასცა პასუხი, როგორც დიდი ადამიანი დაუხვდება ხოლმე ბავშვის რჩევას.

რატომ?

განა გერმანიის პროლეტარიატს, იმ პროლეტარიატს, რომელიც გაცილებით მაღლა დგას რუსეთის პროლეტარიატზე ყოველი მხრით, ყოველისფერში — გერმანიის მეფე უყვარს?

არა, მას ვილჰელმი არ უყვარს.

მაშ ვინ უყვარს, რა უყვარს? თვისი გერმანია, თვისი სამშობლო!

გერმანიის პროლეტარიატს უყვარს სამშობლო და ის არ მალავს ამას, მას არა თუ არ რცხვენია, მას თავი მოსწონს ამ სიყვარულით.

მან დიდი ხანია იცის, თუ რას აძლევს პროლეტარიატს რევოლუცია და დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ შიშობს, სამშობლო განსაცდელში არ ჩააგდოს ასეთ საბედისწერო დროს.

აი ეს არის ის წმინდა საშიშროება, რომლის გაღვიძებასაც ცდილობს ირ, წერეთელი რუსის ხალხში რუსის პროლეტარიატში.

თუ კი რუსეთის მშრომელ ხალხს სამშობლო გააჩნია, ქართველ მშრომელ ხალხს არ გააჩნია?

თუ კი გერმანიის მუშებს სამშობლო გააჩნიათ, ქართველ მუშებს არ გააჩნიათ?

გააჩნიათ, გააჩნიათ და მეტსაც გეტყვით.

როდესაც არც რუსეთის, არც გერმანიის ერი არ არსებობდნენ, როგორც ერი, ქართველი ერი არსებობდა თავისი კულტურით, თავისი ისტორიით!

როდესაც არც გერმანია, არც რუსეთი არ არსებობდნენ, როგორც გერმანიისა და რუსეთის ერის სამშობლო, საქართველო არსებობდა, როგორც ქართველი ერის სამშობლო!

თუ კი რუსეთის დემოკრატია, რუსეთის პროლეტარიატი ვალდებულია, **წმინდა საშიშროების გრძნობა** თვისი სამშობლოსადმი ცეცხლათ აქციოს, ქართველმა დემოკრატიამ, ქართველმა პროლეტარიატმა რათ უნდა ამოშალოს თავის გულიდან ეს გრძნობა?

თუ კი ეს გრძნობა სამშობლოსათვის სრული თავგანწირვისა რუსეთის მშრომელი ხალხისათვის წმიდაა, სასახელოა, სათაყვანებელი, ჩვენი მშრომელი ხალხის გულში რათ უნდა იყოს ეს გრძნობა არა წმინდა, დამამცირებელი, დასაგმობი?

როგორ!

განა ქართველი მშრომელი ხალხის გულში არ არის დამარხული სამშობლოს სიყვარული?

რო წარმოვიდგინო, რომ ეს მართალი არა არის, ეს იქნებოდა უდიდესი შეურაცხყოფა, საშინელი დამცირება ქართველი მშრომელი ხალხისა.

თუ კი საუკეთესო ადამიანსა და საუკეთესო სოციალდემოკრატს რუსეთის ხსნა უნდა რუსეთის მშრომელი ხალხის გულში სამშობლოსადმი ძლიერი სიყვარულის გაღვიძებით, თუ კი ამ სიყვარულზე მძლავრი იარაღი მას ვერ მოუნახავს დღევანდელს პირობებში, ჩვენ რათ უნდა ვებრძოლოთ ამ სიყვარულს? რათ უნდა ვნათლავდეთ მას სხვადასხვა სათაკილო სახელით?

ან იქნებ რუსეთის მშრომელი ხალხის სამშობლო განიცდის დღეს მძიმე ავათმყოფობას და ქართველი მშრომელი ხალხის სამშობლო კი ყოველგვარი სენისაგან განკურნებულია?

მაშ იცოდეთ:

რუსის ხალხს დღეს დაატყდა განსაცდელი, ჩვენი ხალხის ისტორია კი განსაცდელთა მეტათ გრძელი მატეანეა!

ჩვენს ხალხს კი მთელი ასი წელიწადი და მეტი ემუქრებოდა თვითმპყრობელი მეფე და მისი მთავრობა.

ყური დაუგდეთ ირ. წერეთელს

როდესაც რუსეთი განსაცდელშია, ის მოუწოდებს რუს მშრომელ ხალხს; თქვენი დედა მძიმე ავადმყოფობას განიცდის, იფეთქოს თქვენს გულში სამშობლოსადმი სიყვარულმა და ამ წმინდა გრძნობამ შეგაძლებინოთ მისი ხსნაო.

ჩვენში კი... რაა ჩვენში?

როდესაც სამშობლო განსაცდელშია, როდესაც სამშობლოს ბედი უნდა გადაწყდეს, ჩვენში ამბობენ ზოგიერთები: სამშობლო ბურჟუების არის, მისი სიყვარული ნაციონალისტების საქმეა, მშრომელ ხალხს სამშობლოსათვის არა სცალიაო!

სიყალბეა, სიბეცეა, შეუგნებლობაა, სიცრუე!

ყოველი სამშობლო უწინარეს ყოვლისა მშრომელი ხალხის სამშობლოა!

სამშობლოს სიყვარული უწინარეს ყოვლისა მშრომელ ხალხის გრძნობაა.

და რაც უფრო დაჩაგრულია ეს სამშობლო, მით უფრო ძლიერია ეს გრძნობა. ეს არ ეწინააღმდეგება კაცობრიობის და ინტერნაციონალის სიყვარულს, პირიქით, ეს აუცილებელი პირობაა უკანასკნელისთვის.

რაც უფრო ებრძვიან ამ გრძნობას, მით უფრო მძლავრათ იფეთქებს ის.

იფეთქებს, რადგანაც სამშობლოს განსაცდელი უწინარეს ყოვლისა მშრომელი ხალხის განსაცდელია. იფეთქებს, რადგანაც სამშობლოს თავისუფლება მშრომელი ხალხის თავისუფლებაა.

იფეთქებს, რადგანაც მშრომელი ხალხი სამშობლოს უდიდესი იმედია.

თუ რუსეთის მშრომელი ხალხი ვალდებულია, იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან, ჩვენი მშრომელი ხალხისთვის ეს ვალდებულება უფრო დიდია — ეს მისი უწმინდესი მოვალეობაა!

რუსი ხალხი არ დაიღუპება, ის გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და დაამყარებს თავისუფალ წყობილებას, მაგრამ ეს იმას ნიშნავს განა, რომ ჩვენს სამშობლოს აღარავითარი განსაცდელი აღარ გადაეღობება?

თვითმპყრობელი მეფის ალაგას რუსეთის ბურჟუაზია აიმართება ჩვენს წინაშე.

ჩვენი თავისუფლების ბორკილებს რუსეთის ბურჟუაზია გამოსჭედავს!

მერე ვინ იტყვის, რომ თვითმპყრობელი მეფის ბატონობა თუ მწარე იყო, ბურჟუების ბატონობა ტკბილი იქნება?

ვერავინ!

ბურჟუებს თავისუფლება თავისთვის უნდათ, სხვებისთვის არა.

ბურჟუებს თავისუფლება იმიტომ უნდათ, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ.

ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ბურჟუებს იმიტომ უნდათ, რომ ქვეყანა თავის სასარგებლოთ მოაწყონ და სხვებს კისერზე დააჯდენ.

ბედნიერი ერი მხოლოდ თავისუფალი ერია.

ჩვენი თავისუფლება — ჩვენი ავტონომიაა. . .

ჩაუკვირდით კარგათ, რა ხდება რუსეთში.

ბურჟუები ნელა-ნელა იკრებენ ძალა-უფლებას. მათ იერიში მიაქვთ მშრომელ ხალხზე. უკანასკნელი უნდა შეერთდეს თავისუფლების დასახსნელათ. ჩვენმა მშრომელმა ხალხმა უნდა წამოუყენოს მტკიცე ეროვნული მოთხოვნილება სრული ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის სახით.

ჩვენმა მშრომელმა ხალხმა უნდა შეჰკრას მტკიცე კავშირი კავკასიის ერთა ყველა მშრომელ ხალხთან.

დრო არ იცდის. რუსეთის ბედი წყდება. ყველა დაჩაგრული ერის და საქართველოს ბედიც ახლა უნდა გადაწყდეს.

ვინ უნდა გადაწყვიტოს, თუ არა მშრომელმა ხალხმა?

თუ რუსეთის მშრომელი ხალხი ვალდებულია, აინთოს სამშობლოს სიყვარულის წმინდა გრძნობით, ჩვენი მშრომელი ხალხიც ვალდებულია. თუ რუსეთის მშრომელი ხალხი ვალდებულია იხსნას თავისი ავათმყოფი სამშობლო, ქართველი მშრომელი ხალხიც ვალდებულია განკურნოს თვისი სამშობლო ხანგრძლივი სნეულებისაგან.

ივ. გომართელი.

ალიონი, 1917 წ. № 59

დედა სამშობლო

ბალღი ვიყავი, უმწეო, უსუსური.

და როდესაც გონების კარი პირველათ გამეღო, როდესაც ვიხილე მშვენება მზისა, უზომო, უძლიერესი სიყვარული ვიგრძენ შენდამი. მწყუროდა დამენახე, მწყუროდა შენი სახე მეხილა.

მწყუროდა, გულში ჩაგკვროდი, დამეძახა, დამეყვირა: დედა, დედამეთქი. შემდეგ დავდუმებულიყავი და შენს კალთაში ჩუმათ უძრავათ ვყოფილიყავი დიდხანს, დიდხანს, ძალიან, ძალიან დიდხანს, რომ შენის სსუნთქვისათვის მეგდო ყური, შენის სიყვარულით სრულიად, მთელის სიყვარულით სრულიად, მთელის ჩემის არსებით დავმტკბარვიყავი.

შენ დაგეძებდი, გამალებული შემოგტიროდა ჩემი გული, ბაგენი ჩემნი თავისთავად იმეორებდენ საამო, სანეტარო სიტყვებს: დედა, დედაო.

შენ არსად იყავი; მე ვიტანჯებოდი, ჩემო ლამაზო, ჩემო ტკბილო, ჩემო საყვარელო და მუდამ შენ გახსენებდი, მუდამ შენს სახელს ვიმეორებდი.

მე ვხატავდი ჩემს ოცნებაში შენს სახეს. შენ იყავი ახალგაზრდა, ლამაზი, საყვარელი. სულ იღიმებოდი, ჩემსკენ იშვერდი ხელებს, მე მეძახი.

გიყურებდი შენ, ვსტკბებოდი და ვამბობდი: ჩემისთანა ლამაზი დედა არავის არა ჰყავს, არავის მეთქი.

მე მივდიოდი ველათ ან ტყეში, სადაც არავინ არ იყო, სადაც არავინ არ დამიშლიდა შენზე ფიქრს, შენზედ ოცნებას. გამოვიხმობდი შენს სახეს ფოთოლთა შორის, მდინარის სარკეში.

გიმზერდი და ვსტკბებოდი, ვსტკბებოდი და შეგხაროდი; შრგხაროდი და ბედნიერი ვიყავი.

ერთხელ ეკლესიაში ვიყავი არავინ იყო.

დავიჩოქე ღვთის მშობლის ხატის წინ, აღვაპყარ ხელი მთელის ჩემის სასოებით და შევთხოვდი, შენი სახე ერთხელ მაინც დაენახვებია ჩემთვის, შევსთხოვდი და ცრემლები მდიოდა.

გეძებდი ხატთა შორის, გული მყკიოდა, გული ჩუმათ, უხმოთ გიხმობდა.

და შენ აღმობრწყინდი ღვთის მშობლის ხატის ალაგას. შენ იყავი ლამაზი, ლამაზი, მაგრამ ფერ მიხდილი. თვალებ დაშვებულს თავზე ეკლის გვირგვინი ედგა, ხელებზე ბორკილები.

გაქვავებული მოგჩერებოდი; თავზარ დაცემულს მინდოდა, რაღაცა მეთქვა, მაგრამ ჩემდა უნებურათ საშინლად დავიღრიალე.

და შენი სახე თითქოს შემკრთალი, შეშინებული ნელა-ნელა ღვთის მშობლის ხატს ამოეფარა და მიილია, გაჰქრა. . .

სული ჩემი ტანჯვამ შეიპყრო, გული ჩემი სევდამ დაჰღარა და მე გეძებდი შენ ეკლის გვირგვინითა და ბორკილებით შემკულს.

ბავშობის ხანამ უკვალოთ გაიარა და დამიტოვა მან სევდა და უზომო სიყვარული.

სევდაც შენგნით არის, სიყვარულიც. შენია, ჩემო ტკბილო, ჩემო წამებულო, ჩემო ღვთაებავ.

ჭმუნვასა და მწუხარებაში ვიზრდებოდი ობოლი, დედის ალერსს, დედის კოცნას, დედის სიყვარულს, დედის მოფერებას მოკლებული.

და ჭაბუკობის ყვავილებით მოფენილს გზაზე შევხვდი დიდებულ მოხუცს, ვისმინე მისი საგნის ჟღერანი.

აღტაცებული და ცრემლებ მორეული როდესაც წარვსდექი მის წინაშე, თვალებში ჩამაჩერდა, ხმა არ გამცა, მომკიდა ხელი და წამიყვანა.

ციხესთან მივედით, ცხრა კლიტულთან გამაჩერა, რკინებით შემოლასტულ სარკმელში შემახედა და მითხრა: თვალი გაახილე, აი იქ არის დედაშენიო.

ბნელს საკანში, ცხრა კლიტულში გავარჩიე შენი სახე. სწორეთ ისეთი, როგორიც გიხილე ღვთის მშობლის ხატის ალაგას ეკლესიაში.

შენ იყავი ლამაზი, ფერ მიხდილი; ეკლის გვირგვინი მშვენიერ თავს გიმკობდა ბორკილებით თლილ ხელებს.

— დედა, დედა ჩემო, საყვარელო დედა! კარი გააღე, მოდი ჩემთან, მომეხვიე, მომეალერსე, მე ვარ შენი უბედური შვილი, შენთვის ტანჯული, შენზე მგლოვუარე. . . ბავშვობა და სიჭაბუკე შენს ძებნაში გავლიე. გულს მხოლოდ შენ უნდოდი, გულს მხოლოდ შენ სწყუროდი. ოცნება ჩემი მუდამ შენთან იყო; გონება ჩემი მარად შენ გეპყრა.

ჩემი ხმა უძლური იყო, ისე როგორც ჩემი მკლავები.

ჩემი ყვირილი შენ არ გესმოდა.

მას დღეს აქეთ მოვდივარ და მოვსტირი. სასოწარკვეთილებაში ილაჯ-გაწყვეტილი ვურახუნებ თავს შენი ციხის რკინებს.

თავი არ გასკდა, გულიც არ დადუმდა, რომ ოხერ სიკვდილს ერთხელ და სამუდამოთ მოეღო ბოლო განაწამები ცხოვრებისათვის.

შემომეცალენ მეგობარნი ჩემნი; ზოგი გიჟს მეძახდა, ზოგი მორალატეს.

მე არავინ არ მინდოდა შენს მეტი, ჩემო ოცნებავ, მე ყველას დავთმობდი, ყველას ვუღალატებდი შენთვის, შენი გულისათვის.

ახალგაზრდა ვიყავი ახალგაზრდათა შორის. ჩემს გარშემო ხალისობდენ, ლაღობდენ და მხიარულობდენ ჩემი ტოლნი.

მე კი ეული ვიდოდი, გულ-ჩათხრობილი, ვითარცა უდაბნოს მწირი.

სიყვარულის, ტრფობის ცეცხლი იწოდა და მას გარშემო ფერხულს მართავდენ ჩემს ჰასაკში მყოფნი.

ჩემი გული კი არავის არ იკარებდა, აღარავის არ იტევდა, — მხოლოდ შენ იყავი შიგ გამეფებული.

ფიქრი ჩემი, გრძნობა ჩემი, ოცნება ჩემი მუდამ შენთან იყო.

ვიძინებდი შენზე ფიქრით; სიზმარშიც კი შენთან ვიყავი განუყრელი.

ზოგჯერ მინდოდა, მეც ავყოლოდი ცხოვრების ფერხულს, მეგრძნო სიტკბოება ამ ქვეყნიური;

ვცდილვარ, დამევიწყებია კვნესა და სევდა გულისა, ავყოლოდი სიმღერას, მხიარულებას.

ვერ დაგივიწყე, ტკბილო, საყვარელო! ვერსათ შევაფარე შენზედ ფიქრს თავი.

და ვუთხარი ჩემს თავს: ეს ყოფილა ხვედრი შენი მეთქი. შევიკერე შავები, შევიმოსე ძაძებით.

ზოგს უკვირდა, სხვები დამცინოდენ.

სიყმაწვილე გავლიე შენზე ოცნებაში. ახალგაზრდობის სასიმღერო დღეები შენთვის სევდა-ოხვრაში გავატარე. ფიალა ობლის ვაებისა, ფიალა ტანჯვა-მწუხარების თითქოს ბოლომდე შევსვი.

და დღეს გათენდა ბრწყინვალე, ბნელეთი გაიფანტა!

ფიალა დაცლილი სევდისა მხიარულებით, ნეტარებით, სიმღერით აივსო!

ყურს ვუგდებდი ვაჟას სიმღერას, რომ გაჰკიოდა: ვიხილავ სანატრელ სახეს, რომ ამდგარიყოს მკვდრეთითაო, და მოხდა სასწაული.

ციხე დაინგრა, ცხრაკლიტული დაინახა და აი გამოდიხარ შენ, ჩემო დედა, ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერო! გამოდიხარ ბორკილებ აყრილი, თავისუფლების დროშით ხელში, სახე გაბრწყინებული, მოღიმარი ახალი ცხოვრებისათვის.

ეს შენა ხარ, ჩემო დედა, ჩემო დედა, ჩემო სამშობლო!

საუკუნეზე მეტს გვყავდა შენი თავი ციხეში, ცხრაკლიტულში მჯდომარე. საუკეთესო ქართველების სული და გული მუდამ შენთან იყო;

საუკეთესო ქართველების სული მუდამ შენ დაგტრიალებდა.

მათი სიყვარულის, მათი ნატვრის, მათი ფიქრთა და ზრახვათა ერთადერთი საგანი შენ იყავი.

შენ იყავი მათი სევდის და მწუხარების, მათი გლოვის და სასოწარკვეთილების ერთადერთი წყარო შენზედ ფიქრში ამოდიოდა მათთვის მზე; შენზედ ფიქრშიც ჩაესვენებოდა ის.

შავი დრო უსიხარულოთ მიდიოდა. იმედი შეუბრალებლათ იმსხვრეოდა. თაობა თაობას მისდევდა .... და თავისუფალი დედა სამშობლოს ხილვის წყურვილი, მას თან მიქონდა ცივ სამარეში.

სიბნელე იყო გარშემო, წყვდიადი. და ამ წყვდიადის სიჩუმეს მხოლოდ ზარის ხმა არღვევდა.

ეს იყო გლოვის ზარი, რომელიც ქართველის გულში ჰრეკავდა.

და აი უკვე განათდა გაბრწყინდა არე-მარე. გლოვის ზარი გაჩერდა. ყველა მხიარულია, ყველა მღერის, ყველა ცეკვავს.

შამოვიგლიჯე შავები, გავძარცვე ძაძები!

მომეცით მზესავით სპეტაკი ტანისამოსი. ააჟღერეთ ბუკიგამოიდარა:

მე სიმღერა მწადია, მე მინდა ვუმღერო თავისუფალ დედა სამშობლოს!

ჩემო ქვეყანავ! შენი ტანჯვა დასრულდა და შენ კვლავ მოგვევლინე შენს შვილებს აღდგენილი, ლამაზი, თავისუფალი! შენს ისტორიაში დასრულდა ხანა ცრემლებისა, ხანა გლოვისა, ხანა მწუხარებისა, ხანა განუხორციელებელი ოცნებისა.

ახლა დადგა დრო სიხარულისა, მხიარულებისა, ზეიმისა, სიმღერისა, ბედნიერებისა, აყვავებისა, ამაღლებისა.

შენის ცხოვრების წიგნში დამთავრდა შავი ფურცელი და გადიშალა ახალი, სპეტაკი, სადღესასწაულო ფურცელი, რომლის გადმოშლასაც უქმათ ცდილობენ შენი საუკეთესო შვილები.

ამ ფურცელზედ უკვე დაწერილია წაუშლელი ასოებით: თავისუფალი საქართველო!

შენს წინ იშლება, ჩემო დედა სამშობლო, ახალი გზა დიდებული ცხოვრებისა, საარაკო შემოქმედებისა.

გვიხმე, შემოვკრბეთ ყველანი შენს გარშემო, რომ ჩაგეხუტოთ გულში, აგაყვაოთ, აგამაღლოთ და გაგხადოთ უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი, ვიდრე ოდესმე იყავი.

გვიხმე, შემოვკრბეთ ყველანი შენს გარშემო, რათა მტლათ დავედოთ შენს ბედნიერებას, ჩვენო თავისუფალო, ჩვენო საყვარელო!

გვიხმე, შემოვკრბეთ ყველანი შენს გარშემო და შემოგფიცოთ ყველამ ერთ ხმათ, რომ დაუღალავს შრომით გავაბრწყინოთ შენი სახელი ისე, როგორც ის ჯერ არასოდეს არა ბრწყინაბდა და მთელის ჩვენის ძალღონით, ჩვენი არსებით, ნიჭით, შემოქმედებით გენაცვალოთ შენ. ჩვენო ოცნებავ, ჩვენო საყვარელო!

დიდი ხნის ნატვრა, დიდი ხნის ოცნება აღსრულდა:

თავისუფალი გვყევხარ, თავისუფალს გხედავთ განახლების გზაზე და დღეიდან შენი ბედი, შენი მომავალი შენს ხელთ არის, ჩვენო სიამაყევ!

და შენი შვილები, რომლებიც იტანჯებოდენ, იბრძოდენ შენი თავისუფლებისათვის, დღეიდან ცრემლშეშრობილნი, გულგალაღებულნი შენით გაამაყებულნი სიცოცხლეს შესწირავენ შენის სახელის განდიდებას, შენის ბედნიერების განმტკიცებას.

და დღევანდელ დიდებულ დღეს ფიცსა ვდებთ ყველა, ვისაც კი სწამს ფიცი განთავისუფლებული დედა სამშობლოს წინაშე, ფიცსა ვსდებთ შენს დიდებას, შენს სახელს შევსწიროთ მთელი ჩვენი ნიჭი, ჩვენი ძალღონე. სიცოცხლე ჩვენი სანეტარო იქნება დღეიდან თავისუფალი დედის გულზე.

სიკვდილი ვეღარ შეგვაშინებს აწი თავისუფალი დედის კალთაში შემოკრბით სულ ყველა, მოხუცნო, ყრმანო!

განთავისუფლდი დედა სამშობლო მობრძანდება, სიმღერითა და ფერხულით შევეგებოთ!

ივ. გომართელი.

ალიონი № 8, 1918 წ.

ქართველ ერს

ქვეყნათ ყოველივე ცვალებადია; ყოველივე წარმავალია; ყოველივე კვდება და ჰქრება; ყოველივეს უფსკრული დავიწყებისა ჰყლაპავს.

მხოლოდ ჭეშმარიტება არის გარდაუვალი და სამარადისო, მხოლოდ ჭეშმარიტება არ ჰქრება.

ერთი უდიდესი ჭეშმარიტება თავისუფლებაა.

მონობა, ბორკილები, უღელი, გამოგონილია.

ბუნებამ მონობა არ იცის, ბუნება თავისუფლებას ქმნის.

პირველიდგან იყო თავისუფლება.

ადამიანი შვილია თავისუფლებისა, ის თავისუფალი არსებაა და რა მაგარი ბორკილებიც უნდა დაადვათ მას ან ჩააცვათ მონის შესამოსელი, ის მაინც თავისუფალია, თავისუფლება იმის სულშია ჩაქსოვილი და მისი ამოგლეჯა ყოვლად შეუძლებელია, მას ვერავინ ვერ წაართმევს.

თავისუფლება უდიდესი, ფას დაუდებელი განძია.

ის დასაწყისია სინათლისა, ბედნიერებისა, ნეტარებისა, სიხარულისა.

თავისუფლება მზე არის ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის არსებისა.

წყვდიადი, სიკვდილი, ტანჯვა, მწუხარება, — აი რა არის გამეფებული ყველგან, სადაც თავისუფლების სხივი არ ანათებს.

თავისუფლება სიცოცხლეზე უძვირფასესია, სიცოცხლეზე უზომოთ მეტია, რადგანაც სიცოცხლეც არ არის იქ, სადაც თავისუფლება არ არის.

პირველიდგან იყო თავისუფლება. . .

და შემდეგ გაჩნდა სიცოცხლე.

სიცოცხლე თავისუფლებიდან იშვა და ამიტომ ის მარად თავისუფლებისკენ მიისწრაფის, მუდამ დაეძებს მას და ისპობა, როცა მას ვერა ჰპოებს.

თავისუფლება წყაროა ადამიანის ბედნიერებისა, ადამიანის ადამიანობისა.

თავისუფლება მზე არის მთელი ერისა, მისი ეროვნული ცხოვრებისა.

ის აძლევს ერს სინათლეს, სითბოს, ძალას.

და როდესაც თავისუფლება არ არის; ეროვნული ცხოვრება დუნდება, ჩლუნგდება; ერის სული სნეულდება, ერი ნელა ნელა ისპობა და ბოლოს კვდება.

ერის სიწმინდე, ერის სიამაყე, ერის ღირსება, ერის უკვდავება თავისუფლებაშია ჩამოსხმული.

და ერს რომელსაც უნდა სიცოცხლე, არსებობა, აუცილებლად უნდა თავისუფლებაც.

ჩვენი წინაპრები გრძნობდენ ამას და თავისუფლებას ანაცვლებდენ ყოველისფერს, თავისუფლების გარეშე სიცოცხლე არარათ მიაჩნდათ.

მთელი ჩვენი ისტორია ბრძოლაა თავისუფლებისათვის და ქართველი ხალხს არავითარი ღმერთისთვის არ შეუწირავთ ამდენი მსხვერპლი, რამდენიც მან თავისუფლებას შესწირა.

ქართველ ხალხს არავისათვის არ უძღვნია ამდენათ ძლიერი სიყვარული, როგორც მან თავისუფლებას უძღვნა.

ქართველ ხალხს არავისათვის არ უმღერია ასე გატაცებით, როგორც ის თავისუფლებას უმღერდა.

ქართველი ხალხისათვის არავის არ მიუცია იმდენი ბედნიერება, რაოდენიც მას თავისუფლებამ მისცა.

ქართველი ხალხი არაფერს არ აუყვავებია, ისე, როგორც თავისუფლებამ ააყვავა.

ქართველი ხალხის გული არაფერს არ აუძგერებია ისე მძლავრათ, როგორც მას თავისუფლება აძგერებდა.

რამ გახადა გმირათ ქართველი ერი?

თავისუფლებამ.

რამ გაანათლა და დააწინაურა ქართველი ერი?

თავისუფლებამ.

რამ ააყვავა საქართველო?

თავისუფლებამ.

არსებობა თავისუფლების გარეშე ქართველ ერს ვერ წარმოედგინა და ის ძლიერი იყო, სანამ დროშა თავისუფლებისა მარჯვეთ და მაღლა ეჭირა.

საქართველო ტახტია თავისუფლებისა. აქ მზე მუდამ ბრწყინავს და თავისუფლების ნეტარებას ჰფენს მთელ არე-მარეს.

მუდამ მოკაშკაშ-მოჭედილი ცა თავისუფლების ოცნებასა ჰქმნის.

მთის ნაკადები და აქაფებული მდინარენი თავისუფლების სიმღერასა მღერიან.

შავი ზღვის ტალღები თავისუფლების ზღაპარსა ჰქმნიან.

კავკასიონის ქედები თავისუფლების ფიქრსა სჭედავენ.

მყინვარი და იალბუზი თავისუფლებას დარაჯობენ.

შეუძლებელია, საქართველო თავისუფალი არ იყოს.

საქართველო თავისუფალი უნდა იყოს?

საქართველოში არ შეიძლება, არა ფრიალებდეს თავისუფლების დროშა!

საქართველოში უნდა ფრიალებდეს დროშა თავისუფლებისა!

ქართველი ერი თავისუფლებისათვის დაბადებული, თავისუფლების რაინდი, თავისუფლების თაყვანისმცემელი მოტყუებით, ვერაგულათ დაატყვევეს და მოუსპეს მას თავისუფლება.

საქართველოს მზე დაბნელდა და მონის უღელს ვატარებდით მთელი ას ჩვიდმეტი წელიწადი.

ვატარებდით გულ ჩათხრობილნი, ვატარებდით ჩაფიქრებულნი, ვატარებდით თვალ ცრემლიანი.

ვატარებდით და ვოცნებობდით, ვატარებდით და იმედს ვზრდიდით გულში.

ვატარებდით მონის უღელს და ველოდით.

და აჰა, დადგა ჟამი.

ოცნება სინამდვილეთ იქცა, ნატვრა აღსრულდა, ჩვენი თავისუფლება ჩვენს ხელთ არის.

წინაპართა საფლავები შეიძრა, თავისუფლებისათვის დახოცილები აღსდგენ, ისინი ჩვენს შორის არიან.

მაგრამ ჩვენი თვალები მათ ვერა ხედავენ, მათი ხმა ჩვენ აღარ გვეყურება, მათ ენა ჩვენთვის გაუგებარია.

დადგა უდიდესი წამი ჩვენი ისტორიისა, უდიდესი წამი ჩვენი არსებობისა, ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა ან უნდა დავრჩეთ ისევ მონებათ და მოვისპოთ, მოვკვდეთ, ან არ გავუშვათ ხელიდან, არავის დავანებოთ ის თავისუფლება, რომელსაც ბედი და ისტორია გვაძლევს.

რევოლიუციის ტალღებში ჯერ ჩვენ შუა გზაც არ გაგვივლია: ჩვენ მოვიპოვეთ მოქალაქის უფლებანი, საქართველოში დღეს აღარ არის ბრწყინვალე თავადი და უფლება აყრილი გლეხი, — დღეს ყველა თავისუფალი მოქალაქეა.

ჩვენ უნდა შევქმნათ, მოვიპოვოთ ეროვნული თავისუფლება, ქართველი ერი თავის საკუთარ მიწა-წყალზე სრულებით თავისუფალი და დამოკიდებელი უნდა იყოს.

ჩვენ ჯერ წინ გვიდევს უდიდესი საქმე და ამ დროს მთელ ჩვენ თავისუფლებას შავი ყორანი დასჩხავის თავზე. რევოლიუციის ზღვა მოიღრუბლა, გაშავდა. ხალხის მტრებმა, შავრაზმელებმა, რევოლიუციის მესაფლავეებმა აამუშავეს მთელი თავისი ძალ-ღონე, შეუგნებელ ხალხში არევ-დარევა გაამეფეს დარბევისა და ყაჩაღობის ქარცეცხლი მოედო ქვეყანას.

ძმათა სისხლის მორევში რევოლიუციის წმინდა საქმე იღუპება.

ნუ დაღუპავთ რევოლიუციას, ნუ დაკარგავთ თავისუფლებას, ნუღარ დავიდგამთ ჩვენის ხელით მონის უღელს!

შავრაზმელები, ძველის მოტრფიალენი, ნიკოლოზის მზის მფიცველნი ჩვენშიაც ბევრია. შეუგნებელ ხალხს ესენი ატყუებენ და მეგობრათ ევლინებიან, ყაჩაღებსა და დამცემებს ესენი აქეზებენ, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი ააგიზგიზონ და შიგ რევოლიუცია და ხალხის თავისუფლება დასწვან, დაჰღუპონ. დადგა დრო, როდესაც მგლები ბატკნის ტყავში ეჩვენებიან ხალხს, რომ მას კისერი მოატეხინონ.

უნდა შეერთდეს მთელი ქართველი ერი, სასტიკათ შეებრძოლოს ხალხისა და რევოლიუციის ყველა მტერს და დაიცვას მთელის თავისი ძალღონით მშვიდობიანობა და წესიერება ყველგან. რევოლიუციის გამარჯვებისთვის დამარცხებისა და თავისუფლების დაკარგვისათვის არევდარე-ვისა და უწესობის გაგრძელება არის აუცილებელი.

რუსეთში რევოლიუციის ტალღა უკანასკნელ საზღვარს მიაღწია. იქით გზა და გასავალი არ არის.

რუსეთი იწვის, ოხრდება, იღუპება. მებრძოლო ხალხი თანდათან იქსაქსება, ერთი მეორეს ეთიშება, რევოლიუციის და თავისუფლების მტრები კი ერთდებიან და რევოლიუციის დასამარც-ხებლათ ემზადებიან. ასეთ პირობებში ორი რამ არის შესაძლებელი: ან მემარჯვენეების, შავრაზ-მელების გამარჯვება, მეფის აღდგენა, თავისუფლების დაკარგვა; ან რუსეთის დანაწილება მებრ-ძოლ სახელმწიფოთა შორის; ორსავე შემთხვევაში ქართველი ერის თავისუფლებას დიდი საფრთხე მოელის. დავფიქრდეთ, ნუ გავატანთ წყალს ამდენ შრომას, ამდენ მსხვერპლს. ჩვენ მაინც ნუ დავღუპავთ რევოლიუციას. ჩვენ მაინც ნუ დავკარგავთ თავისუფლებას.

თუ რუსეთში ბოლოს და ბოლოს მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს ისინი უსათუო მეფეს აღადგენენ და მაშინ ძველი ბოქაულები, მაზრის უფროსები, გუბერნატორები და ყველა ხალხის მჩაგვრელები ნელანელა გამომზეურდებიან. დადგება საშინელი რეაქცია მთელს რუსეთში და განსაკუთრებით კი ჩვენში.

ყველაზედ უფრო გულის ჯავრს განაპირა ქვეყნებზე იყრიან, უფრო ჩვენზე. ძველი დაბრუნ-დებაო, ამის თქმა არ გამოხატავს იმას, რაც ჩვენთან დატრიალდება.

ძველი დაბრუნდება, მაგრამ დაბრუნება მშვიდობიანათ კი არა, არამედ შურისმაძიებლათ, ცეცხლითა და მახვილით. ის მოსპობს ყოველგვარ თავისუფლებას, გაანადგურებს ყოველივეს, აღადგენს საღრჩობელას.

ასეთი ამბების შესწრებას სიკვდილი ათასწილად ჯობია.

და ჩვენ განურჩევლათ მდგომარეობისა დღეიდანვე უნდა შევემზადოთ, რომ ასეთი მოსალოდნელი რეაქცია არ შემოვუშვათ ჩვენში რუსეთიდან.

იტყვიან ჩვენ რა ძალა გვაქვს, რითი შევაჩერებთო.

ასე მხოლოდ ლაჩრები მსჯელობენ. თუ ყველა ვიმსჭვალებით იმ აზრით, რომ თავისუფლების დაკარგვას სიკვდილი სჯობია, თუ ყველა გამოვიდებთ თავს და საქვეყნო საშვილიშვილო საქმეს დავეხმარებით ვინ იარაღით, ვინ საკუთარის ძალღონით, ვინ შრომით, ვინ ფულით, გავიმარჯვებთ კიდეც.

გავიმარჯვებთ, რადგანაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ მარტო არ ვიქნებით: ჩვენთან იქნებიან ყველა განაპირა ქვეყნები, რომელთათვისაც თავისუფლება იმდენათავე ძვირფასია, რამდენათაც ჩვენთვის და მეფის აღდგენა იმდენათვე დამღუპველია როგორც ჩვენთვის.

თუ ასეთი შემთხვევისათვის მზათ არ ვიქნით, ახალი მონობა მოგველის.

ჩვენ უნდა ავაფრიალოთ თავისუფლების დროშა შემოვკრბეთ ყველა ამ დროშის ქვეშ და განვუცხადოთ მოსულს, რომ ჩვენ ვიბრძოდით და სისხლი ვღვარეთ თავისუფლებისათვის, რომ ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და დღეს უკვე თავისუფალი, დემოკრატიული ერი ვართ.

თუ რუსეთი დაიყვეს და ჩვენი დაპატრონება სხვამ მოინდომა, ჩვენ უნდა წარვსდგეთ ამ სხვის წინაშე არა როგორც ნაწილი რუსეთისა, არამედ როგორც თავისუფალი ერი და ვთქვათ: ჩვენს შინაურს თავისუფლებას ცოცხალი არავის დავუთმობთ.

ჩვენთვის საჭიროა ჯერ-ჯეროზით მფარველი. თუ რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, რასაკვირველია, ჩვენ მას არ მოვშორდებით, და ვერც მოვშორდებით.

მაგრამ თუ ისტორიის ჩარხმა სხვაგან გაგვტყორცნა, სხვას მიგვაკედლა, ჩვენი ღირსება, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა ყველგან, ყველას ხელში და ყოველგვარ პირობებში უნდა დავიცვათ.

ამისთვის მარტო სიტყვები და წითელი დროშა არა კმარა, — საჭიროა ნამდვილი ძალა. ნამდვილ ძალას კი წარმოადგენს ეროვნული ჯარი და ეროვნული ხაზინა.

დადგა დრო, როდესაც ცარიელი სიტყვებით სასაცილონი ვართ.

დღეიდან დავდუმდეთ, ცოტა ვილაპარაკოთ, ჩუმათ ვთქვათ, საქმე კი ვაკეთოთ, თორემ დაიმსხვრევა ჩვენი ოცნება, დაიღუპება ჩვენი იმედი. ამაო იქნება ყოველივე, — სიცოცხლე, ქონება, სიმდიდრე, ოჯახი, თუ ვერ განვამტკიცეთ ჩვენი თავისუფლება, თუ ასეთი სისხლის ღვრისა და რევოლიუციის შემდეგაც ვერ დავრჩით თავისუფალ ერათ.

ქართველო ჯარის კაცებო! უცხოთა მხარეში, სხვათა ბრძოლის ველზე, სამშობლოს მოწყვეტილნი და ცხრა მთას იქით გარდახვეწილნი თქვენ გმირულათ ღვრიდით სისხლს და თქვენის ვაჟკაცობით ქვეყანა გააკვირეთ, შორს გაითქვით სახელი.

დღეს სამშობლოში ხართ და თქვენი გმირობა, თქვენი ვაჟკაცობა, თქვენი თავგანწირვა თქვენს საკუთარს ქვეყანას ეჭირვება.

ნუ თუ ახლა, როდესაც თქვენი საკუთარი მშობელი ერის თავისუფლება და არსებობაც კი განსაცდელშია, თქვენ შედრკებით და უკან დაიხევთ? გაიხედეთ? საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებულ წინაპართა საფლავები თქვენ მოგჩერებია. თქვენ შეგიძლიათ დაიფაროთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, თქვენ შეგიძლიათ, იხსნათ თქვენი ერი. თქვენვე შეგიძლიათ, დაჰღუპოთ ის და დაადგათ ხელახლათ მონის უღელი. თქვენ შეგიძლიათ, რომ თქვენი სახელი უკვდავად და სამარადისო სახსენებლათ დარჩეს ჩვენს ერში.

თქვენვე შეგიძლიათ, რომ წყევლა-კრულვას გითვლიდეთ ყველა შემდეგი თაობა, ვიდრე ქართველი ერი იქნება დედა-მიწაზე.

დეე, თქვენმა შეგნებამ, თქვენმა გულმა, თქვენმა სინდისმა გითხრათ, რომელი გზა უნდა აირჩიოთ.

ქართველო მოქალაქენო! საუკეთესო ქართველები შენატროდნენ დღევანდელ დღეს, მაგრამ ისე ჩავიდენ საფლავს, რომ ვერ ეღირსენ, ვერ მოესწრენ.

ჩვენ ვეღირსეთ, ჩვენ მოვესწარით თავისუფლებას და აი დადგა ჟამი, როდესაც უნდა დავამტკიცოთ, როდესაც უნდა დავანახოთ ქვეყანას, რომ ჩვენ დავიმსახურეთ ეს თავისუფლება, რომ ჩვენ ღირსი ვართ თავისუფლებისა.

ქვეყანა და მთელი ერის კეთილდღეობა ჩვენსაგან მსხვერპლს ითხოვენ და ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ ამ მსხვერპლის გამოსაღებათ. იარაღით ხელში უნდა დავიცვათ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ჩვენი საკუთარი თავისუფლება.

უქმათ ჯდომა, გაჩერება დღეს ღალატია როგორც საკუთარი თავისა და ოჯახისა, ისე მთელი ქვეყნისა.

დღეს ყველა ვინც ქვეყანას არ ემსახურება, ვინც თავისუფლებას არ იცავს, მორალატეა. ნუ თუ თქვენ მოღალატის სახელს დაიმსახურებთ?

როდესაც თვითმპყრობელი მეფის მონები იყავით, მაშინ ჰღვიოდა თქვენს გულში სიყვარული თავისუფლებისა.

და როდესაც დღეს თავისუფალი მოქალაქენი ხართ, ნუ თუ არ აღინთებით ერთის ცეცხლით, რომ თქვენი და თქვენი ერის თავისუფლება ფეხქვეშ აღარავის გაათელვინოთ?

თქვენი ქვეყნის ბედი, თქვენი ერის თავისუფლება დღეს თქვენს ხელთ არის.

ნუ თუ შედრკება თქვენი გული?

ნუ თუ დროშა თავისუფლებისა თქვენი ხელიდან გავარდება?

დავივიწყოთ ჩვენი პირადი საქმეები, გავკაჟდეთ ყველა და ხელი ხელს მივცეთ საერთო თავისუფლების დასაცავათ.

ნუ შევარცხვენთ ღირსეულ წინაპრებს, ნუ შევარცხვენთ ჩვენს დედებს და მტკიცეთ, შეუდრეკლათ მოვიხადოთ უკანასკნელი ვალი ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ქართველო დედებო! ქართველმა ერმა თუ თავისი არსებობა დაიცვა, თავისი სახე შეინარჩუნა, შეინარჩუნა ქართველი დედის წყალობით და თქვენ სრული უფლება გაქვთ, ამაყობდეთ.

ქართველმა დედის მადლიანმა ძუძუმ და კეთილშობილმა, ქვეყნის სიყვარულით აღსავსე გულმა იხსნა ჩვენი ერი სრული განადგურებისა და მოსპობისაგან.

ისტორია გიხმობთ, დღევანდელი დღე გავალებთ, ძველი დედების წმინდა საქმე თქვენ დააგვირგვინოთ.

აღადგინეთ თქვენს არსებაში ძველებური თავ განწირვა, ძველი დედის სიყვარული სამშობლოსადმი, ააფეთქეთ თქვენს მკერდში წმინდა ცეცხლი და უხმეთ ყველას, მოსთხოვეთ ყველას მსხვერპლი, ურომლისოდაც ქართველი ერის აღდგენა, ნანატრი თავისუფლების დამკვიდრება ყოვლად შეუძლებელია.

შეიმოსეთ აღფრთოვანებით და აგვაფრთოვანეთ. გაგვიტაცეთ, დაგვართეთ ყველა ერთის გრძნობით, რომელსაც ქვეყნისათვის თავ განწირვა ჰქვია; შეგვბოჭეთ ყველა ერთის გარდაწყვეტილებით, რომელსაც ქართველი ერის თავისუფლების აღდგენა ეწოდება.

ისტორია უკვდავების გვირგვინსა სწნავს თქვენთვის.

გვითხარით, დაგვარწმუნეთ, რომ ღირსი ხართ ამ გვირგვინისა!

— —

ქართველ ერში ათარ არსებობენ წოდებები, —ქართველი ერი გადიქცა მოქალაქეთა ერათ.

ყველა მოქალაქეთათვის განურჩევლად მდგომარეობისა და ქონების საჭიროა, აუცილებელია თავისუფლება. უგუნური მეომარია ის, ვინც ამისთანა დროს თავისუფლების დასაცავათ არ გამოვა; უღირსი მოქალაქეა ის, ვინც ამისთანა დროს თავისუფლებას არ ემსახურება.

უღირსი დედაა ის, ვინც ამისთანა დროს თავისუფლების დასაცავათ არ აამხედრებს ქმარს, შვილს, მამას, ძმას.

უღირსი ვაჭარია ის, ვინც ამისთანა დღეს უხვად არ ეხმარება თავისი ერის თავისუფლებას, — ეს არ არის ქველმოქმედება, ეს არის წმინდა ვალი, ეს არის გონივრული შენახვა ქონებისა: თუ ჩვენი თავისუფლება დაიღუპა, ქონება კი არა სიცოცხლეც ბევრისა დაიღუპება.

ვერავინ ვერც ერთი ამაზედ უკეთეს ქონებას ვერ დავუტოვებთ ჩვენს შვილებს თუ ერის თავისუფლებას არ დავკარგავთ და მოვიხვეჭავთ.

და თუ ჩვენ ყველა გავიმსჭვალებით ამ აზრით, ამ რწმენით ქართველი ერის თავისუფლების მზეს ვერავითარი დაბრკოლება ვერ დააკავებს:

ის ამოგორდება, ამობრწყინდება.

ივ. გომართელი

კარი მეოთხე
სტამბოლის სავანის შთაბეჭდილებათა წიგნი



***

ეს ოთხი პ. ც. სტუმარი მობრძანდა ჩვენსას მარტო სადილათ 29 აგვისტოს და იმავე დღეს წაბრძანდნენ ხომალდი Etoili ით იერუსალიმში.

***

პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი
(მობრძანდა ჩვენსა 15 ენკენისთვისა ნასადილევს.) 1912.

***

დეპუტატი ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო სათათბიროში ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი - ვეწვიე სტუმრად ღურდის ღვთისმშობლის მონასტერს 5 და 19 ენკენისთვეს, 1912 წ.

***

დიდის სიამოვნებით დავესწარი და მეღირსა ქართველთა მონასტერში სადილისა. დეპუტატის გეგეჭკორთან ერთად.

***

19 ენკენისთვე, 1912 წ. დავესწარ ამა ქართველ კათოლიკეთა მონასტერში გამართულ სადილის პატივსაცემლად ჩვენ ქართველთა დეპუტატის რუსეთის პარლამენტისა ქუთაისის გუბერნიიდან ბატონ ევგენი გეგეჭკორისა. გელათელ ყოფილი ნიკოლოზ არქიმანდრიტი.

***

მემედ ეფენდი მჟავანაძე ჩურუქსელი 26 ოქტომბერი 1913.

***

პავლე ბაგრატის ძე საზაევი. ბათუმის მცხოვრებელი, ქართველი კატოლიკი.

***

მე ვასილი ზარდალოვი მოველი სტამბოლში ქართველთ კათოლიკეთა მონასტერში 1913 წელსა 21 სექტემბერს და უკანვე ვბრუნდები 21 ნოემბერს.

***

პ. კონსტანტინე საფარაშვილი - ფაფასკვევრის მ. იოსების სასწავლებლის დირექტორი. წირვა ვსთქვი განსაკუთრებითი მადლის მისაღებად.

1914 წ. მაისი.

***

კეთილი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე ჩემმა სამშობლო შვილების თავაზიანათ შეხვედრამ, პატივისცემამ, ისე რომ ძლიერ მსურს ბატონების ხშირად ნახვა და პატივისცემა.

***

ვინახულე სტამბოლში ქართველთა კათოლიკეთა ძმობა და სიამოვნების ცრემლი მომგვარა უცხოეთში ჩვენი სამშობლოს დროშის ნახვამ და ქართულმა ენის დაცვამ პატარა შეგირდებში და თვით ძმობაში.

მარიამ ნათაძისა.

***

1918 წელში ტანჯულნი და წამებულნი ოსმალეთის ტყვეობაში მოვედით მშვენიერ საქართველოს პატარა კუთხეს კონსტანტინეპოლში. მაშინ ამოვისუნთქეთ თავისუფლად და ვადიდეთ ჯერ უფალი და მერმეთ ჩვენი სამშობლო. ქართულ მონასტერის წმ. მამებმა დაგვიმტკიცეს რა შეუძლია მორწმუნე და კაცთმოყვარულ ქართველ გულს: იყავ დიდებული ივერიის წარმომადგენელო ქართულო ეკლესიავ ფერიქევში და აყვავდი ქართული ენის დიდებით და თქვენი წმიდა მოძღვრების გავრცელებით!...

ქართული ცხენოსანის რაზმის მესამე ასეულის უფროსი, შტაბის როტმისტრი -

ილიკო დოლიძე

იგივე აზრის მომხრე. ოსმალეთში ტყვეთ ნამყოფი.

ქართული კავალერიის პოლკის ოფიცერი.

პორუჩიკი - ირაკლი თუხარელი. 19 18/VI 18.

უდროობის გამო ვერ გამომითქვამს ჩემი აზრი.

დ. მშვ....

***

1 სექტემბერი 1918 წ.

საქართველოს დელეგაცია:

გიორგი გვაზავა, ვანდა ღამბაშიძე, გრ. რცხილაძე, იოსებ გოგოლაშვილი, მელიტონ ქარცივაძე, ვახტანგ ღამბაშიძე.

დიდის სიამოვნებით გავიხსენე ოცი წლის წინათ ნახული ადგილის შთაბეჭდილება. ვუსურვებ წარმატებას ამ სასარგებლო მონასტერს და საქართველოში მალე გადმოსვლას, მის ენერგიულ და მარჯვე შვილებს.

ვ. ღამბაშიძე.

ლევან მაჭვარიანი

ივანე ილარიონისძე ადამიძე.

***

გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ.

1919.16. II. ივ. ჯავახიშვილი.

იოსებ გოგოლაშვილი.

***

1919 წელს 16 მარტს ვნახე ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და აღტაცებული დავრჩი იმ მზრუნველი სიყვარულის გრძნობით, რომელიც გამოსჭვივის მონასტრის კუთვნილ ყოველ წვრილმანში. საქართველოს სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე გრ. რცხილაძე.

ხელს აწერენ: ილია ოდიშელიძე, გ. ნაზარიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ავქსენტი გვათუა, იოსებ გობეჩია, ვლასა მგელაძე, ილია ნაკაშიძე, ანდრია დეკანოზიშვილი.

კიდევ ვიხილე სიამოვნებით შორეულ უცხოეთში საქართველოს პატარა კუნჭული, მის ერთგულ შვილთა წრფელის გრძნობით გაბრწყინებული. გული უსაზღვრო იმედს გრძნობს - რომ არავითარი უკეთური და უხეში ძალა ვეღარ მოსპობს აქ იმას - რაც უკვე ასე მედგრად დამკვიდრებულა! გაუმარჯოს ძლიერი საქართველოს პატარა, მაგრამ სულით გამძლე და გრძნობით კლდე მომუშავეთა ჯგუფს.

ვახტანგ ღამბაშიძე - შემთხვევით მოსული სტამბოლს და ვერაგობით გზაშეშლილი, დასავლეთისაკენ მოგზაურობის დროს და ისევ გაბრუნებული აღმოსავლეთისაკენ.

16. III. 19.

***

ქუთაისიდან ჩამოსული სავაჭრო საქმისთვის: ალექსანდრე ბიტიეს ძე გვიჩია, სილოვან ილარიონის ძე ჩინჩილაძე, ბაგრატ ლუკას ძე მსხვილაძე, თედორე ნიკოლოზის ძე გაგუა, ივანე დავითის ძე მაღლაკელიძე, აპოლონ ლუკას ძე ძიგუა.

1919 წელსა 13 აპრილსა.

***

თქვენი თავდადებული და დაუღალავი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინებაში უკვდავი იქნება ჩვენს ისტორიაში.

ჭირში და ლხინში თქვენთან ერთად!

გიორგი მაჩაბელი.

კონსტანტინოპოლი, 23/IV, 1919.

***

ტროფიმე ლუკას ძე ბასილაძე
ბარნაბა სოლომონისძე
ნიკოლოზ ...

12 20/5 19 წელი.

***

1919 წელს. მაისის 22. ვიყავ მეც ღირსი ნახვისა ქართველთა კათოლიკეთა ეკლესიისა, სადაც სული გრძნობს რომ სამშობლოს ლამპარი არ ჩამქრალა და არც ჩაქრება, როდესაც მას ჰყავს ამისთანა შვილნი, როგორიც არიან ამ წმინდა ალაგას და ებრძვიან არა მორწმუნეთ. ღირს ყავ შენ უფალო სახელი ამათი ამიერ და უკუნისამდე და მიეც მათ ძალა სულიერ საბრძოლად და სადიდებლად დიდი და ძვირფასი ივერიისა.

მამულის შვილი ნიკო ხახიშვილი.

***

ამა ათას ცხრაას ცხრამეტსა წელსა, დღესა ოცდარვას მაისს გავხდი ბედნიერი და ვინახულე ქართველთ კათოლიკეთა მონასტერი კონსტანტინეპოლში, სადაც მოვიპოვე სულის სიმშვიდე და დამტკბარი იქაური სანახაობით და მიღებით აქაური ჩვენი ღვიძლი ძმების მიერ ვბრუნდები საქართველოში იმ ნეტარ გრძნობით, რომ გადავცე მათ მოძმე-მონათესავეთ მათი ეგეთი სიყვარული სამშობლოსადმი, გარჯილობა ჩვენი წმინდა სარწმუნოება-ზნე-ჩვეულება-ადათის პატრონობა-შენახვაში და თავის პატარა ერის თავისუფლება და კეთილდღეობის მსახურებაში. დიდს მადლობას გიძღვნით სასახელო მამებო და ძმებო-ვვედრი უფალს თქვენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

თქვენი თაყვანისმცემელი და მოყვარული თ-დი მიხაელ ფაღავა.

***

ანდრეი ივანეს ძე ბიბილეიშვილი დიდი ჯიხაისიდან. დომენტი ათანასესძე ჩხარტიშვილი ქალაქ ფოთიდან. ლავრენტი ნიკოს ძე ვასაძე ოზურგეთიდან. ვარლამ მიხეილის ძე ჭეიშვილი ქ. ქობულეთიდან.

თიბათვის 8-სა 1919 წელი.

***

6 მკათათვეს 1919 წელს ქ. კონსტანტინეპოლში დავათვალიერე ქართველთა კათოლიკეთა ლურდის ღვთისმშობლის მონასტერში. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის მმართველი ვასილ მარკოზის ძე კეკელიშვილი.

***

6-სა ახალი სტილით, ვიხილე რა საქართველოს კუთხე უცხოეთში, სულითა და გულით ვგრძნობ ჩემს თავს საქართველოში. გაუმარჯოს ამისთანა საქართველოსთვინ მოღვაწე მოძმეებს. არტემი თეიმურაზის ძე კოტარია, 17 აგვისტო, 1919 წ. იაზონ ბაქრაძე, ი. ლომოური, ე. ალ. დალეჯიო.

***

6 სექტემბერი 1919 წელს ახალი სტილით, დიდი მოლოდინისა და სურვილის შემდეგ, გვაღირსა ღმერთმა გვეხილა - შორეულ სტამბოლში ვარსკვლავი საქართველოსი, უძველესი მონასტერი ქართველ კათოლიკეთა. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე პავლე / ნ. უზნაძე. ხელს აწერენ: ბაგრატ ლუკას ძე მსხვილიძე, ზაკო ალექსის ძე კოვზირიძე, ისმაილ პარმენას ძე შარაშენიძე, მოსე მაკარის ძე უკრაენცევი, ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი.

***

1919 წელს 29 სექტემბერს პირველად დიდი ხნის შემდეგ ვიგულე ჩემი თავი საქართველოს კუთხეში. ციმბირის ქართველების დავალებით განვლე ნახევარ დედამიწის ზურგი, რათა ჩვენი გულის ძგერა ჩამეტანა სამშობლოში. ორთვე ნახევარი დავყე გზაში, მაგრამ არსად არ უგრძვნია გულს ისეთი სიხარული, როგორიც ვიგრძენ აქ ქართველთა ძმათა სამლოცველოში. აქ ვიგრძენ

ძალა მათი სულიერ რწმენისა და მით აღტაცებული რწმენა საქართველოს დიდებისა უფრო გამიმაგრდა გულში.

ციმბირის ქართველთა წარმომადგენელი დათიკო ივანის ძე როსტომაშვილი.

***

1919 წელს, 7 ოქტომბერს. პოლკოვნიკი გიორგი კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი. იტალიის მისიის წევრი სამხედრო საკითხებისთვის.

პოლკოვნიკი გიორგი კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი - იტალიის მისიის წევრი სამხედრო საკითხებში...გრიგოლ ძოწენიძე. 1919 წ. 7. X

1914 წ. ომის დროს ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე ტყვედ ჩავარდნილთა ჩივილი - ტყვეობაში გაუგიათ საქართველოს განთავისუფლება. შემდეგ მიუწერიათ პარიზში ჩვენი დიპლომატიური მისიისთვის და 26 კარისკაცი რუსის ჯარისა კონსტ. გამოუგზავნიათ. აკაკი ილარიონის ძე აბულაძე, ვასილ ივანეს ძე მამულაშვილი, კონსტანტინე მაღლაკელიძე,

„გაუმარჯოს საქართველოს კუთხეს ოსმალეთში, რომელსაც შეადგენს ქართული კათოლიკეთა მონასტერი მათი მსახურნით!“

12. XII. შალვა ხელაძე.

***

1919 წელი 2 ნოემბერი. აქ სტამბოლში ქართული წარწერების ხილვით სიხარულით გატაცებულნი (გიორგი იგივე დანიელი ანტონისძე შავდია) ჩვენ ქუთაისის მაზრის მცხოურებნი ქ. ონის და ს. ჭიენის და ს. ბექრ. ს. ბალდას ხელს ვაწერთ სამეგრ. ს. ბალდას მცხოურ. გიორგი იგივე დანიელი ანტონს შავდია 2 ონის მცხოვრები ვანო ... იარალოვი. 3) ქ. ონის მცხოვრები იასონ ვასილისძე კერესელიძე, გაბრიელ ... დარჩია 5. ათანასე ალექსისძე რეხვიაშვილი 6. ს. ჭიორათან გრიგოლია პავლე ძე ჩავილიშვილი

***

1914 წლიდან დატანჯული საქართველოს ჯარის ხალხნი... რომელნიც თოთხმეტ-თხუთმეტ წლიდგან მოხვთენილ პლენში-ავსტრო-ვენგრიაში, რომელნიც მოგვრეკენ ლაგერში-პირველათ-კარგები წაგვართვეს, რაც მოუხთათ ხელში ჩექმა-შინელი, ქამარი და სხვა - ვისაც რა ქონდა კარგი. გავიდა რამოდენი ხანი. შეიქნა ხმა, რომ მისია არისო, ჩვენ დიდი სიხარულით არ გვეძინა, ესეც სხვანაირად გამოვიდა - ექიმები სინჯავდენ ვისაც კიდო სისხლი ქონდა - თურმე მეორე ფრონტზე - გვაგზავნიენ ტეროლში - რკინიგზა არ ყოფნებია და გაგვაგზანეს ახალი კინი გზის საკეთებლათ -ბევრი შრომა და ტანჯვა ვნახეთ, რომელიც კალამს არ შეუძლია დაწეროს. თექვსმეტ ვადამდინ არ უშავდა. მერმე ძალიანი შიმშილობა იყო რომ მეტი აღარ შეიძლება. ორ-სამ დღეს პური თვალით არ დაგვინახავს, მოგვიტანდენ ფრონტზე მოკლული ცხენის ხორც, რომელიც ორი კვირის კდარი იყო. მარა მშიერ პლენისთვის, როგორ შაქარი ეჩვენებოდა. ოღონდ დაუმიწყარი არის ავსტრიაზე კარგი ექიმები, ძალიან ყურადღებას აძლევდენ რომელიც რომ ავანტყოფი იყო, - გავიდა რამოდენი ხანი და უცბათ მოვიდა პრიკაზი - ანუ ბრძანება - რომ უკან უნდა დაიხიოს ავსტრიამ. იქნა ბძანება - და იმ დროს გზა იქნა შეკრული - იტალიის და ამერიკის ჯარიდგან. ამ

შემთხვევაში ჩვენ ძალიან მოსიხარულე ვიყავით. თურმე სიხარული კი არა, სატირელი ყოფილა. რატომ - ჩვენ გვეგონა სახში გაგვზანიდენ და გაგზავნენ „კაზინოში“. იქ ძალიან სტროგათ ვიყავით და დიდი შიმშილი გვქონდა. ხუთას გრამიანი პური - იყო ორმოცდაათი ლირა. იქიდგან გვითხრეს, რომ ახლა სახში მიდიხართო, თურმე რასტოფ ასინაროში მიგვაგზავნეს. რომელიც გამორჩეული იყო რუსის ჟარისთვის - ზამთარში დიდი უნახავი ქარი და ძლიერი წუმა. ზაფხულში დიდი სიცხე. მაკაში გავატარეთ ორი თვე დიდი ტანჯვით, რომელიც ენით აღარ ითქმება. და მივდივართ დოხტურთან ავანტყოფი. დოხტური ანბობს, რა დიდი ყოფილა რუსის ჯარი, რომ ექვსი -ათასის ჟარის კაცში ოთხის მეტი აღარ მოკვტაო და იგი ოთხი კაცი მოკვტა, რაღაცა ბალახი შეჭამეს, ეგონათ ხახვი. იმის მერე საჭმელი მოგვიმატეს, თვარა რომ ყოფილიყო კიდო ერთი ორი თვე, მართლაც არავინ არ დარჩებოდა - ცოცხალი და კიდეც - ისე ფიქრობდით რომ - ჩვენ - ჩვენი სამშობლოს გამოვეთხოვეთ! იმ დროში, მარა ღმერთმა შეგვიწყალა და გამოჩთა ჩვენი პატრონი - ანბები არაფელი არ მოგვიდიოდა - რამოდენი ხანის მერმე მოვიდენ - რუსის აფიცრები და თან გაზეთები მოიტანეს და დაურიგეს ჟარის ხალხს. ბევრი რამე ანბები ეწერა - მერმე ხშირათ მოდიოდა გაზეთი, ვნახეთ ერთი ნომერი გაზეთი, რომელშიაც ეწერა, საქართველოს შესახებ, რომ საქართველო არის თავისუფალი. და აქვს თავისი მშვენიერი პარიატკა, როგორც ჩვენ - ოცდა და ექვსი - ქართველი ჟარის ხალხი - ვიტანჟებით რუსებთან. წავედით და ვკითხეთ რუსის აფიცერს, რავა არის ჩვენი საქმე - ჩვენ ხომ რუსები არა ვართ, გაზეთი წერავს საქართველო არის ცალკენ. იმან გვითხრა გაზეთები მართალს არ წერავსო. ეს ტყუილი არისო - გავიდა რამოდენი ხანი და წავიკითხეთ გაზეთის ნომერი 405 - სალდატ გრაჟდანინ ფრანცია. იმაში ეწერა ჩვენი საქართველოსი დელეგაციის ადრესი: პარიჟი. იმ საათში გაუგზავნეთ დეპეშა. გავიდა რამოდენი დღე და მივიღეთ პასუხი - წერილი ჩვენ ენაზე დაწერილი. ჩვენ ძალიან გაგვიხარდათ, ვითომ იმ დღეს დავიბადეთ. და კიდეც მართალი შეიქნა, და ჩვენ რამოდენიმე ხანში გამოგვაგზავნეს კონსტანტინეპოლში - ჩვენ კონსულთან. ჩვენ დიდად მადლობელი ვართ საქართველოსი თავჟდომაებიდგან და რომ დაგვიხსნეს ამ გაჭირვებისაგან. და კიდევ დიდი მადლობელი ვართ - საქართველოს სამონასტრო მოწაფეებიდგან, ჩვენ დამშეული ხალხი გაგვიკითხეს დიდი მიღებით.

1919 წელ. 20 ნოვემბერს.

და გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს საქართველოს პირებს.

აკაკი ირაკლის ძე აბულაძე.
გიორგი ჭელიძე ნიკოს ძე.
გიორგი კოხტას ძე ხარებავა.
ისაკი ბარბაქაძე ივანი.
კონსტანტინე ასლანოვიჩ მაღლაკელიძე.
ისმაილ ოქრუას ძე კვენეტაძე.
გერასიმ გუსარი დანელია.
იასონა ალფესი ძე ცერცვაძე.
გიორგი სერგოს ძე გოგოლაძე.
ტარასი მიქაია.
ალექსი ივანეს ძე რაშუპკინ.
ვასილ ივანეს ძე მამულაშვილი.
ანასტასი მარტასოვ.
რახამ აბრამის ძე ჯიჯიხაშვილი.
კოლია იობის ჩუბნიძე.
იოსებ ქართუილი.
სილიბისტრო ...
ბაგრატ იაგორის ძე სოსანაშვილი.
პეტროს აკოპიძე გეორგოვ.
ლეონ ბაბოევ.
გალაკტიონ ეფრემიძე შალამბერიძე.
არტიმონ ექვთიმეს ძე სიხარულიძე.

***

სიამოვნებით დავისვენე დაღლილ დატანჯულმა ორი თვის უკიდურეს მდგომარეობაში რუსეთიდგან მოგზაურობის შემდეგ - არ დავივიწყებ ჩემი თანამემამულეთა პატივისცემას.

12/XII 19. არისტოტელ კობახიძე.
ალ. ქართველიშვილი.
ლ. კიჩინევი.

***

გაუმარჯოს საქართველოს კუთხეს ოსმალეთში, რომელსაც შეადგენს ქართველ-კათოლიკეთა მონასტერი მათი მსახურნით.

12/XII -19. შალვა ხელაძე.

***

ვიყავი და მომეწონა 18 დეკემბერს 1919 წ. დასტოვა ჩემ გულში დიდი შთაბეჭდილება.

გრიგოლ სოლომონოვიჩ ძოწენიძე

***

არის ხელმომწერები: ინჟინერი გიორგი ქვლივიძე.
ჟურნალისტი დავით იაგორაშვილი.

***

1. I 1920 წ.
აკ. ჩხენკელი.
მაკ. ჩხენკელი
სან. ქუთათელაძე.
ინჟ. მიხეილ ყაუხჩიშვილი, ქუთაისი.

***

ჟამსა მას როდესაც ბერძნებმა დაგვარბიეს და აგვაწიოკეს ათონის მთაზე და მიმოვიდოდი სავედრებელად კონსტანტინეპოლსა და საქართველოში, მოვიწიე მონასტერსა ამას ქართველთასა და მისტუმრეს დიდითა პატივითა რომლისათვის დიდ მადლობას უხდი მამა პიო ბალიძეს ამ მონასტრის წინამძღვარს, და სხვა ყველა მამებს ღმერთმან გადაუხადენ ას წილად.

ძველ ათონის ქართველ_ბერმონაზონთა რწმუნებული მღვდელმონაზონი ილია.

1920 წელი, 2 იანვარი.

***

იანვრის 3, 1920 წელს საქართველოდგან გაიარა სტუდენტების ჯგუფმა საფრანგეთის და ინგლისისაკენ.

არის ხელმოწერები: ლაზარიშვილი, მხატვარი შ. ქიქოძე, პ. ზურაბიშვილი, ა. სხირტლაძე, ვ. ცისკარაშვილი, ნ. მათუაშვილი, მიხ. მაჭავარიანი, ა. მაყაშვილი, ი. ბურკაძე, ა. ნაზარიშვილი, პ. კვარაცხელია, ა. ქართველიშვილი, დიმიტრი დავითაშვილი, ვიკტორ ნოზაძე (ყოფ. რედაქტ.

გაზეთ „საქართვ. რესპ.“), კოტე კობახიძე, კოტე თოფურიძე, ნიკოლოზ ცაგურია, ვასილ ციცქიშვილი, ნატალი კასრაძე - ციცქიშვილი.

***

6 იანვარს 1920 წ. ქ. სტამბოლი.

ვიყავით და სიამოვნებით ვინახულეთ ქართველთა ლურდის ღვთისმშობლის მონასტერი ქართველ სტუდენტთა ჯგუფმა გერმანიაში მიმავალმა, აგრეთვე იტალიაში, შვეიცარიაში, ბელგეთში და სხვ.

ხელს აწერენ: ალ. ნიკურაძე. ფილ. დოქტ. კ. გამსახურდია. – 1920, V, I.

ვალიკო ახვლედიანი.

ვლადიმირ თაყაიშვილი.

ნიკოლოზ პავლეს ძე იმნაიშვილი.

ირაკლი არჯ. ურუშაძე.

ნიკო ქადაგიძე.

ამავე გვერდზეა ხელწერები: გაბრიელ ქიქოძე 5/V -20 წ.

გიორგი ნანეიშვილი 5/I -20 წ.

7/1 - 1920 -ბ. გელაზანია.

7/1 – 1920 - ვან. ილიას ძე ნიკურაძე.

ალექსანდრე ჯანელიძე.

ქსენია ლეჟავა - ჩხენკელისა.

ნ. გაბილაია.

ლ. ნიჟარაძე - 5/1 – 1920.

ზ. ელიავა.

გ. მგელაძე.

მირ. ი. წულეისკირი - 1920 წ. 6/I.

ლიდა პაპასკირი.

ფათი ხუნდაძის ქალი 1920 წ. 6/I.

აპოლონ კაკაბაძე 1920 წ.

კიტა ჩხენკელი 6/I -1920 წ.

1920 წ. 7 იანვარს კიდევ სამი სტუდენტი შემოხიზნულა - მიხეილ ტატიშვილი, ვასო ძინჯიხაძე და ირაკლი ზატიაშვილი.

***

7 იანვარი 1920 წ. ქ. სტამბული.

სამი საქართველოს სტუდენტი შემოხიზნული ქართველთა ლურდის მონასტერში უძღვნის დიდ მადლობას პატივისცემისა და ნუგეშისა, რომელიც გაუწია ამ მონასტრის წინამძღვარმა თავისი ძმათა ბერებით. სახსოვრათ ამისა ვნიშნავთ ჩვენ სახელებს: მიხეილ ტატიშვილი, ირაკლი ზატიაშვილი, ვასო ძინძიბაძე.

***

ამოუშლელი დარჩება ჩვენს ხსოვნაში 14 იანვარი 1920 წლისა იმ ბრწყინვალე და გულწრფე-

ლობით სავსე დღესასწაულის მოწყობის გამო, რომელიც ოსმალეთის ზღვა-უდაბნოში ჩანერგილმა საქართველოს ოაზისმა გვაჩვენა.

საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში გრ. რცხილაძე.

***

ამა წლის 14. წმ. ნინოს დღესასწაულს ვიყავი ბედნიერი, ვნახე დიდებულად მოწყობილი ქართული მონასტერი უცხოეთში და მუდამ ჟამს დარჩება ჩემს მეხსიერებაში ის სანახაობა, რომელიც მე ვიხილე აქ. მრავალჟამიერ იყოს ყველა ის მუშაკნი, რომელთაც დასდენ ამაგი ამ დიდებულ საქმეს.

საქართველოს მთავრობის მთავარი რწმუნებული იოსებ ქუთათელაძე.

***

ამა წლის 14 იანვარს, დღესასწაულზე ვიყავი. ლევან მაჩაბელი.

***

როგორც მუდამ საუკეთესო გრძნობებით ჩვენი ერთგული იდეის წიაღში, აღტაცებით გავატარეთ.

14 იანვარი, 1920 წ. ი. გოგოლაშვილი.

***

მოვედი ამ მონასტერში წმიდა ნინოობათ. 14 იანვარს 1920.

ვანო ბეჟანოვი.

***

ამა 14. I. იანვარს სიხარულით დავესწარი ფერიქვევში დიდ დღესასწაულს წ. ნინოსი.

ვანო გოზალიშვილი. დ. ბეჟანიძე.

დღეს 14 იანვარს. ხელს ვაწერ პეტრე ა. ფილოშვილი

ამავე გვერდზეა ხელმოწერები: ვარლამ ჩერქეზიშვილი - 18 – II- 1920.

არტემ ივანის ძე დვალი.

ილია ალექსანდრეს ძე ჭელიძე.

ვახტანგ არხელის ძე ციციშვილი.

***

სამშობლოს გარეთ დანთებული ეს წმიდა კელაპტარი ქართველ მამათა ხელით აღმოუშლელ შუქსა სტოვებს ჩემს გულში. და გზათ მიმავალს საამო გრძნობა მიმყვება თან შორს ... შორს ...

ლევ. მეტრეველი. წელს 1920, მაისის 2 დღესა.

***

28 - ივნისი, 1920 წ.

ვესტუმრე ჩვენ თანამემამულე მოღვაწეებს ამ უცხო კუთხეში და დიდის სიამოვნებით მოვისვენე მათ შორის. ვუსურვებ ბედნიერებას და მათ შრომის შედეგი შეიქმნას ჩვენი პატარა საქართველოს სასარგებლოდ.

***

აუღწერელია ის სიხარული, რასაც განიცდის ჩემი გული ამ დიდებულ საქართველოს წმინდათა სავანეში, მაშინ, როდესაც თავისუფალ საქართველოს ხმა შორს გაისმის მსოფლიოზე. დიდება და მადლობა წმინდა მამებს, რომლებმაც შეინახეს ეს წმინდა ტაძარი და ამით უდიდესი სამსახური გაუწიეს ჩვენს სამშობლოს.

რაჟდენ დათეშიძე ქ. სტამბოლი 1/VII, 20.

***

24 ივლისი, 1920 წ.

ოდესღაც, აქ ამ მშვენიერ, წყნარ მონასტერში მოვდიოდი ხოლმე ბრძოლის ველიდან დაღლილი და დაქანცული. აქ ვისვენებდი სულით და ჩემ მეგობრებთან ერთად ვოცნებობდი საქართველოს თავისუფლებაზე... გავიდნენ წელნი... ეხლა თავისუფალ საქართველოს ჯარის ოფიცრის ხარისხით ვბრუნდები ამ მონასტერში და რა ბედნიერებას გრძნობს ჩემი გული, ამას მხოლოდ ის მიხვდება, ვისაც თავის სამშობლო მონობიდან დახსნილი უნახავს.

ღენერალი ლეო კერესელიძე.

***

1920 წლის აგვისტოს 8 დღეს ვინახულეთ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, ეს საქართველოს ლამპარი უცხოეთში. უსურვებთ ამ მონასტერს მომავალში ისეთივე მხნე და სასარგებლო მუშაობას საქართველოსათვის, როგორიც მას მიუძღვის წარსულში.

მოსე შანიძე, რაჟდენ ხუციშვილი, ალ. შაიშმელაშვილი.

***

დიდის სიამოვნებით და აღტაცებით ვინახულეთ ქართველ ძმათა სავანე, დიდება და სიამაყე საქართველოს კულტურულ მუშაობასა საზღვარგარეთ, თავისუფლების იდეის მატარებელი ჩვენი სამშობლოისა მრავალ წლის განმავლობაში, როდესაც სამშობლო-საქართველოს სახელის თავისუფლად ხსენებაც კი აკრძალული ჰქონდა ქართველ ხალხს ველურთაგან. ვემშვიდობებით იმ იმედით, რომ სიმბოლო ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა, ძველებურად შუქურ ვარსკვლავივით იქნება მანათობელი უკვე თავისუფალ საქართველოს მემამულეთათვის, რომელნიც აქ უცხოეთში გამოსულან.

ალექსანდრე აფხაზი.

***

მესამეთ მომიხდა სტუმრობა ამ ძვირფასს მონასტრისა. რვა წლის წინეთ ჩვენმა თანამემამულეებმა მიმიღეს, როგორც დეპუტატი ქუთაისის ღუბერნიისა სახელმწიფო დუმაში. დღეს კი საქართველო უკვე დამოუკიდებელი თავისუფალი სახელმწიფოა. ეჭვი არ შემაქვს, რომ მესვეურნი ამა მონასტრისა კვლავინდებურად მხნეთ და ერთგულად ემსახურებიან თავის ერს და საყვარელ საქართველოს...

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გარეშე საქმეთა მინისტრი
ევ. პ. გეგეჭკორი.
22 აგვისტო, 1920 წ.

***

12 აგვისტოს 1920 წ, პოლონეთიდგან მომავალ ქართველების ჯგუფმა დაათვალიერა ეს მონასტერი და ძლიერ კმაყოფილი დარჩა. პოლონეთში ქართული კომიტეტის გამგეობის წევრნი: იპოლიტე ანთაძე, აპოლონ ანთაძე.

***

1920. IX. 19. ს. ყაუხჩიშვილი.

***

19 18/X 20. ამ ძველებურ ქართულ მონასტერში, სადაც ყოვლისფერი საყვარელ საქართველოს მოგვაგონებს, სადაც ყველა გრძნობა, ფიქრი და სურვილიც გამსჭვალულია კაცობრიობისადმი გულითადობით და სიყვარულით, როგორითაც განუსაზღვრელი ერთგულობითა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, მართლაც ბედნიერს ვგრძნობ ჩემ თავს და მასთანაც ერთ მხრივ უბედურს, რომ სამშობლო ენაზე ამაზედ უკეთესათ ვერ გამომითქვია ჩემი აზრი.

პავლე თუმანიშვილი.

***

ზნეობრივი სისპეტაკე და სამშობლოს სიყვარული, რომელიც ასე უხვად ჰშლის თავის სხივებს ამ მონასტერში, შორიდან ანათებს ქართველ ხალხის ისტორიულ გზებს. მხნე და უანგარო მოღვაწენი ამ მაღალი სავანისა წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის და ხალხის ნუგეშს, რომელიც ორი წელიწადია დღითი დღე იზრდება და გვიღვივებს გულში იმედს, რომ მალე შესრულდება დიდი ხნის მხურვალე და მომქმედი მისწრაფება - იმ ზომამდე გაღონიერება და გამაგრება საქართველოსი, რომ დაიჩრდილოს აწმყო სიხარულით მოგონება განვლილი მწუხარებისა. სულის სიმტკიცე და ერის სიყვარული, რომელმაც საქართველოდან დევნილ კათოლიკე პატრებს შეაძლებინა ამ უცხო ადგილას გაეშენებინა ეს დიდი ძეგლი იმ ორი წლის განმავლობაში, რომელიც მე გავატარე კონსტანტინეპოლში როგორც საქართველოს წარმომადგენელმა, ყოველთვის მაიმედებდა, რომ ქართველი ერის სულიერი თვისებები შესძლებენ დასძლიონ ყოველგვარი დაბრკოლება და შექმნან წარმატების საუკეთესო პირობები მომავალ თაობათათვის. ვტოვებ რა კონსტანტინეპოლს, საქართველოში დასაბრუნებლად, ვუცხადებ ჩემს ღრმა პატივისცემას ამ მონასტრის უმწიკვლო მუშაკებს და ვთხოვ მიიღონ ჩემი მადლობა იმ სულიერი სიამოვნებისთვის, რომელსაც ყოველთვის ვპოვებდი ამ მონასტრის ზღუდეებში.

21 ოქტომბერს 1920 წ. საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში
გრ. რცხილაძე.

***

კიდევ ერთხელ უაღრესი სიამოვნებით ვესტმრე საქართველოს დიდებას, ეროვნულ სულის საუნჯეს, ყველა სამშობლოსათვის დევნილ ნამდვილ მამულიშვილის თავშესაფარს ქართველ კათოლიკეთა სავანეს და განახლებულ ცხოვრებაში შესულმა, კიდევ განვიცადე ის უდიდესი სიამოვნება, რომელსაც ყოველი ქართველი განიცდის უცხოეთში, როდესაც ჰპოვებს ასეთ კულტურულ ქართულ სამოთხის კუთხეს. სალამი ძვირფას მეგობრებს, ქართველ კათოლიკე ძმებს.

საქართველოს გენერალი კონსული ი. გოგოლაშვილი.
ელისაბედ გოგოლაშვილი.

***

დღეს 27 ნოემბერს მე უცხოეთს გაშორების ხან, ვალად ვიგრძნე, პატივი მეცა და მენახა ჩვენი ქართველთა მონასტერი. იმედი მაქვს, დაბრუნების დროს კიდე ვინახულებ და ვესალმები.

27 ნოემბერს 1920წ. ისააკ მამაცაშვილი.

***

ის ერი, რომლის შვილების ენერგიით და უნარით შექმნილა ეს დიდებული სავანე, არ მოისპობა. ამ მონასტრის ნახვამ და მაში მოღვაწე სულიერ მამათა თანა ჩვენი ერის დღევანდელ უაღრესად გაჭირებულ მდგომარეობაზე ბაასმა ამაში სრულებით დამარწმუნა. ეს ქართველებიც თავის ძმებთან ერთად, რომლებიც თავის ერისა და სამშობლოსათვის სისხლსა ღვრიან საქართველოს მიდამოებზე, ფიქრობენ და იღწვიან თავის ერზედვე. ეკლესიაში ყველა ქართველი რა რწმენისა და აზრისაც უნდა იყოს, რომელიც წაიკითხავს წარწერას „მარიამი ქართველთა მხსნელი“ უკვე თავს თავის ოჯახში გრძნობს და აქ მოღვაწე პირებთან ერთად იმსჭვალება იმ იმედით, რომ ქართველთა ერს ჰყავს უზენაესი მფარველი, რომელიც დაეხმარება მას დღევანდელ განსაცდელისაგან გამოვიდეს გამარჯვებული. ამ შორ უცხოეთში გადმოხვეწილი ბერებიც როცა მხოლოდ და მარტო სამშობლოზე ფიქრობენ და როცა ყველა მათგანი ყოველდღე, რაც საქართველოს ჩრდილოეთიდან გასისხლიანებული მუშტი დაემუქრა, განსაკუთრებით ლოცულობენ მის გადარჩენაზე, საქართველოში თავის ძმებთან ერთად არიან... მივდივარ ხვალ ბრძოლისაგან სისხლით დაცლილ საქართველოში, საცა ჩემი მოვალეობა უნდა მოვიხადო დედა სამშობლოს წინაშე. ჩავალ და თქვენს ამბავს ჩავიტან, გადავცემ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე და ყურით მოვისმინე და გავამხნევებ მათ ამითი. მხოლოდ ასეთი ერთსულოვნება, რომელიც გაჭირვების დროს გაჩნდება ხოლმე ქართველებში, იყო მიზეზი ჩვენი ერის მრავალსაუკუნოებათა განმავლობაში არსებობისა და იგივე ერთსულოვნება არის ნაწილი იმისა, რომ ეხლაც გადავრჩებით. ჩვენი ერის დედის ძუძუ მკერდი - თბილისი მტერმა დაიჭირა, ჩვენი მხედრობა კვლავ მტერთან საბრძოლველად სურამის ხეობაში იკრებს ღონებსა, მტერი კი მას ზურგიდანაც უვლის, შავი ზღვის სანაპიროებიდან. ეს ყველაფერი სასოებას გვართმევს, მაგრამ როცა ყველა ქართველის საფიქრებელი ბერია ის, მღვდელი თუ ერის კაცი ის არის, თუ როგორ დაეხმაროს თავის სამშობლოს და რანაირად დაიცოს თავისი ერი მისეულ მტრისაგან, იმედს გვიღვივებს, რომ ჩვენი ერი გადარჩება ამ უკანასკნელ განსაცდელსაც. ამ იმედით გემშვიდობებით მე, ძვირფასო თანამემამულენო და ღმერთსა ვთხოვ თუ მომიხდეს აქ კიდევ მოსვლა, მხოლოდ გამარჯვებული საქართველოდან მომიხდეს. და მაშინ ვიბაასოთ იმაზე თუ ჩვენმა მამაცმა ერმა როგორ იხსნა თავის სამშობლო დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდანაც.

ლონდონიდან კონსტანტინეპოლით სამშობლოსაკენ გავლით დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი.

7/III.1921წ.

***

1921 წ. 28 მარტს.

ესტატეს ძე წულაძე.

***

1921 წ. 28 მარტს.

სიმონ სიმონის ძე ებრალიძე

უიმედოთ დევნილი და გადმოხვეწილი საქართველოდან, მივეკედლე უცხო ქვეყანას, სადაც ყოველივე იმედი გადაწყვეტილი მქონდა მომავლისა. ამ დროს ვიღაც გაჩნდა ჩემთან დიდი აღფრთოვანებით და მეუბნება, რომ ჩვენ არა ვართ დაკარგული, რადგანაც აქ ქართველი სამღვდელოებაა. სწორედაც გამართლდა ის მოგონებები და ძველი ამბავები, რაც წარმოდგენა მქონდა მე საქართველოზე. სწორედ ეს ადამიანები ყოფილან ჩვენი ერის წინამძღოლები და მათი კეთილები, მე ვსთხოვ ყველას, რომ ასეთ პირებს, როგორებსაც ჩვენ ვხედავთ ამ მონასტერში არიან ქართველებისთვინ თაყვანისაცემი.

***

1921 წ. 31 მარტი. ვინახულეთ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და დავრჩით ღრმათ კმაყოფილი. საქართველოს რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელნი:

1. ათაბეგი დიმიტრ.
2. ვიქტორ ბოკერია.
3. დავით ბ. ჯუღელი.

***

1921 წ. 30 მარტს ვიყავი მონასტერში, რის ნახვასაც დიდი ხანია ოცნებობდი.

ვასილ პეტრეს ძე ....

***

სალამი ქართველთ სავანეს!

ვიქტორ ბოკერია 5 აპრილი, 1921 წ.

***

ვისაც სწამს კაცობრიობის წინსვლა, მას უპირველესად უნად უყვარდეს მშობელი ერი და მისი კერა. სამსახური საკუთარი ხალხის წინაშე არის სამსახური და ღვაწლი მთელი კაცობრიობის წარმატებისათვის. საქართველოს დიდი კერის ამ პატარა ნაწილის ნახვა ჭეშმარიტად უხალისებს გულს ქართველ მოქალაქეს მეტადრე ამ მწარე წამის განცდის დროს. ვაშა ყოველ ქართველს, რომელიც მიმართულების, რწმენის განურჩევლად, ემსახურება საერთო საქმეს - ერისა და სამშობლოს აყვავებას. ეს არის ნამდვილი მოხდა ვალისა წინაპრებისა და სამშობლოს წინაშე. ვინც ამ საერო საქმეს არ ემსახურება, და ვალს არ იხდის, ის ზნეობრივად მდაბალია და მოღალატე. დიდი ტანჯვისა და ზნეობრივი ვაების დროს მიხარია ის სიამე, რომელსაც ვგრძნობ ამ სავანეში. დღეგრძელობა აქ მყოფთ და მესვეურთ! ... ვინატრი, რაც შეიძლება მალე ენახოს ჩვენს სამშობლოს შვება და მშვიდობა!...

3. IV. 21. გრიგოლ დიასამიძე

***

„სხვადასხვა ჭირი ჩვენზედა არ ახალია, ძველია,

კარგი რამ გვჭირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“ – (შოთამ სთქვა).

მ. წერეთელი. 10. IV. 1921

***

საქართველოდან გადმოხვეწილი რამოდენიმე დღე ვსარგებლობდი ქართველ კათოლიკე მამათა მონასტერის მასპინძლობით. ბევრი მხოლოდ საქართველოს „გაწითლებამ“ მოიყვანა აქ, ქართველ კათოლიკეთა კონსტანტინეპოლის კულტურულ და სულიერ თავშესაფარში. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამის შემდეგ მართლმადიდებელი საქართველო და საერთოდ ჩვენი რესპუბლიკა მეტის ყურადღებით მოეპყრობა იმ ქართულ კულტურულ და სასულიერო ცენტრებს, რომელნიც ჩვენ თანამოძმეთა გამჭრიახობას და შრომას მოუწევია და შეუნახავს დღემდის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ამ უცხოეთში - სტამბულში და სხვაგანაც.

ღრმა მადლობით ქართველ მამებისადმი.

დამფუძვნებელი კრების წევრი გრიგოლ ვეშაპელი, სტამბოლი, 14/IV, 1921.

***

ბედნიერი ვარ, რომ მეც მეღირსა აქაურობის ნახვა, ხოლო ვწუხვარ, რომ ეს მოხდა იმ საშინელ ჟამს, როცა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო ბარბაროსების მსხვერპლი გახდა.

ს. მდივანი 16/III, 21 წ.

***

ჩამოვედი 10 მარტს, 1921 წ და გავემგზავრე პარიზისაკენ 24 აპრილს, 1921 წ.

ქართულ-ფრანგული პალატის თავმჯდომარე და ქართველთა ლტოლვილთა კომიტეტის წევრი იოსებ კემულარია.

***

მაისის 8 შესრულდა ამ ჩვენ ეკლესიაში პოლინელების დამოუკიდებლობის გამო დღესასწაული. სწირა მღ. ალექსანდრე სიპიაგინმა, რომელმაც სიტყვა უთხრა პოლონეთის წარმომადგენელს და ახალშენს. დიდი ძალი ხალხი დაესწრო.

შ. ვარდიძე

***

ჩამოველ გემი .... 23 მარტს. ვტოვებ აქამდის ჩემთვის უცნობს, ეხლა კი ნაცნობს, ქართველ კათოლიკეთა მონასტერს კონსტანტინეპოლში, რომელმაც მაგრძნობინა რა არის ეროვნულ უბედურებაში ეროვნული თანაგრძნობა.

დამფუძვნებელი კრების და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯ. ა. ჭიაბრიშვილი.

***

მეც ჭიაბრიშვილთან ერთად ჩამოვედი 23 მარტს და ვცხოვრობდი ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც ვიგრძენი ქართული სიყვარული და თანაგრძნობა, რაზედაც ვრჩები დიდი მადლობელი, ვემშვიდობები დღეს 9 მაის. ვალდებული ვარ ვაუწყო ქართველ ერს ამ პატარა გაცემული ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა ჩვენდამი. გვარდიის მთავარი შტაბის წევრი თ. შენგელია, 2. ათანასე ჭანტურია,

3. შორაპნის ოსქის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე გაბ. შენგელია.

4. ქ. თფილისის ნაძალადევის უბნის შტაბის წევრი ექვთიმე გახოკია.

5. ქ. თფილისის რაიონის შტაბის თავმჯდომარე - ხელმოწერა ვერ წავიკითხეთ.

6. ძმური პატივისცემით დავალებული გადმოხვეწილი გაბრუნებისას გულწრფელი მადლობით ვემშვიდობები ქართველ კათოლიკეთა მონასტერს. სამტრედიის სახალხო გვარდიელი სერგო გაბრიელის ძე ნინუა.

7. დიდი მადლობის ღირსია ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, რომელმაც ასეთი დიდი მზრუნველობა მოგვიძღვნა ჩვენ საქართველოდან გადმოხვეწილებს. შორაპნის საოლქო გვარდიის შტაბის წევრი ს. გოცაძე.

8. დიდს მადლობას გიძღვნი პატივისცემისათვის ქართულ კათოლიკეთა მონასტერს. სამტრედიის შტაბის გვარდიელი ანანია ანდრიას ძე სტურუა

9. ჩემს უღრმეს მადლობას მიუძღვნი ქართველ კათოლიკეთა მონასტერს სადაც მე მივიღე თავშესაფარი და მშობლიური სიყვარული. სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადის უფროსის თანაშემწე ნესტორ ჟღენტი

10. გიორგი ძიძიგური.

11. ს. კობახიძე

12. ა. ნებიერიძე.

საქართველოში 21 საუკეთესო ამხანაგის გამგზავრების დღეს. იმ სულიერ მარტოობაში, რომელსაც ჩვენ -განდევნილი- ვგრძნობდით უცხოეთში, ეს მონასტერი ჩვენი თავშესაფარი იყო. ამხანაგები მიემგზავრებიან საქართველოს თავისუფლების აღსადგენად. ისინი ბრძოლაში მიდიან. მე კი ჯერ ვდეზერტიროფ...

ვალიკო ჯუღელი, 9 მაისი, 1921 წ. კონსტანტინეპოლი.

***

სულდაცემული, სამშობლოდან გამოდევნილი ლტოლვილი ვიყავი, როცა მონასტერში ვპოვე თავშესაფარი და ნამდვილი ქართველური სტუმართმოყვარეობა. დღეს -სამშობლოში გამგზავრების დღეს მადლობის გრძნობით აღვსილი ვსტოვებ მონასტერს და მის ხელმძღვანელთ და თუ ვეღირსეთ სამშობლოს განთავისუფლებას, ყოველ ღონეს ვიღონებ, რომ საქართველომ დახმარების ხელი გაუწოდოს ამ ერთადერთ თავშესაფარს ქართველი ემიგრანტებისას, როგორც ძველად, ისე ეხლაც.

სახ. გვარ. ნ. ორაგველიძე. 9/V, 21 წ.

***

18 მარტს 1921 წელს თვალცრემლანმა დავსტოვე საყვარელი სამშობლო საქართველო, მოვდივარ გემით და ცრემლ-მორეული ვეკითხები ჩემს თავს; სად მიდიხარ? პასუხი ერთია: არ ვიცი... მივდივარ შორს, სადღაც ჩემთვის უცხო ქვეყანაში, სადაც არ ვიცი რა მომელის, და აჰა, 23 მარტს გადმოვდივარ გემიდან ქ. კონსტანტინეპოლში, იქ ამხანაგები მეუბნებიან მივდივართ ქართ. კათოლიკეთა მონასტერში, მიველით, დავბინავდით და ორი დღის მოსვენების შემდეგ ვიგრძენი შვება და ტანჯულმა სულმა და გულმა ბედნიერება იგრძნო. მოახლოვდა წასვლის დროც, და რამდენადაც მიმიხარია ჩემს სამშობლოში, თითქმის იმდენად მიმძიმს ამ მონასტრისა და მისი ხელმძღვანელთა დატოვება... მაგრამ მაინც ვსტოვებ... ვსტოვებ მაგრამ ვგრძნობ, რომ უძლური ვარ მადლობა გამოვსთქვა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც მე ვიგრძენ აქ...

სალამი და პატივისცემა თქვენ მამანო რ. ჯიბლაძე.

9/V-21 წ.

***

„ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო“, ლაპარაკობს ქართული თქმულება. შავ დღეში მყოფ გადმოხვეწილ ქართველობას ფასდაუდებელი ძმობა გაუწიეთ თქვენ - ქართველმა კათოლიკეებმა. ამ ამაგს არ დაივიწყებენ არა მარტო ის გადმოხვეწილნი, რომელსაც თქვენ ეჭირისუფლეთ, არამედ მას დააფასებს მთელი ქართველი ერიც. რა წამს საქართველო წელში გაიმართება, ეცდება სამაგიერო ამაგი დაგდოთ თავის ღირსეულ შვილთ.

ი. ჭავჭანიძე

ქალაქი კონსტანტინეპოლი, 4/VIII, 1921წ.

***

უღრმეს მადლობას უძღვნით მონასტრის ბერებს რომლებაც დიდის პატივით მიგვიღო და გადაუხდელი პატივი გვცა ლტოლვილ ქართველებს.

საქართველოს რესპ. მთავრობის თავმჯდომრის ადიუტანტი: პ. ჟორდანია ყოფილი დირექტორი იუსტიციის დეპარტამენტისა და სრულიად საქართველოს საკათალიკოზო სასამართლოს წევრი გიორგი თევდორეს ძე... ყოფილი სასამართ. პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი. უღრმესი მადლობა.

ალექსანდრე გიორგის ძე ჩხეიძე

***

უმდაბლესი მადლობა და ყოველი კარგი სურვილები ყველა ჩვენ საუკეთესო მოქალაქე ძმებს.

ბენუა ჩხიკვიშვილისაგან 2/VI , 21 წ.

***

დიდის პატივისცემა მივიღე ამ მონასტრის მამათაგან, რომლებთან დავყავი თითქმის 4 თვე. გულითადი მადლობის ღირსნი არიან ეს კეთილი და ერთგული ქართველი მამულიშვილნი.

იუსტ. მინ. რ. არსენიძე

***

20/VII, 1921 წ. ქართველთა მონასტერს კონსტანტინეპოლში დიდი მადლობა ჩემის მხრივ.

გიგო ....

***

უღრმეს მადლობას ვუძღვნი სასიქადულო მამულიშვილთ 4 თვის განმავლობაში დიდი მფარველობის გაწევის გამო.

20/VII. 21. ალექსანდრე ჯაფარიძე

***

ქართველთა შორის ამაყო
ჩვენო იმედო სახლო
უმანკოთ ჩასახებულო

მფარველო შენი ერისო.
შენ შეგთხოვ შველას
თვალ ცრემლიანი.
მეოხეყ ქართველებისო.

გრიგოლ თუმანიშვილი.
1921 წ, ივლისის 21.

***

გულითად მადლობას უძღვნი კათოლიკე ქართველთა სავანეს.

1921 წ. 21 მკათათვე. პავლე ს. თუმანიშვილი

***

ოთხი თვის განმავლობაში მონასტერმა თავშესაფარი აღმომიჩინა. დიდი მადლობა ლტოლვილ ივანე კაჩუსაშვილისაგან...

21/VII. 21.

***

თუმცა საქართველოში ვერ ჩაველი და მით გული მწყდება, მაგრამ საქართველოსი კუთხე კონსტანტინეპოლში ქართველთა მონასტერში მოვიპოვე, რისთვინ დიდ მადლობას ვუცხადებ ამ მონასტრის ბერებს.

4 აგვისტო, 1921 წელი. ვასილი კუჭუხიძე.

***

სიტყვები არა მაქ ჩემი უღრმესი მადლობა გამოვსთქვა იმ განსაკუთრებული პატივისცემისა, რომელიც მე მხვდა წილად ქართველ კათოლიკეთა მონასტერში. ნერვებ აშლილი - ფიზიკურად დასუსტებული აქ განვიკურნე მონასტრის წმინდა კედლებში.

21 წ. ლასა იმნაძე.

***

ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ მამათა სავანე შემდეგშიც განაგრძობს იმ დიდ კულტურულ საქმეს, რასაც წინეთ ათონის მონასტერი ასრულებდა ქართველი ერისთვის და მისი ტრადიციების განმტკიცებისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი
29 სექტემბერი. 1921 წელი.

***

სიამოვნებით ავღნიშნავ აქ გატარებულ დროს და თავდადებულ მუშაობას საქართველოს სასარგებლოთ ქართველ მამათა სავანისას. მწამს, რომ მომავალი საქართველოსი ბრწყინვალე იქნება და მამათა სავანეს კულტურული მუშაობა საქართველოში-დაუშრეტელი.

ს. გეგელაშვილი. 17/XII – 21 წ.

***

„საქართველოს უღირსი შვილების მიერ დევნილი სამშობლოსათვის თავდადებული ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე ჯუღელი გულითად მადლობას უძღვნის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შემადგენლობას უხვი დახმარებისათვის და ძმური ნუგეშისთვინ. ჩემს გულში ამოურეცხელი იქნება მათი სიყვარული და პატივისცემა“.

1922 წელი, ნ. ჯუღელი.

***

1919 წლის 16 მარტს ვნახე ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და აღტაცებული დავრჩი იმ მზრუნველი სიყვარულის გრძნობით, რომელიც გამოსჭვივის მონასტრის კუთვნილ ყოველ წვრილმანში.

საქართველოს სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე გრ. რჩილაძე

ილია ოდიშელიძე

ამის შემდეგ მოდიან ანდრეი დეკანოზიშვილი, ვ. ნაზარიშვილი, გრ. რობაქიძე და სხვები.

***

1 იანვარი, 1922 წ.

ქართველ კათოლიკეთა მონასტერს სტამბოლში, რომელმაც ქართველ ლტოლვილებს მისცა თავშესაფარი და პირველ იანვარს გაახსენა საქართველო და მისცა საშუალება ქართულად შეხვედროდა ახალ წელს, - გაუმარჯოს!

ო. კაჩუხაძე, პ. ჩინიკიშვილი, კონიაშვილი, ა. კორძაია, ფრანჩისკე ბეგიშვილი.

***

14 იანვარი, 1922.

წმიდა ნინაობა

თერთმეტის ნახევარზე ქართული წესის წირვა დაიწყო. მღვდელ დიაკნობდენ მამა შიო ბათმანაშვილი და მამა ბენედიქტე ვარდიძე. ხორო გალობდა ზ. ფალიაშვილის წირვას. მგალობელნი იყვნენ: ი. ქარსელაძე და კოლია ნიჟარაძე; ვ. ჟღენტი და ა. კობახიძე; ფრანჩისკე ბეგიშვილი, კ. ჯაყელი, და შალვა ვარდიძე. ორღანს უკრავდნენ მ. ი. ფილიპუჩი და ს.ე. ბელა. წინამძღოლობდა პ. ტატალაშვილი. ხალხი ბლომათ დაესწრო. მთავრობის წარმომადგენელი, კონსული, ყოფილი მინისტრები, ხომერიკი და არსენიძე, მრავალი ღენერლები და ლტოლვილები ქალი თუ კაცი დაეწრენ. ქადაგება იყო. წირვის შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა დარბაზში მიიღო ყველანი, სიტყვა უთხრა მთავრობის წარმომადგენელს, რომელმაც ილაპარაკა, შემდეგ კონსულმა ქართველ ქალების მოღვაწეობაზე და ვ. ჯუღელმა, რომელმაც გრძნობიარე სიტყვა სთქვა ამ სავანეზე. ერთი მეორეს მიულოცეს, სვეს და დაიშალა შეყრილობა. სავანეში, სადილზე მგალობლების გარდა, კიდევ იყვნენ ვინც სავანეში ცხოვრობენ.

დიდებულად ჩატარდა მთელი დღესასწაული...

***

მონასტერს
სამშობლოს ჩემსას, განწირულს, ძლეულს,
დაეპატრონა მოსისხლე მტერი,
ბედის მომდურავ ლტოლვილსა ეულს
ბინათ აღმიჩნდა ეს მონასტერი!
მშობლიურ ქვეყნის მსგავსი ელფერი,
მიმსუბუქებდა ობლობას მწარეს,
მყუდრო სავანის ზღუდეთა შორის
თითქოს ვხედავდი სამშობლო მხარეს.
მწარე ფიქრებით შორს მიმავალი,
აწ ვსტოვებ სავსე მადლობის გრძნობით,
ვიდრე ცოცხალ ვარ ტკბილ ხსოვნას ვზიდავ
სულის სიღრმეში. იყავ მშვიდობით.

რ. ლეჩხუმელი.
2 მარტი, 1922 წ.

***

ჩემი შთაბეჭდილება ამა მონასტერზე

1881 წელს გავლით კონსტანტინეპოლში ვეწვიე ამა ქართველთა კათოლიკეთა მონასტერს. იმ დროს იყო გამგეთ განსვენებული პეტრე ხარისჭირაშვილი, რომლის დაარსების ინიციატორი იყო განსუნებული და იმან ჩაუყარა პირველი საფუძველი ამა მონასტერს. იმ დროს იყო პატარა სახლი ღვდლების საცხოვრებლად, ქალების მონასტერი და პატარა ეკლესია და ახლა ჩემ აქ ჩამოსვლამდე სხვა გადმოხუწილებთან ერთად და რადგანაც არ ვიყავი გაცნობილი, მქონდა იმნაირი წარმოდგენა, მაგრამ აქ სულ სხვა ვნახე ახლა. რამდენი ნაყოფი გამოუღია აქაურ მოძღვრების მედგარ და დაუზარელ შრომას, რაიც არსაიდან არ ქონდათ არაფერი დახმარება აუგიათ ოთხ სართულიანი დიდი შენობა მღვდლების საცხოვრებლათ თუ სხვა საჭირო დაწესებულებებისათვის. შეუძენიათ ბევრი მიწები მომავალში მონასტრის გასაძლიერებლად. გაღებულა ქალების თუ ვაჟების სასწავლებლები, იზრდებიან სამღვდელოები, არსებობს ბიბლიოთეკა და ყოველნაირი სასულიერო თუ სახორციელო კულტურული დაწესებულებები, რაც დიდს იმედს იძლევა მომავალში საქართველოსათვის.

მასთანავე არ შემიძლია არ გავაშუქო ის გულკეთილობა, კაცთმოყვარეობა და სამშობლოს სიყვარული, რაც არსებობს მათში და გამოიჩინეს ამ დროებითი მიყენებულ საქართველოზე უბედურების დროს ყველა მოძმე ქართველებზე განურჩევლათ მიმართულებისა და სარწმუნოებისა რათა რომ რამოდენიმეთ შეემსუბუქებიათ მათთვის ცხოვრება. ქონდათ მიცემული უფასო ბინები, მასთანვე თავიანთი შეძლებისდაგვარ აღმოჩენილი იყო ყოველნაირი ხელშეწყობა და დახმარება.

კერძოთ ჩემზე არ შემიძლია გამოვსთქვა იმისთანა გრძნობა ყოველნაირი ხელშეწყობა და დახმარება რაიც გვქონდა ჩუენ მათგან.

მე არ ვფიქრობ, რომ გამოვიდეს იმისთანა ქართველი, რომელსაც დავიწყდეს ყველა ეს და არ დააფასოს ამათი შრომის ღვაწლი და ის თანაგრძნობა რაიც იყო მომართული ჩუენზე ამ მონასტ-

რისაგან და როცა დავბრუნდებით სამშობლოში, გონივრათ უნდა გავაცნოთჩუენ მოძმებს ამათი შრომის ნაშტი და როდესაც მოგვეცემა საშვალება უნდა ვიღონოთ და ვცადოთ აღმოჩენა ყოველნაირი დახმარებისა, რათა ამა მონასტერს შეუძლია ითამაშოს საქართველოსათვის დიდი როლი.

გემშვიდობებით მოძღვარნო, მივდივარ საქართველოში, შეიძლება მეტი ვეღარც გნახოთ. ვევედრები ღმერთს ჩემი მოხუცი პირით გყოთ დღეგრძელი, მოგცეთ ძალა და მხნეობა თქვენ და თქვენ მომავალ თაობას, რათა განაგრძოთ და გაავრცელოთ საქართველოშიც ამნაირივე ნაყოფიერი შრომა, რაიც დიდად სწყურია სქართველოს ერს. გწირავთ დიდს მადლობას თქვენი ამნაირი საზოგადო მოღვაწეობისთვის და კერძოდ მეც და ჩემი ოჯახობაც იმ თანაგრძნობისათვის და ყოველნაირი დახმარებისათვის, რაც გვქონდა ჩვენ თქვენგნით. მასთანვე უძღვნით მადლობას ქალწულთა მონასტერს იმ ყურადღებისათვის რაიც იყო მოქცეული ჩემ ოჯახობაზე მათგან.

ნიკოლოზ ანტ. საბაშვილი.

18 აპრილს, 1922 წ.

***

ის პატივისცემა და თანაგრძნობა, რომელიც მე ვპოვე ქართველ კათოლიკეთა მონასტერში სამშობლოდან გადმოხვეწილობის დროს - მარად დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ვუსურვებ - ამ ქართული კულტურის და ტრადიციის სავანეს მომავალშიდაც ყოფილიყოს ისეთი ძლიერი გამომხატველი ქარტელი ერის სულისკვეთების და მისწრაფების - როგორც ეს არის დღეს.

ფოთის ქალაქის მოურავი ა. ვერძაძე.

13/VI. 2022 წ.

***

ზაქარია დიმიტრის ძე ბაქრაძე. 1922 წ. 28 მარიამობისთვე.

გენერალი ზ. ბაქრაძე

***

23/XII. 22. (გახელმეორებით) მადლობას ვსწირავ ქ. კათ. მონასტერს.

ივ. კაჩუხაძე.

***

ქართველ მამათა ძმური მოპყრობა ისე დაუვიწყარი იქნება, როგორც ის უბედურება, რომელსაც ამჟამად განიცდის ჩვენი ქვეყანა.

მ. ლომთათიძე.

23/XII, 1922 წ.

***

ჩემს გულითად მადლობას უძღვნი ქართველ მამებს მიღებისთვის, იმედი არ დამიკარგავს სამაგიეროს გადახდისა.

ნ. ნიჟარაძე.

***

ბოლშევიკებისაგან დევნილმა შევაფარე თავი ქართ. მონასტერს 1921 წ. 15 ოქტ. -1922 წ. 22 დეკ. რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი მონასტრის უფროსსა და ყველა დანარჩენ მამებს.

ნოე ჯუმბურიძე

***

გულითად მადლობას უძღვნი ქართველ. მამათა სავანეს იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც მე განვიცდიდი ამ სავანეში 1921 წ. აპრილიდან 1922 წ. 23 დეკემბრამდე, როგორც ბინის მიცემით, ისე სტამბაში მუშაობით.

ი. ქარსელაძე.

***

საქართველოს უღირსი შვილების მიერ დევნილი სამშობლოსთვინ თავდადებული ნიკოლოზ ქაიხოსროს ძე ჯაყელი გულითად მადლობას უძღვნის ქართველ კათოლიკეთა მონასტერის შემადგენლობას უხვი დახმარებისთვინ და ძმური ნუგეშისთვინ. ჩემს გულში ამოურეცხელი იქნება მათი სიყვარული და პატივისცემა.

1922წ. ნ. ჯაყელი.

***

მიხაკო წერეთელი. 15. XII. 1924.

***

ქართველ ხალხს ძველ დროში კულტურის დიდი კოცონი ჰქონდა დანთებული, რომლის სითბო დიდ სივრცეზე ვრცელდებოდა; მიხარია, რომ ამ კულტურის ერთ-ერთი სავანე, ნაშთი ჩვენი კულტურობისა, ასე მშვენივრათ შენახულა სტამბოლში. დიდება მას!

2/X. 25. ა. შათირიშვილი.

***

1929 წლის 24 აგვისტოს თვალცრემლიანმა დავტოვე ტურფა საყვარელი სამშობლო. 21 წლიდან 29 წლამდე ვეწეოდი ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ვეღარ გაუძელ, გამოვექეცი მტერს. სირცხვილი ჩემი, მაგრამ ვნუგეშობ მით, რომ აქ, უცხოეთში დავლიო ჩემი სიცოცხლის დღენი შენი მტრის წინააღმდეგ, ჩემო საყვარელო, დღეს უცხო ძალის და გამყიდველ ქართველებისაგან ტანჯულო საქართველოვ. დიდება შენ, ქართველო ახალგაზრდობავ, მტერს მტრულად ხვდები და მოყვარეს მოყვრულად. ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტი მუდამ იყო მესაჭეთ ერის კულტურის და მხედრობის. დღესაც სანთელ-საკმეველი თავისას არ ჰკარგავს. გაუმარჯოს ქართველ ახალგაზრდას საქართველოს საზღვრების სადარაჯოზე.

დიდ მადლობას უძღვნი ქ. კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის წმინდა მამებს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს და ჩემს ახალგაზრდა სულს თავისი კეთილი მოპყრობით გაუათკეცეს ბრძოლის სურვილი ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

ქ. კონსტანტინეპოლში დროებით თავშეფარებული საქართველოდან გადმოხვეწილი

25. II, 1929 წ.

***

დიდება თავისუფალ საქართველოს. 2/X. 25 წ. ვალენტი ქიქავა.
ბაგრატ წულაძე - 3/X. 25წ.

***

ყური მიგდეთ ბატონებო
აღარ შემიძლია ბეური
მუდამ წინ სულა და სიცოცხლე
გამარჯვება იყოს თქვენი...
სამშობლოდან განდეუნილი
უცხო მხარეს გახიზნული
და კი მასთან ავათმყოფი
ვიყავ ერთი ბედი კრული,
ქვეყნათ ჩაგრულს დამონებულს
ვაშკაცობის მოტყუებულს
და კი მასთან ოსმალეთში
ყოველ ხალხის მოძულებულს!
მახსოვს ის დრო
და ის ჟამი
რომ ინდომეთ თქვენ ქართველი
შალიკონა ცოცხლათ მკუდარი,
მეტი რა უთქვა რომ არ ვიცი
ან მე თქვენ რა მოგახსენოთ
პირი წყლით მაქს საუსე თორემ
ქე, ვიტყოდი ერთსა რაცხას
პატივ ცემა ვალათ მიმაქს მე კი თქვენი,
ღმერთის გლახაკს,
არ ვიყავი მაგის ღირსი
რაც რომ მე თქვენ პატივი მეციით
ვამბოფ ამას გულ ახთილათ
და ჩემს ნამუს გეფიცებით,
მე გისურვებთ ყოფილიყოს მომავალი, -
თქვენი დღენი სანატრელი
და ქე ნახეთ თქვენ მშვიდობით
საქართველო ძველთა ძველი
თქვენი დიდება და გუგუნი
გაეგონოს მაღლა ღმერთსა
და კი მასთან დამონებულს
დღეს დაჩაგრულ ქართველ ერსა.
Შ. ინჯია.

უძღუნი გულითად მადლობას სტამბოლში მყოფ კათოლიკეთა მონასტრის ქართველ მღუდლებს, რომლებმაც მცეს პატივი. მე უცხო მხარეს გადმოხვეწილი და კი მასთან დაჩაგრულს, დაავათმყოფებულს გამიწიეს პატრონობა და მიწყვეს ხელი როგორც ქართველი.

ჩაგრული პატარა ქართველი - შალვა ინჯია, 1929 წელს, 28 მარტს.

***

სტამბოლში მყოფი ქართველი მხოლოდ აქ გრძნობს თავს ქართველად.

ანდრო თორაძე

ნადია ნანობაშვილი
12 ენკენისთვე, 1929 წ.

***

1929 წ. 24 აგვისტოს, თვალცრემლიანმა დავტოვე ტურფა. 21 წლიდან 29-დი ვეწეოდი ბრძოლას თავისუფლების - დამოუკიდებლობისათვის და ვეღარ გაუძელ, გამოვექეცი მტერს, სირცხვილი ჩემი, მაგრამ ვნუგეშობ მით, რომ აქ, უცხოეთში დავლიო ჩემი სიცოცხლის დღენი შენი მტრების წინააღმდეგ ჩემო საყვარელო, დღეს უცხო ძალის და გამყიდველ ქართველებისაგან ტანჯულო საქართველო. დიდება შენ ქართველო ახალგაზრდავ! მტერს მტრულად ხვდები და მოყვარეს მოყვარულად. ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტი მუდამ იყო მესაჭეთ ერის კულტურის და მხედრობის, დღესაც „სანთელ-საკმეველი თავისას არ კარგავს“, გაუმარჯოს ქართველ ახალგაზრდას საქართველოს საზღვრის სადარაჯოზე. დიდ მადლობას უძღვნი ქ. კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის წმინდა მამებს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს და ჩემს ახალგაზრდა სულს, თავისი კეთილი მოპყრობით გაუათკეცეს ბრძოლის სურვილი ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ქ. კონსტანტინეპოლში დროებით თავშეფარებული საქართველოდან გადმოხვეწილი
ნ. ჟღენტი. 25/IX, 29 წ.

***

დღეს აღდგომას აი აქ უცხოეთში, მაგრამ ქართულ მონასტერში ბედმა მარგუნა ყოფნა და სიამოვნებით მოვისმინე მოძღვარი ბენედიქტეს და მოძღვარი პიოს ქართული ლოცვა. აქ ყოფნისას ჩემი თავი ჩემს ტანჯულ ქვეყანაში მგონია და კმაყოფილი ვარ, რომ ამ ორ ღირსეულ პატრიოტთა შორის მომიხდა დღეს რამოდენიმე საათის გატარება. ჩემს ტანჯულ ქვეყანას უსურვებ მკვდრეთით აღდგომას და ამ ორ ნამდვილ ქართველ პატრიოტებს კი მალე ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას. აი აქ უცხოეთში ისე მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ და ეს მონასტერი კი ერთი კულტურული კერაა აქ გადმოხვეწილი ქართველების, მხოლოდ გული მტკივა, რომ აი ამ მეტათ სიმპატიურ დაწესებულებაზე საჭირო დახმარება არ გაუწევიათ იმ ქართველებს ვისაც ეს შეეძლო. იმედი მაქვს აღდგენილი სამშობლო ამ ნაკლს შეავსებს და ამ დიდებული მონასტრის მოამაგეთა ღვაწლს შესაფერისად დააფასებს. ამ მოღვაწეთ უსურვებ მტკიცეთ დგომას თავის ღირსეულ პოსტზე და დღეგრძელობას და ჩემს ტანჯულ ქვეყანას კი თავისუფლებას.

საქართველო აღდგება, ეს არის ჩემი ურყევი რწმენა და მის სამსახურში მყოფ პატრიოტთ დღეს აღდგომას უსურვებ მხნეობას, სიმტკიცეს და გამარჯვებას.

შალვა ბერიშვილი. სტამბოლო, 28 აპრილი 1940 წელი.

***

ზემოთ დაწერილი რა ჩავიკითხე გონებაში შოთას სიტყვა მომივიდა:

„... ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!

მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერ ტკბილად არ უმღერია.

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია?! “ - ვუნ არ იცის:

„თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია!“

რავდენადაც ვიცნობთ ამ მონასტერს და მუნ მყოფ მოღვაწეებს და განსაკუთრებით მათ მაქებარს, რომელიც აქ მოსულა, ჩვენც განვლით რა ვინახულეთ ხელახლა ორი წლის შემდეგ, შალვა ბერიშვილი პირადათ უცნობი, ხოლო მისი მოქმედებით ცნობილი, განვიკვირვეთ ძალზე და ვსთქვით: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია! “

პრაღიდან ლტოლვილი ვინმე კახელი ალ. ჩიტაძე.

3/v-1941.

***

„ბედმა მარგუნა, ამ დიდი ხნის უცხოეთში ყოფნის შემდეგ მენახა ქართული წმინდა ეკლესია სტამბოლში. ბედნიერი ვარ, რომ ამ საშინელ ეპოქაში, როდესაც ჩემი სამშობლო წმინდათა წმინდა წაბილწულია, აქ მაინც მეღირსა სულიერი კმაყოფილება. ვიყავი წმინდა აღდგომას ამ წმინდა ტაძარში და მოვისმინე პატრი პიო, რომლის მოსილება და დარბაისლური წირვა და ლოცვა მაგონებდა ჩემს მშობლიურ ქვეყანას და მის ტაძარ-ეკლესიათა დიდებას. ჩემი უღრმესი სურვილია აქ და თავისუფალ სამშობლოშიც მოვისმინო და დავსტკბე პატრი პიოს ხვთიური ლოცვით. დღეგრძელ იყოს მამაო თქვენი სიცოცხლე და თქვენი წმინდა საქმეები თავისუფალ საქართველოს საკეთილდღეოდ“.

ს. მენაღარიშვილი, 3. V. 1943 წ.

***

1962 წლის 19 ივნისს

ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა მეც ამ წიგნში, სხვა ჩემ თანამემამულეთა ერთად მერგუნა ორიოდე სიტყვის დაწერა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც შეჰქმნეს ეს მონასტერი, პატივსაცემია სამუდამოთ მათი ხსოვნა, მაგრამ ვაშა მათ ვინც შეინარჩუნებს ამ მონასტერს და მის ქართველობას. ღმერთმა ქნას, რომ ქართული ღვაწლი არ დაიკარგოს. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ერთი ქართველი კაცი მაინც ვნახე მოდარაჯე ამ ღვაწლის.

ლევან ნიკოლოზის ძე საღარაძე

***

რამდენათ სიამოვნება არის ამ მუსულმანურ ქვეყანაში ერთი მშვენიერი მონასტერი და მისი ეკლესია რომ ვნახე. მისი მონაწილეობა და მუშაობა ქართულ საქმეში უდიდესია. ხმერთმა ქვნას რომ ეს მუშაობა სამუდამოთ გაგრძელდეს.

9/24, 1942. გივი ზალდასტანიშვილი.

***

ქართული კულტურის უკანასკნელ სავანეს დათვალიერებით სიამაყით აღმევსო გული. ვისაც სამშობლო სწამს და უყვარს, მარადი პატივისცემით ეხსომება მისი მოამაგე პავლე აკობაშვილი.

12/VI, 73 წელი. მ. სინდიკელი.

***

დღეს მე დიდი სიხარულით დავათვალიერე ეს მონასტერი. კურთხეულ იყოს ამ სახლის პატრონი. მამა კონსტანტინესთვის შევწირე ქართველთა ტაძარში.

14 ნოემბერი 1974 წ.

ვოლფგანგ ოფერმანსი (ქართველთა მეგობარი გერმანიიდან).

***

ღმერთმა აკურთხოს და განაძლიეროს კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი. დალოცოს უფალმა ჩვენი საყვარელი ქართველები, რომელნიც ინახავენ ქართულ ტრადიციებს ამ მონასტერში.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი. 4/V – 1979. სტამბოლი.

***

ვინახულეთ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი კონსტანტინეპოლში. ჩვენ ყოველთვის თაყვანისცემით მოვიხსენიებთ იმ ქართველთა სახელებს, ვინც ასეთი მოწიწებით უვლის ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ უკანასკნელ სავანეს ამ ქვეყანაში.

საქართველოდან ჩამოსულები
კინორეჟისორი გურამ პატარაია
კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი. 10/X. 1979.

ხელს აწერენ:

1) მიხაკო წერეთელი, 15. XII. 1924 წ.
2) ლ. ქიქავა, 2.10. 1925 წ.
3) ბაგრატ წულაძე, 3.10.1925 წ.
4) გენერალი - ზაქარია დიმიტრის ძე ბაქრაძე
1922 წ. 23 მარიამობისთვე
5) ალ. ნიკურაძე, ვალიკო ახვლედიანი,
ფილ. დოქტ. კ გამსახურდია, 1920, V, I
გაბრიელ ქიქოძე, 5. I, 1921 წ.
6) ისმაილ პარმენის ძე შარაძე
ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი 6. IX, 1919 წ
7) ახმედ ჭიჭინაძე, თიბათვის 10, 1919 წ.
8) ანდრეი ივენეს ძე ბიბილეიშვილი - დიდი ჯიხაიშიდან

დომენტი ათანასეს ძე ჩხარტიშვილი - ქ. ფოთიდან
ლავრენტი ნიკოს ძე ვასაძე - ოზურგეთიდან
ვარლამ მიხეილის ძე ჭეიშვილი - ქუთაისიდან
თიბათვის 8, 1919 წ.

9) ტროფიმე ლუკას ძე ბასილაძე
ბარნაბა სოლომონისძე ყუფარაძე
ნიკოლოზ გერასიმეს ძე ფილიპოვი
1919 წ. 20. V.

10)ქუთაისიდან ჩამოსული სავაჭრო საქმისათვის:
ა) ალექსანდრე გვიჩია
ბ) სილოვან ჩინჩალაძე
გ) ბაგრატ მსხვილაძე
დ) თედორე გოგუა
ე) ივანე მაღლაკელიძე
ვ) აპოლონ ძიგუა
11) ანდრია დეკანოზიშვილი
ვ. ნაზარიშვილი
გრიგოლ რობაქიძე
ავქსენტი გვათუა
გობეჩია იოსებ
ვლასა მგელაძე
ილია ნაკაშიძე
1919 წ. 16 მარტი.

12)დონ. მიხაელი ანტონოვი, მღ. ლაზარე გოზალიშვილი, მკათათვის 27. 1912 წ.
13)თომა ანანიაშვილი. გორის მაზრა.
ახმედ ჭიჭინაძე თიბათვის 10. 1919 წ.

კარი მეხუთე
გამოხმაურებანი კრებულზე –
„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“



მარიამ კობერიძე,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

უცხოეთში დაცული ქართული ეროვნული ფასეულობების კვალდაკვალ - ,,წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“

კულტურული მემკვიდრეობა ის ფასეულობაა, რომელიც წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსთვის მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისაკან გზას გვიკაფავს. მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში არაერთი მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერია შემონახული, რომელიც უკავშირდება საქართველოს რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებს, განათლებისა და მატერიალური კულტურის განვითარებას.

ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა, მათ შორის ძველი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნების შეგროვება, ხელნაწერთა კატალოგიზაცია და შესწავლა ყოველთვის იყო ქართული სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულება. ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული ქართული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების შეგროვების, გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეში. ეს საკითხი თანამედროვეობასთან მიმართებაში დღესაც არანაკლებ აქტუალურია და პრობლემური.

სტამბოლის ქართული სავანე – ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი ბიბლიოთეკით, სტამბით, სკოლებით – საუკუნეზე მეტი ხნის (1861-1982) მანძილზე წარმოადგენდა საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურისა და განათლების უმნიშვნელოვანეს კერას, საქართველოდან გადახვეწილ მამულიშვილთა პოლიტიკურ თავშესაფარს და საზღვარგარეთ არსებული ეროვნული ძალების შემაკავშირებელ ცენტრს. ამ ხნის მანძილზე სტამბოლის ქართული სავანე საქართველოდან და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის კულტურული ცენტრიდან მარაგდებოდა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. მის არქივში დაცულია ბევრი სახელოვანი ადამიანის მიმოწერის ბარათი, მემუარული მემკვიდრეობა (გვ. 55-62).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ორგანიზებით მომზადდა და 2020 წელს ბათუმში დაიბეჭდა ,,წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ (ტ. II). წიგნის ავტორები: ისტორიის დოქტორი, პროფესორი როინ მალაყმაძე; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი შუშანა ფუტკარაძე; ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ელზა ფუტკარაძე; დოქტორანტი შორენა ფუტკარაძე. წიგნის რედაქტორი: როინ მალაყმაძე-ისტორიის დოქტორი, პროფესორი. თანარედაქტორები: ბიჭიკო დიასამიძე, ემერიტუს პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ნოდარ კახიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ელზა ფუტკარაძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. რეცენზენტები: პროფესორები -იზა ჩანტლაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი. რეზიუმეებისა და სტატიების თარგმანი პროფესორ თამარ სირაძისა. კომპიუტერული უზრუნველყოფა ეთერ ხეცოიძე.

წიგნი მოიცავს 702 გვერდს, შედგება შვიდი კარისაგან. კრებულის პირველ კარში მოცემულია სამეცნიერო ნაშრომები და პაულა და პავლე ზაზაძეების თანაავტორობით შესრულებული ის სტატიები, რომლებიც მათ მიერ წაკითხული იქნა ვატიკანში (რომში) გამართულ პეტრე ხარისჭირაშვილის (1861 წელს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის დამაარსებლის) დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. მეორე კარში

წარმოდგენილია ისტორიული მესხეთის დაუვიწყარი მხარეების ქრონიკები სტამბოლის ქართული სავანის საგანძურიდან: შავშეთი ,,ტბეთის სულთა მატიანე“, იოანე შავთელი და გიორგი ჯვარელი; არტაანი, ჩილდირი, კოლა, ფოცხოვი, ერუშეთი, ოლთისი, ბასიანი და თორთომი. კარი მესამე- კონსტანტინე ოდიშარიას მასალები სტამბოლის ქართული სავანიდან; კარი მეოთხე- აჭარის სამაჰმადიანო საქართველოს წარსულის გახსენება სტამბოლის ქართული სავანის საგანძურიდან; კარი მეხუთე-სტამბოლის ქართველთა ცხოვრებიდან; კარი მეექვსე - მასალები სტამბოლის ქართული სავანის არქივიდან; კარი მეშვიდე - წერილები სხვადასხვა თემაზე. წიგნში შესულია ქართველ მეცნიერთა რეცენზიები კრებულზე- ,,წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან’’ (ტომი პირველი) და შესანიშნავი ფოტო მასალა. რეცენზიებსა და სამეცნიერო სტატიებს დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ ენაზე და ახლავს დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა.

ამ ფაქტს ქართული სამეცნიერო საზოგადოებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კრებული შეიცავს საზღვარგარეთ, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში საიმედოდ დაცულ და შემონახულ ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავ ნიმუშებს: პუბლიცისტურ და კერძო (ურთიერთმიმოწერის) წერილებს, მემუარული ჩანაწერებს, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის საქმიანობის ამსახველ სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე ისტორიულ წყაროებს და სხვ. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი მასალის თავმოყრის, გააზრებისა და შესწავლის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ბევრის მთქმელია საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების (დიალექტოლოგიის), ლიტერატურათმცოდნეობის, თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისა და მკითხველი საზოგადოებისათვის (გვ. 12-21).

იმათ შორის, ვინც ქართულ ხელნაწერებზე ზრუნვა და ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება გაიხადა თავისი მეცნიერული მუშაობის ძირითად სფეროდ, საგანგებოდ უნდა დავასახელოთ შუშანა ფუტკარაძე ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი გამოკვლევებითა და წერილებით.

მონოგრაფიის - ,,წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ - ორივე (ტ. I, ტ. II) ტომში წარმოდგენილი მასალა მოპოვებულია 1999 -2006 წლებში ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის მიერ თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის (პრეზიდენტები - ნიჰათ გოგოთი (გოგიტიძე), ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე) და საქართველოს საპატიო მოქალაქის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო პროფესორის ბატონ სიმონ ზაზაძის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით; ასევე, ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტერთა არსებული ფონდის (პრეზიდენტი სიმონ ზაზაძე; ამჟამად პრეზიდენტია პავლე სიმონის ძე ზაზაზე) თანხმობითა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სპეციალური ნებართვის საფუძველზე, აგრეთვე, ბიბლიოთეკის და არქივის შესწავლა მიმდინარეობდა 2013 -2020 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

სტამბულის ქართული სავანისადმი მიძღვნილი კრებული მძიმე და დაუღალავი შრომის შედეგია. წესრიგში მოიყვანეს სავანის არქივი და წინგთსაცავი; უნდა ვიცოდეთ, რომ ,,სავანეში“ ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა და დღესაც არსებობს აკაკი წერეთლის სახელობის უნიკალური ბიბლიოთეკა. მისი წიგნადი ფონდი 70 ათასზე მეტ ბეჭდურ გამოცემას შეიცავს -მსოფლიოს

ხალხთა 17 ენაზე დაწერილ წიგნებს, უნიკალურ ჟურნალ-გაზეთებს; XIX პერიოდიკას, ბევრ ისეთ ისტორიულ წყაროს თუ პუბლიკაციას, რომელიც ჩვენში საერთოდ არ მოგვეპოვება! საქართველოში 1937 წლის ,,დიდი წითელი ტერორის“ დროს ბევრი საარქივო მასალა განადგურდა. საბედნიეროდ, აქედან ბევრი რამ სავანის არქივმა შემოგვინახა.

1989 წლის მაისიდან შუშანა ფუტკარაძე პერიოდულად გაეცნო წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის სტამბოლის ქართველ კათალიკეთა ეკლესია -მონასტერთან არსებულ 1908 წელს გახსნილ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში განთავსებულ ამ მდიდარ საგანძურს. აღსანიშნავია ის ფაქტი, ქალბატონი შუშანას ,,ჩვენებურების ქართულის“ პირველ ტომზე მუშაობისას (1991,I, 720 გვ.) საშუალება ჰქონდა ესარგებლა ამ სავანეში დაცული ისტორიული წყაროებითა და საჭირო ლიტერატურით. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან შექმნილი ფონდის პრეზიდენტის, სულმნათი პიროვნების, დიდი ქართველის პავლე ზაზაძის მიერ მის სახელზე დაწერილი ანდერძი-სავანეში მუშაობის უფლებას ანიჭებდა.

ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2000 წელს სტამბოლში ჩამოყალიბებულ თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდს, რომლის დაფუძნებაში მონაწილეობდნენ ცნობილი ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები (წარმოშობით ქართველი): ფონდის პრეზიდენტი ცნობილი პიროვნება ნიჰაათ გოქიითი (გოგიტიძე), ვიცე-პრეზიდენტები-ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე) და სიმონ ზაზაძე; გენერალური დირექტორი მევლუდ ართვინლი (გოგლიძე). სამი წლის მანძილზე ეს ფონდი აფინანსებდა სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის ექსპონანტების შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით საუკუნოვანი მტვრისაგან გაწმენდისა და აღწერის პროცესთან დაკავშირებულ საქმიანობას. მუშაობა პერიოდულად, ხანგამოშვებით მიმდინარეობდა. ჯანმრთველობისათვის საშიშ პირობებში მუშაობისას სავანეში დასაქმებულებს ყურადღებას არ აკლებდნენ ექიმები-ცნობილი კარდიოლოგი პროფესორი ისმეთ დინდარი (მიქელაძე) და მისი მეუღლე ექიმი ულქერ დინდარი (მიქელაძე). მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდათ ბატონი სიმონ ზაზაზე.

მონასტრის ძველი, ნესტიანი შენობიდან წიგნები და ხელნაწერები 2000 წლის ივლის-აგვისტოში გადატანილ იქნა მონასტრის გვერდით მდებარე სიმონ ზაზაძის კერძო ლიცეუმის- ,,ოზელ ბილგი კოლეჯის“- შენობაში; გაწმენდითი, აღწერითი საქმიანობა დასრულდა 2006 წლის ზაფხულში. წიგნები და ხელნაწერები განთავსდა ქაღალდის ყუთებში, დაილუქა და საიმედოდ შენახული იქნა უშუალოდ სიმონ ზაზაძის მეთვალყურეობით. 2006-2015 წლებში ეს საუნჯე ინახებოდა აღნიშნულ ყუთებში. ამჟამად განთავსებულია ეკლესია-მონასტრის ყოფილ ბაღში აშენებული ახალი შენობის პირველ სართულში მდებარე საცავში, სადაც დაცულია ბიბლიოთეკისა და საარქივო მასალის მოვლა-შენახვისათვის აუცილებლად საჭირო პირობები (ტემპერატურა, ვენტილაცია).

1989 წლიდან დღემდე შუშანა ფუტკარაძის მიერ ბევრი წერილი, სტატია, წიგნი დაიწერა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკისა და არქივის მდგომარეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ,,ძახილი სტამბოლის ქართული სავანიდან“ (გაზეთი ,,24 საათი“ #104, 86); სტამბულის ქართული სავანე (2012 წელი, გამომცემლობა ,,არტანუჯი“). წერილები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ლიტერატურული საქართველო“, ,,აჭარა“.

ამ დიდი ეროვნული საქმიანობის ძირითადი დამფინანსებელი იყო საქართველოს საპატიო მოქალაქე, ცნობილი ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი ბატონი სიმონ ზაზაძე, მისი ვაჟი - პავლე ზაზაძე. ზაზაძეების ოჯახის თითოეული წევრი თავიანთი გულისხმიერი დამოკი-

დებულებითა და მზრუნველობით უმსუბუქებდა საკმაოდ მძიმე პირობებში მიმდინერე სამუშაო პროცესს, კერძოდ, 100-120 წლის მანძილზე დაკეტილი მონასტრის, უკვე გარდაცვლილ მონაზონთა კელიებში შენახული წიგნებისა და ხელნაწერების დასუფთავება-აღწერასთან დაკავშირებულ, ჯანმრთველობისათვის საშიშ სამუშაოს შესრულებისას (ცნობისათვის) მისი მარჯვენა ხელის შუა თითი ლამის მოსაკვეთი გაუხდა ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს, წიგნის მტვერმა დაუზიანა მხედველობა.

სტამბოლის ქართულ სავანეში 1861 წლიდან 1982 წლამდე ნაგროვები ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დასუფთავება-აღწერის სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობდნენ შუშანა ფუტკარაძის ოჯახის წევრები, ახლობლები და ნდობით აღწურვილი პირები: ელზა, შორენა, თეონა, რუსუდან ფუტკარაძეები; გიორგი გოგიტიძე, გოჩა აბაშიძე, ციალა მაისურაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის, რომ 1989 წლიდან ითხოვდა შუშანა ფუტკარაძე სტამბულის ქართული სავანის მიმართ სათანადო ყურადღების გამოჩენას, მისი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით დაინტერესებას. ღვთის შეწევნით, ჩვენმა ,,სანთელ-საკმეველმა“, როგორც ქალბატონი შუშანა აღნიშნავს, თავის საწადელს მიაღწია. ამ საქმეს გვირგვინი დაადგა რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა. 2013 წელს დაფინანსდა შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საგრანტო პროექტი - ,,სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლარული და მემუარული მემკვიდრეობა“. პროექტის წევრები- რ. მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, ნაილა ჩელებაძე, შორენა ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე) მეშვეობით განხორციელდა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის საუნჯის განთავსება ახალ შენობაში. ასე ჩამოყალიბდა სტამბოლის ქართული სავანის ახალი ბიბლიოთეკა, რომელიც როგორც განთავსების ხასიათით (სანახაობრივად, ვიზუალურად), ისე შინაარსობრივად, მოწონებას იმსახურებს და დღითიდღე იზიდავს მეცნიერ-მკვლევარებს როგორც საქართველოდან, ისე საქართველოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რადგან ამ ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური ლიტერატურა მსოფლიოს 17 ენაზე. ამ საგრანტო პროექტის დაფინანსებით რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა გააკეთა დიდი საშვილიშვილო, ეროვნული საქმე როგორც საქართველოსათვის, ასევე იმ ბევრი ქვეყნისთვის, რომელთა მშობლიურ ენაზე შექმნილ წიგნებს, სწორედ, ეს ბიბლიოთეკა ინახავს (2017 წელი). საგრანტო პროექტის მონაწილეთა მიერ ახალ შენობაში განთავსდა 1908 წელს სტამბოლის ქართულ სავანეში შექმნილი აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა და 1861-1982 წლების განმავლობაში ნაგროვები საარქივო მასალა. სტამბოლის ქართულ სავანეში, დაუნჯებული საარქივო მასალის დიდი ნაწილი დაუმუშავებელია; საჭიროა მისი საფუძვლიანი აღწერა, საზოგადოების წინაშე წარმოჩენა, რათა მკვლევართათვის გახდეს ხელმისაწვდომი. იქ დაცული ისტორიული წყაროები ერთ ლამაზ ფურცელს ჩასწერს თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლეს ისტორიაში.

ჩემი მოკრძალებული გამოხმაურება კრებულზე ,,წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ (ტომი მეორე) დიდი პატივიც არის და პასუხისმგებლობაც. ამით მომეცა შესაძლებლობა გამოვხატო მადლიერება წიგნის ავტორებისა და სტამბოლის ქართული სავანის მოამაგეთა მიმართ ქართული ეროვნული ფასეულობების მოვლ-შენახვასა და მეცნიერული კვლევა-ძიებაში გაწეული გამორჩეული ღვაწლისათვის. იმედს ვიტოვებთ, რომ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით გაგრძელდება შემდეგ ტომზე მუშაობა. ამ მემკვიდრეობის შესწავლით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვა სრულიად ახალი, დღემდე უცნობი მასალა. იგი გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ისტორიას.

მიხეილ ქართველიშვილი
ისტორიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

დიდი სიყვარულით და პროფესიონალიზმით დაწერილი წიგნი

(რეცენზია წიგნზე- „ წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, I-II)

ქართულ ისტორიოგრაფიაში დოკუმენტური მასალის გამოცემას საკმაოდ დიდი და საინტერესო ტრადიცია აქვს. დაბეჭდილია ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლას კიდევ უფრო მეტად ამდიდრებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა არსებულ არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული მასალების გამოვლენა და სამეცნიერო თუ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება.

წინამდებარე წერილით გვსურს გამოვეხმაუროთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ შესანიშნავი წიგნის ორტომეულს.

შეუძლებელია ერთი რეცენზია-გამოხმაურების ფარგლებში სრულად შეფასდეს ამოდენა ისტორიული მნიშვნელობის საქმე. მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით გამოვკვეთოთ ამ ნაშრომის ღირებულება და მნიშვნელობა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ წინაშეა ფუნდამენტური მასშტაბის გამოცემა, რომელიც დარწმუნებულნი ვართ, მრავალი მეცნიერული ნაშრომის შთაგონების წყარო გახდება და ბევრ მეცნიერს გადააწყვეტინებს ამ საკითხს კიდევ უფრო მეტად ჩაუღრმავდეს და საგანგებო მეცნიერული კვლევის ობიექტად აქციოს.

სტამბოლის ქართველთა სავანე ქართველი მეცნიერების კვლევის ობიექტი არაერთხელ გამხდარა, მათ შორის გამოვარჩევდით პროფესორების - შუშანა ფუტკარაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ტარიელ ფუტკარაძის, ციური ლაფაჩის, ნატო ყრუაშვილისა და სხვების ნაშრომებს, სადაც საკითხი სხვადასხვა კუთხითაა შესწავლილი და გაანალიზებული.

ამ კუთხით ჩვენი სარეცენზიო ნაშრომი ეხება უნიკალურ გამოცემას, რომელშიც თავმოყრილია როგორც სამეცნიერო კვლევები, ასევე ძვირფასი საარქივო მასალა.

პირველი ტომის, რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა, ავტორები არიან: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ემერიტუს-პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, პროფესორი როინ მალაყმაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამილა ლომთათიძე, პროფესორი ელზა ფუტკარაძე, პროფესორი ნაილა ჩელებაძე, დოქტორანტი შორენა ფუტკარაძე.

პირველი ტომი შედგება წინათქმის, შვიდი კარისა და პირთა საძიებლისაგან.

წინათქმაში, რომლის ავტორიც ემერიტუს პროფესორი შუშანა ფუტკარაძე გახლავთ, შესწავლილი და გაანალიზებულია სტამბოლის ქართველთა სავანის მოკლე ისტორია, ასევე ამ მონასტრის შესწავლის ისტორიოგრაფია. აქვე საუბარია ნაშრომის შემადგენლობასა და მნიშვნელობაზე.

წიგნის პირველი ნაწილი ავტორების მიერ შესრულებულ სამეცნიერო კვლევებს ეთმობა, სადაც შესწავლილი და გაანალიზებულია ის უხვი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მკვლევართა ხელთ აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინათქმასა და სამეცნიერო სტატიას თან ინგლისურენოვანი რეზიუმეები ახლავს, რაც შესაძლებლობას იძლევა საკითხით დაინტერესებულმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამაც იქონიოს წარმოდგენა საკითხის გარშემო.

მეორე კარში მოცემულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ შესრულებული პუბლიცისტური წერილები, აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მემედ აბაშიძის 19 პუბლიცისტური წერილი, რომელიც მხოლოდ ამ სავანის არქივმა შემოგვინახა და სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის. სარეცენზიო ნაშრომის ამ მონაკვეთში გამოქვეყნებული მასალა საინტერესო წარმოდგენას გვიქმნის თავად სტამბოლის ქართველთა სავანის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებზე.

მესამე კარში მოთავსებულია ქართველი საზოგადო მოღვაწეების: აკაკი წერეთლის, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი ხოშტარიას, კალისტრატე და ნინო სალიების, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვიქტორ ნოზაძისა და სხვების წერილები.

მეოთხე კარში შესულია სასულიერო პირების მიმოწერის ამსახველი მასალა, კერძოდ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კირიონ II-ის, მიხეილ თამარაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, შიო ბათმანიშვილისა და სხვების წერილები.

მეხუთე კარი ეთმობა სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ ათონის მთის მასალებს, აღნიშნული მასალის გამოქვეყნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ პერიოდის ივირონის მონასტრის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ერთობ მწირია და ამ დანაკლისს წინამდებარე მოინაკვეთში გამოქვეყნებული მასალა საინტერესო პასაჟებით ამდიდრებს.

მეექვსე კარში გადმოცემულია სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ავთანდილ ურუშაძის, იოსებ შეშაბერიძის, ლეონ გიგოლაშვილის, პეტრე ტატალაშვილის და სხვათა მემუარული ჩანაწერები, რომლებიც საინტერესო დეტალებით ამდიდრებენ ისტორიის აქამდე უცნობ თუ ნაცნობ მონაკვეთებს.

მეშვიდე კარი, რომელიც ოთხი მონაკვეთისგან შედგება, მკითხველს სთავაზობს სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ სხვადასხვა თემაზე შექმნილ ხელნაწერ მასალას. მათ შორისაა სტამბოლის ქართული სავანის უახლესი ისტორიის ამსახველი მასალა, ამ სავანეში დაცული პოეზიის, პროზის ნიმუშები, ნეკროლოგები, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რადიორეპორტიორის ოთარ კეთილაძის დღიური – „ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში“.

მნიშვნელოვან ისტორიულ საქმეს, საბედნიეროდ, შესაფერისი გაგრძელებაც მოჰყვა და საკითხით დაინტერესებულმა საზოგადოებამ 2020 წელს ამ წიგნის მეორე ტომიც იხილა. რომლის რედაქტორიც ისტორიის დოქტორი, პროფესორი როინ მალაყმაძეა, ხოლო ავტორები როინ მალაყმაძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე და შორენა ფუტკარაძე არიან.

მეორე ტომი შედგება წინათქმისა და რვა კარისაგან.

პირველი კარი ამჯერადაც მთლიანად კვლევით ხასიათს ატარებს, სადაც შეჯამებული და გადმოცემულია საკითხის შესწავლისას მოპოვებული დიდძალი საისტორიო წყაროები.

მეორე კარში საუბარია ისტორიული მესხეთის მხარეების ქრონიკებზე, რომლებიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანეში.

მესამე კარში გადმოცემულია ქართველი საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ოდიშარიას უაღრესად საინტერესო წერილები, რომლებიც ისტორიულ ტაო-კლარჯეთის თემატიკას ეძღვნება. წიგნის ეს მონაკვეთი მთავრდება პროფესორ შუშანა ფუტკარაძის საინტერესო სამეცნიერო სტატიით, რომელშიც გაანალიზებულია კონსტანტინე ოდიშარიას ფასდაუდებელი ღვაწლი ისტორიული საქართველოს შესწავლის საქმეში.

მეოთხე კარი ეხება სტამბოლის ქართველთა სავანის არქივში დაცულ წერილებს, რომლებიც აჭარის თემატიკაზეა დაწერილი, აქ ვხვდებით დავით მიქელაძის, სამსონ ფირცხალავას, აპოლონ წულაძის, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვების მნიშვნელოვან შემოქმედებას. აღნიშნული მასალის გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის შესწავლისათვის, მათში გადმოცემული ეპოქის შესაბამისი სულისკვეთება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და მას მეცნიერული ღირებულების გარდა, დიდი ეროვნული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

მეხუთე და მეექვსე კარში გადმოცემული მასალა საინტერესოდ გვიხატავს იმ სინამდვილეს, რომელიც სტამბოლის ქართულმა სავანემ გაიარა, მასში გადმოცემული სხვადასხვა პუბლიცისტური თუ ეპისტოლარული წერილები მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა ამ მნიშვნელოვანი კერის შესახებ.

მეშვიდე კარი შერეული ხასიათის არის და მასში გადმოცემულია საინტერესო წერილები, რომლებიც ეხმიანებიან საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის მნიშვნელოვან საკითხებსა თუ მოვლენებს.


ნაშრომის ბოლო, მეშვიდე კარში გადმოცემულია ქართველი მეცნიერების (როინ მეტრეველი, გურამ ლორთქიფანიძე, ბონდო არველაძე და იზოლდა ბელთაძე) რეცენზიები აღნიშნული წიგნის პირველ ნაწილზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ წიგნის ორივე ტომი ეძღვნება სტამბოლის ქართული სავანის ამაგდარი პიროვნებების მამა-შვილი პავლე და სიმონ ზაზაძეების ხსოვნას.


ჩვენ მიერ სარეცენზიოდ წარმოდგენილი წიგნის ორტომეული დიდ დახმარებას გაუწევს არამარტო ისტორიკოსებს, არამედ ფილოლოგებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ეთნოლოგებსა და მკითხველთა ფართო საზოგადოებას. სრულიად აშკარაა, რომ შესრულებულია უაღრესად მასშტაბური მნიშვნელობის ფუნდამენტური გამოცემა.


დასარულს შეიძლება ითქვას, რომ შესრულებულია ისტორიული მნიშვნელობის საქმე, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, საკითხით დაინტერესებული ვერც ერთი ადამიანი გვერდს ვერ აუვლის. ვიმედოვნებთ, ამ შესანიშნავად დაწყებულ საქმეს შესაბამისი გაგრძელებაც მოჰყვება და მკითხველი მალე იხილავს შემდგომ ტომებსაც.


ფოტოილუსტრაციები

















P. S. Vardidjé
Gürcü Kilisesi N° 29
Pangalti
Istamboul
Tourquie






41

«Списокъ Кошахова»

Всего на харчи за 15 дней м. с. до 15-го Февраля по 1-е Января 1916 г. 1915 г.

№				
51	III	Абдул Ахмедов	Невзоров	60
49	III	Хамид	Сеидов	60
47	III	Осман	Мемедов	60
46	III	Халил	Юсуфов	60
57	III	Хаджи	Османов	60
48	III	Мамед	Асанов	60
53	III	Али	Хусейнов	60
55	III	Сулейманов	Мулла	60
56	III	Исмаилов	Сулейманов	60
69	III	Али	Османов	60
54	III	Керимов	Хасанов	60
58	III	Хаджи	Османов	60
59	III	Мамед	Кадыров	60
61	III	Осман	Али	60
52	III	Мамед	Османов	60
60	III	Хаджи	Османов	60
62	III	Хасанов	Али	60

Итого



42

Списокъ Кубинскихъ


	Нови	Осман	60
	Мамедов	Гасан	60
	Керимов	Сулейманов	60
	Хафиз	Гафур	60
	Хусейнов	Хайрулла	60
	Ахмедов	Керимов	60
	Осман	Хасанов	60
	Ахмед	Хаджи	60
	Сеидов	Гасан	60
	Февраль		60

Списокъ портных

Гафур	Гамидов	60
Осман	Али	60
Керим	Хамид	60
Осман	Ахмед	60
Ибрагим		

Итого

Мамед Осман Сафар



43

Списокъ сторожей

Вартанов	Арутюнов	60
Бакиров	Магомед	60
Мамед оглы	Сулейманов	60
Вартанов	Гаспар	60

Мерзоянов Осман Гафур 60

Списокъ сапожниковъ Осман Ахмедов 60


Ной Осман Мулла Осман 60


Итого


Всего сум. сторожей


Edition Cloutas & Talropina, Syra-Grèce, No. 123


Σᾶς εὐχόμεθα Καλὰ Χριστούγεννα
καὶ Εὐτυχισμένο τὸ Νέο Ἔτος
ἀπὸ τὴν οἰκογένειά μου
Ἀθήνα 1926
Ἀγαπητὲ κ. Γ. Σ.
Ἀθήνα 25-12-26



Paris 16e
Legation Georgienne
44 avenue Vict. Hugo.
Berlin
Kleinbeerenstr.



DEUTSCHES REICH
J. Mdivani
Hôtel Belmont - Ballard
Paris 16e (France)
1.1.22.



POST CARD
Washington. 2. II. 1922.
FOR CORRESPONDENCE
FOR ADDRESS ONLY
M. S. Mdivani
Legation de Géorgie
44 Avenue Victor Hug
16
France Paris
Copyright by Irving Underhill, N. Y.























































































































Декабря 1920 г.

1920

ТЕХНИЧЕСКАЯ ЧАСТЬ

На январь 1921 года.


Сколько	Количество коней		Сколько получено		Требуется сколько кормовых дней	Остается от предыдущего месяца	Примечание
	По плану	На деле	На день	На месяц			
	183	183	8 фунтов.		-	-	-

ПРИМЕЧАНИЕ: 1/ Деньги прошу отпустить на Тыловскому Комитету по ним Дивизионного Интенданта Капитана Прилепова.

2/ Интендантство не в состоянии сейчас выдавать по ст. покупку 77 комплектов по сокращенной смете" Фокасси на двух кратно интендантством причину необходимо запротоколить туда.

Помощник Дивизионного Интенданта

Делопроизводитель




1921.

Счетъ

г. Тифлисъ Кутаисская улица

	Цѣна Руб. К.	Сумма Руб. Коп.
Вступительный взносъ		
90 шт. 31½ ф. весу	5000 -	453,937-50.
Итого		453,937-50.



Мюнхенъ, 1960 წლის ხელოვნური

ძვირფასი ნათესავებო!

ხვამლიში (კინოგანყოფილებაში) არსებობს ქართული კოლექციური ალბომი -ნინახული ადგილ-სამყაროს, რომლის გვერდ და ფერადი ამ ტიპი მიხეილ ბერი პაულ აკობაშვილი (ალეკოძე). კისერებით მისი მიმართვის ახლ, რომელშიც აღწერილია ქართული კულტურის ამ ეროვნული ხელოვნური მდგომარეობა.

ამ ჩვენ ჩქარა ვერ შევძელით ამ ალბომ-ნინახურის და მისი მეგობრული და ძველი ჩვენთანადგილის მიქელ-პაპრინიშა, მიხილეველია, რომ ეს ძვირფასი ხელნაწერი მოიძიებად დაეკარგოს ქართველ ერს!

ვმოწმებთან ვთხოვთ, ხახურადგ შეგვეძლოს ამისრულებინ მოწოდებული ხახელოვნური ან ხანძალოები პირის (ან პირების) მოძებნას, რომელიც იცხოვრებდა ამ ხანძალოებული ხაქმის გაძლიერას და პოპულარიზას.


ჩვენ ან იმედნი!

დაწერილებით ცნობების მიღება შეიძლება ხვამლიდან.

მისამართი: Mr. Paul Akopachvili
Şişli Bomonti
Hésaki Sokak № 29, Çürçü Katilik Kilisesi
Istanbul – Türkey

ან ჩვენან, მისამართი: Dr. J. Katschuchidse
München 23
Barlachstraße 14

ერთი პატივისცემით და ქართული ხალამით:




4

ანგარიშგებული

ქალაქის ტერიტორიის დასუფთავების ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანგარიში 24 იანვრის 1930.

იანვარი 24-1930 წ.

		შენიშვნა.
3. შარების შესყიდვა	4000.	
6. ბულვარების შესყიდვა	2400.	
ჯამი:	—	6400.—
თეჯისკვალი.		
3. შარის შესყიდვა	300.	
ქ. ბესხანიშვილის ,,	500.	
ქ. ბახის, ტრესკილის ,,	500.	
ჯამი:	1300.	1300.—
მასტი.		
3. შარის შესყიდვა	500.	
ქ. ბახის პიტის M. Hoffs	2500.	
6. ბესხანიშვილის შესყიდვა	500.	
ჯამი:	—	3500.—
გადატანი 3 თვის ჯამი:	—	11200.—




შინაგან საქმეთა მინისტრი.
Министръ Внутреннихъ Дѣлъ.

24. იანვარი 1921 წ.

№ 17.

მოსკოვში ბრიტანეთის მისიის ხელმძღვანელი ბატონი ჰოლმსი ითხოვს ნებართვას ჩამოიყვანოს ინგლისიდან ავტომანქანა. ამასთან ერთად ითხოვს ნებართვას ინგლისიდან ჩამოიყვანოს ავტომანქანის ნაწილები.

შინ. საქმეთა მინისტრის ნაწილში
მინისტრის ამხანაგი



25

გზათა სამინისტრო.

საქართველოს რკ. გზები.

სადგური

ᲐᲕᲘᲪᲐᲜᲪᲘᲐ № 10419

მიღებულია ბან

ვაგონი ტვირთით

ნომერი. ცხრა ნაწილი


III კლ. ვაგ. 1 კლ.


ვაგონის № 61321

ჯამი

1/11 1921 წელს

სადგურის უფროსი





КВИТАНЦІЯ № 68. КН 21.

Принято

продовольственнымъ магазиномъ отъ

порожней оболочки:


Мѣшковъ 37 штукъ

Кулей штукъ

20 XI 19 г.


Смотритель магазина,

М. П.



14.12.48.

With every good wish for a
Merry Christmas and happiness
in the New Year





D. Laurent Janssens O.S.B. Abbé titulaire
de Mont Blandin, Secrétaire de la Commission
Biblique 29 août 1912


R. P. René Gautier O.S.B. 29 août 1912
Abbaye de St Wandrille.

M. Jean Janssens Curé
29 août 1912

L'abbé Gomidas Apakian Curé de l'Asile des pauvres
du Gouvernement Ottoman a célébré la Ste Messe
à l'autel de N. D. de Lourde 7 Sept. 1912.








17 juillet — Vénu en Pèlerinage au Tombeau de Marie S. Archange prêtre
17 juillet 1912 a célébré le S. Sacrifice à l'autel de
la Ste Vierge à 6h. ½.


Le même jour, le Très Révérend Père Benjamin
Lauras Supérieur de l'Assomption Roum. Kapou
a dit la Messe à l'autel de Lourdes vers 8h.


11/24 juillet P. Bernard Nerun. Curé des Roum. Catholiques
à Bahtchedjik

Ol. 13. Liouniem. Lieut de l'Ofg. Patriarcat St Archi
Ol. 13. Liouniem. " " " 8 Août 1912
Père Jean Nicoloff curé de Yenidje-Vardar, Vicaire
de l'Exarque Bulgare Catholique de la Macédoine a célé-
bré le Saint Sacrifice à l'autel de Lourdes le 8 Août
vers 8h.

Dom Raphaël Arslans O.S.B. sous-prieur du Mont des Oliviers
Jérusalem Le 29 août 1912.









მამა პეტრე ხარისჭირაშვილი - სტამბოლის ქართული სავანის დამფუძნებელი
Petre Kharischirashvili – founder of the Georgian Monastery in Istanbul



მამა-შვილი - სიმონ და პავლე ზაზაძეები
Father and son – Simon and Pavle Zazadze



სიმონ ზაზაძის საფლავთან (როინ მალაყმაძე, პოლ ზაზაძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე).
At the grave of Simon Zazadze (Roin Malakmadze, Paul Zazadze, Shushana Putkaradze, Elsa Putkaradze)



სტამბოლის ქართული სავანის ეზოში (ნატალი ზაზაძე, პოლ ზაზაძე, შუშანა ფუტკარაძე).
In the courtyard of the Georgian Sanctuary in Istanbul (Natalie Zazadze, Paul Zazadze, Shushana Putkaradze)



სტამბოლის ქართულ სავანეში (შორენა ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე, ნატალი ზაზაძე, როინ მალაყმაძე).
In the Georgian Sanctuary in Istanbul
(Shorena Putkaradze, Shushana Putkaradze, Natalie Zazadze, Roin Malakmadze)



სტამბოლის ქართული სავანის არქივში მუშაობისას
(როინ მალაყმაძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე).
Working process at the Georgian Sanctuary in Istanbul (Roin Malakmadze, Shushana Putkaradze, Elsa Putkaradze)



სტამბოლის ქართული სავანის არქივი (შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე).
Archive of the Georgian Sanctuary in Istanbul (Shushana Putkaradze, Elsa Putkaradze)



სტამბოლის ქართული სავანის არქივი (როინ მალაყმაძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე)
Working process at the Georgian Sanctuary in Istanbul (Roin Malakmadze, Shushana Putkaradze, Elsa Putkaradze)



სტამბოლის ქართული სავანე (როინ მალაყმაძე, პოლ ზაზაძე).
Georgian Sanctuary in Istanbul (Roin Malakmadze, Paul Zazadze).

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი – **გუნა სამნიძე**

ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**